

ანალები

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის
შესწავლისა და პროპაგანდის
სამეცნიერო ცენტრი

კრებული ეძღვნება პროფესორ
ნანა ხაზარაძის საიუბილეო თარიღს

ANALEBI

SCIENTIFIC CENTRE FOR STUDIES
AND PROPAGANDA OF HISTORY,
ETHNOLOGY AND RELIGION

In Honour of Prof. **Nana Khazaradze**
on the Occasion of Her Jubilee



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2011

ქურნალის „ანალები“ რედაქციები:

- აკად. დ. მუსხელიშვილი (მთავარი რედაქტორი)
- აკად. მ. ლორთქიფანიძე
- დოქტ. რ. სუნი (ჩიკაგო, აშშ)
- დოქტ. გ. კოსაკი (მარბურგი, გფრ)
- პროფ. გ. ლარსონი
- ი.მ.დ. მ. სამსონაძე
- ი.მ.დ. ნ. ხაზარაძე
- ი.მ.დ. ნ. ვანნაძე
- ი.მ.დ. ნ. ბრეგაძე
- ფ.მ.დ. ნ. სულავა
- ი.მ.დ. ა. დაუშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი)

ქურნალი გამოსაცემად მომზადდა ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის საგამომცემლო ჯგუფში „მემატიანე“.

კომპიუტერული უზრუნველყოფა მ. ბუტიკაშვილისა

© ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი


საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 1512-343X

„ერის ღაერება და გათახსირება მახინ
ინყება, როერა ერი, თავის საყბედუროდ,
თავის ისტორიას ივინყებს“.

ილია





პირფასო ქალბატონო ნანა!



ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები ვუერთდებით ქართველი ისტორიკოსების გულთბილ მილოცვებს, რომლებიც ასე გამოჩნეულად აღნიშნავენ თქვენს – ქართული საისტორიო მეცნიერების დამსახურებული და ღვაწლმოსილი პიროვნების, საიუბილეო თარიღს.

თქვენ მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობა საყვარელი სამშობლოს ისტორიის ურთულესი ეპიზოდების მეცნიერულ შესწავლის საქ-

მეს მოახმარეთ და არასოდეს გადაგიხვევიათ იმ ერთხელ არჩეული გზიდან, რომელზეც თავიდანვე დაგაყენეს თქვენმა ღირსეულმა მასწავლებლებმა. ქართულ საისტორიო მეცნიერებაში თქვენს მიერ გაწეული ღვაწლი – ეს არის შრომა პროფესიონალისა, ენთუზიასტისა და თავის საქმეზე უაღრესად შეყვარებული ადამიანისა. თქვენ ხართ წარმომადგენელი ქართველი ისტორიკოსების იმ ჩინებული თაობის, რომელმაც ასე ბევრი გაააკეთა მშობლიური ქვეყნის – ჩვენი მრავალტანჯული საქართველოს ისტორიის უძველესი ეტაპების კვლევის საქმეში.

უდავოა თქვენი დამსახურება საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლაში; ენების ცოდნა, უდიდესი ერუდიცია, შრომისმოყვარეობა, მიზანმიმართება თქვენ საშუალებას გაძლევდათ სააშკარაოზე გამოგეტანათ ჩვენი ისტორიის ისეთი პლასტები, რომელიც თქვენამდე არავის უკვლევია. თქვენ საისტორიო საზოგადოებას შესთავაზეთ მოვლენათა საკუთარი ხედვა, ღრმად დასაბუთებული ინტერპრეტაცია, ჭეშმარიტი და მიუკერძოებელი დასკვნები.

დიდია თქვენი დამსახურება ქართული საისტორიო მეცნიერების ძლიერი და აღიარებული ცენტრის – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თქვენ იყავით არა ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი ღონისძიების სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი.

თქვენ აღზარდეთ სამშობლოზე გულანთებული ახალგაზრდობის არა ერთი თაობა, ასწავლეთ მათ მეცნიერების საფუძვლები, მამულის სიყვარული, პატიოსნება და გაუტეხლობა, დააფრთიანეთ და შეუყენეთ ქართული საისტორიო მეცნიერების ურთულეს გზას.

საქართველოსთვის დრამატულ ისტორიულ ეპოქაშიც კი თქვენ მუდამ იდექით იქ, სადაც მამულის სიყვარული, მოყვასის ერთგულება, თქვენი პრინციპული მოქალაქეობრივი პოზიცია გიბიძგებდათ. დიდია თქვენი დამსახურება საქართველოში ქალთა საზოგადოებრივი მოძრაობის განვითარება-განმტკიცების საქმეში.

ჩვენ გვახსოვს თქვენი უანგარო მხარდაჭერა, თანამონაწილეობა ჩვენი სამეცნიერო ცენტრის ფორმირების პირველ, ყველაზე რთულ პერიოდში, თქვენთან ერთად ჩვენ შევინარჩუნეთ და შეძლებისამებრ ვანავითარებთ ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი მელიქიშვილის, გიორგი ჩიტაიას და სხვა თვაღსაჩინო ქართველი ისტორიკოსების სამეცნიერო ტრადიციებს.

იღვერბქელეთ და იხარეთ ჩვენო ძვირფასო, საყვარელო ქალბატონო ნანა, უფალმა ჯანმრთელობა, მიზანსწრაფვა და შემოქმედებითი წარმატებები არ მოგაკლოთ, ხოლო ჩვენ – თქვენი უშრეტი ენერგია, მეგობრული მხარ-

დაჭერა და მხოლოდ თქვენთვის დამახასიათებელი, განუ-
მეორებელი პიროვნული შარმი.

*ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის
შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო
ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე
აკად. დავით მუსხელიშვილი*

ნანა ხაზარაძე – მეცნიერი, პედაგოგი, მოქალაქე

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი ქალბატონი ნანა ხაზარაძე, თბილისში, ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთ გამორჩეულ ოჯახში, 1931 წლის 4 თებერვალს დაიბადა. მისი მამა, ფართოდ განათლებული ვლადიმერ ხაზარაძე ცნობილი უროლოგი იყო, ხოლო დედა – შესანიშნავი ქალბატონი თინა – სტომატოლოგი. წარმატებული ექიმი ნანას ძმაც – დავით ხაზარაძე.

ნანა თბილისის მე-18 სკოლაში შეიყვანეს. შეიძლება ითქვას, რომ მას ბედმა გაუღიმა – იმ კლასში შესანიშნავი ბავშვები სწავლობდნენ, რომელთაგან შემდგომ ბევრი ცნობილი მეცნიერი გახდა. სკოლას ნანამ უაღრესად თბილი მოგონება უძღვნა – „პირველად იყო სკოლა“, სადაც აღწერა სკოლაში შექმნილი გარემო და სიყვარულით მოიხსენია თავისი პედაგოგები. ბავშვობაში ნანა გატაცებით წერდა ზღაპრებს, ინგლისურიდან თარგმნიდა ბაირონის, ხოლო რუსულიდან – პუშკინის და სევერიანინის ლექსებს.

ნანას როგორც მეცნიერის და, ვიტყვოდი, პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ეკუთვნის ქალბატონ ირინე მიქელაძეს. მის ხსოვნას ნანამ შესანიშნავი მოგონება უძღვნა. სწორედ მასთან, მაშინდელ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, მივიდნენ ნანა და მისი მეგობრები – ელენე (ფოსიკო) ცაგარეიშვილი, ეკა პრივალოვა, მარინე კეცხოველი, ლაშა ჯანაშია, კიაზო ფიცხელაური, თეიმურაზ საყვარელიძე, გურამ თოფურია, თამაზ ჭილაძე და სხვ. სწორედ აქ შეიყვარა ნანამ საქართველოს ისტორია, სწორედ აქ გაიაზრა და გაითავისა, თუ როგორი პასუხისმგებლობით უნდა ემსახურებოდეს პიროვნება თავის საქმესა და თავის ქვეყანას და ეს განცდა მან დღემდე შეინარჩუნა. პიონერთა სასახლეში, მოსწავლეთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე 1947 წელს წაიკითხა ნანამ თავისი პირველი მოხსენება „აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ბრძოლა საქართველოს ისტორიის ფაღსიფიკატორთა წინააღმდეგ“.

სკოლა ნანამ ოქროს მედალზე დაამთავრა და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის

ფაკულტეტზე განაგრძო. მასთან ერთად სწავლობდნენ ე. ცაგარეიშვილი, ე. პრიალოვა, მ. კეცხოველი, ლ. ჯანაშია, კ. ფიცხელაური, გ. ნემსაძე, ნ. ასათიანი და სხვ. ისინი ისმენდნენ ს. ყაუხჩიშვილის, გ. ჩიტაიას, გ. ნიორაძის, გ. გოზალიშვილის, შ. მესხიას, რ. ხარაძის, მ. ლორთქიფანიძის, ო. ჯაფარიძის, თ. ყაუხჩიშვილის ლექციებს. ნანა აქტიურად ჩაება სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხულმა მისმა მოხსენებებმა პროფესორ-მასწავლებელთა მოწონება დაიმსახურა.

ჯერ კიდევ სტუდენტი ნანა ხაზარაძე ცოლად გაჰყვა შემდგომში ცნობილ ექიმს, ვახტანგ ფიფიას, ქართული მედიცინის ლეგენდის, ეგნატე ფიფიას ვაჟს. ეს ტრადიცია ოჯახში დღესაც გრძელდება. ნანას უფროსი ვაჟი გოგა და შვილიშვილი ირაკლი, წარმატებით მოღვაწეობენ მედიცინის სფეროში.

1952 წელს ნანა და ვახტანგი მოსკოვს გაემგზავრნენ – ნანამ სწავლა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ისტორიის კათედრაზე გააგრძელა. ისმენდა იმ პერიოდის თვალსაჩინო მეცნიერების ე. ავდიევის, გ. რედერის, კ. ზილინის, ვ. სოკოლოვის ლექციებს. მოსკოვში შეისწავლა მან აქადური, ურარტული, ძველბერძნული და ლათინური ენები. ნანას სადიპლომო ნაშრომის – „ურარტუს საგარეო პოლიტიკა ძვ. წ. VIII ს.“ – ხელმძღვანელი აკადემიკოსი ვ. ავდიევი იყო. ნაშრომმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და გამოსაქვეყნებლად იქნა რეკომენდირებული.

თავის რეცენზიაში აკადემიკოსი ვ. ავდიევი წერდა: “Дипломная работа студентки Н. В. Хазарадзе посвящена очень интересной и исторически важной теме, политическим взаимоотношениям государства Урарту с соседними странами, в частности с Ассирией. В данной работе студентка Хазарадзе прекрасно использовала все доступные ей источники, которые она смогла внимательно изучить, так-как за время своего пребывания на историческом факультете, она осовательно изучила урартский язык. Таким образом, работа Хазарадзе, основана

на тщательном изучении первоисточников, что особенно повышает ее ценность. При изучении урартских надписей Хазарадзе проявила самый строгий критицизм и обнаружила умение критически использовать даже трудные древневосточные надписи. Одновременно с этим Хазарадзе хорошо использовала также и античных авторов, труды которых ей были доступны, так-как она хорошо овладела греческим языком. Работа Хазарадзе обнаружила очень хорошее знание литературы вопроса, которую автор использовал с достаточной полнотой и вполне критически.

В своей интересной дипломной работе Хазарадзе сделала вполне самостоятельные целый ряд исторически важных выводов и доказала тем самым свои способности к самостоятельной научно-исследовательской работе в области исторической науки.

Поэтому я считаю, что дипломную работу Хазарадзе следует оценить в качестве отличной работы.”

რეკონსტრუქციის პროფესორი გ. რევერი ადნიშავდა: „Дипломная работа Н.В. Хазарадзе по своему содержанию гораздо шире той тематики, которая предусмотрена заглавием.

Автор рассматривает ход военных действий и дипломатические сношения Урарту с другими государствами на широком фоне экономического развития и социальных отношений, характерных для определенного этапа истории древневосточного рабовладельческого общества. Внешняя политика все время тесно увязывается с внутренней. ...

Н.В. Хазарадзе собрала обширный материал. В первую очередь ею были использованы урартские клинописные надписи, которые она переработала в подлинниках. Для сравнения широко привлекаются ассирийские летописи, списки эпонимов, а отчасти также данные античных авторов и, наконец, археологические материалы. Очень много внимания уделено исторической географии Передней Азии. Н.В. детально анализирует спорные вопросы ..., приводя убедительные аргументы в пользу своей точки зрения. Оценка дипломной работы – отлично.”

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1957 წლის დეკემბერში ნანამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, აკადემიკოს გ. მელიქიშვილის მიერ დაარსებულ, ძველი ისტორიის განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. ამ დროს განყოფილების წევრები შემდგომში კარგად ცნობილი ძველი ისტორიის შესანიშნავი მკვლევრები – ქალბატონი მ. ინაძე, ბატონები გრ. გიორგაძე, ე. მენაბდე, ლ. ჯანაშია, დ. სახუტაიშვილი, ნ. ლომოური იყვნენ. სწორედ აქ, ამ განყოფილებაში ჩამოყალიბდა ნანა როგორც მეცნიერი, აქ განვლო მან სამეცნიერო მოღვაწეობის ყველა საფეხური – ლაბორანტიდან ძველი ისტორიის განყოფილების გამგის თანამდებობამდე. აქ დაიცვა მან როგორც საკანდიდატო, ისე სადოქტორო დისერტაციები.

უაღრესად ფართოა ნანა ხაზარაძის სამეცნიერო კვლევათა სპექტრი. როგორც თვითონ ნანა წერს, მის კვლევათა სფეროებს წარმოადგენს: სამხრეთ კავკასიის ეთნოკულტურული და პოლიტიკური ისტორია, ახლო აღმოსავლეთის ეთნოკულტურული და პოლიტიკური ისტორია, სამხრეთ ევროპის ქვეყნების ეთნოკულტურული და ეთნოპოლიტიკური ისტორია, თანამედროვე ისტორიის კონფლიქტოლოგიური ასპექტები.

კვლევის ამ ოთხ სფეროში, უამრავი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ურთულესი პრობლემაა დასმული, შესწავლილი, გაანალიზებული და გადაჭრილი – საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები, უძველესი ქართველური ტომების, მოსხები-მესხების ისტორია, „არიან-ქართლისა“ და მოსხიკეს იდენტიფიკაცია, მოსხური მთებისა და „მოსხიკეს“ ლოკალიზაცია, ტიბარელებისა და მატეიების ისტორია, ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია, ძველადმოსავლური ეთნოკულტურული სამყარო, „ციხია გორას“ კრამიტზე დადასტურებული ნუმერაციის იონური სისტემა, წმინდა ხის კულტი საქართველოში, ძველი წინააზიური ცხოველთა სამყაროს, ნაგებობების, ვახის, პურის თავთავის, მზის, ცის, რიცხვითი სახელების ამსახველი ლუვიური იეროგლიფების ინტერპრეტაცია, ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები, გვიანხეთური ხა-

ნის სამეფო სამთავროები, გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ კაპადოკიის ანთროპონიმია, წარღვნის შესახებ მითოსის ფშავური ერთი ვერსიის ინტერპრეტაცია, ძველი ფრიგიის ანბანის ანალიზი, სამეფო ინსტიტუტის დვთაებრიობის და მეფის მემკვიდრეობის წესები გვიანხეთურ ხანაში, ბიბლია და ქართველი ხალხის განსახლების ისტორია, თაბალის ისტორია და კულტურა და სხვა და სხვა.

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის საწყის ეტაპზე ნანა ხაზარაძე მცირეაზიული სამყაროს ურთულესი და ხშირად შეუსწავლელი პრობლემებით დაინტერესდა. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სწორედ მან, პირველმა, ქართულ ისტორიოგრაფიაში ფრიგიასთან დაკავშირებული პრობლემატიკა შემოიტანა. არაერთი ნაშრომი უძღვნა ეთნონიმ „ფრიგიელის“, ფრიგიელთა ეთნოგენეზის, ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიის, სოციალური და კულტურის საკითხების შესწავლას.

XX საუკუნის 70-იან წლებში ნანა ხაზარაძემ დაიწყო ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ამ ურთულეს საკითხთან დაკავშირებული, ხშირად შეუსწავლელი პრობლემების კვლევა. მისი ინტერესების ცენტრში ძველადმოსავლურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული „თაბალის“ და „მუშქების“ ქვეყნები მოექცა.

ძვ. წ. I ათასწლეულის მცირე აზიის ეთნიკურ და პოლიტიკურ გაერთიანებათა შორის თაბალი საკმაოდ მნიშვნელოვანი ქვეყანა იყო. მაგრამ მასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევას ართულებდა წერილობით წყაროებში დაცული ცნობებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების სიმცირე. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოვლინდა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები და ეთნოგლიფურ-ლუვიური ტექსტები. ინტერესი თაბალისადმი ძალიან გაიზარდა. მიუხედავად ამ ინტერესისა, თაბალის პრობლემა მონოგრაფიულად არ ყოფილა შესწავლილი. თაბალის ქვეყნის ყოველმხრივი შესწავლა და, მე ვიტყვოდი, გადაჭრა სწორედ ნანა ხაზარაძის სახელთანაა დაკავშირებული.

ნანამ დაწვრილებით განიხილა ტერმინ „Tabal“-ის შესწავლის ისტორია, ამ საკითხთან დაკავშირებით რო-

გორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, სხვადასხვაენოვანი ძველადმოსავლური წერილობითი წყაროები, მატერიალური კულტურის ძეგლები, გაითვალისწინა ხეთოლოგიისა და ასირიოლოგიის მიღწევები და თაბალის პრობლემა სრულიად ახლებურად გადაჭრა.

მნიშვნელოვანია, რომ ნანამ, პირველმა შეძლო ამ ქვეყნის ლოკალიზაცია. მისი აზრით, თაბალის ქვეყანა დიდი კაპადოკიის დასავლეთ სექტორში მდებარეობდა, აღმოსავლეთით მას კამანუ ესაზღვრებოდა, სამხრეთ-აღმოსავლეთით – ქუე, ჩრდილო-დასავლეთით – ხილაქუ, ხოლო დასავლეთიდან – მუშქების ქვეყანა.

ნაშრომში დიდი ადგილი დაეთმო თაბალური ონომასტიკონისა და თაბალური ღვთაებების სახელების ანალიზს. ნანამ დამაჯერებლად გამოავლინა, რომ თაბალის მეფეთა, ღვთაებათა და საკუთარი სახელები, წარმოშობით, ხეთურ-ლუვიურ სამყაროს უკავშირდებოდა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერდა, აგრეთვე, თაბალის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლებიც.

განსაკუთრებული სიზუსტით აღწერა ავტორმა გოლუდაღისა და კულულუს სამოსახლოები, დასახლების ტიპები, საცხოვრებლები და მოხატული ე. წ. ალიშარ IV ტიპის კერამიკა. ჩატარებული კვლევის შედეგად, ავტორი მნიშვნელოვან დასკვნებამდე მივიდა და დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ძვ. წ. IX-VII სს. თაბალის ქვეყანა დასახლებული იყო ხეთურ-ლუვიური, ინდოევროპული წარმოშობის ტომებით. მოსახლეობა კულტურულად და ეთნო-გენეტიკურად წარმოადგენდა ხეთური (ლუვიური) სამყაროს ტრადიციების გამგრძელებელ, საკმაოდ მნიშვნელოვან ეთნიკურ ერთეულს.

თაბალის დაუძინებელი მტრის, ასურეთის წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, ნანამ აღადგინა ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის საინტერესო ფაქტები. ნაშრომში სპეციალურად არის განხილული ასურული წყაროების ცნობები „თაბალის 24 მეფის“, („თაბალის 20 მეფის“) არსებობის შესახებ. ავტორის აზრით, ეს ცნობა იმაზე მიუთითებს, რომ თაბალის ქვეყანა აერთიანებდა მცირე აზიის

24 (ან 20) წვრილ პოლიტიკურ ერთეულს, რომელთა შორის, ერთი მათგანი განიხილებოდა, როგორც ქვეყნის „ღიღი მუფე“. ერთი ამგვარი მუფე იყო თუვათი (ძვ. წ. 859-824 წწ.). მისი მეფობის ხანაში თაბალის მოსახლეობა საკმაოდ ჭრელი უნდა ყოფილიყო. ნანას ვარაუდით, ამ პერიოდში, სწორედ თაბალის ტერიტორიაზე სახლობდნენ დასავლურ-ქართველური ტომები. ამის დასამტკიცებლად, ნანა ხაზარაძემ სპეციალური კვლევა ჩაატარა ტიბარენების ისტორიის აღსადგენად. დაწვრილებით განიხილა ძველებერძულ, რომაულ და ბიზანტიურ წყაროებში დაცული ცნობები მათ შესახებ, მოახდინა ქვეყნის ლოკალიზაცია, აღადგინა მათი ლანდშაფტი, მეურნეობის ფორმები, ზნე-ჩვეულებები.

2005 წელს, ნანა კვლავ დაუბრუნდა ტიბარენების ქვეყანასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას, მოახდინა მათი ზუსტი ლოკალიზაცია და ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ პონტოსპირეთსა და პონტოს მთიანეთს შორის გადაჭიმულ ტერიტორიაზე განაღობა. მისი ვარაუდით, ტიბარენებს აქ ძვ. წ. II ათასწლეულში უნდა ეცხოვრათ.

თაბალის პრობლემაზე მუშაობის პარალელურად, ნანამ პირველმა საქართველოში შეისწავლა იეროგლიფურ-ლუვიური ენა და დამწერლობა. მის სახელს უკავშირდება იეროგლიფურ-ლუვიური ტექსტების ქართულად თარგმნა და კომენტირება. ამ წყაროებში დაცული უმდიდრესი მონაცემების საფუძველზე, მან მახლობელი აღმოსავლეთისა და საქართველოს ძველი ისტორიის კვლევის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაზარდა. რაც მთავარია, ნანა ხაზარაძემ, ასევე პირველმა, ისტორიულ წყაროდ გამოიყენა თავად იეროგლიფი, განიხილა იგი როგორც გარკვეული შინაარსის მატარებელი ნიშანი და მასში ჩადებული სემანტიკური კოდები გამოავლინა – გააცოცხლა ძველი მცირეაზიური ცხოველთა და მცენარეული სამყარო, ნაგებობათა ტიპები, ღვთაებები და მათი ფუნქციები.

ნანა ხაზარაძის სახელთანაა დაკავშირებული ურთულესი და საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის დასმა და ჩემი აზრით, ბრწყინვალედ გადაჭრა. ეს გახლავთ მოსოხ-მუშქების, მოსხებისა და მესხების ურთიერთმიმართების, მათი

ისტორიისა და კულტურის ურთულესი საკითხების სიდრმისეული კვლევა.

როგორც აკადემიკოსი გრ. გიორგაძე აღნიშნავდა, დღემდე არც ერთ მკვლევარს, არც ჩვენს ქვეყანაში და არც მის ფარგლებს გარეთ არ შეუსწავლია ეს პრობლემა ისეთი სიღრმით, როგორც ეს ნანა ხაზარაძემ შეძლო. სწორედ აქ გამოჩნდა ყველაზე სრულად მეცნიერის ფართო ერუდიცია და ანალიტიკური კვლევის შესაძლებლობანი.

მოსხების ურთულესი თემა დიდი ხანია იქცევადა მეცნიერთა განსაკუთრებულ ინტერესს. მიუხედავად ამისა, ბევრი უმნიშვნელოვანესი პრობლემა გადაუჭრელი რჩებოდა. განსაკუთრებულად საკამათო იყო მოსხების და მუშქების ურთიერთმიმართება. მუშქები ასურულ, ურარტულ, ლუვიურ-იეროგლიფურ წყაროებში მოიხსენიებიან, ხოლო მოსხები-მესხები – ძველბერძნულ, რომაულ წყაროებში. ბევრი გაურკვეველობა იყო ისტორიული გეოგრაფიის, პოლიტიკური ისტორიის, ამ ტომთა ეთნოგენეზის ურთულეს საკითხებში.

ნანას მიერ პირველადაა თაემოყრილი მუშქებ-მოსხებთან დაკავშირებული, სადღეისოდ არსებული ასურული, ურარტული, იეროგლიფურ-ლუვიური, ძველბერძნული, ლათინური, ძველებრაული, ბიზანტიური, ძველქართული, ძველსომხური წერილობითი წყაროები. აღსანიშნავია, რომ წყაროთა ერთი ნაწილი პირველად განიხილება როგორც მოსხების ისტორიის შესწავლის წერილობითი ძეგლები, ხოლო მეორე ნაწილი – ადრე ცნობილი და გამოყენებული, ახლებურადაა გააზრებული. გარდა ამისა, ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეყრდნობა ლინგვისტურ, ტოპონიმიკურ და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის მონაცემებს.

ამგვარი, უადრესად შრომატევადი კვლევის შედეგად, ნანა ხაზარაძემ დამაჯერებლად დაადგინა მოსხების განსახლების ტერიტორია ძვ. წ. VI-V სს. და შეძლო სტრაბონისეული „მოსხიკეს“ ზუსტი ლოკალიზაცია. ნანა ხაზარაძის აზრით, “მოსხური მთები” ბერძნულ წყაროებში მთების ორ განსხვავებულ რიგს აღნიშნავდა – ერთი, მცირე კავკასიონის ქედის სამხრეთ-დასავლეთ განშტოებას, მეო-

რე – იბერიისა და არმენიის საზღვარზე, მდინარე ჭოროხ-ევფრატის, ევფრატ-არაქსის წყალგამყოფ ქედს წარმოადგენდა. ნანამ ახლებური თვალსაზრისი წამოაყენა, რომლის თანახმად, მოსხების ქვეყანა ისტორიულ მესხეთს, ანუ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოიცავდა – კოლა-არტანს, კლარჯეთს, შავშეთს, ტაოს, ჯავახეთს, სამცხეს, აჭარას, ბასიანს.

დიდი ადგილი დაუთმო ნანამ ძველადმოსავლურ წყაროებში მოხსენიებულ მუშქების პრობლემას. სპეციალურად შეისწავლა ე. წ. „ადმოსავლელი მუშქების“ ისტორია, რომელიც ქრონოლოგიურად ძვ. წ. XII-IX სს. ჩარჩოებშია მოქცეული, დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ მათი არსებობა ძვ. წ. VII ს.-მდე გრძელდებოდა. „დასავლეთელი მუშქების“ კვლევისას, გამოითქვა მოსაზრება, რომ მდინარე ჰალისის აუზში მუშქების გამოჩენა ძვ. წ. XIII ს. უნდა მომხდარიყო.

მოსხების ეთნიკური ვინაობის ურთულესი საკითხის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები იყო გამოთქმული. ზოგიერთი მეცნიერი მუშქებს ბალკანურ-თრაკიულ-ფრიგიულ სამყაროს უკავშირებდა. ი. დიაკონოვი და სომეხი მეცნიერები, სომეხთა ეთნოგენეზის კვლევის დროს, მუშქებს სომეხთა წინაპრებად მიიჩნევდნენ.

ნანამ ბრწყინვალედ გადაჭრა ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა. წერილობითი წყაროებისა და ისტორიულ-გეოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, უარყო მუშქების ფრიგიელებთან და სომხებთან გენეტიკური კავშირის არსებობა და დამაჯერებლად დაასაბუთა მუშქებთან მოსხების იდენტიფიკაცია. უადრესად დამაჯერებელია ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ევფრატის ზემო წელზე, ძვ. წ. VI-IV სს. ტოკატ-ყარაჰისარ-გიუმუშხანეს მხარეში და ძვ. წ. I ს. მდინარე ჭოროხის სათავეებში დამოწმებული მუშქ-მოსხები ერთსა და იმავე გეოგრაფიულ და ეთნოკულტურულ არეალში არიან მოქცეულნი. მისი აზრით, პონტოში, ევფრატზე და ჭოროხზე მცხოვრები მოსხების ქართველურ მესხებთან იდენტიფიკაცია ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ნანას უადრესად შრომატევადი ძიებები და სრულიად ახლებური მოსაზრებები შეჯამდა მის ბრწყინვალე მონოგრაფიაში „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხები)“, რომელიც 1984 წელს გამოქვეყნდა. სწორედ ეს ნაშრომი წარედგინა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და ნანამ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. ნანას ნაშრომმა ოფიციალური ოპონენტების თ. გამყრელიძის, დ. ხახუტაიშვილის და დ. მუსხელიშვილის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. სწორედ ამ მონოგრაფიაში მიენიჭა მას აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის დიდად პრესტიჟული პრემია.

აკადემიკოსი გ. ჩიტაია თავის რეცენზიაში წერდა: „ნ. ხაზარაძის მონოგრაფია ღრმა, მეცნიერული, შრომატევადი და ნაყოფიერი ძიების შედეგია. იგი კომპოზიციურად შეკრულ და კონცეპტუალურად ახალ, მწყობრ, სერიოზულ გამოკვლევას წარმოადგენს და ქართველოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია“.

სადისერტაციო ნაშრომმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან გამოგზავნილი იქნა ალტაცებული რეცენზიები. მათი ავტორები იყვნენ აკადემიკოსი ი. ალიევი (ბაქო), ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ძველი აღმოსავლეთის სექტორის გამგე მ. დანდამაევი, საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ბონგარდ-ლევინი, ვორონეჟის უნივერსიტეტის ძველი ისტორიის კათედრის დოცენტი გ. მოისეევა და სხვ.

შემდგომ წლებში ნანა ხაზარაძემ არანაკლებ მნიშვნელოვანი ეთნო-ტოპონიმიკური ძიებები ჩაატარა. დიდი ყურადღება „მესხ“ ეთნონიმის გენეზისს დაუთმო და მის ამოსავალ ფორმად საერთო ქართველური „მოსხი“ მიიჩნია. მოგვიანებით ნანას ეს ვარაუდი ცნობილმა ლინგვისტებმა ფ. ჰაინრიხმა და ზ. სარჯველაძემ სავესებით გაიზიარეს.

ნანა ხაზარაძის ყურადღების გარეშე არ დარჩენილა არც „არიან-ქართლის“ უადრესად მნიშვნელოვანი პრობლემა. სწორედ მას, ქართველ ისტორიკოსთაგან პირველს, ეკუთვნის ამ პრობლემის არა მხოლოდ დასმა, არამედ დამაჯერებელი გადაჭრა. მან პირველმა გამოთქვა და დაასა-

ბუთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სტრაბონისეული „მოსხიკე“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ნახსენები „არიან-ქართლი“ ერთსა და იმავე ტერიტორიას გულისხმობდა. მისი თვალსაზრისის თანახმად, „არიან-ქართლი“, იგივე „მოსხიკე“, კლარჯეთსა და მის სამხრეთით მდებარე ტაობასიანის მხარეებს მოიცავდა. ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ანძიადორა და ჯუანშერისეული „სპერი“ ამ დიდი რეგიონის სამხრეთ საზღვართან იყო განლაგებული.

შემდგომ წლებში ნანა უაღრესად საინტერესო პრობლემის შესწავლას შეუდგა. მისი კვლევის სფეროში მოექცა წმინდა მიწაზე მყოფ პილიგრიმების ჩანაწერებში, გრ. ფერადის მიერ დადასტურებული ქართველთა აღმნიშვნელი სახელწოდებები: „ქალთა ქვეყანა“, „სარტყლის ქრისტიანები“, მოსაზრება „ქართველთა ნათესავისაჲ“-ს მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილობის შესახებ. მან ეს ტერმინები X-XI სს. საქართველოს ისტორიის კონტექსტში განიხილა და გამოთქვა ვარაუდი, რომ ქართველთა აღმნიშვნელი ეს ტერმინები, ბაგრატიონთა სამეფოს საგვარეულოს ღვთაებრივი წარმომავლობის კონცეფციასთან ერთად, გაერთიანებული საქართველოს ოფიციალური იდეოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენდა.

ნანა ხაზარადის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 11 წიგნი, რომელთაგან სამს თანაავტორი ჰყავს. მისი სტატიები დაბეჭდილია ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულენოვან სამეცნიერო კრებულებში. იგი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამართული სამეცნიერო 130-ზე მეტი ფორუმის მონაწილეა. ეს ფორუმები ტარდებოდა თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, ერევანში, ლონდონში, დაუგავპილსში, ლეიდენში, ლაიპციგში, პრედაში, ბუდაპეშტში, პარიზში, სტამბულში, ტოკიოში. მეც დავსწრებივარ ბევრ ასეთ ღონისძიებას და ყოველთვის ვიყავი მისი დიდი წარმატების თანახიარი.

ნანა ხაზარადე წლების მანძილზე აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. სწორედ მისი თაოსნობით, 1990 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ისტორიის კათედრა. ნანა დღესაც ამ კათედრის ხელმძღვანე-

ლია. კათედრა ორი სპეციალობის მაგისტრებსა და ბაკალავრებს ამზადებდა – სიძველეთა ტექნიკურ ექსპერტებს (ხელოვნებათმცოდნეებს) და კონფლიქტოლოგებს (კონფლიქტის მენეჯერებს, საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტების მოგვარების სპეციალისტებს). კათედრასთან ფუნქციონირებდა ნანას მიერ დაარსებული „ისტორიული ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავების საპრობლემო ლაბორატორია“, რომელმაც „ქართლის ცხოვრების“ I და II ტომის სხვადასხვა საძიებლებით თანდართული ელექტრონული ვერსია შექმნა. მოქმედებდა ისტორიის მოყვარულთა კლუბი.

ნანა უნივერსიტეტში კითხულობდა საინტერესო, სრულიად განსხვავებულ კურსებსა და სპეცკურსებს: საქართველოს ისტორიის ზოგადი საუნივერსიტეტო კურსი, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ძველი მსოფლოს ისტორია (საბერძნეთი, რომი), ქართული და უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, გენდერი და კონფლიქტი, თეორიული კონფლიქტოლოგია, პოლიტიკური კონფლიქტები, კონფლიქტის ფსიქოლოგია.

ასევე აქტიურია ნანა ხაზარაძის მონაწილეობა სადისერტაციო საბჭოების მუშაობაში. ამჟამად ის არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, იყო ამ სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის მრავალგზის თავმჯდომარე და წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს №07.00.03 – მსოფლიო ისტორია წევრი (1990-2004 წწ.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს № 07.00.02 – საქართველოს ისტორია წევრი (1995-2006 წწ.), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი და პროფესორთა საბჭოს წევრი (1990-2005 წწ.); ოპონირება გაუწია მეცნიერებათა (ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის, პედაგოგიკის) დოქტორის, კანდიდატის, აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ 50-მდე ნაშრომს; ექსპერტიზა ჩაუტარა სადოქტორო და საკანდიდატო 30 სამეცნიერო ნაშრომის ავტორთაგან.

ნანა წლების მანძილზე ამზადებდა და დღესაც ამზადებს ასპირანტებს, ბაკალავრებს, მაგისტრებსა და დოქტორანტებს. ის არის არაერთი დისერტაციის ხელმძღვანელი ან ოპონენტი. ნანას ხელმძღვანელობით დაიწერა აქ სტუდენტებისათვის განკუთვნილი საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ტარდება სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციები. წლების განმავლობაში ნანა იყო ამ უნივერსიტეტის დიდი, პროფესორთა, სასწავლო-მეთოდური საბჭოების წევრი. ნანა ხაზარაძე ათეულობით სოლიდური მონოგრაფიის რედაქტორი და რეცენზენტი, ამჟამად იგი „ნაწლების“ და „საისტორიო ვერტიკალების“ რედაქტორების წევრია.

მე მგონი არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ნანა ხაზარაძე ნამდვილი საზოგადო მოღვაწეა, რომლის ძალისხმევა ყოველთვის თავისი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისა და მისი ინტერესების დაცვისკენაა მიმართული.

წლების განმავლობაში ნანა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პარტორგანიზაციას ედგა სათავეში (1977-1982, 1987-1989 წწ.). დღეს არ არის პოპულარული იმ წლების გახსენება, მაგრამ ვიტყვი, ნანა პარტკომი კი არ იყო, არამედ ინსტიტუტის მფარველ ძალას განასახიერებდა. ბევრმა არც იცის, რომ შენობა, რომელშიც დღეს ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტია განლაგებული, ჩვენ სწორედ ნანას ძალისხმევით გადმოგვეცა. იმ გაუსაძლის, ჩაბნელებულ წლებში, არ ვიცი როგორ, მაგრამ ახერხებდა თანამშრომლები მოემარაგებინა საკვებით, ჩასაცემელით. ზოგჯერ ღამეებს ათევედა მილიციაში ჩვენს ინსტიტუტში მომუშავე დისიდენტების დასახსნელად. მან დიდი ენერჯია შეაღია ინსტიტუტის საგამომცემლო საქმიანობას, მისი ძალისხმევით დაარსდა ისტორიის პოპულარული სერია და ახლაგაზრდობის ნაშრომისთვის განკუთვნილი კრებული „დიდგორი“. ჩვენთან იმართებოდა „საისტორიო საუბრები“, საინტერესო დისკუსიები, გამოჩენილ მეცნიერებთან შეხვედრები, დასვენების საღამოები.

სწორედ ნანას თაოსნობით შეიქმნა ინსტიტუტში ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნიკური განვითარების

კომპლექსური შესწავლის საპრობლემო ჯგუფი, რომელსაც თვითონვე ჩაუდგა სათავეში. ეს ჯგუფი ერთ-ერთ გამორჩეულ სტრუქტურულ ერთეულად იქნა მიჩნეული.

ნანა ყოველთვის იდგა თავისი ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე, ყოველთვის მთელი არსებით იყო ჩართული იმ პროცესებში, რომლებიც ჩვენს უახლეს ისტორიაში ასე მწვავედ მიმდინარეობდა. სწორედ მან მიმართა საპროტესტო წერილით ე. შევარდნაძესა და გ. რაზუმოვსკის 1989 წ. 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო. შემდგომში მის ხელმოწერას ინსტიტუტის თანამშრომელთა უმრავლესობა შეუერთდა. ღია წერილითა და ტელევიზიით მიმართა მან ჩვენს ყოფილ „მეგობარს“ ვ. არძინბას აფხაზეთის ომის დაწყების დროს.

ნანას ყოველთვის უყვარს და ახსოვს თავისი მასწავლებლები და მეგობრები. მან არაჩვეულებრივი წერილები მიუძღვნა გ. მელიქიშვილის, ედ. მენაბდის, გრ. გიორგაძის, დ. ხახუტაიშვილის, დ. ბერძენიშვილის, შ. ხიდაშელის სსოვნას.

ნანა ხაზარაძე დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“ (1996 წ.), მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ (1990 წ.), საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1990 წ.). მას მოპოვებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ორი უმაღლესი ჯილდო – აკადემიკოს ს. ჯანაშიას და აკადემიკოს გ. მელიქიშვილის სახელობის პრემიები, საქართველოს კულტურის ფონდის მიერ დაწესებული ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია და ბრინჯაოს მედალიონი. მე ბედნიერი ვარ, რომ ბატონ გიორგი მელიქიშვილის ახლად დაწესებული პრემიის პირველი მფლობელი, სწორედ მისი საყვარელი მოწაფე, ნანა ხაზარაძე გახდა.

დღეს ნანა ხაზარაძე ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარეა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის კომისიის წევრი, საქართველოს მეცნიერების ისტორიის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიასთან არსებული ისტორიის, ეთნოლოგიის, რელი-

გის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო საბჭოს აქტიური წევრი, საერთაშორისო მეროისტიკული საზოგადოების საპატიო წევრი, კავკასიის ხალხთა ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ი. ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა ასოციაციის გამგეობის წევრი, არასამთავრობო ორგანიზაციის – „ფენიქსი XXI“ (ისტორია და თანამედროვეობა) დამფუძნებელი და პრეზიდენტის თავმჯდომარე, საერთაშორისო ორგანიზაციის „შალომის“ გამგეობის წევრი.

..ნანა პირველად, დიდი ხნის წინ ვნახე, ბორჯომში. გამაოცა მისმა სილამაზემ – ეს იყო მაღალი, თხელი, ფერმკრთალი, ქერათმიანი ფერია, რომელსაც სულ კულში დავსდევდი.

მერე მოხდა ისე, რომ ჩვენი ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებაში, თითქმის ნახევარი საუკუნე ერთად ვიყავით.

ყოველთვის მაცვებდა მისი შინაგანი ენერჯია, ჭირთათმენის გასაოცარი უნარი, მისი „აქტიური“ სიკეთე, რომელიც ყოველთვის ადამიანისკენ იყო მიმართული.

ნანა დღეს ისეთივე ლამაზი და მშვენიერია, როგორიც ყოველთვის იყო, ისეთივე შემართულია, ისევე თავდავიწყებით იკვლევს მისთვის საინტერესო პრობლემებს, კითხულობს ლექციებს, ამზადებს დოქტორანტებს, ეწევა საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

მინდა ვუსურვო ჩვენ საყვარელ ნანას ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე, მინდა კიდევ დიდხანს გვახარებდეს თავისი არსებობითა და საინტერესო ნაშრომებით.

მანანა ხიდაშელი

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
თბილისი, 4 თებერვალი, 2011*

NANA KHAZARADZE – SCHOLAR, TEACHER, CITIZEN

An outstanding Georgian scholar Nana Khazaradze was born on february 4, 1931 in Tbilisi into a prominent family of intellectuals. After finishing school she was enrolled at the Faculty of History of Tbilisi State University.

In 1952 Nana Khazaradze together with her husband Vakhtang Pipia left for Moscow, where she continued studies at the M.Lomonosov State University. Here she learned the Akkadian, Urartian, Ancient Greek and Latin languages. Her graduation thesis *Foreign Policy of Urartu in the 8th Century BC* received highest evaluation and was recommended for publication.

Upon her return to the homeland, Nana Khazaradze began to work at the Department of Ancient History of the I.Javakhishvili Institute of History and Ethnography. Here she passed all stages of scholarly work – from a laboratory assistant to the position of a leading scientist. Over the years she has been the head of this department as well.

The range of Nana Khazaradze's scholarly research is wide. As she writes herself, the spheres of her research include: ethno-cultural and political history of the Southern Caucasus, ethno-cultural and political history of the Near East, ethno-cultural and political history of countries of Southern Europe, aspects of conflictology of modern history.

In these four spheres of research, numerous, dissimilar questions have been analyzed and solved – questions linked with Phrygia, the history of ancient Kartvelian tribes, the Moskhs and the Meskhs, localization of *Moskhike* and the *Moskhian Mountains*, the history of the Tibareni and the Matieni, Georgian technical terminology, ancient oriental ethno-cultural world, the cult of the sacred tree in Georgia, Hittite-Georgian mythological parallels, kingdoms and principalities of the Late Hittite Period, the Bible and the history of settlement of the Georgian people, the history of Tabal, and other questions.

Nana Khazaradze was the first in Georgia to study the Hieroglyphic Luwian language and script. On the basis of the rich evidence preserved in these sources, she considerably increased the possibilities of research of ancient history of the Near East and Georgia. Nana

Khazaradze was the first to use as a historical source a hieroglyph proper, to consider it as a sign carrying certain contents and to reveal the semantic code embedded in it.

In the 1970s the scholar began to study the ethnogenesis of the Georgian people. The sphere of her interests included the countries of the *Tabal* and the *Mushki*. Nana used ancient oriental written sources, remains of material culture, achievements of the Hittite and Assyrian Studies and argued in a convincing manner that in the 9th-7th cc. BC Tabal was settled by the Hittite-Luwian, Indo-European tribes and represented an ethnic entity continuing traditions of this world.

Nana Khazaradze solved brilliantly highly difficult problems of the interrelation of the Mosoch-Mushki, Moskhs and Meskhs, their history and culture. She identified the territory of settlement of the Moskhs in the 6th-5th cc. BC. She managed to localize the *Moskhian Mountains*, defined the location of Strabo's *Moskhike* and identified that it covered entire Southwestern Georgia. She studied the history of the Mushki and substantiated persuasively the identity of the Moskhs and the Meskhs. She regarded Common Kartvelian *Moskhi* as the initial form of the ethnonym *Meskhi*. The scholar argued convincingly that Strabo's *Moskhike* and *Arian-Kartli* mentioned in *Moktsevai Kartlisai* ("The Conversion of Georgia") implied one and the same territory.

Nana Khazaradze is the author of 196 scholarly works. Her articles are published in Georgian, Russian and foreign collections. She has participated in numerous republican and international forums – in Tbilisi, Moscow, Leningrad, Yerevan, London, Leiden, Leipzig, Prague, Istanbul and Tokyo.

Nana Khazaradze is engaged in extensive pedagogical activities. On her initiative, in 1990 the Chair of the History of Georgia and the History of Georgian Culture was set up at the Georgian Technical University. She actively delivers lectures, supervises bachelor and master students, is a supervisor and an opponent of doctoral dissertations.

Nana Khazaradze has always stood guard over the interests of her country. She addressed a letter of protest to E.Shevardnadze and G.Razumovski, and the entire institute joined her in signing it. She also authored an open letter and a television address to V.Ardzinba.

Nana Khazaradze is rewarded with the *Order of Honour* (1996), a Medal *For Labour Distinction* (1990), a Diploma of Honour of the Presidium of the Supreme Council of Georgia (1990). She is a winner of three highest awards of the Georgian National Academy of Sciences – the Academician S.Janashia, Academician E.Taqaishvili and Academician G.Melikishvili Prizes.

At present Nana Khazaradze is the Chairman of the E.Taqaishvili Georgian Historical Society, a Member of the Academic Council for Study and Propaganda of History, Ethnology and Religion, functioning at the Georgian National Academy of Sciences, an Honorary Member of the International Meroistic Society, a Member of Administration of the I.Chavchavadze Association of Bibliophiles, the Founder and Chairman of the Presidium of the non-governmental organization *Phoenix XXI* (History and Contemporaneity), a Member of Administration of international organization *Shalom*.

Today Nana is as beautiful as always, as bold as usual, with the same devotion she carries out research, delivers lectures, supervises doctoral students and is engaged in public activities.

I wish our dear Nana good health and a long life in order to gladden us by her existence and interesting works for many years.

Manana Khidasheli

ლამაზი, ბონიერი, უპერბეელი (პროფესორი ნანა ხაზარაძე)

რაც ხდება, ყველაფერი ღვთის ნებით ხდება. ღმერთი აჯილდოებს ადამიანს გარეგნობითაც, ინტელექტითაც, ხასიათითაც და სხვა პიროვნული თვისებებითაც (აღზრდა რომ რაღაც-რაღაცეებს ცვლის, საბოლოო ჯამში, ესეც ღვთის ნებაა). ყველა ამ თვისებას ღმერთი ანაწილებს ადამიანებში, ზოგს ერთ თვისებას აძლევს, ზოგს – მეორეს, მაგრამ არის იშვიათი შემთხვევები, როცა ყველა ამ სიკეთეს ერთ ადამიანში უყრის თავს. ასეთ ადამიანებს „ღვთის რჩეულებს“, ან სხვანაირად „ღვთიური მადლით ცხებულებს“ უწოდებენ. ქალბატონი ნანა სწორედ ასეთ იშვიათ ადამიანთა რიგს განეკუთვნება.

თუმცა იგი თავის საიუბილეო თარიღს არ მაღავეს, მე მაინც ისე ვიტყვი, როგორც ქალბატონებზე ვამბობთ ხოლმე ზოგადად: ჰგავს კი იგი იმ ასაკის ადამიანს, რომელსაც თავად „იბრალებს“? მეტისმეტი ქათინაური რომ არ გამოძივიდეს, ცხადია, ცოტა განსხვავება კია 40 წლის ნანა ხაზარაძესა და დღევანდელ ნანა ხაზარაძეს შორის, მაგრამ, რაც მთავარია, სახეზეა იგივე პეწი, იგივე შარმი, იგივე მომხიბვლელობა, იგივე არისტოკრატიულობა, იგივე ცინცხალი გონება და მესხიერება. განა ეს ღვთისაგან გამორჩეულობის ნიშანი არ არის?

გაიხსენეთ მისი საჯარო გამოსვლები, სადაც ზემოდასახელებული თვისება ერთად იყრის თავს – დიდი ნიჭიერება, მჭევრმეტყველება და ორატორული ხელოვნება, დახვეწილი ქართული, აუდიტორიასთან ურთიერთობის საოცარი უნარი, იუმორის გრძნობა, ანუ ყველაფერი ის, რასაც ქალბატონი ნანა ხაზარაძის ფენომენი ჰქვია.

ამ დიდებულ ქალბატონს ყველა ტიტული აქვს, რაც მეცნიერს უნდა ჰქონდეს. არის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სიმონ ჯანაშიას, ექვთიმე თაყაიშვილისა და გიორგი მელიქიშვილის პრემიების ლაურეატი. არის მრავალი წიგნის, მონოგრაფიის და უამრავი სამეცნიერო სტატიის ავტორი და ა. შ.

ამ პატარა წერილში მე, ცხადია, მიზნად არ ვისახავ, წარმოვაჩინო ქალბატონი ნანას მთელი დამსახურება მეცნიერების წინაშე, მაგრამ არც ის იქნებოდა მართებული, არაფერი მეტკვა მის ბრწყინვალე გამოკვლევებზე საქართველოს უძველესი ისტორიის შესახებ, ძველადმოსავლურ და ქართველოლოგიურ, წყაროთმცოდნეობით და ისტორიოგრაფიულ ძიებებზე, მის მიერ თარგმნილ ურთულეს (ვეულისხმობ, სათარგმნელად ურთულეს) ძველადმოსავლურ ტექსტებზე.

მიუხედავად იმისა, რომ მისი კვლევის თვალსაწიერი საუკუნეებს წვდება და ჩვენ წელთაღრიცხვამდელ ათასწლეულებამდე ვრცელდება, ქალბატონ ნანასთვის არც თანამედროვე პრობლემებია უცხო და ნაკლებად აქტუალური. მხედველობაში მაქვს ჯავახეთის პრობლემებისადმი მისი ინტერესი. როგორც ქალბატონ ნანას მიაჩნია, დღეს ჯავახეთის თემისადმი გულგრილი დამოკიდებულება არავის ეპატიება. მასვე ეკუთვნის იდეა, რომ ჯავახეთის თემას მიეძღვნას საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართველი და სომეხი ისტორიკოსები, ისე უცხოელი მეცნიერები.

ქალბატონი ნანა არა მარტო თვალსაჩინო მეცნიერია, არამედ სანიმუშო და ყოველმხრივ მისაბაძი ადამიანიც. მისაბაძია, მაგალითად, მისი საოცარი მადლიერება და ერთგულება საკუთარი მასწავლებლის, საქვეყნოდ სახელგანთქმული მეცნიერის, აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილისადმი. ამ მადლიერებისა და სიყვარულის გამოხატულება იყო მისი წიგნი, მიძღვნილი ამ დიდი მეცნიერის დაბადების 90 წლისთავისადმი, წიგნი, რომელშიც ქალბატონმა ნანამ სავსებით დამსახურებულად, მისივე სახელობის პრემია მოიპოვა.

მოგეხსენებათ, ბუნებაში არაფერი იკარგება. მადლიერ მოსწავლეს თავად გაუჩნდნენ მადლიერი მოსწავლეები და სტუდენტები. მოიძიეთ ინტერნეტში მისი ყოფილი სტუდენტების გამოთქმული აზრები ქალბატონ ნანას შესახებ და ამაში ადვილად დარწმუნდებით.

არ შემიძლია არაფერი ვთქვა თქვენს დიდ და კარგ ოჯახზე, თქვენ შვილებსა, შვილიშვილებსა და შვილთაშ-


ვიღებზე, რომელთა რიცხვი (შვილთაშვილებს ვგულისხმობ, რასაკვირველია) წლიდან წლამდე იზრდება. ჯერ კი თვლით ითვლით, მაგრამ ღმერთსა ვთხოვ, წლების განმავლობაში ისე გამრავლებულიყვნენ, რომ დათვლაც კი გაჭირვებოდეთ.

ქალბატონო ნანა! თქვენთვის ღმერთს ყველაფერი მოუცია. როგორც ამბობენ, ღვთისმშობელს უხვად დაუბერტყავს თავისი მადლიანი კალთა თქვენზე. ამიტომ აღარც კი ვიცი, რა გისურვოთ, გარდა ერთისა, რაც ნებისმიერ დროს სჭირდება ადამიანს: ეს ჯანმრთელობაა. ამიტომ მე, როგორც თქვენი ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი, ღმერთს იმასა ვთხოვ, რომ თქვენ მოგცეთ დიდი ხანი და ჯანმრთელობა, ხოლო ჩვენს ახალგაზრდებს კიდევ დიდხანს არ მოუშალოს თქვენი ხილვის, თქვენი გონივრული საუბრების მოსმენის სიამოვნება.

დაე, იცოდეს ყველამ – მტერმაც და მოყვარემაც, რომ ჩვენ სწორედ ისეთი ქალბატონები გვყვანან, როგორიც ქალბატონი ნანა – ლამაზები, ჭკვიანები, უბერებლები!

რევაზ ბალანჩივაძე

*ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
2011 წელი*



ზაზა ალექსიძე


**ბიზანტიის იმპერიის უცნობი ქართველი დიდი
მოხელე და მისი საგვარეულო**

ბალატუნუსის ბილინგვა

სირიაში, ბიზანტიურ ციხე-ქალაქ ბალატუნუსის (Platanus) ერთერთი ბურჯის ნანგრევებში 2008 წელს აღმოჩნდა ორენოვანი (ბერძნულ-ქართული) წარწერა, რომელიც ამჟამად ინახება სირიის მთავარი საპორტო ქალაქის ლატაკიის (ლაოლიკა) მუზეუმში. 2009 წლის ბოლოს წარწერა სათანადო გამოკვლევით ჩემი მეგობრისა და კოლეგის, საფრანგეთის ინსტიტუტის (წარწერებისა და ბელლ-ლეტრის აკადემია) წევრის, ჟან-პიერ მაეს საშუალებით გადმომიგზავნა მაშინ ახლო აღმოსავლეთის (დამასკოს) ფრანგული ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ჟულიენ ალიკომ (Julien Aliquot). ცხადია, მას აინტერესებდა ბილინგვის ქართული წარწერის შინაარსი, რომლის ამოკითხვა პარიზში ვერ მოხერხდა.

როგორც ბატონი ალიკოს შენიშვნებიდან ჩანდა, ორენოვან წარწერიანი ქვის (ქვიშაქვა) ზომებია 57X162X21. ბილინგვა მე თვითონ არ მინახავს, ამიტომ ქვემოთ ყველაგან ვეყრდნობი ბატონ ალიკოს მიერ კარგად შესრულებულ აღწერას და ასევე კარგად დამზადებულ ფოტოებს.

ბერძნული წარწერა



ბატონი ალიკოს მიერ წაკითხული და ფრანგულად თარგმნილი ბერძნული წარწერა თავდაპირველად ასე გამოიყურებოდა:

ბერძნული ტექსტი:

[† Ετελειωθη τῷ θεόσωστον κάστρ[ον], ὃν [ὁ
 κ]ατεπάνω Νική]τας, πατρίκιος, ράικτωρ Ἀντιοχείας,
 χειρὸς ἐ-

[ξήρπασε τῶν ἐχθρῶν βαρβάρων ἐπὶ Ῥωμανοῦ καὶ Ζωῆς
 ἀνακτό(ρων)

[φιλοχρίστ(ων) ἡμ(ῶν) κ]ε κτισθὲν παρὰ Σπανταγουδη,
 πατρι[κ]ίου καὶ

[στρατηγοῦ Λαο]δικείας, τοῦ Τηπελι, μη(ν) Ἰουνίω,
 ἰνδ(ικτιῶνος) ἰδ' †

[ξ]τ(ει) ἀπὸ κτ(ίσεως) κόσμ(ου) .σφ]λθ.

ფრანგული თარგმანი:

«Ce *kastron* sauvé par Dieu, que le nobélissime catépan Nicétas, patrice, recteur d'Antioche, a arraché de la main des ennemis barbares sous Romain et Zoé, nos empereurs qui aiment le Christ, et qui a été

fondé par Spantagoudès Tèpeli, patrice et stratège de Laodicée, a été achevé au mois de juin, indiction 14, l'an 6539 depuis la création du monde».

ფრანგული თარგმანი ქართულად:

«ეს დროივხსნილი კასტრონი, რომელიც უკეთილშობილესმა კატეპანმა ნიკეტასმა, პატრიკოსმა და ანტიოქიის რექტორმა, ხელიდან გამოსტაცა მტრულ ბარბაროსებს ქრისტესმოყვარული რომანოსისა და ზოიას მმართველობის დროს და რომელიც დაარსებულ (ან დაფინანსებულ) იქნა სპანტაგუდე ტეპელის, პატრიკოსისა და ლაოდიკეის სტრატეგოსის მიერ, გასრულდა ივნისის თვეში, ინდიქტიონს 14, 6539 წელს სამყაროს შექმნიდან».

იგულისხმება რომაული წელთაღრიცხვის 1031 წელი (6539-5508=1031).

შენიშვნები ბერძნული წარწერის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით

ბატონი ალიკოს თარგმანი ქმნიდა შთაბეჭდილებას (ასევე იყო განმარტებული კომენტარებში), რომ წარწერა უკავშირდებოდა კატეპან ნიკეტას და არა სპანტაგუდე ტეპელის, რომელიც შესაძლოა არც იმყოფებოდა იმ დროს ბალატუნუსში. ასეთი ინტერპრეტაციის სისუსტე ადვილად ჩანდა ბერძნული ტექსტის პირველივე წაკითხვიდან: ბიზანტიელებმა კატეპან ნიკეტასის მეთაურობით ბალატუნუსი აიღეს 1031 წლის გაზაფხულის დასაწყისში (მარტში), ხოლო წარწერა შესრულებულია ამავე წლის ივნისში. ამრიგად, ცხადია, რომ ბერძნული κὲ κτισθὲν παρὰ Σπανταγούδη უნდა ითარგმნოს არა როგორც «დაარსებულ იქნა» (ან თუნდაც, «დაფინანსდა») სპანტაგუდეკს მიერ», არამედ ბერძნული ენისათვის გაცილებით უფრო ბუნებრივად: «აიგო//აშენდა სპანტაგუდეკს მიერ».

მეორე ჩემი შენიშვნა ეხებოდა კვლავ ბერძნული ტექსტის არაბუნებრივად წაკითხვას. ჟულიენ ალიკომ სწორად განსაზღვრა (ამაში მას დაეხმარა ბერძნული წარწერის ქვემოთ ქართული წარწერის მხოლოდ არსებობაც კი), რომ «ტეპელი» ტბელს უნდა აღნიშნავდეს. იმ ცოდნით,

რაც ტბელებთან დაკავშირებით მან ლიტერატურიდან მოიპოვა, ცხადია, უნდა ეფიქრა, რომ ტბელი გვარის აღმნიშვნელი სახელია და სრულიად ბუნებრივად მიიჩნია, რომ «სპანტაგუდე . . . ტეპელი» ერთი და იმავე პირის სახელი და გვარია. იგი იმდენად დარწმუნებული იყო ასეთ ინტერპრეტაციაში, რომ ანგარიში არ გაუწია კვლავ ბერძნული ტექსტის ჩვენებას: Σπανταγουδη . . . τὸν Τηπελι, რაც სიტყვა-სიტყვით უეჭველად უნდა უნდა ითარგმნოს როგორც «სპანტაგუდე ტეპელისა» ანუ «სპანტაგუდე ტეპელის ძე». ასეთი გააზრება ზუსტი ანალოგიაა სახარებისეული შესიტყვების: Ἰάκωβος Αλφαίου (იაკობ ალფესი ანუ იაკობ ალფესის ძე), Ἰουδας Ἰακώβου (იუდა იაკობისი ანუ იუდა იაკობის ძე) და ა.შ.

მესამე შენიშვნა ბერძნული ტექსტის აღდგენილ დასაწყისს ეხებოდა. ჩემი აზრით, ეპიგრაფიკული ტექსტი, სადაც “ურჯულოებზე” მნიშვნელოვანი გამარჯვების შესახებ არის ლაპარაკი, არ შეიძლება დაიწყოს გამოთქმით **Ετελειώθη** (ამიტომაც იყო, რომ იგი ქულიენ ალიკოს თარგმანში სრულიად არ აისახა). გარდა ამისა, ქვის ჩამონატეხი უფრო მეტი მოცულობის ტექსტს გულისხმობს, ვიდრე სიტყვა **Ετελειώθη**-ს შეუძლია დაიკავოს. ჩემი ვარაუდით, და ბერძნული ეპიგრაფიკისა თუ საისტორიო თხზულებებისათვის დამახასიათებელი ტრაფარეტით, ტექსტის დასაწყისი უნდა აღდგენილიყო შემდეგნაირად: **†Τὸν Θεὸν βοηθεία, ἀν Τὸν Θεὸν συνεργείατος** “შეწევნითა ღმრთისათა”.

ქულიენ ალიკომ მთლიანად გაიზიარა ჩემი შენიშვნები და საბოლოოდ ბერძნული ტექსტის აღდგენამ და თარგმანმა ასეთი სახეს მიიღო:

[† Τὸν Θεὸν βοηθεία] θεόσωστον κάστρ[ον], ὄν [ὁ ναβ]ε[λίσ]μος [κατεπάνω Νική]τας, πατρίκιος, ραίκτωρ Ἀντιοχείας, χεῖρὸς ἐ-

[ἔ]ηρπασε τῶν ἐχ[θ]ρῶν βαρβάρων ἐπὶ Ῥωμανῶν καὶ Ζαῆς ἀνακτό(ρων)

[φιλοχρίστ(ων) ἡμ(ῶν) κ]ε̅ κτισθὲν παρὰ Σπανταγουδη, πατρι[κ]ίου καὶ

[στρατηγῶν Λαοδικείας, τοῦ Τηπελι, μη(ν) Ἰουσίω,
ἰνδ(ικτιῶνος) ἰδ' †
[ἔτ(ε) ἀπὸ κτ(ίσεως) κόσμου].sf]θ. ἄν κατὰ τὸ ἔτος .sf]

[ღმრთის შეწევნით] ეს ღვთივდაცული (შეიძლება ღმრთივესწინილიც) კასტრონი, რომელიც უკეთილშობილესმა კატეპანმა ნიკეტასმა, პატრიკიოსმა და ანტიოქიის რექტორმა მტრულ ბარბაროსებს ხელიდან გამოსტაცა ქრისტესმოყვარე რომანოსისა და ზოიას მმართველობის დროს, აშენებულ იქნა პატრიკიოსისა და ლაოდიკეის სტრატეგოსის სპანტაგუდე ტეპელის ძის მიერ ივნისის თვეში, ინდიქტიონი 14, [სამყაროს შექმნიდან წელსა 65]39.

ბერძნული ტექსტის ბიზანტიური ტრანსკრიპცია

კიდევ ერთი, რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული XI ს-ის ბერძნული ტექსტის წაკითხვისას, ეს არის ბიზანტიური ბერძნული წარმოთქმა. განსაკუთრებით, როცა ეს ეხება ონომასტიკასა და ანთროპონიმებს, მით უფრო, თუ ეს ონომასტიკა და ანთროპონიმები არ არის ბერძნულენოვანი და საჭიროებს იდენტიფიკაციას.

Σπανταγυδ-η ბიზანტიური ბერძნულის და ქართული ენის ფონეტიკური თავისებურებების გათვალისწინებით ქართულად შესაძლებელია გადმოიცეს ასეთი ფორმებით: *სპანტაღუდ-ი, სპანდაღუდ-ი, სპანტაღუტ-ი, სპანდაღუტ-ი* (შდრ. *αγαπη>აღაპი*). გარდა ამისა, **Σπανταγυδη** არ არის ჩასმული ნათესაობით ბრუნვაში, როგორც ამას მოითხოვს მის წინ მდგარი **παρὰ** წინდებული. ამ ფუნქციას მისთვის ასრულებს გენეტივში დაყენებული მისი მსაზღვრელი ტიტულატურა **πατρι[κ]ῶς καὶ [στρατηγῶν]**. **Σπανταγυδη** ქართულად მე გადმოვეცი “სპანტაღუდ-ი” ფორმით, როგორც ეს მოსალოდნელი იყო ქართულისათვის (სახელობითი ბრუნვა). ჩემი აზრით, ამის საფუძველს იძლევა ბიზანტიურ ბერძნულში η-ს “ი“-თ წაკითხვის ტრადიცია.

¹ იხ. ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბ. 1978.

ასევე, სპანტაღუდის მამის სახელი Τηπελι “ტეპელი“-ს პირველი მარცვლის η (ეტა) უნდა წავიკითხოთ “ი“-დ (შდრ. ზემოთ Σπανταγουσδ-η სპანდაღუდ-ი): “ტიპელი”. ასე უფრო გასაგები გახდება, საიდან გაჩნდა ბერძნულში $\pi\alpha$ ტპ//ტბ თანხმოვნებს შორის “ი” ხმოვანი (შდრ. სომხ. თრღატ > ბერძნ. Τηριδάντης ტირიდატეს²). ვინაიდან ბიზანტიურ ბერძნულში β “ბეტა” აღარ გადმოსცემს “ბ“-ს და იკითხება როგორც “ვ”, ბუნებრივია, რომ “ბ“-ს აღსანიშნავად გამოყენებულია π პ, (შდრ. ბაგრატ//პანკრატ³, ”ბაკურიან”//“პაკურიან”). “ტეპელი”//“ტიპელი”, რა თქმა უნდა, ბიზანტიური გამოთქმაა ქართული ანთროპონიმისა “ტბელი”: $\beta > \pi$ (ბ > პ), აგრეთვე, ორ თანხმოვანს შორის გაჩენილი “ი” (შდრ. ტფილის > ტიფლის). საყურადღებოა, რომ სომხურ საისტორიო მწერლობაშიც (სტეფანოს ორბელიანი, გვ. 355) ივანე ტბელის სახელი ამ ფორმით გვხვდება: Իվան Տպել .

ქართული წარწერა

ამის შემდეგ უკვე შეგვიძლია გადავიდეთ ბალატუნუსის ორენოვანი წარწერის ქართულ ნაწილზე.

ქართული წარწერა შესრულებულია შედარებით ღრმად ამოკვეთილი, საკმაოდ ღამაზი, საგანგებო საჭრეთელით შეიარაღებული, გამოცდილი ხელით, მრგვლოვანი ასომთავრულით. სიტყვათა უმრავლესობა დაქარაგმებულია. სიტყვათა შორის განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია ერთი წერტილი. პალეოგრაფიულად იგი, ბუნებრივია, XI საუკუნით თარიღდება. ტექსტის მარჯვენა ნაწილი (მაყურებლიდან) მნიშვნელოვნად არის დაზიანებული (შესაძლოა ატმოსფერული ზეგავლენით), თუმცა იკითხება, ხოლო ერთგან ამოტეხილია, რამაც რამდენიმე გრაფემა შეიწირა. ვინაიდან ქვის მარცხენა ნაწილი ჩამოტეხილია,

² იხ. გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფია, გეორგიკა, IV, ნაკვ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1952, გვ. 311.

³ კომენტარისათვის იხ. იქვე, გვ. 274, სქ. 4.

ამასთანავე ქართული წარწერის მეორე სტრიქონის პირველი ოთხი გრაფემა გადარეცხილია, აღდგენის, ქარაგმების გახსნისა, სიტყვათა დაშორიშორების გარეშე და განკვეთილობის ნიშნებით (როგორც ეს ტექსტშია) იგი ასე იკითხება:

† 𐏃𐏇.𐏈𐏉𐏇𐏈.𐏉𐏇𐏈𐏉.𐏇𐏈𐏉𐏇.𐏈𐏉𐏇𐏈.𐏉𐏇𐏈𐏉.𐏇𐏈𐏉𐏇
 --- 'ს'. ძ კ ჩ. წ ზ. რ. გ. ც. უ. ზ. მ. მ. რ. . . . ო. ნ. ც. ს. ა. დ. ც.
 † ესე ვითა ზ მომ ბ რ ძ ლ. ს წ რ ი ა
 - - - ს. ძ მ. ნ. ა ვ ე. ე. ც. ი ხ ე. ე. ს. ე. მ წ ვ. . . ლ თ ს ა დ თ ა

თანამედროვე ქართული დამწერლობით, ქარაგმების გახსნითა და სიტყვათა შორის ინტერვალის დაცვით წარწერა ასეთ სახეს მიიღებს:

† ესე ვითა ზ(ე)მო მ(ე)რძ(უ)ლ(ა)დ სწ(ე)რია,
 - - - ს ძ(ე)მ(ა)ნ ავ(ა)გ ე. ე. ციხე ესე შ(ე)წ(ე)ვ. . . .
 ლ(მრ)თ(ი)სა(ფ)თა.

ვცადოთ ახლა ბალატუნის ქართული წარწერის აღდგენა ბერძნული წარწერების მონაცემების გამოყენებით. ბატონი ალიკოს შენიშვნით ქვას მარცხენა მხარეს მნიშვნელოვანი ნაწილი აქვს ჩამოტეხილი, სადაც დაახლოებით თორმეტი ბერძნული გრაფემა დაეცეოდა. ქართული გრაფემები, რომ ბერძნულთან შედარებით ვიწროა, ამასთანავე მასში თითქმის ყველა სიტყვა დაქარაგმებულია, ერთი შეხედვითაც ცხადია. ისიც ცხადია, რომ დაახლოებით ოთხი გრაფემის ფარგლებში, ჩამოტეხილამდე, ქართული წარწერის მეორე სტრიქონის ნაწილი გადარეცხილია. ამიტომ მარცხნივ აღსადგენი, ჩემი აზრით, ოცამდე ქართული გრაფემა უნდა იყოს. ამიტომ მთლიანად ქართულ წარწერას ასე აღვადგენდი:

† ესე ვითა ზ(ე)მო მ(ე)რძ(უ)ლ(ა)დ სწ(ე)რია,
 [მე, პ(ა)ტრ(ი)კმ(ა)ნ სპ(ან)ტ(ა)ლ(უ)დ ტბ(ე)ლ(ი)]ს ძ(ე)-
 მ(ან, ავ(ა)გე 5 ესე ციხე შ(ე)წ(ე)ვ[ნითა] ლ(მრ)თ(ი)სა(ფ)თა.

Var. [მე, პ(ა)ტრ(ი)კმ(ა)ნ და ლ(ა)ო(დ)ი(კ)ს(ს) სტრ(ა)-
 ტე]გმ(ან, სპ(ან)ტ(ა)ლ(უ)დ ტბ(ე)ლ(ი)]. . .

სპანტალუდის ტიტულატურის მთლიანად აღდგენა ვერ ხერხდება, ვინაიდან ჩამოტეხილ ნაწილში არ არის ამისათვის საკმარისი ადგილი. ქართული წარწერა ბერ-

ძნულზე უფრო მოკლეა და ტიტულატურა შესაძლოა არც იყო (ან სრულად არ იყო) მასში შეტანილი.

ბერძნული წარწერისაგან განსხვავებით ქართული წარწერა აზუსტებს, რომ სპანტაღუდმა ბალატუნუსის კასტრონში ხუთი ციხე ააგო (აღადგინა). როგორც ჩანს, სპანტაღუდ ტბელის ძე აჭარბებს და ხუთ ციხეში ბალატუნუსის კასტრონის ხუთ ბურჯს გულისხმობს. მართლაც, ბალატუნუსი ხუთი ბურჯით (ციტადელი) იყო გამაგრებული. შესაძლოა, ერთერთი მათგანი არის სწორედ ის, სადაც 2008 წელს ორენოვანი წარწერა აღმოჩნდა (იხ. ფოტო 2).



როგორც ზემოთაც ითქვა, ბერძნული წარწერის **ΚΕ ΚΤΙΣΘΕΝ** ქართული წარწერის ანალოგიით, უმჯობესია ითარგმნოს “აგებულ იქნა”/“აშენებულ იქნა” შესიტყვებით. აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ ქართული ეპიგრაფიკა (არა მარტო ქართული) ტერმინ “აშენებას” არ ანსხვავებს “აღდგენისაგან” (რესტავრაცია).

როგორც ჩანს, ორენოვანი წარწერა შესრულებულია სპანტაღუდის დაკვეთით და ბერძნულ წარწერაში მოცემული თარიღი აღნიშნავს ციხეების აღდგენის თარიღს

(ამიტომ არ არის თვის ზუსტი რიცხვი დასახელებული) და არა კასტრონის აღებისა ნიკიტა კატეპანის მიერ (მაშინ ზუსტი თარიღი იქნებოდა).

როგორც წარწერიდან დავინახეთ, სპანტალუდი ატარებდა პატრიკიოსის ტიტულს და იყო ლაოდიკეის სტრატეგოსი. პატრიკიოსი (მომდინარეობს ლათ. *patricius*-ისგან) ბიზანტიის იმპერიის კარზე უმაღლესი რანგის ჩინია, რომელიც შემოიღო კონსტანტინე დიდმა როგორც საპატიო, ადმინისტრაციული ფუნქციის გარეშე. იუსტინიანე I-ის დროს ეს ტიტული შეექმლო მოეპოვებინა იმპერიის ყველა წარჩინებულს დამსახურების მიხედვით. VIII-X სს-ში პატრიკიოსის ტიტული ავტომატურად ენიჭებოდათ იმპერიის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რეგიონების განმგებლებსა და სარდლებს.⁴ სწორედ ასეთი იყო სტრატეგოსი, რომელიც აღნიშნავდა რომელიმე მნიშვნელოვანი რეგიონის სარდალს, ხოლო სანაპირო ზოლში – ადმირალსაც. XI ს-ისათვის სტრატეგოსი იყო თემის სამხედრო მმართველი, რომელიც ითავსებდა საფინანსო და იურიდიულ ადმინისტრაციას.⁵


ლაოდიკეა იყო საზღვაო პორტი ჩრდილო სირიაში და სირიის ყველაზე უფრო მდიდარი ქალაქი, რომელიც 968 წელს ფოკა კეისარმა დაიბრუნა არაბებისაგან. სპანტალუდი ატარებდა პატრიკიოსის ტიტულს და იყო ლაოდიკეის თემის განმგებელი და სარდალი (ადმირალი). მართალია, XI ს-ში პატრიკიოსობა აღარ იყო ისეთი მნიშვნელოვანი ჩინი, როგორც გვიან ანტიკურ ხანაში, მაგრამ სპანტალუდი მას ფლობდა სწორედ იმ წესებით და სიმაღლეზე, როგორც ეს მიღებული იყო უფრო ადრე.

ქართული წარწერა სპეციალური საჭრეთელი იარაღით აღჭურვილი პროფესიონალი ქვაზე მწერლის შესრულებულია. იგი, ცხადია, გამოცდილია წარწერების ამოკვეთაში, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მას საქართველოდან სპეციალურად ამისთვის ვერ ჩამოიყვანდნენ, სირიის ამ ნა-

⁴ The Oxford Dictionary of Byzantium. Prepared at Dumbarton Oaks, editor in chief Alexander P. Kazhdan, III, New York-Oxford, 1991, გვ. 1600.

⁵ იქვე, გვ. 1964.

წილში კი ეს წარწერა ქართველთა აქ ყოფნის პირველი დადასტურებაა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მწერალი ჩამოყვანილია ანტიოქიიდან და სპანტალუდსაც ანტიოქელი ქართველები კარგად იცნობდნენ.



P3-ის ანდერძი

1040 წ. კალიპოს მონასტერში (შავი მთა) იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრის პროხორესათვის გადაწერილი ხელნაწერის (ამჟამად პეტერბურგში ინახება ნომრით P3), კოლოფონში ვკითხულობთ:

“დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დასაბამითგან წელთა ხქკდ(1020)⁶ კვლითა ჩუენითა ცოდვილითა და შეიმოსა-ცა

⁶ დასაბამითგანში შეცდომა შენიშნა ჯერ კიდევ ა. ცაგარელმა და გაასწორა (ხქმდ?) ქორონიკონის მიხედვით. იხ. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, II, С.Петербург, 1889, გვ. 43-44. ცოტა მოგვიანებით იგივე შეცდომა დააფიქსირა თ. ჟორდანიამაც და სქოლიოში შეცვალა ისევე, როგორც ა. ცაგარელმა: ხქმდ. იხ. თ. ჟორდანი, ქრონიკები და სხვა მა-

ქუეყანასა ასურეთისასა ანტიოქისათა, სანახებთა წმიდისა სუმეონ საკურველთმოქმედისათა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა მონასტერსა ქართველთა კალიპოსს, მეფობასა ბერძენთა ზედა წმიდისა მეფისა მიხაილისსა, და აფხაზთა და ქართველთა ზედა ბაგრატ კურაპალატისასა, ადიდენ ღმერთმან მეფობად მათი ქორონიკონსა *სა (1040)*.

ქრისტე, ადიდე სულითა სულა ზოლავარი⁷ და შვილნი მათნი.

ღმერთო სახიერო, ადიდენ ორთავე ცხორებათა შინა სტეფანე და ვაჩე ერთობით.

უფალო ღმერთო, შეიწყალენ ძმანი ჩუენნი სანანო და ვაშად ძმითურთ და ძმისწულნი ჩუენნი გიორგი, თეოდორე და იოვანე.

ქრისტე, მფლობელო ყოველთა არსთაო, ადიდე ორთავე ცხორებათა *სპანდალუტ პატრიკო*⁸, ამენ.

საღა საქართველოს ისტორიისა, I, ტფილისი, 1892, ახალი გამოცემა თბილისი, 2004, გვ. 180, სქ. 10.

⁷ თ. ჟორდანიას სულა ზოლავარი სულა კალმახელი ჰგონია (იქვე, სქ. 12), მაგრამ ასეთ დაშვებას ქრონოლოგია უშლის ხელს. სპანტალუდის მიხედვით ჩანს, რომ მოსახსენებელი შავ მთასთან უშუალო კავშირში მყოფ პირებს ასახელებს, ხოლო სულა კალმახელი 40-იანი წლებში საქართველოში იმყოფება. ვ. ჯობაძე, როგორც ჩანს, თვლის, რომ სულა და ზოლავარი სხვადასხვა პირია (ცოლ-ქმარი) და მათ შორის სვამს მძიმეს, ალბათ იმიტომ, რომ “შვილნი მათნი” მრავლობითი რიცხვით არის გამოხატული. მაგრამ “ზოლავარი”, რა თქმა უნდა, “ზორავარია” (სარდალი – სულა სარდალი, შდრ. “ზორავარი აღმოსავლეთისაჲ გრიგოლ ბაკურიანის ძე”, ქართლის ცხოვრება, გვ. 301) და, რაც მთავარია, მხოლოდშია დასმული ზმნა “ადიდე”, ისევე როგორც სპანდალუტის შემთხვევაში. იქვე, სხვა შემთხვევებში, სადაც ორი ან მეტი პირია დასახელებული, ყველგან ზმნაც შესატყვის რიცხვით არის გამოხატული – “ადიდენ”.

⁸ ა. ცაგარელმა *სპანტალუდ* სწორად ვერ ამოიკითხა და მიიღო გაუგებარი *სიანდალუკ*. იხ. А. Цагарели, Сведения, გვ. 43.

უფალო ღმერთო სახიერო, შეიწყალებს სულითა სალამამს ძენი თეოდორე და კალოჟან”⁹.

რა თქმა უნდა, კოლოფონში მოხსენიებული სპანდალუტ პატრიკი არის იგივე ბალატუნუსის ბერძნული წარწერის სპანტალუდ ტბელის ძე. ვ. ჯობაძე, რომელმაც, ცხადია, არ იცის ბალატუნუსის წარწერის შესახებ, სპანდალუტს მონასტრის ძმობის წევრად მიიჩნევს.¹⁰ ანდერძის მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1040 წელს სპანდალუტ პატრიკოსი უკვე აღარ არის ლაოდიკეის სტრატეგოსი (ასეთი დაშვება არ არის სავალდებულო, მაგრამ მოსალოდნელია, რადგან სტრატეგოსების გაძლიერების შიშით მათ, როგორც წესი, მხოლოდ 3-4 წლით ნიშნავდნენ ხოლმე), მაგრამ ჯერ კიდევ გამოჩენილი საერო მოღვაწე რომ არის, ცხადია. ამაზე მიუთითებს მისი პატრიკოსად წოდება და მონასტრის ძმობის მიერ ქრისტესთვის შევედრება, ადიდოს იგი “ორთავე ცხორებათა შინა”. ვფიქრობ, ანდერძში კარგად არის გამოიჯნული ერთმანეთისგან საერო პირები და ბერები, ცოცხალნი თუ გარდაცვლილნი. საერონი: “ქრისტე, ადიდე სულითა სულა ზოლაგარი და შეილნი მათნი”; “ღმერთო სახიერო, ადიდენ ორთავე ცხორებათა შინა სტეფანე და ვაჩე ერთობით”; “ქრისტე, მფლობელო ყოველთა არსთაო, ადიდე ორთავე ცხორებათა სპანდალუტ პატრიკი, ამენ”; “უფალო ღმერთო სახიერო, შეიწყალებს სულითა სალამამს ძენი თეოდორე და კალოჟან”. ბერები: “უფალო ღმერთო, შეიწყალებს ძმანი ჩუენნი სანანო და ვაშად ძმითურთ და ძმისწულნი ჩუენნი გიორგი, თეოდორე და იოვანე”; უფალო ღმერთო სახიერო, შეიწყალებს სულითა სალამამს ძენი თეოდორე და კალოჟან”.

აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ ამ ხელნაწერის კოლოფონის ასომთავრულით ნაწერი საზედაო ასოები შესამჩნევად გავს ბალატუნუსის ქართულ წარწერის გრაფიკებს.

⁹ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, 180; Materials for the Study of Georgian Monasteries in the environs of Antioch on the Orontes by Wakhtang Z. Djobadze, Louven, 1976, p. 10.

¹⁰ იქვე, გვ. 109.

ტბელების საგვარეულო

ახლა უკვე შეგვიძლია გადავიდეთ სპანდალუტის მამის სახელზე «ტბელი».

X ს-ის მანძილზე ტბელები ორჯერ თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს საქართველოს ისტორიაში. ორჯერვე ისინი საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ გამოდიან. პირველად ისინი დაუპირისპირდნენ აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) მეფეს გიორგი II-ს (922-957) და მხარი დაუჭირეს მის განდგომილ ძეს კონსტანტინეს. გიორგიმ, “მატიანე ქართლისაჲს” ცნობით, ტბელები მკაცრად არ დასაჯა და სომხეთის პროვინციაში, ვასპურაკანში (ასპურაკანს) გაასახლა.¹¹

ამით ქართლში ტბელების ერისთავობა არ შეწყვეტილა. მეორედ ერთიანი საქართველოს პირველი მეფეს ბაგრატ III-ს (960-1014) დროს ქართლის ფეოდალებმა, ქვეთარ ტბელის მეთაურობით 982 წლის ახლოს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში, მაგრამ დამარცხდნენ სოფელ მოღრისთან.¹² წყაროდან არა ჩანს, რა ბედი ეწიათ თვითონ ტბელებს, მაგრამ მარცხის შედეგები რომ პირველ რიგში მათ შეეხებოდათ, ამში ეჭვი არ უნდა იყოს: “რომელნიმე დატოცნეს, რომელნიმე დაიპყრნეს და სხუანი მეოტნი გარდაიხუეწნეს და დაიფანჩნეს”.¹³

¹¹ “ტბელნი განუტევნა მშველობით ასფურაკანს” (ქართლის ცხოვრება, თბ. 2008, გვ. 263). ვფიქრობ, ძირითად ტექსტში უკეთესი იყო ამ გეოგრაფიული სახელის ანასეული ჩვენების (“ასპურაკანს”) ატანა.

¹² ქართლის ცხოვრება, გვ. 269. დათარიღებასთან დაკავშირებით იხ. ზაზა აღდექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბილისი, 1978, გვ. 54-56.

¹³ იქვე, 269.

ტბელი – ანთროპონიმი

მართალია “ტბელი” ქართლის ერისთავების საგვარეულო სახელია, მაგრამ ამავე საგვარეულოში იგი ანთროპონიმადაც გვხვდება. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ბორცვის ჯვრის წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ქავთარის ძე ტბელი და ტბელის ოთხი ძე (ამ წარწერის შესახებ ქვემოთ ცალკე იქნება საუბარი); ცხრაკარის წარწერა: “ქრისტე, აღიდე ოქროპირი ძე ტბელისად”; იქვე: “ქრისტე, განუსვენე სულსა ტბელისასა”¹⁴. ხობის მონასტრის კუთვნილ ჭედურ ხატზე (XI ს.) მოთავსებულია წარწერა ტბელ გრიგოლის ძის, რომელსაც ხატი შეუწირავს მრავალ გამარჯვებათა სანაცვლოდ¹⁵.

ტბელი, როგორც საგვარეულო და საკუთარი სახელი დაახლოებით ამავე ხანებში გავრცელდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც¹⁶, ვინაიდან აქაც მდებარეობდა სოფელი ტბეთი და ტბეთის მონასტერი, შემდეგში საეპისკოპოსო (მტბევარი) რეზიდენცია. ამ სახელის მატარებელთა ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია ტბელ აბუსერის ძე.¹⁷

¹⁴ ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი, სოფელ დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერა, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX-A და XXI-B, თბილისი, 1957, გვ. 96-98; ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1980, გვ. 178-183.

¹⁵ ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი, II ტფ., 1914, გვ. 145-146.

¹⁶ თევდორე ტბელის ძე, ივანე ტბელის ძე. იხ. ტბეთის სულთა მატინანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბილისი, 1977, გვ. 92, N245; გვ. 88, N225.

¹⁷ იხ. აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ, ბათუმი, 1998, გვ. 86-87 (აქვე იხ. საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა); ვ. სილოგავა, ტბეთის ეპარქია, რელიგიის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2010, გვ. 92.

როგორც ჩანს, ქართლის ტბელებს პატრიკოსის ტიტულიც ჰქონდათ¹⁸ ჯერ კიდევ საქართველოში, შესაძლოა, მთელი X საუკუნის მანძილზე. ამ ტიტულით ბორცვისჯვრის წარწერებში (X ს-ის ბოლო) გვხვდება ტბელი, ძე ქავთარისა;¹⁹

¹⁸ ვინაიდან ტბელი საკუთარ სახელად ეერ წარმოუდგენია (მაგალითად, “ტბელი პატრიკი” შდრ. “ადარნასე პატრიკი”), ნ. შოშიაშვილი “პატრიკს” საკუთარ სახელად მიიხსენებს და კომპრომისულ დასკვნას აკეთებს: “საყურადღებოა სახელი – პატრიკის დამოწმება ტბელებში. ეს სახელი შესაძლოა იმის მაჩვენებელი იყოს, რომ ტბელებს IX ან X სს-ში ჰქონდათ ბიზანტიური ტიტული “პატრიკი” (VII ს-ში გამოითქმოდა “პატრიკოსი”), რაც შემდეგ საკუთარ სახელად იქცა ამ საგვარეულოში” (ლაპიდარული წარწერები, გვ. 60). თუ “ტბელებს ქართლის ერისთავობა ჰქონდათ მხოლოდ X ს-ის დასაწყისში” (ლაპიდარული წარწერები, გვ. 59), მაშინ მათ IX ს-ში ვერ ექნებოდათ პატრიკოსის (პატრიკის) ტიტული, რადგან მის მიღებას აუცილებლად ერისთავობა სჭირდებოდა. ტბელების პატრიკოსობას დასაშვებად მიიხსენებს მ. ლორთქიფანიძე. იხ. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბილისი, 1963, გვ. 254.

¹⁹ აღნიშნულ შემთხვევებში ნ. შოშიაშვილი და ვ. ცისკარიშვილი “ტბელს” მიიხსენებენ მხოლოდ ფეოდალური სახლის უფროსის სახელწოდებად და არა საკუთარ სახელად (იხ. სოფელ დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის წარწერა, გვ. 94). მაგრამ გაუგებარია წარწერაში პიროვნების მოხსენიება საკუთარი სახელის გარეშე. მაგალითად, წინადადება “ტბელის ძე ქავთარ” მათი აზრით მიუთითებს, რომ ქავთარი ტბელის (ფეოდალური სახლის უფროსის) ძეა მისი სახელის მოხსენიების გარეშე და თვითონ არ შეიძლება იყოს ტბელი. იმავე წარწერას კიდევ უფრო უცნაურ განმარტებას ურთავს რ. მეფისაშვილი: “წარწერაში მოხსენიებულია ქავთარი ძე ტბელისა, მაშინ სახელი არ ახლავს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ტბელი თავისი დროის იმდენად გამომჩენილი პირი იყო, რომ მისი სახელის აღნიშვნა ზედმეტად მიიჩნეეს”. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია წარწერაში დასახელებული იყოს “ფეოდალური სახლის მეთაური” ან “გამომჩენილი პირი” საკუთარი სახელის გარეშე. წარწერები ღმრთისა და მომავლისათვის კეთდებოდა და არა თანამედროვეთათვის. ხომ გვაქვს სხვა შემთხვევებში “ივანე ერისთავმან ტბელმან ადაშენა ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ სალოცვე-

ამავე ეკლესიის წარწერებს შორის ყურადღებას იქცევს ორი ერთმანეთის მომდევნო წარწერა, რომელთაც ვ. თოფურია ერთ წარწერად მიიჩნევს. ერთში მოხსენიებულია პატრიკოსი ტბელი როგორც გარდაცვლილი და მისი მეუღლე(?) ეპრაქსი²⁰ (ბერძნული წარმოშობის სახელი “ეპრაქსი” დღევანდელ საქართველოშიც გვხვდება), ხოლო მეორეში – მათი ოთხი ვაჟიშვილი: ოქროპირი, სპდღ, დავით, ქავთარ. მართალია, ეს წარწერა 1924 წლიდან რამდენჯერმე არის გამოცემული, მაგრამ სპეციალისტებმა ტბელის მეორე შვილის დაქარაგმებული

ლად მისთვის და ხუთთა ძეთა მისთა” და ა.შ. ქვემოთ ვნახავთ დოკუმენტურ დადასტურებასაც იმისა, რომ ივანე ტბელის შვილები ასევე ტბელები იყვნენ. საგვარეულო სახელი ტბელი რომ ოჯახის ყველა მამაკაც წევრს აღნიშნავდა და არა მხოლოდ გვარის უფროსს, ამაზე მიუთითებს ერედვის წარწერა: “ადეშენა წმიდაჲ ეკლესიად ესე ყოველთა ტბელთა ბრძანებითა” (ლაპიდარული წარწერები, გვ. 173). შემდეგში ნ. შოშიაშვილმა შეიცვალა შეხედულება და ტბელი საკუთარ სახელადაც მიიჩნია. მართალია, მას ამის შესახებ არ უმსჯელია, მაგრამ პირთა საძიებელში კი გაიტანა: “ტბელი (სახელი)” (იხ. ლაპიდარული წარწერები, გვ. 329).

²⁰ წარწერა დაკარგულია და მხოლოდ მ. ბროსეს (დიდი შეცდომებით) და ვ. თოფურიას (1924 წელს) კითხვის ნიშნის ქვეშ ამოკითხვით არის შემორჩენილი (იხ. ვ. თოფურია, შიდა ქართლში დაცულ ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, საისტორიო მონაბე, II, თფილისი, 1924, გვ. 133): “ქრისტე განუსვენე სულსა ტბელისასა ეპრაქსის დსა მსსა”. შოშიაშვილი ასწორებს ვ. თოფურიას წაკითხვას: “ქრისტე, განუსვენე სულსა ტბელისა პატრიკოს, დღესა მას”. (ლაპიდარული წარწერები, გვ. 182). ნ. შოშიაშვილის წაკითხვა დამაჯერებელია, მაგრამ მას, როგორც ჩანს შემთხვევით, გამორჩა სახელი “ეპრაქსი”. რადგან ამოკითხვაში არ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, უფრო ბუნებრივი იქნება, ეპრაქსი ტბელის მეუღლედ მივიჩნიოთ. ამის საფუძველს გვაძლევს იქვე, მეორე წარწერაში ჩამოთვლილი პირების მოხსენიება როგორც “შვილნი მათნი” (აღბათ ტბელისა და ეპრაქსის). ვ. თოფურია ცნობით, ეს წარწერები ერთდროული და ერთი ადამიანის მიერ იყო შესრულებული.

“სპდღ”-ის გახსნა ვერ შესძლეს.²¹ დღეს ჩვენთვის უკვე ნათელია, რომ ეს არის ტბელის ძე სპ(ან)დ(ა)ლ(უ)დ-ი, სწორედ ის, სპ(ან)დ(ა)ლ(უ)დ-ი < სპანტალუდ-ი > სპანდალუტ (დ < ტ-ს ერთმანეთთან ასიმილაციის ან დისიმილაციის მიხედვით), რომელმაც ბალატუნუსის ბურჯები აღადგენინა და ორენოვანი წარწერები გააკეთებინა.

ერთდროულად ამ სახელისა და მამის სახელის მატარებელი სხვა პირი, რამდენადაც მე ვიცი, არ არის დადასტურებული. ამიტომ ბორცვის ჯვრისა და ბალატუნუსის წარწერის პროტაგონისტები ერთი და იმავე პირად უნდა ჩავთვალოთ.

შიდა ქართლის წარწერების მიხედვით სპანდალუდის მამა ტბელი პატრიკოსია და მისი მამის სახელია ქავთარ. როგორც ჩანს, იგი 982 წლის ახლოს თავის მამასთან ერთად იბრძოდა ბაგრატ მესამის წინააღმდეგ და, შესაძლოა, ამ ბრძოლაში დაიღუპა ან სიკვდილით დასაჯეს. ერედვის წარწერების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ტბელის შვილები X ს-ის ბოლო ოცეულის დასწყისში ჯერ კიდევ არასრულწლოვანები ან ბავშვები იქნებოდნენ და ამან გადაარჩინათ.

ამრიგად, ტბელების ამ შტოს გენეალოგიური ხე ასეთია:

ქავთარ-ი

I

ტბელ-ი – ეპრაქს-ი(?)

I

ოქროპირ-ი, სპანდალუდ-ი, დავით-ი, ქავთარ-ი

სპანდალუდი – ტბელების საგვარეულო სახელი

წარწერები ტბელების საგვარეულოში უეჭველად ადასტურებენ შემდეგ სახელებს: ივანე, ტბელი, სპანდალუდ, ქავთარ, ოქროპირ, დავით, (სხვებს, რომელთა შესახებ პირდაპირი მითითება არ არის, მაგრამ შეიძლება ვარაუდი, მე არ შევხვები). თეორიულად მოსალოდნელია

²¹ ნ. შოშიაშვილი და ვ. ცისკარიშვილი მას კითხვის ნიშნის ქვეშ კითხულობენ როგორც “სპოდღ”.

საგვარეულოში სახელები მეორდებოდეს. ვნახოთ, როგორ არის საქმე ამ მხრივ საკმაოდ უჩვეულო სახელის “სპანდალუდ”-ის მიმართ.

კლდეისას წარწერა

2010 წელს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ბალატუნუსის ბილინგვის შესახებ წაკითხული მოხსენების შემდეგ ჩემთან მოვიდა ხელოვნებათმცოდნე გიორგი გაგოშიძე და გადმომცა კლდეისას წარწერის ფოტო, რომელიც 2009 წლის 15 მაისს გადაუღია რეუსორ გელა ქოქიაშვილს (მადლობას მოვახსენებ მათ ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის მოწოდებისთვის).

კლდეისას ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი მდებარეობს თრიალეთში, ხრამის ხეობაში, კლდეისას წყლის ნაპირას.²² სამხრეთი კარის თავზე, თაღსა და ბალაგრის ქვაზე განთავსებულია სამი წარწერა.



²² Е. Такайшвили, Археологические экскурсии, вып. 4, Тифлис, 1913, с. 116.

კარის თადის წარწერა (მარჯვენა მხარეს დაკარგულია წარწერის დაახლოებით ორი მესამედი):

ჩ¹ ო¹ ა¹ნ¹ - - - (ქ¹ შ¹ ე¹ ვ¹ნ¹ - - -); †(ა¹ნ¹ე¹)¹
ყ(ა¹ნ¹ე¹ც¹)¹ ა¹ნ(ა¹)¹ნ¹ - - - (ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ევ(ა)ნე - - -).

სამხრეთი კარის კარგად მოხუჭურთმებული არქიტურავი (ბალავარის ქვა) გაყოფილია ჯვრით ორ ნაწილად. ორივე მხარეს განთავსებულია წარწერა.

მარცხენა მხარეს სამ სტრიქონად ამოკვეთილია:

1. ჩ¹ ო¹ ა¹ნ¹ 2. ს¹ნ¹ნ¹ 3. ო¹ვ¹ (1. ქ¹ე¹შ¹ 2. ს¹პ¹ნ¹დ¹ 3. დ);

1. †(ა¹ნ¹ე¹)¹ ყ(ა¹ნ¹ე¹ც¹)¹ 2. ყ¹ნ(ა¹)¹ნ¹ 3. ო¹ვ¹ (1. ქ(რისტ)ე, 2. შ(ეიწყალ)ე 3. ს¹პ(ა)ნ¹დ(ა)დ 4. უდ).

მარჯვენა მხარეს ოთხ სტრიქონად ამოკვეთილია:

1. ჩ¹ ო¹ ა¹ნ¹ 2. ჩ¹ნ¹ა¹ 3. ე¹ნ¹ 4. ა¹ნ¹ (1. ქ¹ე¹შ¹ 2. ქ¹ნ¹ 3. ტ¹ბ¹ლ 4. ნი); 1. †(ა¹ნ¹ე¹)¹ ყ(ა¹ნ¹ე¹ც¹)¹ 2. ო(ა¹)¹ნ¹ 3. ე¹ნ¹ 4. ა¹ნ¹ (1. ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე 2. ქ(ავთ)არ 3. ტ(ბ)ელ 4. ნი).

წარწერა ე. თაყაიშვილს, სამწუხაროდ, გამოქვეყნებული აქვს ფოტოს გარეშე. ასომთავრულით იგი სწორად გადმოსცემს მას, მაგრამ კითხულობს შეცდომით: “სპ(ა)ნდ(ა)ლუდ” ე. თაყაიშვილს წაკითხული აქვს როგორც “სპირიდონ დალუდი”. ამ შეცდომის წყაროა ერთი მხრივ მისთვის სრულიად უცნობი სახელი და მეორე მხრივ ერთი სახელის ორი დაქარაგმებით გადმოცემა (წარმოიდგინა როგორც სახელი და წოდება ან გვარი), თუმცა ასევე ორი დაქარაგმება აქვს “ქავთარსაც”, მაგრამ ეს სახელი მისთვის კარგად იყო ნაცნობი. გარდა ამისა, ე. თაყაიშვილს უკვირს, რატომ არის “ქავთარ ტბელნი” მრავლობითში და თარგმანში წერს მხოლობითს (“ტბელი”) კითხვის ნიშნით. ცხადია, მას “სპირიდონ დალუდი” და “ქავთარ ტბელი” ერთი გვარისად ვერ წარმოუდგენია, რადგან “სპირიდონს”, მისი აზრით, თავისი “დალუდი” აქვს გვარად.²³

ჩემთვის ცხადია, რომ ბალავარის წარწერა ეკუთვნის ძმებს სპანდალუდ და ქავთარ ტბელებს და იგი ასე უნდა იქნას წაკითხული:

²³ იქვე გვ. 118.

ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე სპ(ა)ნდ(ა)ლუდ; ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე ქ(ა)ვთ(ა)რ – ტბელნი.²⁴

ვფიქრობ, ცხადი უნდა იყოს ისიც, რომ სამხრეთის კარის წარწერები ქმნიან ერთ ჯგუფს და ეკუთვნიან ერთ ოჯახს. დიდია ალბათობა, რომ ივანე არის მამა (მთავარი წარწერა), ხოლო სპანდალუდი და ქავთარი მისი შვილები. მათი საერთო საგვარეულო სახელია ტბელი (“ტბელნი”). ივანე [ტბელის] წარწერა ამოკვეთილია სატრიუმფო თაღზე მეტი კალიგრაფიული დახვეწილობით და, ცხადია, ის უნდა იყოს ეკლესიის ამჟინებელი. დაკარგულ ნაწილში მოსალოდნელია, რომ ეწერებოდა მისი საგვარეულო სახელი და ტიტულატურა. პალეოგრაფიულად ეს წარწერები X ს-ის მეორე ნახევარზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

ერედვისა და დოდოთის ეკლესიების წარწერებში ორჯერ გვხვდება ივანე ტბელის სახელი: ერედვში ის მოხსენებულია როგორც “ქართლის უფალი”, ხოლო დოდოთის წარწერაში როგორც ერისთავი. ნ. შოშიაშვილი მათ ერთსა და იმავე პირად მიიხნევს და ორივე წარწერას ათარიღებს 914 წლის ახლო ხანებით, ხოლო რ. მეფისაშვილის აზრით დოდოთის წარწერა X-XI სს. მიჯნით უნდა დათარიღდეს. ჩემი აზრით, იმდენად განსხვავებულია ეს ორი წარწერა პალეოგრაფიულად, რომ ერთ პერიოდში დაწერილი არ უნდა იყოს. მეორე (დოდოთის) ივანეს წარწერა აშკარად უფრო გვიანდელია, ვიდრე პირველი. ზუსტად თარიღის განსაზღვრა პალეოგრაფიულად ძნელია, მაგრამ რადგან ტბელების წარწერები X ს-ის 80 წლებზე გვიანი არ შეიძლება იყოს, მის თარიღის ზედა ზღვარიც ასევე უნდა განისაზღვროს: X ს-ის II ნახევარი 80-იან წლებამდე.

კლდეისის წარწერის ივანე ერისთავს ან ერისთავთა ერისთავს მე ვაიგივებ დოდოთის წარწერის ივანე ერისთავთან: “სახელითა ღმრთისაჲთა, ივანე ტბელმან ერისთავმან აღაშენა ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ სალოცველად მისთვის და ხუთთა ძეთათვის.”²⁵

²⁴ ლაპიდარული წარწერები, გვ. 170-171.

²⁵ იქვე, გვ. 176. ერისთავთ-ერისთავის სახელო IX ს-დან ჩანს ქართულ წყაროებში. თავდაპირველად ერისთავსა და ერის-

ე. თაყაიშვილს იქვე ეკლესიასთან უნახავს ქვების გროვა, რომელთა შორისაც მისი ვარაუდით წარწერიანიებიც იქნებოდა. სამწუხაროდ, მას ქვების გროვის გაშლა და დათვალიერება ვერ მოუხერხებია (მოსალოდნელია, რომ სამხრეთის კარის წარწერის ნაწილის მოძებნაც შესაძლებელი იქნებოდა), მაგრამ, რისი (ეკლესიის გარშემო მიმოფანტული ქვები) ნახვა და წაკითხვაც შესძლო, ძალიან მნიშვნელოვანია. აი ერთი მათგანიც, რომელმაც ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო:

1. † სქ[უზიღც] ოწღც ჰულღც წსც იპყღღც წი

2. ზცყინი უს- - უზუნა - - [უზიღ] უწინი [უწინ]

1. † სს[ელითა] ღათა მებთა წსა ღმწმთ აღ

2. ვაშენე ესე - - ეკლესი - - [გლეთ] ივწნე [ე]ქმან

ქარაგმების გახსნით წარწერა შემდეგ სახეს მიიღებს:

† სქ[უზიღც] ოწღც ჰულღც წსც იპყღღც წი

2. ზცყინი - - უზუნა - - [უზიღ] უწინი [უწინ]

1. † ს(ა)ს[ელითა] ღ(მრთის)ა(ღ)თა, მე(ოხე)ბ(ი)თა

წ(მიდი)სა ღმ(რთი)შ(ო)ბლ(ისაღ)თა აღ

2. ვაშენე ესე - - ეკლეს(ია)ღ - - [გლეთ] ივ(ა)ნე

[ე(რისთავთ)ე(რისთავ)ქმან

ძალიან ძნელია მსჯელობა წარწერაზე, რომლის არც ფოტოა გამოქვეყნებული, არც მონახაზი, არც პალეოგრაფიული აღწერილობა და არც მიახლოებითი დათარიღება. მიუხედავად ამისა, სამხრეთი კარის თაღის წარწერის ივანე და ეკლესიის საამშენებლო წარწერის ივანე ერისთავი (ე. თაყაიშვილის აღდგენით – ერისთავთ-ერისთავი) მე ერთი და იგივე მგონია.

თავთ-ერისთავს შორის არსებითი განსხვავება არ იყო, ამიტომ ერთი და იგივე პირები ერთსა და იმავე კონტექსტში ხან ერისთავებდ იხსენიებოდნენ, ხან კი ერისთავთ-ერისთავებად. იხ. კ. კეკელიძე, “მთავართა” და “ერისთავთა” დადგინების წესი ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1955, გვ.1158-159.

წორბისის წარწერა

1980 წლის შემოდგომაზე შიდა ქართლში, ტბელების სამფლობელოში აღმოჩნდა წარწერიანი (ასომთავრული) ქვა წორბისის ეკლესიიდან. პირველად იგი ამოიკითხა და გამოაქვეყნა (1981 წელს) ი. მეგრელიძემ.²⁶ სამწუხაროდ, ქრონიკონის ამოკითხვაში მან შეცდომა დაუშვა და წარწერა 880 წლით დაათარიდა. იმავე 1981 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის რუსულად გამოქვეყნებულ ანგარიშში იგივე წარწერა ახლად წაიკითხა და თარიღიც სამართლიანად გაასწორა (960 წ.) ო. ტყეშელაშვილმა.²⁷ ფოტოსთან შედარების შემდეგ ტექსტმა საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:

“სახელ(ო)თა ღმრთის(ა)თა, ესე კ(ო)ნქი შ(ე)ქმნა ივ(ან)ე ერ(ო)სთ(ა)ვმ(ა)ნ ს(ალოც)ვ(ელ)ად მ(ა)თა ქრ(ო)ნ(ი)კ(ო)ნსა რჳ ს(ა)ბაის მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლ(ი)ს(ო)ბ(ა)სა”.

როგორც ი. მეგრელიძემ, ისე ო. ტყეშელაშვილმა წორბისის წარწერის ივანე ერისთავი ივანე ტბელ ერისთავთან გააიგივეს, მაგრამ თარიღი რომ სხვადასხვა ჰქონდათ, იდენტიფიკაციაც სხვადასხვა ივანესთან გააკეთეს. ჩემი აზრით, დოდოთის, კლდეისას და წორბისის წარწერის ივანე ერისთავები (ერისთავთ-ერისთავები) ერთი და იგივე პიროვნებაა და მათი ქართლის (არა მხოლოდ შიდა ქართლის) ერისთავობის მიახლოებითი დათარიღებისათვის უკვე საყრდენიც მოგვეპოვება: ეს არის 960 წლის ახლო პერიოდი. თუ ასეა მაშინ, ჩვენ შეგვიძლია ტბელების გენეალოგიური ხისთვის კიდევ ორი თაობის შემატება:

²⁶ კომუნისტი, 1981, 14 ივნისი.

²⁷ ო. Ткешелашвили, Предварительный отчет о работе цорбисской экспедиции, Полевые археологические исследования в 1981 подуб Ебилисиб 1984, გვ. 71. არცერთ ამ შეხედულებას არ იზიარებს ჯ. გვასალია “ქრონოლოგიურ შეუსაბამობის» გამო. ვფიქრობ, რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, რადგან დოდოთის წარწერას იგი, რატომღაც, XI ს-ით იხსენიებს (იხ. Джондо Гвасалиа, Историческая география Восточной Грузии, Тбилиси, 1991, გვ. 65.

როგორც ჩანს, ტბელების “ქართლს შინა უფლობა” გაცილებით მეტის მოქმედი იყო, ვიდრე დღეს ჩვენ წარმოგვიდგენია და არც მათი ერისთავობა გრძელდებოდა სულ რაღაც ოცი წელი²⁸. ტბელები ეკლესიას აშენებენ შიდა ქართლშიც და ქვემო ქართლშიც (სამშვილდის რეგიონში), ხოლო ივანე ტბელი ქართლის ერისთავთ-ერისთავის ტიტულსაც ატარებს. მართალია, “ქართლის ცხოვრების” ცნობებით აფხაზთა მეფეები პერიოდულად მათ შეცვლას ცდილობენ, მაგრამ, ჩანს, ტბელები თავის უფლებებს მთელი X ს-ის მანძილზე არა თმობენ და მათი მეთაურობით ქართლის წარჩინებულთა ბრძოლაც ქვეყნის გასაერთიანებლად მებრძოლი აფხაზთა მეფეების წინააღმდეგ, ამის ნიშანია. შემთხვევითი არ არის, რომ კლდეკარის ერისთავების აღზევება მოღრისი ბრძოლის შემდეგ, ტბელების მიერ ქართლის ერისთავობის დაკარგვის შემდეგ იწყება.

“რომელნიმე დაკოცნეს, რომელნიმე დაიპყრნეს და სხუანი მეოტნი გარდაიხუეწნეს და დაიფანჩნეს”

ივანე ტბელს ხუთი ვაჟიშვილი ჰყავდა. ამთგან ჩვენ უკვე ვიცნობთ სპანდალუდსასა და ქავთარს. რადგან ქავთარის ძე ტბელი მისი შვილიშვილია, მე ვუშვებ შესაძლებლობას, რომ ივანეს მესამე ვაჟიც ტბელის სახელს ატარებდა. ბაგრატ III-სთან ბრძოლაში ქართლის დიდებულებს სათავეში უდგას ქავთარ ტბელი. ეჭვი არ უნდა იყოს, რომ მას მხარში ამოუდგებოდნენ ძმა სპანტალუდ და ვაჟი ტბელიც. თქმა არ უნდა, მისი სულ ცოტა კიდევ ერთი ძმა, მოსალოდნელია სახელად ტბელი, აგრეთვე მონაწილეობდა ბრძოლებში.

ზემოთაც დაეწერე, რომ ბაგრატ მესამესთან ბრძოლაში მის მოწინააღმდეგეთაგან ზოგი რომ დაიღუპა, ზოგი ტყვედ ჩავარდა, ხოლო ზოგი გადაიხვეწა და გაიფანტა

²⁸ შდრ. ლაპიდარული წარწერები, გვ. 59. ტბელების საგვარეულოს მნიშვნელობის შესახებ იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 252-257.

სხვადასხვა მხარეს, ცხადია პირველ რიგში ტბელებს უნდა ეხებოდეს. სხვების შესახებ ზუსტად ჯერ არაფერი ვიცით, მაგრამ ქავთარის ძე ტბელი რომ გარდაცვლილია (აღბათ დაღუპული), ვიცით ბორცვისჯვრის წარწერიდან. ისიც კარგად ვიცით ბალატუნუსის წარწერიდან, რომ სპანტაღუდ ტბელის ძე 1031 წელს ბიზანტიის იმპერიის დიდი მოხელეა, ლაოდიკეის სტრატეგოსი. დაახლოებით 982 წლიდან 1031 წლამდე გასულია 49 წელი, ხოლო 1040 წლამდე – 58. გასაგებია, რომ მოღრისის ბრძოლის დროს სპანტაღუდი და მისი ძმები მცირეწლოვანები იქნებოდნენ. მაგრამ ქართლში მათ მაინც არ დატოვებდნენ, ასაკში შესულებს თავისი საგვარეულო უფლებებისთვის ბრძოლა რომ არ დაეწყოთ.

სპანდაღუდ ტბელი ბიზანტიაში

სპანდაღუდი არ უნდა იყოს საქართველოდან დიდი ხნის, ჯერ კიდევ ბავშვობაში წასული. მისთვის ქართულ ენაზე წარწერის გაკეთება, მიუხედავად იმისა, ეყოლებოდა თუ არა მას მკითხველი, ჯერ კიდევ დიდად მნიშვნელოვანია. მაშ, სად არის იგი მოწიფულობამდე?

სუშბატ დავითის ძე გვამცნობს:

“გარდაცვალა გიორგი (გიორგი I), მამაჲ ამის ბაგრატისი (ბაგრატ IV), თრიალეთს . . . ქორონიკონსა ს^მზ (1027), თუესა აგუსტოსა ი^ე (15) . . . და დაჯდა შემდგომად მისსა მეფედ ძე მისი ბაგრატ ცხრისა წლისაჲ. ხოლო აზნაურნი ტაოელნი წარვიდეს საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის-ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და ამათ თანა უმრავლესნი აზნაურნი ტაოელსა[ანი], რომელნიმე ციხოვანნი და რომელნიმე უციხონი. განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კოსტანტინეს, მმასა ბასილი ბერძენთა მეფისასა, რომელი შემდგომად მისსა მეფე იყო”.²⁹

ამავე მოვლენების თვითმხილველი სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტელი (XI ს.) მოგვითხრობს:

²⁹ ქართლის ცხოვრება, გვ. 374; ამ ამბავს დაახლოებით ასევე ევება მატიანე ქართლისაჲ, იქვე, 278.

“1027 წელს მეფემ (ბიზანტიის კეისარმა რომანოს მე-სამემ – ზ.ა.) აღმოსავლეთ მხარეში გამოგზავნა მმართველად საჭურისი ვინმე ნიკიტ[ა], რომელიც მოვიდა საქართველოში და მაცდური სიტყვებით ქვეყნის ბევრი აზნაური გამოიყვანა სამშობლოდან და მეფის კარზე გაგზავნა. ეს რომ [კეისარმა] იხილა, განიხარა, პატივი სცა მათ დიდი ძღვენითა და *სახელისუფლებო ჩინით*, თვითეულ მათგანს უბოძა მათი ღირსებისამებრ სოფლები და დაბები ხელწერილითა და ბეჭდით სამარადისო სამემკვიდრეოდ”.³⁰

მატიანე ქართლისაჲ³¹ და სუმბატ დავითის ძე³² არ ასახელებენ ბიზანტიის კეისრის მიერ აღმოსავლეთის მმართველად დაყენებული ნიკიტას (Νικίτας) სახელს და მოიხსენიებენ მას თანამდებობით – კატაბანი (ბერძნ. Κατεράνω კატეპანო) აღმოსავლეთისა ანუ იბერიის თემისა, ისევე როგორც მის შემდეგ გამოგზავნილ სიმონს³³ მხოლოდ პარკიმანოზის (παρακοιμῆνος პარაკიმენოს, ქართ. “მესაწოლეთ-უხუცესი”³⁴) ტიტულით მოიხსენიებენ.

დიდია აღბათობა, რომ საჭურის ნიკიტა კატეპანის მიერ გადაბირებულ ქართველ წარჩინებულთა შორის იყო ტაოში გადახვეწილი სპანტაღუდ ტბელის ძეც.

როგორც ჩანს, ამავე რიგის მოვლენას ასახავს მეორე სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის (XII ს.) ცნობა: რომანოს III-ის აღეპოზე ღაშქრობაში (1030) მონაწილეობს “ვინმე მთავარი აპუქაპ (ბიზანტ. წყაროებში “აპოკა-

³⁰ Պատմութիւն Արիստակիսի Լաստիվետցոյ, Աշխատասիրությամբ Կ. Ն. Յուլբաշյանի, Երևան, 1963, გვ. 41. ციტირებულია გამოცემიდან: არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ე. ცაგარეი-შვილმა, თბილისი, 1974, გვ. 24. ჩემს მიერ მოტანილ ტექტში მცირეოდენი, არაარსებითი ცვლილებაა შეტანილი.

³¹ ქართლის ცხოვრება, გვ. 277.

³² იქვე, გვ. 373.

³³ იქვე, გვ. 278-279.

³⁴ გარიგება ჰელმწიფის კარისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლოძემ, თბილისი, 1965, გვ. 81, 83-84, 91, 95-96.

პეს”, არაბ. აბუ ხაფ), რომელიც წინათ ქართველთა მეფის დავით კურაპალატის “მესაწოლეთ-უხუცესი” (სომხ. *Վրասապահ* ვრანაპაპი, ბერძნ. *παρακλιεΰνος* პარაკლიმენოს, ქართულ წყაროებში “პარკიმანოზ“-ი³⁵) იყო. მომდევნო წელს ბიზანტიის კეისარი რომანოსი ედესას იღებს და მას აძლევს ედესის დუქსის თანამდებობას.³⁶

³⁵ ქართლი ცხოვრება, გვ. 374. “პარაკლიმენოს“-ი ბიზანტიაში, განსაკუთრებით X-XI სს-ში ძალიან მაღალი თანამდებობა იყო. ცხადია, ასევე იქნებოდა დავით კურაპალატის სამეფოშიც, რისი მოწმობაცაა აპუქაპის ასე დაწინაურება კეისრის კარზე. ამიტომ მისი თანამდებობის შესატყვისად არ ვიყენებთ ისეთ ქართულ ტერმინებს, როგორც არის, მაგალითად, “საწოლის მეკრე” ან “საწოლის დარაჯა” (გარიგება ჰელმწიფის კარისა, გვ. 85), თუმცა სომხურ “ვრანაპაპს” ესენი უფრო შეესატყვისებოდა. ამ ტერმინებთან დაკავშირებით იხ. ილია ანთელავა, სა-ქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა (XI-XIII სს.), თბილისი, 1983, გვ. 32-35.

³⁶ Մաթևոս Ուրխաճեցի, Ժամանակագրութիւն, Վաղարշապատ, გვ. 57. მიხედვად იმისა, რომ აპუქაპი *ქართველთა მეფის* დავით კურაპალატის კარის მოხელე იყო, პ. აჭარიანმა იგი და მისი შვილი ვასილი თავის ლექსიკონში შეიტანა როგორც სომეხი მოღვაწე. იხ. Հր. Աճարյան, Հայոց անձնանունների բառարան, Երեւան, I, 1942, გვ. 202; V, 1962, გვ. 276; ა. კაუდანი თვლიდა, რომ აპოქაპების ქართული ან სომხური წარმოშობის უეჭველად დასაბუთება შეუძლებელია და მათ (ისევე როგორც “თორნიკიანებსა” და “ბაკურიანებს”) სომხურ-ქართულ საგვარეულოებს უწოდებს (იხ. А. П. Каждан, Армяне в составе господствующего класса Византийской империи в XI-XII вв, Ереван, 1975, გვ. 67-71. აპოქაპების სომხური წარმოშობის ყველაზე აქტიური დამცველია ვ. არუთიუნოვა-ფიდანია (იხ. В.А. Арутюнова, Византийские правители Эдессы в XI в., Византийский временный временник, 35, 1975, გვ. 141-1524; В.А. Арутюнова-Фидания, Армяно-византийская контактная зона (X-XI вв.), Москва. 1994. გვ. 84, 85). თავდაპირველად აპუქარპის შესახებ მეცნიერულად სწორი და ობიექტური პოზიცია დაიკავა ჟ. დედეიანმა: “ქართველი ან სომეხი ქალკედონიტი”. იხ. Gérard Dédéyan, Les princes arméniens de l’Euphratèse et l’Empire Byzantin (fin XI-milieu XII s.),

ვნახოთ ახლა, რა დამთხვევები გვაქვს მოვლენებსა და პიროვნებებს შორის 1027 წელს საქართველოდან (გაოლან) საჭურის ნიკიტა კატეპანის ბიზანტიაში დაბრუნებისა და თან ქართველი წარჩინებულების გაყოლების გათვალისწინებით.

1. საქართველოდან დაბრუნებული პატრიკიოსი ნიკიტა კატეპანი რამდენიმე წლის შემდეგ ხდება ანტიოქიის რექტორი³⁷ და ხელმძღვანელობს ჩრდილო სირიის მაკონტროლირებელი ძლიერი ციხე-სიმაგრის, ბალატუნუსის ბიზანტიის იმპერიისათვის დაბრუნებას. ბალატუნუსის ბილინგვის მიხედვით, ციხე-ქალაქი 1031 წელს დაიბრუნა საჭურისმა ნიკიტა კატეპანმა და ამავე წელს აღადგინა ლაოდიკეის სტრატეგოსმა და პატრიკიოსმა სპანტალუდ ტბელის ძემ, რომელიც როგორც ლაოდიკეის თემის ჯარების სარდალი, უეჭველია ქალაქის აღებაშიც მონაწილეობდა და იგი მის განმგებლობაში შედიოდა. სად შეიძლება ბოდა ესენი ერთმანეთს შეხვედროდნენ სირიაზე ლაშქრობამდე, თუ არა ტაოში, როდესაც ნიკიტამ ვახე კარიჭისძე და სხვა ქართველი დიდებულები ბიზანტიაში წაიყვანა, ხოლო რომანოზ მესამემ მის მხარეს გადასული ქართველები სხვადასხვა თანამდებობებითა და ტერიტორიებით დაასაჩუქრა. თუ ვისმეს ექნებოდა საკმარისი მოტივაცია საქართველოს დატოვებისა, ეს უნდა ყოფილიყო ბაგრატ მესამის წინააღმდეგ მებრძოლი ქავთარ ტბელის შვილიშვილი სპანდალუდ ტბელის ძე.

2. შავ მთაზე კალიბოს მონასტრის ხელნაწერის (P3) კოლოფონში სპანდალუდის ზუსტად ანალოგიური ეპი-

L'Arménie et Byzance, Paris, 1996, გვ. 82. სამწუხაროდ, სულ მალე მანაც შეიცვალა პოზიცია, თუმცა უფრო რბილად: «აპუქაპის, უფრო მოსალოდნელია, სომხური სახლი, ქართული ორიენტაციის მართლმადიდებელი სარწმუნოებისა». იხ. G. Dédéyan, Le Role des arméniens en Syrie du Nord pendant la reconquete Byzantine (vers 945-1031), Byzantinische Forshungen, Amsterdam, 1999, გვ. 274.

³⁷ Werner Seibt, Das Byzantinische militärkomando "Iberia", სამეცნიერო პარადიგმები, თბილისი, 2009, გვ. 147; ქართული ვარიანტი იხ. იქვე, გვ. 159.

თეტიო (“ადიდე ორთავე ცხორებათა შინა”), რომელიც ბიზანტიაში მაღალ ადმინისტრაციულ ან სამხედრო თანამდებობას გულისხმობს, მოხსენებულია ვაჩე, ვფიქრობ, სერიოზული ალბათობით, იგივე ვაჩე კარიჭისძე. ადვილი შესაძლებელია, რომ ვაჩე კარიჭისძემ რომანოზ მესამისგან “მისი ღირსების” შესაფერისი თანამდებობა და მამულები მიიღო სწორედ ჩრდილოეთ სირიაში, ისე როგორც აპუქაპმა (ედესა) და სპანდაღუდმა (ლაოდიკეა). საქმე ის არის, რომ ამ ხანებში ბიზანტიისათვის უმთავრესი მიზანი იყო სირიის დაბრუნება არაბებისგან და მისი ტერიტორიების თავისი ერთგული პირების მიერ ათვისება როგორც პოლიტიკურად ისე სოციალურად. გავრცელებული შეხედულებით, ვაჩე კარიჭისძის შვილია შავ მთაზე მოღვაწე ეფრემ მცირე. თუ ვაჩე 1027 წლის შემდეგ დასახლდა ამ რეგიონში მაშინ გასაგებია, რომ ეფრემი ბავშვობიდანვე სირიაში აღიზრდებოდა, შესაძლოა, შავ მთაზე, რადგან სხვაგან კარგი განათლების მიღება ვერ მოხერხდებოდა. არა მგონია, უეჭველი იყოს კ. კეკელიძის ვარაუდი, თითქოს 1057 წელს ბერძნებთან გიორგი მთაწმიდლის კამათის დროს ეფრემი ჯერ კიდევ იქ არა ყოფილა, რადგან ბერძნულიდან ქართულად მთარგმნელად მხოლოდ გიორგის ასახელებენ ქართველები.³⁸ ცხადია, 1057 წელს ეფრემი ჭაბუკი, განსწავლის პროცესში იქნებოდა და მას გიორგისთან არავინ გაათანაბრებდა.³⁹ სწორედ შენიშნავს ქ. ბეზარაშვილი, რომ ეფრემ მცირე “თავის კოლოფონებში საკუთარ მოღვაწეობასთან დაკავშირებით არსად ახსენებს კონსტანტინეპოლს”.⁴⁰ ამასვე უნდა მოწმობდეს ეფრემ მცირის ანდერძი, რომელშიც იგი პირდაპირ წერს, რომ ბერძნული განათლება მან შავ მთაზე მიიღო “უამსა სიუცბისა და სიჭაბუკისა ჩემისასა”.

³⁸ კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი. 1980, გვ. 252.

³⁹ ქეთევან ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბილისი, 2004, გვ. 100.

⁴⁰ იქვე, გვ. 101.

კალიპოს მონასტრის ხელნაწერის კოლოფონის მოსახსენებელში, ცხადია, შემთხვევითი პიროვნება ვერ მოხვდებოდა. ცხადია, აგრეთვე, კოლოფონში მოხსენიებულ ყველა პირს რაღაცა სიახლოვე და დამსახურება ჰქონდათ შავი მთის ქართულ მონასტრებთან.

ტბელები სვანეთში

“მატიანე სვანეთისა კრებისად”-ში (გამომცემელი პ. ინგოროყვა XIII ს-ის მეორე ნახევრით ათარიღებს⁴¹) მადს კრების მოსახსენებელში 107-ე ნომრად დასახელებულია *გ(იორგი) ტბელიანი*⁴², ხოლო 67-ე ნომრად – *ფურთუხ ტბელიანი*.⁴³ დეშტერის კრების მოსახსენებელში 23-ე ნომრად დასახელებულია *ი(ვან)ე ტბელიანი*.⁴⁴ რადგან სვანთა გვარების უმეტესობა სახელებიდან ან მეტსახელებიდან არის ნაწარმოები, ცხადია, უკვე სხვადასხვა ოჯახად ჩამოყალიბებული ტბელიანები ტბელის ჩამომავლები არიან.

საინტერესოა, რომ ბენუს კრების მოსახსენებელში მე-8 ნომრად დასახელებულია “ტბელის დედა მთვარე”.⁴⁵ ეს ცნობა იმის მიმანიშნებელია, რომ მოსახსენებლის შედგენისას სახელი “ტბელი” სვანეთში ჯერ კიდევ ცოცხალია.

მაგრამ რომელი ტბელი უნდა ასულიყო სვანეთში, სამუდამოდ იქ დასახლებულიყო და სათავე დაედო მისი სახელის მატარებელი საგვარეულოსათვის, ქართლის თუ სამხრეთ-დასავლეთი საქართველოსი? ვფიქრობ, “სვანეთის კრების მატიანემ” ამისი პასუხიც შემოგვინახა.

ლჰას კრების მოსახსენებელში 324-ე ნომრად დასახელებულია *სპანდალუდიანი მომაძ*. საქმე ის არის, რომ გამომცემელმა პავლე ინგოროყვამ (და ყველამ სხვამ, ვინც

⁴¹ პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, ტექტები, თბილისი, 1941, გვ. 114.

⁴² იქვე, გვ. 126

⁴³ იქვე, გვ. 129.

⁴⁴ იქვე, გვ. 121.

⁴⁵ იქვე, გვ. 152.

კი ამ მასალაზე იმუშავა) ვერ წარმოიდგინა, რომ “სპანდალუდი” შეიძლება მთლიანი ანთროპონიმი იყოს და დაშალა ორ ნაწილად: “სპანდა” და “ლუდიანი”, სადაც მისი აზრით “სპანდა” სახელი იყო, ხოლო “ლუდიანი” – გვარი.⁴⁶ შეუძლებელია შემთხვევითი იყოს ტბელიანისა და სპანდალუდიანის ერთდროული დადასტურება სვანეთში. ცხადია, ქართლის ტბელები სვანეთში ასულები არიან და აქვე შეუქმნიათ თავიანთი საგვარეულო: ტბელიანები და სპანდალუდიანები.

ქართლის ტბელების გენეალოგია

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ტბელების საგვარეულოში უნდა ვიგულისხმოთ ორი ტბელის (საკუთარი სახელი) არსებობა, რადგან სპანდალუდის მამა ტბელი უკვე ქართლშია გარდაცვლილი (თუ მოკლული) და სვანეთში ვერ გადასახლდებოდა. რაც შეეხება სპანდალუდს ქართლის ტბელებში ორი გვყავს ამ სახელის მატარებელი: სპანდალუდ ივანეს ძე და სპანდალუდ ტბელის ძე. სპანდალუდ ტბელის ძე ბიზანტიაში გადავიდა (ჩემი აზრით, ტაოს გავლით), სპანდალუდ ივანეს ძე კი, როგორც ჩანს, სვანეთში.⁴⁷ დაგვრჩა ტბელი, რომელსაც ადგილი უნდა ვუპოვოთ X ს-ის ტბელების გენეალოგიურ ხეში. ვინაიდან ივანე ტბელის ხუთი შვილიდან ჯერჯერობით მხოლოდ ორის სახელი ვიცით, ვვარაუდობ, რომ აჯანყებულთა მეთაურის, ქავთარ ტბელის ერთერთი ძმა შესაძლოა სახელად ტბელი ყოფილიყო. ამიტომ ტბელების ზემოთ აღდგენილ გენეალოგიურ შტოს შეგვიძლია გავუკეთოთ დამატება, რომელიც ფაქტიურად დაფარავს მთელ X ს-ს დასაწყისიდან 80-იან წლებამდე:

⁴⁶ იქვე, გვ. 139.

⁴⁷ საფიქრებელია, რომ ასევე გაჩნდნენ სვანეთში რატი და რატიანები, აბულეთი და აბულეთიანები.

ივანე ”უფალი ქართლისა” (X ს-ის პირველი ოცეული)

I

უცნობი

I

ივანე ერისთავი//ერისთავთ-ერისთავი (960 წელი და მის
ახლოს)

I

სპანდალუდ-ი, ქავთარ-ი, ტბელი (?) და კიდევ ორი ძმა (960
წლის ახლოს)

I

ტბელ-ი პატრიკი – ეპრაქს-ი? (982 წლის ახლოს)

I

ოქროპირ-ი, სპანდალუდ-ი, დავით-ი, ქავთარ-ი (982 წლის
ახლოს)

Z. ALEKSIDZE

AN UNKNOWN GEORGIAN HIGHLY RANKED OFFICIAL OF THE BYZANTINE EMPIRE AND HIS FAMILY

Recently a bilingual Georgian-Greek inscription was discovered in Balatunus, the main citadel of Mediaeval Syria. According to the inscription the Byzantines managed to recapture the city from the Arabs in 1031. The citadel was subsequently restored by the Strategos of Laodicea, Patrikios Spandaghoud son of Tbeli. Spandaghoud Patrikios is commemorated in a colophon of a Georgian manuscript dating to 1040 and originating from the monastery of Kalipos of Black Mountain (P3). Among the inscriptions on the territory of Georgia proper two persons are mentioned, named Spandaghoud: these are son of Tbeli (Bortsvidjvari Inscription) and son of Ivane (Kldeisa inscription). The family of Spandaghoud Tbeli is also attested in the thirteenth century Svaneti.

After the defeat of two rebellions carried out by the Tbeli family (c. 920s and 980s) the members of the family were dispersed in Vaspurakan (Armenia), Svaneti and Tao, from where they left for Byzantine Syria.

Considering all data at hand about the family of Tbeli, following genealogical tree can be devised.

Ivane the “prince of Kartli” (920s.)
I
Unknown person
I
Ivane Eristavu, *Eristavt-Eristavi* (c. 960s)
I
Spandaghoud, Kavtar, Tbeli and two other brothers (c.960s)
I
Tbeli Patrikios - Evpraxi? (c.982)
I
Okropir, Spandaghoud, Davit, Kavtar (c. 982)

**ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობა – ისტორიის
იდეოლოგიური ხელვა თუ ბაღღუინ IX ფლანდრიელის
ღა ბიზანტიის ორი იმპერატორის ამბავი**

ბასილი ეზოსმოძღვარი, ან თამარის მეორე ისტორიკოსი გვთავაზობს ტრაპიზონის იმპერიის, ბიზანტიის, საქართველოს და IV ჯვაროსნული ღაშქრობის ისტორიისათვის მნიშვნელოვან ცნობას, რომელიც საქართველოს ისტორიის სპეციალისტებისთვის კარგად არის ცნობილი.¹

¹ თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების გამოცემებისთვის იხ.: ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, *ქართლის ცხოვრება*, გამომც. სიმონ ყაუხჩიშვილი, ტ. 2, (თბილისი, 1959), გვ. 115-150; *თამარ მეფის დროინდელი მატთანე* („*ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი*“), გამომც. მარინე ქადაგიძე (თბილისი, 2001), გვ. 155-202, იქვე იხ. თხზულების ავტორთან, დაწერის თარიღთან და რიგ სხვა საკითხებთან დაკავშირებული მიმოხილვა და ბიბლიოგრაფია: გვ. 9-25, 75-101. ბასილი ეზოსმოძღვარის ავტორობის შესახებ გამოთქმული სხვადასხვა მეცნიერთა ეჭვები უდავოდ გასათვალისწინებელია. მაგრამ რაკი სტატიის პრობლემემატიკისთვის ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს და ის, ჩემი აზრით, მაინც უფრო დეტალურ შესწავლას მოითხოვს, ძველი ტრადიციის შესაბამისად, „ბასილი ეზოსმოძღვარს“ და „თამარის მეორე ისტორიკოსს“ სინონიმებად ვიყენებ სტატიაში. თხზულების დათარიღების ორი ვარიანტიდან: 1) 1210-1213 წლები, ან XIII საუკუნის პირველი მეოთხედი და 2) 1236 წლის შემდეგ, უფრო სარწმუნოდ მიმანია პირველი, ივანე ჯავახიშვილის და პავლე ინგლოროყვას მიერ შემოთავაზებული თარიღი (იხ. იმავე წიგნში, გვ. 15). თხზულების სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით იხ.: ივანე ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, წიგნში: მისივე, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. 8 (თბილისი, 1977), გვ. 373-395 (პირველად დაიბეჭდა: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 3, 1923, გვ. 186-216); ალ. გამყრელიძე, თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილის გარკვევისათვის, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, 30 (1954), გვ. 181-183; კ. კეკელიძე,

თამარის ისტორიკოსი იქვე მოგვითხრობს ბიზანტიის იმპერატორის, ალექსი III-ის სიკვდილზე ბულგარეთის მეფის კარზე, რასაც, ჩემი აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადო ყურადღება არ დათმობია. ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ თამარის მეორე ისტორიკოსი სავარაუდოდ გვთავაზობს საკმაოდ რთულ იდეოლოგიურ კონსტრუქციას, რის შესახებაც ასევე მინდა ვისაუბრო წინამდებარე სტატიაში. ზოგადი კონტექსტისთვის სასურველია ტრაპიზონის ექსპედიციასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხის გათვალისწინება: თამარის მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება იმ დროის რეეგიონალური პოლიტიკის კონტექსტში; დავით კომნენოსის ლაშქრობის ქრონოლოგია და სავარაუდო მიზანი. კარგად არის ცნობილი, რომ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება უშუალოდ უკავშირდება IV ჯვაროსნულ ლაშქრობას. ეს უკანასკნელი შუა საუკუნეების ისტორიის ერთი ყველაზე საინტერესო, რთული და პრობლემატური მოვლენაა, რომელიც უშუალოდ არის გადაჯაჭვული ჩვენს ისტორიასაც. სტატიაში განსახილველი საკითხების უკეთ გააზრებისთვის სასურველი იქნება მოკ-

ა. ბარამიძე, ცხოვრება მეფეთ მეფის თამარისა, მათივე, *ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. 1, *ძველი ქართული ლიტერატურა, V-XVIII სს.* (თბილისი, 1954), გვ. 158-160; ივანე ლოლაშვილი, *რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა* [= რუსთველოლოგიური ძიებანი 3] (თბილისი, 1961), გვ. 26-39; ა. შანიძე, ბასილი ეზოსმოდღერის ისტორიული თხზულების ერთი შერყენილი ადგილის გამართვისათვის, *თსუ შრომები*, 99, *აღმოსავლეთმცოდნეობის სერია*, 3 (1962), გვ. 247-250; კ. გრიგოლია, თამარის მეორე ისტორიკოსის ვინაობისა და მისი თხზულების დათარიღებისათვის, *თსუ შრომები*, 108 (1964), გვ. 359-375; ვ. დონდუა, „ვეფხისტყაოსანი“ და თამარის ისტორიკოსები, მისივე, *საისტორიო ძიებანი*, ტ. 2 (თბილისი, 1973), გვ. 99-113; ნიკო ბერძენიშვილი, თამარის ეპოქა ბასილი ეზოსმოდღერის მიხედვით, მისივე, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. 7 (თბილისი, 1974), გვ. 211-233; მარიამ ლორთქიფანიძე, XI-XII სს. ისტორიის წყაროები, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველო XI-XV საუკუნეებში*, ტ. 3 (თბილისი, 1979), გვ. 11-18.

ლედ გადმოიცეს IV ჯვაროსნულ ექსპედიციასთან დაკავშირებული მთავარი მოვლენები.

*თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობა
ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ*

აქვე მოვიტან ზემოხსენებულ ამონარიდს ბასილი ეზოსმოდვარის თხზულებიდან. თამარის მეორე ისტორიკოსი მოგვითხრობს ბასიანის ბრძოლაზე, გამარჯვების დღესასწაულთან დაკავშირებულ პერიპეტეებზე, შემდეგ თამარის არაჩვეულებრივ სამართლიანობასა და შემწყნარებლობაზე. ამას მოსდევს მთელი ქვეყნიერების ქრისტიანების დახმარების ამბავი და, ჩემი აზრით, უკვე ეს ცნობა უშუალოდ უკავშირდება მომდევნო, ტრაპიზონის ექსპედიციის პასაჟს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი:

„არა ოდენ თვისსა სამეფოსა შინა იყო კეთილიანობა, არამედ ყოველთა ქრისტიანეთათვის. და რომელნი მძლავრობდეს ქრისტიანეთა, ყოველთა მიუძცნო, რათა აზადად იყვნენ და ფიცხლად დამორჩილდენ შიშითა და სიყვარულთა მისითა.

წარავლენდის სარწმუნოთა თვისთა და დაავედრის ესრეთ:

– იწყეთ აღექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბიისა, სინისა მთისა.

და მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდის. ხოლო იერუსალიმისათვის რადღა სახმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა და სიწმიდეთა საბურავებსა და მონაზონთა და გლახაკათათვის ოქროთა აურაცხელთა.

[აქ ჩართულია ერთი წინადადება ტყვეთა, სავარაუდოდ, ქრისტიანების განთავისუფლებაზე. შემდეგ გრძელდება:]

კვალად კერძოთა ელადისათა და მთაწმიდას, ეგრეთვე მაკედონიისათა პეტრიწონს, კერძოთა თრაკისათა და კოსტანტინეპოლის მონასტრებთა, რომანას და ყოველგან, კვალად ისაერიას, კურუხეთს, და ყოველთა მათ სანახებთა შავისა მთისათა და კვიპრისათა. ესე ყოველნი აღავსნა

ქველის საქმითა, რომლისათვის ისმინეთ, თუ ვითარ მოხედვიდა ღმერთი საქმეთა მისთა.

[ამ, ფაქტიურად, შესავალს, მოსდევს სამხრეთ შავიზღვისპირეთის ზოლის დაპყრობის ცნობა:]

მოიწინეს ოდესმე ჩვეულებისამებრ ქველისმოქმედებათათვის ამისთა მონაზონნი შავისა მთისა, ანტიოქიით და კვიპრისა ჭალაკით, ეგრეთვე მთაწმიდით და მრავალთა ადგილთათ. შეიწყნარნა თამარ ჩვეულებისამებრ, ვითარ ანგელოზნი, და მრავალ დღე არა გაუშვნა. მერმე მისცნა ყოველთა დიადი და აღაგვნა ყოველთა სახმრითა. უკანასკნელ მათგან უფრო შორიელთა მისცა დიდძალი ოქრო, თვით მათთვის და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად.

წარვიდეს მონაზონნი იგი და მიიწინეს რა კონსტანტინეპოლედ, ესმა მეფესა ბერძენთასა ალექსის, ანგარსა, რომელმან ძმასა თვისსა ისაკს თვალნი დასწვნა და მეფობა წარუღო. ესე ყოველითურთ ბოროტი კაცი იყო და შეუტყვებელი მეფობისა, გარნა უმეტეს ანგარებისათვის სადაველ იყო ყოველთა მიერ. იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს, და წარუღო მათ მონაზონთა.

ცნა რა ესე თამარ მეფემან, ნაცვლად სხვა უფროსი წარგ ზავნა მათ წმიდათა მიმართ და ამით უმეტეს არცხვინა ეშმაკი. ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგ ზავნნა მცირედნი ვინმე ღიხთ იქითნი და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლადონისა და პონტოსანი. და მისცა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარ მეფისა შემოხვეწილი.

ხოლო ესმა ესე ფრანგთა, რამეთუ მოკლო ბერძენთა შეწევნა აღმოსავლეთით. გამოვიდეს ვენეტიკნი და წარუღეს სამეფო ქალაქი მეფობისა თანა. და შეიხვეწა უბადრუკი იგი ალექსი ბორღალეთს, თვისისა სიძისა თანა. იხილა რა ბორღალელთა მეფემან, სიძემან მისმან, შეიყვანა ციხესა ერთსა და დაუფინა წინაშე მისსა ოქრო დიადი და რქვა ესრეთ:

აჰა, ალექსი, გულისსათქმელი იგი შენი ოქრო. ესე მიიღე თვინიერ სხვისა რომლისამე საზრდელისა და წყლი-

სა წილ, რამეთუ ამისთვის წარსწყმიდე სახლი სამეუფო ქრისტიანეთა და დახსენ თვითმპყრობელობა ბერძენთა.

და ესრეთ მოკვდა საწყალობელი იგი სიყმილითა, დაკლებული შეწყენისაგან ღმრთისა.

ესრეთ საზარელ იყო თამარ მტერთა ზედა. და კვალად ესეოდენ ტკბილ და ძვირუხსენებელ, ვიდრემდის ესმა რა ესე ყოველი, დიდითა ტკივილითა ივლოვა, დაღათუ არა ღირს იყო მისთვის ტკივილი. რამეთუ რაცა ვის არა ჭეშმარიტებით აქენდეს, არა იპყრობს დიდხან. გარნა თამარ უცხოხასა ზედა და დაურდომილთა ღმობიერ იყო ტკივნეულობად და წყალობად, ვითარ აწ ამასცა ზედა“.²

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც ბასილი ეზოსმოდვარის აღნიშნულ ცნობას, ისე ტრაპიზონის იმპერიის დაარსების პრობლემას, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი პუბლიკაცია მიეძღვნა.³ აქ მოკლედ შევაჯამებ ძირითადად ქართულ და, ნაწილობრივ, რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამუ-

² ბასილი ეზოსმოდვარი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი*, გამომც. ს. ყაუხჩიშვილი (იხ. შენიშვნა 1), გვ. 141-143.

³ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე იხილეთ: მარი ბროსე, *საქართველოს ისტორია*, ტ. 1, ნათარგმნი სიმ. ლოღობერიძის მიერ (ტფილისი, 1895), გვ. 173; დ. კარიჭაშვილი, *საქართველო მეთორმეტე საუკუნეში* (ტფილისი, 1902), გვ. 135; ნიკო ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. 6 (თბილისი, 1973), გვ. 81; მამისა ბერძენიშვილი, *საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს, საქართველო რუსთაველის ხანაში რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული* (თბილისი, 1966), გვ. 54; აღ. გამყრელიძე, გიორგი აკროპოლიტესი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, *მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის*, 31 (1954), გვ. 230-232; გონა ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში* (თბილისი, 1995), გვ. 157-158; თედო დუნდუა, *სევასტოპოლი და მართლმადიდებელი სიძახია. დავით აღმაშენებელი და თეოდორე გაბრასი* (თბილისი, 2003), გვ. 6.

შაგებულ იმ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც სტატიაში განხილული მასალისთვის სასურველია: ტრაპიზონის იმპერიის შექმნის მიზეზები; მცირე აზიაში მოწყობილი ექსპედიციის ქრონოლოგია და მიზანი; ბიზანტიის იმპერატორ ალექსი III ანგელოსის დაღუპვის ცნობა ქართულ მატიანეში.

ტრაპიზონის იმპერიის შექმნის მიზეზები, ქრონოლოგია, მიზანი. სამეცნიერო ლიტერატურაში ბიზანტიის იმპერატორის მიერ თამარისგან დასაჩუქრებული სასულიერო პირების გაძარცვა განხილება როგორც ერთ-ერთი კონკრეტული საბაბი ტრაპიზონის ექსპედიციის დაწყებისთვის.⁴ თუმცა ზურაბ ავალიშვილმა ეჭვი გამოთქვა ქართული წყაროს ცნობის მართებულობასთან დაკავშირებით: რადგან ალექსი III ტახტზეა 1203 წლის ივლისამდე, ხოლო ტრაპიზონის იმპერია არსდება 1204 წლის აპრილში; ამასთან, ქართული წყარო ლათინების თავდასხმას თამარის მიერ გაგზავნილი ექსპედიციის შედეგად მიიჩნევს. მაშინ როდესაც ჯვაროსნები უკვე 1203 წელს არიან კონსტანტინეპოლთან; ამიტომ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და ყველა თანმდევი მოვლენა გამოდის ლათინთა გამარჯვების შედეგი; რაც შეეხება ბერების გაძარცვის ფაქტს, ალექსი III შესაძლოა იმიტომაც მოიქცა ასე, რაკი თამარი მის მოწინააღმდეგე კომნენოსთა დინასტიის წარმომადგენლებს მფარველობდა.⁵ ალექსანდრე გამყრელიძის მიხედვით, არც ტრაპიზონის დაპყრობას მოჰყვა 1204 წელს კონსტანტინეპოლის აღება ლათინების მიერ და ქართვე-

⁴ Трапезундская хроника Михаила Панарета, Изд. А. Хаханов (Москва, 1905), გვ. X-XII; მოსე ჯანაშვილი, *თამარ მეფე* (ტფილისი, 1917), გვ. 58-61; ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, ტ. 2, მისივე, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. 2 (თბილისი, 1983), გვ. 272-273, 379-380; ლევან მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. 2 (თბილისი, 1980), გვ. 221-222; Тамаз Берадзе, *Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии* (Тбилиси, 1989), გვ. 73; როინ მეტრეველი, *მეფე თამარი* (თბილისი, 1991), გვ. 193-199.

⁵ ზურაბ ავალიშვილი, *ჯვაროსანთა დროიდან: ოთხი საისტორიო ნარკვევი* (თბილისი, 1989), გვ. 52-61.

ლებსაც არ დაუწყიათ მოქმედება ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის შედეგად; ალექსი III-ის მიერ ქართველი ბერების გაძარცვა იყო კარგი საბაბი ომისთვის, რათა კომუნოსების მონათესავე დინასტია გაემეფებინათ საქართველოს მეზობელ მხარეში; ალექსის მიერ მძარცველური ოპერაციების წარმოებას ადასტურებს ნიკიტა ხონიატეც: ალექსიმ ვინმე ფრანგოპულოს დაავალა გემით შესულიყო შავ ზღვაში, თითქოს ეძებდა ფაზისიდან წამოსულ ერთ სავაჭრო გემს, რომელმაც კატასტროფა განიცადა. სინამდვილეში ფრანგოპულოს უნდა გაეძარცვა იქ საქონლით დატვირთული სავაჭრო გემები; შესაძლოა დაზარალებულთა შორის იყვნენ ქართველი ბერებიც, რაკი ისინი ალბათ სწორედ ზღვით მიდიოდნენ ფოთიდან.⁶ შოთა ბადრიძე აგრეთვე იხსენიებს ქართველი ბერების გაძარცვის ფაქტს და ვარაუდობს, რომ ტრაპიზონის კამპანია არის ქართველების პასუხი საუკუნოვან ბიზანტიურ აგრესიაზე; ამ კონკრეტულ მომენტში კი ისარგებლეს ბიზანტიის სისუსტით.⁷ ზურაბ ავალიშვილის მოსაზრებას მოგვიანებით იმეორებს ჯემალ სტეფნაძეც: ქართული წყაროს ცნობა სასულიერო პირების გაძარცვის შესახებ, რასაც შედეგად მოჰყოლია ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, შეუსაბამოა; რადგან ამის ჩამდენი ალექსი III ტახტიდან გადააგდეს 1203 წლის ივლისში, ხოლო ტრაპიზონს და მის მიმდებარე ტერიტორიებს იპყრობენ 1204 წელს.⁸

აქვე მოკლედ შევეხები ტრაპიზონის ექსპედიციასთან დაკავშირებული ცალკეული მოვლენების ქრონოლოგიას და თვითონ ლაშქრობის შესაძლო მიზნებს სამეცნიერო ლიტე-

⁶ ალექსანდრე გამყრელიძე, ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ზოგიერთი საკითხი, *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, ეძღვნება ნიკო ბერძენიშვილის დაბადების 70 წლისთავს* (თბილისი, 1966), გვ. 252-254.

⁷ შოთა ბადრიძე, *საქართველო და ჯვაროსნები* (თბილისი, 1973), გვ. 30-31; შოთა ბადრიძე, *საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან (X-XIII სს.)* (თბილისი, 1984), გვ. 137-138.

⁸ ჯემალ სტეფნაძე, *საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში* (თბილისი, 1985), გვ. 146-147.

რატურის მიხედვით. ტრაპიზონის იმპერიის დაარსების პრობლემას (ფალმერაიერის შემდეგ) პირველი ფუნდამენტური გამოკვლევა მიუძღვნა რუსმა მეცნიერმა ა. კუნიკმა, რომლის ბევრ მოსაზრებას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. კუნიკის მიხედვით, მცირეწლოვანი ალექსი და დავით კომნენოსები საქართველოში გამოხიზნეს უკვე 1185 წლის მერე, როდესაც კონსტანტინეპოლში სიკვდილით დასაჯეს მათი ბაბუა, იმპერატორი ანდრონიკე; თვითონ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებისთვის გადამწყვეტი იყო ბაგრატიონების და კომნენოსების დინასტიური კავშირი;⁹ თამარის კარზე მყოფმა კომნენოსებმა ლაშქრობისთვის მზადება 1203-04 წლის ზამთარზე ადრე დაიწყეს;¹⁰ ახალგაზრდა კომნენოსებს, რომლებიც თავიანთი აღზრდით ბიზანტიელ პრინცებზე უფრო ქართველ დიდებულებს გავდნენ, სურდათ თავიანთი წინაპრების ტახტის დაკავება კონსტანტინეპოლში. ისააკ და ალექსი III ანგელოსებს ისინი ალბათ, როგორც თამარი, უზურპატორებად თვლიდნენ. თამარს ხომ ალექსი III-მ პირადი შეურაცხყოფა მიაყენა;¹¹ რაკი ალექსი კომნენოსი შემდგომში მმართველის თვისებებს ვერ გამოავლენს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტრაპიზონის ლაშქრობის იდეა გაუჩნდათ თამარს და მის გენერლებს. გარდა კომნენოსებზე ნათესაური ზრუნვისა, გამომდინარე თამარის მაჰმადიანებთან დაპირისპირებებიდან, ქრისტიანების განსაკუთრებული მფარველობიდან, შესაძლოა ის ფიქრობდა, რომ სამომავლოდ კონსტანტინეპოლის ახალ, მეგობრულ დინასტიასთან ერთად შეძლებდა სელჩუკების დამხობას;¹² კუნიკი ეხება ასევე დავით კომნენოსის დასავლეთისკენ ლაშქრობის დეტალებს; პაფლაგონიაში დავითის შეჯახებას ნიკეის მომავალ იმპერატორთან, თეოდორ ლასკარისთან;¹³ ტრაპიზონის მმართველი

⁹ А. Куник, Основание Трапезунтской империи в 1204 году, *Ученые Записки Императорской Академии Наук (по первому и третьему отделению)*, т. 2, вып. 5 (Санкт-Петербург, 1854), გვ. 710-724.

¹⁰ Куник (იხ. შენიშვნა 9), გვ. 725.

¹¹ Куник (იხ. შენიშვნა 9), გვ. 726.

¹² Куник (იხ. შენიშვნა 9), გვ. 727-728.

¹³ Куник (იხ. შენიშვნა 9), გვ. 729-731.

კომნენოსების ხელში იყო ასევე ყირიმი. ხერსონესის მხარის გარდა ალექსი კომნენოსის ძალაუფლებას ცნობდნენ ნახევარკუნძულის სამხრეთი პროვინციებიც.¹⁴

თედო ჟორდანიას ვარაუდით, თუ ტრაპიზონის იმპერია დაარსდა 1204 წლის აპრილში, როგორც ამას მიქელ პანარეტოსი გვატყობინებს, საბერძნეთში ქართველებს პირველად უნდა ელაშქრათ უკვე 1203 წლის ზაფხულში. რადგან ამდენი მხარის დაპყრობას 5-6 თვეზე ნაკლები დრო არ ეყოფოდა.¹⁵ ზურაბ ავალიშვილის აზრით, ქართველების ინტერვენციას ხელს უწყობდა არაბერძნული (ქართველთა მონათესავე) მოსახლეობა;¹⁶ საქართველოს მიზანი არ უნდა ყოფილიყო ძლიერი ბიზანტიის აღდგენა. ქართველებს ჰქონდათ უფრო მცირე მასშტაბის რეგიონული მიზნები და ლათინთა თავდასხმის დროს მართლმადიდებელ ბერძენთა ერთგვარ დამცველებადაც გამოდიოდნენ;¹⁷ ტრაპიზონის სახელმწიფოს დაარსებაზე იმოქმედა როგორც დინასტიურმა ფაქტორებმა, ასევე რეგიონის ეთნიურმა შედგენილობამაც; ავალიშვილი ასევე ეხება დავით კომნენოსის მარშს დასავლეთისკენ,¹⁸ შემდეგ ლათინ იმპერატორთან მის კავშირს¹⁹ და 1214 წელს ალექსი კომნენოსის რუმის სულთანის ვასალად ქცევას.²⁰ ტრაპიზონის იმპერიის შექმნისთვის მთავარ საფუძველად პორფირი უსპენსკიძაც მიიჩნია კომნენოსების და ბაგრატიონების დინასტიური ნათესაობა; კონსტანტინეპოლის ხანგრძლივი ალყა და აღება ჯვაროსნების მიერ იყო ის ხელის შემწყობი გარემოება, რომელიც კომნენოსებმა გამოიყენეს; დავით კომნენოსი ქართველების და სხვა მომხრეების დახმარებით ელაშქრობს ტრაპიზონიდან დასავლეთით. დავითს ჰქონდა მიზანი: დასკარისის ჩამოგდება და ნიკეის და-

¹⁴ Куник (იხ. შენიშვნა 9), გვ. 732-733.

¹⁵ თედო ჟორდანია, *ქრონიკები*, ტ. 1 (თბილისი, 2004; ახ. გამოცემა), გვ. 291.

¹⁶ ავალიშვილი (იხ. შენიშვნა 5), გვ. 69.

¹⁷ ავალიშვილი (იხ. შენიშვნა 5), გვ. 70-71.

¹⁸ ავალიშვილი (იხ. შენიშვნა 5), გვ. 72.

¹⁹ ავალიშვილი (იხ. შენიშვნა 5), გვ. 73.

²⁰ ავალიშვილი (იხ. შენიშვნა 5), გვ. 75.

კავება. თუმცა თავისი მხედართმთავარის, სინადენოსის მარცხის შემდეგ იძულებულია დაუკავშირდეს ლათინებს.²¹ მ. კახაძესთან აგრეთვე ვხვდებით შეხედულებას, რომ მცირეწლოვანი ალექსი და დავითი 1185 წელს ანდრონიკეს ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ საქართველოში წამოიყვანეს. მათ მოქმედებისთვის შესაფერისი დრო დაუდგათ, როდესაც ლათინებმა კონსტანტინეპოლი აიღეს.²²

ირაკლი ბერაძის მონოგრაფიაში, რომელიც ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხს მიეძღვნა, აღნიშნულია, რომ ბიზანტიის იმპერიაში შექმნილი მდგომარეობის შედეგად საქართველო შეეცადა იმ ტერიტორიების დაბრუნებას, სადაც ძირითადად ქართული ტომები მოსახლეობდნენ. თუ ვერ მოხერხდებოდა მათი შემოერთება, მაშინ აუცილებელი იქნებოდა მათთვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა;²³ ქართველთა მეფე მომხრე იქნებოდა ბიზანტიის იმპერატორად ალექსი კომნენოსის ხილვის;²⁴ ნიკიტა ხონიატე გვაწვდის ცნობას იმ გეგმის შესახებ, რომელთა მიხედვითაც ჯვაროსნებს სხვადასხვა ქვეყნების გადანაწილება სურდათ. ამ ქვეყნებს შორის მოხსენიებულია საქართველოც;²⁵ მცირე აზიაში მცხოვრებ თანამემამულეთა სელჩუკი თურქებისგან დასაცავად თამარმა თავისი მხედრობა გაგზავნა მცირე აზიაში. ქართველებმა სავარაუდოდ კონსტანტინეპოლის აღებამდე დაიწყეს საომარი მზადება;²⁶ საქართველოს მიზანი იყო მცირე აზიაში ჰეგემონია. დავით კომნენოსის გვიანდელ ბრძოლებში საქართველოს მონაწილეობა აღარ მიუღია;²⁷ უკვე 1206 წელს ტრაპიზონელი

²¹ Ф. И. Успенский, *Очерки из истории Трапезундской империи* (Ленинград, 1929), გვ. 28-33.

²² მ. კახაძე, *ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში* (თბილისი, 1954), გვ. 30-32.

²³ ირაკლი ბერაძე, *ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხისათვის* (თბილისი, 1971), გვ. 13-14.

²⁴ ბერაძე (იხ. შენიშვნა 24), გვ. 18.

²⁵ ბერაძე (იხ. შენიშვნა 24), გვ. 12.

²⁶ ბერაძე (იხ. შენიშვნა 24), გვ. 36.

²⁷ ბერაძე (იხ. შენიშვნა 24), გვ. 37.

კომნენოსები ვასალურ დამოკიდებულებაში არიან კონსტანტინეპოლის ლათინ იმპერატორთან,²⁸

ბადრიძის მიხედვით, თამარის მხედრობამ დაიპყრო ძირითადად ქართული ტომებით დასახლებული ტერიტორია, სადაც ბუფერული სახელმწიფო შექმნა. საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით გამოიყენა IV ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგები.²⁹ თამაზ ნატროშვილი აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს კომნენოსების და ანგელოსების დინასტიურ დაპირისპირებაზე. ალექსის და მისი ძმის საბოლოო მიზანი იყო კონსტანტინოპოლში დაბრუნება და კომნენოსთა დინასტიის აღდგენა.³⁰ ნ. შენგელია აღნიშნავს, რომ ბასიანის გამარჯვებამ და ბიზანტიის იმპერიის დასუსტებამ საქართველოს გაუადვილა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე თავისი გავლენის გამტკიცება.³¹ სტეფნაძე დასაშვებად მიიჩნევს, რომ საქართველოს და ჯვაროსნებს შორის არსებობდა ფარული კავშირი. ჯვაროსნების მიერ კონსტანტინეპოლის აღება და ქართველთა მიერ ტრაპიზონის მიწების შემოერთება შესაძლოა იყო შეთანხმებული მოქმედება.³²

ალექსი III-ის დაღუპვის ამბავი თამარის მეორე ისტორიკოსთან. აღნიშნული ცნობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში შეგხვდით ორ გამოხმაურებას. ზურაბ ავალიშვილი მიუთითებს, რომ ალექსი III-ის სიკვდილის აღწერისას ბასილი ეზოსმოძღვარმა გამოიყენა მეფე მიდასის კარგად ცნობილი მოტივი.³³ ვარლამ დონდუა თავიდან აღნიშნავს, რომ ბერების გაძარცვის ფაქტი 1202-03 წლებზე გვიან ვერაფრით მოხდებოდა, იმ დრომდე ვიდრე ალექსი

²⁸ ბერაძე (იხ. შენიშვნა 24), გვ. 38.

²⁹ ბადრიძე (იხ. შენიშვნა 7), გვ. 30-31; ბადრიძე (იხ. შენიშვნა 7), გვ. 137-138.

³⁰ თამაზ ნატროშვილი, ლტოლვილნი ბიზანტიიდან, მისივე, *მაროიით მადრიბამდე* (თბილისი, 1974), გვ. 22-30.

³¹ ნ. შენგელია, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი თამარის მეფობაში, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველო XI-XV საუკუნეებში*, ტ. 3 (თბილისი, 1979), გვ. 332-333.

³² სტეფნაძე (იხ. შენიშვნა 8), გვ. 146-147.

³³ ავალიშვილი (იხ. შენიშვნა 5), გვ. 62.

III არის ტახტზე. დონდუა ეხება ასევე იმ ფაქტს, თუ როგორ გააძარცვინა ალექსი III-მ გემები შავ ზღვაზე. ვარლამ დონდუა ხაზს უსვამს იმ შეუსაბამობას, რომ ქართული წყაროს მიხედვით ალექსი III დასაჯა თავისმა სიძემ, ბუღღარელთა მეფემ. ბიზანტიური წყაროების მიხედვით მას ანგარიშს უსწორებს მისი სიძე, კონსტანტინ ლასკარისი.³⁴

IV ჯვაროსნული ლაშქრობა

ლაშქრობისთვის მზადება და ექსპედიციის დასაწყისი

1198 წელს რომის პაპად აირჩიეს ინოკენტი III³⁵. სურდა რომის პაპის ინსტიტუტი ყოფილიყო ყველა

³⁴ ვ. დონდუა, ომი ტრაპიზონისათვის, წიგნში: ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, II, თბილისი 1973, გვ. 62-68, აქ გვ. 63-68.

³⁵ მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის წინ შექმნილ წინაპირობებზე და მისთვის მზადებაზე, ბიზანტიელების და ჯვაროსნების ურთიერთმიმართებაზე, ინოკენტი III-ის ჯვაროსნული იდეის შესახებ იხ.: Adolf Waas, *Geschichte der Kreuzzüge*, Bd. 1 (Freiburg, 1956), გვ. 242-247; Werner Ohnsorge, *Abendland und Byzanz. Gesammelte Aufsätze zur Geschichte der byzantinisch-abendländischen Beziehungen und des Kaisertums* (Darmstadt, 1958); Heinrich Kretschmer, *Geschichte von Venedig*, Bd. 1 (Stuttgart, 1964) [Neudruck der Ausgabe Gotha 1905], გვ. 280-296; Joan M. Hussey, *Byzantium and the Crusades*, in: *A History of the Crusades*, General Edit. Kenneth M. Setton, Vol. 2, *The Later Crusades, 1189-1311*, Ed. by Robert Lee Wolff and Harry W. Hazard (Madison, Milwaukee and London, 1969), გვ. 144-150; Edgar H. McNeal, Robert Lee Wolff, *The Fourth Crusade*, in: *A History of the Crusades*, General Edit. Kenneth M. Setton, Vol. 2, *The Later Crusades, 1189-1311*, Ed. by Robert Lee Wolff and Harry W. Hazard (Madison, Milwaukee and London, 1969), გვ. 153-169, 173-177; Helmut Roscher, *Papst Innocenz III. und die Kreuzzüge* [= Forschungen zur Kirchen- und Dogmengeschichte, Bd. 21] (Göttingen, 1969), გვ. 114-115, 268-271; Kenneth M. Setton, *Innocent III, the Fourth Crusade, and the Establishment of the Latin States in Greece*, in: Id., *The Papacy and the Levant (1204-1517)*, Vol. 1, *The Thirteenth and Fourteenth Centuries* [= Memoirs of the American Philosophical Society, Vol. 114] (Philadelphia, 1976), გვ. 4-9; Donald E. Queller, *The Fourth Crusade: the Conquest of Constantinople 1201-1204* (Philadelphia, 1977),

საერო ხელისუფლებაზე უზენაესი. პაპის ველტბილდიდან გამომდინარე, ჯვაროსნული ომების ხელმძღვანელობა ადარ უნდა ეტვირთათ მხოლოდ მონარქებს. მისი იდეების პოლიტიკურ რეალიზაციას თითქოს ხელს უწყობდა ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში შექმნილი ძალაუფლების ვაკუუმი. იმპერატორ ჰაინრიხ VI-ის გარდაცვალების (1197) შემდეგ გერმანიაში, თვითონ ინოკენტი III-ის ხელშეწყობითაც, მომდევნო ათწლეულის განმავლობაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. საფრანგეთის და ინგლისის მეფეები ტერიტორიალური საკითხების გამო ამ დროს მუდმივად ებრძოდნენ ერთმანეთს. ამასთან, უკანასაკნელი ჯვაროსნული ლაშქრობები ევროპელმა მონარქებმა სრული კრახით დაასრულეს. 1198 წლის აგვისტოში პაპმა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოუწოდა. არ მიუმართავს დასავლეთის არცერთი მეფისთვის. IV ჯვაროსნული ლაშქრობის ძირითად ბირთვის თავიდან შეადგენდნენ ფრანგი და ფლანდრიელი რაინდები. 1199 წლის ნოემბერში შამპანის ტურნირზე ჩამოყალიბდა პირველი სამხედრო კონტინგენტები. მეთაურებს შორის იყვნენ გრაფი ტიბო შამპანელი, ლუი დე ბლუა, ასევე შამპანის მარშალი და ლაშქრობის ქრონისტი ჟოფრუა დე ვილარდუენი. მალევე მათ შეუერთდნენ ფლანდრიის და ჰენეგაუს გრაფი ბალდუინი (IX), თავის ძმა ანრისთან ერთად, ასევე შენაერთები რაინდანიდიდან. ლაშქრობის საერო ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო გრაფი ტიბო.

გვ. 8-78; John Godfrey, *1204. The Unholy Crusade* (Oxford, 1980), გვ. 48-49, 64-69, 76, 85-87; Ralph-Johannes Lilie, *Byzanz und die Kreuzfahrerstaaten. Studien zur Politik des byzantinischen Reiches gegenüber den Staaten der Kreuzfahrer in Syrien und Palästina bis zum vierten Kreuzzug [1096-1204]* (München, 1981); Michael Angold, *The Byzantine Empire 1025-1204, An political history* (London, 1984), გვ. 284-288, 291-293; John Julius Norwich, *Byzanz, Verfall und Untergang 1072-1453* (Zürich, 1996), გვ. 202-203; Steven Runciman, *Geschichte der Kreuzzüge* (München, ²1997), გვ. 883-893; Peter Wirth, *Grundzüge der Byzantinischen Geschichte* (Darmstadt, 1997), გვ. 118-124; Hans Eberhard Mayer, *Geschichte der Kreuzzüge* (Stuttgart, ¹⁰2005), გვ. 231-236.

გაგზავნეს ელჩები ვენეციაში, რათა მოლაპარაკებოდნენ ჯარის საზღვაო გზით გადაყვანაზე. ვენეციის დოჟთან, ლეგენდარულ ენრიკო დანდოლოსთან (რომელიც ამ დროს დაახლოებით 90 წლის არის) გააფორმეს ხელშეკრულება: ვენეციელები გადაიყვანდნენ 4500 რაინდს, 9 000 მეომარს (Knappe, საჭურველმთვირთველი, ანუ რაინდების თანმხლები მეზრძოლები) და 20 000 ფეხოსანს, რის სანაცვლოდაც მიიღებდნენ 85 000 ვერცხლის მარკას. ვენეციის რესპუბლიკა დამატებით გამოყოფდა 50 გალერას და სამხედრო შენაერთებს, იმ პირობით, თუ დაპყრობათა ნახევარი ვენეციის კუთვნილება იქნებოდა. დამატებით საიდუმლო ხელშეკრულებაში ლაშქრობის მიზნად დასახელდა ეგვიპტე. ამ დროს გარდაიცვალა გრაფი ტიბო შამპანელი. მაშინ ბარონებმა ლაშქრობის მეთაურად 1201 წლის ივნისში, სუასონში, აირჩიეს წარმოშობით იტალიელი (გერმანულ შტაუფენების საიმპერატორო დინასტიასთან დაახლოებული პირი) მარკოზი ბონიფაცი მონფერატი. მონფერატების ლომბარდიულ ოჯახს ჰქონდა ჩინებული კავშირები აღმოსავლეთში. ბონიფაცი იყო იერუსალიმის მეფე კონრად მონფერატის და კესაროს რაინერ მონფერატის, მანუელ I კომნენოსის სიძის, ძმა.

1202 წლის აპრილისთვის სალაშქროდ დათქმული ვადა ჯვაროსნებმა ვერ დაიცვეს. 1202 წლის ივნისისთვის ვენეციაში ნავარაუდევზე სამჯერ ნაკლები ჯარი, მხოლოდ 11-12 000, შეგროვდა. ენრიკო დანდოლო მაინც მოითხოვდა კონტრაქტით გათვალისწინებული სრული თანხის გადახდას. ჯვაროსნებმა გაიღეს მაქსიმალური, მაგრამ 34 000 მარკა მაინც დააკლდათ. მაშინ დოჟმა შესთავაზა მათ, დახმარებოდნენ ვენეციელებს ქალაქ ზარას დაპყრობაში. ზარა (დღევანდელი ზადარი სამხრეთ ხორვატიაში) დალმაციის სანაპიროზე მდებარეობდა და ვენეციის სავაჭრო კონკურენტი იყო. ამის შემდეგ შეეძლოთ ერთად გაეგრძელებინათ ჯვაროსნული ლაშქრობა. მაგრამ ზარა ემორჩილებოდა უნგრეთის ქრისტიან მეფეს, რომელიც მანამდე თვითონაც აპირებდა ჯვაროსნულ ომში მონაწილეობის მიღებას. ფრანგი რაინდების ნაწილი ჩამოშორდა არმიას, რაკი ჯვაროსნული არმიის ქრისტიანულ ქალაქზე თავდას-

ხმა გაუგონარ ცოდვად მიიჩნდათ. 1202 წლის 24 ნოემბერს ზარა აიღეს და გაძარცვეს. ინოკენტი III-მ მთელი არმია განკვეთა. ფრანგებმა და ფლანდრიელებმა დიდი გაჭირვებით მიადწიეს იმას, რომ რომის პაპს მოეხსნა მათთვის საეკლესიო სასჯელი. ვენეციელები განკვეთილები დარჩნენ და ასევე გააგრძელეს მთელი ჯვაროსნულ ლაშქრობა.

ეგვიპტეში წასვლა უკვე დაგვიანებული იყო, რაკი ზამთარი ახლოვდებოდა და ზარაში დარჩნენ. 1202-1203 წლების მიჯნაზე ჯვაროსნების ბანაკში გამოჩნდნენ გერმანიის მეფე ფილიპ შვაბიელის (1198-1208) და ბიზანტიელი უფლისწულის ალექსი (შემდომში ალექსი IV) ანგელოსის ელჩები. ეს უკანასკნელი იყო ბიზანტიის ყოფილი იმპერატორის ისააკ II ანგელოსის შვილი. ისააკი ტახტიდან ჩამოაგდო და დააბრმავა მისმა ძმამ, ალექსი III-მ, 1195 წელს. ალექსი III ტახტზე ავიდა 1195 წლის 8 აპრილს. ისააკი და მისი შვილი ალექსი კონსტანტინეპოლში იხდნენ ციხეში. მაგრამ ალექსიმ 1201 წელს გაქცევა მოახერხა (ალექსი ამ დროს სავარაუდოდ 17 წლის არის. სხვა ვერსიით ალექსი გაიქცა არა ციხიდან, არამედ ერთ-ერთი სამხედრო კამპანიის მსვლელობის დროს, როდესაც ის თან წაიყვანა ბიძამ, ალექსი III-მ). მართალია ჯვაროსანთა უმრავლესობამ ახალგაზრდა ალექსი ანგელოსის წინადადების შესახებ პირველად გაიგო, მაგრამ ჯვაროსნების ლიდერები სავარაუდოდ 1201 წლიდან ჩართული უნდა ყოფილიყვნენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში. ალექსი (IV) ანგელოსი უკვე 1201 წლის შემოდგომაზე ითხოვდა რომის პაპისგან მხარდაჭერას. ინოკენტიმ მისი პრეტენზიები საკმარისად სამართლიანად არ ჩათვალა, რაკი მამამისს, ისააკს, გვირგვინი მემკვიდრეობით არ ჰქონდა მიღებული, ხოლო თვითონ ალექსი დაიბადა იქამდე, ვიდრე მამამისი ტახტზე ავიდოდა. გარდა ამისა, ალექსი იყო ფილიპ შვაბიელის ცოლისძმა (ალექსის და, ისააკის ქალიშვილი ირინე, იყო ფილიპ შვაბიელის ცოლი). ფილიპთან კი ინოკენტი ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში იმყოფებოდა და 1201 წელს ეკლესიიდან განკვეთა კიდევაც ის.

იტალიიდან ალექსი (IV) წავიდა ფილიპ შვაბიელთან. ამ უკანასკნელმა ანტიბიზანტიური განწყობა მემკვიდრეობით მიიღო მამისგან და ძმისგან. კონსტანტინეპოლი ჯერ კიდევ III ჯვაროსნული ლაშქრობის დროს კინადამ დაიპყრო ფრიდრიხ I ბარბაროსამ, იმდენად უგუნურად უპირისპირდებოდა გერმანელ ჯვაროსნებს ისააკ ანგელოსი. ჰაინრიხ VI თავისი, გერმანიის და სიცილიის გაერთიანებული სამეფოდან, პირდაპირ ემზადებოდა კონსტანტინეპოლზე სალაშქროდ. ბიზანტიის იმპერია დროებით იხსნა მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა 1197 წელს. ფილიპს, რომელიც იმ დროს ჩაბმული იყო ოტო IV ბრაუნშვაიგელთან (1198-1218), ველფების პარტიის წარმომადგენელთან, გერმანიის ტახტისთვის ბრძოლაში, აქტიური დახმარების აღმოჩენა არ შეეძლო. ალექსი გაგზავნა ჯვაროსნების არმიასთან. ალექსის ტახტზე აღდგენასთან დაკავშირებით ბონიფაცი მონფერატის, ფილიპ შვაბიელის და ახალგაზრდა ალექსის შეხვედრა შესაძლოა შედგა 1201 წლის შობას, ჰაგენაუში. მაშინ იქვე შეიმუშავებდნენ გეგმას: ჯვაროსნები ესმარებიან ალექსის ბიზანტიის ტახტის მოპოვებაში, ალექსი შემდეგ დააფინანსებს ეგვიპტის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობას. 1202 წელს ბონიფაცი მონფერატი რომში თითქოს წარუმატებლად ცდილობდა, რათა ინოკენტი III-ის მხარდაჭერა მოეპოვებინა ალექსისთვის. სავარაუდოდ 1202 წლის სექტემბერში ფილიპ შვაბიელის ემისრები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ვენეციელებთან იგივე საკითხზე. ვენეციის დოჟი იღვას (თუკი ეს იღვა თავიდანვე მას არ ეკუთვნოდა) აღფრთოვანებით უნდა შეხვედროდა. ენრიკო დანდოლოს თითქოს პირადი შურისძიების მიზეზიც ჰქონდა ბიზანტიელების წინააღმდეგ. 1171 წელს, იმპერატორ მანუელ I-ის დროს კონსტანტინეპოლში ვენეციელების დარბევისას, ენრიკო დანდოლო ან მთლიანად დააბრმავეს, ან მან სანახევროდ დაკარგა თვალის ჩინი, როდესაც შუშიდან აყურებიან მზეს. მართალია თუ არა ეს ისტორია, ნებისმიერ შემთხვევაში, მოხუცი, ბრმა დოჟი, რომელმაც დაამხო ბიზანტიის იმპერია, იქცა იტალიის ისტორიის ლეგენდად. დოჟმა თავიდან ნებით თუ უნებლიედ მთავარი როლი დაუთმო ფილიპ შვაბიელს. შემდეგ ყველაფერი ვე-

ნეციელების კარნახით წარიმართა. დანდოლო ტრანსპორტით უბრალოდ უზრუნველყოფის ნაცვლად ჯვაროსნული ლაშქრობის ღიადერად მოგვევლინა.

ბონიფაცი მონფერატი ზარას ალყის დროს სავარაუდოდ გერმანიაშია, რაკი ამ საჩოთირო დაპირისპირებაში მონაწილეობის მიღება არ სურდა. 1203 წლის დასაწყისში ჩნდება ზარაში, დაახლოებით ფილიპ შვაბიელის და ალექსის ელჩებთან ერთად, რომელთაც ზარაში მყოფ ჯვაროსნებს შესთავაზეს, დახმარებოდნენ ტახტის კანონიერ მაძიებელს. სანაცვლოდ პრეტენდენტი პირდებოდა ოქროს მთებს: საეკლესიო გაერთიანება რომთან; 200 000 მარკის გადახდა ვენეციელებისა და ჯვაროსნებისთვის; ჯვაროსნული ლაშქრობისთვის 10 000 ბიზანტიელი ჯარისკაცის გამოყოფა; წმინდა მიწაზე 500 რაინდის მუდმივად შენახვა. მიმართულების მორიგი შეცვლის იდეას ლაშქარში ისევ დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა. მაგრამ ძირითადად ბირთვმა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ენრიკო დანდოლო და შტაუფენების პარტიის მომხრე ბონიფაცი მონფერატი, შეძლო წინადადების გატანა. პაპმა კვლავ გააპროტესტა ლაშქრობის მიმართულების მეორეჯერ შეცვლა, თუმცა მხოლოდ 1203 წლის ივნისში, როდესაც ფლოტი ზარადან გავიდა 1203 წლის აპრილში. არმიას აგრეთვე შეუერთდა ტახტის პრეტენდენტი, ახალგაზრდა ალექსი.

IV ჯვაროსნული ლაშქრობის მიმართულების შეცვლის მიზეზები

მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მარშრუტის შეცვლის მიზეზებზე დღემდე დაუსრულებელი კამათი მიმდინარეობს.³⁶ შუა საუკუნეების ისტორიიდან ცოტა პრობლე-

³⁶ აღნიშნული შეხედულებების შეჯამებისას მივსდევ შემდეგ ლიტერატურას: Waas (იხ. შენიშვნა 36), გვ. 243-245; Kretschmer (იხ. შენიშვნა 36), გვ. 296, 480-488; Sibyll Kindlimann, *Die Eroberung von Konstantinopel als politische Forderung des Westens im Hochmittelalter. Studien zur Entwicklung der Idee eines lateinischen Kaiserreichs in Byzanz*, Dissertation (Zürich, 1969) [მონოგრაფიაში განხი-

მას გამოუწვევია მეცნიერთა შორის აზრთა იმგვარი სხვადასხვაობა, როგორც მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის “მიმართულების შეცვლას”. საბოლოო სიმართლე ალბათ ბოლომდე უცნობი დარჩება. მეცნიერები აქ იყოფიან „შემთხვევების თეორიის“ და „ინტრიგების თეორიის“ მომხრეებად თუ მოწინააღმდეგეებად. „შემთხვევების თეორიის“ წარმომადგენლებისთვის ამოსავალი წერტილია ჟოფრუა დე ვილარდუენის ქრონიკა, რომლის მიხედვითაც მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა ერთგვარად შემთხვევით მოხდა: ჯვაროსნებს არ ჰქონდათ მგზავრობის გადასახდელი ფული და ამიტომ დასთანხმდნენ ვენეციელებს ზარას შტურმზე; კონსტანტინეპოლიდან შემთხვევით გაიქცა ალექსი (IV); ჯვაროსნების ზარაში გამოზამთრებას დაემთხვა ფილიპ შვაბიელის და ალექსი ანგელოსის ელჩების მოსვლა; რაკი ვენეციელებისთვის გადასახდელი და სრულმასშტაბიანი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობისათვის აუცილებელი ფული რაინდებს ისევ არ ჰქონდათ, ამიტომ გადაწყვიტეს მხარი დაეჭირათ ტახტის პრეტენდენტის სამართლიანი მოთხოვნისათვის. „ინტრიგების თეორიის“ მხარდამჭერთა მიხედვით ლაშქრობამ მიმართულება შეიცვალა წინასწარ კარგად მოფიქრებული და დაგეგმილი ინტრიგის შედეგად. ამ შემთხვევაში დანარჩენი მოვლენების გადაფასება ხდება იმის მიხედვით, ვის ჩავთვლით ინტრიგის ორგანიზატორად. აქ უკვე ყველა მოვლენა, იქნება ეს მაგალითად ზარაში გამოსაზამთრებლად დარჩენა თუ ფილიპ შვაბიელის ელჩების მოსვლა,

ლულია საკითხი, როგორ მზადდებოდა სხვადასხვა პროცესების შედეგად, განსაკუთრებით დასავლეთის მხრიდან, 1204 წელი თითქმის საუკუნეების განმავლობაში]; McNeal, Wolff (იხ. შენიშვნა 36), გვ. 169-173; Roscher (იხ. შენიშვნა 36), გვ. 100-101, 103, 111-114, 116-119; Godfrey (იხ. შენიშვნა 36), გვ. 68-69, 86; Angold (იხ. შენიშვნა 36), გვ. 288-289; Peter Schreiner, *Byzanz* (München, 1994); Ralph-Johannes Lilie, *Byzanz, Geschichte des oströmischen Reiches 326-1453* (München, 1999), გვ. 89-90; Mayer (იხ. შენიშვნა 36), გვ. 235-238.

ინტრიგის მომწყობი მხარის მიერ არის ორგანიზირებული და ინსცენირებული მისთვის ხელსაყრელ დროს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარის დასაწყისში მთავარ დამნაშავეებად ითვლებოდნენ ვენეციელები. მათ თითქოს სავაჭრო ხელშეკრულება ჰქონდათ ეგვიპტელებთან დადებული და სულთანისგან შეპირებული პრივილეგიების სანაცვლოდ შეუცვალეს ლაშქრობას მიმართულება. რაკი ამგვარი ხელშეკრულება შემდგომში არ აღმოჩნდა, ბრალდებას სრული დამაჯერებლობა არ ჰქონია. თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ვენეციელები დაინტერესებულნი ყოფილიყვნენ ლაშქრობის მიმართულების შეცვლაში. ალბათ ვერასდროს დადასტურდება, რომ ენრიკო დანდოლოს უკვე ზარაში, ან მანამდე, ვენეციაში, ჰქონდა ბიზანტიის იმპერიის სრული განადგურების გეგმა. თუ ამას დაუშვებთ, მაშინ: ვენეციელებმა განზრახ მოითხოვეს სრული თანხა გადაყვანისთვის ჯარის მესამედისგან, რაკი იცოდნენ, რომ ისინი ამ თანხას ვერ გადაიხდიდნენ; შემდეგ იძულებული გახადეს დასხმოდნენ თავს ქრისტიანულ ზარას, რითაც ქრისტიანებზე ლაშქრობის მცირე პროცენტული შექმნეს; ამის მერე განზრახ გააჩერეს ჯარი ზამთრის განმავლობაში ზარაში და ალექსის ელჩების მოსვლის სპექტაკლი დადგეს, როდესაც მანამდე ყველაფერი უკვე დიდი ხნის შეთანხმებული იყო; შემდეგ ალექსი IV კი აიყვანეს ტახტზე, მაგრამ წინასწარ იცოდნენ, რომ შეპირებულ ოქროს მთებს ვერ გადაიხდიდა, რასაც მოყვა კონსტანტინეპოლის შტურმი და ასე შემდეგ.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში ძირითად შეთქმულებად გამოცხადდნენ ფილიპ შვაბიელი და მისი გიბელინი ნათესავი ბონიფაცი მონფერატი. ფილიპმა მართლაც გაგზავნა ელჩები ჯვაროსნებთან და თხოვა მათ, დახმარებოდნენ ტახტის პროტენდენტს. შესაბამისად, მიმართულების შეცვლაში მისი ხელი ნამდვილად ერია. როგორც ზემოთაც ითქვა, მიმართულების შეცვლის იდეა პირველად შეიძლება 1201 წლის შობაზე ფილიპ შვაბიელის, ბონიფაციის და ალექსის შესხვედრისას გაჩნდა. ბონიფაციის მამას, ვილიამ მონფერატს, ცოლად ჰყავდა სოფია, ფრიდრიხ ბარბაროსას ქალიშვილი და ფილიპ შვაბიელის ნახევარ-

და. შესაბამისად, შობის დროს ეს შეხვედრა ალბათ დაახლოებით ოჯახურ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ალექსი იყო სუსტი ნებისყოფის ახალგაზრდა, რომელსაც იყენებდა ფილიპი, ან ბონიფაცი. ამ უკანასკნელს ოჯახური ინტერესები ჰქონდა ბიზანტიაში და კონკრეტულად თესალონიკიში. შესაძლოა მიმართულების შეცვლის იდეა მოდიოდა ფილიპის ცოლის და ალექსის დისგან, ირინესგან. მით უმეტეს, რომ ისააკისგან ცოტა ხნის წინ დახმარების სათხოვნელი წერილი მიიღო. თუ „ინტრიგების თეორიას“ უკიდურესობამდე მიყვებით, მაშინ შეიძლება მივიღოთ შემდეგი კონსტრუქცია: ფილიპ შვაბიელი თავიდანვე დაეხმარა ალექსის კონსტანტინეოლიდან გაქცევაში, რაკი შტაუფენების დინასტია ანტიბიზანტიურად იყო განწყობილი და ჯერ კიდევ მისი ძმა, იმპერატორი ჰაინრიხ VI, გეგმავდა კონსტანტინეოლის შტურმს; შემდეგ წინასწარ მოელაპარაკა ვენეციელებს და ერთად, ფრთხილი და გამოზომილი ნაბიჯებით შეცვალეს ლაშქრობის მიმართულება. ამ შემთხვევაშიც გადაჭრით რაიმეს მტკიცება ძნელია. თუმცა როდესაც გიბელინი ბონიფაცი მონფერატი აირჩიეს ჯვაროსნების არმიის მეთაურად, ეს უკვე შესაძლოა გარკვეულ წინასწარ გეგმებთან ყოფილიყო დაკავშირებული. მაგრამ ფილიპ შვაბიელს ამ დროს დაუნდობელი ომი ჰქონდა გამართული ტახტისთვის ოტო ბრაუნშვაიგელთან და ამგვარი რაფინირებული ინტრიგებისთვის ალბათ ნაკლებად ეცადა. შესაძლოა მან უბრალოდ მხარი დაუჭირა თავის ცოლისძმას იმ საქმეში, საიდანაც მოგვიანებით გარკვეული სარგებელის ნახვას ელოდა. თუმცა ვენეციელებისთვის და ჯვაროსნებისთვის ლაშქრობის მიმართულების შეცვლისას ფილიპ შვაბიელის თანხმობა ერთგვარი ლეგიტიმაცია იყო მათი გეგმებისთვის, რაკი რომის პაპი, გარეგნულად მაინც, ამის წინააღმდეგი გახლდათ.

რომის პაპის, ინოკენტი III-ის მისამართითაც გამოითქვა ბრალდებები, რომ დიდი ხნით ადრე მონაწილეობდა IV ჯვაროსნული ლაშქრობის მიმართულების შეცვლის დაგეგმვაში. მაგრამ რომის პაპი ზარას ადების ნამდვილად წინააღმდეგი ჩანს, რაკი ქალაქი ემორჩილებოდა უნგრეთის ქრისტიან (კათოლიკე) მეფეს. ზარას გადახვევა ვენეციე-

ლების თვითშემოქმედება გახლდათ, როდესაც უშუალო სავაჭრო კონკურენტი გაანადგურეს. ინოკენტი III-ზე უფრო რჩება შთაბეჭდილება, რომ გარკვეულ მომენტში მას ჯვაროსნული ლაშქრობის მართვის სადავეები ხელიდან გაექცა. ინოკენტის დაწყებული ჯვაროსნული ლაშქრობით შემდეგ მანიპულირებენ მისი მოსისხლე მტერი ფილიპ შვაბიელი და ვენეციელები, რომლებიც პაპისადმი დიდი ლოიალურობით არ გამოირჩეოდნენ. პაპი თითქოს მუდამ რჩება შექმნილი ფაქტების პირისპირ და აქედან ცდილობს შემდეგ საუკეთესო გამოსავალის ნახვას. ინოკენტი III ამ დროს თან მთლიანად ჩართული იყო გერმანიის და სიცილიის სამეფოთა არეულ შიდა პოლიტიკაში და ჯვაროსნულ ლაშქრობაზე ზრუნვისთვის ცოტა დრო რჩებოდა. როდესაც ზარას დაპყრობის ამბავი გაიგო, სავარაუდოდ ჯვაროსნული ლაშქრობის გადარჩენის სანაცვლოდ გაწირა პრინციპები. დასავლეთის და აღმოსავლეთის ეკლესიების გაერთიანება რომის პაპების სანუკვარი ოცნება იყო. ამიტომ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ პაპის სიხარული არ არის გასაკვირი, რაკი ის ორთოდოქსული ეკლესიის კათოლიკურთან მოსალოდნელ შეერთებას ზეიმობდა. სხვა საქმეა, რამდენად მონაწილეობდა ინოკენტი III მანამდე მოვლენათა დაგეგმვაში. ყოველ შემთხვევაში, ბიზანტიის ტახტის პრეტენდენტს მისი გეგმების მხარდაჭერაზე პაპმა უარი უთხრა.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს მეტ მხარდაჭერას პოულობს ეგრეთ წოდებული „შემთხვევების მოდიფიცირებული თეორია“: ჯვაროსნები მართლაც ემზადებოდნენ ეგვიპტეზე ლაშქრობისთვის; შამპანის გრაფი ტიბო მოულოდნელად გარდაიცვალა; ჯვაროსნების ნაწილი უბრალოდ დამოუკიდებლად, ბონიფაციის არჩევამდეც, გაემგზავრა წმინდა მიწაზე და ვენეციაში ამიტომაც მოგროვდა ჯვაროსნების ნაკლები რაოდენობა; ალექსი IV-ც სავარაუდოდ დამოუკიდებლად გამოიქცა ბიზანტიიდან. ამის შემდეგ უკვე ძნელი გასარკვევია, სად მთავრდება შემთხვევები და სად იწყება ინტრიგები. ალექსი IV-ის წინადადება ჯვაროსნების მეთაურებს პირველად ზარაში ნამდვილად არ შეუტყვიათ, როგორც ვილარდუენი აღწერს მოვლენებს.

ბონიფაციის, ვენეციელებს და ალექსის შორის გარკვეული მოლაპარაკება თუ შეთანხმება უკვე ზარას მოვლენებამდე საკმაო ხნით ადრე შედგა. ფაქტიურად რამდენიმე დამთხვევის შემდეგ ყველა მხარე ცდილობდა არსებული რეალობიდან მისთვის სასარგებლო შედეგის მიღებას. ამასთან, კონსტანტინეპოლის აღება იყო დასავლეთის და აღმოსავლეთის საუკუნეზე მეტ ხანს არსებული საკმაოდ მძაფრი ანტაგონიზმის შედეგი. ფაქტიურად დასავლეთში ყველასთვის მისაღები და სასურველი იყო კონსტანტინეპოლის დაცემა: ფილიპ შვაბიელისთვის, ვენეციელებისთვის, ცალკეული ჯვაროსნებისა და რომის პაპისთვისაც, რამდენადაც კონსტანტინეპოლში ტახტზე ავიდოდა რომაული კათოლიკური დინასტია და პატრიარქიც ასევე კათოლიკე იქნებოდა. უბრალო ჯვაროსნებთან ერთი მამოძრავებელი ფაქტორი აგრეთვე იყო ის აურაცხელი რელიქვია, რომელსაც ლათინთა პოზიციიდან უკანონოდ ფლობდნენ სქიზმატიკოსი ბერძნები. შეიძლება ესეც ითქვას, რომ ყველა მონაწილე ძალას ჰქონდა მიმართულების შეცვლის ინტერესი და მეტად თუ ნაკლებად ყველა იყო კიდევ პასუხისმგებელი მიმართულების შეცვლაზე. მოვლენების ძირითად წარმმართველებად რჩებიან ვენეციელები და მათი დოჟი ენრიკო დანდოლო. IV ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგადაც მთავარი მოგებულები ვენეციელები იყვნენ. აქედან ეყრება საფუძველი ვენეციის საზღვაო იმპერიას. თუმცა IV ჯვაროსნული ლაშქრობის მიმართულების შეცვლის ისტორიას ის თვისება აქვს, როდესაც გვგონია, რომ ყველაფერი მწყობრად დალაგდა, გამონდგება ხოლმე ახალი ფაქტი, რომელიც მთელს თეორიას თავდაყირა აყენებს.

კონსტანტინეპოლის პირველი აღება, გარდამავალი პერიოდი, ქალაქის საბოლოო დაცემა

1203 წლის 17 ივლისს ჯვაროსნებმა პირველი იერიში მიიტანეს კონსტანტინეპოლზე.³⁷ კონსტანტინეპოლი ინგლი-

³⁷ აღნიშნულ ქვეთავთან დაკავშირებით იხილეთ შესაბამისი ლიტერატურა: Waas (იხ. შენიშვნა 36), გვ. 247-249; Kretschmer (იხ.

სელი და დანიელი მეომრების ვარიანული გვარდიის სიმა-
 მაცემ იხსნა. მაგრამ ალექსი III ანგელოსი იყო უაღრესად
 სუსტი მმართველი. ჯერ კიდევ ჰაინრიხ VI-ის და გერმანე-
 ლების მუქარის დროს გამოსავალი ის ნახა, რომ დააწესა
 გადასახადი „აღლამანიკონი“, რათა როგორმე თავის დაეხ-
 სნა საფრთხისგან.³⁸ ქვეყნის შიგნით არეულობა სუფევდა
 და საქმეებიც თავისი ცოლისთვის, ეფროსინესთვის, ჰქონ-
 და მინდობილი. ლათინების დასახვედრად არავითარი მო-
 სამზადებელი სამუშაო არ ჩაუტარებია. ალექსი III იმდენ-
 ნად იყო ნადირობით გატაცებული, რომ მტყუპეებს გემე-
 ბის საშენ მასალად ხის მოჭრა ჰქონდათ აკრძალული. ხო-
 ლო მისი ფლოტის ადმირალი ლურსმნების, ლუზების და
 აფრების გაყიდვით იყო დაკავებული. ბიზანტიის ფლოტი
 ამ დროს დაახლოებით ოც დამპალ და ჭიებისგან შეჭმულ
 გემს ითვლიდა.³⁹ მოქირავნეების მამაცური ბრძოლის მიუ-
 ხედავად ალექსი III-მ დაკარგა მხნეობა, თავისი ძვირფასე-
 ულობით და თავის ქალიშვილთან (სხვა ვერსიით საყვა-
 რელთან), ირინესთან ერთად გაიქცა თრაკიის ქალაქ მოსი-
 ნოპოლისში და გარკვეულ ხანს იქვე დარჩა.⁴⁰

იმპერატორის გარეშე დარჩენილმა მოხელეებმა გაა-
 კეთეს სწრაფი და ჭკვიანური სვლა: ციხიდან გამოიყვანეს

შენიშვნა 36), გვ. 297-312; Hussey (იხ. შენიშვნა 36), გვ. 150-151;
 McNeal, Wolff (იხ. შენიშვნა 36), გვ. 176-185; Roscher (იხ. შენიშვნა
 36), გვ. 120; Steven Runciman, *Byzanz. Von der Gründung bis zum Fall
 Konstantinopels* [= Kindlers Kulturgeschichte des Abendlandes, Bd. 8]
 (München, 1976), გვ. 72; Setton (იხ. შენიშვნა 36), გვ. 9-12; Queller
 (იხ. შენიშვნა 36), გვ. 85-148; Godfrey (იხ. შენიშვნა 36), გვ. 113-125;
 Angold (იხ. შენიშვნა 36), გვ. 293-295; Norwich (იხ. შენიშვნა 36),
 გვ. 204-211; Runciman (იხ. შენიშვნა 36), გვ. 888, 893-900; Wirth (იხ.
 შენიშვნა 36), გვ. 124-125; Ralph-Johannes Lilie, *Byzanz, Geschichte des
 oströmischen Reiches 326-1453* (München, 1999), გვ. 90-95; Mayer (იხ.
 შენიშვნა 36), გვ. 238-240.

³⁸ Peter Schreiner, *Byzanz* (München, ²1994), 25.

³⁹ McNeal, Wolff (იხ. შენიშვნა 36), გვ. 176.

⁴⁰ McNeal, Wolff (იხ. შენიშვნა 36), გვ. 179; Angold (იხ. შენიშვნა 36),
 გვ. 294.

ბრმა ისააკი და იმპერატორად გამოაცხადეს. დოჟს და ჯვაროსნებს შეუთვალეს, რომ იმპერატორად აღადგინეს პრეტენდენტის მამა და ბრძოლის აუცილებლობა აღარ იყო. ახალგაზრდა ალექსი აქამდე ისააკის არსებობას მაინცდამაინც ანგარიშს არ უწევდა, მაგრამ, შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, მან და ლათინებმა გაგზავნეს ქალაქში ელჩი: ისააკს ცნობდნენ იმპერატორად, თუკი ბიზანტიელები თანახმა იქნებოდნენ მისი შვილის, ალექსის, თანაიმპერატორად აღიარებაზე, ხოლო ისააკი თანაბრად იტვირთებდა ლათინების წინაშე იმ ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც აიღო მისმა შვილმა. შეთანხმება შედგა და 1203 წლის 1 აგვისტოს ახალგაზრდა პრეტენდენტი ალექსი IV-ის სახელით აკურთხეს ისააკის თანაიმპერატორად. ისააკი და ალექსი IV მთლიანად დამოკიდებულნი იყვნენ ქალაქის წინ დაბანაკებულ ჯვაროსნებზე. ალექსი იყო ახალგაზრდა და სუსტი ნებისყოფის მმართველი, ხშირად მიდიოდა ჯვაროსნების ბანაკში, მონაწილეობას იღებდა მათ გართობასა და ღრეობაში: მთვრალი ლათინი ჯარისკაცები ხშირად თავს უფლებას აძლევდნენ, იმპერატორისთვის გვირგვინი მოეხადათ და თვითონ დაეხურათ თავზე. ადვილი წარმოსადგენია, რომ ბერძნული მოსახლეობის ძირითად ნაწილს ლათინთა მეგობარი იმპერატორები სძულდა. ალექსი IV-მ ლათინებს დიდი ოდენობის თანხა გადაუხადა, მაგრამ მალევე ნათელი შეიქნა, რომ ის ზარას შეთანხმებას ვერ შეასრულებდა. მაშინ ალექსი IV ჯვაროსნების ლიდერების ძვირფასი საჩუქრებით დამშვიდებას ცდილობს. თუმცა ამგვარი ქცევით ალბათ მხოლოდ მათი სიხარბე გააღვიძა. რაკი ხაზინა ცარიელი იყო, შემოიტანა ახალი გადასახადები, რასაც ხალხის აღშფოთება მოჰყვა: ყველამ იცოდა, სად მიედინებოდა ფულის დიდი ნაწილი. სასულიერო პირები შოკირებულნი იყვნენ, როდესაც ალექსი IV მათ საეკლესიო ვერცხლს დაეპატრონა და მისი გადადნობა დაიწყო.⁴¹ შეიტყვეს აგრეთვე მისი გეგმების შესახებ, რომ ორთოდოქსული ეკლესია რომის ეკლესიას უნდა შეერთებოდა. რასაც ორთოდოქსული

⁴¹ Queller (იხ. შენიშვნა 36), გვ. 116.

სამღვდელოების მხრიდან გააფთრებული წინააღმდეგობა მოჰყვა.

ალექსი IV-მ 1203 წლის ზაფხულის დასასრულს და შემოდგომაზე ჯვაროსნებთან ერთად მოაწყო მცირე სამხედრო ექსპედიცია გაქცეული ალექსი III-ის წინააღმდეგ, ამ დროს კონსტანტინეპოლში მოთარეშე ცალკეულმა ჯვაროსნებმა დაწვეს მეჩეთი. მაგრამ ცეცხლი გავრცელდა და ხანძარის შედეგად დაიწვა ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი. ალექსი IV უკან დაბრუნდა ნოემბრის დასაწყისში და დედაქალაქი დახვდა სანახევროდ განადგურებული. გამწარებულ ხალხში სულ უფრო მატულობდა ანტი-ლათინური განწყობილებები. ალექსი IV-მ თანდათანობით ლათინებისგან დისტანცირება დაიწყო. ბოლოს თანხის გადახდის პროცესიც შეაჩერა. ის იდგა დილემის წინაშე: რაც უფრო დიდ ხანს დარჩებოდნენ ჯვაროსნები, უფრო შესძულდებოდა ადგილობრივ მოსახლეობას; მეორეს მხრივ, არ ჰქონდა მათი გასასტუმრებელი ფული; ამასთან, ჯვაროსნების გარეშე ის დასაყრდენის გარეშე რჩებოდა, რაკი ადგილობრივი მოსახლეობა მხარს არ უჭერდა. თავის მხრივ უკმაყოფილებას აღარ მალავდნენ ჯვაროსნებიც, რომლებიც ხედავდნენ, რომ ალექსი IV-მ დანაპირები არ შეასრულა. კონსტანტინეპოლში გამეფებული ანტილათინური განწყობილება გავრცელდა პიზელეზზე, გენუელეზზე და სხვა ადგილობრივ ლათინეზზე, რომლებიც ქალაქის პირველი ალყისას იბრძოდნენ ბერძნების მხარეს. ისინი იძულებულნი გახდნენ ქალაქიდან გაქცეულიყვნენ. დაახლოებით 15 000 ადამიანი გადავიდა ჯვაროსნების ბანაკში.

ჯვაროსნების ელჩობაზე ალექსი IV-მ უპასუხა, რომ მან უკვე საკმარისი ფული გადაუხადა ლათინებს. ნოემბრის ბოლო დღეებში დოჟი კიდევ ერთხელ შეხვდა ალექსის და დაემუქრა, თუ ის პირობას არ შეასრულებდა. ალექსიმ უხეშად უპასუხა, რაზეც დოჟმა მიმართა: ჩვენ ამოგათრიეთ ქუჩის ტალახიდან და ჩვენვე ჩაგაგდებთ უკან. თუმცა ბონიფაცი ბოლომდე ცდილობდა ალექსი IV-სთან საერთო ენის პოვნას. რადგან ლათინების მდგომარეობა არ იყო საუკეთესო. იყვნენ მტრულ ქვეყანაში, ევროპიდან ახალი ძალების მოსვლის იმედი არ იყო, ქალაქიდან

პროვიანტით მომარაგება შეუწყვიტეს.⁴² შემოდგომაზე ალექსი III-ის ქალიშვილის, ევლოკიას, საყვარელმა ალექსიმ, მეტსახელად „მურზუფლოსმა“ (თავისი სქელი წარბების გამო), მოახერხა ალექსი IV-ის კეთილგანწყობის მოპოვება, მიიღო პროტოვესტიარიოსის ტიტული და ძალაუფლების ძირითადი ნაწილიც მის ხელში აღმოჩნდა თავმოყრილი. 1203 წლის დეკემბრის დასაწყისში ლათინები და ბიზანტიელები უკვე საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ვენეციელების ფლოტის გადაწვა ალექსი IV-ის თუ მისი გარემოცვის მითითებით სცადეს ორჯერ: დეკემბრის შუაში და 1204 წლის 1 იანვარს, როდესაც აღმოდებული გემები გაუშვეს ლათინთა ფლოტის მიმართულებით. ვენეციელებმა ძლივს შეძლეს თავიანთი ფლოტის გადარჩენა. ფლოტის განადგურების შემთხვევაში ჯვაროსნები მძიმე ვითარებაში იქნებოდნენ, რადგან ველარ დაბრუნდებოდნენ უკან და ველარ შეძლებდნენ ქალაქის აღებას, რაკი ალყისას ძირითადი დარტყმა სწორედ ფლოტის და გემებზე მყოფი სამხედროების მეშვეობით ხორციელდებოდა.

1204 წლის 28-29 იანვარს კონსტანტინეპოლში დაიწყო სახალხო ანტილათინური გამოსვლები. არეულობის დროს ზომიერი პარტია ითხოვდა ხელი არ ეხლათ ალექსი IV-ისთვის, რაკი მაშინ ლათინებს სრულიად ეხსნებოდათ ხელი, ემოქმედათ მთელი ძალებით ბიზანტიელთა წინააღმდეგ. არეულობებს შესაძლოა ფარულად აქეზებდა და მხარს უჭერდა ალექსი მურზუფლოსი. ბრბომ თავიდან განდგურა ფიდიასის შექმნილი ათენას ქანდაკება, რომელიც მათი წარმოდგენით იყურებოდა დასავლეთისკენ და თითქოს ხელით უხმობდა დამპყრობლებს (სინამდვილეში ქანდაკება უყურებდა სამხრეთს). შემდეგ შეიკრიბნენ აია სოფიაში და დაიწყეს ახალი იმპერატორის არჩევა: შეთავაზებაზე ყველა უარს ამბობდა. ერთი არაფრით გამორჩეული ახალგაზრდა დიდებული, ნიკოლაუს კანაბუსი, აიძულეს, დათანხმებოდა იმპერატორობას. ალექსი IV ბოლოს შეეცდებოდა დასახმარებლად უხმოს ძველ მხარდამჭერს, ბონიფაცი მონფერატს. მაგრამ მურზუფლოსმა მისი ეს გან-

⁴² Kretschmer (იხ. შენიშვნა 36), გვ. 304.

ზრახვა გაუმხილა ბერძნებს. სავარაუდოდ ამ ფაქტს მოყვა გამოსვლები, ან ამის შემდეგ ბრბო კიდევ უფრო გამძვინვარდა. ალექსი მურზუფლოსი შევა ალექსი IV-სთან და შეაშინებს მას, რომ ხალხი უკვე სასახლისკენ მოემართება მის მოსაკლავად. მურზუფლოსის მსახურები იმპერატორს თითქოს დასამალად გაიყვანენ, სინამდვილეში კი ალექსი IV დილეგში აღმოჩნდება. მურზუფლოსმა რამდენჯერმე უშედეგოდ სცადა დაპატიმრებული ალექსი IV-ის მოწამვლა. ბოლოს, 8 თებერვალს, ალექსი IV-ს დაახრჩობენ ციხეში. მურზუფლოსი ასევე აკვლევინებს ნიკოლაუს კანაბუსს.⁴³ მანამდე მურზუფლოსი თავს დაესხა ბაღდუის ფლანდრიელის ძმის, ანრის რაზმს, რომელიც პროვიანტის მოპოვების შემდეგ ბრუნდებოდა ბანაკში. ბიზანტიელები დამარცხდნენ და მურზუფლოსმა ბრძოლაში დაკარგა ბიზანტიის მფარველი წმინდა ხატი და საიმპერატორო დროშა. როდესაც უკან დაბრუნებულს ჰკითხეს, სად არის საკრალური ნივთები, უპასუხა, რომ უკვე შეანახინა ისინი. ეს ამბავი მივიდა ჯვაროსნებამდე. ლათინებმა კონსტანტინეპოლის წინ გემით საზეიმოდ ჩაატარეს ხატი და დროშა. მურზუფლოსმა ალექსი IV სავარაუდოდ სწორედ ამ ფაქტით გამძვინვარებულმა მოაკვლევინა.⁴⁴ ისააკი რამდენიმე დღეში გარდაიცვალა: როდესაც თავისი შვილის ამბავი გაიგო, ასევე ცუდი მოპყრობისგან (სხვა ვერსიით ის მურზუფლოსმა მოკლა).

მურზუფლოსი იმპერატორის ტახტზე ავიდა ალექსი V-ის სახელით. ალექსი V მურზუფლოსმა, ალექსი IV-ის დაპატიმრების შემდეგ (ანრის რაზმთან შეტაკებამდე და ალექსი IV-ის მოკვლამდე), ვიდრე ჯვაროსნები ამ ამბავს შეიტყობდნენ, ლათინთა ლიდერებს ალექსი IV-ის სახელით გაუგზავნა მოწვევა შეხვედრაზე. ბოლო წუთს ენრიკო დანდოლოს ეჭვი შეეპარა მოწვევის სინამდვილეში და დანარჩენ ლიდერებს შეხვედრაზე უარის თქმა მოსთხოვა. სასახლის რეკოლუცია ჯვაროსნებისთვის პირდაპირი გამოწვევა იყო, მით უმეტეს, ალექსი V უარს ამბობდა შეეს-

⁴³ Waas (იხ. შენიშვნა 36), გვ. 247-249.

⁴⁴ Queller (იხ. შენიშვნა 36), გვ. 136.

რულებინა ალექსი IV-ის მიერ აღებული ნებისმიერი ვალდებულება. თებერვალში მურზუფლოსი ღია სივრცეში ერთი ერთზე შეხვდა ენრიკო დანდოლოს, სადაც დოჟმა პრაქტიკულად შეუსრულებელი მოთხოვნები წაუყენა, რითიც სავარაუდოდ მოვლენების დაჩქარება სურდა. შეხვედრის დამთავრებისას მოულოდნელად შორიდან დაიძრნენ დოჟის თანმხლებლები და ვერაგულად შეეცადნენ მურზუფლოსის ხელში ჩაგდებას. მაგრამ მურზუფლოსმა გამოასწრო მდევრებს (ლათინების ამგვარი მოქმედება ალბათ იყო პასუხი მურზუფლოსის მიერ თავისი პატრონის ასევე ვერაგულ მოკვლაზე. პატრონის ორგულობა ლათინებთან ყველაზე დიდ ცოდვად ითვლებოდა). ვენეციელები უკვე დიდი ხანია მოითხოვდნენ კონსტანტინეპოლის შტურმით აღებას და იქ ლათინი იმპერატორის ინსტალაციას. მორალურად ჯვაროსნებს უკეთესი პოზიცია ეკავათ: ალექსი IV მაინც სამართლებრივი იმპერატორი და მათი ყოფილი მოკავშირე იყო. ალექსი V-ის შემთხვევაში საქმე ჰქონდათ უზურპატორთან, რომელიც მკვლელიც აღმოჩნდა.

ყველა სირთულის მიუხედავად, როგორც ჩანს, ჯვაროსნებს წარმატების ურყევი რწმენა მაინც ჰქონდათ. 1204 წლის მარტის თვეში ვენეციელებმა და ჯვაროსნებმა დაიწყეს მოლაპარაკებები ბიზანტიის იმპერიის გაყოფასთან დაკავშირებით. ჯვაროსნების ნაწილი მომხრე იყო, იმპერატორად აერჩიათ ფილიპ შვაბიელი, რითაც დასავლეთის და აღმოსავლეთის იმპერიები გაერთიანდებოდა. მაგრამ ფილიპი კონსტანტინეპოლიდან შორს იყო. გარდა ამისა, იმ დროს ეკლესიიდან განკვეთილი გახლდათ რომის პაპის მიერ და არც ვენეციელებისთვის იყო ძლიერი ერთიანი იმპერიის იდეა მომხიბვლელი. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ექვსი ვენეციელისა და ექვსი ფრანკისაგან შემდგარი საბჭო კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ აირჩევა იმპერატორს. თუ იმპერატორი იქნებოდა ფრანკი, პატრიარქი მაშინ ვენეციელი უნდა ყოფილიყო. ვენეციის დოჟს იმპერატორის ტიტულის ინტერესი არ ჰქონია. ურწმუნოთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა აღარავის ახსოვდა. ალექსი V ენერგიული მმართველი აღმოჩნდა. აამაღლებინა ქალაქის გალავანი რამდენიმე, შედარებით დაუცველ ად-

გილას. შეეცადა აგრეთვე მოსახლეობის თავდაცვისთვის ორგანიზირებას. კონსტანტინეპოლზე საბოლოო შტურმისთვის ჯვაროსნებს მთლიანობაში ჰყავდათ დაახლოებით 20 000 მეომარი. 1204 წლის 6 აპრილს ჯვაროსნების პირველი თავდასხმის მოგერიება შეძლეს. თუმცა ალექსი V-ის მცდელობა საბოლოოდ ამაო გამოდგა. ლათინები კონსტანტინეპოლში შეიჭრნენ 1204 წლის 12 აპრილს. ქალაქი მთლიანად დაიკავეს 13 აპრილს, რის მერეც ბარბაროსულად გაძარცვეს ის. ეს იყო ბედის ირონია, რომ აღმოსავლეთ ქრისტიანობის იმპერია, რომელიც ამდენ ხანს აკავებდა ისლამს, დაამხეს ჯვარის ნიშნით აღჭურვილმა მემრებმა.⁴⁵

*ბიზანტიის იმპერიის გაყოფა ჯვაროსნების მიერ
და ლათინთა იმპერიის დასაწყისი პერიოდი*

ქალაქის აღების შემდეგ აირჩიეს იმპერატორი. ვენეციელებს არ სურდათ პიროვნულად უფრო ძლიერი ბონიფაცი მონფერატის მმართველობა.⁴⁶ ამასთან, ბონიფაცი

⁴⁵ Norwich (იხ. შენიშვნა 36), გვ. 217.

⁴⁶ 1204 წლის აპრილში კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებით შდრ.: Waas (იხ. შენიშვნა 36), გვ. 249-253; Alice Gardner, *The Lascarids of Nicaea: The story of an empire in exile* (Amsterdam, 1964) [Unchanged Repr. of the Ed. London 1912], გვ. 35-51; Kretschmer (იხ. შენიშვნა 36), გვ. 313-321; Ernst Gerland, *Geschichte des lateinischen Kaiserreiches von Konstantinopel*, Bd. 1: *Geschichte der Kaiser Balduin I. und Heinrich 1204-1216* (Darmstadt, 1966) [Unveränd. Nachdr. der Ausg. Homburg von der Höhe 1905], გვ. 20-47; Hussey (იხ. შენიშვნა 36), გვ. 123-151; Robert Lee Wolff, *The Latin Empire of Constantinople, 1204-1261*, in: *A History of the Crusades*, Gen. Ed. Kenneth M. Setton, Vol. 2, *The Later Crusades, 1189-1311*, Ed. by Robert Lee Wolff and Harry W. Hazard (Madison, Milwaukee and London, ²1969), გვ. 187-195; Setton (იხ. შენიშვნა 36), გვ. 13-25; Godfrey (იხ. შენიშვნა 36), გვ. 138; Donald E. Queller, *A Century of Controversy on the Fourth Crusade*, in: Id., *Medieval Diplomacy and the Fourth Crusade* (London, 1980), გვ. 235-277; Norwich (იხ. შენიშვნა 36),

დაკავშირებული იყო შტაუფენებთან, კარგი ურთიერთობა ჰქონდა ვენეციის მტრებთან, გენუელებთან და მისი სამფლობელოები გაცილებით ახლოს იყო ვენეციასთან, ვიდრე ბალდუინის ფლანდრია. ფრანკების ხმები გაიყო, სამმა მხარი დაუჭირა ბონიფაციუსს, სამმა – ბალდუინს. დოჟის მითითებით ვენეციელები ერთხმად მიემხრნენ ბალდუინს, რომელიც 1204 წლის 9 მაისს აირჩიეს და 16 მაისს აკურთხეს იმპერატორად. ეს არჩევანი დამარცხება იყო ფილიპ შვაბიელისთვისაც. მეგვიდრეობაზე მის პრეტენზიებს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს და ფილიპს არ ჰქონდა ძალა, რომ ისინი დაეცვა. იმპერატორის ძალაუფლება თავიდანვე უადრესად შეზღუდული იყო, ხოლო ბიზანტიის იმპერია სამად გაიყო იმპერატორს, ვენეციელებს და არავენეციელ ჯვაროსნებს შორის. დოჟის ვასალები იმპერატორის ერთგულებაზე დებდნენ ფიცს, თვითონ დოჟს არავითარი იურიდიული ვალდებულება იმპერატორის წინაშე არ ჰქონდა. ნამდვილი გამარჯვებულები გამოვიდნენ დოჟი და ვენეციელები. ქალაქის დაპყრობის შემდგომი მოვლენები შესაძლოა მიგვანიშნებდნენ, ვინ მართავდა მოვლენებს მანამდეც. ინოკენტი III-სთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე პატრიარქად აირჩიეს ვენეციელი ტომაზო მოროზინი. ბერძნების წინააღმდეგობის მოძრაობის ცენტრი იყო ნიკეის იმპერია, რომლის ჯერ მმართველი და მალევე იმპერატორი გახდება თეოდორ ლასკარისი. ლასკარისი იყო ალექსი III-ის ქალიშვილის, ანას, ქმარი და ეს დაუდო საფუძვლად თავისი ტახტზე ყოფნის ლეგიტიმურობას.⁴⁷ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ასევე ჩრდილოეთ საბერძნეთში აღმოცენებულ ეპირუსის დესპოტატს, რომელსაც ანგელოსთა დინასტიის წარმომადგენელი მართავდა. კონკრეტულ ძალას წარმოდგენდა ბუღარეთის სამეფო. ბუღარეთმა IV ჯვაროსნულ ლაშქრობამდე ცოტა ხნით ადრე ბიზანტიისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა. აქვე შევეხები კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ განვითარებულ

გვ. 212-223; Runciman (იხ. შენიშვნა 36), გვ. 900 -907; Wirth (იხ. შენიშვნა 36), გვ. 126-129; Mayer (იხ. შენიშვნა 36), გვ. 240-244.

⁴⁷ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 35.

რიგ მოვლენებს და რამდენიმე პოლიტიკური ფიგურის ბედს, რისი გათვალისწინებაც ქართული მასალის ანალიზისთვის აუცილებელია.

აღექსი V მურზუფლოსი. მურზუფლოსმა კონსტანტინეპოლის აღების დამეს დატოვა ქალაქი აღექსი III-ის ქალიშვილთან, ევდოკიასთან ერთად, რომელთანაც სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა. თან წაიყვანა აგრეთვე აღექსი III-ის ცოლი, ეფროსინე. გაემართნენ თრაკიისკენ, სადაც ევდოკიაზე იქორწინა.⁴⁸ აღექსი V თავიდან იყო ძურუფლონში. მაგრამ ჯვაროსნები კონსტანტინეპოლიდან თრაკიის მიმართულებით წავიდნენ სალაშქროდ. წინ გაუშვეს ახალი იმპერატორის, ბალდუინის, ძმა ანრი, რომელმაც გააშინდა გზა ადრიანოპოლამდე და ეს ქალაქიც დაიკავა. აღექსი V-მ ძურუფლონში თავი მშვიდად ვეღარ იგრძნო. გაიქცა ცოლთან და სიდედრთან ერთად მოსინოპოლისისკენ, სადაც იმყოფებოდა მისი სიმამრი აღექსი III. მათ შორის მოლაპარაკება შედგა და თითქოს შერიგდნენ კიდევ. მურზუფლოსი მაინც ქალაქის გარეთ დარჩა, თუმცა რამდენიმე დღეში სიმამრმა სიძე (კონკურენტი ექს-იმპერატორი) სტუმრად მიიწვია ქალაქში. აღექსი V მიენდო მიწვევას და წავიდა რამდენიმე კაცის თანხლებით. მაგრამ აბანოს ოთახში თავს დაესხნენ აღექსი III-ის მსახურები და დააბრმავეს. აბანოს კარებში იღვა ევდოკია და მამამისს წყევლიდა. ეს უკანასკნელი კი ქალიშვილს უსირცხვილოს უძახდა. დაბრმავებული მურზუფლოსი თავიდან მოსინოპოლისის გარშემო დახეტიალობდა. მისი გარემოცვა გაიფანტა.⁴⁹ აღექსი V-ის შემდგომი ბედიც უაღრესად ტრაგიკულია. მოსინოპოლისის უბედურების შემდეგ მან დაბრმავებულმა გადალახა დარდანელი, დახეტიალობდა მცირე აზიაში და აქ დაახლოებით 1204 წლის ნოემბერში ხელში ჩაუვარდა ლათინებს, სახელდობრ გრაფ დიტრის

⁴⁸ Queller (იხ. შენიშვნა 36), გვ. 147; Kretschmer (იხ. შენიშვნა 36), გვ. 311; Godfrey, 1204 (იხ. შენიშვნა 36), გვ. 123; Norwich (იხ. შენიშვნა 36), გვ. 212.

⁴⁹ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 21-22; შდრ. ასევე: Norwich (იხ. შენიშვნა 36), გვ. 216; Kretschmer (იხ. შენიშვნა 36), გვ. 319-320.

ფონ ლოსს. ამ უკანასკნელმა გაგზავნა კონსტანტინეპოლში, სადაც ბაღდუინის ბრძანებით დაუნდობლად დასჯიან სიკვდილით. დოჟის წინადადებით ტაუროსის მოედანზე აიყვანენ თეოდოსიუსის სვეტზე და ხალხის თანდასწრებით გადმოაგდებენ იქიდან ისედაც ხეიბარ ადამიანს, რომელიც პრინციპში სამშობლოსთვის იბრძოდა.⁵⁰

ბაღდუინ IX ფლანდრიელი, კონსტანტინეპოლის პირველი ლათინი იმპერატორი. ბულგარელებისთვის უფრო მისაღები იქნებოდა ლათინებთან მშვიდობიანი დამოკიდებულება, მაგრამ ჯვაროსანმა იმპერატორმა პრეტენზია გამოაცხადა იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მანამდე დაიკავა ბულგარელთა მეფე კალოიანმა, იგივე იოანიცამ. 1205 წლის 25 მარტს ბაღდუინი კონსტანტინეპოლიდან დაიძრა მხოლოდ 140 რაინდის თანხლებით, ისე რომ არ დაელოდა აზიიდან რაზმების გადმოსვლას. უნდოდა ადრიანოპელი დაებრუნებინა კალოიანის გამოჩენამდე. 29 მარტს მივიდნენ ადრიანოპელთან. 1 აპრილს იქვე ჩავიდა დოჟი ვენეციელებთან ერთად, დაახლოებით იგივე რაოდენობის მეომრებით, რაც ბაღდუინს ჰყავდა. ორ აპრილს მათ შეუერთდათ ჯვაროსანი კნეხტების კიდევ ერთი რაზმი. ადრიანოპელის მცხოვრები ბერძნები ბულგარელებისგანაც არ ელოდნენ უკეთესს. მზად იყვნენ დანებებოდნენ ბაღდუინს და არა საძულველ ვენეციელებს. ბაღდუინმა დანდოლოს შესთავაზა მიწების გაცვლა, რათა ვენეციელებს დაეთმოთ ადრიანოპელი, რომელიც ბიზანტიის იმპერიის გადანაწილებისას მათ ერგოთ. დოჟი არ დათანხმდა და ბაღდუინი იძულებული გახდა, ბერძნებთან მოლაპარაკება შეეწყვიტა. ქალაქი სწრაფად ვერ აიღეს. თვითონ მოაღყეებს შემოაკლდათ პროვიანტი. 13 აპრილს გამოჩნდნენ კალოიანის ყივჩაღები. 14 აპრილს გაიმართა ცენტრალური ბრძოლა. ყივჩაღებმა გააკეთეს ბრძოლის ველიდან გაქცევის იმიტაცია. ამ დროს გამოჩნდნენ ბულგარელები და ვაღახები. ჯვა-

⁵⁰ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 32-33; შდრ. ასევე: Kretschmer (იხ. შენიშვნა 36), გვ. 319-320; Gardner (იხ. შენიშვნა 47), გვ. 63; Hussey (იხ. შენიშვნა 36), გვ. 151; Godfrey (იხ. შენიშვნა 36), გვ. 138; Norwich (იხ. შენიშვნა 36), გვ. 216.

როსნებს უკან დახვევის საშუალება ჰქონდათ, მაგრამ რაინდული ღირსების გამო ბრძოლა გააგრძელეს. დამარცხდნენ და ბალდუინი ტყვედ ჩავარდა. ბრძოლაში ასევე დაიღუპა ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი მეთაური ლუდოვიკო დე ბლუა.⁵¹

ბალდუინი სავარაუდოდ მოკლეს კალოიანის ბრძანებით. თავიდან დიდებულ ტყვეს მისი მდგომარეობის შესაფერისად ეპყრობოდა. სამშვიდობო მოლაპარაკებებში ბალდუინის ფაქტორის გამოყენება სურდა. მაგრამ 1205 წლის ზაფხულში კალოიანმა ვერ შეძლო ფრანკების თრაკიიდან და მაკედონიიდან ერთი დარტყმით განდევნა. ასევე ბერძნებმაც, რომელთაც კალოიანს თავიდან იმპერატორის გვირგვინი შესთავაზეს, პოზიცია შეიცვალეს. ბულგარელთა მეფე შეიპყრო დაუოკებელმა მძვინვარებამ. ამას დაემატა ინოკენტი III-ის წერილი 1205 წლის ზაფხულში, სადაც ლათინთა იმპერიის და უნგრეთის ალიანსით ემუქრებოდა, ასევე კონსტანტინეპოლში ახალი ჯარის გაგზავნით. კალოიანმა თავისი ტყვე სავარაუდოდ რისხვის ერთჯერადი აფეთქებისას მხეცურად მოკლა თავის დედაქალაქ ტირნოვოში. ლეგენდის მიხედვით, ბალდუინის თავის ქალას იყენებდა სასმისად. მალე ინანა, რადგან ძვირფასი კოზირი დაკარგა და ყოველგვარი მოლაპარაკება უაზრო გახდა. ბულგარელებთან ბრძოლიდან მალე, 1205 წლის ივნისში გარდაიცვალა ვენეციის დოჟიც.⁵²

ბონიფაცი მონფერატი. ბონიფაცი მონფერატმა უარი თქვა მცირე აზიაზე, რომლის დაპყრობაც დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული. ამის სანაცვლოდ მიიღო მაკედონია და თესალია, სადაც დააარსა თესალონიკის

⁵¹ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 45-50; შდრ. ასევე: Gardner (იხ. შენიშვნა 47), გვ. 66; Setton (იხ. შენიშვნა 36), გვ. 20; Schreiner (იხ. შენიშვნა 39), 27; Norwich (იხ. შენიშვნა 36), გვ. 216; Runciman (იხ. შენიშვნა 36), გვ. 903.

⁵² Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 57, 91-92; შდრ. ასევე: Waas (იხ. შენიშვნა 36), გვ. 251; Kretschmer (იხ. შენიშვნა 36), გვ. 320; Setton (იხ. შენიშვნა 36), გვ. 20; Norwich (იხ. შენიშვნა 36), გვ. 221; Runciman (იხ. შენიშვნა 36), გვ. 903.

სამეფო.⁵³ ბონიფაციმ ცოლად შეირთო იმპერატორის, ისააკ ანგელოსის, ქვრივი მარგარიტა, უნგრეთის მეფის და. ამგვარად ბონიფაცი გახდა გარდაცვლილი ალექსი IV-ის ძმის, მანუელ ანგელოსის, მამინაცვალი.⁵⁴ ბონიფაციის მოუვა დაპირისპირება ბალდუინთან, რაკი იმპერატორს თესალონიკის მითვისება სურდა. ბონიფაცი ბალდუინისგან ითხოვდა, შეეწყვიტა დასავლეთისკენ ლაშქრობა და ერთად წასულიყვნენ კალოიანის წინააღმდეგ. ბოლოს ვენეციელების შუამავლობით შედგა შეთანხმება: ბონიფაციის თავი უნდა დაენებებინა ადრიანოპელის ალყისთვის, რომელიც მან ბალდუინის მოქმედების საპირისპიროდ დაიწყო, დაბრუნებულიყო დიდმოტიხონში და თესალონიკის ბედის გადაწყვეტა მიენდო ოთხი მსაჯულისთვის. თუმცა თესალონიკის ბედი ამ დროისთვის (1204 წლის 12 აგვისტო) უკვე გადაწყვეტილი იყო. ბონიფაციმ ვენეციელებთან დადო საიდუმლო შეთანხმება და მიყიდა კრეტა, რის სანაცვლოდაც ვენეციელებმა ბონიფაციის დაუჭირეს მხარი. ვენეციელებს დაპყრობილი ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიებიდან არ ჰქონიათ ინტერესი შიდა მხარეებზე, სამაგიეროდ დასავლეთიდან კონსტანტინეპოლამდე მათს ხელში აღმოჩნდა ფაქტიურად ყველა საკვანძო ნავსადგური. მსაჯულებიდან სამი ფრანგი იყო და ერთი ვენეციელი, მაგრამ რაკი ფრანგებსაც მშვიდობის დამყარება სურდათ, თავისდა უნებურად ხელი შეუწყვეს ვენეციელებს. თუ დოჟმა იმპერატორად არჩევისას ბალდუინს დაუჭირა მხარი, როდესაც მან უკვე რეალური ძალაუფლების მოპოვება დაიწყო, მაშინვე ბონიფაციის მხარეს გადავიდა კონკრეტული საკითხის გადაწყვეტისას.⁵⁵ ბონიფაციმ ილაშქრა ცენტრალურ და სამხრეთ საბერძნეთში, სადაც მისი მხარდაჭერით წარმოიქმნა მთელი რიგი ლათინური სამთავროები: ატიკასა და ბეოტიაში ათენის საჰერცოგო, მორეის ნახევარკუნძულზე

⁵³ Kretschmer (იხ. შენიშვნა 36), გვ. 317.

⁵⁴ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 20-21; Kretschmer (იხ. შენიშვნა 36), გვ. 317; Norwich (იხ. შენიშვნა 36), გვ. 214.

⁵⁵ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 22-25; შდრ. ასევე: Schreiner (იხ. შენიშვნა 39), გვ. 26.

აქაიის სამთავრო. ათენის საჰერცოგო ბონიფაციმ ლენად მისცა ფრანგ ოტო დე ლა როშს, ხოლო აქაიის სამთავრო – ასევე ფრანგს, გიომ შამპლიტს.⁵⁶ ბალდუინის დამარცხების შემდეგ ბულგარელთა მეფე თავს დაესხა თესალონიკის სამეფოს, როდესაც ბონიფაციის დაპყრობითი ექსპედიცია ჰქონდა მოწყობილი ნახევარკუნძულის სამხრეთში. ბონიფაცი სწრაფად წამოვიდა უკან და თესალონიკის დაცვა შეძლო. კალოიანი 1205 წლის ზაფხულში დაბრუნდა ბულგარეთში.⁵⁷

ბონიფაციის ხელში თესალონიკის სამეფო იქცა ანგარიშგასაწევ ძაღად. ახალი ლათინი იმპერატორი ანრი და ბონიფაცი მარტივად მორიგდნენ ერთმანეთთან.⁵⁸ ბონიფაციმ თავყანი სცა იმპერატორს, როგორც მასზე უზენაესს. ლათინებს შორის საყოველთაო მხიარულება სუფევდა. ოქტომბერში კალოიანის წინააღმდეგ საერთო ლაშქრობა დაიქვეს. ბონიფაცი შემდეგ ხუთი დღე მოსინოპოლისში გაჩერდა. ბერძნების თხოვნით, ეს ხდება 1207 წლის სექტემბერში, ახლოს მდებარე მთებში გაილაშქრა ბულგარელების წინააღმდეგ. მაგრამ ბულგარელები მოულოდნელად დაესხნენ თავს და სასიკვდილოდ დაჭრეს. შემდეგ ბონიფაციის თავი მოკვეთეს და კალოიანს გაუგზავნეს.⁵⁹

ბულგარელთა მეფე კალოიანი. 1204 წლის ზაფხულში კალოიანის მცდელობას, საერთო ენა გამოენახა ჯვაროსნებთან, შედეგი არ მოჰყვა, რაკი ლათინები ქედმაღლურად უყურებდნენ. 1204 წლის შემოდგომაზე ჯერ კიდევ სიმშვიდე სუფევდა. თუმცა ფრანკებმა მტრული მოქმედება დაიწყეს, როდესაც დააარსეს ფილიპოპელის საჰერცოგო. კალოიანი აღნიშნულ ტერიტორიას თავის საკუთრებად თვლიდა. დაახლოებით ამ ხანებშივე თრაკიელმა ბერძნებმა ბულგარელთა მეფეს ბიზანტიის იმპერატორის ტახტი

⁵⁶ Kretschmer (იხ. შენიშვნა 36), გვ. 317; Wirth (იხ. შენიშვნა 36), გვ. 129.

⁵⁷ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 56.

⁵⁸ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 97.

⁵⁹ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 116; შდრ. ასევე: Gardner (იხ. შენიშვნა 47), გვ. 74; Kretschmer (იხ. შენიშვნა 36), გვ. 317.

შესთავაზეს.⁶⁰ ამას მოჰყვა უკვე დაპირისპირებები ბაღდუინთან, შემდეგ – ბონიფაციისთან. 1206 წლის ზაფხულში კალოიანმა გაძარცვა თრაკიის დიდი ნაწილი და კონსტანტინოპოლის კედლებამდეც მივიდა.⁶¹ 1207 წლის 7 მარტს კალოიანმა ხელახლა შეკრიბა ბულგარელების, ვალახების, ყივჩაღების ჯარი და კონსტანტინეპოლის კედლებთან გამონდდა. მთავარი ძალით დაიწყო ადრიანოპელის აღწევა. იმავე დროს, მცირე აზიაში სამხედრო კამპანია განაახლდა ლასკარისმა. ლათინმა იმპერატორმა ანრიმ შეძლო აზიაში დაკავებული პუნქტების ნაწილობრივი დაცვა. აპრილში ადრიანოპელი დაცემის პირას იყო, მაგრამ თრაკიის გაძარცვის შემდეგ ყივჩაღებმა გამოაცხადეს, რომ უკან სურდათ გაბრუნება და კალოიანიც იძულებული გახდა, აღწევა მოესხნა.⁶² ბონიფაციის მოკვლის შემდეგ კალოიანს სურდა არეულობით ესარგებლა და თესალონიკი აეღო. მაგრამ შეთქმულებმა კალოიანი თავისივე კარავში მოკლეს 1207 წლის ოქტომბერში. შეთქმულებს მეთაურობდნენ კალოიანის ყივჩაღი ცოლი და ძმისშვილი ბორილი, რომელსაც ეს ყივჩაღი ქალი რამდენიმე კვირაში ცოლად გაჰყვა. მოკლეს სავარაუდოდ 8 ოქტომბერს.⁶³

ბიზანტიის იმპერატორი ალექსი III. ალექსი III 1203 წლის ზაფხულში, მას მერე, რაც კონსტანტინეპოლიდან გაიქცა, რაკი ფილიპოპელში არ შეუშვეს, გაჩერდა მოსინოპოლისში.⁶⁴ 1204 წლის ზაფხულის კამპანიის დროს, რომელიც მოაწყო ბაღდუინმა, ალექსი III დასავლეთ თრაკიიდან გარბის.⁶⁵ ეს ხდება მისი სამარცხვინო საქციელის შემდეგ, როდესაც დააბრმავებინა ალექსი V მურზუფლოსი. ალექსი III ცოლთან და ქალიშვილთან ერთად გაემართა თესალონიკიში, რაკი აქ ბონიფაციის და ბაღდუინის

⁶⁰ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 43-44.

⁶¹ Norwich (იხ. შენიშვნა 36), გვ. 222.

⁶² Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 110-112.

⁶³ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 117; Schreiner (იხ. შენიშვნა 39), გვ. 27; Norwich (იხ. შენიშვნა 36), გვ. 222.

⁶⁴ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 21.

⁶⁵ Setton (იხ. შენიშვნა 36), გვ. 16.

დაპირისპირებისგან გამორჩენას ელოდა. ბონიფაციმ ნება მისცა, წასულიყო თესალიაში და იქ, სადაც დედოფალ ეფროსინეს მნიშვნელოვანი მამულები ჰქონდა, ეცხოვრა როგორც კერძო პირს. 1204 წლის იმპერიის გაყოფის ტრაქტატის მიხედვით, ეფროსინეს სამფლობელოები ერგო ძირითადად ბალდუინს. ბონიფაცი ალექსი III-ის მეშვეობით ბალდუინს უმზადებდა სირთულეებს. მაგრამ მარკიზმა თავისი ახალი პროტექტუს ინტრიგანი ბუნება სათანადოდ ვერ შეაფასა. ალექსი მალევე დაუკავშირდა ლეონ სგუროსს, პელოპონესის დამორჩილების ბერძენ პრეტენდენტს. მიათხოვა თავისი ქალიშვილი ევდოკია, ალექსი V მურზუფლოსის ქვრივი. მაგრამ ინტრიგებს ბოლო მოუღო ბონიფაციის ლაშქრობამ, როდესაც სგუროსმა თავიდან სამხრეთ საბერძნეთში გაქცევით უშველა თავს. მაშინ ალექსი III-მ მიმართა ეპირუსის დესპოტს, მიხაელ I-ს, და ძაფები გააბა თესალონიკის ბერძნული მოსახლეობის იმ ნაწილთან, რომელიც შექმნილი რეალიებით არ იყო კმაყოფილი.

ბონიფაციის სავარაუდოდ არ სურდა ალექსი III-ის მკაცრი დასჯა. რაკი მონფერატი თავისი ბერძენი ქვეშევრდომების მიმართ, განსხვავებით ბალდუინისგან, გაცილებით ლოიალურ პოლიტიკას ატარებდა და ბიზანტიის ყოფილი იმპერატორის სამაგალითო დასჯას შეიძლებოდა მისი მშვიდი და გააზრებული პოლიტიკისთვის ზიანი მიეყენებინა. მაგრამ ბოლოს ბონიფაციმ მოთმინება დაკარგა და მოხრებელი ექს-იმპერატორი თავის მეუღლესთან ერთად დასავლეთში გაისტუმრა. გაბრაზებული ბონიფაცი ცოლ-ქმარს სავარაუდოდ ფილიპ შვაბიელს და მის მეუღლეს უგზავნიდა საჩუქრად. ირინეს მამა ისააკი ხომ ალექსი III-მ ჩამოაგდო ტახტიდან. ფილიპმა, როგორც ჩანს, უარი თქვა მათ მიღებაზე. გაუარესებული პოლიტიკური ვითარების ფონზე დამატებითი პრობლემები არ სჭირდებოდა. მაშინ ბონიფაციმ წყვილი გაუშვა მონფერატში. ამის შემდეგ ალექსი III-ის ბედთან დაკავშირებით გვაქვს ორი ვარიანტი: ან გზიდან გაიპარა, ან მონფერატშიც აუტანელი სტუმარი იყო და გამოსასყიდის სანაცვლოდ, რომე-

ლიც ეპირუსის დესპოტმა მიხაელ I-მა გადაიხადა, ის გა-
უშვეს.⁶⁶

მთლიანობაში ალექსი III-ს ნამდვილად უკეთესი ბედი
შეხვდა, ვიდრე იმსახურებდა. მონფერატის და საბერძნე-
თის შემდეგ მას ვხედავთ მცირე აზიაში, რუმის სულთან-
თან, ღიას ად-დინ ქაი ხუსრაუ I-თან. ღიას ად-დინი ალექს-
ი III-ის მმართველობის ხანაში იმალებოდა კონსტანტინე-
პოლში, როდესაც გაექცა თავის ძმას. აქედან ალექსი III-ს
შემდგომში რუმის სულთანად აღზევებულ ღიას ად-დინ-
თან კარგი ურთიერთობა დარჩა. ალექსის იმედი ჰქონდა,
რომ რუმის სულთანის დახმარებით დაიბრუნებდა ტახტს.
ქაი ხუსრაუმ გადაწყვიტა, თავისი ინტერესების სასარგებ-
ლოდ გამოეყენებინა სტუმარი. გაგზავნა ელჩები ნიკეაში
და თეოდორ ლასკარისს ალექსი III-ის იმპერატორად აღი-
არება მოსთხოვა, რაზეც მოსალოდნელი უარი მიიღო. მცი-
რეაზიელი ბერძნები ლასკარისის ერთგულნი დარჩნენ და
სულთანმა ასეთი ფორმით ვერ შეძლო მის წინააღმდეგ
აღნიშნული კარტის გათამაშება. მაშინ ქაი ხუსრაუ სამ-
ხედრო ექსპედიციით დაიძრება ლასკარისის წინააღმდეგ,
რათა უზურპატორი შეცვალოს „სამართლებრივი“ იმპერა-
ტორით. გადამწყვეტი ბრძოლა ლასკარისს და თურქებს
შორის გაიმართა 1210 წლის ზაფხულში. ბერძნები მარ-
ცხდებოდნენ, მაგრამ შემთხვევამ იხსნა ისინი. ქაი ხუსრაუ
და ლასკარისი ომის დროს ერთმანეთის პირისპირ აღმოჩ-
ნდნენ. სულთანთან ბრძოლაში დაჭრილი ლასკარისი ცხე-
ნიდან ჩამოვარდა, მაგრამ მოახერხა ქაი ხუსრაუს ცხენის-
თვის უკანა ფეხების მოკვეთა. ცხენიდან ჩამოვარდა ღიას

⁶⁶ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 22, 104-106; კონსტანტინეპოლიდან
გაქცევის შემდეგ ალექსი III-ის თავგადასავალთან დაკავშირებით
შდრ. ასევე: Gardner (იხ. შენიშვნა 47), გვ. 63-64, 82, 83 (შენ. 2);
Kretschmer (იხ. შენიშვნა 36), გვ. 319-320; Hussey (იხ. შენიშვნა 36),
გვ. 151; Setton (იხ. შენიშვნა 36), გვ. 22, შენ. 93; Godfrey (იხ. შე-
ნიშვნა 36), გვ. 138.

ად-დინიც, რომელიც იქვე მოკლა ლასკარისის თანმხლებ-
მა ერთ-ერთმა ბერძენმა.⁶⁷

ბრძოლის ველზე ლასკარისს ხელში ჩაუვარდა ალექ-
სი III. წყაროთა უმრავლესობის მიხედვით, ის ყოფილ იმ-
პერატორს მაინც პატივით მოეპყრო. ამის მერე ალექსი III
ცხოვრობდა ნიკეაში იაკინთეს მონასტერში და იქვე დაას-
რულა თავისი სიცოცხლე.⁶⁸ ერთადერთი წყარო, რომელიც
ალექსი III-ის გარკვეულწილად განსხვავებულ ბედზე მოგ-
ვითხრობს არის ერთი ანონიმური ქრონიკა, სადაც ალექ-
სის დააბრმავებენ სენატის გადაწყვეტილებით.⁶⁹ ალექსი III
ლასკარისის სიმამრი იყო და ლასკარისს თავისი იმპერა-
ტორის ტახტზე ყოფნის ლეგიტიმურობა, როგორც ითქვა,
სწორედ აქედან გამომჟღავნდა.⁷⁰ ამიტომ, ალბათ უფრო სარ-
წმუნოა წყაროთა იმ უმრავლესობის მონაცემები, რომ
ლასკარისი ალექსი III-ს შედარებით ღმობიერად მოექცა.
შესაძლოა ანონიმური ქრონიკის ავტორმა აქ შეცდომით
ალექსი III-ის მიერ ალექსი V მურზუფლოსის დასჯის
ფაქტი გადმოიტანა.

*ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, ბიზანტიის იმპერი-
ის გაყოფის ტრაქტატი, დავით კომნენოსი.* ტრაპიზონის იმ-
პერიის დაარსების საკითხს ასევე დეტალურად შეეხო
ცნობილი, წარმოშობით რუსი ბიზანტინისტი ალექსანდრ
ვასილიევი სპეციალურ სტატიაში. ვასილიევიც აგრეთვე
თვლიდა, რომ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებისთვის მთა-
ვარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო კომნენოსების დი-
ნასტიური კავშირი ბაგრატიონებთან. ეს გარემოება ხსნის
ქართული მმართველი დინასტიის ინტერესს, მხარი დაეჭი-

⁶⁷ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 114, 213-214; ალექსი III-ის რუმის
სულთანთან ჩასვლასა ქაი ხუსრაუ I-ის ლასკარისთან ბრძო-
ლის შესახებ შდრ. ასევე: Gardner (იხ. შენიშვნა 47), გვ. 63-64,
82, 83 (შენ. 2); Norwich (იხ. შენიშვნა 36), გვ. 222-223.

⁶⁸ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 213-214; შდრ. ასევე: Kretschmer (იხ.
შენიშვნა 36), გვ. 319-320; Hussey (იხ. შენიშვნა 36), გვ. 151; Nor-
wich (იხ. შენიშვნა 36), გვ. 222-223.

⁶⁹ Gardner (იხ. შენიშვნა 47), გვ. 63-64, 82, 83 (შენ. 2).

⁷⁰ Wirth (იხ. შენიშვნა 36), გვ. 129.

რათ ალექსი კომნენოსისთვის;⁷¹ ტრაპიზონის დაპყრობა არ არის 1204 წელს კონსტანტინეპოლის დაცემის შედეგი; თამარის ინიციატივით მოწყობილ ექსპედიციას ალბათ ბიძგი მისცა კონსტანტინეპოლზე პირველმა შეტევამ 1203 წელს.⁷² დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში, მხოლოდ ორი მაგალითი რომ მოვიტანოთ, უკვე ერნსტ გერლანდი აღნიშნავდა, რომ თამარმა გამოიყენა კონკრეტული შემთხვევა, რათა თავისი ნათესავისთვის შეექმნა ახალი სამეფო.⁷³ ვასილიევის მსგავსა ჯონ იულიუს ნორვიჩიც აღნიშნავს, რომ ნიკეისა და ეპირუსისგან განსხვავებით, ტრაპიზონის იმპერია არ წარმოშობილა კონსტანტინეპოლის დაცემის შედეგად.⁷⁴

როგორც ზემოთ ითქვა, 1204 წლის მარტში ჯვაროსნებმა მიიღეს ზოგადი შეთანხმება ბიზანტიის იმპერიაში ძალაუფლების გადანაწილების შესახებ. კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, დაახლოებით 1204 წლის ოქტომბერში, უკვე შედგა დეტალური დოკუმენტი ბიზანტიის იმპერიის მიწების დაყოფის შესახებ, ეგრეთ წოდებული *Partitio Romaniae*.⁷⁵ ტრაქტატის შედგენაში მონაწილეობდა კომისიის 24 წევრი, 12 ვენეციელი და 12 არა-ვენეციელი ჯვაროსანი. აღნიშნულმა პაქტმა ბიზანტიის იმპერია დაყო სამ მთავარ ნაწილად: იმპერატორის, ვენეციელების და არა-ვენეციელი ჯვაროსნების.⁷⁶ როგორც ვასილიევი აღნიშნავს, ტრაქტატი არ ახსენებს ტრაპიზონს, რომელიც ამ დროს უკვე ალექსი კომნენოსს აქვს დაკავებული; ყველა რეგიონ-

⁷¹ A. A. Vasiliev, *The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222)*, in: *Speculum* 11 (1936), გვ. 4.

⁷² Vasiliev (იხ. შენიშვნა 72), გვ. 19.

⁷³ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 35.

⁷⁴ Norwich (იხ. შენიშვნა 36), გვ. 220; შდრ. ასევე: William Miller, *Trebizond, the Last Greek Empire* (Amsterdam, 1968) [Repr. of the edit. New York, 1926], გვ. 14-17; S. P. Karpov, Trapezunt, in: *Lexikon des Mittelalters*, Bd. 8 (München, 1997), გვ. 958-959.

⁷⁵ ტრაქტატის ქართულ თარგმანს ახლო მომავალში შევთავაზებ მკითხველს სპეციალურ მონოგრაფიაში.

⁷⁶ Wolff (იხ. შენიშვნა 47), გვ. 191-192; Setton (იხ. შენიშვნა 36), გვ. 18.

ნი, რომლებიც, ვასილიევის მიხედვით, დაეთმა დაიკავა 1205 წელს, ტრაქტატში ეკუთვნის ლათინ იმპერატორს; ტრაქტატი არ ახსენებს აგრეთვე ყირიმის ტერიტორიებს, რომლებიც ამ დროს სავარაუდოდ ექვემდებარება ტრაპიზონს; თუ როგორ მოახერხეს ტრაპიზონის მმართველებმა ყირიმის გარკვეული ნაწილის კონტროლისთვის დამორჩილება, ზუსტად არ ვიცით; ტრაპიზონის დაკავების შემდეგ ალექსი, თამარის საწყისი იდეის შესაბამისად, ალბათ არ აპირებდა შემდგომ ექსპანსიას.⁷⁷ უილიამ მილერი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ბიზანტიის იმპერიის გაყოფის ტრაქტატის მიხედვით, აქ შედიოდა ტრაპიზონის ახალი იმპერიის დიდი ნაწილი: პაფლაგონია, ოინაიონი (უნეე), სინოპი, სამსუნე.⁷⁸

ბულგარელებთან ბრძოლაში დამარცხების და ბალდუინის დატყვევების შემდეგ კონსტანტინეპოლში ლათინთა შორის პანიკა დაიწყო. ბალდუინის არყოფნის პერიოდში რეგენტი გახდა მისი ძმა, ანრი, რომელმაც შეძლო კატასტროფის პირას მყოფი ლათინთა იმპერიის გადარჩენა. ანრი კონსტანტინეპოლშია 1205 წლის მაისის დასაწყისიდან. დაპყრობილი ტერიტორიებიდან ლათინებს ლამის მხოლოდ დედაქალაქი ჰქონდათ დარჩენილი.⁷⁹ ანრი იბრუნებს გარკვეულ ტერიტორიებს. 1206 წლის გაზაფხულზე ბულგარელები ხელახლა შემოესიენ ლათინთა იმპერიას, გაძარცვეს და გადაწვეს მთელი თრაკია.⁸⁰ მას მერე, რაც ბულგარელთა ტყვეობაში ბალდუინის დაღუპვის ამბავი გაიგეს, 1206 წლის 20 აგვისტოს იმპერატორად აკურთხეს ანრი. ახალმა იმპერატორმა გადაწყვიტა, თავდაცვა ექცია თავდასხმად და 1206 წლის ზაფხულის მიწურულს კალიონი აიძულა, ადრიანოპელისთვის ალყა მოეხსნა. შემდეგ ანრი წარმატებით შეიჭრა ბულგარელთა ტერიტორიებზე.⁸¹

⁷⁷ Vasiliev (იხ. შენიშვნა 72), გვ. 20-21.

⁷⁸ Miller (იხ. შენიშვნა 75), გვ. 16.

⁷⁹ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 51, 55.

⁸⁰ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 83, 84, 89.

⁸¹ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 96, 101-102; Wolff (იხ. შენიშვნა 47), გვ. 204-206.

ნიკეის მმართველის, თეოდორ ლასკარისის, მდგომარეობა თავიდან მძიმე გახლდათ. 1204 წლის 6 დეკემბერს ფრანკებმა გამანადგურებლად დაამარცხეს ის.⁸² 1205 წლის 19 მარტს ლასკარისი ხელახლა დამარცხდა ფრანკებთან და უიმედო მდგომარეობაში იყო.⁸³ 1205 წლის გაზაფხულზე ლასკარისი იხსნა თრაკიის აჯანყებამ და ბულგარელების თავდასხმამ ლათინთა იმპერიაზე.⁸⁴ 1205 წლის გაზაფხულზე ლათინებმა მცირე აზია პრაქტიკულად დაცალეს. მხოლოდ მას მერე, რაც ახალმა იმპერატორმა, ანრმ, ძალების მოკრება შეძლო, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, ხელახლა დაიწყო საომარი ოპერაციები მცირე აზიის ტერიტორიაზე.⁸⁵

თამარის მეორე ისტორიკოსი 1204 წლის ექსპედიციას სახავს ერთიან ლაშქრობად, როდესაც ქართულმა მხედრობამ დაიპყრო ბიზანტიის შავიზღვისპირეთის ტერიტორია ჰერაკლემდე. ამ მიწებზე დააარსეს ტრაპიზონის იმპერია და მის სათავეში თამარმა დააყენა ალექსი კომნენოსი. მის ძმას, დავით კომნენოსს, ქართული წყარო არ ახსენებს. ბიზანტიური და დასავლური წყაროებით მართლაც დასტურდება, რომ ქართველთა შენაერთი (პაფლაგონიელებთან ერთად) არა მარტო ჰერაკლემდე, არამედ ლამის კონსტანტინეპოლის სიახლოვეს ჩანს. ოღონდ ეს შენაერთი აქ ექვემდებარება დავით კომნენოსს, ხოლო ალექსი კომნენოსი ტრაპიზონის მიდამოებში რჩება. არაქართული წყაროები (თუ არ ჩავთვლით მიქელ პანარეტოსის თარიღს 1204 წლის აპრილში ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ), აღნიშნული ლაშქრობის ზუსტ ქრონოლოგიას არ გვთავაზობენ. გაურკვეველი რჩება მთავარი საკითხი: 1204 წლის აპრილში კომნენოსებს დაკავებული აქვთ ტერიტორია ჰერაკლემდე ჩათვლით (როგორც ქართულ წყაროში ჩანს ეს ლაშქრობა ერთიან ექსპედიციად), თუ მხოლოდ ტრაპიზონის მიდამოებამდე; ხოლო ჰერაკლემდე

⁸² Norwich (იხ. შენიშვნა 36), გვ. 221.

⁸³ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 39.

⁸⁴ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 102-104.

⁸⁵ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 106-110.

უკვე შემდეგ დავით კომნენოსი მივიდა. ეს გაურკვეველობა აისახება სამეცნიერო ლიტერატურაზეც.

ვასილიევის მიხედვით, საქართველოდან ექსპედიციის დაწყებისას არც თამარს და არც მის პროტეჟეებს არ ჰქონიათ კონსტანტინეპოლის ლათინებისთვის წართმევის იდეა. როდესაც დავითმა 1205 წელს დაიწყო თავისი კამპანია (ანუ ტრაპიზონიდან დასავლეთით), მას მიზნად ჰქონდა კონსტანტინეპოლის აღება და ბიზანტიის იმპერიის აღდგენა. დავითის წარმატების შემხედვარე, იგივე იდეა გაუჩნდა მის ძმასაც, ალექსი კომნენოსს. დავითი მხოლოდ ლასკარისის საფრთხის გამო შეეცადა შემდეგ ლათინებთან დახმარების პოვნას.⁸⁶ ჯონ იულიუს ნორვიჩთან ვკითხულობთ, რომ დავითმა შავი ზღვის გასწვრივ თავისი ლაშქრობა გააგრძელა 1204 წელსვე.⁸⁷ ერნსტ გერლანდი ასევე თვლიდა, რომ დავითის მიზნები მიდიოდა უფრო შორს და ის ფიქრობდა მთელი საბერძნეთის კომნენოსებისთვის დაბრუნებას. ჰერაკლეაში მყოფისთვის გაჩნდა ახალი იმედები, როდესაც ფრანკებმა მცირე აზიიდან უკან დაიხიეს. დავითსა და ლასკარისს შორის ბრძოლები გაიმართა სავარაუდოდ 1205 წელს, როდესაც დავითი შეეცადა კონსტანტინეპოლის ახლოს მდებარე ქალაქ ნიკომედიის დაკავებას. ამისთვის დავითმა გაგზავნა თავისივე თანატოლი, მისი შენაერთების მეთაური სინადენოსი. მაგრამ ლასკარისი წინასწარ ჩაუსაფრდა მათ და დაამარცხა ისინი. დავითი იძულებული გახდა ჰერაკლეაში შეჩერებულიყო და დასავლეთით მსვლელობა შეეწყვიტა.⁸⁸ დავით კომნენოსის დასავლეთით მსვლელობას ასევე ეხება რობერტი ვოლფი. ის აღნიშნავს, რომ დავითმა დაიკავა ოინა-

⁸⁶ Vasiliev (იხ. შენიშვნა 72), გვ. 30.

⁸⁷ Norwich (იხ. შენიშვნა 36), გვ. 220. დავით კომნენოსის ლაშქრობასთან დაკავშირებით შდრ. აგრეთვე: Miller (იხ. შენიშვნა 75), გვ. 14-17.

⁸⁸ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 102-104; შდრ. ასევე: Vasiliev (იხ. შენიშვნა 72), გვ. 22-26.

იონი და სინოპი, რომლებიც ტრაქტატის მიხედვით ეკუთვნოდა ლათინ იმპერატორს ბალდუინს.⁸⁹

დავით კომნენოსთან დაკავშირებით 1206 წლიდან შედარებით სანდო ქრონოლოგიას ვფლობთ. 1206 წლის გაზაფხულზე ლასკარისი შეეცადა, დავითი უკვე ჰერაკლეადან გაეძევებინა. დავითმა დახმარება სთხოვა ლათინთა იმპერატორს. ლათინები მიეშველენ მას, როდესაც ნიკომედიას შემოარტყეს ალყა. ლასკარისი იძულებული გახდა ჰერაკლესთვის თავი გაენებებინა და თავისი ქალაქები დაეცვა. მადლობის ნიშნად დავითმა ლათინებს გემებით პროვიანტი გაუზზავნა. ამ დროიდან დავითმა თავი ცნო ლათინი იმპერატორის ვასალად. 1206 წლის ნოემბერში ბრძოლა განახლდა. ბულგარელების წინააღმდეგ ომიდან დაბრუნებულმა ანრიმ ორი რაზმი გაგზავნა მცირე აზიაში. თავის მხრივ დავითმა გადალახა მდინარე სანგარიოსი და დაარბია ლასკარისის ტერიტორიები. თუმცა მალევე დაბრუნდა ჰერაკლეაში. დავით კომნენოსის მოკავშირე ლათინების დამარცხება შეძლო ლასკარისის გენერალმა ანდრონიკოს გიდოსმა. 1208 წლის აგვისტოში ან სექტემბერში, მას მერე რაც ანრიმ ხელახლა დაამარცხა ბულგარელები, მასთან მივიდნენ დავითის ელჩები და შეატყობინეს, რომ მათ ბატონს ლასკარისი ისევ ავიწროებდა. 1207 წლის ზავის მიხედვით, რომელიც ლათინებს და ლასკარისს შორის დაიდო, დავითი იყო ფრანკების მფარველობაში. თუმცა ლასკარისისთვის ამგვარი ვითარება არ იყო მისაღები. ანრი ჯარით წავა მის დასახმარებლად და ლასკარისი უკან დაიხევს ნიკეაში. ლასკარისმა დავითის დამარცხება შეძლო 1214 წელს: ამ დროს ნიკეის იმპერატორმა დაიკავა ჰერაკლეა, ამასტრისი და სხვა ქალაქები. იმავე წელს სელჩუკებმა შეუტიეს სინოპს და დავითი მათთან ბრძოლაში დაიღუპა. ასევე 1214 წელს ალექსი კომნენოსი გარკვეული დროით თავს ცნობს იკონიის სულთანის ვასალად.⁹⁰

⁸⁹ Wolff (იხ. შენიშვნა 47), გვ. 200-201.

⁹⁰ Vasiliev (იხ. შენიშვნა 72), გვ. 22-26, 28; შდრ. აგრეთვე: Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 35, 106-110, 159-160, 246; Georg Ostrogorsky, *Geschichte des byzantinischen Staates* (München, 1952), გვ. 339-340, 344;

ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და ბიზანტიის იმპერიის გაყოფის ტრაქტატი

როდის დაიწყო ქართველთა ლაშქრობა. ტრაპიზონის ექსპედიციის მსვლელობის შესახებ ქრონოლოგიური მონაცემები პრაქტიკულად არ გვაქვს. ერთადერთი მიქელ პანარეტოსი გვაწვდის ზემოხსენებულ ცნობას, რომ ტრაპიზონში ალექსი კომნენოსი მმართველი გახდა აპრილში.⁹¹ თამარის მეორე ისტორიკოსი გვეუბნება, რომ ეს იყო შურისძიება ალექსი III-ზე. ხოლო ალექსი III ბიზანტიას მართავდა დაახლოებით 1203 წლის 17 ივლისამდე. ამასთან, ბასილი ეზოსმოდვარი ჩამოთვლის დაპყრობილ ქალაქებს პერაკლევას ჩათვლით. ანუ ეს არის სამხრეთ შავი ზღვისპირეთის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია კონსტანტინეპოლის სიახლოვემდე. ამიტომ ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ლაშქრობის დაწყების შესაძლო თარიღად 1203 წლის ზაფხულიც კი დასახელდა. მაგრამ ერთადერთი ქრონოლოგიური ცნობა ლაშქრობის ფინალზე ჩვენ გვაქვს მხოლოდ პანარეტოსისგან: ის კი საუბრობს 1204 წლის აპრილზე და ტრაპიზონში შესვლაზე. ტრაპიზონის დასავლეთით მდებარე ქალაქების დაპყრობას პანარეტოსი არ ეხება. ტრაპიზონის დასავლეთით გამართული ექსპედიცია, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, ყველა ნიშნის მიხედვით, მოეწყო კომნენოსების ტრაპიზონში შესვლიდან გარკვეული ხნის გასვლის შემდგომ. თამარის მეორე ისტორიკოსმა კი ყოველივე ეს ერთ ექსპედიციაში გააერთიანა. ისევე როგორც, არ ჰყავს მოხსენიებული დავით კომნენოსი. რაც შეეხება ისტორიკოსის მიერ ტრაპიზონის კამპა-

Gardner (იხ. შენიშვნა 47), გვ. 75, 86; Wolff (იხ. შენიშვნა 47), გვ. 204-206.

⁹¹ *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, ტ. 7 (თბილისი, 1967), გვ. 161-166; მიქელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა ალ. გამყრელიძემ, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის* 33 (1960), გვ. 16.

ნიის ალექსი III-ის წინააღმდეგ შურისძიებად დასახვას, ეს გადაულახავი წინააღმდეგობა ნამდვილად არ არის.

რაკი ერთმანეთის მიყოლებით 7 თვის განმავლობაში ბიზანტიის იმპერატორის ტახტზე ზის ერთბაშად სამი ალექსი (ალექსი III, ალექსი IV და ალექსი V), ისტორიკოსს შეიძლებოდა ისინი ელემენტარულად ერთმანეთში შეშლოდა (როგორც ეს მას ნაწილობრივ შეიძლება დამართნოდა ალექსი III-ის გარდაცვალების ცნობაში, სადაც IV ჯვაროსნულ ლაშქრობასთან დაკავშირებული ლამის ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის აღსასრულის დეტალები შეიტანა, გარდა თვითონ ალექსი III-ისა. ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ). ამას გარდა, თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობა მთლიანობაში არის ერთგვარი იდეოლოგიური კონსტრუქტი, რომელშიც ალექსი III ერთგვარად საჭირო იყო, რასაც ასევე შევხებით. ალექსი III-ის შემდეგ ტახტზე მყოფი ორივე იმპერატორი (ალექსი IV და ალექსი V) უშუალოდ დაკავშირებულია კომნენოსების მოწინააღმდეგე ანგელოსების დინასტიასთან. ალექსი IV პირდაპირ ანგელოსია, ალექსი III-ის ძმისშვილი, ისააკ ანგელოსის შვილი (ისააკმა გადმოაგდო ტახტიდან ანდრონიკე კომნენოსი, ალექსი და დავით კომნენოსების ბაბუა). ხოლო ალექსი V თავიდან ალექსი III-ის ერთგვარად არაოფიციალური სიძეა, მისი ქალიშვილის საყვარელი. ყველა ამ გარემოებამ სავარაუდოდ ხელი შეუწყო იმ ფაქტს, რომ ბასილი ეზოსმოდგართან ალექსი III, ალექსი IV და ალექსი V გაერთიანდა ერთ, საძულველ ალექსი III-დ (ანუ იმ ალექსიდ, რომელმაც, ბასილის მიხედვით, გადმოაგდო ტახტიდან ისააკი). ეს ალექსი III ბასილის სჭირდებოდა, რაკი მან გაძარცვა თამარის მიერ დასაჩუქრებული ბერები. ამასთანავე, თანადროული ისტორიული პროცესების ძველი მოვლენებით ლეგიტიმაცია ანტიკურობასა და შუა საუკუნეებში არის ჩვეულებრივი მოვლენა. მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელთან ჰელესპონტის გადაღახვის ერთერთი მიზეზი იყო შემდეგი – შური ეძია სპარსელებზე, რომელთაც 200 წლის წინ შეურაცხვეს ბერძენთა

ტადრები.⁹² თვითონ IV ჯვაროსნულ ლაშქრობის მონაწილეთა შორის იყვნენ ისინიც, ვინც კონსტანტინეპოლის აღებას თვლიდა, არც მეტი, არც ნაკლები, ბერძნებზე შურისძიებად, მათ მიერ ტროას დაპყრობის გამო! რაკი კონსტანტინეპოლის ტახტზე ალექსი III-ის შემდეგ იყვნენ ანგელოსებთან დაკავშირებული პირები (რომელთაგან ერთის მმართველობა თითქმის სრულიად უკანონო იყო), ალექსი III-ის მიერ ჩადენილ ბოროტებაზე შურისძიება, გამომდინარე შუა საუკუნეების ველტიბილიდან, აღნიშნულ პერიოდში ყოველთვის შეიძლებოდა ლეგიტიმური ყოფილიყო.⁹³ 1203 წლის არც ზაფხულში, არც შემოდგომაზე, საქართველოს მხრიდან ტრაპიზონის მიმართულებით არავითარი სამხედრო აქტივობის კვალი არ ჩანს. აქ შევეცდები შემდგომი მოვლენების რეკონსტრუქციას, რამდენადაც წყაროების მწირი ცნობები ამის საშუალებას გვაძლევენ.

ნამდვილად მართებულია გამოთქმული შეხედულება, რომ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება არ არის 1204 წლის აპრილში ჯვაროსნების მიერ კონსტანტინეპოლის აღების შედეგი. რაკი ეს ორივე მოვლენა პრაქტიკულად ერთდროულად ხდება. მაგრამ ტრაპიზონის იმპერიის შექმნას აშკარად ბიძგი მისცა IV ჯვაროსნულმა ლაშქრობამ, უფრო სწორედ IV ჯვაროსნული ლაშქრობის ფარგლებში განვითარებულმა მოვლენებმა, რაც დაიწყო 1203 წლის ივლისში

⁹² Hartmut Leppin, *Das Erbe der Antike* (München, 2010), გვ. 92.

⁹³ ალექსი III-ის მიერ კონსტანტინოს ფრანგოპულოსის შავ ზღვაზე გემების გასაძარცვად ვაგზავნა, რომლის მსხვერპლნიც შესაძლოა გამხდარიყვნენ თამარის მიერ დასაჩუქრებული სასულიერო პირები, შეიძლება დათარიღდეს დაახლოებით 1200-1201 წლებით, რაკი ნიკიტა ხონიატეს ტექსტში აღნიშნულ ამბავს უშუალოდ მოსდევს ალექსი III-ის მიერ რუქნ აღდინთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება. ეს უკანასკნელი კი გაფორმდა 1201 წელს (*Die Kreuzfahrer erobern Konstantinopel, Die Regierungszeit der Kaiser Alexios Angelos, Isaak Angelos und Alexios Dukas, die Schicksale der Stadt nach der Einnahme sowie das „Buch von den Bildsäulen“ [1195-1206]*, Aus dem Geschichtswerk des Niketas Choniates übers. v. Franz Grabler [Byzantinische Geschichtsschreiber, hrsg. v. Endre v. Ivánka, Bd. 9], [Graz 1958], გვ. 102).

ჯვაროსნების პირველი შეტევით კონსტანტინეპოლზე. ჩემი ვარაუდით, ალექსი კომნენოსის თამარის სამხედრო კონტინგენტთან ერთად გაგზავნა გადააწყდა 1204 წლის იანვრის მოვლენების მერე; როდესაც გადაადგეს ალექსი IV და ტახტზე ავიდა უზურპატორი ალექსი V მურზუფლოსი. რაკი ალექსი IV-ის მმართველობა მაინც გარკვეული ღეგიტიმურობის ნიშნით მიდიოდა: ბიძამისმა უკანონოდ მიითვისა ტახტი. ჯვაროსნებიც ღეგიტიმურ კანდიდატს უჭერდნენ მხარს, იურიდიული შეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, ალექსი IV-ის მმართველობის დროს ტრაპიზონში შესვლა თეორიულად და რეალურად იქნებოდა დაპირისპირება როგორც ბერძნებთან (ყოველ შემთხვევაში არსებული დინასტიის მხარდამჭერ წრეებთან მაინც), ასევე ლათინებთან. თუ ჯვაროსნებს და ქართველებს შორის რაიმე სახის შეთანხმება არსებობდა, თეორიულად ამგვარი ინტრიგის მოწყობა შეიძლებოდა უკვე 1203 წლის ნოემბრის დასაწყისიდან, როდესაც ალექსი IV-სა და ჯვაროსნებს შორის მკვეთრად გაფუჭდა ურთიერთობა. ამ შემთხვევაში პოლიტიკურ თამაშში თამარს ეყოლებოდა ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორი ლათინების სახით. თეორიულად თამარს შეეძლო ყოველგვარი შეთანხმების გარეშეც გაეგზავნა თავისი შენაერთები ტრაპიზონის დასაკავებლად. მაგრამ ალექსი IV-ის მმართველობის პერიოდში ლაშქრობის დაწყება მაინც ნაკლებად სავარაუდო მგონია, მით უმეტეს, რაკი ქრონოლოგიურადაც მაინცდამაინც მწყობრ სურათს არ უნდა ვიღებდეთ ამ შემთხვევაში.

უფრო სავარაუდოა, რომ ბიზანტიის იმპერიაში მყოფი ქართველების მეშვეობით თამარი და მისი მინისტრები დეტალურად აკვირდებოდნენ მიმდინარე მოვლენებს და ყველაფრის საქმის კურსში იყვნენ. მოვლენათა განვითარების შესაძლო ვარიანტებისთვის, ბუნებრივია, წინასწარ იქნებოდნენ მზად. 1204 წლის იანვრის მიწურულს ალექსი IV-ის დაპატიმრების შემდეგ ბიზანტიაში შეიქმნა ძალაუფლების სრული ვაკუუმი: ტახტზე ავიდა უზურპატორი, დედაქალაქთან დაბანაკებული იყო უკვე გაურკვეველი ფუნქციის მქონე უცხოელების არმია, რომელიც კონსტანტინეპოლის აღებით იმუქრებოდა. კონსტანტინეპოლიდან ამ ინ-

ფორმაციის საქართველოში მოსასვლელად ერთი თვე საკმარისზე მეტი დროა. ანუ თებერვლის ბოლოს, თუ უფრო ადრე არა, თამარის კარზე ალექსი IV-ის ტახტიდან ჩამოგდების და კონსტანტინეპოლში გამეფებული არეულობის შესახებ ინფორმაცია ექნებოდათ. სავარაუდოდ ამ დროს თამარმა სწრაფად „წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთ იქითნი“ ალექსი კომნენოსთან ერთად. საქართველოდან ტრაპიზონამდე სამხედრო ექსპედიციისთვის, როდესაც მოსახლეობა კარგად შეხვდა აქედან შესულ კომნენოსებს, რომლებიც თავიდანაც და მერეც პრაქტიკულად უბრძოლველად იკავებდნენ ტერიტორიებს, ერთი თვე ისევ საკმარისზე მეტი დრო იქნებოდა. მარტის დასაწყისში, ან შუა რიცხვებში საქართველოდან წასული მხედრობა ასეთ ვითარებაში ტრაპიზონში იქნებოდა სწორედ 1204 წლის აპრილის დასაწყისისთვის, ან, შესაძლოა, მარტის ბოლოსთვისაც.

ვის წინააღმდეგ იყო ტრაპიზონის ლაშქრობა მიმართული და ექსპედიციის მიზანი. ჩემი აზრით, ტრაპიზონის იმპერიის დაარსება არ იყო ანტი-ლათინური აქტი. რადგან ჯვაროსნები და თამარის მიერ გაგზავნილი კონტინგენტი ერთ დროს, სხვადასხვა მხრიდან უტევს სხვა ქვეყანას. თუ 1204 წლის აპრილში სახელმწიფო დაარსდა მხოლოდ ტრაპიზონის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაშინ ეს ამ ეტაპზე მით უმეტეს ვერცერთ შემთხვევაში ვერ იქნებოდა ანტი-ლათინური მოქმედება. ხოლო ანტი-ბიზანტიური მოქმედება ტრაპიზონის იმპერიის დაარსება იყო ნებისმიერ შემთხვევაში. რაკი რეალურად საქართველო მონაწილეობას იღებს ბიზანტიის დაშლაში. ის მიზეზი, რომ ეს ექსპედიცია მოხდა კომნენოსების მხარდაჭერით, აქ რეალობას ვერ ცვლის. ამ ეტაპზე საქართველოს სამეფო კარმა კომნენოსები უბრალოდ გამოიყენა საკუთარი ინტერესების გასატარებლად. ქართველების ლაშქრობა თავიდანვე მიმართული რომ ყოფილიყო კონსტანტინეპოლის აღებასა და იქ კომნენოსთა დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელის ინსტალაციაზე, მაშინ შეიძლებოდა აღნიშნული მოქმედებისთვის სხვა შეფასება მიგვეცა. მაგრამ რეალობიდან აშკარაა, რომ თავიდან ტრაპიზონის ექსპედიციას ამგვარი მიზ-

ნები არ ჰქონია. თუმცა თვით კომნენოსთა დინასტიის მმართველობის ფაქტი ბიზანტიის გარკვეულ ტერიტორიაზე, როდესაც კონსტანტინეპოლში ისხდნენ ლათინები, ლოკალურ კონტექსტში მართლაც გამოდიოდა ადგილობრივი ბერძნების ეთნიკური თუ რელიგიური ინტერესების დაცვა.

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საწყისი მოვლენების შეფასებისთვის საგარაუდოდ დამატებით ინფორმაციას გვაწვდის ლათინების მიერ 1204 წლის შემოდგომაზე შედგენილი ბიზანტიის იმპერიის გაყოფის ტრაქტატი, სადაც ქალაქი ტრაპიზონი, როგორც ითქვა, არ არის მოხსენიებული.⁹⁴ აღმოსავლეთ მცირე აზიის ტერიტორიიდან ნაცნობი სახელებიდან მოხსენიებულია პაფლაგონია, ოინაიონი და სინოპი.⁹⁵ ტრაქტატი აგრეთვე არ ახსენებს, ზემოთაც აღინიშნა, ამ დროიდან ტრაპიზონის იმპერიის კუთვნილ ყირიმის ნახევარკუნძულის რიგ ტერიტორიებს. რაკი ტრაპიზონი ამ რეგიონის ცენტრალური ქალაქია, ასევე კარგად იყო ცნობილი ყირიმის ტერიტორიების მნიშვნელობაც ვაჭრობისთვის, XIII საუკუნის დასაწყისში თუნდაც რეგიონული მასშტაბით, ბიზანტიის გაყოფის ტრაქტატში მათ გამოტოვებას საგარაუდოდ უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიზეზი: ან ლათინებმა კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ აღიარეს სტატუს-კვო აღექსი კომნენოსთან და მისი ტრაპიზონის თუ ყირიმის მიწებთან დაკავშირებით; ან 1204 წლის აპრილამდე არსებობდა გარკვეული შეთანხმება ლათინებს და თამარს შორის, რის სანაცვლოდაც ჯვაროსნებმა დათმეს შესაბამისი ტერიტორიები. ნებისმიერ შემ-

⁹⁴ ტრაქტატის ტექსტი იხ.: *Urkunden zur älteren Handels- und Staatsgeschichte der Republik Venedig, Mit besonderer Beziehung auf Byzanz und die Levante, Vom neunten bis zum fünfzehnten Jahrhundert*, hrsg. v. G. L. Fr. Tafel und G. M. Thomas, I. Theil (814-1205) [Amsterdam, 1964], გვ. 464-488; Friedrich Wilken, *Geschichte der Kreuzzüge nach morgenländischen und abendländischen Berichten*, Bd. 5 (Leipzig, 1829), გვ. 3-8.

⁹⁵ *Urkunden zur älteren Handels- und Staatsgeschichte der Republik Venedig* (იხ. შენიშვნა 95), გვ. 476.

თხვევაში, ტრაქტატის ეს ინფორმაცია ადასტურებს ლათინების კეთილგანწყობას ტრაპიზონის მმართველის და მისი მხარდაჭერი ძალისადმი,⁹⁶ რასაც 1204 წლის შემოდგომაზე ადგილი არ ექნებოდა, თუკი კომნენოსები საქართველოს დახმარებით კონსტანტინეპოლში დაბრუნებას და იქიდან ლათინების განდევნას გეგმავდნენ.⁹⁷ ამგვარი წინასწარი

⁹⁶ არსებობს აგრეთვე 1204 წელს ჯვაროსნების მიერ პეტრიწონის მონასტრის დარბევის ცნობა (მენაბდე [იხ. შენიშვნა 4], გვ. 274), რომლის ნახვის საშუალებაც მე არ მქონია. ასეთ შემთხვევაში 1204 წლისთვის ბიზანტიაში ლათინების და ქართველების მეგობრული დამოკიდებულების თეზა შეიძლება გარკვეული ეჭვის ქვეშ დადგეს, თუ აქ საქმე არ გვაქვს ცალკეული მპარცველური ჯგუფის ერთჯერად და შემთხვევით მოქმედებასთან.

⁹⁷ ნიკიტა ხონიატე ჯვაროსნების მიერ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიის გადანაწილების შესახებ გვაწვდის შემდეგ ცნობას: „როდესაც იმათ [ჯვაროსნებმა] დაიწყეს წილის ყრა ქალაქებისა და ქვეყნების გასანაწილებლად, უნდა გენახათ და გაგაკვირვებოდათ ამ ბისტგადაკრულ კაცთა შეუდარებელი უგუნურება, უფრო შესაფერისად რომ ვთქვათ, სიგიჟე. თითქოს უკვე მეფეთ-მეფეები გამხდარიყვნენ და მთელი დედამიწა ხელში ჰქონოდათ, რომელთა სამფლობელოების აღმწერლები დანიშნეს იმ სურვილით, რათა წინასწარ სცოდნოდათ რა ყოველწლიური გადასახადები შემოუვიდოდათ, და ამრიგად შემდეგ ისინი გაეყოთ ერთმანეთში წილისყრით, ხოლო სხვა ცომებსა და მეფეებთან არსებული მოხარკე სამფლობელოები და სახელოები მაშინვე გაინაწილეს; ასეთ ბედში მოხედნენ: მდიდარი და ნილოსის გასწვრივ მდებარე ალექსანდრია და ლიბია, ლიბიიდან ნუმიდიამდე და ლადირამდე გადაჭიმული მხარეები, პართელები და სპარსელები, შემდეგ აღმოსავლელი იბერები და ასირიის ქვეყანა, პირკანელები და რაც კი აღმოსავლეთით უდიდესი ძინარეები წყლებით არის შემოსაზღვრული“ (ვეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გამომც. სიმონ ფაუნჩიშვილი, ტ. 6 [თბილისი, 1966], გვ. 137-138). ნიკიტა ხონიატეს, როგორც ბიზანტიელის პოზიცია აბსოლუტურად გასაგებია კონსტანტინეპოლის საშინელი ტრაგედიის შემდეგ. შესაძლოა ნიკიტას ცნობა გამოძახილი იყოს ლათინთა მომავალი გეგმების, როდესაც ისინი ეგვიპტეზეც აპირებდნენ თავდასხმას თუ ჯვაროსნულ ლაშქრობას. მაგრამ ბიზანტის

შეთანხმების არსებობა მე შესაძლებლად მიმაჩნია, იმდენად ერთ დროს ხდება, თან ორი სხვადასხვა მხრიდან, კონსტანტინეპოლის აღება და ტრაპიზონში შესვლა.⁹⁸ როგორც ითქვა, ჯვაროსნების მდგომარეობა 1203-1204 წლების ზამთარში, რბილად რომ ვთქვათ, არ იყო იდეალური. კონსტანტინეპოლში მყოფი ქართველების მეშვეობით მათ მარტივად შეეძლოთ თამარის სამეფო კართან კონტაქტის დამყარება. თუ ეს სავარუდო ინიციატივა ქართველებისგან მოდიოდა, ჯვაროსნებისთვის ამ ვითარებაში ის მხოლოდ მისაღები უნდა ყოფილიყო. თუმცა ამ მოსაზრების შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ ვარაუდთან, რომლის დამადასტურებელი უშუალო ფაქტები არ გვაქვს.

თამარის მეორე ისტორიკოსი თითქოს ეხმიანება ლათინურ ტრაქტატში მოცემულ იმ არაპირდაპირ ინფორმაციას, რომ ტრაპიზონის მმართველს და მათ მხარდამჭერებს ლათინებთან კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ. რადგან ბასილი ეზოსმოძღვარის შემდეგი ცნობა – „*ხოლო ესმა ესე ფრანგთა* [როდესაც თამარის მიერ გაგზავნილი სამხედრო კონტინგენტი ბიზანტიის ტერიტორიაზე შევიდა],

გაყოფის ლათინურ ტრაქტატში მოხსენიებულია მხოლოდ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიები.

⁹⁸ ამ ვარაუდს შეიძლება ისიც უმყარებდეს ზურგს, რომ დასტურდება მანამდე IV ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაურის, ბონიფაცი მონფერატის, ორი ძმის კავშირი ქართველებთან. კესაროს რაინერ მონფერატის მეუღლე, მანუელ I-ის შვილი მარია, 1180-1181 წელს გამოდის მანუელის ბოლო ცოლის, ლათინი მარიას და პროტოსევასტოს ალექსის წინააღმდეგ, რომელთაც მანუელის გარდაცვალების შემდეგ და ალექსი II-ის მცირეწლოვნების პერიოდში ხელში ჩაიგდეს ქვეყნის მართვის სადავეები. მარიას რაზმში ვხედავთ დაქირავებულ ქართველებს, რომლებიც გარკვეული დავალებებით იყვნენ ჩასულნი კონსტანტინეპოლში (გეორგიკა [იხ. შენიშენა 97], გვ. 128). XII საუკუნის 80-იან წლების მეორე ნახევარში კონრად მონფერატი ეხმარება ისააკ I ანგელოსს ალექსი ვრანას აჯანყების ჩახშობაში. ამისთვის კონრადის მიერ დაქირავებულ მეომრებს შორის იყვნენ კონსტანტინეპოლში მყოფი იბერებიც (გეორგიკა [იხ. შენიშენა 97], გვ. 129).

რამეთუ მოვლო ბერძენთა შეწვენა აღმოსავლეთით. გამოვიდეს ვენეტიკნი და წარუღეს სამეუფო ქალაქი მეფობისა თანა⁹⁹ – ლათინების და ქართველების შეთანხმებულ მოქმედებას გულისხმობს. შესაბამისად, ქართული წყაროს ეს მონაცემები გამორიცხავს იმ გეგმას, რომ თავიდან თამარს შეიძლებოდა ნდომოდა კონსტანტინეპოლის აღება და იქიდან ლათინების განდევნა. სხვა საქმეა, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ის ცნობა, რომ ჯვაროსნებმა ქართველების ლაშქრობაზე მიღებული ინფორმაციის შემდეგ მიიტანეს იერიში კონსტანტინეპოლზე. ქრონოლოგიურად აქ დიდ შეუსაბამობასთან ნამდვილად არ გვაქვს საქმე. რაკი თამარის ისტორიკოსი აქ აშკარად გულისხმობს კონსტანტინეპოლის აღებას 1204 წლის აპრილში და არა პირველ თავდასხმას ბიზანტიის დედაქალაქზე 1203 წლის ივლისში. თეორიულად დასაშვებია, რომ ქართველების შენაერთს მარტის დასასრულისთვის დაეწეოს შესვლა ბიზანტიის ტერიტორიაზე. მაშინ ჯვაროსნებამდე ეს ინფორმაცია მოასწრებდა მისვლას იმ დრომდე, ვიდრე ისინი აპრილის დასაწყისში კონსტანტინეპოლის შტურმს დაიწყებდნენ. თუ ლათინური ბიზანტიის გაყოფის ტრაქტატის ანალიზის მონაცემებს სარწმუნოდ მივიჩნევთ, რომ გარკვეული შეთანხმება ჯვაროსნებს და თამარს შორის შედგა, მაშინ ჯვაროსნები ტრაპიზონის ლაშქრობის დაწყებისთანავე მიიღებდნენ ინფორმაციას და ქართული წყაროს ცნობა შესაძლოა გარკვეულ რეალობას ასახავდეს. მაგრამ აქ შეიძლება დაისვას კითხვა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჯვაროსნებისთვის ის ძალა, რაც თეორიულად შეიძლებოდა გაენეიტრალებინა ტრაპიზონის ექსპედიციას. ბიზანტიის იმ დროის მმართველები არათუ პროვინციებში არსებული კონტინგენტების, თვითონ კონსტანტინეპოლში არსებული რესურსების მობილიზებას ვერ ახერხებდნენ. ამ დროის წყაროებიდან არავითარი ინფორმაცია არ გვაქვს, რომ კონსტანტინეპოლის ალყამდე ბიზანტიელებს რაიმე სახის სამხედრო შევსება მიეღოთ ახლოს მდებარე პროვინციები-

⁹⁹ ბასილი ეზოსმოძღვარი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი*, გამომც. ს. ყაუხჩიშვილი (იხ. შენიშვნა 1), გვ. 141-143.

დან. შორეული ტრაპიზონი კი, რომელიც ამ მოვლენებამდეც ლამის ნახევრად დამოუკიდებელი იყო ბიზანტიისგან, სამხედრო დახმარების თვალსაზრისით კონსტანტინეპოლისთვის რაიმე მნიშვნელობის მქონე ვერ იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ ერთგვარ მორალურ მხარდაჭერაზე, თუკი ჯვაროსნები მას საჭიროებდნენ. რადგან ჯვაროსნების სულიერ სიმხნევეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კონსტანტინეპოლზე შტურმის წინ, 1204 წლის მარტში, უკვე ბიზანტიის დანაწილების შეთანხმებას იღებენ.

ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაზე შეიძლება ითქვას, რომ ეს არის უაღრესად პრაგმატული და რეალისტური პოლიტიკის ნიმუში, როდესაც ინიციატორები მაქსიმალურად ითვალისწინებდნენ არსებულ პოლიტიკურ მოცემულობას და მოვლენებში ჩართული პოლიტიკური სუბიექტების ძალებს თუ მდგომარეობას. ჩემი აზრით, ტრაპიზონის იმპერიის დაარსება არის კომუნოსებთან დინასტიური ნათესაობის გამოყენება საქართველოს სახელმწიფო ინტერესების რეალიზაციისთვის. ბიზანტიის იმპერიაში დროის მცირე მონაკვეთში წარმოშობილმა ძალაუფლების ვაკუუმმა და არასტაბილურობამ თამარს და მის გენერლებს ინტერვენციის საშუალება მისცა.

დავით კომნენოსის ლაშქრობა

ქართული წყაროსგან განსხვავებით, როგორც ითქვა, ბიზანტიურ წყაროებში ფიგურირებს ორი ახალგაზრდა კომნენოსი: ალექსი და დავითი. მაგალითად, ნიკიტა ხონიატეს მიხედვით დავითი განაგებდა პონტოს ჰერაკლეს და პაფლაგონიას, ხოლო მისი ძმა ალექსი – ოინაიონს, სინოპს და ტრაპიზონს.¹⁰⁰ დავითის შენაერთებში აგრეთვე ეხედავთ იბერიელ მეომრებს.¹⁰¹

¹⁰⁰ *Die Kreuzfahrer erobern Konstantinopel* (იხ. შენიშვნა 95), გვ. 220. რაკი ოინაიონი და სინოპი უშუალოდ ალექსის – და არა დავითის – სამფლობელოში შედიოდა, ეს ისევე ეჭვს ქვეშ შეიძლება აყენებდეს ლათინთა და ქართველთა თანამშრომლობის თეზას ამ დროს. მაგრამ ფაქტია, რომ ბიზანტიის გაყოფის ტრაქტატი

დავითის ლაშქრობის შემთხვევაში ჩნდება უკვე ნახსენები კითხვები: დავითი ჰერაკლიის ჩათვლით ტერიტორიას ფლობს უკვე 1204 წლის აპრილში; ტრაპიზონის და სინოპის დასავლეთით მდებარე ტერიტორია მან დაიკავა 1204 წელს, აპრილში ტრაპიზონის აღების შემდეგ, თუ 1205 წელს. წყაროებში შესაბამისი ფაქტების არარსებობის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით სხვადასხვა მოსაზრებებს.¹⁰² 1204 წლის აპრილში ჰერაკლეს ჩათვლით ტერიტორიის დაკავება იმ მიზეზითაც შეიძლება გამოირიცხოს, რომ იგივე ნიკიტა ხონიატესთან დავითის ლაშქრობები ერთგვარ დამოუკიდებელ ექსპედიციებად ჩანს. არის კიდევ ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ნაკლებად სავარაუდოა, რომ დავითი 1204 წლის აპრილში ფლობდა ტერიტორიას ჰერაკლეს ჩათვლით. ყველა ნიშნის მიხედვით, დავითსა და ლასკარისს შორის პირველი ბრძოლები გაიმართება 1205 წელს, როდესაც კომნენოსი შეეცდებოდა ნიკომედიის დაკავებას და მისი ჯარი დამარცხდება ლასკარისთან.¹⁰³ ამასთან, სავარაუდოდ ეს უნდა იყოს 1205 წლის მეორე ნახევარი. რადგან ნიკეის მმართველის, თეოდორ ლასკარისის მდგომარეობა 1205 წლის მარტის ბოლოსთვის უიმედოა: ფრანკებმა ის გამანადგურებლად დაამარცხეს 1204 წლის 6 დეკემბერს და 1205 წლის 19 მარტს.¹⁰⁴ ლასკარისი იხსნა თრაკიელების აჯანყებამ და ლათინების თავდასხმამ.¹⁰⁵ ჩნდება მარტივი კითხვა: თუ დავითს ჰერაკ-

ტრაპიზონს და ყირიმის ტერიტორიებს არ ახსენებს. შეიძლება ლათინებმა თავისი პოზიციიდან დათმეს გარკვეული ნაწილი. ხოლო კომნენოსებმა დაიკავეს ელემენტარულად უფრო მეტი. ძმებს შორის ტერიტორიების გადანაწილებისას კი ის ქალაქებიც აღმოჩნდა ალექსის ხელში, რომლებიც ტრაქტატის მიხედვით ლათინი იმპერატორისთვის იყო განკუთვნილი.

¹⁰¹ *Die Kreuzfahrer erobern Konstantinopel* (იხ. შენიშვნა 95), გვ. 207-208; გეორგიკა (იხ. შენიშვნა 97), გვ. 130-131.

¹⁰² იხ. ზემოთ შენიშვნა 87, 88 და 89.

¹⁰³ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 102-104; შდრ. ასევე: Vasiliev (იხ. შენიშვნა 72), გვ. 22-26.

¹⁰⁴ Norwich (იხ. შენიშვნა 36), გვ. 221; Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 39.

¹⁰⁵ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 102-104.

ლვა 1204 წლის აპრილიდან ჰქონდა დაკავებული, რატომ არ გამოიყენა მან ის ხელსაყრელი შესაძლებლობა, როდესაც ლასკარისი ლათინებისგან უაღრესად შევიწროებული იყო და რატომ მაშინვე არ დაიწყო მოქმედება, რათა ლასკარისის ტერიტორიების თუნდაც ნაწილი დაეკავებინა.

აქ კვლავ ჰიპოთეზის ფორმით შევეცდები მოვლენების რეკონსტრუქციას. 1204 წლის აპრილში ალექსი კომნენოსმა დაიკავა ტრაპიზონი და მისი მიმდებარე ტერიტორია. ძნელი სათქმელია დავითი რა ფუნქციით ახლდა მასთან. ისიც აშკარაა, რომ ძმებიდან უფრო აქტიური და ენერგიული დავით კომნენოსია. აქაც არ ვიცი, მხოლოდ ალექსი კომნენოსის ასაკმა განაპირობა მისი ტრაპიზონის იმპერატორად არჩევა, თუ თამარის სამეფო კარზე თავიანთი მიზნებისთვის ის უფრო შესაფერის კანდიდატად ესახებოდათ. მართალია ჯვაროსნებს ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციები არ დაუკავებიათ, მაგრამ 1205 წლის აპრილამდე ლათინების პოზიცია კონსტანტინეპოლში მყარია. ვითარება იცვლება 1205 წელს ბულგარელებთან დამარცხების შემდეგ, როდესაც, თუ არ ჩავთვლით ერთ გარნიზონს, ჯვაროსნები მცირე აზიას მთლიანად დაცლიან.¹⁰⁶ ლასკარისი ამ დროს ლათინებისგან დამარცხებულია და მისი პოზიცია ანგარიშგასაწევი არ არის. ამ დროს ტრაპიზონში მყოფი კომნენოსებისთვის ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ტრაპიზონის დასავლეთით მდებარე ბიზანტიურ ტერიტორიებზე კვლავ ძალაუფლების სრული ვაკუუმი შექმნილი. სავარაუდოდ სწორედ ამ დროს დაიწყო ენერგიულმა დავით კომნენოსმა დასავლეთით ლაშქრობა. ჰქონდა და ჭირდებოდა თუ არა ამისთვის საქართველოდან თანხმობა, არ ვიცი. ძნელი განსასაზღვრია, მისი თანმხლებელი ქართველები უბრალო მოქირავნეები არიან, თუ თამარის სახელმწიფოს მიერ გაგზავნილი გარკვეული კონტინგენტი. რაკი თამარის მეორე ისტორიკოსი ჰერაკლეს ჩათვლით დაპყრობილ ტერიტორიებს ერთიან ქართულ ლაშქრობად მოიხსენიებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ დავითს გარკვეული კავშირი თამარის სამეფო კარ-

¹⁰⁶ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 106-110.

თან ჰქონდა. შეიძლება დავითს ერთგვარი მოქმედების თავისუფლება მისცეს, რასაც შემდგომ განვითარებული მოვლენები უნდა გვაფიქრებინებდეს, რაკი ქართული სამეფო კარი 1206 წლიდან კონსტანტინეპოლის გარშემო განვითარებულ მოვლენებში თითქოს უშუალოდ აღარ ერევა.

არც ის ვიცით, ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი დავით კომნენოსს კონსტანტინეპოლში მყოფ ლათინებთან. რადგან დავითი ამ შემთხვევაში იპყრობდა ტერიტორიებს, რომლებსაც ლათინები თავიანთ საკუთრებად თვლიდნენ. ფაქტია, რომ ლათინთა იმპერატორის ვასალად დავით კომნენოსი თავს აღიარებს მხოლოდ ლასკარისთან დამარცხების შემდეგ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1205 წლის გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულში დავითმა დაიკავა ტერიტორია ჰერაკლეს ჩათვლით. როდესაც ნიკომედიის აღებაც დააპირა (1205 წლის შემოდგომაზე?), ამ დროისთვის ლასკარისს ძალები საკმარისად ჰქონდა მოკრებილი და დავითის ძალების დამარცხება შეძლო. შემდგომ მოვლენებზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ვასილიევის მიხედვით, დავითს მიზნად ჰქონდა კონსტანტინეპოლის აღება და ბიზანტიის იმპერიის აღდგენა; დავითის წარმატების შემხედვარე, იგივე იდეა გაუჩნდა მის ძმასაც, ალექსი კომნენოსს.¹⁰⁷ გერლანდი ასევე თვლიდა, რომ დავითი ფიქრობდა მთელი საბერძნეთის კომნენოსებისთვის დაბრუნებას.¹⁰⁸ შესაძლოა დავითს ამგვარი აზრები მართლაც ჰქონდა, მაგრამ ჰერაკლეადან ის თავს დაესხა ლასკარისს, და არა ლათინებს. ამასთან, თუკი ის კონსტანტინეპოლის დაბრუნებაზე ფიქრობდა, გაუგებარია ლასკარისთან ერთი დამარცხების შემდეგ რატომ ხდება პირდაპირ ლათინი იმპერატორის ვასალი. ალექსი კომნენოსის შემთხვევაში ამგვარი მოსაზრებისთვის საბუთი არ სჩანს, რაკი ალექსის ტრაპიზონი არ დაუტოვებია და, საერთოდ, მისი აქტიურობა დასავლეთის მიმართულებით არ ფიქსირდება. კომნენოსების შემთხვევაში ლათინებისადმი

¹⁰⁷ Vasiliev (იხ. შენიშვნა 72), გვ. 30.

¹⁰⁸ Gerland (იხ. შენიშვნა 47), გვ. 102-104; შდრ. ასევე: Vasiliev (იხ. შენიშვნა 72), გვ. 22-26.

კეთილგანწყობილი ურთიერთობა თავიდანვე ჩანს და ეს უნდა იყოს თამარის სამეფო კარის მიერ თავიდან მონიშნული საერთო ხაზი.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტრაპიზონის იმპერია მოიაზრება ერთგვარ ბუფერულ სახელმწიფოდ. ჩემი აზრით, 1206-1214 წლებისთვის ეს მოსაზრება კორიგირებას საჭიროებს. ამ პერიოდში ტრაპიზონის სახელმწიფოს დასავლეთით ტერიტორიას ჰერაკლეს ჩათვლით მართავს დავით კომნენოსი. რამდენად იყო უშუალოდ თავის ძმაზე დამოკიდებული არ ვიცით. მაგრამ ფაქტია, რომ 1206 წლიდან ლათინთა იმპერატორის ვასალი გახდა (ეს დამოკიდებულება ყველა ნიშნის მიხედვით არ ვრცელდებოდა ტრაპიზონის იმპერატორზე, ალექსი კომნენოსზე, რადგან მას ლასკარისისგან არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა). დავითის მიერ მართული ტერიტორიისთვის სამუშაო ტერმინად შეიძლება გამოვიყენოთ „პაფლაგონიის სამთავრო“. ეს პერიოდი ბუფერული წარმონაქმნი გახლავთ სწორედ ეს ეგრეთ წოდებული პაფლაგონიის სამთავრო, რომელსაც მართავს საქართველოდან წასული უფლისწული, რომლის გარემოცვაში ქართველებიც იმყოფებიან. მაგრამ ის ლათინთა იმპერატორის უზენაესობას აღიარებს. თუმცა საქართველოს სამეფოს როლი აღნიშნულ პროცესებში, ცხადია, გადაჭარბებულად არ უნდა შევაფასოთ. ისიც არ ვიცით რეალურად, ლათინთა იმპერატორის უზენაესობა დამოუკიდებლად ცნო, თუ თავისი ძმის უფლება სჭირდებოდა საამისოდ. ამასთანავე, დავითს მმართველობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში მუდამ ავიწროებენ ლასკარისი და თურქ-სელჩუკები. ქართველები მას თითქოს არაფრით დახმარებიან. ასეა თუ ისე, პაფლაგონიის სამთავრომ არსებობა დაასრულა თამარის გარდაცვალების შემდეგომ პერიოდში, 1214 წელს.

თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობა ალექსი III-ის გარდაცვალების შესახებ

როგორც აღინიშნა, თამარის მეორე ისტორიკოსის მიხედვით, ალექსი III-მ თავი შეაფარა ბულგარეთს, სადაც

ის ფაქტიურად სიკვდილით დასაჯა მისმა სიძემ, ბულგარელთა მეფემ.¹⁰⁹ ზემოთ მოტანილი მასალიდან ნათლად უნდა ჩანდეს, რომ ალექსი III-ის სიკვდილის ეს ვერსია რეალური არ არის. ბულგარელთა მეფე არ ყოფილა ალექსი III-ის სიძე; ბულგარელთა ის მეფე, რომელსაც აქ ისტორიკოსი შეიძლება გულისხმობდეს, ცნობილი კალოიანი, ვინც აქტიურად იყო ჩაბმული კონსტანტინეპოლის გარშემო პროცესებში, გარდაიცვალა ალექსი III-ზე ადრე, 1207 წელს. ისევე როგორც, პრობლემატურია თამარის მიერ ალექსი III-ის გარდაცვალების გლოვა, როგორც დედოფალის უსაზღვრო შემწყნარებლობის ნიშნით. რადგან, ყველა ნიშნის მიხედვით, ალექსი III გარდაიცვალა თამარზე გვიან. ჩემი აზრით, ბასილი ეზოსმოდვარის აღნიშნულ ცნობაში რამდენიმე ამბავის გამომდინარე შეიძლება ჩანდეს:

1. ლათინი იმპერატორის, ბალდუინის დატყვევება ბულგარელთა მეფე კალოიანის მიერ და მისი ტყვეობაში დაღუპვა;
2. შესაძლოა აქ გვქონდეს გარკვეული გამომდინარე ბონიფაცი მონფერატის აღსასრულისა, რომელსაც კლავენ ბულგარელები და მის მოკვეთილ თავს უგზავნიან კალოიანს; სხვათა შორის, ბონიფაცი გარკვეულწილად გამოდის ალექსი III-ის სიძე. რადგან კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ ბონიფაციმ ცოლად შეირთო ალექსი III-ის ძმის, გარდაცვლილი ისააკ კომნენოსის ქვრივი;
3. ალექსი V მურზუფლოსის დაუნდობელი დასჯა თავისი სიმამრის მიერ, როდესაც ის ალექსი III-სთან მივიდა სტუმრად;
4. რაც შეეხება თვითონ ალექსი III-ის ბედს, უფრო სარწმუნოა ცნობა, რომ კონსტანტინე ლასკარისი, თავისი სიძე, შედარებითი პატივით მოეპყრო, როდესაც 1210 წელს ტყვედ ჩაუვარდა რუმის სულთანთან ბრძოლის შემდეგ. თუმცა, სავარაუდოა, რომ თამარის ისტორიკოსისთვის ეს აქტუალური ინფორმაცია, ბიზანტიის ყოფილი იმპერატორის დატყვევება სიძის მიერ, მალევე გახდა ცნობილი. ალექსი III-ის გარდაცვალების თარიღი არ ვიცით. შესაძლოა ის კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც ბასილი ეზოსმოდ-

¹⁰⁹ ბასილი ეზოსმოდვარი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი*, გამომც. ს. ყაუხჩიშვილი (იხ. შენიშვნა 1), გვ. 141-143.

ღვარმა თავისი თხზულება დაასრულა. ყველა ნიშნის მიხედვით, ალექსი III-ის ამგვარი აღსასრულის ამბავი მემპტიანემ ააგო ზემოსხენებული რამდენიმე ცნობის საფუძველზე. ჩნდება კითხვა: რაკი მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით ვითარდებოდა, თან აქ ჩართული იყო ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკურ ფიგურა, ისტორიკოსს ელემენტარულად ერთმანეთში ხომ არ აერია ყოველივე ეს. ამგვარი ვარაუდი, თუ არ ვცდები, შეიძლება ნაწილობრივ დასაშვები იყოს. თუმცა ბასილის ცნობა ასევე შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მემპტიანეს გარკვეული მიზნისთვის სჭირდება ალექსი III და ამიტომაც ვერ ელევა ვერაფრით ბიზანტიის ყოფილ იმპერატორს.

ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობა – ისტორიის იდეოლოგიური ხედვა

ტრაპიზონის ექსპედიცია ფაქტიურად არის ლათინ ჯვაროსნებთან ერთად ბიზანტიის იმპერიის დანგრევაში მონაწილეობის მიღება.¹¹⁰ ღრმად მორწმუნე ქრისტიანი დედოფალის, თამარის, სამხედრო შენაერთები, მონაწილეობას დებულობენ ქრისტიანული, მართლმადიდებლური ბიზანტიის განადგურებაში კათოლიკე ლათინებთან ერთად. კათოლიკეთა მიმართ ანტაგონიზმი, განსხვავებით ბიზანტიისგან, იმ დროის საქართველოში არ უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი, მაგრამ ბიზანტიის წინააღმდეგ მოწყობილი ექსპედიცია გარკვეულ იდეოლოგიურ გამართლებას საჭიროებდა და სწორედ ამას აკეთებს თამარის მეორე ისტორიკოსი. რაკი თხზულება „ქართლის ცხოვრების“ ნაწილია, ბასილი ამ შემთხვევაში ალბათ სახელმწიფო ვერსიასაც უწევდა პროპაგანდას.

ვიდრე ტრაპიზონის ამბავის შესახებ მოგვითხრობდეს, თამარის ისტორიკოსი ეხება თამარის პიროვნებას: *„არა ოდენ თვისსა სამეფოსა შინა იყო კეთილიანობა, არამედ ყოველთა ქრისტიანეთათვის. და რომელნი მძღავრობ-*

¹¹⁰ აღნიშნული აქციის შეფასება, ბუნებრივია, ამ სტატიის მიზანი არ არის.

დეს ქრისტიანეთა, ყოველთა მიუმცნო, რათა აზადად იყვნენ და ფიცხლად დამორჩილდენ შიშითა და სიყვარულითა მისითა“.¹¹¹ ანუ თამარი ზრუნავს უკვე მთელს საქრისტიანოზე და მისი განსაკუთრებით უნდა ეშინოდეთ ქრისტიანების მტრებს. თუ დავაკვირდებით შესავალს, თავიდანვე იქმნება სურათი: ყოველივეზე აღმატებული თამარი, რომელიც ქრისტიანებს მფარველობს. იქ, სადღაც ქვემოთ, ბიზანტიის ვიღაც იმპერატორი ამ ჰარმონიას დაარღვევს. შემდეგ ბასილი გვეუბნება, თუ ვის პატრონობს თამარი: „წარავლენდის სარწმუნოთა თვისთა და დაავედრის ესრეთ: 'იწყეთ აღექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბიისა, სინისა მთისა.' და მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდის. ხოლო იერუსალიმისათვის რადღა სახმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიძ-ფეშხუმებსა და სიწმიდეთა საბურავებსა და მონაზონთა და გლახაკათვის ოქროთა აურაცხელთა. [...] კვალად კერძოთა ელადისათა და მთაწმიდას, ვერეთვე მაკედონისათა პეტრიწონს, კერძოთა თრაკისათა და კოსტანტინეპოლის მონასტრებთა, რომანას და ყოველგან, კვალად ისავრიას, კურუხეთს, და ყოველთა მათ სანახებთა შავისა მთისათა და კვიპრისათა“.¹¹² ამ ცნობაში არ არის საუბარი მხოლოდ ქართული მონასტრების დახმარებაზე. ჩამოთვლილი ადგილების უმრავლესობა ან ბიზანტიის ტერიტორიაზე მდებარეობს, ან ისინი ბიზანტიას ეკუთვნოდნენ ადრე და მნიშვნელოვან რელიგიურ ცენტრებს წარმოადგენდნენ (როგორც მაგალითად აღექსანდრია). აქ ვიღებთ შემდეგ კონტექსტს: როდესაც ეს სათნო დედოფალი აღექსი III-ის სახელმწიფოში ღამის ყველა მონასტერს ესმარება, ნახეთ რითია დაკავებული იმპერატორი. რასაც მოსდევს კიდევ აღექსი III-ის მიერ ბერების გაძარცვის ცნობა: „მოიწინეს ოდესმე ჩვეულებისამებრ ქველისმოქმედებათათვის ამისთა მონაზონნი

¹¹¹ ბასილი ეზოსმოდვარი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი*, გამომც. ს. ყაუხჩიშვილი (იხ. შენიშვნა 1), გვ. 141-143.

¹¹² ბასილი ეზოსმოდვარი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი*, გამომც. ს. ყაუხჩიშვილი (იხ. შენიშვნა 1), გვ. 141-143.

შავისა მთისა, ანტიოქიით და კეიპრისა ჭალაკით, ვგრეთვე მთაწმიდით და მრავალთა ადგილთათ. შეიწყნარნა თამარ ჩვეულებისაებრ, ვითარ ანგელოზნი, და მრავალ დღე არა გაუშვნა. მერმე მისცნა ყოველთა დიადი და აღავსნა ყოველითა სახმრითა. უკანასკნელ მათგან უფრო შორიელთა მისცა დიდძალი ოქრო, თვით მათთვის და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად. წარვიდეს მონაზონნი იგი და მიიწივნეს რა კონსტანტინეპოლედ, ესმა მეფესა ბერძენთასა ალექსის, ანგარსა, რომელმან ძმასა თვისსა ისაკს თვალნი დასწვნა და მეფობა წარუღო. ესე ყოველითურთ ბოროტი კაცი იყო და შეუტყვებელი მეფობისა, გარნა უმეტეს ანგარებისათვის საძაგელ იყო ყოველთა მიერ. იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს, და წარუღო მათ მონაზონთა¹¹³. თამართან ამ შემთხვევაშიც დახმარების სათხოვნელად მოდიან სასულიერო პირები ფაქტიურად თუ იურიდიულად (მაგ. ანტიოქია) ბიზანტიის (ანუ ალექსი III-ის) კუთვნილი ტერიტორიებიდან. აქ თითქოს ისტორიკოსი უსიტყვოდ მიმართავს თავის მკითხველს თუ მსმენელს: როგორ არ უნდა დაესაჯა თამარს იმპერატორი, რომელიც მას საშუალებას არ აძლევდა, მისივე ტერიტორიებზე დახმარებოდა ქრისტიანებს. ალექსი III აქ ლამის გვიან ანტიკურ ხანაში ქრისტიანების მღევნელ იმპერატორებს გამოდის გათანაბრებული. ამასთან, საინტერესოა, რომ ბიზანტიის იმპერატორის სამართლიან მსაჯულად გამოაცხადა მაინცდამაინც კალოიანი, რომელმაც ბალდუინის თავის ქალიდან სასმისი გააკეთებინა. მაგრამ აქ ის ნიუანსი შეიძლება იყოს ჩადებული, რომ ამ დამნაშავე იმპერატორს, რომელიც ქრისტიანებს დევნის, სწორედ მართლმადიდებელ მეფეს ასჯევინებს საბოლოოდ. ბულგარელთა მეფე ალექსი III-ს მთავარ ბრალდებად, თამარის ისტორიკოსის მიხედვით, წაუყენებს სწორედ ქრისტიანთა სამეუფო სახლის ოქროს გამო წარწყმედას. ამასთან, ლათინთა გამოსვლაც ერთგვარ ღვთის სასჯელად მოიაზრება. მას მერე, რაც მართლმადიდებელი დედოფალი აღსდგა

¹¹³ ბასილი ეზოსმოდვარი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი*, გამომც. ს. ყაუხჩიშვილი (იხ. შენიშვნა 1), გვ. 141-143.

და დასაჯა უღირსი ალექსი III, სწორედ ამის შემდეგ და-
ესხენ თავს ლათინები ბიზანტიას და არა პირიქით.

ტრაპიზონის ამბავის ფინალურ მონაკვეთში ბასილი
აღნიშნავს: „*რამეთუ რაცა ვის არა ჭეშმარიტებით აქ-
ვნიდეს, არა იპყრობს ღიღხან*“.¹¹⁴ ისტორიკოსის ეს ფრაზა
სავარაუდოდ მიემართება არა ალექსი III-ს, არამედ გუ-
ლისხმობს თამარს და მის მიერ მოწყობილ აქციას. აქ
ჩვენ საქმე უნდა გვექონდეს სამართლიანი ომის იდეასთან.
რაკი თამარი მხოლოდ ჭეშმარიტებისთვის და ჭეშმარიტე-
ბით აკეთებდა ყოველივეს, ამიტომაც მისი ყოველი ქმედე-
ბა გამართლებული და ხანგრძლივი არსებობის მქონე იყო.
ჭეშმარიტება და ღმერთი შუა საუკუნეების ველტბილდში
განუყოფელია. შესაბამისად, ქვეყნიერების ეკლესიათა და-
სახუქრების აღწერის შემდეგ ისტორიკოსი ამბობს: „*ესე
ყოველნი ადავსნა ქველის საქმითა, რომლისათვის იხმი-
ნეთ, თუ ვითარ მოხედვიდა ღმერთი საქმეთა მისთა*“¹¹⁵. ამ
კეთილი საქმეებისთვის ღმერთმა მიაგო სანაცვლო და
არც მეტი, არც ნაკლები, დააპყრობინა ბიზანტია. თამარის
მეორე ისტორიკოსისთვის ტრაპიზონის კამპანია არის რე-
ლიგიური ომი, როდესაც ქრისტიანობის მტრები უნდა დაი-
საჯონ. ალექსი III, როგორც ასეთი, ისტორიკოსს უბრა-
ლოდ სჭირდება. ბერების გაძარცვის ფაქტით ქმნის მთელს
თავის იდეოლოგიურ შენობას. რეალური მოვლენების ნა-
წილი ამ დროს ისტორიკოსის ყურადღების მიღმა რჩება.

დასკვნა

დასკვნის სახით მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ IV
ჯვაროსნული ლაშქრობა უადრესად რთული და კომპლექ-
სური მოვლენაა, რომელსაც ერთგვარი ფატალური ისტო-
რიის ელფერიც დაკრავს. კონსტანტინეპოლის აღებიდან
მალევე ლათინთა მხრიდან ილუპება ექსპედიციის თითქმის


¹¹⁴ ბასილი ეზოსმოდვარი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი*,
გამომც. ს. ყაუხჩიშვილი (იხ. შენიშვნა 1), გვ. 141-143.

¹¹⁵ ბასილი ეზოსმოდვარი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი*,
გამომც. ს. ყაუხჩიშვილი (იხ. შენიშვნა 1), გვ. 141-143.

ყველა პროტაგონისტი: ბაღდუინ ფლანდრიელი, ბონიფაცი მონფერატი, დოჟი ენრიკო დანდოლო. ბიზანტიელების თუ ზოგადად ორთოდოქსების მხრიდანაც ასევე პროტაგონისტების დიდი ნაწილი იმ დროსვე გადის სცენიდან: ისააკ ანგელოსი, ალექსი IV, ალექსი V მურზუფლოსი. ცოცხალი რჩება ალექსი III და თამარის მეორე ისტორიკოსმა დროზე ადრე მაინცდამაინც ის გაისტუმრა საიქიოში. უშუალოდ ტრაპიზონის იმპერიის გარდა, 1206-1214 წლებში არსებობდა ბუფერული სახელმწიფო, პაფლაგონიის სამთავრო, რომელიც ქართველთა მხარდაჭერითაც შეიქმნა. თამარის მეორე ისტორიკოსი გვთავაზობს რთულ იდეოლოგიურ კონსტრუქციას, როდესაც ქართველების ტრაპიზონზე ლაშქრობა ლამის ჯვაროსნულ ომად არის მასთან გამოცხადებული.

**BASILI EZOSMOZGHVARI'S NARRATION:
IDEOLOGICAL VISION OF HISTORY
OR THE STORY OF BALDWIN IX. OF FLANDERS
AND TWO BYZANTINE EMPERORS**

In his chronicle „The Life of King of Kings Tamar“ (the first quarter of the 13th century), Basili Ezosmozghvari, Tamar's second historian, provides important information for the history of the Empire of Trebizond, Byzantine Empire, Georgia and the 4th Crusade. Tamar's historian also tells us about the death of Byzantine Emperor Alexios III. at the court of the King of Bulgaria that, in my opinion, has not been duly dealt with in scientific references. On the one hand, this may be giving the details of the deaths of Alexios III., Alexios V. and Baldwin IX. of Flanders (and possibly, Boniface Montferrat) joined into one story. On the other hand, Tamar's second historian may possibly be providing a complex ideological construction of the death of the Byzantine Emperor and foundation of the Empire of Trebizond in an attempt to legitimize the participation of Georgians in the Trebizond campaign. The article also deals with some other issues, which must necessarily be considered to understand the general context: Tamar's foundation of the Empire of Trebizond within the context of the regional policy of that time; chronology and possible goal of David Komnenos' campaign; interrelation between the 4th Crusade and the foundation of the Empire of Trebizond.



ოთარ ლორთქიფანიძე, დავით მუსხელიშვილი

საქართველოს უძველესი სავაჭრო-სატრანზიტო ბზები¹

შესავალი

1. პრობლემა აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა

დღეს, დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად, როგორც ცნობილია, აღიარებულია ფართოდ მონაწილეობა ე. წ. ამიერკავკასიის დერეფანში. ეს გულისხმობს საქართველოს გადაქცევას სატრანზიტო ქვეყნად, რასაც განაპირობებს მისი უაღრესად ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა. „ამიერკავკასიის დერეფნის“ საერთო კონცეფციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია მისი ისტორიული ასპექტი: ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფენომენია ეს თუ მას აქვს ღრმა ისტორიული ფესვები. ამ პრობლემის (ე. ი. ისტორიული ასპექტის) მეცნიერულად შესწავლას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რამდენადაც იგი იძლევა ისტორიული გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობას მომავალი პერსპექტივების გათვალისწინებით. ეს გულისხმობს არა მხოლოდ გზის მიმართულებას, არამედ აგრეთვე გზებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურებისათვის ადგილის შერჩევას. აქ იგულისხმება შესასვენებელი ადგილები, საწვავის გასამართი პუნქტები, განსაკუთრებით კი ისტორიული ძეგლების სიახლოვე, რაც საერთაშორისო ტურიზმთან იქნება კოორდინირებული.

¹ სტატია პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ (პარიზი, 1999, რედაქტორი ჯ. კაშია), რომლის ორიოდე ეგზემპლარია მხოლოდ საქართველოში. რადგან მასში განხილული პრობლემა აქტუალურია დღევანდელი ვითარებისთვისაც, ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით მისი ხელმეორედ გამოქვეყნება (რედ.).

2. თეორიული ასპექტი: საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და სავაჭრო-სატრანზიტო გზების ფორმირების წინამძღვრები

ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა გადამწყვეტი ფაქტორია საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზების ფორმირებისათვის: საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზა ამა თუ იმ ქვეყანაში გაივლის მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის უმოკლესი (და შესაბამისად – უსწრაფესი) იქნება ძირითად ადრესატთან ან გამანაწილებელ ცენტრთან მისაღწევად. მნიშვნელოვანია აგრეთვე, ქვეყნის შიდა-გეოგრაფიული სტრუქტურა. მთაგორიანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, მარჯვე მთათაშორისი ისტორიულად ჩამოყალიბებული საკომუნიკაციო გზა და გადასასვლელები, ამავე დროს ქვეყნის შიდაეკონომიკური კავშირების განვითარებისათვის საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზა მომგებიანია იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი გზა შიდა რაიონებთან დაკავშირებულია ხელსაყრელი საკომუნიკაციო მაგისტრალებით, მაგალითად – ხეობებითა და მდინარეების გასწვრივ მიმავალი გზებით. ორივე ზემოთ მოტანილი თვალსაზრისით (როგორც საგარეო, ისე საშინაო) საქართველო ისტორიულადაც კლასიკურ ქვეყნად გვევლინება.

ცნობილია, რომ გეოგრაფიის თვალსაზრისით კავკასია წარმოადგენს ევროპისა და აზიის კონტინენტების შემაერთებელ ყელს თუ ხიდს, რომელიც გადაჭიმულია შავსა და კასპიის ზღვებს შორის. მართალია, დღეს იგი აზიაში შემავალ მხარედ ითვლება, მაგრამ არაერთი უძველესი, ანტიკური ხანის გეოგრაფოსი ევროპისა და აზიის უშუალო მიჯნად მდ. რიონს (ძვ. ფაზისს) თვლიდა¹. კავკასიის ასეთი თავისებური მდებარეობა უადრესად მნიშვნელოვანი იყო აქ მოსახლე ხალხების ისტორიული განვითარებისათვის; ამ გარემოებამ განსაზღვრა მათი ისტორიული მისია და საბოლოო ბედიც. მნიშვნელოვან ფაქტორს, ამ თვალსაზრისით, წარმოადგენდა კავკასიონის ქედის მთაგრეხილების მძლავრი სისტემა. იგი, ერთი მხრივ, ათასწლეულების მანძილზე იცავდა ამიერკავკასიისა და ძველი აღმო-

საელეთის კულტურული ქვეყნების ცივილიზაციას ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში მომთაბარე ველური ტომების შემოსევებისაგან, თუმცა ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის ამ უკანასკნელთა ძლიერი ტალღების შემოჭრისა და რუბანდისა და დარიალის უღელტეხილებით. მეორე მხრივ, იგივე უღელტეხილები ისევე, როგორც კავკასიონის სხვა ზეკარები, წარმოადგენდნენ იმ ცხოველმყოფელ არხებს, რომლის საშუალებითაც იმავე ათასწლეულების განმავლობაში ცივილიზებული აღმოსავლეთი თავის კულტურულ მონაპოვარს და ტექნიკურ მინაღწევარს უზიარებდა ჩრდილოეთსა და დასავლეთს.

ასეთი ურთიერთობა აზიასა და ევროპას, ანუ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის უძველესი დროიდან დაიწყო, რასაც კარგად მოწმობს არქეოლოგიური აღმოჩენები ძვ. წ.-ის III და II ათასწლეულებისა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ნიშანდობლივია ბრინჯაოს ე. წ. ყუამლიანი ცულების გავრცელება. ისინი უკვე ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის დასაწყისში გვხვდება წინა აზიის ქვეყნებში (მესოპოტამია, ელამი, ირანი). III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ეს ცულები ჩნდება საქართველოში, შემდეგ ჩრდ. კავკასიაში და თანდათანობით იკაფავს გზას სამხრეთ რუსეთის ველზე. იმავე დროულად ისინი გვხვდება აღმოსავლეთ ევროპის არქეოლოგიურ კომპლექსებში. ვარაუდობენ, რომ ყუამლიანი ცულები ევროპაში კავკასიის გზით გავრცელდა². ანალოგიური ვითარებაა ძვ. წ. III-II ათასწლეულის სხვა არქეოლოგიური არტეფაქტების მიმართაც (ყუადაქანებული ცულები, შუბისპირები, თავხვია საკინძეები): ამ საგნების ფართო ტერიტორიაზე გავრცელება სატომთაშორისო ვაჭრობით ხორციელდებოდა, რომელსაც იმ დროს საერთაშორისო მასშტაბით ჯერ კიდევ არარეგულარული და შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. მაგრამ ნელინელ ეს სპორადული ურთიერთკავშირი ღრმავდებოდა და უფრო ინტენსიური ხდებოდა, ვიდრე ძვ. წ.-ის პირველი ათასწლეულის შუა ხანებისათვის მან, შეიძლება ითქვას, სრულიად გარკვეული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების სახე არ მიიღო. ამ თვალსაზრისით მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ ელი-

ნური სამყაროს მანამდე არნახულ, მძლავრ აყვავებას, არამედ აქემენიდური ირანის უზარმაზარი სახელმწიფოს შექმნასაც (ძვ. წ. VI-V სს.), რომელიც ინდოეთიდან შავ და ხმელთაშუა ზღვამდე გადაიჭიმა. უადრესად გაცხოველდა ადებშიცემობა და სავაჭრო ურთიერთობაში ერთმანეთთან ევროპისა და აზიის ისეთი ქვეყნები ჩაება, რომელთაც მანამდე არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. გარკვეულ როლს ამ საერთო პროცესში ამიერკავკასიაც ასრულებდა.

3. წყაროები და მათი ინტერპრეტაციის მეთოდოლოგია

საქართველოზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესასწავლად არსებობს ნარატიული და ეპიგრაფიკული წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური ძეგლები, ნუმიზმატიკური მასალა, ტოპონიმიკური მონაცემები.

ა) წერილობითი წყაროები საქართველოს სავაჭრო გზების შესახებ სხვადასხვა დროისაა. ე. წ. ანტიკური (ე. ი. ბერძენულ-რომაული) ხანის სავაჭრო გზების შესახებ მხოლოდ ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობები მოგვეპოვება. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰეროდოტეს, სტრაბონისა და პლინიუსის თხზულებებში დაცული ცნობები. მაგრამ მათი ინტერპრეტაცია და ამა თუ იმ ისტორიული პერიოდისათვის ისტორიულ წყაროდ ქცევა გარკვეულ სიძნელებთანაა დაკავშირებული, რამდენადაც ზემოდასახელებული ავტორები ხშირ შემთხვევაში უშუალო მონაწილე და თვითმხილველი არ არიან მათ მიერ აღწერილი მოვლენებისა. ამიტომ საჭიროა დრმა წყაროთმცოდნეობითი ანალიზი, რომლის საფუძველზე უნდა დადგინდეს თუ საიდან აქვს ადებული ინფორმაცია ავტორს, რა დროის ვითარების ამსახველია ეს ცნობა და რამდენად სანდოა იგი. ამ თვალსაზრისით იქნება ქვემოთ სათანადო თავებში განხილული ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობები საქართველოზე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესახებ.

ახ. წ. III-IV და შემდგომი საუკუნეების სავაჭრო გზების რეკონსტრუქციისათვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ძველი გეოგრაფიის ისეთი შესანიშნავი

ძეგლი, როგორც არის კასტორიუსის რუკა ანუ ე. წ. „ტაბულა პევეტინგერიანა“.

იმ მნიშვნელობამ, რომელიც ჰქონდა IV-V სს-ში საერთაშორისო ვაჭრობას, გამოიწვია ვრცელი „გეოგრაფიული ლიტერატურის“ შექმნა, რომელიც მოწოდებული იყო გაეცნო იმდროინდელი კულტურული საზოგადოებისათვის შორეული ქვეყნები, გზები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებს აკავშირებდა, მანძილები ამა თუ იმ პუნქტსა თუ ქალაქს შორის და სხვ. იქმნებოდა „მსოფლიოს აღწერილობანი“, ანუ „კოსმოგრაფიები“, „ქვეყნის აღწერილობები“ და „ტოპოგრაფიები“, „გზამკვლევები“ ანუ „იტენერარიუმები“ და სხვა მისთ. მთელს ამ ლიტერატურას საფუძვლად ედო იმდროინდელი „მსოფლიო“ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და ინტენსიფიკაცია. ამის შესაბამისად იქმნებოდა, რა თქმა უნდა, „მსოფლიო რუკები“ თუ „საგზაო რუკები“, რომელთა მიზანი იყო ნათელი წარმოდგენა შეექმნათ და გაეადვილებინათ ვაჭარ-მოგზაურთათვის მათი სახიფათო და ძნელი მისია.

აი ერთ-ერთ ასეთ რუკას წარმოადგენს IV ს-ის მეორე ნახევარში რომაელი გეოგრაფოსის კასტორიუსის მიერ შედგენილი რუკა, რომელიც აღმოჩენილ იქნა გვიან, 1501 წელს და მოხვდა ცნობილ სიძველეთმცოდნის კონრად პევეტინგერის ბიბლიოთეკაში. აქედან გახდა იგი ცნობილი მსოფლიოსათვის და ამიტომვე უწოდებენ მას ხშირად „პევეტინგერის ტაბულას“ (თაბულა ეუტინგერიანა).

კასტორიუსის რუკა, ანუ „ტაბულა პევეტინგერიანა“ თავდაპირველად გამოხაზული ყოფილა ფერადი საღებავებით პერგამენტის 12 ფურცელზე ანუ სეგმენტებზე, რომელთაგან პირველი არ შემონახულა. სეგმენტები ერთმანეთზეა მიწებებული ერთ გრძელ ზოლად და ამიტომ მასზე გამოსახული „მსოფლიო“ ძალზე დამახინჯებულად, წაგრძელებულად არის წარმოდგენილი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კასტორიუსს, როგორც ჩანს, არც ჰქონია მიზნად „მსოფლიოს რუკის“ გადმოცემა. მისი პრეტენზიები უფრო მორიდებული იყო და მის უშუალო მიზანს შეადგენდა, შეექმნა „საგზაო რუკა“ ვაჭარ-მოგზაურთათვის, სადაც აღნიშნული იქნებოდა იმდროინდელ მსოფლიოში

ცნობილი სავაჭრო მნიშვნელობის მქონე ქალაქები თუ დაბები, მათ შორის მანძილის ჩვენებით. მოგზაურებისათვის კი იგი საკმაოდ გამოსადეგი უნდა ყოფილიყო, რამდენადაც, ფაქტიურად, გრაგნილს წარმოადგენდა და პორტატიული იყო.

კასტორიუსის ამ რუკის X-XII სეგმენტებზე გამოსახულია აზიის კონტინენტი და, სხვათა შორის, ამიერკავკასიის ქვეყნებიც მათზე გამავალი სავაჭრო მაგისტრალებით და ამ უკანასკნელზე მდებარე ქალაქებით თუ მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტებით.

მართალია, რუკა თავდაპირველად IV ს-შია შედგენილი, მაგრამ დროთა ვითარებაში, ცხადია, დაზიანებისა თუ დაძველების გამო, დროდადრო საჭირო ხდებოდა მისი ხელახალი გამოსახვა. კერძოდ, რუკის ის პირი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია XII ს-აა. ამიტომ, ცხადია ისიც, რომ ლათინურად დაწერილი სახელები უცხო ქვეყნების, კერძოდ კი, ამიერკავკასიის ქალაქების თუ დაბებისა, ზემოხსენებულის გამო მახინჯდებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მეცნიერი ცდილა ამ სახელწოდებათა აღდგენას, დღესაც მათი უმეტესობა დაუდგენელი რჩება³.

ქართული წყაროებიდან მნიშვნელოვანია ძველ მემკვიდრეებთან დაცული სათანადო ცნობები. ასე, მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკებში აღწერილია ქართლის სამეფოს განმანათლებლის – წმ. ნინოს ქართლში შემოსვლის მარშრუტი, როდესაც სომხეთიდან იგი ჯავახეთში მოდის, ფარავნის ტბასთან, ხოლო აქედან, ჯავახეთის მტკვრის გაყოლებით ჯერ ქალაქ ურბნისში, ხოლო შემდეგ ურბნისიდან – მცხეთაში. ეს უკანასკნელი მონაკვეთი, ეჭვი არ არის, ემთხვევა სწორედ ანტიკურ ხანაში ამიერკავკასიაზე გამავალ სატრანზიტო მაგისტრალს, მითუმეტეს, რომ წყაროებში სწორედ ამ გზის სავაჭრო მნიშვნელობაა ხაზგასმული.

უშკველია, უკვე ძველ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალზე მიუთითებს ანდრია პირველწოდებულის საქართველოში „მიმოსვლის“ მარშრუტი – ტრაპიზონიდან აჭარაზე გავლით სამცხეში, ხოლო აქედან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში და „სკვითეთში“.

ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის მნიშვნელოვანია „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებიც, სადაც აღწერილია სამხედრო ლაშქრობათა მიმართულებანი, ლაშქრის დაბანაკების ადგილები და სხვ.

დიდ დახმარებას გვიწევს პრობლემის გაშუქებაში გვიანი საუკუნეების ისტორიკოსთა სათანადო მონაცემებიც, რადგან, როგორც წესი, ამიერკავკასიის ფიზიკური გეოგრაფიის თავისებურებანი აპირობებდა ერთხელ გაკვაღულ მაგისტრალური სამიმოსვლო გზების მიმართულების ფაქტობრივ უცვლელობას (იხ. ქვემოთ).

საქართველოს სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესასწავლად მნიშვნელოვანია აგრეთვე ქართულ წერილობით წყაროებსა და სიგელ-გუჯრებში შემონახული როგორც გეოგრაფიული სახელწოდებანი (იხ. ქვემოთ : ტოპონიმია), აგრეთვე ცალკეული ტერმინები. მაგ. „სახიდი“ – საგზაო გადასახადის აღმნიშვნელი, „მანძილი“ – გზის საზომი ერთეული, „მეზობირი გზათა“ – გზის მაჩვენებელი და ა. შ.⁴

ბ) არქეოლოგიური ძეგლები აგრეთვე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა მსოფლიო სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესასწავლად. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, საყურადღებოა უცხოური იმპორტი, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობისა და მისი ინტენსივობის უტყუარი ინდიკატორია. იმპორტული საგნების შესწავლისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მათი დათარიღება და საწარმოო ცენტრის განსაზღვრა, არამედ დიდი სავაჭრო ცენტრების საერთაშორისო საშუამავლო როლის გათვალისწინებაც. ასე, მაგ.: ცნობილია, რომ ძვ. წ. VI საუკუნეში იონიური სახელმწიფოს პირობებით ვაჭრობას შავიზღვისპირეთში მიღეტი ახორციელებდა. ძვ. წ. V-IV სს-ში ისეთი დიდი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრების, როგორც იყო ქიოსი, სამოსი, თაზოსი, მათი ნაწარმის ექსპორტს შავიზღვისპირეთში ათენი ეწეოდა, ასევე ელინისტურ ეპოქაში სხვადასხვა ცენტრების სასაქონლო ნაწარმის ექსპორტიორებად გვევლინებიან როდოსი, ალექსანდრია, სინოპე. ასე, რომ მაგ.: თაზოსის, კოსის თუ კნიდის ნაწარმის აღმოჩენა საქართველოს ტერიტორიაზე, სრულებითაც არ ნიშნავს პირდაპირ ეკონომიკურ კავშირებს დასახელებულ ცენ-

ტრებთან. სავაჭრო-სატრანზიტო გზების მიმართულებით განსაზღვრისას მნიშვნელოვანია იმპორტის ტოპოგრაფია: იმპორტული საგნების გავრცელება ერთ-ერთი არსებითი ინდიკატორია სავაჭრო გზისა. იმავე დროს ამა თუ იმ დიდი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და სავაჭრო ცენტრის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე თუ სასოფლო თემებში იმპორტული საგნების გავრცელება მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკური-სავაჭრო ცენტრი საქონლის გადამანაწილების ფუნქციასაც იძენს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში არქეოლოგიური მასალა გვევლინება უმნიშვნელოვანეს წყაროდ საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზების ქვეყნის შინაგანი ეკონომიკური და აგრეთვე, პოლიტიკური განვითარებისათვის მნიშვნელობის შესასწავლად. ამ თვალსაზრისით, ჩვენ მიერ საკვლევად აღებული თემისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფოთისა და მისი მიდამოების⁵, დაბლაგომისა⁶ და დაფნარის⁷, ვანისა და მისი შემოგარენის⁸, ნოქალაქევის⁹, ქუთაისის¹⁰, ვარდციხე-როდოპოლისის¹¹, შორაპნის¹², საჩხერისა და საირხეს¹³, ზღუდერის¹⁴, ურბნისის¹⁵, უფლისციხის¹⁶, სამადლო-ნასტაკისის¹⁷, მცხეთისა და მისი მიდამოების¹⁸, თბილისის¹⁹, რუსთავის²⁰ და კახეთის ქალაქების²¹ არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს.

გ) ნუმიზმატიკური მასალა ასევე დიდმნიშვნელოვანია საქართველოზე გამავალი დიდი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესასწავლად. აღიარებულია, რომ სწორედ ასეთ გზებზე განლაგებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრებში ხდებოდა ადგილობრივი და უცხოური (განსაკუთრებით ე. წ. ინტერლოკალური) მონეტების ინტენსიური მიმოქცევა, შესაბამისად მათი „დალექვაც“. ამდენად ცალკეული მონეტებისა თუ განძების ტოპოგრაფია პირდაპირი მითითებაა სავაჭრო გზების მიმართულებისა. აღსანიშნავია, რომ ნუმიზმატიკური განძების აღმოჩენების დიდი ნაწილი მომდინარეობს ისტორიულად ცნობილი მსხვილი სავაჭრო პუნქტებიდან, ქალაქებიდან. ეს კი გვაძლევს სრულ საფუძველს იმისათვის, რომ დანარჩენი პუნქტები, სადაც კი ოქროს ან ვერცხლის მონეტების განძებია აღმოჩენილი, მაგრამ რომელთა შესახებ ჩვენ სხვა ცნობები არ

გაგვანინია, სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, გარკვეულ დროს აგრეთვე მნიშვნელოვან ცენტრებად წარმოვიდგინოთ და, შესაბამისად, გზების მიმართულებების დადგენისათვის გავითვალისწინოთ. აქედან გამომდინარე, ცხადია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს საქართველოზე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესასწავლად ჩვენში აღმოჩენილი ანტიკური და საშუალო საუკუნეების მონეტების პუბლიკაციებს²².

დ) ტოპონიმიკური მონაცემებიც გასათვალისწინებელია უძველესი სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესასწავლად. განსაკუთრებით წერილობით წყაროებსა თუ ცოცხალ მეტყველებაში შემორჩენილი ისეთი ტოპონიმებისა, როგორცაა „საბაუო“, „ნაქულბაქევი“, „მისაქციელი“, „ნაქალაქარი“, „ნაფუნდუეკევი“, „ნახიდური“ (და „ხიდი“-სგან ნაწარმოები სახელები: „ხიდის თავი“, „ოხერხიდა“, „ტინისხიდი“), „გაჭრილები“, „კლდე-კარი“, „კარნი“, „ასპინძა“, „სამადლო“, „ყელი“²³.

თუ რა დიდმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი მსგავსი სახელწოდებების ანალიზით, სამაგალითოდ მოვიტანთ აკად. ნ. ბერძენიშვილის მსჯელობას მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელის სახელწოდებასთან დაკავშირებით: „სოფელ ძალისას მივატანეთ. ის სწორედ იქ ძვეს, სადაც ნარეკვავის ხევი მუხრანის ველში გამოდის. მაგონდება რომაული იტინერარიუმი. იქ ისხენიება ძალისა. რამდენს არ აწვალებენ ამ ძალისას, სად არ ათავსებენ მას, ოღონდ ადგილზე კი არ აყენებენ. და ასე ხდება იმიტომ, რომ ჩვენი სპეციალისტები ძველი გზების კვლევისას ისტორიულ გეოგრაფიას ყოვლად უგულვებელყოფენ, წყაროებში მოხსენიებულ ადგილებს არ ნახულობენ და უპირატესად რუკების ჩვენებებზე ფილოლოგიურად ვარჯიშობენ. მართლაც და რა უნდა იყოს იმის საწინააღმდეგო, რომ ძალისა თავის ადგილზე დარჩეს. იბერიის ბარისა და ზეგნის საზღვარზე მდებარე ეს პუნქტი, ჩანს, მნიშვნელოვანი საგზაო სადგური იყო. შიდა ქართლის უმთავრესი გზა რომ სწორედ მუხრან-ძალისა-წილკანზე გამოივლიდა, ამის საბუთია სოფელი მისაქციელი, რომელიც ამ თავისი მეტყველი სახელით ნიშანდობლივ უჩვენებს თუ

საიდან მოდიოდა მთავარი გზა. „მისაქციელი“ (მისაბრუნე, მოხოულა – მოხვეულა გურული კილოთი) – ეს პუნქტი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ძალისა – წილკანზე გამავალი გზისათვის და არავითარ შემთხვევაში მცხეთიდან არაგვის პირით მიმავალი გზისათვის. იგულისხმება, რომ ძალისა-წილკანზე წამოსული გზა აქ (მისაქციელში) მოუხვევდა, „მიუქცევდა“ არაგვის პირისაკენ (ბულაჩაურისაკენ?), ან ნატახტარ-მცხეთისაკენ, შესაძლებელია, აქ, მისაქციელს, საგზაო ნიშანი რაიმე იდგა (მილიონი, ნებოძირი).

ასე რომ, ძალისა თავის ადგილას კარგადა ზის და მისი გადაადგილებისათვის საბუთი არ ჩანს²⁴.

მსგავსი ტოპონიმების შესწავლა დიდმნიშვნელოვანია არა მხოლოდ სავაჭრო გზების მიმართულებების დასადგენად, არამედ გზებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურების (გზაზე შესასვენებელი ადგილები, საბაჟოები, ლოკალური ბაზრები) შესასწავლად.

ე) ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გზების შესწავლაში. ასე მაგ., „მთა ქართლის“ ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ 1961 წ. შეისწავლა ერთ-ერთი მონაკვეთი მაგისტრალური სავაჭრო-სამხედრო გზისა, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ხანაში დიაგონალურად ჰკვეთდა საქართველოს ტერიტორიას და კახეთ-ჰერეთს ტაოსთან უმოკლესი მანძილით აკავშირებდა. ამ გზის გასწვრივ დადგენილი იქნა ისეთი ტოპონიმები, როგორცაა „მილიონა“, „ჯვარედინი“, „ნაქალაქარი“ და სხვ. ირკვევა, რომ ეს მაგისტრალი ამავე დროს „ცხვრის გზას“ წარმოადგენდა, რომლითაც მოძრაობდა საქართველოს ბარის (ქართლის, კახეთის) ცხვარი ჯავახეთ-არტაანის საძოვრებისაკენ. იგი ფუნქციონირებდა უკვე IV ს-ში (აღბათ უფრო ძველადაც) და სავაჭრო-სამომოსვლო ფუნქციასთან ერთად, საქართველოს მთისა და ბარის ეკონომიკურად დამაკავშირებელი ან საქართველოს გაერთიანების მძლავრი ფაქტორის როლს ასრულებდა²⁵.

ვ) ლიტერატურა

საქართველოზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესახებ არსებულ საკმაოდ მცირერიცხოვან ლიტერატურაში (ი. მანანდიანი, ს. ერემიანი, ნ. ლომოური, ნ. ბერძე

ნიშვილი) ძირითადი ყურადღება აქცენტირებული იყო გზების მიმართულების დადგენაზე ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქის მიმართ. 1970 წ. ჩვენ პირველად ვცადეთ საკითხის განხილვა მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობათა კონტექსტში უძველესი დროიდან XII ს-ის ჩათვლით. კვლევის შედეგები წარდგენილ იქნა ერთობლივი მოხსენების სახით ეკონომიკური ისტორიის საერთაშორისო კონგრესზე 1970 წელს ქ. ლენინგრადში (Лорткипанидзе – Мухелишვილი, 1970). ერთობლივი ნაშრომის ცალკეული ნაწილები დაიბეჭდა ჩვენს ნაშრომებში (მუსხელიშვილი, 1970; ლორთქიფანიძე, 1972) კვლევა ამ მიმართულებით შემდგომში აღარ გაგრძელდებულა.

სავაჭრო-სატრანზიტო გზები და საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება დღეს ე. წ. „ამიერკავკასიური დერეფნის“ პრობლემებთან დაკავშირებით. ამ პრობლემის ისტორიული ასპექტის დამუშავებას ეძღვნება ჩვენი ნაშრომი. აქ პირველად ისტორიოგრაფიაში, წერილობით წყაროების, არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მონაცემების საფუძველზე, გაშუქებულია საქართველოზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების ძირითადი მიმართულებანი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, გზების ფორმირების გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური წანამდგრები; ინტენსივობა სხვადასხვა ეპოქებში პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად, ექსპორტი და იმპორტი. კვლევის შემდგომ ეტაპად იგულისხმება გაშუქდეს სავაჭრო-სატრანზიტო გზების მნიშვნელობა ძველი საქართველოს ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის (ტექნიკური მიღწევების, კულტურული მონაპოვრებისა და იდეების გავრცელება და ათვისება) და დადგინდეს გზების კონკრეტული მიმართულებანი. დამუშავდება საკითხი იმის თაობაზე თუ როგორი ინფორმაცია გაჩნდა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შედეგად ანტიკურსა და აღმოსავლურ ლიტერატურაში საქართველოს შესახებ, კერძოდ გეოგრაფიულ წარმოდგენებში, როგორც აზიისა და ევროპის საზღვარი, გზაჯვარედინი და ა. შ.

თავი I

„ანტიკური“ ეპოქის (ძვ. წ. VI – ახ. წ. III-IV სს.) საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზები და საქართველო

შესავალი: საქართველო (კოლხეთი და იბერია) ძვ. წ. VI-IV სს-ის საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში

საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზების გავლას მყარი ნიადაგი შეუძნადა ქვეყნის ჩართვამ საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში. ამ პროცესში დიდი როლი შეასრულა ე. წ. ბერძნულმა კოლონიზაციამ. ეს იყო უდიდესი მიგრაციული პროცესი, რომლის მსგავსი მანამდე არ იცოდა ძველმა სამყარომ.

ბერძნულ-რომაულ წყაროებში მოხსენიებული ბერძნული „კოლონიები“ კოლხეთში ჯერ აღმოჩენილი არაა. არც ეპიგრაფიკული ძეგლებია მოპოვებული. ამ ქალაქის ტიპისა და ფუნქციის განსასაზღვრავად პირდაპირი ცნობები წყაროებშიც არაა შემონახული. ამით აიხსნება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (კოლხეთში) ბერძნული კოლონიზაციის ხასიათის შესახებ.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება შავი ზღვის კოლხეთის სანაპიროზე (ბათუმის რაიონი, ციხისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ფოთი და მისი მიდამოები, ყულევი, ქარიეტა, ოჩამჩირე, სოხუმი და მისი მიდამოები, ეშერი, ბიჭვინტა) ცხადყოფს, რომ მთელი ზღვისპირა ზოლი მთლიანად ადგილობრივი მოსახლეობის მიერაა მჭიდროდ დასახლებული, როგორც კოლონიზაციის წინარე ხანაში, ასევე ძვ. წ. VI-V სს., ე. ი. კოლონიზაციის პერიოდში. ამასთან, მიწათმოქმედებასა და ხელოსნურ წარმოებასთან ერთად (კერამიკული წარმოება, რკინის მეტალურგია), მოსახლეობის საწარმოო საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული ზღვასთან (მეთევზეობა).

ზემოაღნიშნულ ვითარებას საგრძნობლად უნდა შეეფერხებინა კოლხეთში ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობის განვითარება: მართლაც, ძვ. წ. VI-V სს. კოლხეთის სახელმწიფოს არსებობის პირობებში, ბერძნული კოლონი-

ების დაარსებამ ვერ მოახდინა რამდენადმე არსებითი ცვლილება ადგილობრივ დემოგრაფიულ სიტუაციაში. ადგილობრივი მოსახლეობა კვლავინდებურად იმავე ტერიტორიაზე სახლობს და ეწევა აქტიურ სამეურნეო საქმიანობას, ამასთან თითქმის არ შეინიშნება რამდენადმე არსებითი კვალი ბერძნული გავლენისა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფასა და მატერიალურ თუ სულიერ კულტურაზე, რაც აგრე თვალსაჩინოდ მუდგანდება ჩვეულებრივ იმ ოლქებში, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა „დიდი ბერძნული კოლონიზაცია“. ცნობილია, „ელინიზირებულ“ ახლად დაარსებული ბერძნული ქალაქებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან გაჭრობას, განსაკუთრებით ნედლეულით.

წერილობითი წყაროების ჩვენებით, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში, ე. ი. ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე, ბერძნებმა სამი ახალშენი დაარსეს: ფასისი (დღევანდელი ფოთის მიდამოებში), გიენოსი (ივარაუდება ოჩამჩირესთან) და დიოსკურია (დღევანდელი სოხუმის უბეში)²⁶. კოლხეთში ბერძნული კოლონიების ისტორიის მრავალი საკითხი სადისკუსიოა²⁷ და მაინც მკვლევართა უმრავლესობა დღეს იმ აზრისაა, რომ ბერძნულ კოლონიზაციას კოლხეთში ძირითადად სავაჭრო მიმართულება ჰქონდა.

ამიერკავკასიის, და პირველ რიგში – ძველი საქართველოს (ე. ი. კოლხეთის და იბერიის) უაღრესად ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა და მისი მნიშვნელობა, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ხიდისა, კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ძველ ბერძნებს. ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა „ისტორიის მამად“ წოდებული ჰეროდოტეს ცნობები²⁸. აქ ერთი მხრივ, არაერთგზის ხაზგასმითაა აღნიშნული შავი ზღვის, როგორც საკონტაქტო ზონის, მნიშვნელობა და რეგულარული მიმოსვლა გემებით შავი ზღვის იმდროინდელი ნავსადგურების²⁹ და, კერძოდ, ფასისის გამოყენებით. ასე, მაგ., „ისტორიის“ IV წიგნის 86-ე პარაგრაფში ჰეროდოტე აღნიშნავს: „პონტოს უბიდან ფასისამდე (რადგანაც ეს არის ყველაზე გრძელი მანძილი პონტოსი) ცურვას უნდე-

ბიან 9 დღესა და 8 ღამეს. ეს კი იქნება 1110000 ორგია, ხოლო ამ ორგებებიდან გამოდის 11100 სტადიონი“³⁰.

ასევე საყურადღებოა ჰეროდოტეს ცნობები კოლხეთის როგორც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალ გზებზე მდებარე ქვეყნის შესახებ: „მეოტიდის ტბიდან მდინარე ფასისამდე და კოლხებამდე 30 დღის სავალია მსუბუქად შეიარაღებულისათვის, ხოლო კოლხეთიდან მიდიაში დიდი არაა გადასავალი, არამედ მხოლოდ ერთი ხალხია ამ ქვეყნებს შორის. ეს არის სასპვირები. ამათ რომ ჩაუვლი, ხარ მიდიაში“³¹.

დაისმის ასეთი კითხვა: რატომ მოვიდნენ ბერძენი მოახალშენეები კოლხეთში და რა მიზნით დაარსეს თავისი კოლონიები? აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, ძვ. წ. VIII-VII სს-ში (ე. ი. სწორედ „დიდი ბერძნული კოლონიზაციის“ ეპოქაში) არაჩვეულებრივი პოპულარობა ბერძნულ მწერლობაში იმ თქმულებებისა, რომელნიც მოგვითხრობდნენ არგონავტების ლაშქრობაზე კოლხეთში ოქროს საწმისისათვის. გავიხსენოთ, რომ ამ თემას უძღვნეს თავიანთი ნაწარმოებები ე. წ. კიკლიური და ნავპაქტიკური ეპოსის წარმომადგენლებმა, გამორჩენილმა მწერლებმა და პოეტებმა – ევმელოს კორინთელმა, სიმონიდე კეოსელმა, ჰეკატე მილეტელმა, აკუსილაე არგოსელმა, პინდარემ და მრავალმა სხვამ³². ხომ არ იყო ეს თავისებური მოწოდება ოქროთი მდიდარი ქვეყნის „დასალაშქრავად?“ თუ სწორია დებულება იმის შესახებ, რომ უძველესი არგონავტიკა არის აგრეთვე თავისებური ასახვა ძვ. წ. VIII-VI სს-ის ბერძნული საკოლონიზაციო კონცეფციისა, მაშინ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს მოსაზრება ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ საკმაოდ ნათლად ჩამოაყალიბა დიდმა ბერძენმა ისტორიკოსმა და გეოგრაფოსმა სტრაბონმა („გეოგრაფია“, I, 2, 39): „...იქაური ქვეყნის (საუბარია კოლხეთზე – ავტ.) სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლითა და რკინით გვიჩვენებს ნამდვილ მიზეზს ლაშქრობისა, რისთვისაც ჯერ ფრიქემ მოაწყო თავისი მგზავრობა“.

კოლხეთის ლითონებით სიმდიდრეს სტრაბონი, ამრიგად, იხსენიებს არგონავტების ლაშქრობის შესახებ თქმულებასთან კონტექსტში³³. დღეს სპეციალურ სამეცნიერო

ლიტერატურაში სულ უფრო მტკიცდება აზრი, რომ ბერძენთა მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (ე. ი. კოლხეთში) თავის კოლონიების (აპოიკიების) დაარსების ერთ-ერთი მთავარი სტიმული იყო ლითონების (პირველ რიგში რკინისა და, აგრეთვე, ოქროს) მოპოვება³⁴.

1) ოქროთი სიმდიდრე

კოლხეთის სიმდიდრე ოქროთი არაერთგზისაა აღნიშნული ძველ ბერძნულ ლიტერატურაში. შეიძლება ითქვას, რომ ოქრო ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტიპიური სიმბოლოა, რომლითაც წარმოდგენილია კოლხეთი ბერძნულ-რომაულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით არგონავტების თქმულე-ბასთან კავშირში. ასე მაგ., ძვ. წ. IV ს-ით დათარიღებულ ერთ-ერთ ეპიტაფიაში („კოლხეთში დაკრძალულ აიეტზე“), რომელიც შეცდომით არისტოტელეს მიეწერებოდა, ნათქვამია: „ოქრომრავალი კოლხების მეფე აიეტი ღმერთების ყოვლისმძლე სვემ აქ გააპატიოსნა“ („პეპლოსი“ 43).

აქ საინტერესოა, აგრეთვე, რომ კოლხეთი მოიხსენიება იმავე ეპითეტით – „ოქრომრავალი“, როგორც ძველ სამყაროში იხსენიებოდა მხოლოდ მიკენი, სარდი და ბაბილონი.

კოლხეთის ოქრომრავლობა ხშირად პოეტური ხერხებითაა გადმოცემული: მიმნერმე („ნანო“, ფრ. II) იხსენიებდა აიეტის ქალაქში „ოქროს სასახლეს“. ევრიპიდესთან მედია გლავეკეს საჩუქრად უგზავნის „ოქროს გვირგვინს“ და წამლებს ხარშავს „ოქროს ქვაბებში“. ხოლო ლიკოფრონ ქალკიდელთან („ალექსანდრა“ 886-887) მედია ტრიტონს ასაჩუქრებს „ოქროს კრატერით“. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“-ში კოლხთა მეფე აიეტი ატარებს ოქროს მუზარადს. საინტერესოა პლინიუსის ცნობაც, რომ კოლხეთში მეფობდა „აიეტის შთამომავალი სავლაკი, რომელმაც მფლობელობაში მიიღო აურაცხელი მიწა-წყალი, და ამბობენ მოიპოვა უამრავი რაოდენობის ოქრო და ვერცხლი სვანთა ტომის მიწაში და, საერთოდ, ოქროს საწმინთ განთქმულ თავის სამეფოში“ (NH, XXXIII, 52).

სტრაბონის „გეოგრაფია“-მ შემოინახა, აგრეთვე, ცნობა კოლხეთში ოქროს მოპოვების შესახებ: „...ამბობენ, რომ ზამ-

თრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ბარბაროსები აგროვებენ (ოქროს) დახვრეტილი ვარცლებით და ბანჯგელიანი ტყავებით: აქედან მომდინარეობს მითი ოქროს საწმისიან ვერძზე“ (XI, 2, 17). ანალოგიური შინაარსისაა აპიანეს ცნობაც: „კავკასიონიდან გამომდინარე მრავალ ნაკადულს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეში სქელმატყელიან ცხვრის ტყავს დებენ დააგროვებენ ქვიშას, რომელიც ამ ტყავებზე რჩება, ალბათ ამგვარივე იყო აიეტის ოქროს საწმისიც“.

სტრაბონისა და აპიანეს ცნობებიც სრულიად უეჭველად რეალური ვითარების ამსახველია, რამდენადაც იმასვე იუწყებიან ამ ადგილებში უფრო გვიან ხანებში (XVIII ს-სა და XIX ს-ში) მოგზაურნიც³⁵, ხოლო ბერძენ ავტორთა მიერ აღწერილი წესი ოქროს მოპოვებისა თითქმის უკანასკნელ დრომდე შემონახა სვანეთში ე. ი. ისტორიული კოლხეთის მთიან ოლქებში. აწ განსვენებული ქართველი ეთნოგრაფის ლ. ბოჭორიშვილის ცნობით: “ოქროს მოპოვებას სვანები ცხვრის ტყავის დახმარებით ახერხებდნენ. ფიცარზე გაჭიმულსა, თუ სხვაგვარი ხერხით გაშლილ ცხვრის ტყავს სათანადოდ დაამაგრებდნენ, რომ წყალს არ მოეტაცნა, ტყავის ბეწვიანი მხარე ზემოთ უნდა ყოფილიყო მოქცეული. ბეწვი ოქროს დაიჭერდა და წყალი გაივლიდა. სველი ტყავი ოქროს კენჭებს მიიწებებდა, რადგან ოქრო უფრო მძიმეა, ვიდრე სილა. განსაზღვრული დროის შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ და გასაშრობად გაშლიდნენ. გამშრალ ტყავს დაბერტყავდნენ და ოქროს კენჭებს გადმოჰყრიდნენ“³⁶.

კოლხეთის ოქრომრავლობის შესახებ სტრაბონისა და სხვა ბერძენ მწერალთა ცნობების რეალურობის ილუსტრაციაა აგრეთვე არქეოლოგიური აღმოჩენები: კოლხეთის ძვ. წ. V-III სს-ის სამარხებში გასაოცარი სიმრავლით წარმოდგენილი ოქროს სამკაულები – ძირითადად ადგილობრივი საოქრომჭედლო ხელოვნების ნიმუშები³⁷.

2) რკინით სიმდიდრე

სტრაბონის ცნობა კოლხეთის რკინით სიმდიდრის შესახებ ბერძნულ ლიტერატურაში თითქოს ერთადერთია³⁸,

მაგრამ ის ზუსტად შეესატყვისება და ასახავს რეალურ ვითარებას: დასავლეთ საქართველო (ე. ი. ძელი კოლხეთი) მართლაც მდიდარი იყო როგორც მაგნეტიტური, ისე მადნეული რკინით³⁹. ამასთან რკინის ფართო გამოყენება არქეოლოგიური მასალებითაც თვალსაჩინოდ დასტურდება და შესანიშნავად ეხმაურება სტრაბონის ზემოთ მოტანილ ცნობას.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება დასავლეთ საქართველოში ცხადყოფს, რომ უკვე ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. VIII-VII სს-დან (ხოლო ზოგიერთი მკვლევარის აზრით, უფრო ადრეც) ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე დგება რკინის ფართო ათვისების ხანა. ამასთან, რკინის წარმოება, რომელიც ადგილობრივ ნედლეულზე იყო დაფუძნებული, უკვე მასობრივ ხასიათს ატარებს. ამას მოწმობს რკინის წარმოების ნაშთების (რკინის სადნობი ქურები, წიდა, თიხის საქშენები, ცეცხლგამძლე რკინის მოლესილობანი და ა. შ.) უაღრესად მრავალრიცხოვანი აღმოჩენები⁴⁰. დადასტურდა, რომ ეს სახელოსნოები ნედლეულად იყენებდნენ როგორც მადნეულ რკინას (ჰემატიტს), ასევე მაგნეტიტურ ქვიშას, რაც თავის მხრივ დოკუმენტური დადასტურებაა ბერძენ ავტორთა ცნობებისა მაგნეტიტური ქვიშიდან ფლოტაციის გზით რკინის მიღებისა⁴¹ და ფოლადის გამოდნობის ხალიბური წესის შესახებ⁴². მეორე მხრივ, კოლხეთში რკინის წარმოების ძალზე ფართო მასშტაბების პირდაპირი მოწმობაა აგრეთვე ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე მრავლად აღმოჩენილი რკინის საომარი და სასოფლო-სამეურნეო იარაღი თუ სხვა დანიშნულების ნივთები (სახნისები, ცულები, დანები, შუბისა და ისრისპირები, ლურსმნები, ცხენის აკაზმულობის ნაწილები). განსაკუთრებით თვალსაჩინოა რკინის სამეურნეო იარაღების სიმრავლეც: ათეულობით და ზოგჯერ ასეულობითაც კი!⁴³ არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ რკინამ უდიდესი როლი შეასრულა კოლხეთის სოციალურსა და ეკონომიკურ განვითარებაში.

3) „ყოველივე ნავთსაშენისათვის“

სტრაბონის ცნობით: „ქვეყანა (ე. ი. კოლხეთი) შესანიშნავია... აგრეთვე ყოველივე ნავთსაშენით, რადგან აქ იზრდება მრავალი ტყე და მდინარეებითაც ჩამოიტანება“.

კოლხეთში ტყეების სიუხვეს იუწყებოდა ჯერ კიდევ ფსევდო-ჰიპოკრატე: „ეს ქვეყანა ჭაობიანი, თბილი, წყლიანი და ტყიანი“ (15). ამასვე აღნიშნავენ გვიანდელი ავტორებიც. მაგ., ვიტრუვიუსი (II, 1,4) და მანილიუსი („ასტრონავტიკა“, V, 376-378)⁴⁴. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანტიკურ ხანაში (და სტრაბონის დროსაც) კოლხეთის ტყეებში იგივე ხის ჯიშები იყო გავრცელებული, რაც დღესაა⁴⁵ – ნაძვი და სოჭი, რომელნიც სწორედ გემთმშენებლობაში გამოიყენებოდა, აგრეთვე მუხა, წიფელი, ნეკერჩხალი, წაბლი,⁴⁶ ისინი უკვე ძველ დროში გამოიყენებოდა, როგორც სამშენებლო მასალა, ასევე, საერთოდ ხის დამმუშავებელ წარმოებაში.

სტრაბონის ცნობის საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხე-ტყე ექსპორტის საგანსაც შეადგენდა, კერძოდ გემსაშენი ჯიშები⁴⁷. სტრაბონის ერთ მითითებაშიც (XI, 2, 18) არის მინიშნება, რომ მითრიდატე VI ევპატორს სწორედ კოლხეთიდან მისდიოდა ნაოსნობისათვის აგრე საჭირო მასალა. ხე-ტყის გატანას ხელს უწყობდა, როგორც ჩანს, გეოგრაფიული პირობები: დასავლეთ საქართველოს მდინარეების ჩქარი ღინება ხე-ტყის ტრანსპორტირების კარგ შესაძლებლობას ქმნიდა, რასაც დღემდე იყენებენ. ალბათ ამას გულისხმობდა სტრაბონიც, როდესაც წერდა (XI, 2, 17), რომ გემსაშენი ხე-ტყე „მდინარეებით ჩამოიტანება“. გემთმშენებლობისათვის გამოიყენებოდა, აგრეთვე, როგორც სტრაბონის ცნობის კონტექსტით ჩანს, კანაფი, ცვილი და ფისი⁴⁸, რომელთაც (კერძოდ ცვილს) სხვა მრავალი დანიშნულებაც ჰქონია⁴⁹.

მთელს ანტიკურ სამყაროში იყო სახელგანთქმული კოლხური ხოხობი, რომელსაც პირველად დემოსთენე (ძვ. წ. V ს.), ხოლო შემდეგ, ძვ. წ. III-II სს. ბერძენი მწერალი ავათარკიდე კნიდოსელი იხსენიებს.

ბერძენ-რომაელ მწერალთა ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ ხოხობიც და მისი სახელით ანტიკურ სამყაროში კოლხეთის ფასისისგანაა გაერცვლებული: იუვენალის სქოლასტი წერს: „ხოხობი ფასისიდან წარმომავლობს“, ხოლო ესტატე თესალონიკელის ცნობით, „მდ. ფასისის მიხედვით მიიღეს ეს სახელი (ფასიანები) ფრინველებმაც, რომლებიც აქ დიდი რაოდენობითაა“. ამიტომაც, რომ ბერძნულად ხოხობს ეწოდება „ფასიანოს“, ლათინურად – „ფაზიანუს“⁵⁰.

მხოლოდ ნედლეული და ბუნებრივი სიმდიდრე როდი შეადგენდა კოლხეთიდან ექსპორტის საგანს: უკვე ადრეანტიკურ ხანაში, როგორც ჩანს, ფართოდ გაჰქონდათ კოლხური ხელოსნური ნაწარმი, რომელსაც უთუოდ, ფართო სასაქონლო ხასიათი ჰქონდა. უკვე ძვ. წ. V ს. (და შესაძლოა, რამდენადმე უფრო ადრეც) მთელს ანტიკურ სამყაროში იყო სახელგანთქმული კოლხური სელი. სტრაბონი წერდა: „კოლხეთში უხვად მოჰყავთ სელი. სელის წარმოებაში სახელიც კი გაითქვა: იგი უცხო ქვეყნებშიც კი გაჰქონდათ და ზოგიერთი, ვისაც სურს დაამტკიცოს კოლხების ნათესაობა ეგვიპტელებთან, ამაში ხედავს დამამტკიცებელ საბუთს“ (XI, 1, 17). სრულიად აშკარაა, რომ „ზოგიერთებში“ სტრაბონი გულისხმობს ჰეროდოტეს, რამდენადაც ამ უკანასკნელს ეკუთვნის ჩვენთვის ცნობილი პირველი მითითება კოლხური სელის შესახებ და იდეაც კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობისა. ჰეროდოტეს ცნობა: „მხოლოდ ესენი (კოლხები – ავტ.) და ეგვიპტელები ამზადებენ სელს ერთნაირად... ხოლო კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს კი – ეგვიპტურ სელს“ (II, 105), მოწმობს, რომ ბერძნულ სამყაროში ფართოდ იყო გაერცვლებული კოლხური სელი და იგი, უნდა ვივარაუდოთ, ეგვიპტურსაც კი უწევდა მეტოქეობას. საინტერესოა, რომ ქსენოფონტე წერდა: „წმინდა ფასიანურ ან კართაგენულ სელისაგან, უნდა გააკეთდეს ჩასაშვები ბადეები, აგრეთვე სამგზავრო და საველები“. ამრიგად, სელის ექსპორტს ადრეანტიკური ხანის კოლხეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა.

საფიქრებელია, რომ ქსოვილთან ერთად კოლხეთიდან ფართოდ გაჰქონდათ სელის ზეთი, რომელსაც, როგორც ცნობილია, საკვები, სანათი და სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა. საინტერესოა, რომ კოლხთა ლეგენდარული მეფის აიეტის ასული მედეა მთელს ანტიკურ სამყაროში იყო სახელგანთქმული, როგორც ჯადოსნურ წამალთა დამზადების დიდოსტატი. ფიქრობენ, რომ სელის წარმოებით განთქმულ კოლხეთში როგორც სამკურნალო, ისე სურნელოვანი ზეთის შემზადება სელის ზეთის საფუძველზე იყო აღმოცენებული.

ჩვენ არ მოგვეპოვება პირდაპირი მასალა იმის შესახებ – არსებობდა თუ არა კოლხეთში მონათა ბაზარი, მაგრამ ტყვე-მონების კოლხეთიდან გაყვანის ცალკეული შემთხვევები ეჭვს თითქოს არ უნდა იწვევდეს. საამისო მოწმობაა კოლხეთის მონების არსებობა ათენის კერამიკოსთა და ვაზების – მომხატველთა შორის, რომელნიც თავის ნაწარმს წააწერდნენ ხოლმე ეთნიკურ სახელს – „კოლხი“. მონა „კოლხი“ იხსენიება აგრეთვე ათენში ძვ. წ. 415-414 წწ. ე. წ. ჰერმოკოპიდების პროცესთან დაკავშირებით შედგენილ წარწერაში, საიდანაც ვიგებთ რომ „კოლხი“ მონა 153 დრაქმად ყოფილა შეფასებული. მაგრამ რამდენადაც საინტერესო არ უნდა იყოს ეს მონაცემები, ის მაინც ვერ გამოდგება მოწმობად კოლხეთში ისეთი მონათა ბაზრის არსებობისა, რომელიც ათენისა თუ სხვა ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების ინტერესის სფეროში მოექცეოდა. ჩვენი აზრით, ბერძნებს კოლხეთში ძირითადად მაინც ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრეები და პირველ რიგში კი – ლითონი იზიდავდა.

ბერძენ ვაჭრებს კი კოლხეთში ძირითადად მხატვრული და სუფრის ფაქიზი კერამიკა თუ ძვირფასი ლითონის ჭურჭელი, მაღალი ხარისხის ღვინო, ზეთუნის ზეთი და ნელსაცხებელი შემოჰქონდათ.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ძვ. წ. VI-IV სს-ში ბერძნული სამყაროს კოლხეთთან ურთიერთობაში ორი ძირითადი ეტაპი გამოიყოფა: პირველი მოიცავს ძირითადად ძვ. წ. VI, ხოლო მეორე კი ძვ. წ. V-IV საუკუნეებს.

ანტიკური სამყაროს კოლხეთთან რეგულარული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღრინდელ ეტაპზე სრულიად აშკარაა აღმოსავლურ-ბერძნული (იონიური) სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების აქტიური როლი. ძვ. წ. VI ს. პირველ ნახევარში ურთიერთობა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძალზე სპონტანურ ხასიათს ატარებს (ამ ხანის მხოლოდ ერთეული აღმოჩენებია, ჯერჯერობით ცნობილი), სამაგიეროდ უკვე ძვ. წ. VI ს. შუა ხანებიდან, და განსაკუთრებით ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევარში, ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს შორის უკვე საკმაოდ ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჩანს.

ძვ. წ. VI ს., როგორც ითქვა, კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში აქტიურ როლს იონიური სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები ასრულებენ. ამ ცენტრების ნაწარმი, უპირატესად მხატვრული კერამიკა უკვე საკმაოდ მრავალადაა კოლხეთში აღმოჩენილი: სხვადასხვა ფორმის ჯამები, მოხატული თევზები, პოლიქრომული სარტყლებით შემკული სურები, ჭრაქები და სხვ. აქ კარგად გამოიყოფა ე. წ. იონიურ-როდოსული (კამარესის ჯგუფი), ფიკელურას და „იონიური“ სტილის კერამიკა. ამ კერამიკის ნაწილი როდოსის და სამოსის სახელოსნო ცენტრების პროდუქციაა. ჯერჯერობით ვერ ხერხდება აღმოსავლეთის ბერძნული კერამიკის ე. წ. „იონიური“ ჯგუფის სახელით ცნობილი კერამიკის საწარმოო ცენტრების განსაზღვრა. თიხების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნება მკვლევარს სხვადასხვა საწარმოო ცენტრების (ქოსი, ნაგერატისი, მილეტი) არსებობას ავარაუდებინებს. აღსანიშნავია, მხოლოდ, რომ აღმოსავლურ ბერძნული კერამიკის მკვლევართა უმრავლესობის აზრით, საშუამავლო როლს იონიური სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების პროდუქციით ვაჭრობაში უდიდესი სავაჭრო ცენტრი მილეტი ასრულებდა. იონიური მხატვრული კერამიკის ინტენსიურ იმპორტზე კოლხეთში მოწმობს ამ კერამიკის აღმოჩენა არა მხოლოდ ზღვისპირა ზოლში (ქობულეთ-ფიჭვნარი, ფოთის მიდამოები), არამედ კოლხეთის შიდა რაიონებში და აღმოსავლეთ საქართველოშიც კი.

გარდა მხატვრული კერამიკისა, იონიური ცენტრებიდან კოლხეთში შემოჰქონდათ ზეითუნის ზეთი, მაღალი

ხარისხის ღვინო და სხვ. ამაზე მიუთითებს დიდი ზომის სატრანზიტო თიხის ჭურჭლის, ე. წ. ამფორების ძალზე ხშირი აღმოჩენები ძველი კოლხეთის მრავალ პუნქტში. აღსანიშნავია რომ კოლხეთში აღმოჩენილი ძვ. წ. VI ს. ამფორების უმრავლესობა აგრეთვე იონიურ საწარმოო ცენტრებს ეკუთვნის (ქიოსი, ლესბოსი, სამოსი და სხვ.). საერთოდ ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევარში კოლხეთში იმავე საწარმოო ცენტრების პროდუქცია შემოჰქონდათ, რაც შავიზღვისპირეთის სხვა ოლქებში. ამიტომ ამ დროის იონიური იმპორტის კოლხეთში გავრცელება უნდა განვიხილოთ, როგორც ნაწილი, აღმოსავლურ-ბერძნული ცენტრების მთელს შავიზღვისპირეთთან ეკონომიკური ურთიერთობის შემადგენელი ელემენტი. ამ ურთიერთობებში წამყვან ადგილს აკუთვნებენ მილეტს, რომელსაც მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა შავიზღვისპირეთში დაარსებულ თავის ახალშენებთან. მილეტთან ერთად აქტიურ როლს ასრულებდნენ, აგრეთვე, ქიოსი და შესაძლოა – სამოსიც.

ძვ. წ. VI ს. დასასრულსა და V ს. დასაწყისში შეინიშნება აღმოსავლურ-ბერძნული ცენტრების კოლხეთთან სავაჭრო ურთიერთობის შესუსტება. ძვ. წ. V ს. მეორე ნახევრიდან იონიური მხატვრული კერამიკა თითქმის სრულებით აღარ გვხვდება კოლხეთის არქეოლოგიურ მონაპოვარში. სამაგიეროდ ამ დროიდან სრულიად აშკარად ისახება ათენის (ატიკის) აქტიური სავაჭრო როლი კოლხეთთან ურთიერთობაში.

ათენის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა კოლხეთთან, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ს. უკანასკნელ მეოთხედში იწყება. ამ დროის ცალკეული აღმოჩენები ცნობილია ქობულეთ-ფიჭვნარიდან, ფასისის მიდამოებიდან, ოჩამჩირესა და ეშერის ნამოსახლარებიდან. ერთი აღმოჩენა აღმოსავლეთ საქართველოშიცაა (ხოვლე) ფიქსირებული. მაგრამ არქეოლოგიურ მონაპოვარში ნათლად ჩანს, რომ ამ დროს ატიკასთან ურთიერთობა ჯერ კიდევ არაა ინტენსიური და იგი ვერ უწევს კონკურენციას იონიურ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს. სულ სხვა სურათია ამ მხრივ ძვ. წ. V ს., განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში და IV ს-ში.

ცნობილია, რომ ძვ. წ. VI დამლევეს დარიოს I დაიპყრო პროპონტიდა და ჰელესპონტი, რის შედეგადაც შავი ზღვის სრუტეები აქემენიდური ირანის გავლენას დაემორჩილა. ფიქრობენ, რომ ამ ფაქტს, მიუხედავად ბერძენ-ირანელთა ომიანობისა, დიდად არ შეუშლია ხელი ათენის შავიზღვისპირეთთან ვაჭრობისათვის, მაგრამ ძვ. წ. V ს. 90-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისს შორის სავაჭრო ურთიერთობანი მაინც საგრძნობლად უნდა შეფერხებულიყო. მხოლოდ ძვ. წ. V ს. 70-იანი წლებიდან (ძვ. წ. 476-5 წწ.) ათენელთა მიერ ქ. ბიზანტიონის საბოლოოდ დაპყრობის შემდეგ იწყება მათი განუყოფელი ბატონობა შავი ზღვის სრუტეებზე და უპირატესი როლი მთელს შავიზღვისპირეთთან ვაჭრობაში. არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, რომ სწორედ ძვ. წ. V ს-ის 70-იანი წლებიდან უნდა ვივარაუდოთ ათენის ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დასაწყისი კოლხეთთანაც.

ძვ. წ. V ს-დან ანტიკური ნაწარმი კოლხეთში საკმაოდ დიდი რაოდენობით შემოდის (წინარე ხანის იონიურ იმპორტთან შედარებით). მაგრამ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ იშვიათ გამონაკლისს გარდა, ათენელ ვაჭრებს ამ დროის კოლხეთში ძირითადად მაღალმხატვრული ნაწარმი კი არ შემოაქვთ, არამედ – ატიკის კერამიკული საწარმოების მასობრივი პროდუქცია. ძირითადად ესაა შავლაკიანი სუფრის ჭურჭელი, რომელიც მაინცდამაინც დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ძირითადად გვხვდება მცირე ზომის ჭურჭელი (სკიფოსები, კილიკები, მომცროსი ლეკითოსები და ა. შ.). შედარებით იშვიათია დიდი ჭურჭელი (ჰიდრია, კრატერი). იგივე ითქმის წითელფიგურულ მაღალმხატვრულ კერამიკაზეც. მოხატული კერამიკა ძირითადად წარმოდგენილია ე. წ. „გაკრული“ სტილის შავფიგურული კილიკებითა და შაბლონური წითელფიგურული ჭურჭლით და ისიც არცთუ ისე მრავალრიცხოვანია. ჯერჯერობით ცოტა რამ ვიცით კოლხეთის ატიკური იმპორტის ისეთ სახეობებზეც, როგორცაა ტერაკოტები, ტორევეტიკა, ოქრომჭედლობა, რომელნიც მოხატულ მაღალმხატვრულ კერამიკასთან ერთად აგრე დიდი რაოდენობით შეჰქონდათ ბერძენ ვაჭრებს შავიზღვისპირეთის სხვა ოლქებში (მათ

შორის ჩრდ. შავიზღვისპირეთში) ძვ. წ. V ს-ის უკანასკნელ მესამედსა და IV ს-ის პირველ ნახევარში.

ძვ. წ. V-IV სს-ში ატიკური კერამიკა გვხვდება თითქმის მთელს კოლხეთში – როგორც ზღვისპირა ზოლში, ასევე ქვეყნის შიდა რაიონებში და მთიან ოლქებშიც კი. მაგრამ რაოდენობრივად იმპორტული ნაწარმი მაინც ჯერ კიდევ მცირერიცხოვანია და ფაქტობრივად თითოეულ პუნქტში მეტწილად ერთეული ნიმუშებითაა წარმოდგენილი. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ატიკური იმპორტული კერამიკა გვხვდება ძირითადად ქალაქური ტიპის დასახლებებზე და აგრეთვე ადგილობრივ დიდკაცთა სამარხებში (ვანი, საირხე, ითხვისი, ბრილი და სხვ.) ეს კი მოწმობს იმას, რომ იმპორტული საგნები იმ დროს საკმაოდ ძვირად ფასობდა და მისი მომხმარებელი ძირითადად კოლხეთის საზოგადოების მმართველი ფენა იყო, რომელიც ქვეყნის ძირითად ნედლეულსა და სიმდიდრეს ფლობდა.

ატიკურ კერამიკულ ნაწარმთან ერთად ძვ. წ. V-IV, სს-ში კოლხეთში ბერძენ ვაჭრებს შემოჰქონდათ აგრეთვე მაღალი ხარისხის ღვინო და შესაძლოა ზეითუნის ზეთი, რასაც მათი ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ჭურჭლის – ამფორების ხშირი აღმოჩენებიც მოწმობს. ამასთან, თუ ძვ. წ. VI ს-ისათვის, ქვეყნის შიგნით ამფორების აღმოჩენათა მხოლოდ თითო-ოროლა შემთხვევაა ცნობილი, ძვ. წ. V-IV სს-ისათვის მათი რიცხვი საკმაოდ მრავლდება და ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებიდან კოლხეთში ამფორების ადგილობრივი დამზადებაც კი იწყება.

ძვ. წ. V-IV სს-ში კოლხეთში, ისევე როგორც შავიზღვისპირეთის დანარჩენ რაიონებში, ვრცელდება უპირატესად იმ ცენტრების ამფორები, რომელნიც ე. წ. ათენის პირველ საზღვაო კავშირში შედიოდნენ. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ქიოსის – ათენის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პრივილეგირებული მოკავშირის ამფორები. ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევრიდან კოლხეთში ვრცელდება აგრეთვე, კ. თაზოსის ნაწარმიც (ამფორები, ლეკითოსები), რასაც აგრეთვე ათენის შავიზღვისპირეთთან სავაჭრო ურთიერთობათა გაცხოველებას უკავშირებენ. შესაძლოა ათენის საშუამავლო ვაჭრობას პონტოს ზღვის ქვეყნებთან უკავ-

შირდება აგრეთვე ზოგიერთი სხვა ნაწარმის გავრცელება კოლხეთში. მაგ., ეგვიპტური ნივთებისა, რომელთა შორისაა უნიკალური პოლიქრომული გულსაკიდი, სირიული მინის მრავალფერა მძივები, აგრეთვე მინის ასევე მრავალფერა (ე. წ. ფინიკიური) სანელსაცხებლები და სხვ.

შავიზღვისპირეთის ცალკეული ოლქების საერთო ბერძნულ სავაჭრო-ეკონომიკურმა კავშირებმა უთუოდ ხელი შეუწყო თვით ამ ცალკეულ რეგიონებს შორის სავაჭრო ურთიერთობათა დამყარებასაც. ასე, მაგ., უკვე ძვ. წ. VI ს. იწყება და განსაკუთრებით ინტენსიური V-IV სს-ში ხდება, კოლხეთის ურთიერთობა ჩრდ. შავიზღვისპირეთთან.

კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობამ ბერძნულ სამყაროსთან⁵¹ უთუოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების რთულ პროცესში. ეს იყო სრულიად ახალი მოვლენა, რის შედეგადაც კოლხეთი პირველად ჩაება საერთაშორისო ვაჭრობის ორბიტაში. პირველად ძვ. წ. VI ს-დან დაიწყო კოლხეთში რეგულარული იმპორტი ბერძნული ნაწარმისა, რომელიც სანაცვლოდ გარკვეულ ეკონომიკურ კომპენსაციას ითხოვდა და ამას არ შეეძლო არსებითი გავლენა არ მოეხდინა ქვეყნის ეკონომიკაზე, საგარეო და პირველ რიგში კი შინაკოლხურ ვაჭრობაზე, რის ყველაზე უფრო თვალსაჩინო და მჭევრმეტყველი მოწმობაა ფულადი მიმოქცევის განვითარება: ძვ. წ. VI ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან მთელს კოლხეთში ფართოდ მიმოიქცევა ვერცხლის მონეტები, რომელნიც გამოირჩევიან არაჩვეულებრივი მრავალრიცხოვნებით, მიმოქცევის სრულიად გარკვეული არეალით (მთლიანად რომ ემთხვევა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს, ე. ი. ძველი კოლხეთის ტერიტორიას), აგრეთვე სამონეტო ტიპებისა და ვარიანტების მრავალფეროვნებით და მაინც საერთო მოდელით ერთიანდებიან – ესაა ე. წ. კოლხური თეთრი⁵².

კოლხური თეთრის გავრცელების არეალი მთლიანად თანხვედბა კოლხეთის ტერიტორიას და ძალიან იშვიათად გვხვდება იგი ქვეყნის გარეთ. ეს კი მოწმობს რომ იგი განკუთვნილი იყო შინა, ადგილობრივ ბაზარზე მიმოქცევისათვის, ე. ი. იგი შინაკოლხური ბაზრის ინტერესებისათ-

ის იყო მოჭრილი. ისინი გვხვდება და მიმოიქცევა სწორედ იმ ტერიტორიაზე, სადაც ვრცელდება ძვ. წ. VI-IV სს-ის კოლხური კულტურის დამახასიათებელი კომპონენტები (კერმიკა, ლითონის ნივთები, საიუველირო ნაწარმი).

კოლხური თეთრის გავრცელების არეალზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სავაჭრო ოპერაციებში, რომლებშიც მონეტა გამოყენებულია, როგორც ღირებულების ერთიანი ეკვივალენტი, მეტ-ნაკლები ინტენსივობით ჩაბმულია კოლხეთის ყველა ოლქი. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოს ფული შეიჭრა კოლხეთის ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში, მაგრამ ამ მონეტების არაჩვეულებრივი სიმრავლე ქვეყნის სხვადასხვა ოლქებში უთუოდ მოწმობს წარმოების სასაქონლო ხასიათს და ვაჭრობის ორგანიზაციის მაღალ დონეს.

ტიპოგრაფია მონეტების აღმოჩენისა, აგრეთვე სხვა არქეოლოგიური ნივთებისა (იმპორტი, ადგილობრივი ნაწარმი), გვიჩვენებს მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებს კოლხეთის ცალკეულ ოლქებს შორის, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო სახმელეთო და სამდინარო მაგისტრალებით. ამ გზებს მიყვებოდა იმპორტული და ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმიც შინაკოლხურ ბაზრებზე. ფულადი მიმოქცევა კი, დაფუძნებული ერთიან სისტემაზე, წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას, რომელიც კოლხეთის ცალკეულ ოლქებს ერთიან ეკონომიკურ სისტემაში აქცევდა.

ამრიგად, კოლხეთი და მეზობელი იბერიაც უკვე ძვ. წ. VI-V სს-ში აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო ვაჭრობაში. ელინისტური ეპოქიდან, როდესაც საერთაშორისო ვაჭრობაში ერთვება შუა აზია და ინდოეთიც, იმართება დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც გაივლის საქართველოზე.

ბერძენმა და რომაელმა ავტორებმა შემოინახეს უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობები იბერიასა და კოლხეთზე გამავალი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო გზების შესახებ.

1. გზა ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ

ამ გზის შესახებ ცნობები დაცულია სტრაბონის „გეოგრაფია“-ში. „...ასე ამბობენ, რომ ოქსოსი საზღვრავს ბაქტრიანას სოგდინიასაგან და ვარგისია სანაოსნოდ. ისე, რომ ინდური საქონელი მოაქვთ მასზე და ადვილად შემოაქვთ პირკანიაში და მის მეზობლად მდებარე ადგილებში, ვიდრე პონტომდე მდინარეების მეშვეობით“. (XI, 7, 3): „...არისტობულე ოქსოსს მიიჩნევს უდიდეს მდინარედ, მის მიერ ნახულთა შორის (რომლებიც კი) აზიაზე მიმდინარეობენ, გარდა ინდოეთის (მდინარეებისა). (არისტობულე) და პატროკლეს სიტყვით ერატოსთენეც ამბობენ, რომ (ეს მდინარე) სანაოსნოა და ამ (მდინარით) ბევრი ინდური საქონელი შემოაქვთ პირკანიის ზღვაში, ხოლო აქედან ალბანიაში გადააქვთ და (შემდეგ) მტკვრითა და მისი მომდევნო ადგილებით ევქსინის (ზღვაში) ჩააქვთ“.

ამრიგად, სავსებით ნათელია, რომ სტრაბონი აღწერს სავაჭრო გზას, რომელიც მოემართებოდა ინდოეთიდან მდინარე ოქსოსით (თანამედროვე ამუ-დარია) პირკანიის (ე. ი. კასპიის) ზღვამდე, ხოლო შემდეგ მდინარე კვიროსით (მტკვარი) და „მისი მომდევნო ადგილების“ გავლით აღწევდა პონტოს, ე. ი. შავი ზღვის სანაპიროებს. მდინარე კვიროსის „მომდევნო ადგილებად“ უნდა მივიჩნიოთ მდინარე ფასისი (რიონ-ყვირილა), რომლის შესახებ „გეოგრაფია“-ში აღნიშნულია: „ფასისზე აღმა ცურვა⁵³ შეიძლება სარაპანამდე. ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტოს მთელი ქალაქის მოსახლეობა; აქედან ქვეითად⁵⁴ ოთხ დღეში მისვლება მტკვრამდე⁵⁵. ფასისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხთა ემპორიონი, გარშემორტყმული მდინარით, ტბითა და ზღვით. აქედან ამისომდე და სინოპემდე სამი ან ოთხი დღის⁵⁶ ზღვით სამგზავროა“ (XI, 2, 17). „გეოგრაფიის“ ეს ცნობა (XI, 2, 17) ავსებს ზემოთ მოტანილს (XI, 7,3), რომ 1) ინდური საქონელი მდინარე კვიროსის (მტკვრის) შუა დინებიდან სარაპანამდე (შორაპანამდე) გადაჰქონდათ სახმელეთო გზით, ე. ი. სურამის უღელტეხილით და 2) ქალაქ ფასისიდან შემდეგ ხორციელდებოდა კავშირი ზღვით ბერძნულ ცენტრებთან (სინოპე, ამისო).

სტრაბონის თხზულებიდან ჩანს, რომ ცნობები ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სავაჭრო გზის შესახებ მოეპოვებოდათ არისტობულესა და ერატოსთენეს და რომ ამ ორივე ავტორს ეს მონაცემები აუღიათ პატროკლესაგან (XI, 7, 3) პატროკლე კი, როგორც ცნობილია, ძვ. წ. 286 და 281 წლებს შორის საგანგებოდ იკვლევდა და პირადად მოიარა კასპიის ზღვის ჯერ სამხრეთ-დასავლეთი და შემდეგ აღმოსავლეთი სანაპიროც მდინარე ოქსოსის შესართავამდე⁵⁷. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს მიიღო მან ინფორმაცია ზემოაღნიშნული გზის შესახებ, რომლითაც პატროკლე საგანგებოდ იყო დაინტერესებული (აპირებდა არხის გაჭრასაც კი კასპიის ზღვიდან პონტომდე)⁵⁸.

ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მომავალი სავაჭრო გზის შესახებ ცნობები შემონახული აქვს პლინიუსსაც: „...ვარონი დასძენს აგრეთვე, რომ პომპეუსის ლაშქრობის დროს გამოკვლეული იქნა, რომ ინდოეთიდან შეიძლება შვიდ დღეში ჩასვლა ბაქტრიაში მდინარე ბაქტრთან, რომელიც ერთვის მდინარე ოქსს, ხოლო ამ მდინარიდან კასპიის ზღვით შესაძლებელია მდინარე მტკვრამდე და რომ ინდური საქონელი არა უმეტეს ხუთი დღისა სახმელეთო გზით ჩაიტანება პონტოში ფასისთან“ (NH, VI, 52). ივარაუდება, რომ პლინიუსის მიერ აქ დამოწმებული მარკუს ტერენციუს ვარონი მონაწილეობდა პომპეუსის ლაშქრობებში მითრიდატეს წინააღმდეგ (III ომში) და ზემოაღნიშნული აღწერილი აქვს თავის თხზულებებში (LEGATIONUM L. III). როგორც არ უნდა გადაწყდეს საკითხი ვარონის მონაწილეობისა მითრიდატეს წინააღმდეგ III ომში⁵⁹, მაინც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვარონს როგორც პომპეუსთან საკმაოდ ახლოს მდგომ პირს, ჰქონდა სარწმუნო ცნობები მისი აღმოსავლეთში ლაშქრობის შესახებ, და სწორედ ამ ცნობებით სარგებლობდა პლინიუსი⁶⁰.

ამრიგად, როგორც სტრაბონი, ასევე პლინიუსი მოგვითხრობენ ერთი და იგივე სავაჭრო გზის შესახებ, ამასთან ჩანს, რომ თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავებულ წყაროს ემყარება: სტრაბონი იმოწმებს პატროკლედან მომდინარე ინფორმაციას (ერატოსთენეს გზით), ხოლო პლინიუსი – მარკუს ტერენციუს ვარონს. ამასთან

პლინიუსის ცნობაში, სტრაბონისაგან განსხვავებით, პირდაპირაა ნათქვამი, რომ ინდური საქონელი პონტოში ჩააქვთ ფასისთან⁶¹. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ თითქოს, სტრაბონისა და პლინიუსის ცნობებში საუბარი უნდა იყოს ინდოეთიდან ფასისამდე საქონლის გადატანის მხოლოდ შესაძლებლობებზე⁶². სტრაბონისა და პლინიუსის ცნობები თითქოს მიუთითებენ, რომ ვაჭრობა ამ გზითა და საქონლის გადატანა უკვე მიმდინარეობდა. როგორც ჩანს, ეს გზა იგულისხმება „გეოგრაფიის“ XI, 6, 1-ში, სადაც სტრაბონი ერატოსთენეს დამოწმებით მას უწოდებს „ელინთათვის ცნობილ გზას“ (XI, 6, 1) „ერატოსთენე ამბობს, რომ ელინთათვის ცნობილი გზა ამ ზღვაზე ის (გზაა), რომელიც არის ალბანებსა და კადუსიელებზე, შეიცავს 5400 [სტადიონს]...“.

ინდოეთიდან ზავი ზღვისაკენ მიმავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზის რეალურად არსებობის მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე ე. წ. ანონიმურ პერიპლუსში („მოგზაურობა შავი ზღვის ირგვლივ“) დაცული ცნობა ფასისის შესახებ: Anon. PPE. 45,3 „(მდინარე) ფასისის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს მილეტელების დაარსებული ელინური ქალაქი ფასისად წოდებული. აქ თავს იყრის სამოცი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი. ამბობენ, რომ მათ შორის არიან ინდოეთიდან და ბაქტრიიდან მოსული ბარბაროსები“. ანონიმური პერიპლუსის ავტორად მიჩნეულია V თუ VI ს-ის პირველი ნახევრის ავტორი⁶³, რომლის ძირითად წყაროდ თვლიან არიანეს „პერიპლუსს“ (დაახლოებით 134 წელს შედგენილს), თუმც იმავე დროს მას გამოუყენებია უფრო ადრინდელი თხზულებანიც, მათ შორის ფსევდო-სკილაქსისა და ფსევდო-სკიმნოსის პერიპლუსები⁶⁴. ივარაუდება, რომ ზემოთ მოტანილი ნაწყვეტი ფასისის შესახებ ანონიმური „პერიპლუსის“ ავტორს აღებული აქვს ფსევდო-სკიმნოსის სახელით ცნობილი ნაწარმოებიდან⁶⁵, რომელიც ძვ. წ. II ს-ში შედგენილად ითვლება. ვარაუდობენ აგრეთვე, რომ თვით ფსევდო-სკიმნოსად წოდებულ ავტორს ეს ცნობა აღებული უნდა ჰქონდეს ძვ. წ. III ს-ის მწერლისა და მეზღვაურის ტიმოსთენეს გეოგრაფიუ-

ლი ნაშრომიდან „ნავსადგურების შესახებ“ (10 წიგნად)⁶⁶, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია⁶⁷.

როგორც არ უნდა გადაწყდეს საკითხი ანონიმური „პერიპლუსისა“ თუ ფსევდო-სკიმნოსის ქალაქ ფასისზე ზემოთ მოტანილი ცნობის წყაროს შესახებ, სავსებით აშკარაა, რომ არსებობდა რაღაც ინფორმაცია ელინისტური ეპოქის ინდოეთიდან და ბაქტრიიდან ფასისში ჩამოსული ვაჭრების თაობაზე. ქალაქ ფასისზე, როგორც დიდ სავაჭრო ცენტრზე, მიუთითებს სტრაბონის მიერ ამ ქალაქის „კოლხთა სავაჭრო ადგილად“ (სტრაბო, XI, 2, 17) მოხსენიება. ამრიგად, ანონიმურ „პერიპლუსში“ დაცული ცნობაც ფასისში ინდოეთიდან და ბაქტრიიდან, როგორც ჩანს, სავაჭროდ ჩამოსულთა შესახებ, აგრეთვე მხარს უჭერს ინდოეთიდან შუა აზიისა და შემდეგ ამიერკავკასიის ქვეყნების გავლით ფასისამდე სავაჭრო-სატრანზიტო გზის არსებობას.

რამდენადაც ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი ცნობა ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზის შესახებ პატროკლედან (ძვ. წ. III ს-ის 80-იანი წლები) მომდინარეობს, შეიძლება გვევარაუდა, ამ გზის არსებობა უკვე ადრეეელინისტური ხანიდან. ამ თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იწვევს სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი ბერძნული ქალაქის ამისოს მონეტების აღმოჩენა ერთი მხრივ კოლხეთში⁶⁸, ხოლო მეორე მხრივ – საკმაოდ მრავლად ძველ ნისაში (პართია); ვარაუდობენ, რომ ამისოს მონეტები, შესაძლოა, ძველი პართიის ტერიტორიაზე მოხვდა სწორედ შავი ზღვიდან, კერძოდ ფასისიდან ინდოეთისაკენ მიმავალი გზით, რაც მოწმობს, რომ ეს გზა ათვისებული იყო უკვე ძვ. წ. IV ს-ში⁶⁹.

სავაჭრო-სატრანზიტო გზის ფუნქციონირების მოწმობად მიიჩნევენ, აგრეთვე, ფერგანის ველზე კოლხური თეთრის ოცი მონეტისაგან შედგენილი განძის აღმოჩენის შესახებ ცნობას⁷⁰, თუმც გამოძეგმლები მას სავაჭროდ აღიარებენ⁷¹.

საყურადღებოა, აგრეთვე ცნობა თბილისში ექვსი ბაქტრიული მონეტის აღმოჩენის შესახებ⁷². სამწუხაროდ, ეს მონეტები, როგორც ჩანს, დაკარგულია და მათი ზუსტი

თარიღი და ზარაფხანაც გაურკვეველია⁷³. არსებობს ცნობაც, რომ ფასანაურის მახლობლად აღმოჩენილია ბაქტრიის მმართველის ევტიდიმეს ტეტრადრაქმების ვერცხლის მინაბაძი, ავერსზე ტიარიანი მმართველის თავისა და რევერსზე ომფალოსზე მჯდომი ჰერაკლეს სქემატური გამოსახულებით⁷⁴. ეს მონეტა (წონით 10,06 გ.) ამჟამად მოსკოვში, ისტორიულ მუზეუმში ინახება⁷⁵. ევტიდიმეს ვერცხლის ტეტრადრაქმები იჭრებოდა სოგდში საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებისათვის⁷⁶. ივარაუდება, რომ ამ მონეტების მინაბაძების მოჭრა უნდა დაწყებულიყო ევტიდიმეს მმართველობის უკანასკნელ წლებში ან მისი გარდაცვალების შემდგომ და გრძელდებოდა ძვ. წ. II საუკუნეში. ფასანაურთან აღმოჩენილი მონეტა ტიარიანი მმართველის გამოსახულებით გვიანდელი მინაბაძების რიგს განეკუთვნება⁷⁷.

რა თქმა უნდა, ძნელია ვამტკიცოთ, თუ რამდენად ინტენსიურად წარმოებდა ვაჭრობა ამ გზაზე ინდოეთიდან ფასისამდე. მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ მთლიანად ის შემთხვევით ხასიათს ატარებდა. მაგრამ უთუოდ შედარებით ინტენსიურად იყო გამოყენებული მისი ცალკეული მონაკვეთები, კერძოდ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. ამასთან საფიქრებელია, რომ ამ გზის ცალკეული ნაწილები ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე იმართებოდა ჯერ კიდევ წინარე ელინისტურ ხანაში, მას შემდეგ რაც დაარსდა ბერძნული სავაჭრო ქალაქები აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში და კერძოდ ფასისი. არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან ბერძნული იმპორტი გზას იკვლევს არა მხოლოდ ზღვისპირა კოლხეთში, არამედ მდინარე რიონ-ყვირილას მაგისტრალით ის აღწევს ქვეყნის შიდა რაიონებს და გადადის აღმოსავლეთ საქართველოშიც⁷⁸, ხოლო ძვ. წ. V-IV საუკუნეებისათვის (კოლხეთთან ათენის აქტიური ვაჭრობის პერიოდში) ის დადასტურებულია მდინარე რიონისა და ყვირილას (ე. ი. ძველი ფასისის) ხეობაში, აგრეთვე კოლხეთიდან იბერიაში გადამავალ გზაზე⁷⁹ განლაგებულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან ცენტრში⁸⁰. დიდ როლს ასრულებდა მდინარე ფასისი – თანამედროვე რიონ-ყვირილის მაგისტრალი. სტრაბონი ორგზის აღნიშნავს ნაოსნობას მდინარე ფასისზე (XI,

2, 17; XI, 3, 4), რასაც იმეორებს პლინიუსიც: „ფასისი სანასონოა დიდი ხომალდებისათვის 38500 ნაბიჯზე“⁸¹, ხოლო შემდეგ დიდ მანძილზე პატარა ხომალდებისათვის (NH, VI, 13). ზღვიდან მდინარე რიონზე (ე. ი. ძველ ფასისზე) მის ყვირილასთან შეერთებამდე ნაოსნობას ადასტურებენ გვიანდელი ავტორებიც (ბიზანტიელი ისტორიკოსები⁸², საშუალო საუკუნეების მოგზაურები⁸³, XVIII ს-ის ქართველი გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი⁸⁴ და სხვ.)⁸⁵.

ბერძნული სამყაროს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა კოლხეთთან კიდევ უფრო ინტენსიური ხდება ადრეელინისტური ხანიდან, როდესაც აქტიური როლის შესრულებას იწყებს სინოპე.

ძვ. წ. IV ს-ის შუა ხანებიდან, და განსაკუთრებით III-I სს-ში, ბერძნული იმპორტი (სინოპეს, როდოსის, კოსის, კნიდოსის ამფორები; პერგამონის, ალექსანდრიის, სამოსის და სხვ. ცენტრების შავი და წითელლაკიანი კერამიკა, ე. წ. მეგარული თასები; მაკედონიისა და სირაკუზის, პონტოს სამეფოს, კაპადოკიის, აგრეთვე, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქების – პანტიკაპეიონის, ოლბიის, ქერსონესის ოქროსა და ვერცხლის მონეტები და ა. შ.) ფართოდაა წარმოდგენილი რიონ-ყვირილას მაგისტრალზე (და აგრეთვე სხვადასხვა მდინარეებით⁸⁶ მასთან დაკავშირებულ ხეობებში) განლაგებულ ცენტრებში. ამავე დროს ელინისტური ხანის ბერძნული იმპორტი შეუდარებლად მცირე რაოდენობით გვხვდება იბერიაში, საერთოდ, და, კერძოდ, მდინარე მტკვრის გაყოფებაზე. ჯერჯერობით აღნუსხულია მხოლოდ გვიანელინისტური წითელლაკიანი კერამიკის ერთეული აღმოჩენები უფლისციხეში⁸⁷, ნასტაკისში, მცხეთაში⁸⁸, არაგვის ხეობაში⁸⁹. უნდა აღინიშნოს აგრეთვე თბილისში ნაპოვნი ძვ. წ. II ს-ის ბაქტრიული მონეტა⁹⁰, კიდევ უფრო მცირე რაოდენობითაა ამ დროს ბერძნული იმპორტი ძველი ალბანიის ტერიტორიაზე⁹¹. ეს იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ სავარაუდებელი სავაჭრო-საბრანზიტო გზა ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ, რომლის შესახებ ცნობები შემონახეს სტრაბონმა და პლინიუსმა, ინტენსიურად და რეგულარულად არ ფუნქციონირებდა და მისი გამოყენება უთუოდ უფრო შემთხვევით ხასიათს ატა-

რებდა. რეგულარულად ფუნქციონირებდა, როგორც ჩანს, მისი მხოლოდ ერთი მონაკვეთი – ფასისის (თანამედროვე რიონ-ყვირილას) მაგისტრალი, რომლითაც ძირითადად ხორციელდებოდა ბერძნული სამყაროს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ძველი კოლხეთის მოსახლეობასთან და რომელშიც აქტიურ საშუაშავლო როლს ქალაქი ფასისი ასრულებდა. ამ პროცესში უთუოდ სანაოსნო მდინარესთან ერთად დატვირთული იყო სახმელეთო გზაც, რომელიც მდინარეს მიყვებოდა⁹² და რომლის გამოყენებაზეც თვალნათლივ მიუთითებს სტრაბონისავე ცნობა ფასისზე 120 ხიდის არსებობის შესახებ⁹³, რასაც პლინიუსიც იმეორებს⁹⁴. ბუნებრივია აქ იგულისხმება პრიმიტიული გაბმული ხიდები⁹⁵, რომელთა სისშირე აღნიშნული აქვს XVIII ს-ის ქართველ გეოგრაფოსს ვახუშტი ბაგრატიონსაც⁹⁶.

2. გზა იბერიაზე ჩრდილოეთისაკენ?

სტრაბონის ცნობით (XI, 5, 8): „აორსებსა და სირაკებს... ეპყრათ ქვეყნის მეტი ნაწილი და ფლობდნენ თითქმის, მეტ წილს კასპიის სანაპიროსას ისე, რომ შემოჰქონდათ აქლემებით ინდური და ბაბილონური საქონელი, რომელთაც ისინი არმენიელთა და მიდიელთაგან იღებდნენ“...

ი. მანანდიანი თვლის, რომ აორსებისა და სირაკების სავაჭრო ურთიერთობა ხორციელდებოდა მეოტიდა-კოლხეთის მაგისტრალისა და ქალაქ არტაშატის გზით⁹⁷. მაგრამ სტრაბონის ცნობის მთელი კონტექსტი, ვფიქრობ, სხვაგვარი ვარაუდის საფუძველსაც იძლევა⁹⁸. ცნობაში თითქოს მინიშნებულია, რომ საქონელი სადღაც ახლოს კასპიის ზღვის სანაპიროებთან შემოჰქონდათ, ხოლო რამდენადაც აორსებსა და სირაკებს (სარმატული ტომები) ეკავათ და აკონტროლებდნენ სტრაბონის ცნობით, მეოტისსა და კასპიას შორის ტერიტორიას (შდრ. „გეოგრაფია“, XI, 5, 8), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საუბარია ჩრდილოეთ კავკასიასა და არმენია-მიდიას შორის დამაკავშირებელ გზაზე, სადაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს არმენიის ქალაქი არტაშატი ასრულებდა. ამ ქალაქიდან გზის ერთი მონაკვეთი (როგორც ეს ირკვევა ე. წ. TABULA PEUTINGERI-

ANA და რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფიასთან“ შედარებით ანალიზით) ამოდიოდა ქალაქ მცხეთასთან⁹⁹. ამის შემდეგ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გზა აორსებისა და სირაკებისაკენ, მიემართებოდა მდინარე არაგვის ხეობით და დარიალის ხეობით გადადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, რის შესახებაც, შესაძლოა არის მინიშნება XI, 3, 5-ში. ამის არაპირდაპირი მოწმობა შეიძლება იყოს ერთი მხრივ გავრცელება გოტარზეს დრაქმებისა (რომელნიც ფართოდ მიმოიქცევიან იბერიაში) ჩრდილოეთ კავკასიაში¹⁰⁰; ხოლო მეორე მხრივ ბოსფორული სტატერებისა იბერიაში¹⁰¹, რომელნიც, როგორც ფიქრობენ, სწორედ დარიალის გზითაა შემოსული¹⁰².

თავი II

ადრეული და განვითარებული ფეოდალური ეპოქის (IV-XIII სს.) საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზები და საქართველო

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ადრექრისტიანულ ხანაშიც ვითარდებოდა, სასანური ირანის (III ს.) და, უფრო გვიან (IV ს.), ბიზანტიის იმპერიის წარმოქმნისთანავე ამიერკავკასია ამყარებს მათთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტაქტებს და ამავე დროს ინარჩუნებს სავაჭრო-სატრანზიტო ტერიტორიის მნიშვნელობას.

მართლაც, ეს ნათელი ხდება ჩვენთვის უკვე ცნობილი „ტაბულა პევეტინგერიანას“ მონაცემების მიხედვით, რომლის XI სეგმენტზე ორი ერთმანეთზე მიდგმული კოშკის სახით აღნიშნულია სომხეთის უძველესი დედაქალაქი არტაქსატა ანუ იგივე არტაშატი. ამ ქალაქიდან მარჯვნივ (იბერიისაკენ და ალბანეთისაკენ) და მარცხნივ (კოლხეთისაკენ ანუ ეგრისისკენ) მიემართება მაგისტრალები, რომლებზედაც აღნიშნულია სხვადასხვა პუნქტები, მარჯვნივ მიმავალი გზა ქალაქ „სანორასთან“ ორად იყოფა: ერთი (ქვედა) გაივლის პუნქტებს („ბუსტიკა“, „სატარა“, „ლაზო“ და სხვ.), რომელთაგან ყველა უცნობია. შემდეგ უხვევს

მარცხნივ, უკან ბრუნდება და მთავრდება უსახელო პუნქტში, რომელიც ისეთივე ვინიეტით (ორი კოშკი მათ შორის მდებარე კარიბჭით) არის წარმოდგენილი, როგორც თაც ამ რუკაზე სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქები აღინიშნება. ქალაქ სანორადან გამომავალი მეორე (ზედა) გზა გაივლის პუნქტებს „ლალა“, „ტელედა“, „ფილადო“ და ზემოსხენებულ უსახელო დედაქალაქში უერთდება პირველ, „შემოვლით გზას“¹.

რამდენადაც კასტორიუსის რუკაზე ზემოაღნიშნული მაგისტრალები მდ. მტკვრის ქვემოთ, ე. ი. სამხრეთითაა ნაჩვენები, ხოლო „შემოვლითი გზა“ – კიდევაც კასპიის ზღვის სამხრეთით, ამდენად ამ რუკის ერთ-ერთმა გამომცემელმა, კონრად მილერმა, გზის მთელი ეს მონაკვეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში მოათავსა, თუმცა კი ვერც ერთი პუნქტის სწორი იდენტიფიკაცია ვერ მოახერხა².

1927 წ. ცნობილმა ორიენტალისტმა ი. მარკვარტმა სრულიად სხვაგვარად დასვა საკითხი და მის გადასაჭრელად სწორი მიმართულება მოგვცა. საქმე ის არის, რომ მან გამოიყენა რავენელი ანონიმური გეოგრაფოსის (650 წ.) „კოსმოგრაფიის“ მონაცემები. ამ „კოსმოგრაფიის“ ერთ-ერთ პირველწყაროს წარმოდგენდა სწორედ კასტორიუსის რუკის უძველესი პირი, რომელიც განსხვავებული ყოფილა ჩვენამდე შემონახული „ტაბულა პევეტინგერიანასაგან“ იმით, რომ მას მეტი პუნქტების სახელწოდებები ჰქონია, ხოლო ზოგიერთისა – სხვაგვარად იკითხებოდა, ვიდრე ეს „ტაბულაზე“ გვაქვს. რავენელ ანონიმს, როგორც ჩანს, თანმიმდევრულად ამოუწერია თავის „კოსმოგრაფიაში“ მის ხელში მყოფი რუკის ქალაქ-სადგურების სახელწოდებები³. ამ სიის შედარებამ „ტაბულა პევეტინგერიანაზე“ წარმოდგენილ პუნქტთა სახელწოდებებთან ი. მარკვარტს საშუალება მისცა ზოგიერთი მათგანის ზუსტი იდენტიფიკაციისა და, რაც მთავარია, შესაძლებლობაც – უცდომლად დაედგინა, რომ „შემოვლითი გზის“ უსახელო დედაქალაქი უნდა ყოფილიყო იბერიის, ანუ ქართლის სამეფოს უძველესი ცენტრი არმაზციხე⁴. ასეთმა გონებამახვილურმა იდენტიფიკაციამ სრულიად შეცვალა ზემოსხენებულისა

ვისტრალის ორიენტაცია და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იგი ცენტრალურ ამიერკავკასიაში გადმოიტანა⁵.

ი. მარკვარტმავე სცადა ამ სავაჭრო გზის ზუსტი მიმართულების დადგენაც. რამდენადაც არტაშატისა და სანორას შორის მდებარე კიდევ ერთი პუნქტი, რომელიც რუკაზე „გელუინას“ სახელწოდებით არის აღნიშნული, ი. მარკვარტის მიხედვით უნდა ყოფილიყო დამახინჯებულად გადმოცემული ადგილობრივი სახელწოდება „გელამა“ (სევანის ტბის ძველი სახელი), ამდენადვე გზის ძირითადი მიმართულებაც გარკვეული იქნა: მარკვარტის აზრით, გზა არტაშატიდან მიემართებოდა ჩრდილოეთისაკენ, დაახლოებით დღევანდელი ერევან-თბილისის გზატკეცილის მიმართულებით. ქალაქ სანორასთან, რომელსაც მეცნიერი დღევანდელ დილიჟანთან აიგივებდა, ამ გზას გამოეყოფოდა დასავლეთის შტო, რომელიც ახსტაფა-ჩაის ხეობიდან, დებედა-ჩაის ხეობაში გადადიოდა, ჩაუყვებოდა მას ჩრდილოეთისაკენ და შულავერ-მარნეულის გზით თბილისში შეუერთდებოდა პირველ, „შემოვლით გზას“, ხოლო აქედან მცხეთა-არმაზში გადადიოდა⁶.

ი. მარკვარტი რომ კასტორიუსის რუკაზე აღნიშნულ არტაშატ-არმაზციხის შემაერთებელ მაგისტრალებს მდ. დებედას (გზის დასავლეთი შტო) და ახსტაფას (გზის აღმოსავლეთი შტო ანუ „შემოვლითი გზა“) ხეობებით ვარაუდობდა, ამის სრული საფუძველი ჰქონდა, რადგან შუა საუკუნეებში აქ, მართლაც გადიოდა მნიშვნელოვანი გზები, რომლებიც ქართლს სომხეთთან და ახლო აღმოსავლეთთან აკავშირებდა⁷.

უფრო გვიან ამ მაგისტრალების მიმართულების დაზუსტება სცადა აკად. ს. ერემიანმა, რომლის მიხედვით მარკვარტისეული გზის აღმოსავლეთი შტო (ახსტაფის ხეობაზე გამავალი), ფაქტიურად, წარმოადგენს მაგისტრალის დასავლეთ შტოს, რომელსაც დღევანდელ ქ. ყაზახთან გამოეყოფა „შემოვლითი გზა“. ეს უკანასკნელი მიდიოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე აღმოსავლეთისაკენ, გაივლიდა თაუზზე, შამქორზე, განჯაზე, მინგეჩაურთან გადადიოდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე. აღწევდა ნუხას, შემდეგ მოდიოდა დასავლეთისაკენ, სადღაც ზაქათალასთან

გადაჭრიდა ალაზანს, გადიოდა იორზე და საგარეჯო-უჯარმის გავლით თბილისს და შემდეგ არმაზციხე-მცხეთას აღწევდა⁸.

ს. ერემიანის მიერ, ჩვენი აზრით, სწორად დადგენილი მიმართულება არტაშატ-არმაზციხის შემაერთებელი მაგისტრალისა ძირითადად გაიზიარა ნ. ლომოურმა, რომელმაც მხოლოდ „შემოვლითი გზის“ სხვაგვარი ლოკალიზაციის შესაძლებლობა წამოაყენა. მისი აზრით საგარეჯო-დოა, რომ განჯიდან გზა მდ. განჯახაის გაჰყოლოდა, აწინდელ სამუხთან გადაეჭრა მტკვარი და შემდეგ დაახლოებით დამთხვევოდა გზას მირზაანი – სიღნაღი – სართიჭალა – თბილისი⁹.

ჩვენ გვგონია, ს. ერემიანის მიერ წარმოდგენილი ლოკალიზაცია „შემოვლითი გზისა“ უფრო მართებულია, თუმცა კი ბოლო მონაკვეთზე საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, ნუხადან, კასტორიუსის რუკაზე აღნიშნული, „შემოვლითი გზა“ უნდა გაჰყოლოდა ალაზნის მარცხენა ნაპირს, დღევანდელი ნუხა-თელავის გზატკეცილის მიმართულებით, ხოლო თელავიდან გომბორის უღელტეხილით გადმოსულიყო უჯარმაში და შემდეგ თბილისში და მცხეთაში¹⁰.

ს. ერემიანის მიერ დადგენილი და ჩვენ მიერ დაზუსტებული მიმართულება „შემოვლითი გზისა“, რომ სწორი უნდა იყოს, ამას მოწმობს ამიერკავკასიაში სასანური ხანის ვერცხლის მონეტების და მონეტათა განძების აღმოჩენის ტოპოგრაფია, რომელიც, ჩვენი აზრით, მიუთითებს სავაჭრო მაგისტრალის მიმართულებას: იბრაჰიმ-ჰაჯილა, ჩარდახლუ, მინგეჩაური, გეოქჩაი, ვართაშენი, კატეხი – აზერბაიჯანში; ვაშლოვანი, ბაისუბანი, უჯარმა, თბილისი, მცხეთა – საქართველოში¹¹.

მაგრამ აქ ერთი რამ არის საკითხავი: გვაქვს თუ არა ჩვენ უფლება მონეტათა განძების ტოპოგრაფიის მიხედვით აღვადგინოთ ძველი სავაჭრო გზების მიმართულებები? ვფიქრობთ, – ამის სრული უფლება გვაქვს, რაზედაც ზემოთ, შესავალ ნაწილში უკვე ვისაუბრეთ.

თუ ამ თვალსაზრისზე დავდგებით, მაშინ საფიქრებელია, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით, ერთ-ერთი განშტოება ზემოხსენებული „შემოვლითი გზისა“, ახმეტა-თიანეთის

გზის მიმართულებით მიდიოდა, შემდეგ შემობრუნდებოდა ერწოსაკენ, საიდანაც ცნობილია ორი განძი ვერცხლის სასანური მონეტებისა (სიმონიანთ-ხევი, თოლენჯი) და ერთი – სასანურ-ბიზანტიური შერეული მონეტებისა (მაგრანეთი)¹², და ბოლოს, უჯარმაში უერთდებოდა გომბორზე გადმომავალ გზას.

მეორე მხრივ, არმაზციხე-მცხეთიდან გზა დასავლეთით გრძელდებოდა მტკვრის აყლებით ურბნისისაკენ და, როგორც ჩანს, გადიოდა დასავლეთ საქართველოში, სადაც დაახლოებით ვარციხესთან უერთდებოდა კასტორიუსის რუკაზე აღნიშნულ მეორე მაგისტრალურ გზას (სასანური და ბიზანტიური ცალკეული მონეტებისა და განძების აღმოჩენა სასხორში, ხიდისთავში, ურბნისში, ქორეთში, საჩხერეში, ჭიათურაში, ზესტაფონში)¹³, რომელიც არტაშატს სებასტოპოლისთან ანუ დღევანდელ სოხუმთან აერთებდა.

ამ უკანასკნელი მაგისტრალის ლოკალიზაციის საკითხი აგრეთვე სხვადასხვა მეცნიერის მსჯელობის საგანი ყოფილა. საბოლოოდ, ყველაზე უფრო ზუსტად მისი მიმართულება ნ. ლომოურმა დაადგინა: არტაშატიდან გზა მიდიოდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, გადიოდა ჯავახეთში (წუნდა), ჩადიოდა სამცხეში (ოდრხე) და შემდეგ ზეკარის უღელტეხილით გადადიოდა დასავლეთ საქართველოში, ვარციხეში. აქედან რიონის მარჯვენა ნაპირით და ნოქალაქევის გავლით აღწევდა სებასტოპოლისს (სოხუმი)¹⁴. გზის ამგვარი მიმართულება კვლავ მოწმდება სასანური და ბიზანტიური ოქროს და ვერცხლის ცალკეული მონეტებისა და განძების აღმოჩენათა ტოპოგრაფიით.

კასტორიუსის რუკაზე კიდევ ერთი მაგისტრალია ნაჩვენები, რომელიც სებასტოპოლისს (სოხუმს) აკავშირებდა ტრაპეზუნტთან და ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებთან. იგი ტრაპეზუნტიდან შავი ზღვის ნაპირს მიჰყვებოდა და ქალაქ ფასისის (დღ. ფოთი) გავლით სებასტოპოლისს აღწევდა. შესაძლებელია ისიც, რომ, ფაქტიურად, აქ საზღვაო-საკაბოტაჟო გზა იყოს მითითებული ტრაპეზუნტიდან სოხუმამდე, რომელიც ძველი ბერძენი და რომაელი მოგზაურებისათვის კარგად იყო ცნობილი¹⁵.

დაბოლოს, ამავე რუკაზე აღნიშნული საეკლესიო მაგისტრალი არტაშატიდან ტრაპეზუნტში.

რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ ქრონოლოგიის საკითხსაც. რა დროის ვითარებას ასახავს კასტორიუსის რუკა?

ცხადია, რამდენადაც იგი IV ს-ის მეორე ნახევარშია შედგენილი, ამდენად პირველ რიგში იგი სწორედ ამ დროის გეოგრაფიულ წარმოდგენას უნდა ასახავდეს. ამის ნათელსაყოფად ერთ ფაქტს მოვიტანთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუკაზე არტაშატიდან არმაზციხეში მიმავალ უმოკლეს მაგისტრალზე ერთ-ერთ სადგურად აღნიშნულია „ფილადო“, რომელიც ს. ერემიანის სამართლიანი ვარაუდით შერყენილი ფორმა უნდა იყოს „ტფილისისა“. თუ ეს კონიექტურა სწორია, რაც ჭკუასთან ახლოს უნდა იყოს, მაშინ, როგორც ნ. ლომოური აღნიშნავს, ჩვენ საქმე გვაქვს თბილისის პირველ მოხსენიებასთან წყაროებში. ეს ფაქტი იმითაც არის შესანიშნავი, რომ იგი მიახლოებით ათარიღებს რუკის შედგენის დროს. საქმე ის არის, რომ თბილისი არ არის აღნიშნული არამც თუ დედაქალაქის, არამედ რიგითი ქალაქის ნიშნითაც (ორი კოშკი), რაც შეუძლებელი იქნებოდა IV ს-ის მეორე ნახევრის შემდეგ. ჩვენი უძველესი ისტორიული ქრონიკა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (VII ს.), IV ს-ის 70-იანი წლებისათვის მოგვითხრობს, რომ „მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტახში ტფილისად ქალაქად“¹⁶... ე. ი. ამ დროს თბილისი უკვე ქალაქია. მაშასადამე კასტორიუსის რუკა ამაზე უწინარეს ვითარებას ასახავს.

ქართულ წყაროებში ზემოხსენებული ცნობა თბილისის შესახებ აგრეთვე უძველესია და ასეთი დამთხვევა ქართული და უცხოური წყაროებისა შესაძლებელია არც იყოს შემთხვევითი: როგორც ჩანს, სწორედ IV ს-ის პირველი ნახევრიდან იწყებს თბილისი სწრაფ აღმავლობას.

როგორც ფიქრობენ, კასტორიუსს თავისი რუკის შესადგენად გაცილებით უფრო ძველი, I ს-ის დასაწყისის წყაროებიც კი გამოუყენებია. ამის დადასტურებას, ვფიქრობთ, ერთი დეტალიც იძლევა, კერძოდ, ეს ჩანს იქიდან, რომ იბერიის ანუ ქართლის სამეფოს დედაქალაქად რუკა-

ზე წარმოდგენილია არა მცხეთა, არამედ მის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე არმაზციხე. მართლაც, იმავე ძველი ქართული ქრონიკის მიხედვით, ქართლის უძველესი ცენტრი ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე იყო არმაზი. ამას მოწმობს ცნობილი ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი (ძვ. წ. I ს.), რომელიც იბერიის აღწერისას ასახელებს არმაზციხეს და არ იცნობს მცხეთას¹⁷. ამის შემდეგ, I-II სს-ში, როგორც ჩანს, მცხეთასა და არმაზს შორის შინაგანი ბრძოლა წარმოებს პირველობისათვის, ვიდრე II ს-ის 60-იან წლებში „მოაკლდა არმაზი სამეუფო და მცხეთას ოდენ იყო მეფობაი“¹⁸. ჩვენი ქრონიკის ეს ცნობა დასტურდება II ს-ის მეორე ნახევრის განთქმული გეოგრაფოსის, პტოლემეოსის თხზულებით, სადაც იბერიის აღწერისას პირველად არის მოხსენიებული მცხეთა – „მესტლეტას“ ფორმით¹⁹.

ამგვარად, კასტორიუსის რუკა ამიერკავკასიის I-IV სს-ის ვითარებას ასახავს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მის გამოყენებას უფრო გვიანდელი ხანისთვისაც, რასაც მოწმობს თუნდაც ის, რომ რავენელმა ანონიმმა (650 წ.) ზედმიწევნით გამოიყენა ამ რუკის მონაცემები მისი თანამედროვე „კოსმოგრაფიის“ შედგენისას. ამასვე მოწმობს V-VII სს-ის სასანური და ბიზანტიური მონეტების ზემოხსენებული ტოპოგრაფია, რომელიც ადასტურებს სავაჭრო მაგისტრატების იმავე მიმართულებას ამ საუკუნეებშიც.

სავაჭრო-სამიმოსვლო გზების ასეთი მდგრადობა და კონსერვატიულობა ამიერკავკასიაში არ არის გასაკვირი, პირუკუ, ბუნებრივია. ისტორიკოსი ნ. ადონცი სომხეთის (და, საერთოდ, წინა აზიის) მიმართ აღნიშნავდა, რომ ჩვენ დიდ შეცდომას არ დაუშვებთ თუ ვიტყვით, რომ აწინდელი გზების მიმართულება უძველეს დროსაც ასეთივე უნდა ყოფილიყო²⁰. მართლაც, ეს განსაზღვრული იყო ბუნებრივი პირობებით, რამდენადაც მთელი ამიერკავკასია დასერილია ქედების სისტემით, ღრმა ხევეებით, მდინარეთა ხეობებით და ერთხელ გაყვანილი გზის მიმართულება, ნაკარნახევი, მაგალითად, რელიეფით, უცვლელი უნდა დარჩენილიყო მთელი შემდგომი პერიოდისათვის. რა თქმა უნდა,

ეს ზოგადი მოსაზრებაა და მისი შემოწმება საჭიროა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ამრიგად, როგორც ვრწმუნდებით, კასტორიუსის რუკა ნათლად გვიჩვენებს, რომ ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაც (ქართლი და ეგრისი) გარკვეულ დროს, მაინცდამაინც IV-VII სს-ში, ორგანულად იყო დაკავშირებული საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალებით მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროსთან და, ამდენადვე, ინტენსიურად იყო ჩაბმული გაცხოველებულ ვაჭრობაში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

ამიერკავკასიას და, კერძოდ, ქართლს და სომხეთს, რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპისა და აზიის ვაჭრობისათვის, როგორც სატრანზიტო ტერიტორიას, ამას აშკარად გვიდასტურებს V-VII სს-ის სასანური და ბიზანტიური ვერცხლისა და ოქროს მონეტათა განძების ტოპოგრაფია ამიერკავკასიაში: დღევანდელი ახერბაიჯანის ანუ ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე, აგრეთვე აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე მხოლოდ სასანური მონეტების განძებია ფიქსირებული, რაც მოწმობს ამ ტერიტორიის მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობას იმდროინდელ ირანთან. საწინააღმდეგო ვითარება გვაქვს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ანუ ძველი ეგრისის სამეფოში, სადაც მხოლოდ ბიზანტიური ოქროსა და ვერცხლის მონეტების განძები გვხვდება – მოწმობა ბიზანტიასთან ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობისა²¹. რაც შეეხება ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილს, ქართლს და ჩრდილოეთ სომხეთს, აქ ორივე – ბიზანტიური და სასანური განძები – მრავლად გვხვდება და, რაც კიდევ უფრო ნიშანდობლივია, მოიპოვება ისეთი განძები, რომლებშიც ბიზანტიური და სასანური ვერცხლის მონეტები ერთად, შერეულად არის წარმოდგენილი. VII ს-ის ორმოციანი წლების ასეთი შერეული განძები ცნობილია საქართველოს ტერიტორიაზე თბილისიდან. დედოფლის წყაროდან და მაგრანეთიდან (ერწო)²², ხოლო სომხეთში – ლენინაკანიდან და დვინის ნაქალაქარის ტერიტორიიდან. დვინი, რომელიც არტაშატს ჩრდილოეთიდან ეკრა, IV ს-ის ბოლოდან წინაურდება და

V ს-ის მეორე ნახევარში მის ადგილს იჭერს, როგორც სომხეთის დედაქალაქი“²³.

ამგვარად, ამიერკავკასია და, კერძოდ, ქართლ-ეგრისი ერთი მხრივ, არტაშატის (შემდეგ – დვინის), ხოლო, მეორე მხრივ, ტრაპეზუნტის საშუალებით დაკავშირებული იყო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობით ევროპისა და აზიის მოწინავე, კულტურულ ქვეყნებთან. რა თქმა უნდა, თვით ამიერკავკასიის ქვეყნებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ ალებშიცემობაში და თავისი პროდუქცია გაჰქონდათ მსოფლიო ბაზარზე. დავუგდოთ ყური, რას გვეუბნება VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი: „ღუვი (=დვინი, – ავტ.) ისეთი ქვეყანაა, რომელსაც ჭარბად აქვს ყოველგვარი სიკეთის გარდა, საღი ჰაერი და წყალიც... მრავალი ვაჭარი ცხოვრობს იქ და ეწევა თავის საქმიანობას. იქ ხომ საქონელი შემოაქვთ ინდოეთიდან, მეზობელი იბერიიდან და თითქმის ყველა, სპარსეთში მოსახლე ტომთა და რომაელების ქვეშევრდომ ზოგიერთ ხალხთა ქვეყნიდან და ერთმანეთში ალებშიცემობას აწარმოებენ“²⁴. როგორც ვხედავთ, ბიზანტიელი ისტორიკოსის ეს ცნობა ზედმიწევნით ადასტურებს იმ დასკვნას, რომელიც ჩვენ კასტორიუსის რუკისა და V-VII სს-ის ნუმიზმატიკური მასალის ანალიზის შედეგად მივიღეთ. აქ დავუმატებთ კიდევ იმას, რომ ნ. ლომოურის სამართლიანი შენიშვნით, ფაქტი პროკოპი კესარიელის მიერ ინდოეთისა და იბერიის გარდა დვინში მოვაჭრე სხვა ქვეყანათა და ხალხთა მოუხსენებლობისა, უნდა მოწმობდეს ქართლის სამეფოს მაღალ ხვედრით წონას საერთაშორისო ვაჭრობაში²⁵.

მსგავსი ცნობა „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკაშიც არის დაცული, როდესაც იგი მოგვითხრობს ქართლის ხშირი სტუმრების, „ვაჭართა ჰრომთა და ბერძენთა“ შესახებ²⁶. რაც შეეხება ეგრისს, იგი ბიზანტიურ სამყაროსთან ტრაპეზუნტის სახმელეთო გზის გარდა ზღვითაც იყო დაკავშირებული. იგივე პროკოპი კესარიელი ერთგან აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, ღაზები „მუდამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას“²⁷. VI ს. მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია კი წერს „ძლიერსა და მამაც ღაზებზე“, რომ

ისინი ზღვაზე „დასცურავენ კიდევ, რამდენადაც შესაძლებელია, და ვაჭრობაშიც ნახულობენ დიდ სარგებლობას“²⁸.

ზემოთქმულის შემდეგ, ცხადია, რომ IV-VII სს-ში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ერთმანეთს ხვდებოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სავაჭრო-ეკონომიკური და შესაბამისად კულტურული ინტერესები.

V ს-ის ბოლოდან, ვიდრე VII ს-ის დასაწყისამდე, მახლობელ და შუა აღმოსავლეთში აბრეშუმით ვაჭრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და იგი ხდება ბიზანტიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორად. აღმოსავლეთიდან ბიზანტიას შემოჰქონდა აბრეშუმი, ნელსაცხებელი, სპილოს ძვალი, ძვირფასი თვალ-მარგალიტი, ოქრო და სხვ., ხოლო გაჰქონდა მინის ნაწარმი, ღვინო, საფეიქრო ნაწარმი, ძოწეული და სხვ.²⁹ ეჭვი არ არის ეს საქონელი გზადაგზა, კერძოდ, ამიერკავკასიაშიც იღებებოდა.

ვეროპასა და აზიას შორის გაშლილ საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიურ მონაწილეობას არ შეიძლება არ გამოეწვია ამიერკავკასიაში ძველი ქალაქების აყვავება ან ახლის წარმოქმნა. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ქალაქ დვინის დაწინაურება და მისი სომხეთის დედაქალაქად გადაქცევა. ამ დროსვე განიცდის აღმავლობას კარნუ-ქალაქი ანუ დღ. არზრუმი³⁰, აგრეთვე ბარდავი – ალბანეთის მთავარი ქალაქი და სხვ. დასავლეთ საქართველოს ანუ ვერისის სამეფოში შესაძლებელია დავასახელოთ ნოქალაქევი და ვარციხე³¹. ხოლო იბერიაში უჯარმა, ურბნისი და თბილისი. ეს უკანასკნელი IV ს-ის შუაში, როგორც ვიცით, ქალაქად არც კი ითვლებოდა. თუმცა მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი კი იყო. V ს-ის მეორე ნახევარში იგი უკვე ქართლის სამეფოს დედაქალაქია, ხოლო VII ს-ის პირველ მეოთხედში თანამედროვე ალბანელი ისტორიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნებიერ, სავაჭრო და სახელოვან დიდ ქალაქად“ გვევლინება³².

რა თქმა უნდა, ჩამოთვლილი ქალაქების დაწინაურება მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებით არ აიხსნება. კერძოდ, მაგალითად, თბილისის სწრაფი აღმავლობა და ქართლის სამეფოს ცენტრად გადაქცევა ქვეყნის

შინაგანი ევოლუციით იყო გაპირობებული; IV და განსაკუთრებით V ს-ში ინტენსიური ფეოდალიზაციის გზაზე შემდგარი ქართლის სამეფოს სამეურნეო და სოციალურმა ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ალბანეთის დასავლეთი მხარეების (ჰერეთი, სუჯეთი, კამბეჩანი), რომლებიც მანამდეც საუკუნეების განმავლობაში განიცდიდნენ ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის გავლენას, ქართლის სამეფოსათვის მტკიცედ შემოერთების საკითხი, რაც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთმა უთვალსაჩინოესმა წარმომადგენელმა, ვახტანგ გორგასალმა კიდევაც წარმატებით გადაჭრა. ვახტანგ გორგასალი აპირებდა იმავე დროს, ქართლის სამეფოს აღმოსავლეთი პროვინციების გადაქცევას აგრესიული ირანის საწინააღმდეგო სამხედრო-სტრატეგიულ ბაზად. ქართლის სამეფოს ტერიტორიის ზრდამ აღმოსავლეთისაკენ, აგრეთვე იმან, რომ თბილისი (უჯარმასთან ერთად) გეოგრაფიულად და ეკონომიკურად უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული კახეთ-ჰერეთთან, ვიდრე მცხეთა, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის უაღრესად დიდი მნიშვნელობის ფაქტი, რომ ქართლის სამეფოს პოლიტიკურმა ცენტრმა მცხეთიდან თბილისში გადმოინაცვლა. შემთხვევითი არ არის ის გარემოებაც, რომ ამ ისტორიული მოვლენის ინიციატორი იგივე ვახტანგ გორგასალი იყო – ქართლის სამეფოს, ასე ვთქვათ, „აღმოსავლური პოლიტიკის“ ყველაზე უფრო ენერგიული გამტარებელი. მისი გენიალური გამჭრიახობის ისტორიული აუცილებლობა საქართველოს მთელმა შემდგომმა ისტორიამ დაასაბუთა. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ თბილისის გადაქცევა ქართლის (იბერიის) დედაქალაქად და (შემდეგ მთელი საქართველოს დედაქალაქად) გაპირობებული იყო ქვეყნის შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური ანუ ახალი, ფეოდალური ურთიერთობის განვითარებით³³.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს არ გამორიცხავს იმას, რომ თბილისის შემდგომი არაჩვეულებრივი აყვავებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის მდებარეობას საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალზე.

რომ საერთაშორისო ვაჭრობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ამიერკავკასიისათვის და, კერძოდ, ქარ-

თლის და ეგრისის სამეფოსათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და რომ ეს უკანასკნელნი აქტიურად მონაწილეობდნენ ეკონომიკურ ურთიერთობაში აზიასა და ევროპას შორის, ამას სრული სიცხადით მოწმობს კიდევ ერთი უადრესად საინტერესო დოკუმენტი. ეს არის უძველესი გეოგრაფიის მეტად საყურადღებო ძეგლი ე. წ. „გზამკვლევი სამოთხის ედემიდან რომაელებამდე“, რომელიც შემონახულია ბერძნულ და ქართულ ენებზე და რომელსაც მიაკუთვნებენ VII ს-ზე უადრეს ხანას. „გზამკვლევის“ ტექსტის თხრობა იწყება ინდოეთიდან, როგორც უკიდურესი აღმოსავლეთი ქვეყნიდან, რომელთანაც გაცხოველებული ვაჭრობა წარმოებდა ირანის მეშვეობით. შემდგომი პუნქტები მარშრუტისა აღნიშნულია დასავლეთის მიმართულებით, ვიდრე ანტიოქიამდე და კონსტანტინოპოლამდე, შემდეგ ხმელთაშუა ზღვაზე, ვიდრე რომამდე და გალიამდე. მიუხედავად იმისა, რომ ლეგენდარული წარმოდგენები და გვიანდელი ინტერპოლაციები აბუნდოვნებენ ტექსტს, მაინც ძირითადი მიმართულება სავაჭრო (საზღვაო და სახმელეთო) გზებისა ინდოეთიდან ევროპამდე აშკარაა³⁴.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ამგვარი იტინერარიუმების ანუ გზამკვლევების შედგენა რეალური სავაჭრო მოთხოვნილებებით იყო გამოწვეული. ისინი სჭირდებოდათ მეზღვაურებს, ვაჭარ-სოვდაგრებს, რომლებიც ვაჭრობდნენ შორეულ ქვეყნებთან. ამდენადვე, თვით ფაქტი ზემოხსენებული „გზამკვლევის“ ქართული ვერსიის არსებობისა უცილობლად მოწმობს IV-VII სს-ის ქართლის და ეგრისის ვაჭრული წრეების ცხოველ ინტერესებს იმდროინდელი „მსოფლიოს“ საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მიმართ.

ამ ურთიერთობათა ნორმალურ განვითარებას ხშირად ხელს უშლიდა გაუთავებელი ომები ბიზანტიასა და ირანს შორის, ომები, რომელთა ძირითადი მიზეზი იმავე სავაჭრო მაგისტრალების დაუფლება და, ამდენად დასავლეთისა და აღმოსავლეთის ვაჭრობის კონტროლი და ექსპლუატაცია იყო. ასე, მაგალითად, VI ს-ში ატეხილ ნახევარსაუკუნოვან ომს ბიზანტია-ირანს შორის არ შეიძლება უარყოფითად არ ემოქმედა ამიერკავკასიის სატრანზიტო

ვაჭრობაზე, მით უმეტეს, რომ სამხედრო მოქმედების ძირითადი ასპარეზი დასავლეთი ამიერკავკასია, კერძოდ, ეგრისის სამეფო იყო.

ადმოსავლური აბრეშუმის მიღებისათვის ბიზანტია იძულებულია ეძებოს სხვა გზები, რომლებიც ასცდებოდა ირანის ტერიტორიას, კერძოდ, იგი ცდილობს სავაჭრო ურთიერთობა დაამყაროს შუა აზიასთან აფხაზეთ-სვანეთის გზით ჩრდილო კავკასიიდან, სადაც ამ დროს ალანები (დღევანდელი ოსების წინაპრები) იყვნენ გაბატონებულნი. ირანი, თავის მხრივ, ცდილობს ხელი შეუშალოს ამ წამოწყებას³⁵. უეჭველია, რომ იმ გაუთავებელ დავაში, რომელიც ატყდა VI ს-ის 60-იან წლებში საზავო მოლაპარაკების დროს ირანსა და ბიზანტიას შორის სვანეთზე ერთ-ერთი მათგანის სუვერენიტეტის გავრცელების საკითხის ირგვლივ, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ის გარემოება, რომ სვანეთი, ისევე როგორც აფხაზეთი, უდელტეხილებით არის დაკავშირებული ჩრდილოეთ კავკასიასთან³⁶. რომ ბიზანტია ჩრდილოეთ კავკასიასთან ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას სწორედ დასავლეთ საქართველოს მთიანეთის საშუალებით ცდილობდა, ამის ნათელი ილუსტრაციაა VI-VII ს-ის ბიზანტიური ოქროს მონეტების აღმოჩენა, ერთი მხრივ, აფხაზეთ-სვანეთ-რაჭაში, ხოლო მეორე მხრივ, ჩერქეზეთ-ბალყარეთ-ოსეთში, კავკასიონის გარდღივარდმო, ზემოაღნიშნული ქვეყნების დამაკავშირებელი საუდელტეხილო გზების გასწვრივ³⁷.

ბიზანტიური და სასანური მონეტების მონაპოვარი ჩრდ. ოსეთიდან (თერგის და გიზელ-დონის ხეობაში) იმის მოწმობაც უნდა იყოს, რომ დარიალის ხეობა ამ დროს წარმოადგენს აგრეთვე მნიშვნელოვან არტერიას, რომლის მეშვეობითაც ჩრდ. კავკასია ჩაბმული იყო ეკონომიკურ ურთიერთობაში ამიერკავკასიასთან, კერძოდ, ქართლთან და მისი საშუალებით მახლობელ ადმოსავლეთთან³⁸.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა რიგის წყაროების თანხმობრივი ჩვენებით IV-VII სს-ში საქართველო აქტიურად არის ჩაბმული საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში დასავლეთსა და ადმოსავლეთს შორის, მასზე გადის მნიშვნელოვანი მაგისტრალები, რომლებითაც

ევროპა დაკავშირებულია აზიასთან. ამ გაცხოველებული აღებმაცემობის ორბიტაში ამიერკავკასიის მეოხებით ჩართულია კავკასიის მთიანეთი და ჩრდილოეთ კავკასიაც. ასეთი ვითარება გრძელდება VII ს-ის შუახანებამდე.

VII ს-ის ორმოც-ორმოცდაათიან წლებში ისლამის დროშით გაერთიანებულმა არაბებმა ბიზანტიასთან განუწყვეტელი ომებით და შინაგანი კრიზისით ისედაც დასუსტებული ირანის სამეფო სასტიკად დაამარცხეს და ახალი, უხარმაზარი სახელმწიფო შექმნეს, რომლის ფარგლებში ამიერკავკასიაც (ეგრისს გარდა) შევიდა. ახლა მახლობელ აღმოსავლეთში ბიზანტიას არაბეთის სახელმწიფო დაუპირისპირდა და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოს შორის შეუძლებელი შეიქნა და იგი კარგა ხნის მანძილზე შეწყდა კიდევ. ცხადია, ეს პირდაპირ გავლენას იქონიებდა ამიერკავკასიის სატრანზიტო ვაჭრობაზე ამ მიმართულებით³⁹.

ეს გარემოება შესანიშნავად დასტურდება კვლავ ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. VII ს-ის მეორე ნახევრის არცერთი განძი არ არის ცნობილი საქართველოს (და ამიერკავკასიის) ტერიტორიიდან⁴⁰. კიდევ მეტი, არამცთუ მონეტების განძი, არამედ არც ერთი არაბული მონეტა ამ დროისა აქამდე არ აღმოჩენილა საქართველოს ტერიტორიაზე. როგორც ცნობილია, საერთო არაბული ტიპის მონეტის შექმნამდე (VII ს. ბოლოს) აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძირითად სამონეტო ერთეულად სასანური დრაქმა რჩება⁴¹. დაახლოებით ასევე უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ საქართველოშიც. მაგრამ აქ, ისევე როგორც სომხეთში, საამისოდ გამოიყენებოდა ბიზანტიური ოქროსა და ვერცხლის მონეტებიც, რომლებიც VII ს. მეორე ნახევარში გაავრცელებულია ჯავახეთიდან კახეთამდე და თიანეთამდე⁴². ეს უნდა მოწმობდეს ბიზანტიასთან იბერიის სავაჭრო ურთიერთობის მეტ ინტენსიურობას. რაც შეეხება ეგრისს, აქ მხოლოდ ოთხი ადგილიდან (ბიჭვინტა, სოხუმი, ღვანკითი, შემოქმედი) არის ცნობილი ამ დროის ბიზანტიური ოქროს მონეტა⁴³. ხოლო ერთგან (ზუგდიდი) – ვერცხლის ორი ჰექსაგრამი⁴⁴.

ამგვარად, VII ს-ის მეორე ნახევრის ნუმიზმატიკური მასალა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან თითქოს იმის მაჩვენებელია, რომ მიუხედავად პოლიტიკური დამოკიდებულებისა სახალიფოსგან, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით იბერია ბიზანტიასთან უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული. ჩანს, პირველ ხანებში არაბებმა ვერ შეძლეს ეკონომიკური კონტაქტების დამყარება ამიერკავკასიასთან და, კერძოდ, საქართველოსთან. სამაგიეროდ, მთელი VIII ს. საქართველოსთვის ბიზანტიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, ნუმიზმატიკური ლაკუნაა, თუკი არ ჩავთვლით ტიბერიუს III-ის (698-705), ჯერჯერობით ცნობილ, ოქროს ორად ორ მონეტას, აღმოჩენილს ისიც დასავლეთ საქართველოში (ბიჭვინტა, სოხუმი)⁴⁵. ეს ფაქტი აშკარად მიუთითებს, რომ საქართველოს ვაჭრობა ბიზანტიასთან ძალზე დაეცა ან სრულიად შეწყდა კიდევ. დაქვეითდა ეკონომიკური ურთიერთობა მახლობელ აღმოსავლეთთანაც, თვით სახალიფოსთან. ეს გამოწვეული იყო სისხლისმღვრელი ბრძოლებით, რომლებსაც სახალიფო აწარმოებდა, ერთი მხრივ, ბიზანტიასთან და, მეორე მხრივ, ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოქმნილ ხაზართა ძლიერ სახელმწიფოსთან. ასეთი ვითარება გრძელდება VIII ს-ის უშუალო დასაწყისამდე, როდესაც შეიმჩნევა, რომ ამიერკავკასია თანდათან შედის სახალიფოს შინაგანი ვაჭრობის არეალში, ამის მოწმობაა ის, რომ VIII ს-ის პირველივე წლებიდან არაბები ამიერკავკასიის მთელ რიგ ქალაქებში (თბილისი, დვინი, ბარდავი, განჯა, დარუბანდი და სხვ.) სჭრიან ვერცხლის ადგილობრივ არაბულ მონეტებს – დირჰემებს (ანუ ძველქართულად – დრამას), რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ამ ქალაქებში არაბებს ადგილობრივი ზარაფხანები გაუხსნიათ⁴⁶. ზარაფხანების გახსნა ამიერკავკასიურ ქალაქებში, რა თქმა უნდა, იმას ნიშნავს, რომ აქ მსხვილი ვაჭრობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვერცხლის მონეტებით აუცილებელი გამხდარა.

მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა არაბულ სამყაროსთან VIII ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება და ინტენსივობის

უმადლეს წერტილს X ს-ის შუახანებში აღწევს. ამ მოვლენის პარალელურად იზრდება ამიერკავკასიის სატრანზიტო მნიშვნელობა, მაგრამ სრულიად სხვა მიმართულებით, ვიდრე ის იყო VII ს-ის შუახანებამდე. საქმე ისაა, რომ ბიზანტიასთან ვაჭრობის შეწყვეტის საკომპენსაციოდ, სახალიფო ცხოველ სავაჭრო ურთიერთობას ამყარებს ჩრდილოეთ კავკასიასთან, ვოლგისა და დონის აუზების ქვეყნებთან. ამ გზით კვლავ აყვავდა საერთაშორისო ვაჭრობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. განსხვავებით წინა პერიოდისაგან (IV-VII სს.), ახლა სომხების ქალაქებზე უფრო დიდი მნიშვნელობა ჩრდილოეთ ამიერკავკასიის ქალაქებმა მიიღეს, კერძოდ თბილისმა, განჯამ, დარუბანდმა და ბარდავამ, რომელიც არანის (ძვ. ალბანეთის არაბული სახელწოდება) დედაქალაქი იყო⁴⁷.

ჩრდილოეთთან ამ ვაჭრობის, გაქანებას მოწმობს კვლავ ნუმიზმატიკური მასალა – სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მასშტაბების უტყუარი მაჩვენებელი: არაბული დირჰემების განძები, რომლებშიც არამცირედი რაოდენობით მოიპოვება ამიერკავკასიის ზარაფხანებში მოჭრილი ვერცხლის მონეტები, გვხვდება რუსეთის ევროპული ნაწილის მთელს ტერიტორიაზე თეთრ ზღვამდე, ფინეთში, სკანდინავიაში, ჩრდილოეთ გერმანიის ტერიტორიაზე, ინგლისში და ისლანდიაშიც კი⁴⁸.

ამავე დროს, IX ს-ის მეორე ნახევრიდან, სახალიფოს ფეოდალური დაშლისა და ამიერკავკასიის ფეოდალური სამეფო-სამთავროების ეკონომიკური აღორძინების პერიოდში, კვლავ აღსდგა ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა უშუალოდ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ამიერკავკასიის ტერიტორია კვლავ დაისერა სავაჭრო მაგისტრალებით, რომლებიც აკავშირებდნენ არა მხოლოდ ბალტიისპირეთს არაბულ სამყაროსთან, არამედ ბიზანტიას ინდოეთთან⁴⁹. გაცხოველებულ საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამიერკავკასიის სამეფო-სამთავროები. ხელახლა აღორძინდა დვინის ვაჭრობა ტრაპეზუნტთან. სავაჭრო მაგისტრალებზე წარმოიქმნა ახალი ქალაქები: ანისი, ყარსი და არწნი სომხეთში; არტანუჯი ტაო-კლარჯეთის ქართულ სამეფოში⁵⁰. აი, რას წერს,

მაგალითად, ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი (912-959) არტანუჯის შესახებ: „ადრანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი რაბატიც (სავაჭრო გარეუბანი – ავტ.) და დაბა-ქალაქიც; და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა (დასავლეთ საქართველო, ეგრის-აფხაზეთის სამეფო – ავტ.), და არმენიის და სირიის ყველა ქალაქიდან; და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოსდის“⁵¹. როგორც ვხედავთ, X ს-ის პირველ ნახევარში არტანუჯი, ქართველი ბაგრატიონების რეზიდენცია, მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრს წარმოადგენს, რომელიც ეკონომიკურად დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ამიერკავკასიასა და აღმოსავლეთთან, ხოლო, მეორე მხრივ, ტრაპეზუნტთან – შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს უმნიშვნელოვანეს საქსპორტო ნავსადგურთან, რომელიც ამავე დროს აღმოსავლეთში დასავლური იმპორტის კარიბჭეს წარმოადგენდა.

ტრაპეზუნტი რომ ამ დროს უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო-სავაჭრო ცენტრი იყო არაბულ სამყაროსა და ბიზანტიას შორის, ამას გვიდასტურებს X ს-ის პირველი ნახევრის ცნობილი არაბი გეოგრაფოსი აღ-ისთახრი, რომლის სიტყვით, ტრაპეზუნტი ბერძნების სასაზღვრო ქალაქია, ვაჭრები ყველანი იქ მიემგზავრებიან; ყველა ბერძნული საფეიქრო ნაწარმი და ყველა ფარჩა, რომლებიც შემოაქვთ მუსლიმანურ ქვეყნებში ტრაპეზუნტიდან შემოდის⁵². მეორე, აგრეთვე ცნობილი არაბი გეოგრაფოსი მასუდი, რომელიც თავის შრომას 944 წ. წერდა, აღნიშნავს, რომ ტრაპეზუნტში იმართება ყოველწლიური ბაზრობა, რომელიც იზიდავს დიდ რაოდენობა მუსლიმან, ბერძენ, სომეხ, ჩერქეზ და სხვა ვაჭრებს. აქედან ჩანს, რომ ტრაპეზუნტის საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობაში არაბ და ბერძენ ვაჭრებს გარდა, აქტიურ მონაწილეობას იღებს ამიერკავკასიის და ჩრდილო კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაც⁵³. ამდენადვე საკვებით გასაგებია ქალაქ არტანუჯის დიდი მნიშვნელობა IX-X საუკუნეების სატრანზიტო ვაჭრობისათვის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

არაბულ წყაროებში დაწვრილებით არის მოთხრობილი თუ რა საქონლით ვაჭრობდნენ ამიერკავკასიული ქა-

ლაქები და ქვეყნები. ასე, მაგალითად, ბარდავიდან გაჰქონდათ უამრავი ქსოვილი; დარუბანდიდან – ტილოს ტანისამოსი, ზაფრანა, მისი ნავსადგურით ქართველებიც სარგებლობდნენ; დვინიდან – მაუდი, ხალიჩები, ტყავეული; ბაქოდან – ნავთი; თბილისიდან და მთელი არანიდან დარუბანდამდე – ენდრო, რომელიც ინდოეთში საღებოდა; კასპიის ზღვიდან – თევზი, ხიზილალა; განჯიდან და შამქორიდან – შალეული და სხვ.⁵⁴

ბიზანტიასთან გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობაზე მიუთითებს ასევე ნუმიზმატიკური მასალა, მართლაც, X ს-დან ბიზანტიური ოქრო და ვერცხლი კვლავ იწყებს დენას ამიერკავკასიაში, ხოლო XI ს-ის პირველი ნახევრიდან, ვიდრე 70-80-იან წლებამდე დიდი რაოდენობა ბიზანტიური ოქროს მონეტების განძებისა მთელს ამიერკავკასიას ფარავს კასპიის ზღვამდე⁵⁵. ეს მოწმობს იმას, რომ წინა პერიოდებისაგან განსხვავებით, ბიზანტიასთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში ჩაბმულია არა მხოლოდ საქართველო და სომხეთი, არამედ ძველი ალბანეთის სამეფოს სამხრეთი პროვინციებიც. თბილისი, რომელიც X ს-ის არაბული (იბნ-ხაუკალი) და სპარსული (ჰოდუდ ალ-ალემი) ცნობებით აყვავებული სავაჭრო ქალაქია, კვლავ სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრშია, რასაც აქ აღმოჩენილი X-XI სს. მიჯნის შერეული არაბულ-ბიზანტიური მონეტების განძი ადასტურებს⁵⁶.

ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ X ს. აყვავებული ვაჭრობა ხალიფატისა ჩრდილოეთთან, XI ს-ის დასაწყისიდანვე მკვეთრად ეცემა. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო პოლიტიკური მოვლენებით ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში (მომთაბარე ყივჩაყების შემოსევა).

XI ს-ის მეორე ნახევარში ვითარება იცვლება ამიერკავკასიაშიც. ველური თურქ-სელჩუკების გამანადგურებელმა შემოსევებმა (60-80-იანი წლები), შეარყიეს ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობა, რასაც, რა თქმა უნდა, ძლიერ უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა სატრანზიტო ვაჭრობაზეც.

მიუხედავად ამისა XI ს-ის ბოლოდან, თურქ-სელჩუკების სახელმწიფოს შედარებითი სისუსტისა და დაშლი-

ლობის პირობებში საქართველოს სამეფო კვლავ დაადგა ეკონომიკური და პოლიტიკური აღორძინების გზას და ბრწყინვალე პოლიტიკური მოღვაწის, დავით აღმაშენებლის ენერგიული მცდელობის შედეგად XII ს-ის 20-იანი წლებისათვის თითქმის მთელი ამიერკავკასია გაერთიანდა. საქართველომ უშუალოდ შემოიერთა ქრისტიანული სომხეთი (მდ. არაქსამდე) და დასავლეთი შირვანი (ძველი ალბანეთის სამეფოს მტკვარს ჩრდილოეთი პროვინცია) ქალაქ შამახიამდე. XII ს-ში და XIII ს-ის პირველ მეოთხედში, როგორც ცნობილია, საქართველო წარმოადგენდა მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს, რომლის სუვერენიტეტს ემორჩილებოდნენ მუსულმანური ვასალური სახელმწიფოები: შირვანის სამეფო, განძის, არზრუმის და ერზინჯანის საამიროები. მისი გავლენა ვრცელდებოდა მისი ინიციატივითვე შექმნილ ტრაპეზუნტის იმპერიაზე და, აგრეთვე, იმიერკავკასიაზე. ცხადია, ეს იყო უადრესად ხელსაყრელი ხანა საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობისათვის, რაც მოწმდება წერილობითი წყაროებით და მატერიალური ძეგლებითაც.

მართლაც, ერთ-ერთი თანამედროვე ისტორიკოსი მიგვითითებს, რომ საქარაენო ვაჭრობა განვითარებული იყო ირანსა და ამიერკავკასიულ ქალაქებს, თბილისს, დმანისსა და განძას შორის⁵⁷. დმანისი იმ დროს ფრიად მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა და იქიდან, ისევე როგორც ყარსიდან და ბარდავიდან, ირანში აბრეშუმში გაჰქონდათ⁵⁸. თბილისურ ექსპორტს შეადგენდა: უნაგირები, სპილოს ძვლით გაწყობილი ლაგმები, კაპარტები; მინის ფიალები და ბროლის ნაწარმი; თაფლი, ტკბილეული, ცვილი...⁵⁹ აგრეთვე: ვერცხლის წყალი, მრავალნაირი ტანსაცმელი, ნაბდები, ნოსები, შალი, აბრეშუმის და სხვ.⁶⁰ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ თუ „რამდენად უნდა ყოფილიყო მე-12 ს-ში, თამარ მეფის დროს განვითარებული საქართველოში აღებ-მიცემობა, უფრო იქიდან შეიძლება დავინახოთ, რომ საუკეთესო მატყელი ვაჭრებს საქართველოში ისეთი შორეული ქვეყნიდან შემოჰქონდათ, როგორც ქალექსანდრია იყო“. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ თა-

მარ მეფემ „იწყო ალექსანდრიის ვაჭართაგან მიღებულისა მატყლისაგან რთვად და ქმნად შესამოსლისაო“⁶¹.

საქართველოს მესვეურები უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ვაჭრობის განვითარება-აყვავებას. დავით აღმაშენებელმა, მაგალითად, მოგზაურ-ვაჭართათვის ქარვასლები და სასტუმროები ააგო, „აღაშენა ხიდნი მდინარეთა ზედა სასტიკთა და გზანი საწყინოდ სავალნი ქვაფენილ ყენა“⁶² თამარ მეფეც აშენებს გზის პირას ფუნდუკებს ანუ სასტუმროებს. ასე, მაგალითად, ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ქვემო ქართლის მთიანეთში, ზურტაკეტში, შანბიანის მთაზე თრიალეთ-ჯავახეთში გარდამავალ გზაზე „აქა არს ფუნდუკი თამარ მეფისაგან აშენებული“⁶³. საერთოდ ამგვარი მშენებლობა, მართლაც, დამახასიათებელია იმ ეპოქისათვის. ტყუილად ხომ არ ეუბნება ავთანდილი თავის „ანდერძში“ მეფე როსტევანს, რომ სიკვდილის შემთხვევაში, მისი საჭურჭლიდან „რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საჭურჭლესა დასადებად, მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებად“. ამიტომაც არის, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღემდე კამაროვანი ხიდები „თამარ მეფის“ აგებულად მიაჩნია მოსახლეობას. ასეთი ხიდები მრავლადაა საქართველოში აფხაზეთიდან ქვემო ქართლამდე და ჭოროხის ხეობიდან საინგილომდე. ყველაფერი ეს გამიზნული იყო, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაცხოველებისათვის.

სამწუხაროდ, იმდროინდელ ქართველ ისტორიკოსებს საკმაოდ მწირი ჩვენებები შემოუნახავთ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. ივ. ჯავახიშვილს ამოკრებილი აქვს ქართული წყაროებიდან ის მცირეოდენი ცნობები, რომლებიც ეხება საქართველოს სავაჭრო ურთიერთობას დასავლეთთან და აღმოსავლეთთან. ვაჭრობა განაღებული იყო არაბეთთან, ირანთან, ბიზანტიასთან, „მოზაღდადე“ სოვდაგრებს ბაღდადიდან და ირან-არაბეთის სხვადასხვა ქალაქებიდან შემოჰქონდათ: აფი ბაღდადური, ჯუბაჩა (მოკლე სამოსელი, პერანგივით), მატყლი, ლარი, სხვადასხვა ძვირფასი ქსოვილები, რომელთაც „ტურფას“ უწოდებდნენ; ოქროქსოვილები, რომელსაც ზარქაში ეწოდებოდა; ნელსაც-

ხელები – ბალასანი, მუშკი და ქაფური, თათრული აღვირები სადაფით შემკული, პატარა ყუთები ზარდახნად წოდებული, ოქროს ზოდები – ზარქანი; ფოლადი, ძვირფასი თვალ-მარგალიტი, ბადახშანური ლალი, იაგუნდი, ფირუზი, სადაფი და ბროლი.

ბიზანტიიდან შემოჰქონდათ: ქსოვილები – კუბასტი (ლენაქი), სტავრა (ოქროქსოვილი), ოქროქსოვილი „საკრამანგი“; ყოველგვარი სამღვდელმსახურო და საეკლესიო ნივთები: ხატები, სურათები და სხვ.

სომხეთიდან – „ტაბასტაი სომხური“⁶⁴, რაც აკად. ნ. მარის მიხედვით, ძვირფას სომხურ ფარდაგებს უნდა ნიშნავდეს⁶⁵ და სხვ.

ჩვენი არქეოლოგების გამოკვლევებიდან ირკვევა, რომ XI-XIII სს-ში საქართველოში შემოჰქონდათ ბიზანტიური მოტიკული და თეთრკეციანი ჭურჭელი (სოხუმი, ქუთაისი, ვანი, ფოთი, ციხისძირი, გონიო და სხვ.), სომხური და ირანული ფაიანსი (რუსთავი, თბილისი, დმანისი, გუდარეხი, უჯარმა)⁶⁶.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნაქალაქარ დმანისის გათხრები, რომლის შედეგად გაირკვა, რომ ქალაქს თავის დროზე სავაჭრო ურთიერთობა ჰქონია, ერთი მხრივ, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ირანთან და ჩინეთთანაც⁶⁷.

საკუთრივ საქართველოს ქალაქებს გარდა, უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სამეფოში უშუალოდ შემავალი ჩრდილოეთი სომხეთის ცნობილ ქალაქებს, რომელთაც ნ. მარის აზრით, საქართველოს სამეფოს ძლიერების ბრწყინვალე ხანაში კვლავ მოიპოვეს მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში. ნ. მარი მრავალი წლის მანძილზე თხრიდა სომხეთის ძველ დედაქალაქს – ანისს, რომელიც როგორც ქალაქი, სწორედ XII-XIII სს-ში აყვავდა. გათხრების შედეგად იგი ასკვნიდა, რომ ამ ქალაქზე გადიოდა ცხოველმყოფელი სავაჭრო არტერია. ანისი გადაიქცა საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რისი მოწმობაც არის იქ ქარვასლებისა და მის მახლობლად ათეულობით ხიდების მშენებლობა⁶⁸.

საქართველოს სახელმწიფოს XI-XIII სს-ში, რომ ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო ვაჭრობაში, ამის დამადასტურებელი ფაქტია, ბოლოს და ბოლოს, მთელს მის ტერიტორიაზე იმ დროს გავრცელებული ბიზანტიური ოქროს და ტრაპეზუნტული ვერცხლის მონეტების გვერდით, სხვადასხვა მუსლიმანური ქვეყნების სპილენძისა და ვერცხლის მონეტები⁶⁹.

ამგვარი გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ინერციით კარგა ხანს გრძელდება XIII ს-შიც, მიუხედავად მონგოლთა შემოსევისა, რომელმაც, რა თქმა უნდა, უარყოფითი გავლენა იქონია ამიერკავკასიის ქალაქების ეკონომიკურ და კულტურულ კეთილდღეობაზე (ასე მაგალითად, ზაქარია ალ-კაზვინის ზემოსხენებული ცნობები XIII ს-ის მეორე ნახევრის ვითარებას ასახავს), XIV ს-ში დროებითი პოლიტიკური და ეკონომიკური აღორძინების მიუხედავად, ამ საუკუნის ბოლოს თემურ-ლენგის ურდოების დამანგრეველი თარეშის შედეგად ქვეყნის ეკონომიკა მოიშალა, ქალაქები დაკნინდა და მოსახლეობისაგან დაცარიელდა. ამას დაემატა ისიც, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემაერთებელმა სავაჭრო მაგისტრალებმა შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო სამხრეთისაკენ გადაინაცვლა⁷⁰. ყველაფერ ამას შედეგად მოჰყვა XV ს-ში ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს, რომელიც მთელ კავკასიას აერთიანებდა, ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლა. შემდგომშიც მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკური მოვლენები არაკეთილსასურველად წარიმართა და ამიერკავკასიამ კერძოდ კი, საქართველომ, დიდი ხნით დაჰკარგა თავისი ოდინდელი მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

შენიშვნები:
თავი I.

1. მდინარე ფასისს ევროპისა და აზიის საზღვრად მიიჩნევენ ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ს-ის ბერძენი ლოგოგრაფოსი ჰეკატე მილეტელი (შდრ., FGRH, fr, 18a): ესქილე („მიჯაჭვული პრომეთე“, ფრ. 191 ARR.. PPE, 29(19H), შემდგომ ხანებში (უკვე ჰეროდოტესთან და მის წინამორბედებთან) ევროპისა და აზიის საზღვრად მიიჩნეეს მდინარე ტანაისი (დღევანდელი დონი), თუმც აზრთა სხვადასხვაობა შემდგომშიც გრძელდებოდა (ჰეროდოტე, IV, 45; AGATHEMER, 3 = DILLER, 1975; PROCOP. CAES., BG, VIII, 6).
2. Чайлд, 1952: 170; ჯაფარიძე, 1961; 1976; 126-129.
3. ბოლო დროის გამოცემები: MILLER, 1962, EKKENHARD, 1972; კომენტარები: ლომოური, 1958.
4. ბერძენიშვილი, 1966: 112, 117-118.
5. მიქელაძე, 1978; Гамкрелидзе, 1992.
6. Куфтин, 1951; თოლორდავა, 1980.
7. Кигурадзе, 1976.
8. ვანი VIII.
9. ნოქალაქევი I-II.
10. ლანჩავა, 1995.
11. ჯაფარიძე, 1982.
12. ჯაფარიძე, 1990.
13. ნადირაძე, 1975; 1990.
14. Немсадзе, 1997.
15. ჭილაშვილი, 1964.
16. ხახუტაიშვილი, 1964; 1970.
17. Бохочадзе, 1977, Гагошидзе, 1979, 1981.
18. მცხეთა I-X.
19. ქორიძე, 1958.
20. ჭილაშვილი, 1958; „რუსთავი I“.
21. ჭილაშვილი, 1980.
22. კაპანაძე, 1969; აბრამიშვილი, 1974; ჯალალანია, 1975; Пахомов, 1970; Дундуа, 1987.

23. ბერძენიშვილი, 1966: განსაკ. გვ. 16; 1975: გვ. 64 და შემდ.
24. ბერძენიშვილი, 1964: 397-398. აღსანიშნავია, რომ ავტორის მოსაზრება ანტიკური წყაროების ძალისის ადგილმდებარეობის შესახებ დადასტურდა არქეოლოგიური აღმოჩენებით. სოფელ ძალისში გამოვლენილია ახ. წ. I-IV საუკუნეების მძლავრი საქალაქო დასახლება, სასახლითა და საკულტო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებით, აგურითა და ქვის ფილებით მოგებული ქუჩებით, წყალსადენებით, აბანოებით, მოზაიკებით (დაწვ. Бохоцадзе, 1977, ODICHEL, 1994).
25. მუსხელიშვილი, 1966.
26. ამ ქალაქების შესახებ დაწვ. იხ. ინაძე მ., 1982. Лортки-панидзе О., 1979: 106-154 და იქ დასახ. ლიტ.
27. Проблемы, 1979: 187-345, 369-406; Демографическая, 1982: 292-394.
28. უახლოეს სამეცნიერო ლიტერატურაში ჰეროდოტეს მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, ერთი მხრივ – სუპერკრიტიკული ტენდენცია (იხ. FEBENG, 1989, ARMAYOR, 1978), მეორე მხრივ – სრული ნდობა. ჩვენთვის ამჯერად ისაა არსებითი, რომ მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ჰეროდოტეს ცნობებში წარმოდგენილია მისი წინამორბედების მიერ დამუშავებული გეოგრაფიული კონცეფცია.
29. იხ. მაგ., ჰეროდოტე, IV, 85-86, 89-90; ივარაუდება, რომ იმ დროს ბერძნული ხომალდები ასორციელებდნენ კაბოტაჟურ ცურვას და ასევე იმოგზაურა, თითქოს ჰეროდოტემაც აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც (JAKOBY 1913: 258; Жебелов, 1953: 319; Рыбаков, 1979: 83). თუმც ამ მოგზაურობას ზოგიერთი მკვლევარი კატეგორიულად უარყოფს (ARMAYOR, 1978: 45).
30. ყაუხჩიშვილი თ., 1960: 85-86.
31. ყაუხჩიშვილი თ., 1960: 65.
32. ურუშაძე ა., 1964: 185-216.
33. ფიქრობენ, რომ ეკონომიკური სტიმულის ხაზგასმით აქ სტრაბონი თითქოს წარმოადგენს ევკემერისტულ კონცეფციას (შდრ. LASSERZE, 1969: 139, შენიგშნა 1).

34. კოლხეთში ბერძნული კოლონიზაციისა და მასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოხსენებები იხ. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისადმი მიძღვნილ I, II და V სიმპოზიუმის მასალებში – Проблемы, 1979: 187-345, 369-406: Демографическая, 1981, 241-394: Причерноморье, 1990: 8-39.
35. იხ. მაგ. REINEGSS 1797: 138; Dubois de Montpereux, 1839: 18. ძალზე საინტერესოა უცნობი ავტორის თხზულება „მდინარეების ენგურისა და რიონის ხეობებში ოქროს არსებობის პირობები“ („Условия местонахождений золота в долине рек Ингури и Риони“), რომელიც 1879 წელსაა შედგენილი რუსულ ენაზე და აღმოჩნდა სანკტპეტერბურგის (ყოფილი ლენინგრადის) საჯარო ბიბლიოთეკაში (დაწვრ. იხ. კოჭლავაშვილი, 1962: 258-260). მოვიტან ზოგიერთ მონაცემს ამ ხელნაწერის ფოტოპირიდან, რომელიც მომაწოდა აწ განსვენებულმა ბატონმა ალ. კოჭლავაშვილმა: „სრულიად საიმედო წყაროებიდან ცნობილია, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინ ოქროს მოპოვება ხდებოდა მდინარეების ენგურისა და რიონის ქვემო წელზე, ხოლო იმერეთის მეფეები იჯარით აძლევდნენ ოქროს მოპოვებას ცხენისწყლის შესართავთან ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. შემდგომში ბატონების ტომილაკისა და გილევის გამოკვლევებმა (1850-1963 წწ.) ყოველგვარი ეჭვის გარეშე წარმოაჩინეს, რომ მდინარეების ენგურისა და რიონის შუა და ზემო წელზე ხეობაში გვხვდება ოქრო. იგივე დაადასტურეს ბატონ კასტენის დაზვერვითმა სამუშაოებმა, რომელსაც გამოეყო ადგილი იქ, სადაც ოქროს შემცველი ქვიშებია... ოქრო გვხვდება, ძირითადად, წვრილი მარცვლების სახით, მაგრამ ყველგან მდინარის დანაშრეებებში... ზოგჯერ გვხვდება ოქროს მარცვლების სახით, რომელნიც სიმინდის მარცვლის ზომისაა, იშვიათად, მაგრამ არის უფრო დიდი ზომისაც“.
36. სვანეთში ოქროს მოპოვების წესი აღწერილი აქვს ტიმ სევერინს (1985: 222-223), რომელმაც 1984 წელს ოცნისბიანი ნავით გაიმეორა არგონავტების მარშრუტი.

37. ასე მაგ., ვანის ერთ-ერთ მდიდრულ სამარხში (ძვ. წ. V ს.) აღმოჩენილია 1800-მდე ოქროს სხვადასხვა ნივთი (ვანი I: 213 და შემდ.).
38. ძველ ბერძნულ ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, ფართოდ იყო გავრცელებული თქმულებები მეღვინე ტომებზე – ხალიბებზე, რომელნიც კოლხური წარმოშობის ტომებად არიან მიჩნეული. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ხანაში ისინი არ შედიოდნენ კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში და ეკავათ ვრცელი ტერიტორია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში – მდინარე ჰალისსა და ჭოროხს შორის.
39. Минеральные, 213; Твалчрелидзе, 1958: 81-89; შდრ. Гдзешვილი, 1964: 14 и след.; რეხვიაშვილი, 1964: 38 და შემდ.
40. Хахутაიшвили, 1987.
41. რკინის შემცველი მთის ქანების გამოფიტვის შემდეგ მაგნეტიტური სილა მდინარეებს ჩააქვთ ზღვაში, ხოლო შემდეგ ზღვის ზვირთებისაგან განიფანტება ზღვის ნაპირზე (პლიაჟზე) და ყალიბდება მაგნეტიტურ ფენებად. კოლხეთის ზღვისპირა ზოლში არქეოლოგიურადაა დადასტურებული სპეციალური სეზონური სამოსახლოები (უპირატესად ძვ. წ. VII-VI საუკუნეების), რომელნიც დასაქმებული იყვნენ მაგნეტიტური ქვიშიდან რკინის მიღებაზე (Рамишвили, 1975). აგრეთვე სტაციონალური სახელოსნოები (Хахутაიшвили, 1987 და შემდ.).
42. შდრ. ფსევდო-არისტოტელე, „საოცარი ხმების შესახებ“ 833(48): „ამბობენ, რომ განსაკუთრებულია ხალიბური და ამისური რკინის წარმოება. რადგან როგორც ამბობენ, ის დაკავშირებულია იმ ქვიშასთან, რომელიც მდინარეებს ჩამოაქვს. ზოგიერთები ამბობენ, რომ ამ ქვიშას უბრალოდ გარეცხილს ღუმელში ახურებენ, ხოლო (სხვების აზრით) ის, რაც რჩება გარეცხვისა და გახურების შემდეგ, კვლავ მრავალგზის ირეცხება. ხოლო შემდეგ მასში დებენ ეგრეთწოდებულ ცეცხლგამძლე ქვას, რაც ამ ქვეყანაში ბევრია. ეს რკინა ბევრად უკეთესია ყველა სხვაზე. მაგრამ იგი ერთ ღუმელში რომ არ დნებოდეს, როგორც ჩანს, არაფრით არ განსხვავდე-

ბოდა ვერცხლისაგან. ამბობენ, რომ მხოლოდ ეს (რკინაა), რომ არ იჟანგება, მაგრამ ის ბლომად არ მოიპოვება“. მაგნეტიტური ქვიშების ფლოტაციის წესით რკინის მიღებაზე იხ. წინა შენიშვნებში; უფრო რთულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა იგულისხმება „ვერეთწოდებულ ცეცხლგამძლე ქვაში“ (παρυμαχισ καλυσμευοσ λιθια). ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს შეიძლება იყოს მანგანუმი, რომლის გამოყენება მაღალი სიმტკიცის რკინის მისაღებად ეთნოგრაფიულადაა დადასტურებული საქართველოში ან კრისტალურ-თიხურ-კაჟის ქანის ქვა სილიკატ-ალუმინური შენაერთი, რომელიც დიდი რაოდენობითაა ჭოროხის ხეობაში (ე. ი. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში) – იხ. რეხვიაშვილი, 1964: 23-25; შდრ. Хачутайшвили, 1982: 208-210).

43. მიქელაძე, 1985.
44. ხე-ტყის სიმრავლით (და აგრეთვე ჰავის სპეციფიკურობით) იყო გაპირობებული, რომ ძველ კოლხეთში ძირითადად ხის არქიტექტურა იყო გავრცელებული, რასაც აღნიშნავენ ძველი ავტორებიც (ვიტრუვიუსი, II, 1, 4) და მტკიცდება მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მონაცემებითაც.
45. Яценко-Хмелевский, 1954. თითქმის ყველა ამ ჯიშის არსებობა დადასტურებულია არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ხის ნიმუშების ანალიზებით.
46. Сокольский, 1971: 13-40.
47. იხ. აგრეთვე სტრაბონი, „გეოგრაფია“, XII, 3, 12, სადაც საუბარია, როგორც გემსაშენ ხეზე, ასევე საავეჯოდ გამოყენებულ ნეკერჩხლისა და თხილის ხეებზე (შდრ. МЕНI 1988: 6)
48. Сокольский, 1971: 37-38.
49. МЕНI 1987: 134.
50. შესაბამისად ანალოგიური წარმოშობისაა ხოხობის აღმნიშვნელი სიტყვა თანამედროვე ევროპულ ენებში (რუსული фазан, გერმანული fasan, ინგლისური faisant, ფრანგული phesent) ბერძნიშვილი მ., 1972: 36-37.
51. Лордкипанидзе, 1979: 154-159.

52. დაწვრ. Дундуа, 1987: 9-32 (და იქ დასახ. ლიტ.).
53. αναπαλειω ნიშნავს „მდინარეზე აღმა ცურვას“ ე. ი. ნა-
ოსნობას. XI, 3,4-შიცაა აღნიშნული, რომ ფასისი „გაგ-
სილი და სანაოსნოდ გამოსადეგი ჩადის პონტოში“.
54. πεξευαιν ქვეითად ან ხმელეთით.
55. შორაპნიდან მდინარე მტკვრამდე ქვეითად მისვლა შე-
საძლებელი იყო სურამის უღელტეხილის გადასვლით,
სადაც რამდენიმე გადასასვლელია – რიკოთი, ფონა,
წიფა (ბერძენიშვილი, 1964: 2-3).
56. τριων ημερων η τεταρων ... (შდრ. LASSERE 1975: 55, 135-
136. შენიშვნა 3).
57. NEUMAN, 1884: Tarn, 1948: 511.
58. JACOBY: 712. fr. 4.
59. ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ სამეცნიერო
ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი
მკვლევარი არ იზიარებს მოსაზრებას ვარონის მითრი-
დატის წინააღმდეგ III ომში მონაწილეობის შესახებ.
60. MUNZER, 1897: SALLMANN, 1971.
61. პლინიუსის ცნობებს ეხმაურება სოლინუსიც: „და ამრი-
გად იგი (პომპეუსი) სულ ხუთ დღეში ჩავიდა ხმელე-
თის გზით ფასისის კალაპოტიდან, მიათრევდა რა თან
რომაელებს. მისი ლაშქრობით დამტკიცდა პონტოში
ჩასვლა წყლით ინდოეთიდან (COLLECTANEA, 19, 3).
62. ამ გზის არსებობის და ფუნქციონირების შესახებ შდრ.
მაგ. Tarn, 1955: p. 488-90. ვ. ტარნისა და სხვა ზოგიერთ
ავტორთა მოსაზრებათა კრიტიკის ცდა იხ. ლორთქიფა-
ნიძე ო., 1957: ბერძენიშვილი ნ. 1969: 99-118; Гозалишвили
Г., 1956; Ямпольский, 1956.
63. DILLER, 1952.
64. DILLER, 1952.
65. FHG, V: 175 (შემდგენელი კ. მიულერი თვლის, რომ ანო-
ნიმური პერიპლუსის ეს ცნობა მომდინარეობს იამბი-
კურ ლექსად შედგენილი ფსევდო სკიმნოსის პერიპლუ-
სიდან. „იამბიკური“ „პერიპლუსიდან“ მიღებულად მიაჩ-
ნია იგი ს. ყაუხჩიშვილსაც, 1965: 4. განსხვავებული აზ-

- რისაა თ. ყაუხნიშვილი. შდრ. BASCHMAKOFF, 1948: 128 (3. C1: E. PERIEGESI iambika): DILLER.
66. ითვლება, რომ ტიმოსტენეს „ნავსადგურების შესახებ“ (პერა ლიმეუწნ) შედგენილია ძვ. წ. 270-240 წლებს შორის, LASSERRE, 1979: 848.
 67. ინაძე, 1982: 40-42.
 68. ქალაქ ფასისის ამისოსთან პირდაპირ ურთიერთობაზე მითითება არის სტრაბონის „გეოგრაფიაშიც“ (XI, 2, 17; შდრ. II, 1, 15; II, 1, 11).
 69. Брашинский, 1967.
 70. შდრ. დუნდუა თ., 1995: 32.
 71. Массон М. С. 1928: 283-284: «По словам владельца, найдены они несколько лет назад в Фергане, около Маргелана. Отсутствие уверенности в правильности показания не позволило мне включить этот клад в список среднеазиатских находок». იმავე აზრისაა ე. პახომოვიც, რომელსაც რატომღაც ეს მონეტები დასავლეთ საქართველოდან მომდინარედ მიანიხნია (Пахомов, 1938: 8, №307) ამ სკეპსისს არ იზიარებს ე. დუნდუა (Дундуа Г., 1987: 167. прим. 9).
 72. Пахомов, 1938: 329, №318.
 73. შდრ. Зограф, 1945: 64, №79. გაუგებარია რა საფუძველზე უნდა მივიჩნიოთ ისინი „ეპტიდიმეს ემისიად?“ – დუნდუა 1993: 32.
 74. მონეტა აღმოუჩენიათ და 1959 წელს მოსკოვში ჩაუბარებია ვინმე ი. ა. სამილინს, რომლის ცნობით «Монета найдена близ селения Пасанаури, Военно-Грузинской дороги. Монета обнаружена при разведении костра в кювете, под большими камнями» – Казаманова, 1961: 120: «монета покрыта окисью и спрессована временем земли».
 75. Казаманова, 1961: 120. №26.
 76. Массон В. М., 1955: 41-42.
 77. Казаманова, 1961: 120 и пос.
 78. ძვ. წ. VI ს-ის ბერძნული იმპორტი დადასტურებულია ვანში (ქიოსური მოხატული თასი, წვრილფიგურული ატიკური კილიკები, შავლაკიანი კერამიკა, ლესბოსისა და ქიოსის ამფორები) – ვანი VII: 16, №1-3; 42-43: 101-

- 107), ჭოგნარში (იონიური სადა მოხატული კერამიკა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – ხოვლესა (შავ-ფიგურული კილიკი) და ავლევში – მდინარე ფრონეს ხეობაში (ფიკელურას სტილის კერამიკის ფრაგმენტი) – დაწვრ. ლორთქიფანიძე ო., 1966: 71-72, ტაბ. XIII/1-2.
79. ამ თვალსაზრისითაა საინტერესო: ყვირილას ხეობაში მდებარე საჩხერიდან ქართლში (იბერიაში) მიმავალ გზაზე კორბოულის გადასასვლელზე ბერძნული კერამიკის აღმოჩენა (ნადირაძე, 1975: 141), აგრეთვე კოლხური ვერცხლის მონეტებისა და აქემენიდური სიკილას ერთად პოვნა სურამში (Зораф, 1945, ტაბ. 24).
80. დაწვ. Лордкипანიძე, 1979: 154 და სხვ.
81. ე. ი. 53,5 კმ-ზე.
82. იხ. მაგ. აგათია სქოლასტიკოსი (III, 20 და 99).
83. 1650-1652 წლებში იმერეთში მყოფი რუსი ელჩები იუწყებიან, რომ ნიჩბიანი ნავებით რიონზე ზღვიდან ყვირილას შესართავამდე დადიოდნენ (იხ. ჯანაშია, 1972: 277 და 280-281, შენიშვნები 40-44 და იქ დასახ. ლიტ).
84. „გლენან ნავებითა (რიონზე) ზღვიდამ ბაჟამდე“ (ე. ი. მდინარე ყვირილის შესართავამდე) – ვახუშტი: 747.
85. დაწვრ. ბერაძე, 1981: 133-145.
86. Лордкиპანიძე, 1979: 191-195 (და იქ დასახ. ლიტ).
87. ხახუტაიშვილი, 1964: 57.
88. ბერძენიშვილი ქ., 1963.
89. მდინარე არაგვის (სტრაბონისეული არაგოსის) ხეობაში აღმოჩენილია ბერძნული ამფორისკი ძვ. წ. II ს-ის (რ. რამიშვილის გათხრები).
90. ეს ჯერჯერობით ერთადერთი აღმოჩენა ბაქტრიული მონეტისა, რა თქმა უნდა, ვერ გამოვლევება განზოგადების საფუძველად. მაგრამ თვით ფაქტი ბაქტრიული მონეტის აღმოჩენისა უთუოდ საყურადღებოა, ხოლო თუ დავუშვებთ ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზის არსებობას, მაშინ კანონზომიერია.
91. ამ თვალსაზრისით საინტერესოა იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი პართული მონეტები (არშაკ II და მითრიდატე I-ის), რომელნიც იქ ალბანეთის გზით უნდა

მოხვედრილიყო (Зюграф, 1945: 41), ხოლო მეორე მხრივ იბერიაში დამზადებული ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების გავრცელება ალბანეთში (ლორთქიფანიძე მ., 1963: 151). საერთოდ კი ალბანეთის ტერიტორიაზე, მათ შორის მდინარე მტკვრის გაყოფებაზე მდებარე ნა-მოსახლარებზე მრავლად ნაპოვნი ელინისტური სახელ-მწიფოების მონეტები და ცალკეული იმპორტული საგ-ნები (Алиев, 1974: 257; Дадашева, 1977) რა თქმა უნდა, მოწმობენ სავაჭრო აქტივობას მდინარე მტკვრის გას-წვრივ, მაგრამ ისინი მაინც ვერ გამოდგება შავი ზღვი-დან ამიერკავკასიაზე გავლით ინდოეთისაკენ მიმავალი გზის ინტენსიურად ფუნქციონირების მოწმობად, ვინაი-დან მონეტების შემადგენლობა მთლიანად უჩვენებს ალბანეთის სავაჭრო ურთიერთობათა ორიენტაციას სამხრეთისაკენ სირიისა და მესოპოტამიისკენ მიმარ-თულ გზაზე (Дадашева, 1977).

92. შდრ. დიონ კასიოსი, XXXVII, 31 „...როდესაც პომპეუსმა გაიგო, რომ ფასისი შორს არ არის და გადაწყვიტა მის გაყოლებით ჩასულიყო კოლხეთზე“.
93. „გეოგრაფია“, XI, 3,4: მდინარე ფასისზე „...გადაისვლება 120 ხიდით მისი მოხვეულ-მიხვეულობის გამო“.
94. PLIN., NH, VI, 13: მდინარე ფასისზე „გადაისვლება 120 ხიდით“.
95. XVIII ს-ის ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით გაბმული ხიდის სახელწო-დება იყო ბონდი (ორბელიანი, 1965: 113). ასეთი ხიდები ახლაც მრავლადაა დასავლეთ საქართველოს მდინარე-ებზე, განსაკუთრებით რიონზე გამართული.
96. ვახუშტი, 1973: 748.
97. Манандиян, 1954: 58-59.
98. აორსების მონაწილეობის მიმართ ამ სავაჭრო ურთიერ-თობებში სეპტიკური აზრი აქვს გამოთქმული კ. ნომ-მანს (NEOMANN, 1883: 349-359), რომლის მტკიცებით ეს ცნობა თეოფანე მიტილენელიდან მომდინარეობს.
99. Еремян, 1939; ლომოური 1958.
100. Зюграф, 1995: 42.

101. Капанадзе, 1988: 148: 149.
102. Голенко, 1964: 35.

თავი II.

1. ლომოური, 1958; MILLER, 1962.
2. MILLER, 1962; ლომოური, 1958: 111.
3. Pinder et PERTHEY, 1860.
4. Markwart, 1927: 830.
5. Markwart, 1927: PASSIM.
6. Markwart, 1927: Tafel II.
7. მუსხელიშვილი, 1960.
8. Еремян, 1939.
9. ლომოური, 1958: 115.
10. მუსხელიშვილი, 1966: 51-54.
11. МКА, I: 42-44; II: 17-20; III:36; IV: 24-30; V: 32; VI: 27-36; VII: 28-29; VIII: 19; IX: 29-30.
12. МКА, II:17; VIII: 19-20; ჯაღაღანიძე, 1975.
13. МКА, I: 43-44; აბრამიშვილი, 1966: 124-125.
14. ლომოური, 1958: 107-110.
15. Ann. PPE., 15 (11).
16. „მოქცევაი“, 1963: 92.
17. STRABO, XI, 3, 5.
18. „მოქცევაი“, 1964: 82.
19. CLAUD. PTOLEM., V, X, 2.
20. Адонц, 1971: 77; Sdr. Манандян, 1954: 293.
21. მუსხელიშვილი, 1980: 7-10.
22. МКА, I: 21; Джалагания, 1980; 1982; ჯაღაღანიძე, 1975; მუსხელიშვილი, 1980: 17.
23. Еремян, 1939: 82-83; Манандян, 1954: 121.
24. PROCOP KAES. BP. II, 25.
25. ლომოური, 1958: 117.
26. „მოქცევაი“, 1964: 99.
27. PROCOP KAES. BP. II, 15.
28. AGATH, III, 5.
29. Манандян, 1954: 98-99.

30. Манандян, 1954: 125.
31. PROCOP KAES. ВР. II, 29.
32. კალანკატუაცი, 1985: 70.
33. მუსხელიშვილი, 1977: 220-222.
34. AVALICHVILI, 1928; Пигулевская, 1951: 115, 408-409.
35. MENANDR, fg. 18-22.
36. შდრ. ყაუხჩიშვილი, 1936: 203-208. იხ. აგრეთვე, Иерусалимская, 1967: Ртвелидзе, Рунич. 1971: 222.
37. მუსხელიშვილი, 1980: 15-16.
38. მუსხელიშვილი, 1980: 16.
39. Манандян, 1954: 194-195.
40. Пахомов, 1959: 38.
41. МКА, I: 21.
42. აბრამიშვილი, 1966: 16, 126-127; აბრამიშვილი, 1989: 35-37; Мушегян, 1962: 20.
43. აბრამიშვილი, 1966: 126-127; აბრამიშვილი, 1989: 35-37.
44. აბრამიშვილი, 1989: 35-36.
45. აბრამიშვილი, 1966: 16.
46. Пахомов, 1910: 39-40; Капанадзе, 1956: 49; МКА, I: 22.
47. Манандян, 1954: 198-200.
48. МКА, I: 22-24; V: 49; VIII: 69-71; IX: 10; მუსხელიშვილი, 1966: 109.
49. Манандян, 1954: 203-206.
50. Манандян, 1954: 214-216, 273.
51. CONST. PORPH. DE adm. 46.
52. ალ-ისტახრი: 19, 21.
53. მასუდი: 190.
54. ალ-ისტახრი: 7, 9, 19, 25; მასუდი: 202; იბნ-ხაუკალი: 87, 88, 92, 98; ალ-მუკადასი: 10, 14. ჰოდუდ ალ-ალემი: 14, 15.
55. აბრამიშვილი, 1966: PASSIM, 1989; PASSIM; МКА, I: PASSIM; VI: 38; VIII: 24-26; IX: 31-32; Мушегян, 1962: 24, 81, 82. 145-148; მუსხელიშვილი 1980: რუკა III.
56. ინახეზა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (იხ. ჯაღალანიას ცნობა).
57. „ქართლის ცხოვრება“, I: 340.
58. იაკუთი, 1964: 32, 57, 76.

59. „სამყაროს საკვირველებანი“: 29.
60. ზაქარია აღ-კახვინი: 40. შდრ. ბერაძე, 1976: 72-74.
61. ჯავახიშვილი, 1907: 33.
62. „ქართლის ცხოვრება“, I: 353.
63. ვახუშტი, 1941: 40.
64. ჯავახიშვილი, 1907: 30-31.
65. Март, 1934: 128.
66. მიწიშვილი, 1969; მამიაშვილი, 1976; MITSISHVILI, 1991.
67. Банк, 1938: Кверфельд, 1938.
68. Март, 1934:35; Манандян, 1954: 276.
69. ლომოური, 1938; Джалагания, 1978.
70. Манандян, 1954: 300-302.

O. LORTKIPANIDZE, D. MUSKHELISHVILI

THE OLDEST TRADE-TRANSIT ROUTS OF GEORGIA

The Caucasus and namely the territory of Georgia with its geopolitical location is in reality a bridge connecting East and West or to be more exact Europe and Asia, via which the cultural, as well as economical relations were established. The archeological material proving that contacts date back to the III millenium B.C. Naturally, that kind of relations were of a sporadic character, though for the Hellenistic period and especially at the verge of the old and new eras we can already speak about the existence of the trade-transit magistral, one of the branches of which passed though the territories of the Caucasus and Georgia.

From the early medieval centuries the relations became more intense and due to the changes of the global political conditions (the war between Byzantine and Persian, invasions of the Arabs, Khazarians, Turk-Seljuks) they were often blocked, but in the main the Caucasus never lost the significance of the transit territory, till the

period, when the expansion of the nomads (The Mongols, Tamerlane) shifted the magistral to the South.

The present political conditions give us hope, that the Caucasus and Georgia will return the significance of the corridor between Europe and Asia.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აბრამიშვილი, 1966 – აბრამიშვილი თ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, 1966.
2. აბრამიშვილი, 1974 – აბრამიშვილი თ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი, თბილისი, 1974.
3. აბრამიშვილი, 1989 – აბრამიშვილი თ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები (1966-1984 წწ.), თბილისი, 1989.
4. აღ-ისთახრი, 1901 – Караулов Н. А. Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане, I, Ал-Истахрий, СМОМПК, вып. 29, 1901.
5. ზაქარია აღ-კაზვინი, 1975 – ზაქარია აღ-კაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. არაბულ ტექსტს შესავალი წაუძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო თ. ცქიტიშვილმა, თბ., 1975.
6. აღ-მუკადასი, 1908 – Караулов Н. А. Сведения арабских географов IX и X веков по Р. Хр. О Кавказе, Армении и Азербейджане. СМОМПК, вып. 38, 1908.
7. ავაქიძე, 1963 – ავაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბილისი, 1963.
8. ბერაძე, 1976 – ბერაძე გ. მასალები XII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის იბნ-ისფენდიერის თხზულებაში: საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, I, თბილისი, 1976.
9. ბერაძე, 1977 – ბერაძე თ. ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან. ვანი III, თბილისი, 1977.

10. ბერაძე, 1981 – ბერაძე თ. ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბილისი, 1981.
11. ბერძენიშვილი ქ. 1963 – ბერძენიშვილი ქ. სამთავროში აღმოჩენილი უცხო იერის თიხის ჭურჭელი. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, XXX, თბილისი, 1963.
12. ბერძენიშვილი ნ. 1964 – ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1964.
13. ბერძენიშვილი, 1969 – ბერძენიშვილი მ. ქალაქ ფასისის ისტორიისათვის, თბილისი, 1969.
14. ბოჭორიშვილი, 1946 – ბოჭორიშვილი ლ. ოქრომჭედლობა სვანეთში, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, VII, თბილისი, 1946.
15. გამყრელიძე გ. 1982 – გამყრელიძე გ. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბილისი, 1982.
16. ვახუშტი ბაგრატიონი, 1941 – ვახუშტი ბაგრატიონი (ბატონიშვილი), აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.
17. ვახუშტი ბაგრატიონი, 1973 – ვახუშტი ბაგრატიონი (ბატონიშვილი), აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, IV, თბილისი, 1973.
18. იბნ-ხაუკალი, 1908 – Караулов Н. А. Сведения арабских географов IX и X веков по Р. Хр. О Кавказе, Армении и Азербайджане. СМОМПК, вып. 38, 1908.
19. ინაძე, 1982 – ინაძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბილისი, 1982.
20. კალანკატუაცი, 1913 – კალანკატუაცი მოვსეს. აღვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985.
21. კაპანაძე, 1969 – კაპანაძე დ. გ. ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969.
22. კოჭლავაშვილი, 1962 – კოჭლავაშვილი ა. საქართველოს სამთამადნო-მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში, თბილისი, 1962.

23. ლანჩავა, 1995 – ლანჩავა ო. ქუთაისი ეგრისის (ლაზიკის) ციხე-ქალაქთა სისტემაში. ქუთაისი, 1995.
24. ლომოური, 1958 – ლომოური ნ. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, IV/1. თბილისი, 1958.
25. ლომოური, 1938 – ლომური თ. ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938.
26. ლორთქიფანიძე მ., 1963 – ლორთქიფანიძე მ. გვიანფოლადური ხანის მცირეაზიული საბეჭდავების იბერიული პირები – ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე“, №6, თბილისი, 1963.
27. ლორთქიფანიძე ო. 1957 – ლორთქიფანიძე ო. ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, XIX, №3, თბილისი, 1957.
28. ლორთქიფანიძე ო. 1966 – ლორთქიფანიძე ო. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბილისი, 1966.
29. მამაიაშვილი, 1976 – მამაიაშვილი ნ. ფაიანსი შუასაუკუნეთა საქართველოში, თბ., 1976.
30. მასუდი, 1963 – Минорский В. Ф. История Ширвана и Дербенда, приложение III: Массуди о Кавказе, М., 1963.
31. მიქელაძე, 1974 – მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II-I ათასწლეულები). თბილისი, 1974.
32. მიქელაძე, 1985 – მიქელაძე თ. კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბილისი, 1985.
33. მიწიშვილი, 1969 – მიწიშვილი მ. მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, IX-XIII სს., თბ., 1969.
34. „მოქცევაი“, 1964 – „მოქცევაი ქართლისაი“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964.

35. მუსხელიშვილი, 1960 – მუსხელიშვილი დ. აღჯაყალა – გაგის ციხე, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, I, 1960.
36. მუსხელიშვილი, 1966 – მუსხელიშვილი დ. ციხე-ქალაქი უჯარმა, თბილისი, 1966.
37. მუსხელიშვილი, 1977 – მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი, 1977.
38. მუსხელიშვილი, 1980 – მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, 1980.
39. მცხეთა I-X – მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ა. ავაქიძის რედაქციით, თბილისი, 1955-1996 წწ.
40. ნადირაძე, 1975 – ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1975.
41. ნადირაძე, 1990 – ნადირაძე ჯ. საქართველოს უძველესი ქალაქი, წიგნი I, თბილისი, 1990.
42. რეხვიაშვილი, 1964 – რეხვიაშვილი ნ. ქართული ხალხური მეტალურგია, თბილისი, 1964.
43. „სამყაროს საკვირველებანი“, 1978 – „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რევაზ კიკნაძემ, თბ., 1978.
44. ურუშაძე, 1964 – ურუშაძე ა. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი, 1964.
45. „ქართლის ცხოვრება“, 1955 – „ქართლის ცხოვრება“, I – ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
46. ქორიძე, 1958 – ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1958.
47. ყაუხჩიშვილი, 1936 – ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტფ., 1936.

48. ყაუხნიშვილი, 1965 – ყაუხნიშვილი ს. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ, II. თბილისი, 1965.
49. ყაუხნიშვილი თ. 1957 – ყაუხნიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957.
50. ყაუხნიშვილი თ. 1959 – ყაუხნიშვილი თ. აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, I, თბილისი, 1959.
51. ყაუხნიშვილი თ. 1960 – ყაუხნიშვილი თ. პეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1960.
52. ყაუხნიშვილი თ. 1965 – ყაუხნიშვილი თ. ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1965.
53. ყაუხნიშვილი თ. 1967 – ყაუხნიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I (სკილაქს კარიანდელი, სკიმნოს ქიოსელი, დიონისიოს პერიეგეტი) თბილისი, 1967.
54. ყაუხნიშვილი თ. 1967 – ყაუხნიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II (არისტოტელე, ნიკოლოზ დამასკელი, კლავდიუს ელიანუსი) თბილისი, 1967.
55. ყაუხნიშვილი თ. 1976 – ყაუხნიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III (პოლიბიოსი, დიოდორე სიცილიელი, დიონისიოს ჰალიკარნასელი) თბილისი, 1976.
56. ცქიტიშვილი, 1964 – ცქიტიშვილი გ ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, II, თბილისი, 1964.
57. ჭილაშვილი, 1958 – ჭილაშვილი ღ. ქალაქი რუსთავი, თბილისი, 1958.
58. ჭილაშვილი, 1968 – ჭილაშვილი ღ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბილისი, 1968.
59. ჭილაშვილი, 1980 – ჭილაშვილი ღ. კახეთის ქალაქები, თბილისი, 1980.
60. ხახუტაიშვილი, 1964 – ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე, I, თბილისი, 1964.
61. ჯავახიშვილი, 1907 – ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, I, ტფ., 1907.

62. ჯალღანია, 1975 – ჯალღანია ი. სასანური და ბიზანტიური მონეტების განძი ს. მაგრანეთიდან (ერწო), „მაცნე“, ისტორიის სერია, №4, 1975.
63. ჯანაშია ლ. 1962 – ჯანაშია ლ. ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1962.
64. ჯანაშია ს. – 1947 – ჯანაშია ს. შრომები, I, თბილისი, 1947.
65. ჯანაშია ს. 1952 – ჯანაშია ს. შრომები, II, თბილისი, 1952.
66. ჯანაშია ს. 1959 – ჯანაშია ს. შრომები, III, თბილისი, 1959.
67. ჯაფარიძე, 1961 – ჯაფარიძე ო. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბილისი, 1961.
68. ჯაფარიძე, 1976 – ჯაფარიძე ო. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბილისი, 1976.
69. ჰოდუდ ალ-ალეჰი, 1937 – ჰოდუდ ალ-ალეჰი – ისთახერი, ჰოდუდ ალ-ალეჰი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლებითურთ ვ. ფუთურიძისა, თბ., 1937.
70. Адонц, 1971 – Адонц Н. Армения в эпоху Юстиниана, изд. второе, Ер., 1971.
71. Алиев, 1974 – Алиев К. Кавказская Албания. Баку, 1974.
72. Банк, 1938 – Банк А. Керамика из Дманиси и Херсонеса: Памятники эпохи Руставели, Л.; 1938.
73. Бохочадзе, 1977 – Бохочадзе А. Настакиси, Саркине, Дзалиси – города Иберии античной эпохи. «Краткие сообщения Института археологии АН СССР», 1977.
74. Брашинский, 1967 – Брашинский И. В. К истории экономических связей Восточного Причерноморья в античную эпоху. «Вестник АН Грузии», XLVII, №37, Тбилиси, 1967.
75. Гагошидзе, 1979, 1981 – Гагошидзе Ю.М. Самадло I. Тбилиси, 1979. II. Тбилиси, 1981.
76. Гамкрелидзе, 1992 – Гамкрелидзе Г. К археологии долины Фасиса. Тбилиси, 1992.

77. Гзелишвили, 1967 – Гзелишвили И. А. Железоплавильное дело в древней Грузии. Тбилиси, 1967.
78. Гозалишвили, 1956 – Гозалишвили Г. К. О древнем торговом пути в Закавказье. «Труды Института истории АН Грузии», и. Тбилиси, 1956.
79. Голенко, 1964 – Голенко К. В. Денежное обращение Колхиды в римское время. Ленинград, 1964.
80. Дадашева, 1977 – Дадашева С. А. К проблеме изучения торговых связей Кавказской Албании. «Нумизматический сборник, посвященный Д.Г. Капанадзе». Тбилиси, 1977.
81. Джалагания, 1978 – Джалагания И. Л. Иноземная монета в денежном обращении Грузии V-VIII вв., Тб., 1978.
82. Джалагания, 1980 – Джалагания И. Л. Монетные клады Грузии. Клад сасанидских и византийских монет из Цители Цкаро I, 1980.
83. Джалагания, 1982 – Джалагания И. Л. Монетные клады Грузии. Клад сасанидских и византийских монет из Цители Цкаро II, 1982.
84. Демографическая ситуация, 1981 – Демографическая ситуация в Причерноморье в период великой греческой колонизации. Материалы Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Цхалтубо, 1979. Под. ред. О. Лордкипанидзе. Тбилиси, 1981.
85. Дундуа, 1987 – Дундуа Г. Нумизматика античной Грузии. Тбилиси, 1987.
86. Еремян, 1939 – Еремян К. Т. Торговые пути Закавказья в эпоху сасанидов по Tabula Peutingeriana «Вестник древней истории», 1. Москва, 1939.
87. Жебелев, 1953 – Жебелев С. А. Северное Причерноморье: Исследования и статьи по истории Северного Причерноморья античной эпохи. Москва-Ленинград, 1953.
88. Зограф, 1945 – Зограф А. Н. Распространение находок античных монет на Кавказе. «Труды Государственного Эрмитажа», I. Ленинград, 1945.
89. Иерусалимская, 1967 – Иерусалимская А. А. О Северо-Кавказском «шелковом пути» в раннем средневековье, СА., 1967, N2.

90. Капанадзе, 1955 – Капанадзе Д.Г. Грузинская нумизматика, М., 1955.
91. Капанадзе, 1959 – Капанадзе Д. Г. К вопросу об экономических связях Северного и Восточного Причерноморья в античную эпоху по нумизматическим данным. «Проблемы истории Северного Причерноморья». Москва, 1959.
92. Кверфельд, 1938 – Кверфельд Э. Китайская керамика XI-XIII вв. на Кавказе: памятники эпохи Руставели, Л., 1938.
93. Кигурадзе, 1976 – Кигурадзе Н. Дапнарский могильник. Тбилиси, 1-976.
94. Куфтин, 1951 – Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды, п. Тбилиси, 1951.
95. Лордкипанидзе, 1979 – Лордкипанидзе О. Древняя Колхида. Миф и археология. Тбилиси, 1979.
96. Лордкипанидзе, 1989 – Лордкипанидзе О. Наследие древней Грузии. Тбилиси, 1989.
97. Манадян, 1954 – Манадян Я. А. О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен. Ереван, 1954.
98. Марр 1934 – Марр Н.Я. Ани, Л.-М., 1934.
99. МКА – Пахомов Е. А. Монетные клады Азербайджана и Закавказья, тт. I-IX, Баку, 1926-1968 гг.
100. Меликишвили, 1959 – Меликишвили Г.А. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959.
101. Минеральные, 1933 – Минеральные ресурсы Грузии. Тбилиси, 1933.
102. Мушегян, 1962 – Мушегян Х. А. Денежное обращение Двина по нумизматическим данным. Ер. 1962.
103. Немсадзе, 1979 – Немсадзе Г. Погребение иберийской знати из Згудери, «Краткие сообщения Института археологии АН СССР», 151, 1971.
104. Пахомов, 1910 – Пахомов Е. А. Монеты Грузии, часть I, С-Пб., 1910.
105. Пахомов, 1959 – Пахомов Е.А. Монеты Азербайджана, вып. I, Баку, 1959.
106. Пигулевская, 1951 – Пигулевская Н., Византия на путях в Индию, М.-Л., 1951.

107. Причерноморье, 1990 – Причерноморье в VI-Vвв. до н.э. V Симпозиум по древней истории Причерноморья. Ред. О. Лордкипанидзе. Тбилиси, 1990.
108. Проблемы, 1979 – Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья. Материалы I Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Цхалтубо, 1977. Ред. О. Лордкипанидзе. Тбилиси, 1979.
109. Рамишвили, 1975 – Рамишвили А.Т. О назначении стоянок с «текстильной керамикой» Восточного Причерноморья. «Советская археология», №4. Москва, 1949.
110. Ртвеладзе, Рунич, 1971 – Ртвеладзе Э. В., Рунич А. П. Находка индикаций византийских монет вблизи Кисловодска, ВВ., 1971, N32.
111. Рыбаков, 1979 – Рыбаков Б. А. Геродотова Скифия. М., 1979.
112. Сокольский, 1971 – Сокольский Н.И. Деревообрабатывающее ремесло в античных государствах Северного Причерноморья. Москва, 1971.
113. Твалчрелидзе, 1958 – Твалчрелидзе Г. Природные ресурсы Грузии. Москва, 1958.
114. Хахутаишвили, 1987 – Хахутаишвили Д.А. Производство железа в древней Колхиде. Тбилиси, 1987.
115. Чайльд, 1952 – Чайльд Г. У истоков Европейской цивилизации. М.-Л. 1952.
116. Ямпольский, 1956 – Ямпольский З. И. К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Кура через Грузию к Черному морю. «Труды Института истории АН Грузии», II. Тбилиси, 1956.
117. Яценко-Хмелевский, 1954 – Яценко-Хмелевский А. А. Древности Кавказа. Ереван, 1954.
118. Agathemer, 1967 – Agathemer – Keidell R. (Ed.). *Agathiae Myrinaei, Historiurum (=Corpus Fontium Historiae Byzantinae II)*, Berlin, 1967.
119. Armayor, 1978 – Armayor O. K. Did Herodotus ever go to the Black Sea, *Harward Studies in Classical Philology*, 1978, 81: 45-62.

120. Аг., PPE, 1890 – Аг., PPE – Арриан, *Объезд Евксинского понта*: Латышев В.В., *Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе*, С-Пб., 1890.
121. Arrianus, PPE, 1958 – Marengi G. *Arriano Periplo del Ponto Euxino*. A cura di Gerardo Marengi (=Collana di Studi Greci diretta da Hittorio de Falw XXIX), Napoli, 1958.
122. Avalichvili, 1928 – Avalichvili Z. *Geographie et legende*. *Revue de l'Orient Chretien*, 26, 1928.
123. Baschmakoff, 1948 – Baschmakoff A.I. *La synthese des Periplus Pontiques. Methode de precision en paleo-ethnologie (Etudes d'ethnographie, de sociologie et d'ethnologie, III)*, Paris, 1948.
124. Const. Porph. *De administ. Imp.*, 1963 – «Jenkins R.J.H. (Ed.). *Constantine Porphyrogenetius, De administrando imperio*, I, London, 1963.
125. Diller, 1952 – Diller A. *The Tradition of the Minor Greek Geographers*. Oxford (=Philological Monographs Published by the American Philological Association XIV), Oxford, 1952.
126. Diller, 1975 – Diller A. *Agathemerus, Sketch of Geography*, GRBS 16, N1: 59-76.
127. Dubois de Montpereux, 1839 – Dubois de Montpereux F. *Voyage d' autour du Caucase*, II, Paris, 1839.
128. Ehrhardt, 1984 – Ehrhardt N. *Für Gründung und zum Charakter der ostpontischen griechischen Siedlung*, ZPE, 1984.
129. Fehling, 1989 – Fehling D. *Herodotus and his «Sources»*. *Citation, Invention and Narrative Art* Leeds, 1989.
130. Herodotus, 1960-1963 – Herodotus Goldey A.D. *Herodotus, With an English Translation*, London, (LCL), 1960-1963.
131. Jacoby, 1926 – Jacoby F. *Die Fragmented der Griechischen Historiker*, Bd ... IIA., IIC., Berlin, 1926.
132. Lasserre, 1975 – Lasserre Fr. (Ed.) *Strabon. Géographie*, VIII (Livre XI), Paris (CUF), 1975.
133. Markwart, 1927 – Markwart I., *Skizzen zur historischen Topographie und Geschichte von Kaukasien. Das Itinerar von Artaxata nach Armastica auf der römischen Weltkarte*, «Hu «NN11-12, 1927.

134. Menandr – Müllerus C. *Fragmenta Historicorum graecorum*, IV, 200-269, Parisiis, 1885.
135. Miller, 1962 – Miller K., *Die pcutingerische Tafel*. Stuttgart, 1962.
136. Mitsishvili, 1991 – Mitsishvili M., *Byzantine glazed pottery decorated with relief ornaments*.
137. Munzer, 1897 – Munzer F. *Beiträge zur Quellenkritik der Naturgeschichte des Plinius*, Berlin, 1897.
138. Neumann, 1884 – Neumann K. *Strabons Landeskunde von Kaukasien. Eine Quellenforschung*. In *Jahrbuch für Classische Philologie*, Supplementband 13, Leipzig, 1884: 319-354.
139. Odischeli, 1995 – Odischeli M. *Spätantike und frühchristliche Mosaiken in Georgien*, Wien, 1995.
140. Pinder et Parthey, 1860 – Pinder et Parthey – Ravenatis Anonymi *Cosmographia et Guidonis Geographica*, Ed. M. Pinder et G. Parthey, Berolini, 1860.
141. Plin., 1964 – Plin. – Andre J. *Pline l'ancienne, Histoire Naturelle*, Livre XIX, Paris (CUF), 1964.
142. Procopius BP. II, 1961 – Dewing H.B. *Procopius*, Vol. I-VII, London (LCD, 1961-1962).
143. Ps. Scymnjs, 1952 – Diller Aub., (Ed.), *The Tradition of the Minoan Greek Geographers*, Oxford (Philological Monographs Published by the American Philological Association XIV), Oxford, 1952.
144. Reineggs, 1797 – Reineggs I. *Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus*, II. Hildesheim – St.Petersburg, 1797.
145. Sallmann, 1971 – Sallmann K. *Die Geographie d. alt. Plin.* Berlin.
146. Severin, 1985 – Severin T. *The Jason Voyage*, London 1985.
147. Strabo. *The geography of Strabo*, with an English translation by Horace Leonard Jones, LCL, 8 vols., London: W. Heinemann; Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1960-1970.
148. Tarn, 1955 – Tarn W.W. *The Greeks in Bactria and India*, Oxford, 1955.
149. Tarn, Griffith, 1966 – Tarn N.W., Griffith, *Hellenistic Civilization*, London, 1966.

ფოთის საზღვაო პორტი 1917-1921 წლებში

ნიკოლოზ რომანოვის ტახტიდან გადადგომა ფოთში დაუყოვნებლივ – 1917 წლის 28 თებერვალს გაიგეს. ამან ქალაქის მოსახლეობაში დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია. მეორე დღესვე ქალაქში მოეწყო მიტინგები, პოლიტიკური მსვლელობები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ნავსადგურისა და რკინიგზის მუშები – ისინი ფოთის პროლეტარიატის ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ. მუშები გამოვიდნენ წითელი დროშებით, რევოლუციური სიმღერებით, მოითხოვდნენ პროლეტარიატის ხელისუფლების ორგანოების არჩევნებს.

მთელი ქალაქის მოსახლეობის აღტაცება გამოხატა ქალაქის სათათბირომ, როცა გადაწყვიტა პეტროგრადში გაეგზავნა მისასალმებელი ადრესი. ქალაქის თავის გ. ტყემალაძის ხელმოწერით პეტროგრადში, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მ. ვ. როძიანკოს სახელზე გაიგზავნა დეპეშა: „ქედს ვიხრი რა სამშობლოს მგზნებარედ მოყვარე სახალხო წარმომადგენლების მამაცობისა და შეუპოვრობის წინაშე, ქალაქის სათათბიროსა და მოსახლეობის მრავალრიცხოვანი შეკრების ერთსულოვანი დავალებით, თქვენი სახელმწიფო სათათბიროსა და მისი აღმასკომის სახით მივესალმები სანუკუარი ოცნების განხორციელებას – ისეთი მთავრობის შექმნას, რომელიც აღჭურვილია სახალხო წარმომადგენლების ნდობით“.

მისასალმებელი დეპეშები ქალაქის სათათბირომ გაუგზავნა დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს თავად გ. მ. ლვოვს, ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, სოციალ-დემოკრატიების აღიარებულ ლიდერს კ. ჩხეიძეს, დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

დრომოჭმული პოლიტიკური რეჟიმის დამხობამ მოსახლეობის ყველა ფენაში წარმოშვა იმედი, რომ ომი მალე შეწყდებოდა, განხორციელდებოდა დემოკრატიული თავისუფლებები, ადამიანები შეძლებდნენ ღირსეულ და თავისუფალ ცხოვრებას.

თვითმპყრობელობის დამხობამ რუსეთის ყოფილ იმპერიაში შექმნა გარკვეული პოლიტიკური ვაკუუმი, რომლის შევსებას, სხვადასხვა ინტენსიობით, ცდილობდნენ პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მსგავსი ვითარება იყო ფოთშიც. ქალაქში თითქმის ყოველდღიურად იმართებოდა პოლიტიკური თავყრილობები, მიტინგები, დემონსტრაციები. თავისუფალ სიტყვას დანატრებული ადამიანები საჯაროდ აყალიბებდნენ საინტერესო პოლიტიკურ გეგმებს, აკეთებდნენ მომავლის პროგნოზებს. აქაც, ისევე როგორც იმპერიის სხვა ქალაქებში, პოლიტიკური ემოციები დიდად ჭარბობდა რაციონალურ აზროვნებას. ღამაზი სოციალური მოლოდინი დაეუფლა მთელ საზოგადოებას.

ფოთში ეს ტენდენცია განსაკუთრებით რელიეფურად გამოიკვეთა იმ პირობებში, როცა კვლავ გრძელდებოდა ჯერ კიდევ ომის წლებში დაწყებული მწვავე ეკონომიკური კრიზისი, რამაც თითქმის მთლიანად მოშალა ქალაქის ეკონომიკა, პარალიზებული იყო ნავსადგურის საქმიანობაც. განსაკუთრებით მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იყვნენ ფოთელი დოკერები. ეს მათ რევოლუციურად განაწყობდა და ისინი იმედოვნებდნენ, რომ რევოლუცია რადიკალურად გადაწყვეტდა მათ სოციალურ პრობლემებს.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, პირველ ხანებში, ფოთის მშრომელებზე პოლიტიკური ჰეგემონიის მისაღწევად ძირითადად ორი პოლიტიკური ძალა იბრძოდა: ბოლშევიკური და მენშევიკური. ამ უკანასკნელთ დიდი გავლენა ჰქონდათ ქალაქის ინტელიგენციაში, რკინიგზის ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალში. ბოლშევიკებს თანაუგრძობდნენ ნავსადგურის დოკერები, რკინიგზის მუშები, ქალაქის რადიკალურად განწყობილი ინტელიგენცია.

ამ ორი პოლიტიკური ძალის დაპირისპირება გამოვლინდა ადგილობრივი არჩევნების დროს. უკვე მარტში დაიწყო მუშათა დეპუტატების საბჭოების ფორმირება. პარალელურად მიმდინარეობდა არჩევნები ქალაქის სათათბიროში. ამის გამო ორივე პარტიის წარმომადგენლები ატარებდნენ ხალხმრავალ მიტინგებს, პროპაგანდას უწევდნენ საკუთარ შეხედულებებს, საკუთარი პარტიის რევოლუციურ ამოცანებს. მიუხედავად ამ ორი პარტიის რადიკალურ

რად განსხვავებული შეხედულებებისა, იმჟამად არცერთი მათგანი არ აყენებდა რუსეთისაგან საქართველოს დაუყოვნებლივ ჩამოშორების ამოცანას და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. მაგრამ მენშევიკებისათვის თებერვლის რევოლუცია იყო დასრულებული ისტორიული ფაქტი, მაშინ როცა რუსეთში ლენინის დაბრუნების შემდეგ ბოლშევიკებმა აქტიურად დაიწყეს საუბარი რევოლუციური პროცესების განვითარებაზე, სოციალისტური რევოლუციის განხორციელებაზე. ფოთში იმხანად სხვა პოლიტიკური პარტიები და დაჯგუფებებიც მოღვაწეობდნენ, მაგრამ მათი ზეგავლენა ქალაქის მოსახლეობაზე უმნიშვნელო იყო.

ფოთელი მშრომლის რადიკალურ შეხედულებებს აპირობებდა გაუსაძლისი ეკონომიკური ყოფა, შექმნილი და მუდამ მზარდი სიძვირე, ხელფასების დაგვიანება და ხშირი გაუცემლობა. ეს იწვევდა სოციალურ პროტესტს, გაფიცვებს, დემონსტრაციებს. უკვე მარტის თვეში გაიფიცნენ ფოთის კონკის მუშა-მოსამსახურეები. მათ სოლიდარობა გამოუცხადეს ნავსადგურის დოკერებმაც.

ნავსადგურის მუშებმა განსაკუთრებით სერიოზული აქცია მოაწყვეს საპირველმაისოდ – 29 აპრილს ისინი შეიკრიბნენ ნაბადაში და გამართეს პოლიტიკური მიტინგი. შემდეგ მათ რევოლუციური სიმღერებით და მწყობრი ნაბიჯებით ჩაიარეს ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე².

ფოთში პოლიტიკურ მდგომარეობაზე არსებით ზეგავლენას ახდენდა პოლიტიკური ვითარება რუსეთის დედაქალაქში – პეტროგრადში. იმპერიალისტური ომი კვლავ გრძელდებოდა. რუსეთის წარუმატებელი სამხედრო ოპერაციები კიდევ უფრო აძლიერებდნენ მასების რევოლუციურ განწყობილებებს. მემარცხენე სოციალ-დემოკრატები (ბოლშევიკები) ცდილობდნენ საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ მთავრობის ყველა შეცდომა და მშრომელთა ეკონომიკური გაჭირვებით გამოწვეული ნებისმიერი პროტესტი.

ცნობილი 1917 წლის აპრილის რევოლუციური აზვირთების შემდეგ პეტროგრადში შეიქმნა კოალიციური მთავრობა. მასში შევიდნენ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებიც (მენშევიკები). ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ი. წერეთელი ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი გახდა. პეტროგრა-

დის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იმჟამად იყო კ. ჩხეიძე.

რუსეთის დედაქალაქში მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიების წარმატებამ ფოთშიც ადგილობრივი მენშევიკების პოზიციების განმტკიცება გამოწვია. ფოთში გაიმართა ახალი – სოციალისტური მთავრობის მხარდამჭერი მიტინგი. ერთ-ერთ ასეთ მიტინგზე პოლიტიკურ ექსტაზში შესული აქტივისტები აცხადებდნენ: – „მილიუკოვი – ეს ტვინია რევოლუციის, კერენსკი – ეს სულია რევოლუციის, როძიანკო – ნერვია რევოლუციის“³.

აქტიურობდნენ ფოთელი ბოლშევიკებიც. ისინი ცდილობდნენ მშრომელთა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობის გამოყენებას. ფოთში შიმშილობას ელოდნენ – იყო დღეები, როცა ქალაქში პური არ ცხვებოდა. საოცრად გაძვირდა სიმინდის ფქვილი, ბინის ქირა. ქალაქში იფეთქა შავი ჭირის ეპიდემიამ, რაც გამოიწვია მღრღნელების არნახულმა გამრავლებამ. ქალაქის მუნიციპალიტეტმა შექმნა სპეციალური სასურსათო კომისია, რომელსაც ეს სოციალური პრობლემა უნდა მოეგვარებინა, მაგრამ რეალური შედეგები არ ჩანდა.

ქალაქში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა ვითარებამ აიძულა რიგი საწარმოო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები დაეწყოთ სოციალური ბრძოლის ახალი ტალღა. მაგალითად, გაიფიცნენ ფოთის „რუსეთის სანაოსნო საზოგადოების“ კანცელარიის მოსამსახურეები⁴.

ეკონომიკურმა კრიზისმა, მოსახლეობის უკმაყოფილებამ 1917 წლის სექტემბერში გააძლიერა ქალაქში ბოლშევიკების ზეგავლენა. ეს უშუალოდ დაკავშირებული იყო პეტროგრადში ბოლშევიკური პარტიის ლიდერების აქტივიზაციასთან. ფოთელმა ბოლშევიკებმა მიიმხრეს მოსახლეობის ერთი ნაწილი და ქალაქში მოაწყვეს გამოსვლები, მანიფესტაციები. ნავსადგურის ახლოს – ფოთის გარნიზონის დისლოკაციის ადგილზე – ჩატარდა მიტინგი, რომელზეც მიიღეს ბოლშევიკური რეზოლუციები რევოლუციის გადრმავების შესახებ.

ასეთ რთულ ვითარებაში საქართველოში აღწევს ცნობა ოქტომბრის გადატრიალების შესახებ, მაგრამ, რო-

გორც ჩანს, საქართველოში რამდენიმე დღის განმავლობაში მოკლებულნი იყვნენ დედაქალაქიდან სწორ ინფორმაციას. როცა ბოლშევიკებმა ხელში აიღეს ძალაუფლება, იმ დღეებში გაზეთი „ერთობა“ წერდა: „უკანასკნელი ცნობების თანახმად ბოლშევიკებმა სახელმწიფო დაწესებულებები დასცალეს და მთავრობას გადასცეს. ამბოხების ლიკვიდაცია სწრაფად წარმოებს“⁵.

მხოლოდ 2 (15) ნოემბერს დაიწყო საქართველოს გაზეთებმა სწორი ინფორმაციის გავრცელება და საქართველოშიც გაიგეს, რომ პეტროგრადში ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება.

ოქტომბრის გადატრიალებამ საქართველოს პოლიტიკური ძალების უფრო მეტი პოლარიზაცია და დაპირისპირება გამოიწვია. თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია გაემიჯნა ამ ძალადობის აქტს. მიუხედავად ამისა, ფოთის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ მოახერხა ნავსადგურისა და რკინიგზის მუშების პოლიტიკური აქციის მოწყობა ოქტომბრის გადატრიალების მხარდასაჭერად⁶.

მაგრამ ქალაქში აშკარა იყო მენშევიკური პარტიის ზეგავლენაც – რაც ნათელყო რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებმა, რომლის დროს მენშევიკებმა 4264 ხმა მიიღეს. თუმცა დამკვირვებლები აღიარებდნენ ფოთის მოსახლეობის შესამჩნევ პასიურობას წინა არჩევნებთან შედარებით⁷.

პოლიტიკური მოვლენები საქართველოში ელვის სისწრაფით განვითარდა: პეტროგრადში ხელისუფლების უზურპაციის, განსაკუთრებით კი ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვის, რუსეთში სამოქალაქო ომის ესკალაციის შემდეგ პოლიტიკურ მოღვაწეთა უმრავლესობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო ამიერკავკასიის რეგიონის ჩამოცილება იმპერიის ერთიანი ორგანიზმისაგან და დამოუკიდებელი სახელმწიფო გაერთიანების შექმნა. ერთიან ამიერკავკასიის სახელმწიფოს, მისი ორგანიზატორების თვალსაზრისით, ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო ამიერკავკასიის ყველა ერისათვის. მაგრამ უკვე ძლიერი იყო დეზინტეგრაციის ტენდენცია, რაც თავიდანვე საფრთხეს უქმნიდა ამ საჭირო, მაგრამ არამყარ სახელმწიფო წარმონაქმნს.

რუსეთისაგან გამოყოფის ტენდენცია რუსეთსა და კაიზერულ გერმანიას შორის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებამაც გააძლიერა. ამ ხელშეკრულების ძალით გერმანიის მოკავშირის – თურქეთის ხელში გადადიოდა 1878 წელს ბერლინის ტრაქტატის ძალით თურქეთის მიერ რუსეთის იმპერიისათვის გადაცემული მიწები: აჭარა, ყარსი, არდაგანი, ბათუმი.

აჭარის ხელმეორედ დაკარგვა ყოველად მიუღებელი იყო ნებისმიერი ქართველი პატრიოტისათვის. თუმცა იმჟამად ნაკლებად ითვალისწინებდნენ პოლიტიკურ რეალობას და საკუთარი სამხედრო ძალებით ამ ტერიტორიაზე საკუთარი სუვერენიტეტის აღდგენის შეუძლებლობას. ამიერკავკასიის მესვეურებმა უარი განაცხადეს ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების შესრულებაზე. ამ უარით ისარგებლა თურქეთმა და მთელი ამიერკავკასიის ოკუპაცია გადაწყვიტა.

ამიერკავკასიის ხელისუფლება ცაიტნოტში აღმოჩნდა: საკუთარი ძალებით თურქეთის აგრესიას ვერ შეაჩერებდნენ, რუსეთი მათ ამ საქმეში ვერ დაეხმარებოდა და რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი – გერმანიასთან შეკავშირება. ვარაუდობდნენ, რომ ამით თურქეთის შეჩერებას თუ ვერ შეძლებდნენ, მისი „მადა“ მინიმუმამდე მაინც შემცირდებოდა. გერმანია კი ოფიციალურად საქმეებში არ ერეოდა – საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო. მხოლოდ დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოს შეეძლო გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება, მისი პოლიტიკური და სამხედრო დახმარების მიღება.

გამოუვალი ვითარების გამო საქართველოს მესვეურებმა განახორციელეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი – 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

28 მაისს ფოთში დაიწყო მოლაპარაკება გერმანიის იმპერიასა და საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის. დაიდო „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ“. ეს ხელშეკრულება მეტად დამამცირებელი იყო საქართველოსათვის. ის საქარ-

თველოს რკინიგზებსა და ნავსადგურებზე გერმანიის კონტროლის დამყარებას ითვალისწინებდა. ხელშეკრულების მიხედვით საქართველოს მხარეს გერმანიისათვის უნდა გადაეცა მის პორტებში დისლოცირებული ყველა გემი: სამგზავრო ხომალდი, ბუქსირები, ბარჟები, მოტორიანი ნაგები, ბოვირები⁸.

გერმანიის საქმეში ჩარევამ ნავარაუდები შედეგი არ გამოიღო – დამოუკიდებელი საქართველო იშუებუდი გახდა თურქეთისათვის აჭარასთან ერთად ახალციხე და ახალქალაქიც დაეთმო. ამ მდგომარეობამ საქართველოს მენშევიკური ხელისუფლება მკაცრი კრიტიკის მარწუხში მოაქცია როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან.

1918 წლის 7 ივნისს ფოთის ნავსადგურში გერმანიის დიდი სამხედრო ხომალდი შემოვიდა. 3-4 ათასი ჯარისკაცი ზარბაზნებით, ტყვიამფრქვევებით ქალაქის სხვადასხვა უბანში განლაგდა. ფოთიდან ოპერატიული დავალებების შესასრულებლად ყოველდღიურად გადიოდა რკინიგზის ეშელონებით 200 კაციანი სამხედრო რაზმები.

გერმანიის საექსპედიციო კორპუსმა ფოთში წესრიგი და სიმშვიდე დაამყარა. ფოთი იმუამად საქართველოს სხვა ქალაქებს შორის დისციპლინით და წესრიგით გამოირჩეოდა. მაგრამ ეს მშვიდი ცხოვრება სულ მალე დაარღვიეს აჭარის ფრონტიდან დემობილიზებულმა მეზობლებმა და ლტოლვილებმა.

შეიარაღებული მთვრალი ჯარისკაცები, რომლებსაც ხელფასი არა ჰქონდათ მიღებული, ღია ეტლებით დაქრონენ ქალაქში და შიშის ზარს სცემდნენ მოსახლეობას. ხშირი იყო გაუფრთხილებელი სროლა. ისინი მხოლოდ თბილისიდან ფულის ჩამოტანის შემდეგ დამშვიდნენ და სახლებში გაემგზავრნენ⁹.

უფრო სერიოზულ სიძნელეებს წარმოშობდა ევაკუირებული მოსახლეობის მიღება-დაბინავების პრობლემა. ქალაქს თვითონაც ძალიან უჭირდა და მრავალი ათასი უსახლკარო, უღუკმაპურო ადამიანის შენახვა პრობლემებს წარმოშობდა. ლტოლვილთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფოთის ნავსადგურსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო თავშეფარებული. საქართველოს რესპუბლიკის მთავ-

რობამ გამოჰყო გარკვეული თანხები მათი ერთდროული დახმარებისათვის, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი.

საქართველოს ხელისუფლება კარგად გრძნობდა, რომ ქვეყანა უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში დააღწევდა თავს, თუ რაციონალურად გამოიყენებდა არსებულ ბუნებრივ და მატერიალურ შესაძლებლობებს, ქართველი ხალხის შემოქმედებით პოტენციალს, განავითარებდა წარმოებას, ხელს შეუწყობდა საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვას. მთავრობის ამ გეგმებში ფოთის ნავსადგურის – როგორც საქართველოს საზღვაო ჭიშკრის მნიშვნელობა მეტად დიდი იყო.

პირველი მსოფლიო ომის გამო ნავსადგური ნორმალურად აღარ ფუნქციონირებდა. შემთხვევიდან შემთხვევამდე ხდებოდა კომერციული ოპრეციები, ტვირთბრუნვა კატასტროფამდე დაეცა. სერიოზულ სიძნელეებს ქმნიდა ისიც, რომ უკვე დიდი ხანია რაც ნავსადგურში ვეღარ ატარებდნენ სარემონტო-ჰედროტექნიკურ სამუშაოებს, მიწის ამოღება ნავმისადგომთან აღარ ხდებოდა, რამაც ზღვის სიღრმე ნაპირთან 32 ფუტიდან 22 ფუტამდე შეამცირა. ამის გამო საოკიანო გემები ვეღარ ახერხებდნენ ნავსადგურში შემოსვლას¹⁰.

ამ მძიმე ვითარებაში ნავსადგურის უფროსად დაინიშნა პირველი ქართველი, ინჟინერი ჯავახიშვილი. მის კვალიფიკაციაზე, საქმისადმი შემოქმედებივ დამოკიდებულეებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ როგორც თბილისელი ხელმძღვანელები, ისე ფოთის საქალაქო თვითმართველობის წარმომადგენლები.

ფოთის ნავსადგურის ახალ ხელმძღვანელს ბევრი პრობლემა დახვდა გადასაწყვეტი: იმუამად პორტის ტერიტორიაზე სამი ორგანიზაცია იყო განლაგებული – პორტის სამმართველო, საქართველოს სამხედრო ფლოტილია და საქართველოს სატრანპორტო საზოგადოება. მათ შორის ფუნქციების გამიჯვნა, კოლეგიალური ურთიერთობის დამყარება ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. მით უფრო, რომ ზოგი მათგანი ჩამოყალიბების პროცესში იყო.

სამხედრო ფლოტილია ფორმალურად არსებობდა. სამი გამანადგურებელიდან მხოლოდ ერთი – „პატარა კახი“

იყო ქმედითუნარიანი. ფლოტილიას ბენზინიც კი არა ჰქონდა, რომ ძრავები აემუშავებინა. ფლოტილიას ხელმძღვანელობდა ლეიტენანტი ჩიკვაიძე. ინჟინერ-მექანიკოსის თანამდებობაზე მუშაობდა მიჩმანი მეიშვილი. ჰყავდათ კიდევ ორი ოფიცერი. ეკონომიკური სიდუხჭირის გამო სამხედრო ფლოტილიის თანამშრომლები შეთავსებით საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებაშიც მუშაობდნენ – რაც ყოველად დაუშვებელი იყო: ეს დაბლა სცემდა ფლოტილიის პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულიკვეთებას და სამხედრო მომზადების დონეს, არ ტარდებოდა სამხედრო-საწვრთნელი მეცადინეობები. ამ მდგომარეობას დროულად მიაქციეს ყურადღება ზემდგომმა ორგანოებმა და მოითხოვეს სამხედრო ფლოტილიის პირადი შემადგენლობაში დისციპლინის განმტკიცება¹¹.

ქვეყანაში შექმნილი ქაოსი და უთავბოლობა კიდევ უფრო ართულებდა საერთო მდგომარეობას. ამაზე ერთი ფაქტიც მიუთითებს: ფოთის პორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსებისა და გაძლიერების მიზნით გადაწყდა აჭარის დატოვების შემდეგ ბათუმის პორტის ტექნიკური აღჭურვილობის ფოთში გადმოტანა. საჭირო მოწყობილობებით დატვირთული 33 ვაგონი გამოიგზავნა ფოთში. საჭირო იყო ამ ტვირთის მიღება-დაბინავება. მაგრამ უთავბოლობის გამო ფოთის ნაცვლად ტვირთი თბილისში გააგზავნეს, რის შემდეგ მათი კვალი საერთოდ დაიკარგა¹².

საერთო ვითარებას ძაბავდა პორტის მუშების მძიმე მატერიალური მდგომარეობა. ფინანსური სისტემის მოშლის გამო ხელფასი ხშირად იგვიანებდა. ინფლაციის პირობებში ეს განსაკუთრებით აუტანელი იყო. სანამ მიმოქცევაში ქართულ ბონებს გაუშვებდნენ, მუშებს ურიგებდნენ ჩეკებს, მაგრამ არა ყოველთვის. მუშები იძულებულნი ხდებოდნენ ამ პრობლემის გადასაწყვეტად თბილისშიც ხშირად გაეგზავნათ დელეგაცია. ფოთელ დოკერებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ქვეყნის მძიმე მდგომარეობა, მაგრამ მათ მოთმინებასაც ჰქონდა საზღვარი. დოკერების დასაშოშმინებლად თბილისიდან სპეციალური რეისით გამოგზავნეს ხელფასი – 100000 ქართული ბონი¹³. კონფლიქტი დროებით მოწესრიგდა.

მაგრამ, ნავსადგურის ძირითად პრობლემას მაინც ტვირთბრუნვის მასშტაბების კატასტროფული შემცირება წარმოშობდა. ანტანტის სახელმწიფოების მიერ ბოსფორის სრუტეების ბლოკირებამ, თურქეთის სამხედრო გემების თარეშმა, რუსეთის დამარცხებამ იმპერიალისტურ ომში და იმპერიის დაშლამ, მარგანეცზე მოთხოვნილების დაცემამ ფოთის პორტს ტრადიციული ეკონომიკური ფუნქცია დაუკარგა. უკვე 1915 წელს საქართველოში მარგანეცის მოპოვება შემცირდა თითქმის 61 პროცენტით, ხოლო 1918 წელს 1915 წელთან შედარებით მადნის მოპოვება განახევრდა (ამოიღეს 7583 ათასი ფუთი). შემცირდა ტრადიციული პროდუქციის: ხე-ტყის, სიმინდის დამზადება და გატანა¹⁴.

ასეთ მძიმე ვითარებაში საინტერესო კომერციული წინადადებით გამოვიდა ადგილობრივი კომერსანტი ღ. ზოდელავა. ის ითხოვდა გემის ექვსი თვით იჯარას, რათა რუსეთიდან შემოეტანა სიმინდი და სურსათ-სანოვარე. გემების იჯარით გაცემის სხვა არაერთი წინადადებაც არსებობდა, მაგრამ ზოგიერთმა ხელმძღვანელმა თავი შეიკავა. როგორც ჩანს, მათ იმედი ჰქონდათ, რომ განხორციელდებოდა ცნობილი ქართველი ბიზნესმენის აკ. ხოშტარიას ინიციატივა საზღვაო და სამდინარო მიმოსვლის სააქციო სატრანსპორტო საზოგადოების შექმნის შესახებ.

შეთავაზებული პროექტით ამ სააქციო საზოგადოებას უნდა გადასცემოდა ყველა საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალება, რაც კი საქართველოს მთავრობას ეკუთვნოდა. საზოგადოება თავის მხრივ კისრულობდა რეგულარულ სატრანსპორტო მიმოსვლის აღგენას შავი ზღვის საპორტო ქალაქებს შორის. საზოგადოება მთავრობას მაღალი დივიდენდების გაცემას პირდებოდა¹⁵.

ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ცალკეული კომერციული რეისები მაინც ხორციელდებოდა. პორტში ხანდახან შემოდოდა სურსათი და საჭირო საქონელით დატვირთული ხომალდები. 1918 წლის იანვარში პორტში სატვირთო გემმა რუსეთიდან პურის დიდი პარატი (86 ათასი ფუთი) შემოიტანა¹⁶. იშვიათად შემოდოდნენ გემები უკრაინიდან, სამხრეთ რუსეთის პორტებიდან. შემოტანილი საქონლის გარკვეული ნაწილი გაფუჭებული იყო, მაგრამ

ზოგჯერ ადგილი ჰქონდა მოტყუებასაც (კასრები და ტომრები სანახევროდ ქვიშით იყო სავსე), მაგრამ ამ არარეგულარულ რეისებსაც კი გარკვეული დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ფოთის განაწამები მოსახლეობისათვის.

იმ ხანებში ნოვოროსიისკის პორტის ხელმძღვანელობისაგან მოვიდა საქმიანი წინადადება ორ საპარტო ქალაქს შორის რეგულარული მიმოსვლის ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ რუსთაში სამოქალაქო ომმა ამ წინადადების რეალიზაცია შეუძლებელი გახადა¹⁷.

შექმნილ რთულ ვითარებაში პორტის ხელმძღვანელობამ ვერ გამოიხინა საჭირო ალღო, კომერციული გაქანება. ქალაქის თვითმმართველობაში ხშირად აკრიტიკებდნენ ინჟინერ ჯავახიშვილს, რომელმაც თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას. ის მალე გაათავისუფლეს კიდევ.

ნავსადგურში დისციპინის მოშლა, უმუშევრობა, არასრული დატვირთვა ძალიან აღიზიანებდათ ფოთის დოკერებს, მეზღვაურებს. იმჟამად ანარქო-სინდიკალისტური რადიკალური განწყობილებები ძლირი იყო რიგით მშრომელებში. ფოთის პორტის მეზღვაურები მოითხოვდნენ ნავსადგურის მათთვის გადაცემასაც კი.

წარმოიშვა კონფლიქტი მეზღვაურთა და სანაოსნო საზოგადოების მოსამსახურეებს შორის. თავის მხრივ, როგორც ჩანს, დაიძაბა ურთიერთობა უშუალოდ ნავსადგურის მუშებსა და მოსამსახურეებს შორისაც. პორტის დოკერებს განსაკუთრებით აღელვებდათ ხელფასების სისტემატური დაგვიანება, ინფლაცია, თაღლითობა. პორტში შემოსული თვითოეული გემი ხშირად ნამდვილ „დამოუკიდებელ სახელმწიფოს“ წარმოადგენდა. მას „ომის გამოცხადებაც“ კი შეეძლო. ასეთი გემების კაპიტნების მხრიდან ძალიან ხშირი იყო თაღლითობა, დოკერების მოტყუება¹⁸.

მეწარმეთა თვითნებობის ასალაგმავად და დოკერების სოციალური უფლებების დასაცავად თვითონ დოკერების მიერ გადაიდგა ეფექტიანი ნაბიჯი – ფოთში არსებული მტვირთავთა კერძო არტელები გაერთიანდნენ ერთ პროფესიულ ორგანიზაციად. კავშირი აერთიანებდა 600 წევრს. ორგანიზაციას ღირსეული ადამიანები ჩაუდგნენ სათავეში. ახალმა კავშირმა მიზნად დაისახა როგორც დოკერების

შრომითი პირობების გაუმჯობესება, ისე მათი სურსათით მომარაგება. გეგმაში ჰქონდათ სასაღილოსი და პურის საცხობის ორგანიზება.

ფოთის დოკერების სოციალურ-პოლიტიკურ აქტიურობაზე მიუთითებს ის კოლექტიური ხელშეკრულებაც, რაც დაიდო ფოთის ნავსადგურის გადმომტვირთავთა პროფესიულ კავშირსა და „გიზერკირხენის“ სააქციო საზოგადოებას შორის. გერმანიის მხარე ცდილობდა ჭიათურის მარგანეცის მადნის დაუყოვნებლივ გატანას, რათა გერმანიის მეტალურგიის პოტენციალი შეენარჩუნებინა. მარგანეცის მადნით გერმანიის სატვირთო გემები 1918 წლის მეორე ნახევარში სისტემატურად იტვირთებოდა. ფოთელ დოკერებთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ორივე მხარის ეკონომიკურ ინტერესს. ის დაიდო სამი თვის ვადით – 1 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე. ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო დოკერის დღიური ხელფასი – ტრიუმში მომუშავე მუშა 32 მანეთს მიიღებდა, გემბანზე – 32 მანეთს. ხელშეკრულება დოკერის რთული შრომის ყველა მხარეს ითვალისწინებდა: დატვირთვა ვაგონიდან, მეორე ლიანდაგზე მდგომი ვაგონის დაცლა. გათვალისწინებული იყო ტვირთის სიმაღლეზე ატანაც კი.

მუშაობა უნდა დაწყებულიყო დილის 7 საათზე და გაგრძელდებოდა საღამოს 5 საათამდე. გათვალისწინებული იყო 2 საათიანი სადილის შესვენება. ხელფასი – ყოველ კვირას – შაბათობით გაიცემოდა. შავი ქვის ექსპორტიორი ვალდებულებას იღებდა მუშები უზრუნველყო წვიმის დროს თავშესაფარით და ოთახით – ინსტრუმენტებისათვის. სამაგიეროდ მუშები თანახმა იყვნენ, თუ კი პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასები დაეცემოდა, მათი ხელფასი შესაბამისად შემცირებულიყო¹⁹.

ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს რესპუბლიკის შრომის სამინისტროს მეთვალყურეობით მოხდა. იგი ძალაში შევიდა, მაგრამ ექსპორტიორის მხრიდან ხშირი იყო პრეტენზიები დოკერების მიმართ – მუშები ვერ ეტეოდნენ გრაფიკში, დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები ძლიერ ჭიანურდებოდა. დამქირავებლები ჩიოდნენ

შრომის სამინისტროში დოკუმენტების სიზარმაცის და ცუდი მუშაობის გამო²⁰.

პრეტენზიები ფოთის პორტის ხელმძღვანელების მიმართაც ხშირი იყო. ამის გამო, პორტის უფროსი ინჟინერი ჯავახიშვილი, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და მის მაგივრად დაინიშნა ინჟინერი დვალიშვილი.

ახალი ხელმძღვანელის ნავსადგურში მისვლისას მდგომარეობა სავალალო იყო. დისციპლინა მთლიანად მოიშალა. ოფიცრების ერთი ნაწილი უხეშად არღვევდა წესდებით გათვალისწინებულ ნორმებს, ადგილი ჰქონდა მათ შორის დებოშს. ნავსადგურის ხელმძღვანელობის წაყრუებით სარგებლობდნენ წვრილი კომერსანტები და პორტის საწყობების კედლებზე საკუთარ დუქნებსა და ფარდულებს აშენებდნენ.

ამასობაში ფოთში მოვიდა ცნობა გერმანიაში ნოემბრის რევოლუციის გამარჯვების შესახებ. გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ II დატოვა ტახტი და საზღვარგარეთ გაიქცა. გერმანია და მისი მოკავშირეები I მსოფლიო ომში დამარცხდნენ. ამ ცნობამ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დიდი შეშფოთება გამოიწვია – მოსალოდნელი იყო პოლიტიკური ორიენტაციის ცვლა.

გამარჯვებულმა დაჯგუფებამ „ანტანტამ“, საკუთარი იტერესებიდან გამომდინარე, დაიწყო მსოფლიო წესრიგის დამყარება. საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას უნდა მოენახა თავისი ადგილი ამ ახალ მსოფლიო წესრიგში. ქართულ დიპლომატიას მოუხდა რთული პირუეტის გაკეთება – გერმანიასთან თანამშრომლობის პოლიტიკა უნდა შეცვლილიყო ინგლის-საფრანგეთის ალიანსზე მიმართული, გაწონასწორებული პოლიტიკით.

1918 წლის 25 დეკემბერს ფოთში შემოვიდა ინგლისის საექსპედიციო კორპუსი. მეორე დღესვე ფოთის ნავსადგური დატოვა გერმანიის სამხედრო ემელონმა. თბილისიდან სასაწრაფოდ ჩამოსულმა სპეციალურმა მისიამ ჩაიბარა გერმანელების სამხედრო ქონება.

ინგლისელებმა შემოსვლისთანავე ყველას დაანახეს, რომ ისინი გამარჯვებული ბანაკის წარმომადგენლები არიან

და მოითხოვენ უპირობო მორჩილებას. მათ დაათვალიერეს საქართველოს შავი ზღვის პორტები. გემების ნაწილი გააგზავნეს ბათუმში, ფოთში ღუზა ჩაუშვა ინგლისელების სამმა ტრალერმა და ერთმა ნაღმოსანმა. ინგლისის წარმომადგენლებმა ნავსადგურის უფროსს მოთხოვეს ნავსადგურში მყოფი ყველა გემის, ბარჟას და ამწის დათვალიერების უფლება. ამასთან სურდათ, რომ ქართულ მხარეს მათთვის გადაეცა ნავსადგურში მდგომი ნაღმოსანი და ამწე.

ნავსადგურის უფროსმა დვალიშვილმა და გარნიზონის უფროსმა პოლკოვნიკმა ჩხეიძემ განაცხადეს, რომ ცენტრალური მთავრობის ნებართვის გარეშე ასეთი საპასუხისმგებლო მოთხოვნას ისინი არ შეასრულებდნენ. 1919 წლის იანვარში აღნიშნული ამწე მაინც გადაეცათ ინგლისელებს²¹.

3 იანვარს ფოთში, დამატებით, კიდევ შემოვიდა ინგლისელების 600 კაციანი რაზმი. ინგლისელებმა დაათვალიერეს და თავისთვის მოინდომეს ნავსადგურის პროფკავშირების სახლი. ამ შენობაში განთავსებული იყო კავშირის იაფი სასადილო, სამკითხველო და გამგეობა. ქართული მხარის არავითარმა პროტესტმა არ გაჭრა, ინგლისელებმა ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან საუბარი არც კი ისურვეს. ამ ფაქტმა პორტის მშრომელების აღშფოთება და გაღიზიანება გამოიწვია. ნავსადგურის პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნოდია დეპეშით აცნობებდა თბილისში მთავრობას, რომ მას ზეგავლენა მოეხდინა ინგლისის საექსპედიციო კორპუსის ხელმძღვანელობაზე, რათა შეეწყვიტათ ფოთში მათი ჯარისკაცებისა და ოფიცრების აღვირახსნილი თარეში, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშები გაფიცვებით იმუქრობდნენ.

ფოთში ინგლისელთა უკანონობას ბოლო არ ედებოდა, ამკარად ჩანდა, რომ თბილისი ინგლისელებთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდა. ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით, უდისციპლინობით და ქვეყანაში შექმნილი ქაოსით ისარგებლა პორტის უფროსმა გიორგი დვალიშვილმა და პორტში დანაშაულებრივი საქმიანობა გააჩაღა. მან ფოთის პორტში ისეთი აუტანელი პირობები შექმნა, რომ თბილისის სხვადასხვა ინსტანციაში გაიგზავნა ანონიმური წერილები და დეპეშები. მომჩივნები ნავსადგურ-

რის უფროსს უღირს, დანაშაულებრივ საქმიანობაში დებდნენ ბრალს.

ზოგიერთი ბრალდება შემზარავი იყო. ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრმა გ. ჟურულმა (პორტი ამ უწყებას ექვემდებარებოდა) გამოყო სპეციალური ავტორიტეტული კომისია სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკის ს. ჭანტურიშიელის ხელმძღვანელობით²².

ერთი კვირის განმავლობაში (1919 წლის 23-30 იანვარი) კომისიამ დეტალურად შეისწავლა საქმის ვითარება და გამოავლინა ისეთი აღმაშფოცებელი ფაქტები, რომ პორტის უფროსი დაუყოვნებლივ პატიმრობაში აიყვანეს. პასუხისმგებლობაში მისცემს მისი დაახლოებული პირებიც. გაირკვა, რომ თანამდებობაზე ყოფნის რამდენიმე თვის განმავლობაში პორტის უფროსი ეწეოდა საფინანსო სახსრების განიავებას, აღრიცხვაზე ყავდა „მკვდარი სულები“, გემებისა და კატარლების იჯარას კანონმდებლობის სრული იგნორირებით ახდენდა, ხშირად საჯარო გარიგებები ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე, საქმის წარმოების გვერდის ავლით ხდებოდა.

ამავე დროს გ. დვალიშიელი თანამშრომელთა მიმართ ავლენდა დესპოტიზმს, ხშირად არასასურველ პირებს უსაფუძვლოდ აპატიმრებდა, ითხოვდა სამსახურიდან, იყო ტიპური გამომძაღველი, ნავსადგურში „ნათლიმამობისა“ და „ძმაბიჭობის“ ატმოსფერო ჰქონდა დამკვიდრებული.

კომისიამ გამოავლინა, რომ ნავსადგურის უფროსმა გემი „ძმები ფეოფანები“ და კატარლა „თამარი“ რესპუბლიკის ბიუჯეტის საზიანოდ უადრესად დაბალ ფასში (150 ათასი მანეთად) გააქირავა. გ. დვალიშიელი უკანონოდ ყიდდა ნავსადგურის კუთნილ ნახშირს და სხვ. ნავსადგურის საბუღალტრო და საკანცელარიო საქმეები და ჩანაწერები ისე იყო აღრეული, რომ ტყვილსა და მართალს ვერავინ გაარჩევდა. აღმოჩნდა უამრავი ფიქტიური ხელშეკრულება. განსაკუთრებით სერიოზული დარღვევები იყო გადასახადების აკრეფის საქმეში. მას კრეფდნენ ოფიციალური სააღრიცხვო წიგნის გვერდის ავლით. დადგინდა, რომ ენკენისთვეში პროგნოზით გათვალისწინებული 175 456 მანეთის ნაცვლად წიგნში გაფორმებული იყო 44 795

მანეთი. დადასტურდა გ. დვალიშვილის საყოფაცხოვრებო გახრწნის ფაქტებიც²³.

ბუნებრივია, რომ ხელმძღვანელის დანაშაულებრივი საქმიანობა უარყოფითად მოქმედებდა თანამშრომლებზე – ნავსადგურის რიგით მუშაკებს შორის გავრცელებული იყო უწყესრიგობა და თვითნებობა – ისინი საბაჟოს გვერდის ავლით ეწეოდნენ კონტრაბანდას, შემოჰქონდათ ასანთი, ფქვილი, და სხვა დეფიციტური საქონელი.

სერიოზული დარღვევების გამოაშკარავება ფოთის პორტში, ქალაქში შექმნილი გაუსაძლისი ეკონომიკური ვითარება, ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია გარკვეულ არგუმენტებს აძლევდა ფოთის ბოლშევიკურ ორგანიზაციას ანტისამთავრობო პროპაგანდის გასაძლიერებლად. ფოთის პორტში საკმაოდ ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაცია იყო შემორჩენილი. ფოთელ დოკერებში, მეზღვაურებში ბევრი იყო ბოლშევიკური პარტიის წევრი. იმუამად ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის პროპაგანდას ასეთი შინაარსი ჰქონდა: „მენშევიკებმა საქართველო მიჰყიდეს იმპერიალისტებს, მენშევიკებმა უღალატეს მუშათა კლასსა და გლეხობას, ისინი გადაიქცნენ იმპერიალისტების ფარულ აგენტებად. საქართველოს მოქალაქეები ვაღდებულები არიან ჩამოაგდონ ეს მოღალატეები, ჩაიგდონ ხელში ძალა-უფლება და გაუწიონ დახმარება რუსეთის პროლეტარიატს“²⁴.

როგორც თვითმხილველები ამტკიცებდნენ, ბოლშევიკების ამ აგიტაციამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ფოთის რიგითი მშრომელების ერთ ნაწილზე. ფოთის ბოლშევიკური ორგანიზაცია აქტიურ ანტისამთავრობო მუშაობას ეწეოდა – გააძლიერეს ბოლშევიკური აგიტაცია და პროპაგანდა, შექმნეს სტამბა, ავრცელებდნენ პროკლამაციებს და ა.შ.

გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში ეს აგიტაცია სულ უფრო და უფრო სერიოზულ ხასიათს იღებდა. კრიზისი კი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით იყო განპირობებული, რაც მოსახლეობაში მზარდ სოციალურ დაძაბულობას იწვევდა. მათ ეროვნულ დამოუკიდებლობასთან ერთად ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნაც სურდათ. მოსახლეობის, განსაკუთრებით

უქონელი ფენა მოითხოვდა ცხოვრების პირობების რადიკალურ შეცვლას, თუნდაც მქონებელთა დაუყოვნებლივი ექსპროპრიაციის გზით.

1918-1919 წლებში აფხაზეთში, შიდა ქართლში, გორის, ზუგდიდის, სენაკისა და დუშეთის მაზრებში მოსახლეობის გამოსვლები და მღელვარება მარტო ბოლშევიკური პროპაგანდით არ შეიძლება აიხსნას. დუხჭირი ცხოვრება ადამიანებს რადიკალურად განაწყობდა – სოციალური ოპტიმიზმი თვალსა და ხელს შორის გაქრა.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება კარგად გრძნობდა, რომ თუ ეკონომური ცხოვრება საქართველოში არ გამოცოცხლდებოდა და არ განვითარდებოდა აღებ-მიცემობა ახლო და შორეულ საზღვარგარეთთან, მათ მიერ გამოცხადებული დეკლარაცია თავისუფალი და სუვერენული საქართველოს შესახებ არ შეაჩერებდა მოსახლეობას რადიკალურ რევოლუციურ გამოსვლებს.

ეკონომიკური ცხოვრების განვითარებისათვის კი საჭირო იყო სერიოზული ინვესტიციები, უცხოელი პარტნიორების დაინტერესება საქართველოს ეკოპოლიტიკური მდგომარეობით, მისი ბუნებრივი რესურსებით. საქართველო, უდავოდ, უკვე მაშინ იწვევდა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფო ინტერესს თავისი უნიკალური ეკოპოლიტიკური მდგომარეობის გამო. ინტერესთა სფეროში მოხვდა ფოთის პორტიც – შავი ზღვის ერთ-ერთი ჩინებული ნავსაგური. ფოთის საშუალებით მთელს ამიერკავკასიასთან და ჩრდილო კავკასიასთან, აქედან შუა აზიის სახელმწიფოებთან დაკავშირება უკვე იმ ხანებში გარკვეულ ეკონომიკურ ინტერესს აღძრავდა.

ფოთში ინგლისის საექსპედიციო კორპუსის შემოსვლისთანავე საქართველოსაკენ დაიძრნენ ანტანტის სახელმწიფოების კომერციული წარმომადგენელები. ერთ-ერთი პირველები იყვნენ ფრანგი კომერსანტები²⁵. მათმა ჩამოსვლამ ფოთში დაბადა სურსათ-სანოვაგის დიდი პარტიის შემოტანის იმედი.

საქართველოს მთავრობას საზღვაო ტრანსპორტის განვითარების მიზნით სერიოზული კომერციული წინადადებით მიმართა ამერიკელი ბიზნესმენების ერთმა ჯგუფმა²⁶.

იტალიის მოქალაქე – ალბერტო კორსი, იტალიის კოლონიათა სამინისტროს ყოფილი დირექტორი, სპეციალური მემორანდუმით სთხოვდა საქართველოს მთავრობას ფოთის პორტის ბაზაზე მოეწო რეგულარული საზღვაო კავშირი იტალიასთან, კომერსანტი ასაბუთებდა, რომ იტალია, რომელიც ევროპის წამყვანი ქვეყნებიან ყველაზე ახლოა საქართველოსთან, უმოკლესი და საუკეთესო დამაკავშირებელი ხიდი იქნებოდა საქართველოსა და ევროპას შორის. იმუამად იტალიასთან სავაჭრო უთიერთობის განვითარებისათვის ჩინებული პერსპექტივები იკვეთებოდა²⁷.

საყურადღეოა, რომ ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების კომერციული პერსპექტივებით დაინტერესდა ისეთი არასაზღვაო სახელმწიფო, როგორც იყო ჩეხოსლოვაკია²⁸.

შემოსულ წინადადებს შორის საყურადღებო იყო ამერიკელთა კომერციული წინადადება: ამერიკის სატრანსპორტო სამსახური სთავაზობდა საქართველოს ხელისუფლებას 3500-4000 ტონა წყალწვევის ხის გემების შექმნას. თითო გემი 30 მილიონი მანეთი ღირდა. პროექტით გემების ღირებულების 50 პროცენტი უნდა გადახდილიყო გემების მიღებისთანავე, დანარჩენი – სამ თვეში ერთხელ 18 თვის განმავლობაში. საქართველოს მთავრობამ პროექტი დაიწუნა მისი სიძვირისა და გემების მასალის გამო²⁹.

საქართველოს მხარე სერიოზულად იყო დაინტერესებული გამოეცოცხლებინა ფოთის პორტი, მოენახა რეალური პარტნიორი სამგზავრო და სატრანსპორტო მიმოსვლის აღსადგენად. ცნობილი ქართველი ბინესმენის აკ. ხოშტარიას საქმიანობა ამ მიმართულებით ძლიერ გაჭიანურდა, ამიტომაც ძირითადად ყურადღება კვლავ უცხოელი ინვესტორის ძებნას დაეთმო.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის ნორმალურ განვითარებას ისიც უშლიდა ხელს, რომ საქართველო „დეიურედ“ არ იყო აღიარებული მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიერ. ეს საქართველოს გემებს ეროვნული დროშით მსოფლიო საზღვაო მაგისტრალზე მიმოსვლის საშუალებას უსპობდა. წარმოიშვა იდეა, რომ შერეული – ქართულ-საზღვარგარეთული სატრანსპორტო კომპანია ამ ამოცანას წარმატებით გადაწყვეტდა.

აკ. ხოშტარიას ჩარევით მოიძებნა სპონსორიც – ჰოლანდიელი ბიზნესმენი ვან მალი. ამ პიროვნებას სატრანსპორტო ფორმები ჰქონდა ინგლისშიც, კარგად იყო ცნობილი საერთაშორისო კლასის ბიზნესმენტა რიგებში, ჰქონდა თავისუფალი კაპიტალი და ჩინებულად ერკვეოდა საზღვაო ტრანსპორტის თავისებურებებში.

ვან მალის კაპიტალის მოზიდვის იმედით „სქართველო-ჰოლანდიის საზღვაო საზოგადოების“ პროექტი „შემუშავდა, რაც მიზნად ისახავდა რეგულარულ სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენასა სტამბოლთან, ხოლო შემდეგ – ევროპასთან. საზოგადოების საწესდებო კოპიტალი განისაზღვრა 5-6 მილიონი გულდენი (456 ათასი ფუნტი სტერლინგი). გემები ივლიდნენ ჰოლანდიის დროშით. სანაოსნო უნდა დაფუძნებოდა ჰოლანდიის კანონებს. ვან მალი კისრულობდა ახალი სანაოსნო კომპანიისათვის გადაეცა ორი პირველი კლასის გემი, თითოეული 1000 ტონა წყალწყვის, რომელიც შეძლებდა 60-70 კაციის გადაყვანას I და II კლასის კაიუტებით. ამის გარდა გემბანზე დაეტეოდა 100-150 კაცი, ხოლო ტრიუმში – 800-1000 ტონა ტვირთი³⁰.

სააქციო საზოგადოების კანტორა როტერდამში დაფუძნდებოდა. ხუთი დირექტორიდან ორს დანიშნავდა ვან მალი. საზოგადოების აქციების 30 პროცენტი ვან მალს უნდა გადასცემოდა ის იტოვებდა უფლებას მომავალი ორი წლის განმავლობაში შეეძინა აქციათა დამატებით 15 პროცენტი.

აღნიშნული სააქციო საზოგადოებას საკუთრებაში უნდა გადასცემოდა ფოთში დისლოცირებული საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების მთელი ქონება – პორტები, საწყობები, რკინიგზის ხაზები, სატრანსპორტო საშუალებები.

ხელშეკრულება აშკარად არ იყო სასარგებლო საქართველოს ხელისუფლებისათვის. მომავალი კომპანიონი მოითხოვდა ახალი გემების ღირებულების ნახევრი ქართულ მხარეს გადაეხადა ან ნაღდი ფულით, ან მისი კუთვნილი აქციებით, რაც იმას გამოიწვევდა, რომ ჰოლანდიელის ხელში მოექცეოდა სააქციო საზოგადოების საკონტროლო პაკეტი. ვან მალთან მოლაპარაკება გაჭიანურდა.

აკ. ხოშტარია უმტკიცედა მთავრობის თავმჯდომარე-სა ნ. ჟორდანიას: – ეს ხელშეკრულება ჩვენთვის ახლანდელ დროში მისაღები და სარფიანიაო, მაგრამ მენშევიკურმა მთავრობამ პოლანდიელის წინადადება ეროვნული სუვერენიტეტის ხელყოფად და კომერციული თვალსაზრისით მიუღებლად ჩათვალა, ხოლო 1920 წლის 23 ნოემბერს საბოლოოდ უარყო იგი. არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება უცხოელ ინვესტორთან დაკავშირებით აშკარად იჩენს ზედმეტ სიფრთხილეს, რაც ამ ხელისუფლების პარტიული პრინციპებიდან და მარქსისტული დოგმებიდანაც უნდა იყოს ნაკარნახები.

საქართველოს მთავრობას იმედი გადაეწურა, რომ უცხოელების დახმარებით შეძლებდა ფოთის პორტის ნორმალურ ფუნქციონირებას. დაიწყეს საკუთარი შესაძლებლობების ძიება, რომ აელორძინებინათ სამგზავრო და სატრანპორტო მიმოსვლა შავ ზღვაზე.

უპირველეს ყოვლისა გადაწყდა ფოთის პორტის აკვატორიის, დისლოცირებული ხომალდების გამოკვლევა. სპეციალურმა სამთავრობო კომისიამ ჯერ კიდევ 1919 წლის დასაწყისში დაათვალიერა პორტის აკვატორიაში დისლოცირებული გემები და დააფიქსირა სხვადასხვა სიღიდის 59 გემი, აქედან 13 სანაპირო-თავდაცვითი დანიშნულების იყო, დანარჩენი კომერციული. კომისიის აზრით, ყველა გემის გამოყენება შესაძლებელი იყო სათანადო სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ. კომისიამ დაასკვნა, რომ სასურველი იქნებოდა ხომალდების ექსპლოატაცია სახელმწიფოს აელო ხელში³¹.

ფოთის პორტის აკვატორიაში რამდენიმე გემი იყო ჩადირული. ვარაუდობდნენ მათ ამოღებასა და გარემონტებას.

ფოთის პორტის ასაღორძინებლად მთავრობამ განახორციელა ღონისძიება კომპლექსი. თავდაპირველად ნავსაგურს შეუცვალეს „პატრონი“ – თუ კი ადრე ის ეკუთვნოდა ფინანსების, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს, 1919 წლის 21 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტიებით ფოთის პორტი დაექვემდებარა საართველოს მიმოსვლის გზათა სამინისტროს.

დაიწყო ახალი ეკონომიკური ფორმების ძიება, რომლებიც უფრო ეფექტიანად დაეხმარებოდნენ პორტის კოლექტივს არსებული სიძნელეების დაძლევაში. გადაწყდა, რომ პირველ ეტაპზე უფრო აქტიურად დაენერგათ ისეთი საინტერესო ეკონომიკური ურთიერთობა, როგორც იყო არენდა. ამასთან, გაემკაცრებინათ კონტროლი და აღრიცხვა, რომ გამორიცხულიყო ყოველგვარი უკანონო ხელშეკრულებების გაფორმების დროს, სახელმწიფო სახსრების განიავება და მითვისება.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯებიც განხორციელდა. 1919 წელს ფოთის პორტმა საარენდო ხელშეკრულება გააფორმა ზია ბეი აბაშიძესთან. მან არენდით აიღო გემი „დომბროვსკი“, რომელსაც ფოთიდან ტრაპიზონამდე უნდა გადაეტანა ნავთი, სოხუმიდან ფოთში – თამბაქო. ადგილობრივმა ფირმამ „ცინცაძე და კომპ.“ არენდით აიღო გემი „ეკატერინა“, კომერსანტმა პ. ა. ვარძიელმა იჯარით აიღო გემი „ოზურგეთი“ და ა.შ.

არენდის ფორმა სასარგებლო იყო ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის – გემები სერიოზულ შეკეთებას საჭიროებდნენ, ამის შესაძლებლობა კი არც მთავრობას და არც ნავსადგურის ხელმძღვანელობას არა ჰქონდა. არენდატორები მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავდნენ გემების აღსადგენად. მაგალითად, ფირმა „ცინცაძე და კომპ.“ ხელმძღვანელობას გემ „ეკატერინას“ შეკეთება დაუჯდა 850 ათასი მანეთი, შეკეთების შემდეგ გემის ღირებულება, რომლის საწყისი ფასი იყო 50 ათასი მანეთი, ერთბაშად 3 მილიონი მანეთი გახდა.

კომერსანტმა ვარძიელმა გემ „ოზურგეთს“ გამოუცვალა ძრავა, ჩაუტარა რემონტი. ნავსადგურს მხოლოდ ერთი რამ ევალებოდა – თუ ჰქონდა საწყობში სარემონტო მოწყობილობები და საშუალებები, ისინი შეღავათიანი პირობებით უნდა გაეყიდა არენდატორზე. მოიჯარადრემ მეზღვაურთა ხელფასის პრობლემაც მოაგვარა.

მაგრამ პოლიტიკური ვითარების გამო 1919 წელს მაინც ვერ მოხერხდა ფოთის პორტში ეკონომიკური ცხოვრების აღორძინება. რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ჩრდილო შავიზღვისპირეთში კომერციული რეისების გან-

ხორციელება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ფირმის „ცინცაძე და კომპ.“ ხელმძღვანელობა ატყობინებდა ზემდგომ ინსტანციებს, რომ „ობიექტური მიზეზების გამო ზღვაოსნობა გაგრის იქით თითქმის არ სწარმოებდა, თურქეთშიც სისტემატური ხასიათი არა აქვს საქონლის ნაკლებობის გამო, ისე რომ შემოსავალი გასავალს ვერ ფარავს“³².

მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ საქართველოს მთავრობა, რომელიც ბიუჯეტის შევსების ახალ წყაროებს ეძებდა, ხშირად მიმართავდა ნაცად ფორმას – გადასახადების გადიდებას. გადაწყდა საფრახტო გადასახადის გადიდება. ახალი საგადასახადო კანონი აწესებდა სამი სახის გადასახადს: სანაოსნოს, საფუთოს და სალოცმანო გამოსაღებს. სანაოსნო გადასახადი განისაზღვრა 1 მანეთი გემის ტვირთტევადობის 1 ტონაზე. საფუთო გადასახადი გულისხმობდა 20 კაპიკს ფუთზე – ყოველგვარი ნივთიერებისათვის, 20 კაპიკიდან 2 მანეთამდე – ყოველგვარ ხეტყის მასალაზე, ხორბალზე, ჩაიზე, მარილზე, თივაზე. 2-5 მანეთი დაწესებული იყო ყოველგვარ ლითონზე, ქაღალდზე და სხვ. სალოცმანო გამოსაღები უმნიშვნელო იყო³³.

1919 წლის ივნისში მთავრობამ კიდევ დამატებით 10 პროცენტოანი საფრახტო გადასახადი დააწესა. ამ სახის გადასახადის გაუქმებას უკვე აპირებდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, ამიტომაც საქართველოს მთავრობის ამ ნაბიჯმა გამოიწვია უცხოეთის გემების კაპიტნების პროტესტი. არსებობს დიდი ბრიტანეთის კონსულის ოფიციალური პროტესტი საქართველოს მთავრობისადმი, რომელშიც გამოთქმულია უკმაყოფილება იმის გამო, რომ ფოთის საბაჟომ ინგლისის გემ „ცვილონის“ კაპიტანს 10 პროცენტოანი საფრახტო გადასახადი გადაახდევინა³⁴.

როგორც ჩანს, იმჟამად ფოთს პორტის ხელმძღვანელობა უცხოეთის გემების კაპიტნების მიმართ გარკვეულ პრინციპულობას იჩენდა. მაგალითად, მან 5000 მანეთი ჯარიმა დაადო საბერძნეთის კუთნილ გემს „კალუტასის“ კაპიტანს, რომელიც ნავსადგურის აკვატორიაში უნებართვოთ შევიდა. ამ ფაქტის გამო თბილისში ელინთა სამეფოს დიპლომატიურმა მისიამ გააკეთა პროტესტი, მაგრამ ქართულმა მხარეა

არ მიიღო ის და თავის მხრივ ლოგიკურად დაუსაბუთა საქართველოს მხარის მოქმედების კანონიერება³⁵.

მცდელობის მიუხედავად, ფოთს პორტის მთელი დატვირთვით ამოქმედება მაინც ვერ მოხერხდა. ნავსადგურის მშრომელების სოციალური ოპტიმიზმი სწრაფად დაილია. ფოთის მშრომელები დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ. რესპუბლიკის სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების გაზეთები ხშირად აქვეყნებდნენ მასალებსა და რეპორტაჟებს ფოთელი დოკერების, ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხნების მუშების, რკინიგზის მუშა-მოსამსახურეების დუხჭირი ცხოვრების შესახებ.

გაზეთების კორესპონდენტები იტყობინებოდნენ, რომ ნავსადგურის ყაზარმული ტიპის საცხოვრებლები გადაჭედილი იყო ადამიანებით. სიბინძურე საშიშროებას წარმოშობდა ათასგვარი გადამდები ავადმყოფობის გასავრცელებლად, არა ჰქონდათ სასმელი წყალი, მუშები იყენებდნენ რიონის მღვრიე წალს. წვიმის დროს მუშათა უბნები ძლიერ იტბორებოდა, წყალი აორთქლებას ვერ ასწრებდა, ღებებოდა და საშინელი ანტისანიტარია ვცვლდებოდა. ამიტომაც იყო, რომ 1918 წლის ზაფხულში ქალაქში ხოლერის ეპიდემიამ იფეთქა.

შეჭირვებული ფოთელი მუშები აფრთხილებდნენ ხელისუფლებას ჯეროვანი ყურადღება მიექცია მათი საყოფაცხოვრებო პირობებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში რადიკალური ღონისძიებების გატარებით იმუქრებოდნენ.

სოციალური დაძაულობა ფოთში აშკარად შესამჩნევია გახდა 1919 წლის დასაწისში – ქალაქში დაიწყო საგაფიცვო მოძრაობა. გაფიცვა დაიწყო ხე-ტყის დამამუშავებელი საწარმოების მუშებმა³⁶. მათ სოლიდარობა გამოუცხადეს ქალაქის პარიკმახერებმა, ნოქრებმა. დამკვირვებელი აღნიშნავდა, რომ ქალაქის ნოქრები 16-17 საათს მუშაობდნენ დღეში და ისეთ პირობებში იმყოფებოდნენ, რომ თვითმკვრობელობის ხანა ნეტარ ეპოქად ესახებოდათ³⁷.

1919 წლის თებერვალში ძლიერი გაფიცვა დაიწყო ნავსადგურის სახელოსნოს მუშებმა, მეზღვაურებმა და პორტის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ. გაფიცვა ეკონომიკური ხასიათის იყო. უკვე ექვსი თვის განმავლობაში ისი-

ნი მთავრობისაგან ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ. მუშებს ყურადღებას არავინ აქცევდა. მუშები იძულებულნი გახდნენ შრომის სამინისტროს ადგილობრივ წარმომადგენელთან ეჩივლათ. მან მათი პრეტენზიები მართებულად სცნო და აღძრა შუამდგომლობა ხელისუფლებსთან. თავის მხრივ შრომის სამინისტრომაც მუშების პრეტენზიები სამართიანად მიიჩნია და შესთავაზა მუშათა წარმომადგენლების ჩასვლა თბილისში.

მიუხედავად ამისა, მუშები მაინც გაიფიცნენ ისე, რომ არ გააფრთხილეს არც შრომის სამინისტროს წარმომადგენელი და არც პროფკავშირები.

5 თებერვალს ფოთის ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობაში შეიკრიბა თათბირი, რომელმაც სთხოვა მუშებს პოლიტიკური მოსაზრებით შეეწყვიტათ გაფიცვა. მეორე დღეს ნავსადგურის სახელოსნოში მოიწვიეს გაფართოებული კრება, რომელსაც დაესწრნენ პროფკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ნოდია, ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელი პ. ქუთათელაძე, შრომის სამინისტროს წარმომადგენელი ფოთში ლ. კიდურაძე, ქალაქის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჩიტაია და სხვა პასუხისმგებელი პირები.

პორტის მუშები დათანხმდნენ შეეწყვიტათ გაფიცვა იმ შემთხვევაში, თუ ათი დღის განმავლობაში მიიღებდნენ თავის კანონიერ მოთხოვნებზე გარკვეულ პასუხს, მომდევნო ორი კვირის განმავლობაში კი მიიღებდნენ ფულსაც. ხელისუფლების წარმომადგენლები მუშებს ყოველმხრივ დახმარებას დაპირდნენ.

აშკარაა, რომ ფოთში გამოცოცხლდა პროფკავშირული ცხოვრება. იმუამად ქალაქში საზღვაო საქმესთან დაკავშირებით სამი პროფკავშირული ორგანიზაცია არსებობდა: 1. ნავსადგურის გადმომტვირთავი მუშების პროფკავშირი; 2. ნავსადგურის სახელოსნოების მუშების, მოსამსახურეების და მეზღვაურების პროფკავშირი და „რუსეთის სანაოსნო და სატრანსპორტო საზოგადოების“ ფოთის განყოფილების მოსამსახურეთა პროფკავშირი. ქალაქში არსებობდა სხვა დარგობრივი პროფკავშირებიც. 1919 წლის იანვარში ისინი ყველანი გაერთიანდნენ ერთ ძლიერ საქალაქო პროფკავშირულ

ორგანიზაციად – ქალაქ ფოთის პროფესიული კავშირების ცენტრალურ საბჭოდ, რომელსაც ფოთის ნავსადურის მშრომელთა პროფესიული და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად დიდი გეგმები ჰქონდა.

ცხოვრების მძიმე პირობებს, საქართველოს მთავრობის ყველა წარუმატებლობას საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში ოსტატურად იყენებდა ბოლშევიკური პროპაგანდა, რომელიც ცდილობდა მუშათა სოციალური მოძრაობა თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა. 1919 წლის შემოდგომაზე გაძლიერებული ბოლშევიკური პროპაგანდის წყალობით მოხერხდა საქართველოში შეიარაღებული აჯანყებისათვის პირობების შემზადება. ინგლისის საექსპედიციო კორპუსის ევაკუაციამ ბოლშევიკურ ორგანიზაციებში დაბადა იმედი, რომ ოქტომბრის რევოლუციის მეორე წლისთავზე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას დაამყარებდნენ. მოსკოვი, როცა საქართველოში ამ აჯანყებას გეგმავდა, ამით ცდილობა სამხრეთში დენიკინის საიმედო ზურგის დეზორანიზაციას და მათი მოსაზრებით, ეს აქცია აიძულებდა თეთრგვარდიელ გენერალს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სასიცოცხლო ცენტრებზე შეტევის დროს თავისი შეიარაღებული ძალების ნაწილი საქართველოს საზღვრებზე გადმოესროლა თუ კი, რა თქმა უნდა, საქართველოში ბოლშევიკები გაიმარჯვებდნენ³⁸.

ქართველმა კომუნისტებმა გაშალეს დიდი მუშაობა ადგილებზე აჯანყებს კერების მოსამზადებლად. განსაკუთრებით დიდ იმედებს ფოთის ბოლშევიკურ ორგანიზაციაზე ამყარებდნენ, რადგან აჯანყებულთა ხელში ფოთის ნავსადგურის გადასვლას უდიდესი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობა ექნებოდა. თავის მხრივ ფოთის პორტის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამაც დიდი მუშაობა ჩაატარა აჯანყების სარეალიზაციოდ. აჯანყების საქალაქო შტაბის გეგმით დიდი სამხედრო ამოცანები ეკისრებოდა ფოთის პორტში დისლოცირებულ გემს „ჭოროხს“ – მისი ეკიპაჟი მთლიანად ბოლშევიკური იყო.

გემი „ჭოროხი“ 1911 წელს ააგეს პოლანდიაში და მას ჯერ „ლენა“ უწოდეს. 1915 წლიდან ის დისლოცირებული იყო ბათუმის პორტში და მას „ჭოროხი“ შეარქვეს. ის სამ-

ხედრო გემად გადააკეთეს. მის შეიარაღებაში შედიოდა ორი მცირეყალიბიანი ქვემეხი და რამდენიმე ტყვიამფრქვევი. 1918-1919 წლებში გემი სატრანსპორტო ფუნქციასაც ასრულებდა. 1918 წელს გემის კაპიტნად დაინიშნა მიხა მაკალათია. ის ბოლშევიკური ორიენტაციის კაცი იყო და ეკიპაჟი ბოლშევიკური ჰყავდა: ნესტორ კუნჭულია, ონისიმე ცანავა, ბიქტორ შეროზია. ჯარისკაცებიც კი ბოლშევიკები იყვნენ. გემის მთლიანი ეკიპაჟი სამხედროების ჩათვლით 30 კაცს შეადგენდა. სამოქალაქო ომის წლებში გემი შემჩნეული იყო ჩრდილო კავკასიის კომუნისტებთან თანამშრომლობაში: მათთვის სოჭაში გადაჰქონდა სურსათი, ტანსაცმელი, ნავთი.

ფოთში აჯანყების შემთხვევაში გემ „ჭოროხის“ ეკიპაჟს დაევალა გასულიყო ზღვაში და იქიდან გაენადგურებინა მთავრობის საცეცხლე წერტილები.

მაგრამ თბილისში ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეძლო აჯანყების ხელმძღვანელობის დაპატიმრება. მთავრობამ ადგილებზე ოფიციალურ ხელისუფლებას დროულად შეატყობინა მოსალოდნელი აჯანყების შესახებ. ფოთშიც მივიდა დაშიფრული დეპეშა სამთავრობო შეტყობინებით, მაგრამ ბოლშევიკებს ფოთის ფოსტაში თავისი აგენტი ჰყავდათ. მან დროულად შეატყობინა თბილისში აჯანყების დამარცხების შესახებ ადგილობრივი სააჯანყო შტაბის ხელმძღვანელს გ. სტურუას. მან მოახერხა ძალების გადაჯგუფება და დატოვა ქალაქი.

როგორც თვითმხილველი გადმოგვცემს, საქართველოს ხელისუფლებას თავისი ერთგული კაცი ფოთის აჯანყებულთა შორისაც ჰყოლია. მან მთავრობას შეთქმულთა სია გააცნო. გემი „ჭოროხის“ ეკიპაჟი დააპატიმრეს. მთავრობის აგენტი თვითონ დაჰყვებოდა ხელისუფლების წარმომადგენლებს და პირადად უთითებდა აჯანყებულებზე³⁹.

ფოთში მეამბოხეები დააპატიმრეს, მათ შორის ფოთის ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრებიც. ზოგი მათგანი ფოთის ციხეში მოათავსეს, ზოგიერთი კი ქუთაისში გადაიყვანეს. ქალაქში პოლიტიკური ვითარება მცირე ხნით განიმუხტა.

ამ ვითარებაში ქალაქის კომერციული ცხოვრება კი თვითღინებაზე მიშვებული აღმოჩნდა.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ, გარკვეული კომერციული გამოცოხლება ნავსადგურს აშკარად დაეტყო: 1919 წლის დეკემბრიდან 1920 წლის აპრილამდე ნავსადგურიდან ინტენსიურად გადიოდა მარგანეცი. სულ გაიტანეს 23 პარტია. გაჰქონდათ მცირე პარტიები (500 ტონა), უფრო ხშირად – დიდი პარტიებიც (მაქსიმალური – 7000 ტონა), სულ გაიტანეს 61 600 ტონა. 1920 წლის 17 თებერვალს სააქციო საზოგადოება „ჩემომ“ ამერიკული გემით „ხოგაირ-ლენდი“ გაიტანა 4 500 ტონა პეროქსიდის⁴⁰.

ფოთის პორტის ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პორტის აკვატორიის ზედმეტი შლამისა და მიწისაგან გასუფთავებას. ეს სამუშაოები 1913 წლის შემდეგ აღარ ჩატარებულა. ეს აძნელებდა დიდი საოკიანო გემების ნავსადგურში შემოსვლას. პორტის ხელმძღვანელობამ 1920 წელს დაიწყო მოლაპარაკება ინჟინერ ა. ტუმანოვთან მიწის ამოსაწმენდი სამუშაოს შესრულების თაობაზე. გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის ძალით 1920 წლის 31 დეკემბრამდე უნდა მთლიანად გაწმენდილიყო პორტის აკვატორია. ამ მიზნით მთავრობამ გამოჰყო 9 მილიონი მანეთი⁴¹.

მზარდ კომერციულ აქტივობას ამ ახალ ეტაპზე იჩენდა თივთონ პორტის სამმართველოც. აშკარაა, რომ ცდილობენ მიიზიდონ გემთმეპატრონეები, სთავაზობენ შეღავათიან პირობებს, ძალისხმევას ახმარენ ტვირთბრუნვის მასშტაბების ზრდას. მაგალითად, გაფორმდა ხელშეკრულება გემ „პეტრისის“ კაპიტანთან, ვინმე მესოლოგიდთან. მას მიანიჭეს რესპუბლიკის ნავსადგურებში ქართული ეროვნული აღმით თავისუფალი ნაოსნობის უფლება⁴².

საგრძობლად გააქტიურდა სომხური კაპიტალი. კომერსანტი გაბრიელ ბახჩისარაიანი მთავრობის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში აყენებდა წინადადებას სავაჭრო ფლოტის შექმნის შესახებ. მას სურდა მთავრობის საკუთრებაში არსებული, მაგრამ უმოქმედოდ მყოფი გემების, მათ შორის „მეფე ალბერტის“, „კარალევის“ ალექსანდრეს“, „კიევის“ და სხვების შექმნა⁴³.

ინგლისელი კომერსანტები საქართველოს ხელისუფლებას სთავაზობდნენ ინგლისში შექმნილი გემი-კორვეტი⁴⁴.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა კი ვარაუდობდა, სახსრების ნაკლებობის გამო, გემების პარკის შევსებას ყირიმში. იმედოვნებდნენ ნახმარი გემების ან შექენას, ან მათ არენდას⁴⁵.

ფოთის პორტის ეკონომიკური ცხოვრების შედარებითმა გამოცოცხლებამ გარკვეული იმედები აღძრა ზემდგომ ორგანოებში, რომ გაჩნდა მუდმივი წყარო დეფიციტური ბიუჯეტის შესავსებად. ფოთის პორტის შემოსავლებიდან გარკვეული წილის იმედი ჰქონდა ქალაქის თვითმმართველობასაც. ნავსადგური ქალაქში ყველაზე შემოსავლიანი წარმოება იყო, ხოლო ქალაქის მთავრობა უსახსრობის გამო თავს ვერ ართმევდა უამრავ აუცილებლად გადასაწყვეტ საქმეს. სწორედ ამიტომ, ქალაქის ხელმძღვანელობამ ითხოვა ახალი საქალაქო აქციზების დაწესება ტვირთის სხვადასხვა სახეობაზე – 10 კაპიკი ფუთი აგურისათვის, 15 კაპიკი – ფუთი შემისათვის, 30 კაპიკი – ფუთი მარგანეცისათვის, 40 კაპიკი – ფუთი სასუქისათვის, 1 მანეთი – ფუთი ხორბლისა და 2 მანეთი – ფუთი ქვანახშირისათვის⁴⁶.

თავის მხრივ ცენტრალურმა მთავრობამ სანავსადგური ხარჯების დაფარვის მიზნით 1920 წლის ზაფხულში კიდევ გაზარდა საფუთო გადასახადების რაოდენობა: მარგანეცზე დაწესდა 1 მანეთი და 50 კაპიკი ფუთზე, ხე-ტყის მასალაზე – 2 მანეთი, ყოველგვარ მარცვლეულზე – 3 მანეთი, რკინა-თუჯის ნაწარმზე – 4 მანეთი, ქალაქზე – 5 მანეთი ფუთზე.

მაგრამ ყველა ეს ღონისძიება სათანადო შედეგს ვერ იღებდა პორტში გამეფებული უდისციპინობისა და მომხვეჭელობის გამო. თბილისში, რკინიგზის მართვის სამინისტროში მოვიდა ფოთელების ი. გაბისკირიას და გ. ბოკერიას წერილი, სადაც ისინი ამხელდნენ ფოთის პორტის ხელმძღვანელობის უკანონო მოქმედებას გემ „მიხეილის“ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით. ეს გემი მოუვლელობის გამო ჩაიძირა. ის ამოიღეს და ვარაუდობდნენ, რომ მისი შეკეთების შემდეგ საუკეთესო ხომალდს მიიღებდნენ. მთავრობამ გემის შესაკეთებლად დიდი თანხა გა-

მოპყო. ინფორმატორები ამტკიცებდნენ, რომ პორტის ხელმძღვანელობამ გემის სარემონტო სამუშაოზე ბევრი „იკვდარი სული“ გააფორმა და ამ გზით მიითვისა დიდძალი სახელმწიფო თანხა. ისინი იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ნავსადგურის საბუღალტრო დავთრებში ქაოტური მდგომარეობა იყო⁴⁷.

უკვე მერამდენედ, სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა ფოთის პორტში შექმნილი მდგომარეობა და დაასკვნა, რომ „საფინანსო საქმეების რევიზია შეუძლებელია სააღრიცხვოსაანგარიშო სამსახურის უადრესად ქაოტური და მოუწესრიგებელი მდგომარეობის გამო“⁴⁸. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ რევიზიის შემდეგ პორტის საფინანსო სამსახურის ორი პასუხისმგებელი პირი დააპატიმრეს, გასაგები გახდება, რომ პორტის ეკონომიკური ცხოვრება რადიკალურ გარდაქმნას საჭიროებდა. ამ ცვლილებების განმასხორციელებელი აგილობრივი კადრები კი არ ჩანდნენ.

უკონტროლობისა და მომხვეჭელობის სინდრომმა ყველგან შეაღწია: გამომქვანდა აფიორა პორტის სამმართველოსთან არსებულ კოოპერატივში. სპეციალურმა კომისიამ გამოავლინა კოოპრეტივის ხელმძღვანელების ბოროტმოქმედება – 16 ტონა ფქვილი საიდუმლოდ გაქრა სადღაც, საკასო წიგნებში ამოხეული იყო ფურცლები, გადაკეთებული ციფრები, არეული ანგარიშები. დაფიქსირდა სხვა დარღვევებიც.

ყველაფერში ჩანდა, რომ ბოროტმოქმედებამ საკმაოდ დიდი ხნით დაისადგურა ფოთის ნავსადგურში, და არა მარტო იქ. იმ წლებში გაფლანგვები და დარღვევები ქალაქის სხვა ორგანიზაციებშიც ხდებოდა. განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხა მიითვისა ფოთის კონკის მონაგრიშემ.

ასეთი კრიმინალური შემთხვევები ქალაქის რიგით ადმიანებში დიდ მღელვარებას იწვევდნენ, არნახულად ეცემოდა ოფიციალური ხელისუფლების ავტორიტეტი, რომელიც ვერ ახერხებდა წესრიგის დამყარებას ქვეყანაში.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობა კი თავის მხრივ ძალისხმევას არ აკლებდა მართწესრიგს და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას. ცდილობდნენ ღრმად შეესწავლათ არსებული ვითარება, მოენახათ მდგომარეობიდან

გამოსავალი, დახმარებოდნენ ადგილობრივ თვითმმართველობებს.

1920 წლის თებერვალში დამფუძნებელი კრების სპეციალურმა კომისიამ კ. გაგლოევის ხელმძღვანელობით შეისწავლა დასავლეთ საქართველოში არსებული ვითარება. კომისიის წევრები იყვნენ ფოთშიც. დაათვალიერეს ნავსადგური, ესაუბრნენ მუშებს, დოკერებს. იმჟამად ნავსადგურში 700 კაცი იყო დასაქმებული.

რეგულარულ რეისს აწარმოებდა მხოლოდ გემი „ტაერიდა“, ისიც ფოთსა და გაგრას შორის. ნავსადგურში იდგა რამდენიმე წყალქვეშა ნავი, წყლით სავსე, ჟანგისანი და უპატრონო. კომისიამ ყურადღება მიაქცია ნავსადგურის მახლობლად აღმართულ მარგანეცის გორაკებსაც.

კომისიის დასკვნით, ფოთის პორტის მტვირთავეები არ იყვნენ თავის საქმეში დახელოვნებულნი, ხშირად აცდენდნენ სამუშაოს, რის გამოც გვიანებოდა ტვირთების გადაზიდვა, ცდებოდნენ ვაგონები, გემები. თითქმის არ არსებობდა შრომის მექანიზაცია, მუშებს ტვირთის გადატანა ზურგით უხდებოდათ. კომისიის შეკითხვაზე მუშები ვერ პასუხობდნენ, თუ რამდენ მანეთს გამოიმუშავებდნენ დღიურად ან თვეში. საშუალო ხელფასი არ აღემატებოდა 100 მანეთს დღეში და ამის გამო მუშები სანახევროდ მშიერნი იყვნენ. ისინი ცხოვრობდნენ ნოტიო სარდაფებში და ხშირად ავადმოფობდნენ. გავრცელებული იყო ციება. მუშები ითხოვდნენ ტანსაცმელსა და სურსათს.

კომისიამ დამფუძნებელ კრებას წარუდგინა რეკომენდაციები, რაც ითვალისწინებდა პორტის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების გაუმჯობესებას. გათვალისწინებული იყო კვალიფიციული სპეციალისტების მიწვევა გემებზე სამუშაოდ, ნავსადგურში მდგომი წყალქვეშა ნაგების ან შეკეთება, ან მათი დაშლა და სხვა საქმეში გამოყენება. აუცილებლად ჩაითვალა ფოთის აკვატორიის გაწმენდა ქვიშისაგან, რეკომენდაციები ითვალისწინებდნენ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, შრომის ნორმატივების მოწესრიგებას, სათანადო ანაზღაურებას. გარკვეული ყურადღება ეთმობოდა ფოთის პორტის მექანიზაცია-ავტომატიზაციის საქმეს და ა.შ.⁴⁹

ამ დროს კი ჩრდილოეთში მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა – ბოლშევიკური რუსეთი გამარჯვებული გამოვიდა სამოქალაქო ომში და თანდათან დაიბრუნა თავისი ყველა დაკარგული ტერიტორია. საბჭოთა ხელისუფლება კავკასიის მთებს მოადგა. ვ. ი. ლენინსა და მის თანამებრძოლებს კარგად ახსოვდათ ს. შაუმიანის შემდეგი სიტყვები: „ბაქოს ჩამოცილება რუსეთისაგან! – ეს ნიშნავს მას მიაყენო ყველაზე დიდი დარტყმა. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ რუსეთის დამოუკიდებლობაზე, ხოლო საკუთარი სურვილით ნავთობის წყაროს გადავცემთ ინგლისელებს, განა ამით ჩვენ არ ვუშვებთ უდიდეს დანაშაულს რუსეთის რევოლუციის წინაშე“⁵⁰.

1920 წლის აპრილში ბაქოში წითელი დროშა აფრიალდა. პოლიტიკური სიტუაცია სამხრეთ კავკასიაში რადიკალურად შეიცვალა. საქართველო რუსეთის კოლოსთან მარტოდმარტო აღმოჩნდა. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მთელი ამიერკავკასიის გასაბჭოება მხოლოდ დროის ამბავი იყო, მით უფრო რომ კომერციულად ბაქო თავისთავად გულისხმობდა ბათუმსაც, საიდანაც ევროპაში გადიოდა ნავთობი.

1920 წლის 7 მაისს დაიდო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რამაც გარკვეული ილუზიები შეუქმნა საქართველო დემოკრატიულ მთავრობას ჩრდილოეთის მეზობელთან დაკავშირებით. ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს მთავრობა, სხვა ვალდებულებებთან ერთად, პირობას დებდა ციხეებიდან გაეთავისუფლებინა ქართველი ბოლშევიკები, გაეთვალისწინებინა ამიერკავკასიაში რუსეთის ინტერესები. თავის მხრივ რუსეთი ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს, პირობას დებდა, რომ არ ჩაერეოდა მის საშინაო საქმეებში.

რუსეთთან დადებულმა ხელშეკრულებამ გარკვეული ოპტიმიზმი საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენებშიც დაბადა. თუმცა საქმეში ღრმად ჩახედულები კარგად გრძნობდნენ, თუ რა ფასი შეიძლებოდა ჰქონოდა რუსეთისათვის ამ ხელშეკრულებას, თუკი ის მის შორს გამიზნულ ინტერესებს დაუპირისპირდებოდა.

სიდუხჭირის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ოპტიმისტური განწყობილება მკვეთრად გამოვლინდა 1920 წლის 26 მაისს – საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის დღეს. განსაკუთრებით ღამაზად ეს დღესასწაული ფოთში ჩატარდა. დამკვირვებელი აღტაცებული აღნიშნავდა: „მთელი ქალაქი ყვავილ-გირლანდებით მოირთო. ყველა სახლიდან გამოვიდნენ იყო ეროვნული დროშა, დაიდგა ესტრადები. დილით მთელი ქალაქის მოწაფეობა გაეშურა ყვავილებით და ბაირაღებით საბავშვო ბაღში. აქ იყო სიმღერები, ცეკვა-თამაში, საბავშვო წარმოდგენა. 11 საათზე დიდი და პატარა გაეშურა ქალაქის თვითმართველობის შენობისაკენ. მის წინ ეტლით, ხელში დროშით მიუძღოდა საქართველოს თავისუფლების სიმბოლო ასულის სახით, რომლის გვერდით ისხდნენ თმა-ხუჭუჭა გოგო-ბიჭები. შესრულდა ეროვნული ჰიმნი. ქალაქის თავი ა. კორძია მიესალმა ხალხს და მიულოცა დღესასწაული. გამოვიდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ეროვნულ-დემოკრატი ი. მაჭავარიანი აცხადებდა – თუ ადრე დავით აღმაშენებელმა ააშენა საქართველო და მას აღმაშენებელი უწოდეს, ეხლა მისებრ ნიჭიერ მოღვაწეს, მის მგავს ნოე უორდანიას უნდა ეწოდოს „ნოე აღმაშენებელი“. ქალაქის ყველა უცხოსახელიან ქუჩას სახელი გამოუცვალეს.

ქალაქის ბაღში სადამოს საზეიმო სადილი გაიმართა. ბაღში მოწყობილი იყო ესტრადა. მოღზე გაიმართა მეომართა „შევარდნობა“, რამაც ხალხი განუსაზღვრელ აღტაცებაში მოიყვანა, შემდეგ ჭიდაობა, რომელშიც გაიმარჯვა ახალგაზრდა სირაძემ, შემდეგ მოვიდა ქართული ქორწილი ურმებით – ქალწულები აფხაზურად, მეგრულად, აჭარულად, ქართულად გამოწობილი. იყო ცეკვა, ლექსთა თქმა, ეროვნული სიმღერები. შემდეგ შეჯიბრება ფეხბურთში: ცოლიანები და უცოლოები. აჯობეს უცოლოებმა.

მშვენიერია ფოთის პარკი ბუმბერაზი ხეებით, ლაყვარდი პალიასტომის ტბას რომ ამაყად გადაჰყურებს. თვალწარმტაცი იყო ამ დროს პალიასტომის ტბა. გვიანობამდე იყო სეირნობა. შემდეგ ხალხი გაჩირაღდნეული ქალაქისაკენ გაემართა. ისევ მიტინგი ქალაქის თვითმართვე-

ლობასთან. ლექსები. შემდეგ ქალაქის ბაღში უფასოდ კინოს ჩვენება, ამერიკული ვაჭრობა ფრონტის სასარგებლოდ“⁵¹.

მაგრამ ჩაქრა საზეიმო ილუმინაცია, წავიდ-წამოვიდა ხალხი. დაიწყო ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრება. ეკონომიკური სიდუხჭირის მარწუხები უკანასკნელ ძალას ართმევდა საქართველოს რიგით მოქალაქეს. უკვე სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლებიც აღიარებდნენ ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას. 1920 წლის 13 ოქტომბერს ნოე ჟორდანიას უკვე საჯაროდ აცხადებდა: „ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიკური მხრივ კატასტროფისაკენ მივისწრაფვით. ბევრს არა სჯეროდა ამ აღიარებისა და ეგონა, რომ მათ ჩვენ მხოლოდ ვაშინებდით, დღეს ეს სიტყვები უკვე გამართლებულია დღეს თვითთული ჩვენგანი გრძნობს, თვითთული მწვავედ განიცდის, რომ ჩვენ არა თუ მივდივართ კატასტროფისკენ, – ჩვენ უკვე მივედით იქამდე“⁵².

უკვე 1920 წლის ზაფხულში ქვეყანაში ეკონომიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბა. მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის, რადიკალური და ქმედითი ეკონომიკური რეფორმებისათვის საჭირო იყო თავისუფალი კაპიტალი, ინვესტიციები. ადგილზე მათი შოვნა ვერ ხერხდებოდა. დასავლეთ ევროპა, თვითონ პირველი მსოფლიო ომის შედეგებით შეწუხებული, ეკონომიკურ კრიზისში იმყოფოდა და გულისყურით არ მოეკიდა იმ ქვეყნის ბედს, რომელიც ცდილობდა დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქვეყნის საფუძვლები აეშენებინა.

ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ კოლონიალური იმპერიების არსებობის ვითარებაში ანტანტის გამარჯვებული ქვეყნები რუსეთის წილხვედრად თვლიდნენ საქართველოს და იმედოვნებდნენ რომ ახლო მომავალში რუსეთში აღდგებოდა მონარქია თუ არა, დემოკრატიული რესპუბლიკა მაინც.

საქართველოდან და ამიერკავკასიიდან რუსეთის პოლიტიკურ განდევნას სჭირდებოდა ძლიერი ეკონომიკური და სამხედრო აქტიურობა ისეთი ქვეყნების (ან ქვეყნის), რომლებიც შეცვლიდნენ (ან შეცვლიდა) რუსეთის ფაქ

ტორს სამხრეთ კავკასიაში და უზრუნველყოფდნენ (ან უზრუნველყოფდა) კავკასიის ხალხების თავისუფალ და დემოკრატიულ განვითარებას. ამ სურვილს იმჟამად არცერთი დიდი ქვეყანა არ ამჟღავნებდა.

მეტად ნიშანდობლივია, რომ ასეთ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში ფოთის ყოფილი ქალაქის თავი, ჭემშარიტი პატრიოტი და მამულიშვილი ნიკო ნიკოლაძე ეძებდა გზებს, რათა მსოფლიოს კომერციული საზოგადოებრიობა დაეინტერესებინა ფოთით, საქართველოს შავი ზღვის პორტების ეკონომიკური შესაძლებლობებით. ჩვენ ზემოთ არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ დემოკრატიული საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთადერთი საშუალება იყო წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების ფინანსური სუბიდირება საქართველოს მეურნეობაში.

1920 წელს ნიკო ნიკოლაძემ დაწერა ორი წერილი: „მეთევზეობა და თევზის მრეწველობა ფოთში“ და „ფოთის პორტის მნიშვნელობა მსოფლიო ვაჭრობაში“. წერილები რუსულ ენაზეა დაწერილი და მათი შინაარსი აშკარად მიუთითებს, რომ ავტორი შეეცადა ისინი დასავლეთ ევროპის პრესაშიც ყოფილიყო გამოქვეყნებული.

პირველ წერილში ხაზგასმული იყო ფოთის აკვატორიაში, სათანადო ინვესტიციების პირობებში, თევზის წარმოების განვითარების პერსპექტივები. აქ დეტალურად არის დახასიათებული და შეფასებული იმ თევზების სამრეწველო და გასტრონომიული ღირებულება, რითიც ასე მდიდარი იყო საქართველოს შავიზღვისპირეთი.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მეორე წერილი: მასში დასაბუთებულია ფოთის პორტის უდიდეს მნიშვნელობა მსოფლიო სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობაში, განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიის ნავთობით მდიდარ რაიონის (გროზნოს ბასეინის) მსოფლიოს სავაჭრო ორბიტაში მოქცევის საქმეში⁵³.

ჩვენთვის უცნობია, თუ რა ბედი ეწიათ ამ წერილებს, დაიკვდა თუ არა ისინი დასავლეთის პრესაში. მაგრამ საქართველოში ძალიან მალე დატრიალებული პოლიტიკური პროცესები ხელს ვერ შეუწყობდნენ ნიკო ნიკოლაძის ჩანაფიქრის რეალიზებას.

უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი საქართველოს მშრომელი მოსახლეობა იმედოვნებდა, რომ ხელისუფლება, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მონახავდა გამოსავალს, დემოკრატიული მთავრობაც უმოქმედოდ არ იყო, იღებდა გარკვეულ ზომებს, მაგრამ ნაკლებად ეფექტურს, რადგან მისი შესაძლებლობებიც ძალიან შეზღუდული იყო.

საქართველოში საერთო სიდუხჭირეს აძლიერებდა გაერცვლებული მანკირება: მექრთამეობა, ნათლიმამობა, სახელმწიფო ქონების განიავება, რაც კიდევ უფრო ძაბავდა ვითარებას. 1920 წლის 17 აგვისტოს ფოთის შეჭირვებული მოსახლეობისათვის შემოიტანეს პურის ფქვილი – ერთ კაცზე ორი გირვანქა. დამშეული მოსახლეობა შუაღამით დადგა რიგში მაღაზიასთან. დილით 7 საათისათვის ასეულობით ფოთელი იყო ჩამწკრივებული. სასურსათო კომისიის წარმომადგენელმა მოსახლეობას ბარათები დაურიგა და ყველა დაამშვიდა, რომ პური ყველას ეყოფოდა. ქალაქის მილიცია „წესრიგს იცავდა“. სინამდვილეში, როგორც შემდეგ გაირკვა, ნაცნობ-მეგობრებსა და ნათესავებს მილიციის წარმომადგენლები აძლევდნენ რიგის გარეშე რვა გირვანქას. ამის გამო ფქვილი მოსახლეობას არ ეყო. ზოგიერთმა სასოწარკვეთის გამო ტირილი დაიწყო⁵⁴.

უმიძიეს მდგომარეობაში ცხოვრობდნენ ფოთელი დოკერები. კომუნისტური პრესის მიხედვით დოკერებს შორის ბევრი იყო უმუშევარი (800 კაციდან 500). ბევრმა მათგანმა მათხოვრობა დაიწყო, ზოგიერთი თავს დღიური მუშაობით ირჩენდა, ზოგი კი უსაქმოდ დაეხეტებოდა ქალაქში.

იშვიათად, მაგრამ როცა სამუშაო ჰქონდათ, დოკერები დღეში 3 მანეთზე მეტს ვერ იღებდნენ. განუწყვეტელი ინფლაციის პირობებში ვერ ხერხდებოდა სტაბილური სოციალური მდგომარეობის შენარჩუნება. მეწარმეებსა და დოკერებს შორის ხშირი იყო კონფლიქტი. ამ დავაში მთავრობა ყოველთვის ვერ ახერხებდა მუშის პოზიციის დაცვას. ეს კი მუშებს კრიტიკულად განაწყობდა. 1920 წლის აგვისტოში კიდევ ერთი შრომითი კონფიქტი მოხდა ფოთის ნავსადგურში: მუშებმა გადმოტვირთეს ხორბლით დატვირთული გემი. წინასწარი გარიგებით თითო ტომარა – 14 მანეთად. მუშებმა აიღეს ხელფასი. შემდეგ გაირკვა,

რომ 700 ათასი მანეთი მუშებმა ზედმეტად მიიღეს და ხელისუფლებამ მოითხოვა ამ თანხის უკან დაბრუნება. რადგან სატარიფო კანტორამ არ დაამტკიცა ის ახალი ტარიფი, რომლის საფუძველზეც მოხდა დამქირავებელსა და დოკერებს შორის გარიგება. მუშებმა მიღებული თანხა უკან აღარ დააბრუნეს, რადგან თვლიდნენ, რომ ხელფასი კანონიერად მიიღეს და უფრო ნაკლებ ფასად ისინი გემს არ გადმოტვირთავდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ მუშებმა გადმოტვირთეს 37 ვაგონი მარგანეცის მადანი, ხელისუფლებამ ამ ვაგონების გადმოტვირთვის ანგარიშში გამოუქვითა ხორბლის გადმოტვირთვის დროს გაცემული ზემეტი თანხა და ამიტომ დოკერებმა ხელფასი გაცილებით ნაკლები აიღეს, ვიდრე მოელოდნენ. ამ ფაქტმა, ბუნებრივია, დოკერების დიდი აღშფოთება გამოიწვია. ისინი მოითხოვდნენ სატარიფო განაკვეთების გადიდებას, განსაკუთრებით შავი ქვის გადმოტვირთვის დროს (150 პროცენტით). ისინი იმუქრებოდნენ გაფიცვით. ნავსადგურის ხელმძღვანელობამ ემისარი აფრინა თილისში და მთავრობა იძულებული გახდა დაედანტურებინა მუშებისათვის გაცემული ხელფასის კანონიერება და, ამასთან, მუშებს დაპირდა ხელფასის გაზრდას 150 პროცენტით⁵⁵.

მაგრამ მალე, ხელფასის გაცემის დროს გაირკვა, რომ გასამრჯელო გამოწერილი იყო ძველი ტარიფით. დაპირება დაპირებად დარჩა. დოკერებმა კვლავ გაფიცვა დაიწყეს. მთავრობის წარმომადგენელმა მოიწვია დოკერების კრება და აუხსნა, რომ მწარმოებელი წინააღმდეგი იყო ახალი ტარიფის გაცემის და საჭირო იყო გარკვეული დრო ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად. ამან კიდევ უფრო აღაშფოთა დოკერები და ისინი გაფიცვით დაემუქრნენ მთავრობას.

ჩვენ არ გამოვირიცხავთ, რომ კომუნისტური პრესა იმჟამად ტენდენციურად უდგებოდა ზემოთმოტანილ ფაქტს, მაგრამ ფოთში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე წერდნენ ოფიციალური ხელისუფლების პოზიციის გამატარებელი გაზეთებით, მათ შორის „ერთობა“. მაგალითად, გაზეთს კორესპონენტი მკვითხველს ატობინებდა ფოთის ხე-ტყის წარმოების მუშების მძიმე მდგომარეობას:

„სამი თვეა, რაც მწარმოებლებმა წარმოების ლიკვიდაცა მოახდინეს, 5 ქარხანა გაჩერებული იყო. მუშები უსახსროდ იყვნენ დარჩენილი“⁵⁶.

მძიმე მდგომარეობით შექუხებული ნავსადგურის მეზღვაურები, მუშები, მოსამსახურეები 1920 წლის 30 აგვისტოს პროფკავშირული ორგანიზაციის კრებაზე შეიკრიბნენ, რომელმაც განიხილა კავშირის წევრთა „მწვავე ნივთიერი მდგომარეობა“. კრების მონაწილენი მოითხოვდნენ, რომ მთავრობას დაბალ ფასებში მიეცა კავშირის წევრებისათვის სურსათ-სანოვაგე, კრებამ თბილისში დელეგაციაც კი გააგზავნა, მთავრობასთან მოსაპარაკებლად, მაგრამ უშედეგოდ⁵⁷.

ეკონომიკური ვითარება ქვეყანაში მართლაც მძიმე იყო. მიუხედავად ამისა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მორალურ მხარდაჭერას, რაც მსოფლიოში პირველ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას გაუწია II ინტერნაციონალის დელეგაციამ საქართველოში სტუმრობით. დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღიარებული ლიდერები: რამზეი მაკდონალდი, ვანდერველდე, კარლ კაუცი, ესთელ სნოუდენი, თომას შოუ და სხვები საქართველოში ჩამოვიდნენ.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა შეეცადა მათი ავტორიტეტი საკუთარი პოლიტიკური მდგომარეობის განსამტკიცებლად გამოეყენებინა და ჩინებულად დახვდა ევროპის სოციალისტებს. ქვეყანაში სტუმრების მოგზაურობის გეგმაში იყო ქალაქი ფოთის მონახულებაც, მაგრამ II ინტერნაციონალის ლიდერები ფოთში არ ჩასულან. სავარაუდოა, რომ ქალაქში შექმნილმა სოციალურმა დაძაბულობამ გადააფიქრებინა ხელისუფლება საპატიო სტუმრების ფოთში ჩაყვანა.

II ინტერნაციონალის ლიდერებმა კი მოინახულეს საქართველოს სხვადასხვა კუთხე, შეხვდნენ მოსახლეობას, სახელმწიფოს ხელმძღვანელებს და საქართველოდან გამგზავრების წინ მიმართვა გაუგზავნეს საქართველოს მშრომელებს: „საქართველოს დემოკრატიამ, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა ყველა იმპერიალისტს, ისეთებსაც კი, რომლებსაც რევოლუციური ნიღაბი ჰქონდათ აფარებუ-

ლი, შესძლო ძლიერი და მტკიცე მარჯვენი თავისუფლების შენარჩუნება და ინტერნაციონალიზმის ავანგარდში ჩადგომა. ამ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში მას შეუძლია იქონიოს მსოფლიო პროლეტარიატის სრული თანხმობისა და თანადგომის იმედი⁵⁸.

უცხოელთა მახვილ თვალს ისიც არ გამოპარვია, რომ საქართველო ეკონომიკური კატასტროფის პირას იდგა და საკუთარი ძალებით ეკონომიკური ცხოვრების გაჯანსაღება არ შეეძლო. ხოლო კარლ კაუცკიმ ვერ დაფარა თავისი წუხილი იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატიული საქართველო საბჭოთა ხელისუფლებისაკენ მიექანებოდა⁵⁹.

სოციალ-დემოკრატიული ინტერნაციონალის ხელმძღვანელობის სტუმრობამ მცირე ხნით სხვა საკითხებზე გადაიტანა საქართველოს მშრომელების ყურადღება, მაგრამ ეკონომიკური სტაგნაცია კვლავ გრძელდებოდა. ამას ჩინებულად იყენებდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები.

ფოთში ბოლშევიკური ორგანიზაცია პარტიის ლეგალიზაციის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა. მისი გავლენა კვლავ გაძლიერდა დოკერებში, მეზღვაურებში, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებში, ხეტყის წარმოების მუშებში. ფოთის კომუნისტური ორგანიზაციის ლიდერები მოუწოდებდნენ კანონიერი ხელისუფლების დამსობისაკენ. ასეთი მოწოდებების გამო ქალაქის კომუნისტი ლიდერები დააპატიმრეს კიდევც.

კომუნისტური პროპაგანდის გასაძლიერებლად ადგილობრივმა ბოლშევიკებმა ჩინებულად გამოიყენეს ნავსადგურის მუშა-მტვირთავების სახლის მშენებლობის ფაქტიცი. 1920 წლის 7 აგვისტოს დღის 2 საათზე მუშათა სახლის საძირკვლის ჩაყრასთან დაკავშირებით გაიმართა მიტინგი. პირველი ბარი დაჰკრა და პირველი აგური დადო 45 წლის დოკერმა ბესარიონ თავებრიძემ. ქალაქის შეძლებულმა ადამიანებმა სახლის მშენებლობას დიდძალი თანხა შეწირეს. საძირკველს ჩაატანეს ბოთლი – საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით და სახლის აშენების შესახებ ქალაქის გამგეობის დადგენილებით. ასევე ჩაატანეს ქართული ეროვნული ფულის ნიშნები 50 კაპიკიდან 500 მანეთამდე და ერთი ვერცხლის ფული – თამარის ეპოქიდან⁶⁰.

მუშათა სახლში უნდა განლაგებულიყო თეატრი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, საავადმყოფო საღარო, ამბულატორია, კოოპერატივი, სასადილო და კავშირის გამგეობა.

მუშათა სახლის მშენებლობამ თავიდანვე ფოთში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია: ერთნი ეწინააღმდეგებოდნენ მის მშენებლობას, მეორენი – მიესალმებოდნენ. ფაქტი კი ის იყო, რომ სახლის მშენებლობისათვის ნავსადგურის მუშებს დაუკავეს 1 200 ათასი მანეთი და დამატებით კიდევ ორი დღის გამოიმუშავება⁶¹. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა ფოთის პორტის მატერიალურად შეჭირვებული მშრომლები, რაც კომუნისტურმა პროპაგანდამ აქტიურად გამოიყენა.

ამასობაში, 1920 წლის 28 ოქტომბერს წითელი დროშა აფრიალდა ერევანში – სომხეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. საქართველოს გარშემო კომუნისტური მარწუხები კიდევ უფრო დავიწროვდა. ბოლშევიკური რუსეთი ყოველგვარ საბაბს ეძებდა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად, საქართველოს ანექსიისათვის. მაგალითად, საბჭოთა მთავრობამ ოფიციალური პრეტენზიები განაცხადა ფოთში დისლოცირებულ გემზე „გემები ფეოფანები“, გემის ოდესაში ყოფნის დროს ის დააკავა კიდევ და მასთან ერთად მისი კაპიტანი – ჟორჟოლიანი⁶².

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაძაბვის გამო ფოთის საბაჟოში თბილისიდან მოვიდა დეპეშა, რომ დაეკავებინათ რუსეთის ყველა გემი. მიუხედავად ამისა, გემმა „პრინციპმა“ მოახერხა ნავსადგურიდან გაპარვა ამ ფაქტმა თბილისის ოფიციალური ხელისუფლების გაღიზიანება გამოიწვია. ხელისუფლებამ მოითხოვა ინცინდენტის დეტალური გამოძიება. მას ინცინდენტის ყველა წვრილმანი აინტერესებდა: გემს ჩაშვებული ჰქონდა თუ არა ღუზა, ვინ შეასრულა სალოცმანო საქმე, ქონდა თუ არა გემს საწვავი, რომელ საათზე გაიპარა პორტიდან, აუტეხეს თუ არა სროლა და ა.შ. აშკარად ჩანდა, რომ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურმა დაძაბულობამ აპოგეას მიაღწია. ამიერკავკასიაში დემოკრატიული, დასავლეთზე ორიენტირებული და დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის არსებობა აღარ შეესაბამებოდა მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის იდეოლოგიების მიზნებს. ამიტომაც მოეწყო ლორეს ნეიტრალურ ზონაში ადგი-

ლობრივი სომხური მოსახლეობის პროვოცირება, რაც „სახალხო აჯანყებად“ მონათლა. რუსეთის XI არმიამ, წინააღმდეგობის მიუხედავად, 25 თებერვალს თბილისი აიღო. მალე წითელი დროშა აღიმართა ფოთის თვითმმართველობის თავზეც – ფოთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

აშკარაა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ქალაქ ფოთსა და ფოთის ნავსადგურში რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება შეიქმნა, რომლის სწრაფად განმუხტვა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო რთული საგარეო პოლიტიკური ვითარებისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო – არცერთი დასახული, საინტერესო, ფოთის პორტთან დაკავშირებული დასავლეთევროპული ეკონომიკური პროექტი არ განხორციელდა.

ისიც აშკარაა, რომ საგარეო პოლიტიკურ კონიუნქტურას იძულებით აყოლილი საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლება, თუნდაც ობიექტური მიზეზების გამო, ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდა და ამით კარგავდა ავტორიტეტს მოსახლეობაში, განსაკუთრებით ფოთის მშრომელებში. სწორედ ამის დასტურია, რომ ფოთში ვერ ჩაიყვანეს საქართველოში ვიზიტად მყოფი II სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერები, თუმცა ეს წინასწარი გეგმით გათვალისწინებული იყო.

რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ფოთის პორტის მშრომელებს (და ქალაქის მშრომელების მნიშვნელოვან ნაწილს) მემარცხენე, კომუნისტური იდეოლოგიის მომხრეებად აქცევდა, ისინი მოითხოვდნენ ცხოვრების პირობების სწრაფ და რადიკალურ გაუმჯობესებას, ისინი არა ერთხელ იყენებდნენ მთავრობასთან სოციალური ბრძოლის ნაცად ფორმას – გაფიცვას. ასეთი მდგომარეობა ფოთის პორტის მშრომელებს, ფოთის პროლეტარიატს ბოლშევიკური პროპაგანდის სამიზნედ აქცევდა და გარკვეული წარმატებითაც: იყო გემები, რომელთა ეკიპაჟი მთლიანად ბოლშევიკური შემადგენლობით გამოირჩეოდა. ამ პრობოლშევიკურმა ძალებმა 1919 წელს ფოთშიც განახორციელეს პროკომუნისტური პუტჩიც კი, მაგრამ უშედეგოდ.

ფოთის პორტის ამ პერიოდის ისტორია აშკარად მიუთითებს, რომ ეროვნული დამოუკიდებლობა ყოველთვის არ არის ის ფასეულობა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესების გარშემო ადამიანთა მონოლითურ მობილიზაციას. უკანონობა, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, კორუფცია, „ნათლი-მირონობა“, ადამიანური სისუსტეები სერიოზულად არღვევდნენ ახლადშექმნილი ქართული სახელმწიფოს საფუძვლებს. 1918-1921 წლის მოვლენები აშკარა მსგავსებას ავლენენ XX საუკუნის 90-იან წლების საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასთან.

აშკარაა, რომ დემოკრატიული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა შორსაა იდეალურისაგან. ეს კარგად დასტურდება ფოთის პორტის მაგალითზე და ქმნის საჭიროებას დამატებით იქნეს შესწავლილი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება მთლიანად საქართველოს მასშტაბით, რომ შეიქმნას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარების ობიექტური და სრული სურათი.

AL. DAUSHVILI

POTI SEA PORT IN 1917-1921

The result of the research shows, that as soon as the independence of Georgia was declared, the town Poti and Poti Port experienced social and economical hardships, which the social – Democratic authorities of Georgia were unable to improve due to the political conditions and world economy crisis. Not a single interesting and planned West European economic project was fulfilled.

Obviously, the democratic government of Georgia was compulsorily following the foreign political conjuncture and though the causes were objective, it was going from one extreme into another, thus, weakening its authority among the population and especially the workers of Poti. The striking demonstration of it is the fact, that the

leaders of the II Socialistic International visiting Georgia were not taken to Poti, in spite of the preliminary plan.

The hard social and economic conditions were turning the workers of the Poti port (the major part of the population of town Poti) into the supporters of the left wing communist ideology. They demanded the quick and radical improvement of the life level and they repeatedly used the earlier experience form of the social struggle – strike. All this made the proletariat of the Poti Port into the target for the Bolshevik propaganda: there were the ships consisting of the Bolshevik crew. In 1919 those pro Bolshevik forces staged a pro Communist military putsch, but without any result.

The history of that period Poti Port points to the fact, that the national independency is not always the value, that guarantees the monolithic mobilization of people around the State interests: Arbitrariness, irresponsibility towards the job, corruption, “godfather-godson” institution, human soft spots were seriously shaking the foundation of the newly formed Georgian State. The events of 1918-1921 are the replica of the social-economical circumstances having place in Georgia in the 90-ies of the XX century.

It goes without saying that the social-economic policy of Georgia stands far from the ideal. The example of the Poti Port vividly proves it and inspires us for the additional research of the social and economic conditions on the scale of the whole Georgia, as we strongly believe it will help obtain an objective and complete picture of the development of the Democratic Republic of Georgia.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივი, ქალაქის სათათბიროს ოქმი. 1917 წ. მარტი.
2. „მგზნებარე კოლხიდელი“, 1957 წ. 3 ნოემბერი.
3. ი. ფირცხალავა, ახლო წარსულიდან, თბ., 1931. გვ. 7.
4. „ერთობა“, 1917 წ. 12 დეკემბერი.
5. „ერთობა“, 1917 წ. 31 ოქტომბერი.

6. „მგზნებარე კოლხიდელი“, 1959 წ. 11 ნომბერი.
7. „ერთობა“, 1917 წ. 29 ნომბერი.
8. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდგომში: სცსა), ფ. 1880, აღ. 1, ს. 152, ფურც. 8.
9. „საქართველო“, 1918 წ. 1 მარტი.
10. კ. ჩარკვიანი, ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიკური კური პოლიტიკის შესახებ, თბ., 1962, გვ. 87.
11. სცსა, ფ. 1880, აღ. 1, ს. 37, ფურც. 6.
12. იქვე.
13. „ერთობა“, 1918, 1 მარტი.
14. გ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917 წწ. თბ., 1976, გვ. 419.
15. სცსა, ფ. 1881, აღ. 1, ს. 2, ფურც. 3.
16. „ერთობა“, 1918 წ. 24 იანვარი.
17. „ერთობა“, 1918 წ. 20 ივნისი.
18. „ერთობა“, 1918 წ. 24 მარტი.
19. „ერთობა“, 1918 წ. 14 სექტემბერი,
20. „ერთობა“, 1918 წ. 11 აგვისტო.
21. „ერთობა“, 1919 წ. 5 იანვარი.
22. სცსა, ფ. 1891, ს. 202, ფურც. 1.
23. იქვე, ფურც. 38.
24. ი. ფირცხალავა, ახლო წარსულიდან, თბ., 1931. გვ. 19.
25. „ერთობა“, 1919 წ. 1 იანვარი.
26. სფსა, ფ. 1891, აღ. 1, ს. 31, ფურც. 1.
27. სფსა, ფ. 1891, აღ. 2, ს. 1, ფურც. 20.
28. იქვე, ს. 630, ფურც. 122.
29. იქვე, ს. 314, ფურც. 7.
30. კ. ჩარკვიანი, ქართველი მენშევიკების ანტისახალხო ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, თბ., 1962, გვ. 43.
31. სცსა, ფ. 1881, აღ. 1, ს. 2, ფურც. 101.
32. სცსა, ფ. 1880, აღ. 1, ს. 154, ფურც. 1.
33. სფსა, ფ. 1891, აღ. 3, ს. 7, ფურც. 14-15.
34. იქვე, ფურც. 6.
35. სფსა, ფ. 1880, ს. 154, ფურც. 5.
36. „ერთობა“, 1919 წ. 22 ივლისი.
37. „ერთობა“, 1919 წ. 22 ივლისი.
38. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 666.

39. ი. ფირცხალავა, ახლო წარსულიდან, თბ., 1931, გვ. 33.
40. სცსა, ფ. 1891, ს. 641, ფურც. 26.
41. სცსა, ფ. 1880, აღ. 2. ფურც. 46, 81-83.
42. სცსა, ფ. 1880, ს. 154, ფურც. 9.
43. იქვე, ფურც. 19.
44. იქვე, ფურც. 26.
45. იქვე, ფურც. 29.
46. სცსა, ფ. 1880, ს. 35, ფურც. 11.
47. სცსა, ფ. 1880, ს. 1148, ფურც. 4-5
48. სცსა, ფ. 1880, ს. 159, ფურც. 2.
49. სცსა, ფ. 1880, ს. 94, ფურც. 76.
50. С. Шаумян, Соч. т. 2, М., 1958, стр. 381. 45
50. „ერთობა“, 1920 წ. 2 ივნისი.
52. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1972, ტ. 6, გვ. 600.
53. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა, ნიკო ნიკოლაძის არქივი, გვ. 543-547.
54. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 25 აგვისტო.
55. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 24 აგვისტო.
56. „ერთობა“, 1920 წ. 7 სექტემბერი.
57. „ერთობა“, 1920 წ. 15 სექტემბერი.
58. „ერთობა“, 1920 წ. 1 ოქტომბერი.
59. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1972, ტ. 6, გვ. 607.
60. „ერთობა“, 1920, 13 აგვისტო.
61. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ. 24 აგვისტო.
62. სცსა, ფ. 1891, აღ. 1, ს. 630, ფურც. 8.

ბენეჩალ შონ-კრესის მემუარები და 1918-1921 წლების ქართული სინამდვილე

1943 წლის 12 ოქტომბერს არტილერიის გადამდგარმა გენერალმა ბარონმა ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინმა გერმანიის სახმელეთო ჯარების არქივს გადასცა მოზრდილი ხელნაწერი, რომელიც ასახავდა 1918 წელს სამხრეთ კავკასიაში გამოგზავნილი გერმანიის მისიის საქმიანობას.

ეს დოკუმენტი ამ ამბიდან 6 ათეული წლის შემდეგ ორმა ქართველმა მკვლევარმა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მიუნხენის სამხედრო არქივში მოიძია. ორივე მათგანმა მასალა ყურადღებით შეისწავლა და წყაროს მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებლად მიიჩნია მისი გამოქვეყნება. მათგან დავით პაიჭაძემ კრესის მოგონებები გერმანულად გამოსცა (1), ხოლო ნოდარ მუშკუდიანმა მოგონებათა თარგმანი შემოგვთავაზა (2). ორივე გამოცემას წინ უძღვის ისტორიული ნარკვევი, ასევე დართული აქვს შენიშვნები და კომენტარები.

რა ვიციტ მოგონებათა ავტორის შესახებ და როგორ აღმოჩნდა იგი საქართველოში?

კრესი წარმომავლობით ნიურნბეგელი წარჩინებულნი და საკმაოდ ძველი საგვარეულოს შთამომავალი იყო. XIX საუკუნის 10-იან წლებიდან მისი წინაპრები ბარონის ტიტულს ატარებდნენ და დიპლომატიურ თუ მუნიციპალურ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ.

ფრიდრიხ კრესი სამხედრო გზას გაჰყვა და I მსოფლიო ომში პოლკოვნიკის ჩინით ჯერ თურქეთის IV არმიის შტაბის უფროსი იყო, შემდეგ კი სათავეში ედგა მერვე თურქულ არმიას, რომელიც პალესტინის ფრონტზე ინგლისელთა წინააღმდეგ მოქმედებდა (3).

1918 წლის 27 აპრილს კონსტანტინოპოლში გაფორმდა გერმანია-ოსმალეთის საიდუმლო შეთანხმება, რომელიც ორ სახელმწიფოს შორის გავლენის სფეროების განაწილებას ითვალისწინებდა. შეთანხმება მოკლევადიანი იყო, მაგრამ თურქები არ ასრულებდნენ მის მოთხოვნებს

და მათთვის ბრესტის ზავით მიკუთვნებული მიწა-წყლის გარდა სხვა ქართული და სომხური ტერიტორიების დაუფლებას ესწრაფვოდნენ.

ასეთ პირობებში ბერლინში გადაწყვეიტეს (1918 წლის 13 მაისს) გამოეგზავნათ კავკასიაში სამხედრო ნაწილები და სამხედრო-დიპლომატიური მისია. მთავარი ამოცანა ამ აქციისა თურქების პრეტენზიების შეკავება და რეგიონში გერმანიის გაძლიერებისათვის ნიადაგის შეზადება იყო. გერმანია ფრთხილობდა რუსეთთან დამოკიდებულებაშიც, რათა ამ უკანასკნელს არ დაერღვია ბრესტის ზავის პირობები, მით უფრო, რომ რუსეთს არ ეთმობოდა ბაქო და მისი ნავთობი.

ბათუმის ცნობილმა მოლაპარაკებამ, რომელშიც ოსმალეთისა და ამიერკავკასიის წარმომადგენლობების გარდა გერმანიის დელეგაციაც მონაწილეობდა, ვითარება საქართველოს სასარგებლოდ შეცვალა. გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის გარანტობა იკისრა. ჯარების გამოგზავნა დაჩქარდა. 1918 წლის 8 ივნისს პირველი ეშელონი უკვე საქართველოში იყო.

ზურაბ ავალიშვილის სიტყვით, რომელიც იმხანად ბერლინში იმყოფებოდა, „კრესი გერმანიაში იშვიათ, თვალსაჩინო პიროვნებად ითვლებოდა“ (4, 109). როცა საქართველოში გამოსაგზავნად არჩევანი 40 წლის კრესზე შეჩერდა, მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა კავკასიაში ყოფნის ვადით. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კრესმა სამსახური რაიხსვერში განაგრძო და გენერლის სამხრეები უვადოდ დაიმსახურა. 1929 წელს იგი რაიხსვერის მესამე საარმიო ჯგუფის სარდლის თანამდებობას გამოემშვიდობა და თადარიგში გავიდა. გარდაიცვალა 78 წლისა, 1948 წელს (5).

გერმანიის სამხედრო შენაერთებთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა სამხედრო-დიპლომატიური მისია, რომელსაც სათავეში გენერალი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენ-შტაინი ედგა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან პირველ შეხვედრაზე კრესმა განაცხადა: „ჩვენ მოვედით თქვენს ქვეყანაში როგორც მეზობლები და დავიცავთ თქვენს ტერიტორიას, შევქმნით ისეთ პირობებს,

რომელიც ძლიერპყოვს ქართველ ერს. ... კავკასიის უძველეს მიწაზე ჩვენ მოგვიყვანა არა მარტო სამხედრო მიზნებმა, არამედ უდიდესმა სურვილმა, დავეხმაროთ ქართველ ხალხს, აღიდგინოს თავისი ძველი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა. ჩვენ აქ ვიმყოფებით არა როგორც გამარჯვებულები, არამედ როგორც მეგობრები და ეს არის საფუძველი ჩვენი შემდგომი თანამშრომლობისა“ (6, 106).

კრესმა და მისმა მისიამ საქართველოში 8 თვე დაჰყვეს. როგორც დიპლომატი და უმაღლესი სამხედრო წარმომადგენელი, კრესი სისტემატურად აწარმოებდა დღიურს. მასში ყოველდღიურად შეჰქონდა მნიშვნელოვანი შეხვედრების ამსახველი ცნობები, პირადი შთაბეჭდილებები ნანახისა და განცდილის შესახებ, დაკვირვებები, საქმიანი შენიშვნები და სხვ.

როგორც ცნობილია, მსოფლიო ომში ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკმა მარცხი განიცადა. ამას გერმანიაში ზედ დაერთო რევოლუციაც, რომელმაც კაიზერ ვილჰელმ II-ის ხელისუფლება დაამხო. ასეთ პირობებში გერმანია იძულებული გახდა საქართველოში მყოფი თავისი ჯარები უკანვე გაეწვია.

სამხრეთ კავკასია 1918 წლის ნოემბრიდან მოკავშირე სახელმწიფოთა კონტროლქვეშ გადავიდა და რეგიონში ახლა ბრიტანეთის სახედრო შენაერთები გამოიგზავნა. თბილისიდან მიმავალმა ფონ კრესმა თავისი დღიურები ჩექმის ძირში დამალა, ემინოდა, რომ ინგლისელებს არ ჩეაგდოთ ხელში, როგორც მამხილებელი ნივთმტკიცება. ბრიტანეთის გენშტაბის ოფიცერს კრესისთვის მართლაც პირადი ჩხრეკა ჩაუტარებია, მაგრამ დღიურები ვერ უპოვია. ასე გადარჩა ეს ძვირფასი მასალა, რომლის საფუძველზე ფონ კრესმა კავკასიაში გერმანიის წარმომადგენლობის მოღვაწეობის ამსახველი, მანქანაზე ნაბეჭდი 95 გვერდიანი ანგარიში შეადგინა, უწოდა მას “ჩემი მისია კავკასიაში” და 1943 წელს, როგორც აღვნიშნეთ, არქივს ჩააბარა.

ეს დოკუმენტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიისათვის მეტად საგულისხმო პირველწყაროა. ჩვენ არა ვართ განებივრებულნი ამ პერიოდის ამ

სახველი უცხოელ ავტორთა მემუარული თუ სხვა სარქივო მასალებით. ამდენად, კრესის მოგონებები ძალზე მნიშვნელოვანი და ღირებულია. იგი ავსებს და ამდიდრებს ჩვენს ცოდნას საქართველოს I რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბების, სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების ავ-კარგის, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარეობის, პოლიტიკური პარტიებისა და მათი ლიდერების საქმიანობის, ასევე იმ საშინაო და საგარეო სიძნელეების შესახებ, რომელთა დაძლევა ახლად წარმოშობილი სახელმწიფოს უმთავრეს ამოცანებს წარმოადგენდა.

ჩამოთვლილ საკითხებზე ფონ კრესის შეხედულებები რამდენიმე გარემოების გამოა ფასეული.

1. კრესი მის მიერ აღწერილი ყველა მოვლენისა თუ ამბის ან უშუალო თვითმხილველი და მონაწილეა, ანდა თანამედროვე, რომელსაც თუ პირდაპირი არაა, ირიბი შეხება მაინც ჰქონია მათთან.

2. კრესი ჩვენთვის საინტერესო თითქმის ყველა საკითხს მოუკერძოებელი კაცის პოზიციიდან უყურებს, ამიტომაც მისი შეფასებები, რომლებიც დაფუძნებულია პირად შთაბეჭდილებებზე, ფაქტობრივად თავისუფალია ტენდენციურობისაგან. ამის თქმის საფუძველს ისიც იძლევა, რომ ეს მოგონებები გამიზნული არ ყოფილა გამოსაქვეყნებლად და იგი მხოლოდ 1918 წელს წარმოებული დღიურის გავრცობილი ვარიანტია. დღიურებს კი, როგორც წესი, ავტორი თავის გულწრფელ განცდებს, ცინცხალ შთაბეჭდილებებს ანდობს და არა იმგვარ მოსაზრებებს, რომელთა ჩამოყალიბებაზე შემდგომში, შესაძლოა, გავლენა იქონიოს მრავალმა გარემოებამ, მათ შორის სხვათა შეხედულების გაცნობამ, ამა თუ იმ პიროვნებასთან უფრო დაახლოებამ ან დაშორებამ და სხვ.

3. მოგონებები საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ იგი სხვა კულტურის მატარებელ, უცხოელ ადამიანს ეკუთვნის. კრესი ქართველთა ცხოვრება-საქმიანობის ბევრ ისეთ ნიუანსზეც ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც ჩვენსავე მემატიანეს შეიძლება აღნიშვნის ღირსად არც კი ჩაეთვალა. არადა, სწორედ ამგვარი ნიუანსები გვეხმარება, უფრო

ღრმად ჩაწვდეთ ეპოქის სულს, გავაცოცხლოთ, შინაარსიანი და სახიერი გავხადოთ ისტორია.

4. კრესის მოგონებები გამოირჩევა აგრეთვე ნდობის მაღალი ხარისხით. მემუარისტის მიერ აღწერილი ფაქტების შეჯერება სხვა წყაროებთან, დიდწილად ამ ფაქტების სისწორეს, მათ უტყუარობასა და სიზუსტეს ცხადყოფს.

საქართველოში ჩამოსულ ფონ კრესს კარგად შეუმჩნევია ჩვენი ქვეყნის საუკუნოვანი კოლონიური ყოფის მძიმე მემკვიდრეობა. იგი რამდენიმე ფრაზით, მოკლედ, მაგრამ ზუსტად აღნიშნავს კოლონიური მხარისადამი მეტროპოლიის დამოკიდებულების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებს. მემუარისტის სიტყვით: „მოსახლეობა იტანჯებოდა რუსული ადმინისტრაციის კორუფციის უღელქვეშ. ... ყველა ჩინოვნიკი, მასწავლებელი და ა.შ. კავკასიაში წმინდა სისხლის რუსები იყვნენ; კავკასიელებს მხოლოდ საკუთარი სამშობლოს გარეთ იყენებდნენ სახელმწიფო სამსახურში. ... ვაჭრობას და მრეწველობას, ასევე კავკასიის მდიდარი ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლუატაციას რუსები არა მარტო ახალისებდნენ, არამედ ნაციონალური ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად ძირს უთხრიდნენ კიდევ“ და სხვ. (2, 75-76).

მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია გავეცნოთ ფონ კრესის ზოგიერთ შეხედულებას მის თანადროულ ქართულ სინამდვილეზე და ვნახოთ როგორ ასახავს გერმანელი ავტორი აქაურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ რეალობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში.

დავიწყოთ მთავრობით. კრესი წერს: „ყველა მინისტრი, ფინანსთა მინისტრი ჟურულის გამოკლებით, ზომიერ სოციალ-დემოკრატებს – მენშევიკებს წარმოადგენდნენ. პროფესიით, უმეტესწილად, ლიტერატორები და ჟურნალისტები [იყვნენ]. თავიანთი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ციმბირში ანდა რუსულ საპყრობილეებში ჰქონდათ გატარებული. ისინი შესანიშნავად განათლებული, კარგად აღზრდილი და საკმაოდ კარგი საურთიერთო ადამიანები და, ეჭვგარეშეა, კეთილი ნებით ფრთაშესხმული ჭეშმარიტი პატრიოტები იყვნენ“ (2, 78-79).

აქ აუცილებელია რამდენიმე მცირე კომენტარი: ფონ კრესი ცდებოდა, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას წარმოაჩენს როგორც თითქმის ერთპარტიულს. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, 1918 წლის 26 მაისს შექმნილ საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) დომინანტობდნენ, მაგრამ ყველა მინისტრი მათი პოლიტიკური ორგანიზაციიდან არ ყოფილა შერჩეული. მთავრობა კოალიციური პრინციპით ჩამოყალიბდა და მინისტრების პორტფელები სხვა პარტიების წარმომადგენლებსაც ერგოთ. მათ შორის, გიორგი ჟურული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, ივანე ლორთქიფანიძე (გზათა მინისტრი) ესერთა, ხოლო გიორგი ლასხიშივილი (განათლების) და შალვა ალექსი-მესხიშივილი (იუსტიციის მინისტრი) ფედერალისტურ პარტიას წარმოადგენდნენ.

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისის შემდგომ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების – მენშევიკებისათვის დამახასიათებელი იყო ნიჰილიზმი და პრორუსული მიდრეკილებანი, შეიძლება უჩვეულოდ მოგვეჩვენოს კრესის ფრაზა ნოე ჟორდანიას თანაპარტიული მინისტრების „ფრთაშესხმულ“ და „ჭეშმარიტ“ პატრიოტობაზე. მაგრამ აქ სიმართლე მემუარისტის მხარესაა. ქართველი მარქსისტების ნაწილმა მენშევიკების სახით 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებიდან მოკიდებული კოსმოპოლიტურიდან რომ ეროვნულ ნიადაგზე გადმონაცვლა, ეს თავის დროზე გერონტი ქიქოძემ შენიშნა. პუბლიცისტი 1919 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ეროვნული ენერჯია“, წერდა: „როგორც იდეური ბელადი, ჟორდანიას, რასაკვირველია, წინ უსწრებს თავის პარტიულ ლაშქარს. მაგრამ მისი პირადი ევოლუცია არსებითად მთელი ქართველი სოციალ-დემოკრატიის ევოლუციაა. მსოფლიო ომი და რუსეთის რევოლუცია კარგი სკოლა იყო ამ ხალხისათვის. მათ თანდათან ისწავლეს საკუთარი თვალეებით ცქერა და საკუთარი ფეხებით სიარული. ჩვენი სამშობლოს მზემ ნელ-ნელა გააღხო მათი გაყინული დოგმები“ (7, 140). დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლე-

ბაში მოსვლისას სოციალ-დემოკრატებს თავიანთი განვლილი გზა არ დაუგმიათ და ერთბაშად არც ადრინდელ შეხედულებებს გამოთხოვებიან. კრესის სიტყვით, „პარტიის პროგრამისადმი ანგარიშის გაწევა ხშირად აიძულებდა მინისტრებს, ჯანსაღი აზრის საწინააღმდეგოდ ეთქვათ უარი საჭირო და გამართლებულ ღონისძიებებზე“. მაგრამო, დასძენს უცხოელი ავტორი, „მოვლენებმა მათ ძალიან მალე აუხილა თვალი თეორიასა და პრაქტიკას შორის განსხვავებაზე. ... ჩვენთვის ... საინტერესო იყო გვენახა, თუ როგორ გახდნენ იძულებულნი, რეალობის და დაკისრებული პასუხისმგებლობის სიმძიმის ზეგავლენით, ხელისუფლებით აღჭურვილი მარქსისტი თეორეტიკოსები ერთმანეთის მიყოლებით გაეწირათ თავიანთი ღოზუნგები და იდეალები“ (2, 79, 83.)

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების ამგვარი ტრანსფორმაცია – პარტიული დოგმებიდან ცხოვრებით ნაკარნახევი საკითხებისაკენ შემობრუნება – სხვა წყაროებითაც დასტურდება და ეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია კიდევ. მაგალითად, საქართველოში განხორციელებული აგრარული რეფორმა, რომელმაც მიწაზე კერძო საკუთრება დააკანონა, ძირეულად ეწინააღმდეგებოდა ამ საკითხზე სოციალ-დემოკრატთა პროგრამულ დებულებას (8, 246-247) და სხვ.

დასამალი არ არის: ქართველი სოციალ-დემოკრატები თავიანთ სამშობლოდ კარგა ხანს რუსეთის იმპერიას მიიჩნევდნენ და მისი დემოკრატიული გარდაქმნისათვის იბრძოდნენ, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც მცირე ხანს თვალი კვლავ ჩრდილოეთისაკენ ეჭირათ, მაგრამ როცა გამოერკვნენ, რომ „სამშობლო ერთია ქვეყანაზე“ და იგი მათთვის საქართველოა, ახლა საქართველოს სამსახურში ჩადგნენ. სახელმწიფოს გაძლოლაში მმართველი ძირითადი ძალის მიერ დაშვებული ცალკეული შეცდომა არ იძლევა საფუძველს, ეჭვი შევიტანოთ ნოე ჟორდანიას მთავრობის კეთილსინდისიერებასა და პატრიოტიზმში. ფონ კრესის მოხმობილი დახასიათება გამოთქმულ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს და დამაჯერებელს ხდის.

მოვესმინოთ ისევ მემუარისტს. კრესი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის წევრებს აკლდათ სახელმწიფო საქმეების გაძღოლის უნარ-ჩვევები. „გამოცდილი რუსი მოხელეები დაუყოვნებლივ განდევნეს და ისინი მოუშადადებელი მმართველებით შეცვალეს, რომლებიც მცირე გამონაკლისის გარდა, თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ვერ ასრულებდნენ. როგორც ყოველი რევოლუციისას ხდება ხოლმე, მათი შერჩევის დროს გადამწყვეტი იყო არა იმდენად ვარგისიანობა და უნარი, არამედ უფრო მეტად მათი პოლიტიკური პოზიცია” (2, 78), ხაზს უსვამს მოგონებათა ავტორი.

ფონ კრესის ეს დაკვირვებაც სინამდვილეს შეეფერება. მეფის რუსეთის მოხელეთა უმეტესობა მართლაც ჩამოაცილეს სახელმწიფო სამსახურს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ჩინოვნიკთა მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დატოვება, თუნდაც მათი პროფესიონალიზმის გამო, დიდად გამართლებულ ქმედებად ვერ ჩაითვლება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით ყალიბდებოდა სულ სხვა, რუსეთის კოლონიური უღლისაგან თავდაღწეული ქართული სახელმწიფო, რომლის მოხელეთა აპარატი ძველ იმპერიულ კონტიგენტს ვეღარ დაეყრდნობოდა. ამიტომ საქართველოს ახალ მესვეურთა გამტყუნება ამ საკითხში სწორი არ იქნება. თუმცა ქართველი სოციალ-დემოკრატები კადრების შერჩევაში ნამდვილად ცოდავდნენ, როცა მოხელეთა აბსოლუტურ უმრავლესობას მხოლოდ თავიანთ პარტიასა და თანამოაზრეთა წრეებში არჩევდნენ. მაგრამ ამგვარი რამ მხოლოდ მათთვის როდი იყო დამახასიათებელი. თუ თვალს გადავაავლებთ საქართველოს დამოუკიდებლობის ხელმეორედ აღდგენის შემდგომ, 1991 წლიდან დღემდე განვლილ ოცწლიან ისტორიას, აღმოვაჩინებთ რომ, სამწუხაროდ, ყველა ხელისუფლება, ამჟამინდელის ჩათვლით, ასე მოიქცა. სახელმწიფო სტრუქტურების დაკომპლექტებისას გამოცდილებასა და კომპეტენციაზე მაღლა პიროვნებათა პარტიული კუთვნილება და პირადი ერთგულება დააყენა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მსგავს შეფასებას სხვა უცხოელი დამკვირვებ-

ლის ჩანაწერებშიც ვხვდებით. მაგალითად იმ ხანად საქართველოში მყოფი ცნობილი ფრანგი სამხედრო მოღვაწე რემონ დიუგე შენიშნავდა: „ამ მთავრობის საშინაო პოლიტიკამ არავინ დააკმაყოფილა; მიწებისა და რამდენიმე მომგებიანი ინდუსტრიული საწარმოს ნაციონალიზაციამ მეურნეობა განადგურებამდე მიიყვანა. მენშევიკური ხელისუფლება პარტიულ ინტერესებს უფრო მადლა აყენებდა, ვიდრე ეროვნულს. ... მოსკოვთან ურთიერთობაში ქართული მთავრობა მიამიტი იმედით იკვებებოდა. სჯეროდა, რომ ბოლშევიკებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ექნებოდათ მენშევიკებთან, თავიანთ სოციალისტ ძმებთან“ (9, 7).

საქართველოში მყოფი გერმანიის მისია უყურადღებოდ არ ტოვებდა მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ პარტიებს, იცნობდა მათ ლიდერებს და თვალს ადევნებდა ოპოზიციურ ძალთა საქმიანობას. ვნახოთ, როგორი წარმოდგენისა იყო ფონ კრესი ქართული ოპოზიციური სპექტრის შესახებ.

კრესს, როგორც მონარქისტული ქვეყნის წარმომადგენელ სამხედროს, სოციალისტებთან შედარებით მეტი სიმპათია მემარჯვენე ორიენტაციის ძალებისადმი უნდა ჰქონოდა და ეს ასეც იყო, მაგრამ მემუარისტს მაღალი აზრი არც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიმართ გააჩნდა. აღნიშნავს, რომ: „პარტიის წევრებს ყოველგვარი ორგანიზატორული ნიჭი, ყოველგვარი ენერჯია და შემოქმედებითი ხალისი ეკარგებოდათ და ფუჭსიტყვაობაში იხარჯებოდნენ. ... ნაცვლად იმისა, რომ მკაცრი პარტიული ორგანიზაციის, მიზანმიმართული პროპაგანდის, მათი მისწრაფებების მხარდამჭერი პარტიული პრესის დაფუძნებისათვის სახსრების გამოძებნის საშუალებით პრაქტიკულად ემუშავნათ, ეროვნულ-დემოკრატების მოღვაწეობა უნაყოფო მეოცნებეობით, კრიტიკა და დეკლარაციებით ამოიწურებოდა. მმართველი პარტიის ტერორით შეშინებულები, ისინი მთელ იმედებს [მაინც] უცხო ძალის დახმარებაზე ამყარებდნენ, უხვნელ-უთესველად სურდათ მოსავლის მოწევა“ (2, 109).

ფონ კრესის სიტყვით, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ცდილობდნენ ჩემს წაქეზებას სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ და თავი-

ანთი გეგმების სასარგებლოდ გადაბირებას“ (2, 107). ეროვნულ-დემოკრატიებსა და მოსახლეობის ფართო ფენებს სჯეროდათ, რომ გერმანელები მათ დაეხმარებოდნენ სოციალ-დემოკრატიების წინააღმდეგ ბრძოლასა საკუთარი ჩამორთმეული ქონების დაბრუნებაში. ისინი ამ იმედებს საჯაროდ გამოთქვამდნენ (10, 3).

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთდამოკიდებულების გასააზრებლად ძალზე საყურადღებოა ფონ კრესის მოგონებებში დაცული ცნობა, რომელიც უცხო ძალის გამოყენებით არსებული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის მცდელობას შეეხება. კრესი გადმოგვცემს: გერმანულ მისიასთან ახლო მდგომმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა სცადეს ჩვენით ესარგებლათ და არც მაღაფდნენ, რასაც ჩვენგან მოელოდნენ – ჩვენ მათ სოციალ-დემოკრატიული მთავრობის დამხობაში უნდა დაეხმარებოდით. „ეროვნულ-დემოკრატიების წარმომადგენლები ცდილობდნენ ჩემს წაქეზებას სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ და თავიანთი გეგმების სასარგებლოდ გადაბირებას“ (2, 108). ეროვნულ-დემოკრატიებში ღრმა იმედგაცრუება იჩენდა თავს „იმის გამო, რომ მე საქართველოს საშინაო პოლიტიკურ ამბებში უფრო რადიკალურად არ ვერეოდი და მხარს არ ვუჭერდი მათ ბრძოლას სოციალ-დემოკრატიების წინააღმდეგ“ (2, 108).

ქართულ ოპოზიციურ ძალებში რომ მართლაც იყვნენ მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელისუფლებისაგან სამხედრო ჩარევით ჩამოცილების მომხრენი, მკაფიოდ მოწმობს გიორგი მაჩაბლის ერთი გვიანდელი წერილი სპირიდონ კედიასადმი, რომელიც დაცულია ამ უკანასკნელის პირად არქივში. გიორგი მაჩაბელი იხსენებს თბილისში გამართულ ეროვნულ-პატრიოტული ძალების წარმომადგენელთა (ძირითადად 1914 წელს ევროპაში ჩამოყალიბებული საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრების) შეხვედრას გენერალ ფონ კრესთან და აღნიშნავს: „გახსოვს ჩვენი კრება ტფილისში, როდესაც კრესმა დაგვისვა კითხვა, თუ ჩვენი ჯგუფი რას ჰფიქრობს სოციალისტების მთავრობაზე და თუ ჩვენ გვსურს მათ-

თან თანამშრომლობა?... ლეოს (ლეო კერესელიძე გერმანელთა მხარდაჭერით ოსმალეთში შექმნილი ქართული სამხედრო შენაერთის ერთ-ერთი მეთაური იყო, – ო. ჯ.) სიტყვები დღემდის მისტვენენ ყურებში, თუ რა შეცდომას ჩავლიოდით, რატომ არ ვსარგებლობთ გერმანელებით, ჩვენი ლეგიონით და სხვა” (11, 47).

ესება რა ამ საკითხს, ფონ კრესი შენიშნავს, რომ „ხელისუფლების ასეთი გზით შეცვლა არც გერმანიის და არც საქართველოს ინტერესებს არ შეესაბამებოდა, მით უფრო, რომ ახალგაზრდა რესპუბლიკის თანდაყოლილი ნაკლის გამოსწორებას მემარჯვენეები მმართველ სოციალისტებზე უფრო სწრაფად ვერ შეძლებდნენ” (2, 37). კრესი ურჩევდა ოპოზიციას, რომ „საქართველოს საშინაო-პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესება ევოლუციის და არა რევოლუციის გზით იყო შესაძლებელი” (2, 109).

ყოველივე ამასთან ერთად, კრესის მახვილ თვალს არ გამოპარვია ხელისუფლებასთან ყველაზე უფრო დაპირისპირებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთი, სახელმწიფოებრივად სწორი ტაქტიკური მოქმედება. მოგონებების ავტორი აღნიშნავს: “საშინაო პოლიტიკაში ეროვნულ-დემოკრატები ... მწვავე ოპოზიციაში ედგნენ მთავრობას და მაინც ძალიან მოსაწონი იყო, რომ ყველა ეროვნულ და საგარეო პოლიტიკურ საკითხში ყოველგვარი ოპოზიცია დუმილს ირჩევდა” (2, 108).

ქართულ ოპოზიციურ ძალებთან გერმანიის მისიის დამოკიდებულების საილუსტრაციოდ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც 1933 წელს საბჭოთა პრესაშიც გამოქვეყნდა. ეს არის 1918 წლის 8 სექტემბრით დათარიღებული გენერალ ფონ კრესის მოხსენებითი ბარათი გერმანიის რაიხსკანცლერ გრაფ ფონ გერტლინგისადმი. გენერალი თავის მთავრობას სთავაზობდა: ხალხმა რომ დაინახოს – გერმანია მხოლოდ ერთი – თვით მმართველი პარტიის მხარეზე არა დგას და სურს დაეხმაროს მთლიანად ქართულ სახელმწიფოს, სასურველი იქნება ქვეყნის ხელმძღვანელ პირთა მსგავსად გერმანული ორდენებით ოპოზიციის ლიდერებიც დავაჯილდოვოთ. კრესი ითხოვდა, განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა „მისი აღმატებუ-

ლებისათვის ცნობილ ეროვნულ-დემოკრატი ბელადს სპირიდონ კელიას“ (12; 13).

იმ პერიოდის ქართული პრესის ფურცლებზე, განსაკუთრებით 1917-1918 წლების ჟურნალ-გაზეთებში, ხშირად ვხვდებით ინფორმაციას ძარცვის, ყაჩაღობის, ქურდობის, ერთი სიტყვით, არსებული მძიმე კრიმინალური ვითარების შესახებ. ზოგადად, რევოლუციის შემდგომი და გარდამავალი პერიოდებისათვის ნიშანდობლივი ამგვარი თავაშვებულობა შეუმჩნეველი არ დარჩენია ფონ კრესსაც. ამასთან დაკავშირებით მემუარისტი წერს: „დამახასიათებელია კავკასიის მაშინდელი ვითარებისათვის შემდეგი პატარა შემთხვევა: როცა ერთხელ ანანოვთან ერთად გოლოვინის პროსპექტზე მივდიოდი, ჩვენ ერთი პიროვნება შემოგვხვდა, რომელიც თავისი კარგი შესახედობით და ზღაპრული ელეგანტურობით თვალში მომხვდა. ბ-ნი ანანოვიც ხასგასმული თავაზიანობით მიესალმა მას. ჩემს კითხვაზე, თუ ვინაა ეს ბატონი, ბ-ნმა ანანოვმა მიპასუხა: „ეს არის თავადი „x“. იგი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე საშიში ყაჩაღია, ორი წლის წინ მან მთებში დამიჭირა, თავის სასახლეში წამიყვანა და ძალიან დიდი გამოსასყიდი თანხა გამომძალა. მე ტყვეობის განმავლობაში, როგორც სტუმარს, დიდი პატივით მექცოდნენ, მაგრამ უეჭველად დავიდუპებოდი, გამოსასყიდი რომ არ გადამეხადა“. ჩემ კითხვაზე, განთავისუფლების მერე რატომ არ განუცხადა ამ კაცზე ხელისუფლებას, ანანოვმა მომიგო: „მე არც კი დავფიქრებოდი, ამას გაგაკეთებდი, მაგრამ ხელისუფლებაში რომ განმეცხადებინა, დღეს ჩემი ოჯახის არც ერთი წევრი ცოცხალი არ იქნებოდა“ (2, 103).

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი აღშენებლობის პროცესზე დაკვირვებამ ფონ კრესს ერთი მწარე სიმართლეც ათქმევინა: „რამდენადაც მგზნებარე იყო ქართველების მისწრაფება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ, იმდენად ნაკლებმომწიფებულნი იყვნენ ისინი აქედან გამომდინარე ამოცანების გადასაჭრელად“ (2, 109). კრესს არ ევალებოდა და იგი არც დაინტერესებულა, თუ რით იყო ეს გამოწვეული. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ საქართველოს ხანგრძლივ სახელმწიფოებრივ

წყვეტილზე, რუსეთის იმპერიულ მფლობელობაში მყოფი ქართველი ხალხის სახელმწიფოსაგან გაუცხოებაზე, მმართველობითი აპარატისგან მის სრულ ჩამოშორებაზე, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე სოციალ-დემოკრატიულ არაქართულ ცნობიერებასა და აზროვნებაზე და სხვ., მაგრამ ეს იქნება პრობლემის ახსნის მცდელობა, რაც ვერაფრით შეცვლის თვით ფაქტს, რომელმაც, რა თქმა უნდა, თავისი უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს შემდგომ ბედზეც.

დაზუსტებას საჭიროებს გერმანელი ავტორის ერთი ცნობა, რომ თითქოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს სათავეში ედგა ირაკლი წერეთელი (2, 79). სინამდვილეში, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე იყო ნოე ჟორდანიას, ხოლო 1919 წელს არჩეულ დამფუძნებელ კრებას ხელმძღვანელობდა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე.

სწორ თვალსაზრის ანვითარებს გენერალი კრესი საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამხედრო მშენებლობის, კერძოდ, შეიარაღებული ძალების ფორმირებასთან დაკავშირებითაც. წერს, რომ „ქართული არმია 10 ათას კაცს შეადგენდა და 100-ზე მეტი ქვემეხი ჰქონდა შეიარაღებაში. მისი საბრძოლო თვისებები არაჩვეულებრივად მცირე გახლდათ. რევოლუციური ზეგავლენის წყალობით, არმიაში დისციპლინა მთლიანად მოშლილი იყო: ჯარისაკცები უგულისყუროდ ეკიდებოდნენ თავიანთ სამხედრო ჩაცმულობასა და გარეგნულ იერ-სახეს, არ ესალმებოდნენ თავიანთ ოფიცრებს და ამ უკანასკნელთ აშკარად ეშინოდათ თავიანთი ხალხის“ (2, 80).

კრესი ყურადღებას ამახვილებს ერთ, მისთვის უჩვეულო, მაგრამ ჩვენთვის არც თუ უცნობ გარემოებაზეც. მივაქციოთ ყურადღება მემუარისტის ნათქვამს: „ქართველობის მიერ ჩემთვის საექსპერტიზოდ წარმოდგენილი სამხედრო სამინისტროს ორგანიზაციის გეგმა პატარა არმიისათვის ითვალისწინებდა – ნამდვილად აღმოსავლური ხელგაშლილობით – ძალიან დიდსა და ძვირადღირებულ აპარატს“ (2, 91). სწორედ ამიტომაც – „მუშაობა არმიის რეორგანიზების ხაზით ნელა მიიწვედა წინ“, თუმცა ბოლოს დაგვიჯერეს და ჩვენი ზეწოლით საქმე მაინც იმდენად

წარმატებით განვითარდა, რომ ქართველებმა საკუთარი ძალებით შეძლეს სომხების უკუგდება, როცა მათ გერმანიის ჯარების თბილისიდან წამოსვლის მეორე დღეს მოღალატურად და ომის გამოუცხადებლად გადმოლახეს საქართველოს საზღვარი” (2, 91).

საქართველოს მეფის რუსეთის არმიაში ნამსახური, ომებში გამოწვრთობილი მრავალრიცხოვანი გენერალიტეტი და ოფიცრობა ჰყავდა. ამ პროფესიონალ სამხედროთა დიდი ნაწილი უყოყმანოდ ჩადგა სამშობლოს სამსახურში და მზადყოფნა გამოთქვა, თავისი წვლილი შეეტანა ქართული შეიარაღებული ძალების მშენებლობაში. სამწუხაროდ, ქართული რეგულარული ჯარის ფორმირება ფინანსური დეფიციტის, საგარეო გართულებებისა და სამხედრო შეტაკებების ვითარებაში (ომი სომხეთთან, თავდაცვა ოსმალთა თუ დენიკინის შემოტევისაგან, საბჭოთა რუსეთის აგრესია), ნაჩქარევად წარმოებდა, ხარვეზებიც ახლდა, თუმცა მაინც მოხერხდა ბრძოლისუნარიანი და მობილური, 20-30 ათას კაციანი არმიის ჩამოყალიბება.

კრესი სწორედ შენიშნავს, რომ ქართველებს სომხებზე მიღწეული გამარჯვების გამოყენებაში ინგლისელებმა შეუშალეს ხელი (2, 125). მართლაც, 1918 წლის 9 დეკემბერიდან მიმდინარე სომხეთ-საქართველოს ომი, რომელიც ბორჩალოს რაიონში სომხური ჯარების შემოჭრით დაიწყო, მალე ქართველთა უპრატესობაში გადაიზარდა. შულავერთან გადამწყვეტ ბრძოლაში მოწინააღმდეგემ მიატოვა პოზიციები და უკან დაიხია. სწორედ ამ დროს მოკავშირეთა არმიის სარდლობამ მედიატორობა იკისრა. მისი შუამავლობით, 1918 წლის 31 დეკემბერს საომარი მოქმედებები შეწყვეტილ იქნა. საქართველოს კუთვნილი ბორჩალოს მაზრის ტერიტორია ლორეს ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე აქ მორიგეობით უნდა მდგარიყო ქართული და სომხური ჯარი, შერეული უნდა ყოფილიყო დროებითი ადმინისტრაციაც, რომელსაც მოკავშირეთა წარმომადგენელი ხელამხედველობდა.

სამხედრო ამბებზე კრესის შეხედულებები სრული არ იქნება, თუ არ დავიმოწმეთ მისი მკაფიოდ უარყოფითი აზრი სახალხო გვარდიის შესახებ.

მთავრობა ეყრდნობოდა „წითელ გვარდიას, რომელიც რევოლუციური ჯარის ყველაზე უარესი სახეობა იყო“, წერს კრესი. გვარდიას „თავის დროზე ქვეყანაში ბოლშევიკური ელემენტების განადგურებაში გარკვეული დამსახურება მიუძღოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ქვეყნის გვერდამ და ვაებად გადაიქცა“. გვარდია „თავის რიგებში უბოროტეს ელემენტებს აერთიანებდა, ყოველად უსირცხვილო, პრეტენზიულ მოთხოვნებს აყენებდა ანაზღაურებისა და სურსათ-სანოვაგის თაბაზე, ... ატერორებდა ქვეყანასა და მთავრობას ყველაზე საშინელი ფორმით... ყველა რესტორანსა და სასადილოს გვარდიის სასარგებლოდ 20%-იანი გადასახადი ჰქონდა შეწერილი” და სხვა (2, 79-80).

სახალხო გვარდიას უფრო ნეგატიურად ახასიათებს და „პრეტორიანულს“ უწოდებს ზემოთ ნახსენები ფრანგი ავტორი რემონ დიუგე. მისი სიტყვით: „წითელ გვარდიაში რეალურად არავითარი წესრიგი არ ყოფილა. იყო „საკუთარი გუნება-განწყობილების დისციპლინა“. ... გვარდია იყო სრულიად არეუქტური ორგანიზმი. ... ქართულ გვარდიას ჰქონდა არა მარტო ყველა ეპოქის ეროვნული გვარდიის ხარვეზები, არამედ ნელ-ნელა შეიძინა სოციალისტური გვარდიის მანკიერებანიც“ (9, 18-19).

სახალხო გვარდიის, როგორც მებრძოლი სამხედრო შენაერთის ხარვეზებზე და რეგულარულ არმიასთან მისი თანაარსებობის უარყოფით შედეგებზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის არსებობის პერიოდში საუბარი ქართულ წყაროებშიც მრავლად გვხვდება. ამ მხრივ აღსანიშნავია გენერლების გიორგი კვინიტაძისა და გიორგი მაზნიაშვილის, პოლიტიკურ მოღვაწეთა – რევაზ გაბაშვილის, დათა ვაჩნაძისა და სხვათა მოგონებები.

ცნობილია, რომ ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობის აქტით, საქართველო საერთაშორისო ომიანობაში ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადა. ამასთან დაკავშირებით გენერალი ფონ კრესი მიუთითებს: „ქართველი სოციალ-დემოკრატები გარედან მიმართული ყველა საშიშროებისაგან თავდაცვას იმით ფიქრობდნენ, რომ ნეიტრალიტეტი გამოეცხადებინათ და ეს მეზობლებისათვის ოფიციალურად ეცნობებინათ.” მაგ-

რამ მალე „საკუთარ ტყვეზე იწვინეს, რომ კეთილს არ ძალუძს მშვიდობაში იცხოვროს, როცა ეს ბოროტ მეზობლებს არ მოსწონთ” (2, 83). უნდა დავეთანხმოთ ბევრის მნახველ და გამოცდილ უცხოელ მოღვაწეს.

ისეთ რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, როგორიც სამხრეთ კავკასიაა, სადაც უძველესი დროიდან იკვეთებოდა და დღესაც ერთმანეთს ეჯახება დიდ სახელმწიფოთა სტრატეგიული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინტერესები, ნეიტრალიტეტი თავდაცვის ეფექტური საშუალებად ვერ ჩაითვლება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის მისი განხორციელებაც ერთობ არარეალური ჩანდა, თუმცა მიმდინარე მსოფლიო ომში ქართული სახელმწიფოს მშენებელთა სამშვიდობო მისწრაფებას ნამდვილად ცხადყოფდა.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ფონ კრესის დაკვირვება აფხაზეთის საკითხზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მემუარისტის სიტყვით: „აფხაზეთის მთელი მოსახლეობა ქართველების მხარეს იდგა, მხოლოდ ზოგიერთმა მსხვილმა მიწათმფლობელმა, რომელთაც თბილისის სიციალისტური მთავრობის მიერ მათი სამფლობელოების კონფისკაციის ეშინოდათ, მიმართეს თურქეთს დახმარებისათვის” (2, 88).

იმ დროისათვის აფხაზეთის მოსახლეობის პოლტიკური ორიენტაცია ერთგვაროვანი არ ყოფილა. მხარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში რამდენიმე მიმდინარეობა გამოიყოფოდა. ერთი პროოსმალურ ორიენტაციას ამჟღავნებდა, მეორე სიმპათიას მთიელთა კავშირისადმი იჩენდა, მესამე ბოლშევიკურ მოწოდებებს თანაუგრძნობდა. არსებობდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის მომხრე ჯგუფიც. მთელი სამურზაყანო, გუდაუთელ გლეხთა და სოხუმის მუშათა ნაწილი კი საქართველოსთან შეერთებას მოითხოვდა.

გერმანელთა საქართველოში ყოფნის პერიოდში, კერძოდ 1918 წლის 6 ივნისიდან თბილისში მიმდინარეობდა მოლაპარაკება აფხაზთა სახალხო საბჭოს დელეგაციასა და საქართველოს მთავრობას შორის, რომელიც 11 ივნისს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასრულდა. ამ დო-

კუმენტის ძალით, აფხაზეთი რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში და მას ენიჭებოდა სრული შინაგანი ავტონომია. საქართველოს მთავრობა კისრულობდა, სამხედრო-ეკონომიკური დახმარება გაეწია აფხაზეთისთვის, რომლის პოლიტიკური მოწყობის საკითხი უახლოეს მომავალში დემოკრატიულ საწყისებზე მოწვეულ მთელი მოსახლეობის ყრილობას უნდა გადაეწყვიტა.

1918 წლის ივნისის მეორე ნახევარში, მას შემდეგ, რაც გაგრასა და გუდაუთაში ბოლშევიკური ამბოხება მოეწყო ამ კუთხის საქართველოდან მოწყვეტისა და რუსეთთან შეერთების მიზნით, აფხაზთა სახალხო საბჭოს ოფიციალური თხოვნით, იქ სახალხო გვარდიისა და ქართული ჯარის ნაწილები შევიდნენ.

საქართველოს მთავრობამ ამ საბრძოლო ოპერაციაში მონაწილეობა გერმანიის სამხედრო მისიასაც შესთავაზა. თხოვნა განპირობებული იყო იმ მოტივით, რომ აფხაზეთში თურქული დესანტის გადმოსხმაც იგეგმებოდა. რაკი ოსმალეთი გერმანიის მოკავშირე იყო, საქართველოს ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ სოხუმში გერმანიის ჯარის გამოჩენა თურქებს თავიანთ განზრახვაზე ხელს ააღებინებდა.

გაზეთ “საქართველოს“ ინფორმაციით, თურქულმა დესანტმა აფხაზეთი სწორედ გერმანელების მოთხოვნით დატოვა. „გენერალმა ფონ კრესმა განუცხადა ოსმალეთს, რომ ოსმალეთის გადადგმული ნაბიჯი სრულიად ეწინააღმდეგება საერთაშორისო ხელშეკრულებებს და იმ მოვალეობას, რომელიც გერმანიამ იკისრა საქართველოს რესპუბლიკის მიმართ“ (14).

მცირერიცხოვანი გერმანული შენაერთი სოხუმში შევიდა. პორტსა და საკრებულოს შენობის თავზე გერმანიის დროშა აფრიალდა. გაზეთის კორესპონდენტის სიტყვით, ამან გააღიზიანა ადგილობრივი რუსები, რომლებმაც მასხრად აიგდეს გერმანელი მაღალჩინოსანი სამხედროები. სოხუმის საკრებულოში შესულ გერმანელებს მოასმენინეს მარსელიოზა და ფეხზე ადგომაც კი აიძულეს.

გერმანელებმა ჩამოსხნეს თავიანთი დროშა და სოხუმში დატოვეს. მართალია, სოხუმელ რუსებს ეს ძალიან გაუხარდათ, მაგრამ გერმანელების წასვლამ აქეთკენ გზა გა-

უხსნა თურქებს. მცირე ხანში აფხაზი თავადი ალ. მარშანია გუდაუთაში გამაგრებულ ბოლშევიკებთან ბრძოლის საბაბით, ახალ ათონთან 600 კაციან თურქულ დესანტს შემოუძღვა.

ქართულმა სამხედრო შენაერთებმა აფხაზეთი დაიკვეს ოსმალეთის აგრესიისაგან. მათ განდევნეს თურქ ასკერთა დესანტი, აღკვეთეს ქაოსი და ანარქია, მაგრამ ყოველივე ამან 55 მებრძოლის სიცოცხლე შეეწირა.

კრესის მოგონებები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველო-გერმანიის ეკონომიკური ურთიერთობის წარმოსახენად. ჩვენ აქამდე ვიცოდით ამ ორ ქვეყანას შორის 1918 წლის 28 მაისს ფოთში ხელმოწერილი ხელშეკრულებები, ასევე იმავე წლის ოქტომბერში გერმანიაში მყოფი ქართული დელეგაციის მიერ (აკაკი ჩხენკელი, ნიკო ნიკოლაძე, ზურაბ ავალიშვილი და სხვ.) მიღწეული შეთანხმებები, რომლებიც გერმანიაში განვითარებული მოვლენების გამო ძალაში აღარ შესულა (15, 37).

კრესის თანახმად, საქართველოში დიპლომატიურ მისიასთან ერთად მოვლინებულმა გერმანული მძიმე მრეწველობის წარმომადგენელმა დოქტორმა კინდმა მოახერხა საქართველოს მთავრობასთან ეკონომიკური ხასიათის მთელი რიგი ხელშეკრულებების ხელმოწერა, რომლებიც ერთნაირად მომგებიანი იყო ორივე ქვეყნისათვის. ამ ხელშეკრულებების მიხედვით, გერმანულ-ქართულ შერეულ კომპანიებს, რომლებშიც გერმანული მრეწველობა 51 %-ით იყო წარმოდგენილი ... ფოთის ნავსადგურისა და ჭიათურისკენ მიმავალი რკინიგზის განშტოების რეკონსტრუქცია უნდა ჩატარებინათ, უპირველეს ყოვლისა კი მარგანეცის ყველა შახტის ... მოდერნიზაცია და რაციონალური დამუშავება უნდა უზრუნველყოთ” (2, 121-122). სამწუხაროდ, გერმანიის დამარცხებამ ეს წამოწყებანიც განუხორციელებელი გახადა.

ფონ კრესს იშვიათად ღალატობს ობიექტურობა, იგი არ ცდილობს შეაღამაზოს სინამდვილე და პირდაპირ აღნიშნავს, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში ფეხი მოიკიდა „არც თუ მთლად არასწორმა აზრმა“, რომ „ჩვენ, გერმანელები, მათ ქვეყანას სისხლსა ვწოვთ და მათთვის ამის გამო არაფრის მიცემა არ გვინდა. რადგან ჩვენ მხოლოდ

ყვიდულობდით და არაფერს ყვიდდით“ (2, 96-97). მართლაც, გერმანელების საქართველოში ყოფნის პერიოდში ვერ მოხერხდა, რომ გერმანიიდან აქ თუნდაც ფართო მოხმარების საგნები მაინც გამოეგზავნათ, რომლის დეფიციტი მეტად საგრძნობი იყო (2, 96). მაგრამ ამასთანავე გასათვალისწინებელია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის თვალსაზრისიც, რომელიც მან ემიგრაციაში გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში შემდეგნაირად გამოთქვა: „თუ გერმანელებმა ჩვენში შემოსვლით და აქ ყოფნით იმ დროს (იგულისხმება 1918 წელი, – ო. ჯ.) რითიმე ისარგებლეს, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ყველაფრის ანგარიში რიგიანად გაასწორეს“ (16, 184-185). მართლაც, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ გერმანია საქართველოში არც მთლად უანგაროდ მოქმედებდა და მას აქ საფუძვლიანი სტრატეგიული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ეს ინტერესები არ ლახავდა საქართველოს სუვერენიტეტს და ნაკლებ ეწინააღმდეგებოდა მის ეროვნულ მისწრაფებებს (17, 69-77).

მემუარისტი არ მალავს, რომ გაჭიანურებულმა ომმა გერმანიის ჯარების დისციპლინასა და მორალს თავისი კვალი დააჩნია, საქართველოში შემოსულ ზოგიერთ სამხედრო შენაერთში, კერძოდ ბავარიის მსუბუქ კავალერიაში, პრუსიის მოიერიშეთა ბატალიონში, დისციპლინა მოიკოჭლებდა და რომ ეს უკანასკნელი ნაწილი „თავისი გადაჭარბებული უხეშობით და თავზეხელაღებული საქციელით“ გამოირჩეოდა. ფონ კრესის ინსტრუქციებისა და ბრძანებების მიუხედავად, „ოფიცრებმა სასიკვდილო განაჩენები გამოიტანეს და აღასრულეს, კონტრიბუციები დააწესეს და საცხოვრებლები გადაწვეს, ცალკეული სოფლებიდან საქონელი გამორეკეს და სხვა ამგვარი“. გერმანელთა ავტორიტეტს საქართველოში, გენერლის სიტყვიით, „ყველაზე მეტ ზიანს მაინც ის ხშირი ამბები აყენებდა, როცა მაგარ კავკასიურ ღვინოებს შეუჩვენებელი გერმანელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების სიმთვრალე საყოველთაო უსიამოვნო აყალ-მაყალს იწვევდა“ (2, 114, 121). ამგვარი ექ

ცესების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობის ყველა წრე გერმანელთა მიმართ სიმპათიას გამოხატავდა. ქართველთა კეთილგანწყობა გერმანელებმა საქართველოს თავისუფლების შენარჩუნებისათვის დაღვრილი სისხლით დაიმსახურეს. ცნობილია, როდესაც ბორჩალოს მაზრაში თურქი ასკერები შემოიჭრნენ, ქართული მხედრობის მხარდამხარ მათ წინააღმდეგ გერმანელი ჯარისკაცებიც აღიმართნენ და მომხდურნი საქართველოს საზღვრებიდან უკუაქციეს. ამ ბრძოლას რამდენიმე გერმანელის სიცოცხლეც შეეწირა (17, 73-74). ამასთან, ანგარიში ეწეოდა იმ გარემოებასა, რომ გერმანელები არ ჩარეულან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საქმიანობაში. გაზეთ „სალი კლდის“ პუბლიცისტის სიტყვით, „გერმანია თავის საქციელით აქ ყველას უჩვენებდა, რომ სახელმწიფოში იმყოფებოდა. ... სხვები რომ პატივს გვცემდნენ, – ჩვენც ვიმსჯვალეობდით საკუთარის პატივისცემით. ... ჩვენი ხალხიც იზრდებოდა ამ საჭირო გრძნობასა და შეგრძნებაში“ (18).

ყოველივე ამის მიუხედავად, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, თითქოს გერმანულ საექსპედიციო კორპუსს საქართველო „ნ. ყორდანიასა და მისი გუნდის პოლიტიკური სიბეცის“ გამო დაეტოვებინოს (19, 31, 36, 44). ეს უსაფუძვლო შეხედულებაა. გერმანიამ საქართველოდან თავისი ჯარის ნაწილები მსოფლიო ომში განცდილი მარცხის გამო გაიყვანა და არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მოთხოვნით.

გენერალი ფონ კრესი ეხება რა ამ საკითხს, აღნიშნავს: „ვეროპის და აზიის სამხედრო მოქმედებათა არენაზე მიმდინარე მოვლენები, ბულგარეთის მარცხი, პალესტინის და სირიის დაკარგვა, უიმედო მდგომარეობა ჩვენს დასავლეთ ფრონტზე და ამასთან ერთად – გერმანიაში პარლამენტური სისტემის შემოღება ჩვენს მდგომარეობაზე მოქმედებდა. ... დღითიდღე უარესდებოდა ჩვენი და საქართველოს მთავრობის ურთიერთდამოკიდებულება“ (2, 121). მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება არ გამხდარა მიზეზი გერმანელების საქართველოდან გამგზავრებისა. მას შემდეგ, რაც 1918 წლის 9-10 ნოემბერს გერმანიაში რევოლუ-

ცია განხორციელდა, კაიზერი ვილჰელმ II ტახტიდან გადადგა და ქვეყანაში რესპუბლიკური მმართველობა გამოცხადდა, 11 ნოემბერს კი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერა კომპიენის ცნობილ დაზავებას, კავკასიაში მყოფმა გერმანიის ჯარების სარდლობამ გენერალური შტაბისაგან მიიღო ჰინდენბურგის ბრძანება, „სწრაფი ევაკუაციის თაობაზე“ (2, 122).

ამ მოვლენების შემდეგ ფონ კრესი ეწვია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს და განუცხადა, რომ „გერმანიას მეტად აღარ აინტერესებს თავისი დელეგაციის შემდგომი ყოფნა კავკასიაში“. ნოე ჟორდანიამ „დაჟინებით მთხოვა, საქართველოს გულისათვის იმდენ ხანს დავრჩენილიყავი თბილისში, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა“, წერს კრესი (2, 123-124). მემუარისტი არც იმას მალავს, რომ ანტანტის წარმომადგენლებმა, რომლებიც თბილისში უკვე 1918 წლის დეკემბრის დასაწყისში გამოჩნდნენ, „საქართველოს მთავრობას თავხედურად მოსთხოვეს ყველა გერმანელის დაუყოვნებლივ გაძევება ქვეყნიდან, მაგრამ ჟორდანიასაგან, ჩვენდა სასიამოვნოდ, მტკიცე უარი მიიღეს“, ხოლო მოსახლეობის ყველა წრემ იმ დღეებში „დაგვიდასტურა ჩვენდამი გულღია სიმპათია“ (2, 124).

ფონ კრესის სიტყვით, მიუხედავად იმისა რომ, გერმანელები საქართველოში თავს კარგად გრძნობდნენ („მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე არ მიცხოვრია ისე კარგად, როგორც თბილისში ხანმოკლე ყოფნისას“), ჯარისკაცებში სამშობლოში დაბრუნების საყოველთაო სურვილმა ყველაფერს გადასძალა და უკვე დეკემბრის დამდეგს პირველი სამხედრო ნაწილები ფოთიდან ოდესის მიმართულებით გავეზავნეთო (2, 105, 123).

ჩვენი ქვეყნის ფარგლებიდან გერმანელთა სწრაფი ევაკუაცია იმითაც იყო განპირობებული, რომ აქეთ მოკავშირეთა არმიის შენაერთები მოემართებოდნენ, მათ კი შეეძლოთ ხიფათი შეექმნათ მოწინააღმდეგე ქვეყნის სამხედრო დაჯგუფებისათვის.

საგულისხმოა ისიც, რომ გერმანიამ თავისი ჯარების საქართველოდან გაყვანის წინ მძიმე შეიარაღება, მოწყო-

ბილობები და ცხენები ქართველებს გადასცა (2, 123) (მსგავსი რამ მოგვიანებით არც ინგლისელებს გაუკეთებიათ და არც რუსებს XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე). ცხადია, გერმანელები ასე არ მოიქცეოდნენ თუ მათ აქედან წასვლას ქართველები აიძულებდნენ.

საქართველოს, როგორც ახლად შექმნილი პატარა და სუსტი სახელმწიფოს არჩევანი არ ყოფილა რომ, როცა მისი სამხედრო მინისტრი გერმანელებს აცილებდა, იმავედროულად სხვა მინისტრები ინგლისელებს მიღების სადილს უმართავდნენ (2, 126).

გერმანიის სამხედრო ყოფნას საქართველოში ფონ კრესი მთლიანობაში დადებითად აფასებს. მისი სიტყვით: „გერმანიისათვის დიდ და პოზიტიურ წარმატებად ... უნდა ჩაგვეთვალა, რომ კავკასიის ხალხებთან და განსაკუთრებით ქართველებთან, ჩვენდამი – გერმანელებისადმი მეგობრობის, სიმპათიისა და ნდობის ძალიან მნიშვნელოვანი კაპიტალი შევიძინეთ, რაც ჩვენთვის სწორად გამოყენებისა და სწორი პოლიტიკისას ამ ომშიც (იგულისხმება II მსოფლიო ომი, – ო.ჯ.) დიდად სასარგებლო შეიძლებოდა ყოფილიყო“ (2, 136).

მართალია, გერმანიასა და საქართველოს შორის ინტენსიური სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობა 1918 წლის ბოლოდან ვეღარ განვითარდა, მაგრამ ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობა არ შეწყვეტილა. 1920 წლის სექტემბერში გერმანიამ საქართველოს სუვერენიტეტი დე იურედ აღიარა.

აჯამებს რა თავისი მისიის შედეგებს რეგიონში, გენერალი ფონ კრესი დაასკვნის: „გერმანიის იმპერიის დამარცხებამ ხელი შეუშალა იმ მატერიალურ მიღწევათა გამოყენებასა და განზოგადებას, რაც ჩვენი მოღვაწეობის ნაყოფი იყო კავკასიაში და პირველ ყოვლისა, მომავლისათვის ბევრს გეპირდებოდა“ (2, 136).

ფონ კრესის მოგონებების წიგნი საქართველოს გარდა საგულისხმო ინფორმაციას შეიცავს აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების მდგომარეობის შესახებაც 1918 წლის მეორე ნახევარში.

**MEMOIRS OF GENERAL VON KRESS AND THE REALITY
OF GEORGIA IN 1918-1921**

One significant primary source of the history of democratic Georgia is analyzed in the present article, namely the memoirs of the head of the military-diplomatic mission in the South Caucasus in 1918 - General, Baron Friedrich Freiherr Kressenstein.


The reminiscences of von Kress reflect the personal impressions of the author, everything seen and felt. His information is free from the biased approach and tendency and is the narration of the events being witnessed by him. His information significantly enriches with the important material the source studying base for the first Republic of Georgia and helps our deep understanding and comprehending of the soul of the epoch and animation of our nearest past chronicles, thus making it more substantial and expressive.

In the Memoirs of the German author – “My Memoirs in the Caucasus” is spotlighted the Georgian reality being seen and comprehended with the eyes of the foreign observer, as well as the hardships and peculiarities of the renewed National – State life. Here we meet the essential information on the development of the state structure of Georgia, the course of the social-political life of the country, the characteristics being given in the book about the social-democratic authorities, activities of the representatives of the oppositional spectrum, attitudes of the various layers of the society towards the German army and its commanders being dispositioned in Georgia.

The Memoirs of Kress are marked with the high level of validity. Comparison of the facts given by the memoirist with the other sources proves correctness of those facts, their authenticity and accuracy.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Fridrich Kress Freiherr von Kressenstein, Meine mission im Kaukasus, Herausgegeben und mit einer Einleitung versehen von David Paitschadse, Tbilissi, 2001.
2. ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენსტაინი, ჩემი მისია კავკასიაში, გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი, 2002.
3. <http://www.firstworldwar.com/bio/kressenstein.htm>
4. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925.
5. http://en.wikipedia.org/wiki/Friedrich_Freiherr_Kress_von_Kressenstein
6. Г. Пипия, Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг. М., 1978.
7. გ. ქიქოძე, ეროვნული ენერჯია, თბ., 1919.
8. ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ., 2001.
9. რემონ დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994.
10. L. Bakradse, Bericht über die Taetigkeit der Deutschen Delegation im Kaukasus 1918. „Kaukasische Zeitung“, 1998, № 3.
11. სპირიდონ კვდია. მასალები პირადი არქივიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007.
12. გაზ. „Правда“, 1933 წ., 1 დეკემბერი.
13. გაზ. „კომუნისტი“, 1933 წ., 9 დეკემბერი.
14. გაზ. „საქართველო“, 1918 წ., № 128.
15. ო. ჯანელიძე, ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები), თბ., 1999.
16. კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წგნ. მეორე, პარიზი, 1960.
17. Zum Charakter der Beziehungen zwischen Georgien und Deutschland im Jahre 1918, Georgica, Aachen, 2005.
18. გაზ. „სალი კლდე“, 1919 წ., 19 მაისი.
19. ლ. ურუშაძე, როგორ არ უნდა იწერებოდეს ისტორია, თბ., 2011.



ნინო მაისურაძე

იბერიულ-კავკასიური მუსიკალური ენების შესახებ

ქართულ და ჩრდილოკავკასიურ მუსიკალურ ენათა ურთიერთმიმართება და მათი ერთობის პრობლემა XX საუკუნის 80-იან წლებამდე მეცნიერთა საგანგებო კვლევის საგანი არ გამხდარა. არსებობდა ცალკეული, მნიშვნელოვანი მოსაზრებანი ქართულ და ჩრდილოკავკასიურ მუსიკალურ კულტურათა ნათესაობის შესახებ (Асланишвили: 1957, 114-117; Ахобадзе: 1957, 7-12; ახობაძე: 1957, 114-117; Гвахария: 1963, 281-299; Хашба И.: 1967; მაისურაძე: 1973, 353-360; შილაკაძე: 1981, 174-181; 1983, 8-11 და სხვ.). მუსიკალური მონაცემებით ქართველ და ჩრდილოკავკასიის ხალხთა ეთნიკური ისტორიის, ეთნოგენეზის საკითხების კვლევა მუსიკალური ეთნოლოგიის* სფეროში გასული საუკუნის 80-იან წლებში განხორციელდა (Маисурадзе: 1983(1), 216-291; 1983(2), 28-36, 46-50; მაისურაძე: 1989, 53-62; 2002; Маисурадзе: 1990, 141-153, 163-165 და ა. შ.). ამ საკითხებს ეხება აგრეთვე უფრო მოგვიანებით გამოქვეყნებული ნაშრომები (Хашба М.: 1991; შილაკაძე: 2007). აქვე დავსძენთ, რომ ჩრდილოკავკასიის ხალხთა ტრადიციულ მუსიკას არაერთი საყურადღებო გამოკვლევა და ხალხური სიმღერების კრებულები მიეძღვნა (Ковач: 1929; 1930; Ахобадзе, Кортуа: 1957;

* ხალხურ მუსიკას, ისტორიულ-ეთნოლოგიურ ასპექტში, „მუსიკალური ეთნოლოგია“ შეისწავლის. მუსიკალური ეთნოლოგია, როგორც ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი დამხმარე დარგი, მუსიკალური მონაცემებით ეთნოსის (ხალხის) მეცნიერულ შესწავლას გულისხმობს. მუსიკალური ეთნოლოგიის კვლევის ამოცანებია ხალხური მუსიკის კულტურულ-ყოფითი და ეთნიკური ფუნქციების გამოვლენა, ეთნოკულტურული და ეთნოგენეტიკური პრობლემების კვლევა.

Хашба М.: 1977, 1983; Ашуба: 1986; Гребнев: 1941; Канчавели, 1974; Налоев: 1980; Чич: 1984; Кагазежев: 1990; Цхурбаева: 1957, 1959, 1965; Галаев: 1964; Абаев: 1964; Хаханов: 1972; Халебский: 1963; Речменский: 1965; Ханукаев, Плоткин: 1948; Керимов: 1957; Якубов: 1974 და სხვ.), რომლებმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ამ ხალხთა მუსიკალური ენების შესახებ.

არქეოლოგიური მონაცემებით ამიერკავკასია და, საერთოდ, კავკასია ძველი ქვის ხანის ადრეულ საფეხურზე წინა აზიის უძველესი ადამიანის გავრცელების სფეროში შედიოდა და შესაძლებელია, მისი ჩრდილო, პერიფერიული ნაწილი იყო. ძველი ქვის ხანის ძეგლები ამიერკავკასიაში ადგილობრივი კულტურის საფუძველზეა წარმოქმნილი. აღნიშნულია ბუნებრივი გარემოს გადამწვეტი როლი ლოკალური თავისებურებების წარმოქმნაში. კავკასიის ნეოლითი ადგილობრივი, წინარე კულტურის საფუძველზეა აღმოცენებული, ოღონდ როგორც ერთ-ერთი შემადგენელი პერიფერიული ნაწილი წინა აზიის უძველესი სამიწათმოქმედო ცენტრისა, მასთან ახლო ურთიერთობაში ვითარდებოდა. ამ ხანაში მთელ კავკასიაში მიმდინარეობს ტომთა ფართო განფენა, იქმნება მონათესავე ტომებისაგან შემდგარი მოზრდილი ეთნიკური ჯგუფები და, შესაბამისად ერთგვაროვანი დიდი არქეოლოგიური კულტურები, რომელთა დიდ ტერიტორიაზე განფენა თანდათანობით დაშორებას იწვევდა და კავკასიური ენობრივი და კულტურული ერთობის გათიშვის საფუძველს ქმნიდა. V ათასწლეულში ეს ერთობა უკვე დაშლილი უნდა ყოფილიყო. ადრე ბრინჯაოს ხანაში, რომელიც მთელ III ათასწლეულს მოიცავს, საბოლოოდ ყალიბდება კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური ჯგუფები (ჯაფარიძე: 1976, 17-18, 43, 46, 93). ანთროპოლოგიური კვლევაძიების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ანთროპოლოგიური ტიპების უწყვეტი მემკვიდრეობითობა, ენოლითის მიწურულიდან დღემდე, ქართველთა წინაპრების ადგილობრივი, აუტოქტონური წარმომავლობის მანვენებელი უნდა იყოს (აბღუშელიძე: 1985, 39). ისტორიუ-

ლი საქართველოს მოსახლეობა იმთავითვე ეკუთვნოდა ერთ დიდ ანთროპოლოგიურ პლასტს, რომელიც შედიოდა ინდო-ხმელთაშუაზღვისპირული რასის წინააზიური განშტოების შემადგენლობაში (ბითაძე, 2002, 156). დერმატოგლიფიკის მონაცემებით კავკასიური ტიპის გენეზისი და მისი თავისებურება განხილულია როგორც წინააზიური ტიპის რეგიონალური ფორმა, რომელიც ჩამოყალიბდა განსხვავებულ მაღალმთიან გარემოში (ბითაძე: 2001, 107). ეთნოლოგიური კვლევა-ძიების საფუძველზე დადასტურებულია ქართველ და, საერთოდ, კავკასიის ხალხთა თვითმყოფადი კულტურის სიძველე და ადგილობრივი წარმოშობა (ჩიტაია: 2001, 59). ლინგვისტური მონაცემებით იბერიულ-კავკასიური ენები მიჩნეულია მონათესავე ენებად, მაგრამ ამავე დროს გაჩნდა განსხვავებული შეხედულებაც (საკითხთან დაკავშირებით იხ. ჯაფარიძე: 1976, 252-267). ქართული, აფხაზური, ადიღეური, ოსური, ჩაჩნურ-ინგუშური და ნაწილობრივ დაღესტნური მუსიკალური ენების რეტროსპექტული და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თავის მხრივ, შუქს ჰფენს კავკასიაში მცხოვრები უძველესი მოსახლეობის ეთნოგენეზის პრობლემას. **ქვემოთ წარმოვადგენთ ქართული და ჩრდილოკავკასიური მუსიკალური ენების ანალიზის შედეგებს.**

აფხაზური ხალხური სიმღერების საფუძველია მელოდიური ფორმულა ბგერათა დაღმავალი მოძრაობით კვარტის დიაპაზონში. იგი გაფართოებულია კვინტამდე, სექსტამდე, სეპტიმამდე, ოქტავამდე. ნახტომები მელოდიაში გაწონასწორებულია ბგერათა სეკუნდური მოძრაობით. ზოგჯერ მელოდია იწყება ნახტომით კვარტაზე და მთავრდება კვარტული კადანსით. საგმირო სიმღერებში შეინიშნება მელოდიური და ჰარმონიული ელემენტების განვითარების უძველესი ფენა: მელოდიის დაღმავალი მიმართულება, გლისანდირებული დაბოლოება, ბურდონული მრავალხმიანობა (Хашба М.: 1977, 129; 1991, 25, 42-43; Маисурадзе: 1983(1), 217-242; 1983 (2) 28).

აფხაზურ მუსიკალურ ენაში ჩანს უძველესი მელოდიურ-ინტონაციური შრე, რომელიც საერთო ქართველური მუსიკალური ფუძე-ენის არეში შედის (დანართი I. ქართვე-


ლური მუსიკალური ფუძე-ენის შესახებ იხ. Маисурадзе: 1983(2); 1990, 5-94). განსაკუთრებით საყურადღებოა მუსიკალური აზროვნების განვითარების ერთ-ერთ უძველეს ეტაპზე მელოდიურ-ინტონაციური კავშირი აღმოსავლეთ საქართველოს მთის, კერძოდ, ფშაფ-ხევსურული (ფხოური) სიმღერების იმ ნიმუშებთან, რომლებშიც რელიეფურად ჩანს საერთო ქართველური მუსიკალური ფუძე-ენა (დანართი II). იგი ვარიანტების (ან ცალკეული ინტონაციური საქცევების) სახით თითქმის მთელ აფხაზურ სასიმღერო შემოქმედებაშია დალექილი. მელოდიის განვითარების პროცესში (ყალიბდება რეგიონალური მელოდიურ-ინტონაციური და ჰარმონიული თავისებურებანი) ეს ჰანგი ინაცვლებს სიმღერის დასაწყისში, ან დასკვნით ნაწილში; ზოგ შემთხვევაში მთელ სიმღერაზე ვრცელდება. ვფიქრობთ, რომ ეს არის ის ძირითადი მუსიკალურ-ინტონაციური ბირთვი, რომელსაც ემყარება აფხაზური მუსიკალური ენა (მაისურაძე: 1989, 55; 1999, 63-64). აღნიშნული უძველესი მელოდიურ-ინტონაციური შრე, რომელიც მუსიკალურ-სემანტიკურ სიახლოვეს ავლენს აღმოსავლურქართულ მუსიკალურ წრესთან, კერძოდ კი, მთიელთა საფერხულეობთან, მეგრულ მუსიკალურ დიალექტშია ასახული (დანართი III) (Маисурадзе: 1983, 43; მაისურაძე: 1989, 51-52; Читанова: 1987, 119; ჭითანავა: 1987, 258-260). ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზური მუსიკალური ენა საერთო ქართველური მუსიკალური ფუძე-ენის შემცველია.

აფხაზური სიმღერებისათვის დამახასიათებელი კილოებია ეოლიური, მიქსოლიდიური, დორიული, ფრიგიული და იონიური (ახობაძე: 1957, 116; Хашба М.: 1991, 43-44, 46). სიმღერების ანალიზი ცხადყოფს, რომ ზემოხსენებული უძველესი მელოდიურ-ინტონაციური შრე, ქართულის ანალოგიურად ძირითადად ფრიგიულ და ეოლიურ კილოებზეა აგებული (Маисурадзе: 1983 (1), 241).

აფხაზური სიმღერები, მსგავსად ადიღური და ოსური სიმღერებისა, ორხმიანია. სამხმიანობის არსებობა ახსნილია ქართულის (მეგრულ-სვანურის) გავლენით (Ахонбадзе: 1957, 11; Гвахария: 1963, 286). სიმღერებში მკაფიოდ

ჩანს პოლიფონიის ფორმები: ბურღონული, კომპლექსური* და ოსტინატური, უძველეს ორხმიან ნიმუშებში მრავალხმიანობის ბურღონული ფორმის უპირატესობით (Хашна М.: 1977, 56; 1991, 30). აფხაზურ მუსიკალურ ენაში წარმოდგენილია ქართული მრავალხმიანობისათვის დამახასიათებელი პოლიფონიის ფორმები, რომელთა შორის, თავდაპირველი, მრავალხმიანობის ბურღონული ფორმაა (Маисурадзе: 1983 (1), 217-242).

აფხაზურ ხალხურ სიმღერებში, ქართულის ანალოგიურად, ხშირად გამოიყენება მარტივი, გაფართოებული, რთული, ფრიგიული, ქართული (ეოლიური) თუ კვარტული კადანსები (დანართი IV). ყურადღებას იქცევს ქართულში არსებული კვარტული კადანსის მარტივი და განვითარებული (რთული მოდულაციური კვარტული კადანსი) სახეობანი (ასლანიშვილი: 1950, 110, 113):



ქვემოთ წარმოვადგენთ აფხაზურ სიმღერებში არსებული კვარტული კადანსების ქართულთან შედარებით ანალიზს. აფხაზურ სიმღერაში „Песня изгнанников“ (Ковач, 1929, 45, №12), მეცხრე ტაქტში, სი მიქსოლიდური კილოს I საფეხური, VII-VI საფეხურების გავლით გადადის V საფეხურში. მეათე-მეთერთმეტე ტაქტებში, ბანში, ბგერა ფა-დიეზი მერყეობს სი მიქსოლიდური კილოს V საფეხურსა და დამოუკიდებელი ფა-დიეზი კილოს I საფეხურს შორის. მეთერთმეტე-მეცამეტე ტაქტებიდან ირკვევა, რომ მიქსოლი-

* უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ სპეციალურ ლიტერატურაში მრავალხმიანობის კომპლექსური ფორმა მოიხსენიება როგორც „სინქრონულ ხმათა სვლის მრავალხმიანობა“ (ვაბისონია, 2009, 15-16, 23), ან აკორდული კომპლექსების სინქრონულ მოძრაობაზე აგებული მრავალხმიანობა (ხარძიანი, 2009, 133).

დიური კილოს V საფეხური იძენს დამოუკიდებელი კილოს I საფეხურის ფუნქციას, რომელიც მეცამეტე ტაქტში მოდულირდება მი იონიურ კილოში. მოდულაცია წარმოდგენილია რთული მოდულაციური კვარტული კადანსის სახით: I II I6 =IV I იმ განსხვავებით, რომ დამოუკიდებელი ფა-დიეზ დორიული კილოს ტერცია (ლა) თავისთავად დაბალებულია. იგი, აღნიშნული კილოს სხვა ბგერებთან შედარებით, რიტმულად მყარია, მეტი დაძაბულობით გამოირჩევა, რასაც მოსდევს მისი გადაწყვეტა მი იონიური კილოს I საფეხურში. მეორმეტე ტაქტში, სოლ-დიეზი – რე-დიეზი და ფა-დიეზი – დო-დიეზი განიხილება როგორც კა-



დანსის გაფართოება, მსგავსად, მაგალითად, ქართულ ხალხურ სიმღერაში „მაყრული“ (იხ. ასლანიშვილი, 1950, 114) მოცემული გაფართოებისა. ამ შემთხვევაში რთული მოდულაციური კვარტული კადანსი სიმღერის დასასრულს მოცემული საკადანსო მიმოქცევა კი არ არის, არამედ მოდულაცია ერთი კილოდან მეორეში. ამგვარი სახით რთული მოდულაციური კვარტული კადანსი კახურ სიმღერებში გვხვდება (მაისურაძე: 1971, 126-128).

კვარტულ კადანსთან კავშირში საინტერესოა კადანსი, წარმოდგენილი სიმღერაში „Песня дальских изгнанников“ (Ковач, 1929, 45, №13).



მაგრამ ვიდრე ამ მუსიკალურ მასალას გავიაზრებდეთ, ქვემოთ ყურადღებას შევაჩერებთ კადანსებზე სიმღერაში «Озбек» (Ахобадзе, Кортуა: 1957, 134, №39). ოცდამეხუთმეტე-



ოცდამეთექვსმეტე ტაქტებში მოცემულია სვლა ფრიგიული კადანსის საფეხურებზე (I II), მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ფრიგიული კადანსის II საფეხური გადასულიყო III (I)-ში, ანუ ახალი კილოს ტონიკაში, კადანსი - მოდულაცია იცვლის საქცევს და ბანში ბგერა და აკეთებს სვლას კვარტით ქვევით (ოცდამეთექვსმეტე ტაქტი), ხოლო შუა ხმა ადის სეკუნდით ზევით. ვიღებთ შეჭრილ კადანსს, რომელიც წარმოადგენს მოდულაციას სოლ კილოდან მი კილოში, ე. ი. საფეხურთა თანმიმდევრობა ასეთია: I II სოლ = IV მი I. ეს კადანსი რთული მოდულაციური კვარტული კადანსის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც ფორმით და შინაარსით ენათესავება ქართულ ხალხურ სიმღერებში არსებულ რთულ მოდულაციურ კვარტულ კადანსს. ამ შემთხვევაში იგი წარმოადგენს კვარტული და ფრიგიული კადანსების შერწყმის შედეგს. ოცდამეჩვიდმეტე-ოცდამეცხრამეტე ტაქტები (ბ) წინა საკადანსო სვლის ვარირებული გამეორებაა, რითიც ხაზგასმულია სიმღერის დასასრული. განსხვავება ამ ორ კადანსს (ა, ბ) შორის ძირითადად საფეხურთა თანმიმდევრობაშია. მეორე მათგანში საფეხურები გადანაცვლებულია. ოცდამეჩვიდმეტე ტაქტში ლა-დო-ლიეზი-მი სამხმოვანება უღერს როგორც მი კილოს IV საფეხური (მაჟორულ-მინორული სისტემა), რომელიც ოცდამეთვრამეტე ტაქტში სოლ-სი-რე სამხმოვანების გავლით წყდება მი კილოს I საფეხურში. სოლ-სი-რე, ერთი მხრივ, უღერს როგორც მი კილოს III საფეხური, მეორე მხრივ - როგორც აღნიშნული კილოს I საფეხურის ნაწილი (სოლ-

სი-რე-ს პრიმა და ტერცია მი კილოს I საფეხურის ტერცია და კვინტა).

სიმღერის „Озбек“ დასასრულს მოცემული კადანსის (ბ) შედარება კადანსთან რომელიც წარმოდგენილია სიმღერაში „Песня дальских изгнанников“ (4), გვიჩვენებს, რომ ეს კადანსები ერთგვაროვანია იმ განსხვავებით, რომ პირველ მათგანში მკაფიოდ ჩანს მისი განვითარების გზა, მეორე მათგანი კი, უკვე გვეკლინება **ცალკე მდგომ დამოუკიდებელ აფხაზურ კადანსად**, რომელიც თვითმყოფადი ხასიათისაა. ამ შემთხვევაში საფეხურთა თანმიმდევრობა შემდეგ სახეს იღებს: I VII სი-ბემოლ დორ.=III ფა ეოლ. I. მეთოთხმეტე ტაქტში (4) ლა-ბემოლი-მი-ბემოლი მერყეობს სი-ბემოლ დორიული კილოს VII საფეხურსა და ფა ეოლიური კილოს III საფეხურს შორის. მართალია, აქ სი-ბემოლ დორიული კილოს I საფეხური სი-ბემოლი-ფა (მეთოთხმეტე ტაქტი) ჟღერს როგორც მოდულაციის შედეგად მიღებული ფა კილოს IV საფეხური, მაგრამ სი-ბემოლ კილოს VII საფეხური, ამ შემთხვევაში, მაინც ძირითად მამოდუღირებელ საფეხურად წარმოგვიდგება. ამგვარად, როგორც ირკვევა, განხილული აფხაზური კადანსი, მსგავს საკადანსო ფორმებთან ერთად, ქართულში არსებული რთული მოდულაციური კვარტული კადანსის სახესხვაობათა რიგს განეკუთვნება (მაისურაძე, 1974, 353-359; შეადარეთ Ахобадзе: 1957, 11; ახოზაძე: 1957, 116).

რთული მოდულაციური კვარტული კადანსის მრავალფეროვანი სახეობების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი – კვარტული კადანსი, რომელიც კადანსთა შორის უძველესთაგანია, საერთოა ქართულ-აფხაზურისათვის. ცნობილია, რომ წმინდა კვარტა, დამოუკიდებელი ინტერვალის სახით, კადანსის ბოლოს და, საერთოდ, საფეხურთა თანმიმდევრობაში, სიმღერის წარმოშობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ნიშანია (ასლანიშვილი: 1950, 113). მოგვიანებით, ზემოხსენებული მოსაზრება, აფხაზური თვითმყოფადი კადანსის წარმომავლობის შესახებ, მ. ხაშბამ გაიზიარა (Хашба М.: 1991, 27).

უძველესი კავშირები აფხაზურ და ქართულ მუსიკალურ ენებთან, ადიღეურ მუსიკალურ ენაში მულაენდება (დანართი V). ადიღეურ სიმღერებში მელოდია სპეციფიკურად ვითარდება. მასში ხშირია ბგერათა აღმავალი სვლა, ნახტომები, რომელთა შევსება დადამავალი სეკუნდური მოძრაობით ხერხდება. მელოდიის ეს თავისებურებანი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაწილობრივ აფხაზურ სიმღერებსაც ახასიათებს. აფხაზურ და ადიღეურ მუსიკალურ ენებში შენიშნულია არა მხოლოდ მელოდიათა რიტმულ-ინტონაციური მსგავსება ან იდენტურობა, არამედ - სიმღერების ფუნქციონალური თანხვედრა. ამ მხრივ საყურადღებოა საგმირო („ნართული ეპოსი“), ისტორიულ-საგმირო და სამკურნალო სიმღერები, წარმოდგენილი როგორც ადიღეურ, ისე აფხაზურ ხალხურ მუსიკაში (Маисурაძე: 1983 (1), 243-252; 1983 (2), 30-31; Чич: 1984, 100; Хашба М.: 1991, 31-34, 45-46). აღსანიშნავია, რომ აფხაზურში, ამ რიგის სიმღერებში, ხშირია აგრეთვე მელოდიურ-ინტონაციური და ჰარმონიული სიახლოვე ქართულთან.

ადიღეური სიმღერები სრულდება ეოლიურ, ფრიგიულ, დორიულ, მიქსოლიდიურ და იონიურ კილოებში (Маисурაძე, 1983, 31; Хашба М.: 1991, 46). ადიღეურში უფრო მეტად, ვიდრე აფხაზურში, შეინიშნება მაჟორულ-მინორული სისტემის შერწყმა ზემოხსენებულ კილოებთან, რიგი ადიღეური სიმღერებისა მაჟორულ-მინორულ სისტემას ემყარება (Маисурაძე: 1983, 31; Чич: 1984, 151-152; Хашба М.: 1991, 46).

ადიღეურ სიმღერებში დადგენილია ბანის (მელოდიის თანმხლები გუნდის) შემდეგი სახეობანი: მელოდიის თანხლება უნისონში, გაბმული, ოსტინატური, მელოდიზირებული და მონაცვლეობითი (Гребнев: 1941, 202-203). მრავალხმიანობის ძირითადი ფორმა ბურღონული ორხმიანობაა (Чич: 1984, 173; Хашба, 1991, 47).

ადიღეურ სიმღერებში გავრცელებულია მარტივი, რთული, ფრიგიული და ქართული (ეოლიური) კადანსები; რთულ მოდულაციურ კვარტულ კადანსთა სახესხვაობანი და კვარტით დაბოლოებული კადანსი. ეს კადანსები ფორ-

მით და შინაარსით სიახლოვეს ამჟღავნებს აფხაზურ სიმღერებში არსებულ კვარტულ კადანსთა ნაირსახეობებთან (Маисурაძე: 1983 (2), 30; Хашба М.: 1991, 47).

ადიღეურ სიმღერებში შენიშნულია რუსული ხალხური სიმღერების ინტონაციური გავლენა. იგივე შეინიშნება აფხაზურ სიმღერებში, განსაკუთრებით – კადანსებში (ახობაძე, 1957, 117), კერძოდ, კვარტულ კადანსთა ნაირსახეობებში.

ფეიქრობთ, ანგარიშგასაწვეია მუსიკალური მონაცემები, რომლის მიხედვით აფხაზური მუსიკალური ენა, განვითარების უძველეს ეტაპებზე, ორგანულად იყო დაკავშირებული საერთო ქართველურ მუსიკალურ ენასთან. საგულისხმოა, რომ საერთო ქართველური მუსიკალური ენიდან თავდაპირველად იგი მუსიკალური დიალექტის დონეზე განცალკევდა. ამავ დროს, აფხაზური და ადიღეური მუსიკალური მასალა, გარკვეულწილად, მელოდიურ-ინტონაციურ და ჰარმონიულ ელემენტთა განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს, თუმცა ორივე მათგანში ჰარმონიული აზროვნების საფუძველი ქართველურია (მათ შორის კადანსები, მრავალხმიანობის ფორმები, კერძოდ, ბურღონული მრავალხმიანობა, როგორც მრავალხმიანობის ძირითადი ფორმა). მუსიკალური მასალის ანალიზი მოწმობს, რომ ჰარმონიულ ელემენტთა განვითარების პროცესში, აფხაზური ასრულებდა შუალედურ როლს ქართულსა და ადიღეურს შორის. იქნებ ამით აიხსნას ის გარემოება, რომ აფხაზური ხალხური მუსიკა ქართულთან ნათესაობის სრულ სურათს იძლევა. განსხვავებით აფხაზურისაგან ადიღეურში, ხშირ შემთხვევაში, წყვეტილი ჩნდება, რომლის ტიპოლოგიური შევსება აფხაზური სიმღერების საშუალებით ხერხდება. საგულისხმოა, რომ აფხაზური მუსიკალური ენა ჩამოყალიბდა, საუკუნეების მანძილზე, აფხაზურში ადიღეური მუსიკალური ელემენტების შედწვევისა და შერწყმის შედეგად. სპეციფიკურ ნიშანთა ზრდასთან ერთად, როგორც ჩანს, სულ უფრო ღრმავდებოდა აფხაზურის, როგორც საერთო ქართველურის ერთ-ერთი მუსიკალური დიალექტის დივერგენციის პროცესი, რაც საბოლოოდ, ქართული მუსიკალური კულტურის არეალში შემაჯავლი, ქარ-

თულის მონათესავე აფხაზური მუსიკალური ენის ჩამოყალიბებით დასრულდა.

აფხაზთა ეთნიკური ისტორიის საკითხები დიდი ხანია მეცნიერთა კვლევის საგნად იქცა. ეთნონიმ „აფხაზ“-ის წარმომავლობის შესახებ მნიშვნელოვანი მოსაზრებებია გამოთქმული. აქვე დავსძენთ, რომ საკითხის ირგვლივ, სამეცნიერო წრეებში, არაერთგვაროვანი შეხედულება არსებობს (საკითხთან დაკავშირებით იხ. ბახია: 2010, 117-168, 3-401). **მუსიკალური მონაცემებით აფხაზები დასავლეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ქართველური კულტურის მატარებელ ერთ-ერთ ქართველურ ტომად მოიაზრება.**

ოსური სიმღერები (დანართი VI) ხასიათდება მელოდიის დადმავალი, ზიგზაგისებური მოძრაობით კილოს უმაღლესი ბგერიდან ტონიკამდე. მელოდიის დიაპაზონი კილოს კვარტიდან უნდევციმამდე აღწევს. ნახტომები კვარტაზე, კვინტაზე, დიდ სექსტაზე, პატარა სექტიმაზე, ოქტავაზე შევსებულია ბგერათა დადმავალი მოძრაობით. კადანსებიდან საყურადღებოა მარტივი, გაფართოებული, რთული, აგრეთვე - კადანსები შემდეგი ფორმულებით: VI I, VII VI I. აღსანიშნავია კადანსთა ვარიანტები: VI I4 და VI IV I4. ბანი შედგება შეკავებული ბგერებისაგან და ვრცელდება ტერციიდან სექტიმამდე. იგი ძირითადად მდორედ მოძრაობს. ბანში გამოიყენება ბგერათა მოძრაობა ტერციებში, ცალკეული ინტონაციების ან სეკვენციების სახით. ერთი ნაგებობის ფარგლებში, ან ნაგებობათა შორის ბანი შეიცავს ნახტომებს. დომინანტური საფეხურებია VII II. საგმირო სიმღერები ორი და, იშვიათად, სამხმიანია. მასში ბანი რიტმულად ნაკლებად მოძრავია, ხშირად - შეკავებული; იშვიათად მონაცვლეობს მცირე მელოდიურ სვლებთან. შენიშნულია ამ ტიპის ოსური ორხმიანი სიმღერების მსგავსება აღმოსავლურქართულ სიმღერებთან. ბანი მელოდიასთან ერთად ქმნის კვარტების, კვინტების და ოქტავების თანახმოვანებას, რაც დამახასიათებელია აგრეთვე აფხაზური და ადიღური სიმღერებისათვის. ოსური ტრადიციული ორხმიანობა შემონახულია ჩრდილოეთ ოსეთის სიმღერებში. მასში ჩანს ორხმიანობის ადგილობრივი თავისებურებები. სამხმიანობის არსებობა სამხრეთ ოსურ

სიმღერებში ახსნილია ქართული მრავალხმიანობის გავლენით. აღინიშნება აფხაზური ორხმიანი სიმღერების მსგავსება ოსურ ორხმიან სიმღერებთან; აფხაზური და ოსური სიმღერების მელოდიური და რიტმული სიახლოვე, ან, ზოგ შემთხვევაში, მათი იდენტურობა. იგივე შეინიშნება აგრეთვე აფხაზურ და ადიღეურ სიმღერებში. აფხაზურის მელოდიურ-ინტონაციური მონათესაობა ოსურთან, კერძოდ, ისტორიულ-საგმირო სიმღერებთან, სოლო-გუნდური შესრულების საერთო ხასიათში მქლავნდება (Абаев: 1949, 322; Цхурбаева: 1957, 255-256; 1965, 121, 126, 130; Гвахария: 1963, 286, 288; Галаев: 1964, 10-11; Хаханов: 1972, 12-15; Ахобадзе: 1957, 11; ახობაძე: 1957, 117; Маисурадзе: 1983(2), 31-34).

ოსურ სიმღერებში მელოდიის დაღმავალი მიმართულება და ბანში შეკავებული ბგერები მიუთითებს მის მჭიდრო კავშირზე აღმოსავლურ-ქართულ მუსიკალურ წრესთან. ოსური სიმღერების მელოდიაში არსებული ნახტომები დამახასიათებელია აგრეთვე აფხაზურ-ადიღეური სიმღერებისათვის. რაც შეეხება კადანსებს, მარტივი, რთული, ფრიგიული და ქართული (ეოლიური) კადანსები იმეორებს ქართულ-აფხაზურ-ადიღეურ სიმღერებში არსებულ კადანსებს. საკადანსო სვლებში, მართალია, ჩნდება რეგიონალური თავისებურებანი, მაგრამ საკადანსო ფორმულების საფუძველი საერთოა, ქართველურია. კადანსები ფორმულებით VI I, VI I4, ან VII VI I იმეორებს აფხაზურ სიმღერებში გაბატონებულ საკადანსო ფორმულებს. ოსურში გავრცელებული რთული მოდულაციური კვარტული კადანსის ნაირსახეობა უშუალო კავშირს ავლენს აფხაზურ და ადიღეურ ამავე სახის კადანსებთან (მაისურაძე: 1989, 57-58).

ამგვარად, ქართულ-აფხაზურ-ადიღეური და ოსური სიმღერების მუსიკალურ-ინტონაციური საფუძველია ბგერათა დაღმავალი მოძრაობა კილოს უმაღლესი ბგერიდან ტონიკამდე. მოგვიანებით აფხაზურში, ადიღეურსა და ოსურში, მეტ-ნაკლებად ჩნდება ნახტომები, რომელთა შევსება ბგერათა სეკუნდური მოძრაობით ხდება. ამ ნიშნით სიმღერები ახალ, განსხვავებულ გამომსახველობას იძენს. ბანის სახესხვაობათა შორის არსებითი მნიშვნელობა უნ-

და ჰქონოდა გაბმულ, ბურდონულ ბანს, როგორც მელოდიის ძირითად საყრდენს. მოძრავი ბანის არსებობა აფხაზურში, როგორც ჩანს, ქართული მრავალხმიანობის დასავლურქართული ფორმის გავლენის შედეგია. აფხაზურ ორხმიანობაში მოძრავი ბანის გავრცელებამ განაპირობა აფხაზურისათვის დამახასიათებელი მრავალხმიანობის თავისებური ფორმის ჩამოყალიბება. მრავალხმიანობის ანალოგიური ფორმა დამახასიათებელია ადიღეური სიმღერებისათვის, რაც აფხაზურის უშუალო გავლენით აიხსნება. ნაკლებად დამაჯერებელია მუსიკალური კულტურის დასავლურქართული წრიდან მოძრავი ბანის ერთდროული შეღწევა აფხაზურ-ადიღეურ სიმღერებში. ოსურში მოძრავი ბანის ნაწილობრივი არსებობა შესაძლებელია აფხაზურის გავლენით აიხსნას.

აფხაზურ, ადიღეურ და ოსურ სიმღერებში ნაწილი კადანსებისა იმეორებს ქართულ ხალხურ სიმღერებში არსებულ კადანსებს (მარტივი, გაფართოებული, რთული, ფრიგიული, ქართული (ეოლიური)). ამა თუ იმ საკადანსო სვლაში, მართალია, ჩნდება რეგიონალური თავისებურებები, რაც მათ განასხვავებს ერთმანეთისგან, მაგრამ საკადანსო ფორმულების საფუძველი საერთოა, ქართველურია. აფხაზურ, ადიღეურ და ოსურ სიმღერებში დადგენილი რთული მოდულაციურ კვარტულ კადანსთა სახესხვაობანი ენათესავება ქართულში არსებულ ამავე სახელწოდების კადანსს. რთული მოდულაციური კვარტული კადანსის შემადგენელი ელემენტი – კვარტული კადანსი, კადანსთა შორის ერთ-ერთი უძველესი ფორმა, საერთოა ქართულ-აფხაზურ-ადიღეური და ოსური სიმღერებისათვის (Маисурадзе: 1983, 33-34).

ქართული, აფხაზური, ადიღეური და ოსური სიმღერები ძირითადად სრულდება ეოლიურ, ფრიგიულ, დორიულ, მიქსოლიდიურ და იონიურ კილოებში. მაჟორულ-მინორული სისტემის ჩასახვა, ვფიქრობთ, ჰარმონიულ ელემენტთა შინაგანი განვითარების შედეგია.

მუსიკალური მონაცემებიდან ნათლად ჩანს საუკუნეთა მანძილზე ოსთა მჭიდრო ისტორიულ-კულტურული კავშირები, ერთი მხრივ, კავკასიის მეზობელ ხალხებთან. მე-

ორე მხრივ, მუსიკალური ტექსტების რეტროსპექტული ანალიზი მოწმობს, რომ ოსური მუსიკალური ენის სუბსტრაქტი კავკასიურია, ქართველურია (მაისურაძე: 1989, 58).

აქვე დავსძენთ, რომ ისტორიული მონაცემებით ცენტრალური კავკასიის სანახებში მდებარე დვალები, ორი ათასწლეულის მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპირე მთის კუთხეს წარმოადგენდა. იგი ჩრდილოეთ ოსეთის, ალანიის საზღვრებშია მოქცეული და ცნობილია თუალგომის ანუ თუალთას სახელწოდებით. თავდაპირველად „თუალი“//„დვალი“ აღნიშნავდა ოსებისგან იზოლირებულად მცხოვრებ ქართლის მთიელთა ერთ-ერთ ტომს – დვალებს (იხ. ითონიშვილი, ვახ.: 2000, 82-87).

საერთო ელემენტები ქართულთან, ჩახნურ-ინგუშურ ხალხურ მუსიკაში იჩენს თავს (დანართი VII). მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველეს ეტაპებზე საყურადღებოა მელოდიის, საორღანო პუნქტის, აკორდიკის და კადანსების (მათ შორის კვარტული და ქართული (ეოლიური)) სიახლოვე აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთის სიმღერებთან. დადგენილია კვარტკვინტაკორდის წარმოშობის ერთგვაროვანი ბუნება და პირობები. ეს აკორდი ქართულ და ჩახნურ სიმღერებში წარმოიქმნა როგორც მელოდიურ ისე ჰარმონიულ საწყისებზე (Асланишвили: 1957, 420-421). არატერციული აკორდები (კვარტკვინტაკორდი, სეკუნდკვინტაკორდი) ჩახნებსა და ინგუშებში აღიქმება როგორც მყარი აკორდები. ხშირია სიმღერების ამ აკორდებით დამთავრება (Речменский: 1965, 12).

ჩახნურ სამხმარ სიმღერებში, ქართულის, კერძოდ, სვანური სიმღერების ანალოგიურად, მელოდია ვითარდება შუა ხმაში, რომლის მიმართ ბანი და ზედა პირველი ხმა, საორღანო პუნქტის სახით, კვინტურ ჩარჩოს ქმნის (Асланишвили: 1957, 420-421). აღნიშნულია სიმღერებსა და საცეკვაოებში განაპირა ხმებით შუახმის შემოფარგვლა კვინტით, კვარტით ან, იშვიათად სექსტით (Речменский: 1965, 14).

ჩრდილოკავკასიის ხალხთა ერთხმინ სასიმღერო ნიმუშებსა და აღმოსავლურქართულ, თუშურ სიმღერებში

შენიშნულია ბგერათა სეკვენტური მოძრაობა. მელოდიის სეკვენტურ აგებულებას ჩაჩნურ-ინგუშური სიმღერების დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევენ (Асланишвили: 1957, 420-421; Речменский: 1965, 12-13; მაისურაძე: 1989, 59-61). ბგერათა სეკვენტური მოძრაობის ჩანასახი აღმოსავლეთ საქართველოს არა მხოლოდ მთის, არამედ ბარის სიმღერებში მუდავნდება. მელოდიაში ბგერათა სეკვენტური მოძრაობის განვითარების პროცესი (მელოდიური მიმოქცევების შინაგანი გაფართოება ფრაზეზამდე) მკაფიოდ ჩანს თუშურ სიმღერებში (Маисурадзе: 1990, 12-13). ჩაჩნურ-ინგუშურ და ქართულ, თუშურ სიმღერებში ფრაზეზები ძირითადად კვარტის და კვინტის დიაპაზონს მოიცავს, თუმცა ზოგი სიმღერა სექსტამდე, სეპტიმამდე და ოქტავამდე ფართოვდება. მელოდია იყოფა ოთხ სეკვენტურად მოძრავ ფრაზად. ჩაჩნურ-ინგუშურს, თუშურისგან განსხვავებით, ახასიათებს მუსიკალური ფრაზეზების მრავალჯერადი გამეორება. მიუხედავად იმისა, რომ ჩაჩნურ-ინგუშურ სიმღერებში ყალიბდება მელოდიურ-ინტონაციურ და ჰარმონიულ ელემენტთა გამომსახველობის სპეციფიკური რეგიონალური ხერხები, იგი განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენს თუშურ მუსიკალურ დიალექტთან (მაისურაძე, 1989, 59-60). აქვე დავსძენთ, რომ გამოთქმულია მოსაზრება ჩაღმა და წოვა თუშების მორფოლოგიური მსგავსების შესახებ, კავკასიონის ტიპში გაერთიანებულ ჯგუფების ფონზე, რაც მიუთითებს წოვა თუშების ქართველურ წარმომავლობაზე. წოვების მორფოლოგიურად უახლოეს ჯგუფთა წრე ქართველურია (ბითაძე: 2005, 212-213).

ჩაჩნურ-ინგუშურ ხალხურ მუსიკაში ხშირად გამოიყენება კვარტის ინტერვალი; სიმღერის დასრულება კვარტით. სეპტიმის ინტერვალი განიხილება როგორც ორი კვარტის ჯამი (Речменский: 1965, 13, 18). ანალოგიური შემთხვევა, როდესაც სეპტიმის დიაპაზონის მქონე მელოდიაში ხაზგასმულია ორი კვარტა, ქართულ ხალხურ მუსიკაში ჩანს. მაგალითად, ხევსურულ „ხმით ნატირალში“ ყოველი ფრაზა კილოს სეპტიმით იწყება. ფრაზეზის შემაერთებელი ბგერა მუდამ კილოს IV საფეხურია. იგი კილოს ტონიკას-

თან და სეპტიმასთან ერთად (დო, ფა, სი-ბემოლი) მელოდიის საყრდენ ბგერად გაიაზრება. ამავე დროს, სეპტიმის დიაპაზონის მქონე მელოდიაში საზგასმულია ორი კვარტა; ან - ისტორიულ საგმირო სიმღერაში „კობა ცისკარაული“ მელოდიის დიაპაზონი ოქტავას მოიცავს, მაგრამ ცალკეული ფრაზებისა თუ წინადადებების დასაწყისში წარმოდგენილი რიტმულად მყარი კილოს სეპტიმა (დო) ჰარმონიულ საყრდენთან (რე-სოლ) ერთად (აკომპანემენტი ფანდურზე) აგრეთვე მელოდიის საყრდენად აღიქმება. ამ შემთხვევაში მკაფიოდ უღერს ორი კვარტა (Маисურაძე: 1990, 40, №56 8, 9, 10; ასლანიშვილი: 1956, 60, №5). აღსანიშნავია ჩაჩნურ-ინგუშური ნატირლების და აკუნის ნანების ცალკეული ნიმუშების, აგრეთვე რელიგიურ-საწესო სიმღერების (ნაზმი, ძიქარი, საღავათი) მელოდიურ-ინტონაციური და ჰარმონიული სიახლოვე აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის სიმღერებთან (Маисურაძე: 1983 (1), 261-274).

ქართული, ჩაჩნური და დაღესტნური (ლეკური, ყუმუხური), სიმღერების ნათესაობაზე მიუთითებს ორხმიანი სიმღერების ბანში საორღანო პუნქტის გამოყენება; სამხმიან სიმღერებში კვინტები პირველსა და მესამე ხმებს შორის; ქართული (ეოლიური) და კვარტული კადანსები; ტენდენცია მელოდიის დაღმავალი მიმართულებისაკენ; ავარულ სიმღერებში ტრიტონი დორიული კილოს VI და III საფეხურებს შორის, აგრეთვე – ლეკურ სიმღერებში გადიდებული სეკუნდა ფრიგიული კილოს III საფეხურის ამადლების შედეგად, რაც დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სიმღერებისათვის (Асланишвили: 1957, 421-422; Гвахария: 1963, 286; Ханукаев, Плоткин: 1948, 18; Маисურაძე: 1983(1), 274-276; 1983(2), 36).

ჩაჩნურ-ინგუშური და დაღესტნური ხალხური მუსიკა ემყარება ეოლიურ, ფრიგიულ, დორიულ და მიქსოლიდიურ კილოებს (Речменский: 1965, 11; Халевский: 1963, 7; Маисურაძე: 1983, 35-36). დაღესტნური მუსიკალური მასალა არ იძლევა შესაძლებლობას სრულად გაშუქდეს მისი ქართულთან მიმართების საკითხი. მიუხედავად ამისა, მასში

მკაფიოდ ჩანს კავშირი აღმოსავლურქართულ მუსიკალურ სამყაროსთან.

ზემოსხენებული მუსიკალური მონაცემები, თავის მხრივ, შესაძლებელია ესატყვისებოდეს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსახზრებას იმის შესახებ, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის პერიოდის არქეოლოგიური კულტურა არსებითად აღმოსავლელი ქართველი ტომების კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ამავე დროს აღმოსავლეთ პერიფერიაზე ქართველურ ტომებთან ერთად ვაინახურ-დაღესტნური ანუ ჰერულ-ალბანური ტომების არსებობაც ივარაუდება, რომელთა ქართიზაციის პროცესი ადრეანტიკურ ხანაში უნდა დაწყებულიყო (მელიქიშვილი: 1965, 79-82; მუსხელიშვილი: 1977, 72).

ამგვარად, ქართული, აფხაზური, ადიღეური, ოსური, ჩაჩნურ-ინგუშური და ნაწილობრივ დაღესტნური მუსიკალური მონაცემები – მუსიკალურ-ინტონაციურ და ჰარმონიულ ელემენტთა (მათ შორის, სიმღერების დამაბოლოებელი ნაგებობების – კადანსების) ნათესაობა მუსიკალური აზროვნების განვითარების უძველეს ეტაპებზე, ტიპოლოგიური მსგავსება განვითარების შემდგომ პროცესში, საერთო კავკასიური მუსიკალურ-ინტონაციური ხასიათი და, რაც მთავარია, მრავალხმიანობა და მისი ფორმები - მეტყველებს კავკასიის ტერიტორიაზე ოდესღაც საერთო მუსიკალური კულტურის არსებობაზე, რომლის შექმნაში ძირძველ, ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მიეღო მონაწილეობა, მუსიკალური მასალის რეტროსპექტული ანალიზი მკაფიოდ წარმოაჩენს ქართველურ ტომთა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მის წამყვან როლს ამ კულტურის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაში, რომელიც ძირითადად კავკასიური მუსიკალურ-ინტონაციური და ჰარმონიული აზროვნების ფარგლებში მიმდინარეობდა. საგულისხმოა, რომ იმ უძველეს ხანაში ქართველური ტომები ფართო ტერიტორიაზე იყვნენ განფენილნი და ამ მონათესავე ტომთა პოლიფონიურმა აზროვნებამ, არსებითი როლი შეასრულა საერთო კავკასიური, კერძოდ იბერიულ-კავკასიური მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბებაში. ნიშანდობლივია, რომ მუსიკალური აზროვნების, მრავალხმიანობის

ფორმების განვითარების თანმიმდევრულ უწყვეტ სურათს მხოლოდ ქართული მუსიკალური ენა იძლევა, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოკავკასიური მუსიკალური ენები, როგორც გენეტიკურად, ისე ისტორიულ-კულტურული კავშირებით. საუკუნეების მანძილზე, რეგიონალურ სპეციფიკურ ნიშანთა ზრდასთან ერთად მიმდინარეობდა ამ კულტურის დაშლა. ეს პროცესი იბერიულ-კავკასიური მუსიკალური ენების ჩამოყალიბებით დასრულდა (მაისურაძე: 1989, 55-62; 2008, 320). აქვე დავსძენთ, რომ იბერიულ-კავკასიურ მუსიკალურ ენათა ოჯახი უფრო ფართო არეალს მოიცავს, ვიდრე იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი. მასში შედის ოსური მუსიკალური ენა. ლინგვისტური მონაცემებით ოსური ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიეკუთვნება (Гамкрелидзе, Иванов: II, 1984, XLVIII). მუსიკალური მონაცემებით ოსური მუსიკალური ენის სუბსტრატი კავკასიურია, ქართველურია (Маисурадзе, 1983, 49; მაისურაძე: 1989, 58; 2010, 38-39). იბერიულ-კავკასიურ მუსიკალურ ენათა შემდგომი კვლევა უფრო გაამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას ოდესღაც იბერიულ-კავკასიური მუსიკალური კულტურის შესახებ*.

* ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ი. ჟორდანიას წერს: «В работе Маисурадзе искусственно «сужены» регионы анализируемых многоголосных культур народов Кавказа: исследуется традиции только народов **общей языковой семьи** (хотя аналогичная традиция на Кавказе существует и у представителей других языковых семей...»... (Жордания: 1989, 161). ავტორი შეცდომას უშვებს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, იბერიულ-კავკასიური მუსიკალური ენების ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრები უფრო ფართოა, ვიდრე იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის. მასში შედის ოსური მუსიკალური ენა მიუხედავად იმისა, რომ ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ირანულ შტოს. იგივე აზრია გატარებული ჩემ მიერ ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში (Маисурадзе: 1983(1), 213-277; 1983(2), 28-36, 46-49; 1989, 57-59 და სხვ.). ამგვარი დასკვნის საშუალება, ბუნებრივია, მომცა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულმა მუსიკალურმა მონაცემებმა ოსური ხალხური სიმღერების შესახებ და ჩემ მიერ ჩატარებული მრავ-

ვალრიცხოვანი ოსური სიმღერის რეტროსპექტული და ისტორიულ-შედარებითი ანალიზის შედეგებმა. აშკარაა, რომ მუსიკალური მონაცემები, ამ შემთხვევაში, არ ემთხვევა ენათმეცნიერულს. საზოგადოდ, მუსიკალური მონაცემები შეიძლება დაემთხვეს მომიჯნავე დარგთა (ენათმეცნიერება, ისტორია, ეთნოლოგია, არქეოლოგია, ანთროპოლოგია) მონაცემებს, ან – არა. ცნობილი ეთნომუსიკოლოგი ი. ზემცოვსკი შენიშნავს: „...несовпадение выводов музыковедения с выводами смежных наук может стимулировать дальнейший поиск, выдвигание новых гипотез и уточнение старых (Земцовский: 1988, 15-16).

ი. ჟორდანიას ხაზგასმით აღნიშნავს: «...при сравнительном анализе музыковедческого материала нужно исходить исключительно из самих музыкальных данных»... (ჯორდანიას: 1989, 161). ამ შემთხვევაშიც ავტორის მიერ დაშვებულია შეცდომა, რადგან იბერიულ-კავკასიური მუსიკალური ენების არსებობის შესახებ ზემოხსენებული ჩემი მოსაზრებიდან ნათლად ჩანს, რომ კვლევისათვის ამოსავალი „მხოლოდ და მხოლოდ მუსიკალური მონაცემებია“, რომელიც, ბუნებრივია, მუსიკალური მასალის ანალიზის შედეგებს ემყარება.

შემდეგ ი. ჟორდანიას წერს: «... если например, балкарская многоголосная традиция стоит очень близко к грузинской, то мы не вправе закрывать на это глаза, несмотря на принадлежность балкарцев к тюркоязычным народам (ჯორდანიას: 1989, 161). რაც შეეხება ბალყარულ მრავალხმიანობას, ბალყარული სამეტყველო ენა ყარაჩაულ-ბალყარულია. ვარაუდობენ, რომ ბალყართა ფორმირება მოხდა ძველი ჩრდილოკავკასიური ტომების მოსულ ირანულ და თურქულენოვან ტომებთან (ალანები, ბულგარები, ხაზარები, ყივჩაღები და სხვ.) შერევის შედეგად (ქსე, 1977, 180; ითონიშვილი ვახ.: 2007, 76-78). ი. ჟორდანიას მიერ შენიშნული ბალყარული ხალხური სიმღერების მრავალხმიანობის სიახლოვე ქართულთან, თავის მხრივ, უდავოდ მხარს უჭერს ჩემ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ოდესღაც ქართულ-ჩრდილოკავკასიური ანუ იბერიულ-კავკასიური მუსიკალური კულტურის არსებობისა და მისი არეალის შესახებ. ვფიქრობ, უმჯობესია იქნებოდა თუ ავტორი ყურადღებას ამ მხარეზე გაამახვილებდა.

დანართი*

I

1
ჯაიო.

2
ჯაიო

3
ავბ.₃

4
ჯაიო.

5
ჯაიო.

6a
ავბ.

6b

7
ჯაიო.

8
ჯაიო.

9
ავბ.₅

* მრავალრიცხოვანი მუსიკალური ტექსტებიდან საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ტიპური მუსიკალური მასალა.

10

joh.

11

joh.

12

joh.

13

joh.

14

joh.

15

joh.

16

joh.

17

joh.

18

joh.

ა. შ. *

* მუსიკალური მასალა გადატანილია ლა კილოში.

II

1

2

3

4

5

6

9 10 11 12 13

This system contains measures 9 through 13. The key signature is two flats (B-flat and E-flat), and the time signature is 3/4. The melody in the treble clef consists of eighth and quarter notes. The bass line features a half note in measure 9, followed by quarter notes in measures 10-12, and a half note in measure 13.

7

1 2 3 4

This system contains measures 1 through 4. The key signature is two flats, and the time signature is 3/4. The melody in the treble clef starts with a quarter note, followed by eighth notes and a quarter note. The bass line consists of quarter notes.

8

19 20 21

This system contains measures 19 through 21. The key signature is two flats, and the time signature is 3/4. The melody in the treble clef features a series of eighth notes with accents. The bass line consists of quarter notes.

9

4 5

This system contains measures 4 and 5. The key signature is two flats, and the time signature is 4/4. The melody in the treble clef consists of quarter notes. The bass line features a half note in measure 4 and a half note in measure 5.

10

10 11 12 13

This system contains measures 10 through 13. The key signature is two flats, and the time signature is 6/8. The melody in the treble clef consists of eighth notes. The bass line features a half note in measure 10, followed by quarter notes in measures 11-12, and a half note in measure 13.

11

23 24 25 26 27

12

23 24 25

13

10 13

14

15

4 5 6 17

16

17

18

19

20

21

Handwritten musical notation for measure 21. The staff is in 3/4 time with a key signature of three flats. The melody consists of quarter notes: G4, A4, Bb4, C5, Bb4, A4, G4. The bass line consists of quarter notes: G3, F3, E3, D3, C3, B2, A2. Fingerings are indicated as 4, 5, 6, 7, 8.

22

Handwritten musical notation for measure 22. The staff is in 3/4 time with a key signature of three flats. The melody consists of quarter notes: G4, A4, Bb4, C5, Bb4, A4, G4. The bass line consists of quarter notes: G3, F3, E3, D3, C3, B2, A2. Fingerings are indicated as 6, 7, 8, 9, 10.

III

1 მეზღული

2 მეზღული

3 ფშაუხი

ა. შ.

IV

1

10 11 12

2

11 12 13

3

10 11 12 13

4

4 5 6 7 8

5

5 6 7

Handwritten musical notation for measures 6-7. The system consists of two staves. The top staff is in treble clef with a 3/4 time signature. The bottom staff is in bass clef with a 3/4 time signature. Measure 6 contains a sequence of notes: G4, A4, B4, C5, B4, A4, G4. Measure 7 contains: F4, E4, D4, C4. Fingerings are indicated by numbers 2, 4, 5, 6, 7. A slur covers measures 6 and 7.

Handwritten musical notation for measures 7-11. The system consists of two staves. The top staff is in treble clef with a 6/8 time signature. The bottom staff is in bass clef with a 6/8 time signature. Measure 7 contains a sequence of notes: G4, A4, B4, C5, B4, A4, G4. Measure 8 contains: F4, E4, D4, C4. Measure 9 contains: B3, A3, G3, F3. Measure 10 contains: E3, D3, C3, B2. Measure 11 contains: A2, G2, F2, E2. Fingerings are indicated by numbers 3, 5, 6, 7, 8. A slur covers measures 7 and 8.

с. 8.

V

1

2

3

4

5

6

Handwritten musical score for two systems, each with a treble and bass staff. The key signature is one sharp (F#) and the time signature is 6/8. The first system includes a fermata over the first measure of the bass staff and a '7' above the first measure of the treble staff. The second system includes a fermata over the first measure of the bass staff and a '3' above the first measure of the treble staff. The notation includes various rhythmic values, accidentals, and articulation marks.

с. 3.

VI

1

2

3

4

5

6

7

8

VII

The image displays a handwritten musical score for a piece titled "VII". The score is organized into five systems, each beginning with a measure number (1 through 5) in the top left corner. The first three systems (measures 1-3) are written on a single treble clef staff in a key signature of two flats (B-flat and E-flat) and a common time signature (C). The fourth system (measures 4-5) is a grand staff consisting of a treble clef staff and a bass clef staff, both in a key signature of one sharp (F#). The fifth system (measures 6-7) is also a grand staff in the same key signature. The notation includes various rhythmic values, accidentals, and dynamic markings. The Armenian words "ձառնչուր" (melody) and "ջոհմեմ" (harmony) are written above the treble and bass staves, respectively, in the fourth and fifth systems. The handwriting is clear and legible.

The image displays a handwritten musical score for guitar and bass, consisting of seven systems of two staves each. The music is written in D major (two sharps) and 5/4 time. The first system shows a melodic line in the treble clef and a bass line in the bass clef. The second system is marked with a '6' and includes a '5/4' time signature change. The third system continues the melodic and bass lines. The fourth system is marked with a '7' and includes the text '3rd system' above the treble staff and '3rd system' below the bass staff. The fifth, sixth, and seventh systems continue the piece with complex rhythmic patterns and melodic lines.

8

Musical score for system 8, measures 1-4. Treble clef, 6/8 time signature. The first staff has a whole rest in measure 1, followed by eighth-note patterns. The second staff has eighth-note patterns. The bass staff has dotted quarter notes.

Musical score for system 8, measures 5-8. Treble clef, 6/8 time signature. The first staff has eighth-note patterns. The second staff has eighth-note patterns. The bass staff has dotted quarter notes. Measure 8 has a 3/8 time signature change.

9

Musical score for system 9, measures 1-4. Treble clef, 6/8 time signature. The first staff has eighth-note patterns with triplets. The second staff has eighth-note patterns with triplets. The bass staff has dotted quarter notes.

Musical score for system 9, measures 5-8. Treble clef, 6/8 time signature. The first staff has eighth-note patterns. The second staff has eighth-note patterns. The bass staff has dotted quarter notes.

Handwritten musical score system 1, consisting of three staves (treble, alto, and bass clefs). The music features a complex rhythmic pattern with many sixteenth notes and some triplets. The key signature has one flat (B-flat).

Handwritten musical score system 2, starting with a measure rest marked '10'. It consists of three staves. The music continues with intricate rhythmic patterns, including sixteenth notes and triplets. The key signature remains one flat.

Handwritten musical score system 3, starting with the word "роботы" written above the first staff. It consists of three staves. The music features a mix of rhythmic patterns, including sixteenth notes and quarter notes. The key signature is one flat.

Handwritten musical score system 4, consisting of three staves. The music continues with rhythmic patterns, including sixteenth notes and quarter notes. The key signature is one flat.

с. 3.

დანართი

I.

- 1, 2, 4, 10 – მაისურაძე: 1990, ს. 38, №54(1); ს. 28, №41; ს. 44, №61 (1); ს. 8, №2.
- 3, 12, 13, 14, 16, 17, 22 – ახოხაძე, კორტუა: 1957, ს. 121, №35; ს. 134, №39; ს. 171, №55; ს. 175, №57; ს. 214, №74; ს. 225, №79; ს. 152, №46.
- 5, 7, 15 – ასლანიშვილი: 1956, გვ. 180, №24; გვ. 77, №33; გვ. 74, №29.
- 6 ა, ბ – კოვაც: 1929, ს. 43, №7.
- 9 – კოვაც: 1930, ს. 63, №29.
- 8, 11, 18 – ჩხიკვაძე: 1960, გვ. 184, 46, 14.
- 19, 20 – აშუბა: 1986, ს. 104, 108.
- 21 – მაისურაძე: 1971, დანართი №1.

II.

- 1-8 – კოვაც: 1929, ს. 47, №18; ს. 52, №30; ს. 53, №34; ს. 55, №38; ს. 62, №62, №53; ს. 71, №80; ს. 77, №98; ს. 43, №7.
- 9-18 – ახოხაძე, კორტუა: 1957, ს. 214, №74; ს. 121, №35; ს. 113, №32; ს. 143, №39; ს. 142, №42; ს. 152, №46; ს. 171, №55; ს. 217, №76; ს. 225, №79; ს. 258, №92.
- 19-22 – აშუბა: 1986, ს. 108, 109, 104, 55.

III.

- 1, 2 – ჩიჯავაძე: 1972, გვ. 21, 35.
- 3 – ჩხიკვაძე: 1960, გვ. 46.

IV.

- 1, 2, 3, 5 – კოვაც: 1929, ს. 50, №24; ს. 55, №38; ს. 57, №42.

4 – Ашуба: 1986, с. 104.

6, 7 – Ахобадзе, Коргуа: 1957, с. 175, №57; с. 134, №39.

V.

1, 2 – Барагунов, Кардангушев: 1980, с. 80, №27; с. 78, №25.

3-7 – Гребнев: 1941. с. 12, №1В; с. 32, №18; с. 26, 9г; с. 39, №26;
с. 31, №17.

VI.

1-8 – Галаев: 1964. с. 85, №30; с. 82, №28; с. 73, №23; с. 61, №17;
с. 67, №20; с. 57, №15; с. 87, №31; с. 32, №3.

VII.

1-10 – Маисурадзе: 1983 (1). с. 32, №77 (плач); с. 321, №78
(Колыбельная); с. 321, №79 (Колыбельная); с. 314, №62
(Старинная чеченская песня); с. 315, №66 (Героическая
песня); с. 321, №84 (Любовная песня); с. 314, №63 (Ста-
ринная чеченская песня); с. 316, №67 (Назм); с. 316, №68
(Зикир); с. 317, 70.

IBERIAN-CAUCASIAN MUSICAL LANGUAGES

In the Caucasus, the Georgian polyphony is spread throughout the vast territory. For example, the Abkhazian, Adigeic, Ossetian, Chechen-Ingushian, and partly Dagestanian musical data, the integrity of their harmonious elements in the earliest stages of development, and their forms of polyphony and typological similarities speak about the existence of a common musical culture on the territory of the Caucasus, the creation of which was the result of the participation from the local residents. It must be noted that unlike the paleo-Caucasian languages, the Ossetian language belongs to the indo-European language family. However, according to musical data, the substrate of the Ossetian musical language is Caucasian, Georgian.

The musical material clearly picks out the importance of the Kartvelic tribes. It played a leading role in the formation of the common Caucasian musical culture and its further development within the Caucasian musical and harmonious thinking. It is remarkable that in that remote period, the Kartvelic tribes were spread throughout vast territories and within the musical thinking of these tribes, the polyphony played the role of substrate in the formation of all Caucasian musical culture. The differentiation of these cultures occurred a bit later. This process was completed by the formation of the northern Caucasian musical languages relative to Georgian.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

- აბაევი – Абаев В. И., Осетинская традиционная героическая песня. Москва, 1964.
- აბდუშელიშვილი მ., ანთროპოლოგიური მონაცემები და ქართველი ხალხის წარმოშობისა და ჩამოყალიბების პრობლემა // ხელეური, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXII, თბილისი, 1985.
- ასლანიშვილი შ., ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, II, თბილისი, 1956.
- ასლანიშვილი შ., ქართლ-კახეთის ხალხური საგუნდო სიმღერების ჰარმონია. თბილისი, 1950.
- ასლანიშვილი – Асланишвили Ш., Народные основы грузинских композиторов // Грузинская музыкальная культура, Москва, 1957.
- აშუბა – Абхазские народные песни, Тбилиси, 1986.
- ასობაძე ვლ., აფხაზური ხალხური მუსიკის შესახებ // ჟურნლ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1957, №2-3.
- ასობაძე, ქორთუა – Ахобадзе Вл., Кортуа И., Абхазские песни. Составители В. Ахобадзе, И. Кортуа, Москва, 1957.
- ბარაგუნოვი, კარდანგუშევი – Барагунов Х., Кардангушев З. П., Народные песни и инструментальные наигрыши адигов. Составители Барагунов В. Х., Кардангушев З. П., Москва, 1980.
- ბახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბილისი, 2010.
- ბითაძე ლ., ახალი მონაცემები კავკასიონის ტიპის გენეზისისათვის // ისტორიის ინსტიტუტი 60 წლისაა, თბილისი, 2001.
- ბითაძე ლ., ანთროპოლოგიური მონაცემები ქართველთა ეთნოგენეზისისათვის // ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბილისი 2002.
- ბითაძე ლ., ანთროპოლოგიური მონაცემები წოვა თუშების წარმომავლობის შესახებ // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXV, თბილისი, 2005.
- გაბისონია თ., ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ფორმები, ავტორეფერატი, თბილისი, 2009.

- გალაევი – Галаев Б., Осетинские народные песни, Москва, 1964.
- გასანოვი – Гасанов Г. А., Дагестанские народные песни, Редактор Гасанов Г. А., Москва, 1959.
- გვახარია – Гвахария В., О древних взаимосвязях грузинской и северокавказской народной музыки // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბილისი, 1963.
- გიორგი ჩიტაია. შრომები, III, რედაქტორი რ. მეტრეველი, შემდგენელი თ. ცაგარეიშვილი, თბილისი, 2001.
- გრებნევი – Гребнев А., Критический обзор музыкального творчества Адыге (черкесов) // Адыгейские народные песни и мелодии. Составитель и редактор А. Гребнев, Москва-Ленинград, 1941.
- ზემცოვსკი – Земцовский И. И., Музыка и этногенез (исследовательские предпосылки, задачи, пути) // Советская этнография, №2, Москва, 1988.
- იაკუბოვი – Якубов М., Очерки истории дагестанской советской музыки, I, Махачкала, 1974.
- ითონიშვილი ვ., დვალთა მიგრაციის საკითხისათვის // ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, I, 2000.
- ითონიშვილი ვ., კავკასია და კავკასიელები, თბილისი, 2007.
- კაგაზეევი – Кагазеев Б. С., Адыгские народные музыкальные инструменты и бытовые традиции, Автореферат, Тбилиси, 1990.
- კოვაჩი – Ковач К. В., 101 абхазская песня, Сухуми, 1929.
- კოვაჩი – Ковач К. В., Песни кодорских абхазов, Сухуми, 1930.
- მაისურაძე ნ., კვარტული კადანსი ქართულ-აფხაზურ-ადიღეურ სიმღერებში. ისტორიული კრებული, IV, თბილისი, 1973.
- მაისურაძე ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური კულტურა, თბილისი, 1971.
- მაისურაძე – Маисурадзе Н., Проблемы генезиса, становления и развития грузинской народной музыки, Диссертация, Тбилиси, 1983 (1).
- მაისურაძე – Маисурадзе Н., Проблемы генезиса, становления и развития грузинской народной музыки. Автореферат, Тбилиси, 1983 (2).

- მაისურაძე ნ., ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბილისი, 1989.
- მაისურაძე – Маисурадзе Н., Древнейшие этапы развития грузинской народной музыки, Тбилиси, 1990.
- მაისურაძე ნ., მუსიკალური მონაცემები ქართველთა და აფხაზთა ეთნიკური ისტორიისათვის // ანალები, №1, თბილისი, 1999.
- მაისურაძე ნ., ქართული ხალხური მუსიკა და ქართველთა ეთნოგენეზი // ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბილისი, 2002.
- მაისურაძე ნ., ქართული კულტურა აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა კონტექსტში // ლოგოსი, №5, თბილისი, 2008.
- მაისურაძე ნ., ეს სიმღერაა საქართველოსი, თბილისი, 2010.
- მელიქიშვილი გ., საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბილისი, 1965.
- მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი, 1977.
- ნალოევი – Налоев З., У истоков песенного искусства адыгов // Народные песни и инструментальные наигрыши адыгов, Под редакцией Е. В. Гиппиуса, I, Москва.
- ქორდაზია – Жордания И., Грузинское традиционное многоголосие в международном контексте многоголосных культур, Тбилиси, 1989.
- რეზმენსკი – Речменский Н., Музыкальная культура Чечено-ингушской АССР, Москва, 1965.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, II, თბილისი, 1977.
- ქერიმოვი – Керимов С. А., Музыкальная культура дагестанской АССР // Музыкальная культура автономных республик РСФСР, Москва, 1957.
- ყაზნაველი – Канчавели Л. Г., Архаические песни адыгов и особенности ладомелодического развития, Автореферат, Ленинград, 1974.

- შილაკაძე მ., ქართული ხალხური სიმებიანი საკრავები და მათი კავკასიური პარალელები // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXI, თბილისი 1981.
- შილაკაძე მ., ქართულ-კავკასიური პარალელები (ხემიანი საკრავი) // „ქეგლის მეგობარი“, №64, თბილისი, 1983.
- შილაკაძე მ., ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი, თბილისი, 2007.
- ჩიჩი – Чич Г. К., Героико-патриотические песни народно-песенном творчестве адыгов, Диссертация, Майкоп, 1984.
- ჩიჯავაძე ო., ქართული (მეგრული) ხალხური სიმღერები, თბილისი, 1974.
- ჩხიკვაძე გრ., ქართული ხალხური სიმღერა, I, რედაქტორი გრ. ჩხიკვაძე, თბილისი, 1960.
- ცხურბაევა – Цхурбаева К., Музыкальная культура Северо-Осетинской АССР // Музыкальная культура автономных республик РСФСР, Москва, 1957.
- ცხურბაევა – Цхурбаева К., Некоторые особенности осетинской народной музыки. Орджоникидзе, 1959.
- ცხურბაევა – Цхурбаева К., Об осетинских героических песнях. Орджоникидзе, 1965.
- ჭითანავა ქ., მეგრული სიმღერა „კუნხა ბეღინერა“ // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIII, 1987.
- ჭითანავა ქ. – Читанова К., Музыкальная культура равнинного населения Западной Грузии (по этнографическим материалам самегрело). Автореферат, Ереван, 1987.
- ხალეფსკი – Халевский А. М., Чечено-ингушская музыкальная культура // Чечено-ингушский фольклор, I, Составители Х. Ахмадов, С. Пяташ, С. Эльмурзаев, Грозный, 1963.
- ხანუკაევი, პლოდკინი – Ханукаев Х. М., Плодкин М. И., Дагестанская народная музыка, Махачкала, 1948.
- ხარძიანი მ., ნადირობის თემა სვანურ მუსიკალურ ფოლკლორში, დისერტაცია, თბილისი, 2009.
- ხაშბა ი. – Хашба И., Абхазские народные музыкальные инструменты, I изд., Сухуми, 1967.

- ხაშბა მ. – Хашба М., Трудовые и обрядовые песни абхазов, Сухуми, 1977.
- ხაშბა მ. – Хашба М., Жанры абхазской народной песни, Сухуми, 1983.
- ხაშბა მ. – Хашба М., Народная музыка абхазов и ее кавказские параллели (по музыкально-этнографическим материалам), автореферат, Москва, 1991.
- ხახანოვი – Хаханов Д. С., Осетинские народные песни, Автореферат, Ереван, 1972.
- ჯაფარიძე ო., ქართველ ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, თბილისი, 1976.

**მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ქართული
და ბულგარული
წეს-ჩვეულებების შედარებითი განხილვა**

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია კულტურის ისტორიის, მათ შორის აზროვნების სფეროში შემაჯავლი საკითხების არა მხოლოდ დისციპლინათშორისი, არამედ რეგიონთაშორისი კვლევაც. ასეთთა რიგს განეკუთვნება მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული საკითხებიც, რომელთა შედარებითი განხილვის ნიმუშია ქვემოთყვანილი ქართული და ბულგარული (ნაწილობრივ – კავკასიურიცა და ბალკანურიც) მასალები.

სიკვდილისა და, შესაბამისად, მიცვალებულის კულტის ირგვლივ არსებული საწესჩვეულებო მასალის მიხედვით, საქართველოშიც და ბულგარეთშიც მიცვალებულის დაკრძალვას წინ უსწრებდა მოსამზადებელი პერიოდი. მიცვალებულის საიქიოში გასასტუმრებლად მონაწილეობას იღებდა მთელი თემი თუ სოფელი. მისი დაკრძალვა მასობრივი ხასიათის იყო. მეზობლებს და ნათესავეებს მიჰქონდათ ქელეხისათვის პურ-მარილის ნაწილი – შესაწირავი: ქერი, კვერები, პური, არაყი, ღული... სანიჭარი¹.

საყურადღებოა სიკვდილისა და მკვდრის შესატყვისი ტერმინოლოგია, აგრეთვე მიცვალებულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. მიცვალებულის აღმნიშვნელი ბულგარული სიტყვის – „покойник“ – ფუძეში სიმშვიდე და უძრობა ამოიკითხება, ხოლო „починал“ (ასევე მიცვალებულს ნიშნავს) ემყარება „почина“-ს ანუ დასვენებას (შესაბამისად, ხრ. ვაკარელსკი იხსენებს ძველ რომში დამოწმებულ საფლავის წარწერებს – „აქ განისვენებს...“)². დასვენების ერთ-ერთი საშუალება კი ძილია და სიკვდილსაც ბულგარლები ხანგრძლივ ძილად აღიქვამენ. გამოთქმებიცაა: „დაიძინა საუკუნო ძილით“ და „გადავიდა მარადისობაში“ („заспал вечния си сън“ და „отминовал във вечността“) ანუ მოკვდა. ამაზევე მიგვითითებს თრაკიელ და მცირეაზიელ ბულგარელთა წესის მსგავსად, თანამედროვე ბულგა-

რეთშიც დაკრძალვის მეორე დღითვე, მზის ამოსვლამდე მიცვალებულის საფლავზე გასვლის ჩვეულების სახელი – „разньд“³ (გამოღვიძება). ხოლო მომაკვდავის შესატყვისი სახელი – „ПЪТНИК“⁴ ანუ მგზავრი, მიგვანიშნებს, რომ სულთმობრძავი სამზოოდან კი მიდის, მაგრამ არ კვდება და მხოლოდ სხვა სამყაროში ინაცვლებს, საიქიოს მიმავალი მგზავრია.

სიკვდილზე, როგორც ძილსა და მოსვენებაზე, შეხედულება კიდევ უფრო ნათლად და გამოკვეთილად ასახა ქართულმა ენამ. ჩვენშიც გვხვდება საფლავზე წარწერა – „აქ განისვენებს...“, მიცვალებულს კი მიმართავენ: „იძინე მშვიდი ძილით“, მაგრამ გაცილებით ღრმა შინაარსის დამტკევი და გარკვეული მსოფლმხედველობის გამომხატველი სიტყვები – განსვენებული, მიცვალებული, გარდაცვალება – არ ნიშნავს სიცოცხლესთან სამარადჟამო გამოთხოვებას. ისინი ადამიანის ახალ თვისობრიობაში გადასვლას, ანუ გარდაქმნა-გარდაცვალებაზე (ცვალებადობაზე) მიგვითითებს; იმავდროულად, კუბოს სინონიმებად ქცეული, ნეფე-დედოფლისათვის (საზოგადოების სოციალური იერარქიის სათავეში მდგომთა და მათთან გათანაბრებულად მიჩნეულ მექორწილეთათვისაც)⁵ განკუთვნილ საგანთა სახელები: საქორწინო სახლი, ტახტრევანი, სასახლე⁶, აგრეთვე საკულტო-სალოცავისა და საფლავის კოშკების ურთიერთმსგავსება⁷ ან დასაფლავების აღმნიშვნელი სიტყვები – დამარხვა და დაკრძალვა* – გადმონაშთური მოწმობა უნდა იყოს იმისა, რომ მიცვალებული გააზრებულია მოკვდავ-ადღვომადი ასტრალური ღვთაების ტოლად**, რომელიც ღირსია ტახტრევნისა, სასახლისა, მიწაში არა უბრალოდ ჩაფლვისა, არამედ დამარხვისა, ე. ი. შენახვისა და ისიც, ფრთხილად შენახვისა, ანუ დაკრძალვისა და მისი

* სულხან-საბა ორბელიანი: „მარხულობა – მარხუა არს შენახვა, ვინაითგან ვიტყვთ: უნჯთა დამარხუას, ცხოველთა ანუ მკუდართა დამარხუასა“. „დამარხვა – შენახვა, მარხუა – შენახვა; დაკრძალვა – ფრთხილად შენახვა; კრძალვა – სიფრთხილე“.

** ძველ ეგვიპტეში თვლიდნენ, რომ თავად მიცვალებულია ღმერთი⁸.

სამყოფელია, სწორედ, სასახლე და კოშკი. ამაზევე მეტყველებს მიცვალებულის გამოსვენებისას ზნეობრივ ნორმად ქცეული ფეხზე წამოდგომის ჩვეულება, რომელიც თ. ოჩიაურის აზრით, ემყარება მაგიის პრინციპს (არ დაემსგავსონ მიცვალებულს)⁹. მაგრამ საფიქრებელია, რომ მაგიაზე დამყარებით ახსნილ ამ ჩვეულებას, ისევე როგორც მიცვალებულის წინაშე ქუდის მოხდას, ბულგარეთშიც¹⁰ და ჩვენშიც (გავიხსენოთ სვანეთში მიღებული წესიც – მგლოვიარე კაცები უქუდოდ, თავშიშველნი დადიან¹¹) საფუძვლად უნდა ედოს მიცვალებულისადმი, ვითარცა მოკვდავ-ადღვომადი ღვთაების რანგში აყვანილისადმი, პატივის მიგება. ალბათ ამიტომვე, სოფელში „მიცვალებულს რომ დაიძახებდნენ“ (ისევე, როგორც დღესასწაულის ჟამს ანუ ღვთაებისადმი მიძღვნილ დღეს), მის დამარხვამდე მუშაობა იკრძალებოდა.

სოლარულ ღვთაებასთან მიცვალებულის კავშირზე უნდა მიგვითითებდეს მზის ჩასვლამდე ან მზის გადასვლისას დაკრძალვის წესიც (ხალხის რწმენით, „მიცვალებული ჩამავალ მზეს მიყვება სასულეთში“¹²) და ჭირისუფლის მიერ თმის გაშლის („სხივებად დაფენის“) ჩვეულებაც. მიცვალებულთანვე კავშირში საყურადღებოა სვანეთში დამოწმებული წესები: კუბოსთან აყენებდნენ მოზვერს¹³, მიცვალებულ მამაკაცს დაკრძალვისას წინ უძღოდა სოლარული ღვთაების ზომორფული ხატება და დიდი ღმერთისადმი მიძღვნილი ცხოველი – ხარი¹⁴. ხარის რქებით ინიღბებოდნენ მიცვალებულის წინ მიმავალი ჭირისუფლები¹⁵. საპატიო მიცვალებულს ასვენებდნენ ფუსნაბუასდიას (დიდი ღმერთის) პროტოტიპად მიჩნეული, ნაყოფიერების ვეგეტაციური, მზიური ღვთაების, კვირიას საგალობლით¹⁶, რაც მეტყველებს ღვთაებასთან მიცვალებულის წილნაყრობასა და მიახლოებაზე.

ზემონათქვამთან კავშირში გავიხსენოთ: ჩვენშიც და ბულგარეთშიც, სულთმობრძავის სიცოცხლესთან გაყრის გასაადვილებლად იყენებდნენ უღელს. საქართველოში თვლიდნენ, რომ სულთმობრძავი გუთნისდედა ხვნის დროს სამნის დარღვევით გამოწვეული ცოდვის გამო წვალობდა, ამიტომ თავით უღებდნენ ხარის უღელს. აღმოსავლეთ

ბულგარეთში სულთმობრძავს კისერზე ადებენ უღელს (უღელში „აბამენ“) ან აგონიაში მყოფის ჭიშკარზე დებენ უღელს და ამ ჩვეულებას განმარტავენ როგორც სასჯელს¹⁷. ალბათ, აქაც იგულისხმება მომაკვდავის მიერ ცხოვრებაში ჩადენილი დანაშაული. მაგრამ ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ჩვეულება გადააზრებულია და გადმონაშთია ოდინდელი შეხედულებისა, როცა ამ ქმედებით სულთმობრძავს აახლოებდნენ ღვთაების ზოომორფულ სახესთან – ხართან (რომელსაც ედემის უღელი) და ამით აჩქარებენ მის გარდასახვა-გარდაცვალებას, ღვთაებასთან მიახლოებას. ამაზევე უნდა მიუთითებდეს უღელზე მიცვალებული მამაკაცის დატირების წესი (ფშავ-ხევსურეთი) და მიცვალებულზე მისანიშნებლად ძველებური სახლის აივანზე უღლის შემოდების ჩვეულება (ქსნის ხეობა, ფშავი)¹⁸.

ღვთაების ზოომორფულ სახესთან – ხართან – მიცვალებულის გაიგივებისა თუ კავშირის თვალთახედვით საინტერესო ჩანს დაღესტნური მასალაც. გასვენებიდან დაბრუნებული რუტულები და ავარლები ახალგაზრდა ქვრივ ქალს დაუფენდნენ ხარის ან ძროხის ტყავს. შავით მოსილი ქვრივი ქალი, შედგებოდა რა ტყავზე, მოთქვამდა: „ჩემო მბრძანებელო, ჩემო ძვირფასო... იმისათვის, რომ არ დაგივიწყო და მუდამ შენზე ვიფიქრო, ამ ტყავზე შევდგები“. ამ რიტუალის შესრულებით ქალი იცავდა საუკუნეებით ნაკურთხ ადათს, რომლის მიხედვით იკრძალავდა მეორედ გათხოვებას. ამ ტყავზე ქვრივი უნდა მჯდარიყო 3 დღე, შემდეგ კი 40 დღე – გარდაცვლილი ქმრის შავ ნაბადზე¹⁹. აღნიშნული ტრადიცია გვახსენებს მოზგრად ნეფის და უშობლად დედოფლის მოხსენიების არა მხოლოდ დაღესტანში გავრცელებულ ჩვეულებას, რაც თავის მხრივ, მიგვანიშნებს, რომ კუროს ზოლიაქური ეპოქიდან უნდა მომდინარეობდეს ხარის ზოომორფული ნიშნის მქონე მოკვდავად დგომადი სოლარული ღვთაებისადმი მიძღვნილი საგაზაფხულო დღესასწაული, რომლის მთავარი პერსონაჟის, იმავდროულად საკრალური ქორწილის ნეფის მსგავსად, მიცვალებულიც ხარის ნიშნიანია. ამიტომაც დაქვრივებული ქალი, მის ქვეშ დაფენილი ხარის ტყავის მეშვეობით,

სამუდამოდ „ერწყმოდა“ თავის ზეციურ მეუღლეს*. და თუმცა ამ წესში (მსგავსად ნიღბოსნობისა) თავი შემოინახა კუროს ზოდიაქური ეპოქისათვის დამახასიათებელმა, ღვთაების ზომორფულმა ნიშანმა, მაგრამ ხარის ტყავის საფენის შეცვლამ შავი ნაბდით, ისევე როგორც ლეკების მიერ თეთრ სუდარაში გახვეული და შავ ნაბადზე დასვენებული მიცვალებულის მიყვანამ სასაფლაოზე²¹, წარმოაჩინა უკვე ვერძის ზოდიაქური ეპოქის ზომორფული ნიშანი ღვთაებისა**.

მიცვალებულისა და ჭირისუფლის შემოსვის წესებშიც გამოჭვივის ღვთაებასთან კავშირი. საქართველოში, მეუღლის დაკრძალვის დღეს, ტრადიციულად, დაქვრივებული (ქალიც და კაციც) იმოსებოდა საქორწილო თეთრი ტანსაცმლით²³. ქსნის ხეობასა და თუშეთშიც დამოწმებული ჩვეულების მიხედვით, ჭირისუფლობისას, მეუღლის დაკრძალვამდე ახალგაზრდა ქვრივ ქალს აცმევდნენ საგვირგვინო კაბას და რთავდნენ სამკაულებით²⁴, ჩანს, იმის ნიშნად, რომ ის სადედოფლოდ გამოწყობილი აცილებდა თავის მეუღლეს – „მეფეს“, რომელიც არა მხოლოდ ქორწილის დროს, არამედ გარდაცვალების შემდეგაც ღვთაების (იმავე „მეფის“) დონეზე განიხილებოდა. იგივე სადედოფლო კაბა საუკეთესო სამოსად ითვლებოდა მიცვალებულისათვისაც²⁵, საქორწილო კაბითა და სამკაულებით კრძალავდნენ ახალგაათხოვილს, პატარძალს (იგივე წესი

* ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებით, ხარის ტყავზე (ოღონდ ქვრივის კი არა) პატარძლის დასმა, გამრავლება-ნაყოფიერების მიზნით, ცნობილია ბერძნულ-ბაქტერიული ხელოვნების ნიმუშებიდან და ინდოელთა ძველი, საქორწინო ჰიმნებიდან²⁰.

** აქვე დავაზუსტოთ, რომ სახვნელი მიწათმოქმედების განჩენისა და მეურნეობაში მუშა საქონლის საგანგებო მნიშვნელობის წამოწვევისდაკვალად, ხარი იქცა ღვთაების ზომორფულ სახედ, წარმოიშვა მისი კულტიც, რასაც მიესადაგა კუროს ზოდიაქური ეპოქა. დროთა განმავლობაში, ცხვრის განერბვისა და დოღის ხელოვნური ვადების შემოღებას შედეგად მოჰყვა მეცხვარეობის აღმავლობა, ცხვრის კულტის განჩენა და ცხვრის მიჩნევა ღვთაების იპოსტასად. ეს უკვე კუროს ზოდიაქური ეპოქის მომდევნო – ვერძის ზოდიაქური ხანაა²².

იყო ყუმუხებშიც²⁶), რასაც ადასტურებს საფლავის ქვებზე დამოწმებული საპატარძლოს სამოსში გამოწყობილი ქალის გამოსახულებები²⁷. ზოგჯერ ღრმა მოხუცს არ გამოაწყობდნენ სადედოფლო კაბაში, ოღონდ, სამარეში მაინც ჩაატანდნენ მას. საერთოდ კი, აუცილებლად ითვლებოდა მიცვალებულისათვის ჯვარნაწერი რაიმე ნივთის ჩატანება²⁸.

სასუდრე ტანსაცმელი, ტრადიციით, უნდა სცმოდათ ახალ წელს, როცა, ხალხის რწმენით, ანგელოზები წერენ ვინ უნდა მოკვდეს; ხოლო ვინც რა სამოსში იქნება იმ დღეს, საიქიოშიც იმითი წავა. ამიტომაც საახალწლოდ კარგ სამოსში ეწყობოდნენ²⁹ (იგულისხმება ჯვარნაწერი ტანსაცმელი). სინამდვილეში კი, ამჟამად თავდაპირველ შინაარსდაკარგული ეს ჩვეულება უნდა მომდინარეობდეს იმ შორეული წარსულიდან, როცა ახალი წელი დაკავშირებული იყო მოკვდავ-ადდგომად ღვთაებასთან, რომლის როლში გამოდიოდა ოჯახის მეკვლე-ბერიკა³⁰. მას ღვთის საკადრისი, საუფლო, იგივე საქორწილო სამოსი უნდა სცმოდა, რომლითაც გაემგზავრებოდა საიქიოს.

მიცვალებულთან კავშირში დამოწმებულია მოკვდავ-ადდგომადი ღვთაების როგორც ზოომორფული, ისე სოლარული ნიშნების მქონე ელემენტები. მაგალითად, თუშეთში თეთრი ნაბადი განკუთვნილი იყო მიცვალებულისათვის, მგლოვიარე ქალები კი ატარებდნენ მხარზე გადაკიდებულ, ჯაჭვის რგოლებასხმულ, შავი ნაბდის მოგრძო ნაჭერს, რომელსაც ბოლოში უკეთდებოდა უკუღმა დართული ძაფისაგან გამზადებული გრძელი ფოჩი – „ხავარო“³¹. ს. მაკალათიას მიხედვით, შავ ფოჩს, რომელიც როგორც ჩანს, ადრე ჯაჭვის პერანგივით მოქსოვილ ვიწრო და ჩაგრძელებულ ლითონზე კეთდებოდა, ქოქირა ერქვა³². ღუბროვინის უფრო ადრეული ცნობით კი, ქალები გლოვის ნიშნად კაბაზე იკეთებდნენ შავი ბაწრის წნულ ფოჩებს და მეომრის ჯაჭვის პერანგის ნაგლეჯს. ნ. აზიკურის განმარტებით, „შეიძლება ამ შემთხვევაში ნაბადი სრულიად უბრალო ფუნქციით იყოს წარმოდგენილი – რბილია და ჯაჭვი კარგად და უხმაუროდ ესხმება. შეიძლება შავი ფერის გამო იგი ხაზს უსვამდეს მგლოვიარის განწყობილებას ანდა ასოცირებული იყოს შავეთთან. ძაფის უკუღმა დართვაც

„უკუღმა დაბრუნებული წუთისოფლის“ ასოციაციით იყოს განპირობებული“³³. აქვე დავსძენ – ფონები, რომლებიც მზის სხივოსნობის ნიშნად უნდა განიხილებოდეს და მიცვალებულის გასახვევი თეთრი ნაბადიც (თავისი მზიური თეთრი ფერით) სოლარულ კულტს უკავშირდება; ხოლო რამდენადაც ისინი ცხვრის მატყლისაგან მზადდება, სიმბოლურად ჩანაცვლება ცხვრის ტყავ-ქურქს, რომელიც ნიშანია ღვთაებისა და, შესაბამისად, ღვთაებასთან წილნაყარი მიცვალებულისა. მგლოვიარეთათვის განკუთვნილი შავი ნაბდის ნაჭერი კი, მართლაც, გლოვასა და საიქიოს უკავშირდება. უკუღმა დართული ძაფი, ისევე როგორც საფლავის ქვებზე გამოსახული უკუღმა მსრბოლი ბორჯღალი, „მიყვება მკვდრის მზეს“ და გამოხატავს მზის წლიურ მოძრაობას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

თუშეთშივე, მიცვალებულის უახლოესი ნათესავები თავზე ტყავ-კაბა ჩამოცმულები ისხდნენ³⁴. კახეთსა და სვანეთში ჭირისუფლები ატარებდნენ ბეწვგადმობრუნებულ სამოსს³⁵. ასევე დაღესტანშიც ყუმუხები და, საერთოდ, მთიელები ტირილისა და ჭირისუფლობის დროს რამდენიმე დღე გადაბრუნებული ქურქით დადიოდნენ³⁶. ანუ ადგილი ჰქონია მიცვალებულთან კავშირში მოკვდავ-ადღვომადი სოლარული ღვთაების ზომორფული ნიშნის მქონე სამოსის – ცხვრის გადმობრუნებული ქურქ-ტყაპუჭის – სამგლოვიაროდაც გამოყენებას.

სამგლოვიარო სამოსის უძველესი სახელია ძაძა – ერთ-ერთი ნიმუში სიტყვის სემანტიკის განვრცობისა³⁷: თუ ადრე ის ღაზლის შალს, ანუ მატყლის მსხვილი მკედის უხეშ ქსოვილს ერქვა, დროთა განმავლობაში, მან მცენარეული ბოჭკოდან მიღებული ნაქსოვის მნიშვნელობაც შეიძინა³⁸.

ბულგარეთშიც მიცვალებულებს საქორწილო კოსტუმით (მეორედ დაქორწინებულებს – პირველი ჯვრისწერის ტანსაცმლით), გვირგვინითა და თაიგულით ანუ ღვთაების ატრიბუტებით კრძალავდნენ. თვლიდნენ, რომ ამ სამოსით (ან კუბოში ჩატანებული მისი რომელიმე ელემენტით) საიქიოში ერთმანეთს ცნობდნენ სააქაოს პირველი ქორწინების მეუღლეები. იქაც, ისევე როგორც ჩვენში, საიქიოში მეუღლეებად მიჩნეულია პირველი ქორწინების ცოლ-ქმარი³⁹.

საქორწილო სამოსს ინახავდნენ სამკვდროდ და საზეიმოდ აწყობდნენ მიცვალებულებს სხვა ხალხებიც, მათ შორის: სერბები, ხორვატები, ლუჟიცები, პოლონელები, ესტონელები, ფრანგები და მოლდაველები⁴⁰.

ბულგარეთში, ზოგჯერ, განსაკუთრებით ძველი თრაკიის რაიონებში, რომელიმე სამოსს უკუღმა აცმევდნენ მიცვალებულს⁴¹, რაც გამოძახილი უნდა იყოს ძველი ჩვეულებისა, როცა ღვთაებასთან წილნაყრად გააზრებულ მიცვალებულს ღვთის ზომორფული ნიშნით – გადმობრუნებული ტყაპუჭით – მოსავდნენ.

საგვირგვინო სამოსში აწყობდნენ როგორც ჯვრისწერიდან 40 დღემდე გარდაცვლილ, ისე ახალგაზრდა, საქორწილო ასაკს მიღწეულ, მაგრამ დაუქორწინებელ მიცვალებულებსაც, რომელთა დაკრძალვას ჰქვია „погребение – сватба“⁴². ამ დროს, გარდა საქორწილო კოსტუმისა და მისი ატრიბუტებისა (საქორწილო თაიგული, გვირგვინი, ქალებს – პირბადე, ფატა; ვაჟებს – ქურქის ან მატყლის ქუდი), ფიგურირებს ქორწილის თანმხლები აუცილებელი ელემენტები (მაგალითად, საქორწინო ბაირადი). მიცვალებული კი ხელით მიყავთ სასაფლაომდე. ზოგჯერ ასევეა იმ ახალდაქორწინებულთა დაკრძალვის დროსაც, რომლებსაც ჯვრისწერიდან არ შესრულებიათ ერთი წელი, ან ვერ მოასწრეს ნათლილებას განბანვა⁴³. იქნებ აქაც ამოვიკითხოთ მათდამი, ვითარცა ღვთაების რანგში ასულთა მიმართ პატივისცემის გამოხატულება.

გადაბრუნებულ სამოსს ატარებდნენ ჭირისუფლებიც. გადაბრუნებულსავე (უკუღმა პირით) აშრობდნენ მიცვალებულის სამოსს, გარეცხილს ცივ წყალში და უსაპნოდ⁴⁴.

ძველად, როცა კაცი კვდებოდა, ცოლი სახის წინ ნაწნავებს ჩამოიშლიდა (ასოციაცია მზის სხივებთან). ასე რჩებოდა დაკრძალვამდე, მერე თმას საფლავეზე დაიწნავდა და თავს ორი, ამითგან ერთი თეთრი თავსაფრით, წაიკრავდა⁴⁵ (XX ს. 20-იან წლებამდე სამგლოვიარო ფერი თეთრი იყო⁴⁶. შდრ. დაკრძალვისას საქართველოში ზემონახსენები თეთრი ნაბდის გამოყენება).

მიცვალებულისადმი მიძღვნილ რიტუალებში, მზის კულტთან დაკავშირებული ხარისა და ცხვრის გარდა, ფი-

გურირებს ასევე მზიურ ცხოველად მიჩნეული ცხენი. საქართველოში დამოწმებული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით აშკარაა ცხენის კავშირი მიცვალებულის კულტთან (მიცვალებულის სამარეში მისთვის შეწირული ცხენის ჩატანება, შემდგომში შეცვლილი მიცვალებულთანვე დაკავშირებული „სულის ცხენის“ რიტუალით, აგრეთვე მიცვალებულის სახელზე გამართული დოდი, საფლავის ქვებზე ცხენის გამოსახულებები, რაც ცნობილი იყო კავკასიელთა და არაერთი სხვა ხალხისათვისაც)⁴⁷. ბულგარეთშიც თრაკიელი მხედრის სახელით ცნობილი ხეროსის კულტი წინაპრის⁴⁸ და, შესატყვისად, მიცვალებულის კულტთან კავშირში განიხილება, რაც ბალკანეთში, რომ აღარა ითქვას რა დოღზე, აისახა საფლავში ცხენის ჩატანებასა და საფლავის ქვებზე ცხენის გამოსახულებებშიც⁴⁹.

ნაირგვარია საფლავის ქვები. საქართველოში დამოწმებულია როგორც ქვის ვერძები და ცხენები, ისე საფლავის ქვებზე დატანილი მათი გამოსახულებები⁵⁰. მიღებული მოსაზრების მიხედვით, ისინი მინიშნებაა მიცვალებულის საქმიანობაზე ანუ მეცხვარეობაზე. გარკვეული დროიდან, ალბათ, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის ფაქტი, რომ ცხვარი გამოსახულია ქალის საფლავის ქვებზეც (ისიც დას. საქართველოში და გვხვდება აგრეთვე მტრედების გამოსახულებაც), იქნებ მიგვანიშნებდეს, რომ საქმე გვაქვს აწ ცნობიერებიდან გადასული, ხალხური რელიგიური აზროვნებით დამკვიდრებული, ძველისძველი წარმოდგენის მხოლოდ ტრადიციის ძალით შემორჩენილ გადმონაშთურ ნიშანთან, რომელმაც ქრისტიანობის ხანაშიც შემოინახა თავი და საფლავთა ქვებზევე გამოსახულ მტრედებთან ერთად, გაიაზრება შესატყვისად – ვითარცა უფლისა და სულიწმინდის ემბლემები, რაც ღვთაებასთან მიცვალებულის მიახლოების მაუწყებელი უნდა იყოს ისევე, როგორც ჯვარი. აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებო ფაქტია – შიდადასავლეთ ბულგარეთში საფლავის ძეგლს ჩამოაცვამენ მიცვალებულის სამოსს, რაც სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მოწმობაა იმისა, რომ სოფიის ოლქის საფლავის ძეგლი (მაშინაც კი, როცა ის ყოველგვარ ანთრო-

პომორფულ ატრიბუტს მოკლებული ჯვარია), გააზრებულა როგორც თავად მიცვალებულის სიმბოლო⁵¹.

ბულგარეთშივე საფლავის ქვის ძეგლების ორნამენტთა ნაწილი ძველი მსოფლმხედველობიდან მომდინარე სიმბოლოებია. ესენია მოდიფიცირებული სოლარული ნიშანი (აღმოსავლეთში), სიცოცხლის ხე და ა. შ., რაც ახსნილია როგორც წინაპართა საუფლოში, საიქიოში გადასახლების საშუალება⁵². თუმც, საფიქრალია, რომ აქაც, ისევე როგორც ზემომოყვანილ მაგალითებში, საქმე გვაქვს ღვთაებასთან მიცვალებულის მიახლოების ნიშანთან. საფლავზე დადგმული ჯვარიც ხომ, გარკვეული დროიდან მაცხოვრის ნიშანია. ბულგარეთშივე დამოწმებულია „кръст“-ის (ჯვრის), ზოგჯერაც „кучка“-ს სახელით ცნობილი საფლავის ჯვარი. ის გვხვდება უპირატესად ჩრდილოეთში. დობრუჯის ზოგ სოფელში ხის ჯვრები მხოლოდ მოკლემხრიანი და ზემოთ მომრგვალებული „კუკლებია“. მათზე სტილიზებულად და სქემატურადაა გამოსახული ადამიანის სახე ცხვირითა და თვალებით, აგრეთვე გვხვდება მთლიანი ფიგურა, რომლის ხელები ჯვრის გვერდითი, მოკლე მხრებითაა წარმოდგენილი⁵³. ჩრდილოაღმოსავლეთ ბულგარეთში ამავე კუკლას, თუ ის ქალის საფლავზე იდგა, ერქვა „светица“-ც, რაც ნიშნავს ხატს, უფრო ზუსტად – ღვთისმშობლის ხატს. ე. ი. სახელებში კუკლა და სვეტიცა აისახა საფლავის ძეგლის ანთროპომორფულობა⁵⁴. აღნიშნულთან კავშირში ისმის კითხვა – საფლავის ძეგლს ჰქვია კუკლა მხოლოდ იმის გამო, რომ ის ანთროპომორფულია? იმის გათვალისწინებით, რომ სიტყვა „კუკლა“ მომდინარეა „კუკ“-იდან და უკავშირდება მოკვდავადგომადი ღვთაების მიწიერი ორეულის სახელს⁵⁵, ბუნებრივი გამოჩნდება, რომ საფლავის ძეგლი (რომლის სახელით, ალბათ ხაზი გაესვა საიქიოში წასულის „ღვთაებად გარდაცვალება-გარდაქმნას“, ღვთაებასთან მის ზიარებას) წარმოადგენს თავად ამ ღვთაების ხატებას. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ კი, დროთა განმავლობაში, ძეგლის დადგმის ტრადიციულმა ჩვეულებამ განიცადა ცვლილება. საგულისხმოა ისიც, რომ რიგ შემთხვევაში, გარდა რელიგიური სიმბოლიკისა, შრომით

საქმიანობაზე მიმანიშნებელი გამოსახულებებისა და ანთროპომორფული ნიშნის მქონე ზოგადი კონფიგურაციისა, საფლავის ძეგლი ატარებს სქესისა და ოჯახური მდგომარეობის გამომხატველ ნიშნებსაც. მაგალითად, უხსოვარი დროიდან ცნობილი ჯვარი, „ვითარცა საფლავის განმასხვავებელი ნიშანი, დაამკვიდრა ქრისტიანულმა კანონმდებლობამ“⁵⁶ და გვიანი ხანის ჯვრის ძეგლი იდგმებოდა, უპირატესად, მამაკაცის საფლავზე; კუკლა კი, ფორმების მეშვეობით გვაწვდის ცნობას მიცვალებულის სქესის შესახებ: მამაკაცის საფლავზე მისი ზედა ნაწილი სწორია, ქალისაზე, ანუ ე. წ. სვეტიცაზე – მომრგვალებული. რაც შეეხება საზოგადოებრივი მდგომარეობის ასახვას, საფლავის ქვაზე ნაწნავი აქვს ქალიშვილს, გვირგვინი – პატარძალს⁵⁷. ხოლო ზოგან შემორჩენილი წესის მიხედვით, ბავშვის (თუნდაც მონათლულის) საფლავზე ჯვარს არ დგამენ⁵⁸. რა ახსნა შეიძლება მოექმნოს ამ ფაქტს? საფლავის ჯვრისმაგვარი ძეგლები ნიშანი და გამომსახველი უნდა იყოს არა მხოლოდ იმისა, რომ აქ ქრისტიანია დაკრძალული, არამედ სიმბოლოა ღვთის ჯვარცმული და აღმდგარი ძისა, რომელსაც „უთანაბრდება“ გარდაცვლილი, ოღონდ მხოლოდ მამაკაცი. მისგან განსხვავებით, ქალის საფლავის ძეგლი, რომელიც უკვე ღვთისმშობლის სახელს ატარებს („სვეტიცა“), კვლავ ანთროპომორფულია, რაც სავსებით ლოგიკურია. ხოლო ბავშვის საფლავზე, ალბათ, იმიტომ არ იდგმება ჯვარი, რომ არასრულწლოვანი არ შეიძლება გაუთანაბრდეს მაცხოვარს. თუ ნათქვამი მისაღებია, გამოდის, კუკლად სახელდებულ საფლავის ძეგლში ჩადებულმა თავდაპირველმა – ღვთაების ხატის – მნიშვნელობამ გარკვეულწილად შემოინახა თავი მოგვიანო ხანის ძეგლებშიც. მაგრამ დროთა განმავლობაში მოხდა მისი გადააზრება და მხოლოდ მიცვალებულის სქესის მაჩვენებელ ძეგლად გადაქცევა. შესაბამისად, ქალის საფლავზე მდგარი კუკლა, იგივე სვეტიცა ანუ ღვთისმშობლის ხატი, ისევე როგორც დედუფალი, მდებარებითი ღვთაების შესატყვისია, მაშინ როცა თავდაპირველად კუკლა ერქვა როგორც მამაკაცის, ისე ქალის საფლავის ძეგლს და როგორც ქართულში კუკი და თოჯა//თოჯინა – ორივე სქესის ჭეპრას.

ამათგან ჭეპრა, ს.-ს. ორბელიანისეული განმარტებით: „კუკია“, ხოლო „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (ტ. IV, 1955) ვკითხულობთ: „თოჯა – ძვ. თოჯინა...“ თქვენ თითონ ითამაშეთ ტიკინაობა და მიმათხოვეთ თოჯასა“, საიდანაც ჩანს, რომ თოჯინა მამრიც ყოფილა. საერთოდ კი კუკა და თოჯა, ისევე როგორც ბულგარული კუკლა არა მხოლოდ ქალისა და კაცის, არამედ ცხოველთა ფიგურებიცაა⁵⁹, რაც თავდაპირველად, ჩანს, ღვთაების ანთროპომორფულ, უფრო ადრე კი ზომომორფულ ბუნებასაც უკავშირდებოდა (რაზეც მიგვანიშნებს სოლარული ღვთაების მიწიერი ორეულის, თრაკიულიდან მომდინარე, სახელი – კუკერი).

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თრაკიული წარმოშობის ტერმინიდან – კუკ – მომდინარე სახელი კუკლა თავდაპირველად მოკვდავ-ადღვომად ღვთაებასთან კავშირში განიხილებოდა და მისი სახელით ცნობილი მატერიალური კულტურის ელემენტებიც (საფლავის ძეგლებიცა და რიტუალური ნამცხვრებიც⁶⁰) იმავე ღვთაების სატებად გაიაზრებოდა. განურჩევლად იმისა, თუ რა დროიდანაა დამოწმებული ბულგარეთში ზემონახსენები საფლავის ძეგლები, ჩანს, მათში აისახა და ყოფას შემორჩა უძველესი რწმენა-წარმოდგენები მოკვდავ-ადღვომად ღვთაებებზე (რაც გამოიხატა როგორც ფორმაში, ისე სახელში).

საფლავის ძეგლი კუკლა, რომ წარმართული დროის აზროვნების ანარეკლია, ამას უნდა მოწმობდეს შემდეგი ფაქტიც – აქა-იქ, ერთეულის სახით, გვხვდება უხეშად დამუშავებული ქვისაგან გამოკვეთილი ადამიანის სქემატური გამოსახულება, რომელიც სრულებით არ ჰგავს საფლავის ჯვარს. ასეთ ძეგლებს ხალხმა შეარქვა „სურვაკართა ქვები“⁶¹. თუ გავითვალისწინებთ, რომ სურვაკარი ზამთრის სეზონის ანუ თანამედროვე საახალწლო დღეობათა ციკლის სანახაობების მონაწილე ნიღბოსანია და ყველიერში გამართული თამაშობების ნიღბოსნის (ბულგარელი კუკერისა და ქართველი ბერიკის) შესაბამისი წარმართული პერსონაჟია, გასაკები გახდება, რომ ასეთი ადამიანის საფლავზე (თუ ის დაიღუპა სურვაკარისა და კუკერის რო-

ლის შესურლებისას) არ დადგამდნენ ქრისტიანობის სიბოლოს – ჯვარს. ამიტომაც მის საფლავზე იდგმება ადამიანის სქემატური გამოსახულება, ე. წ. კუკლა, რომელიც თავისი წარმოშობით ასევე წარმარულ ხანასა და შეხედულებებს უკავშირდება. მოგვიანებით კი გაჩნდა ჯვრის სახის ძეგლი, რომელიც თავდაპირველად მამაკაცის საფლავზე უნდა ჩანაცვლებოდა კუკლას. ამ მოსაზრების სარწმუნოდ მიხნევას მხარს უჭერს ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ფაქტები, რომელთა მიხედვით აშკარაა, რომ წარმართულ, მოკვდავ აღდგომად ღვთაებას, ხალხის აზროვნებაში, ასევე ჩაენაცვლა ქრისტე⁶², ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი ძე ღვთისა. გამოდის, რელიგიური აზროვნების გარკვეულ საფეხურზე, როცა ერთი ღვთაება შეიცვალა მეორით, სალოცავიც, შესაწირიცა და საფლავის ძეგლიც უკვე ახალი ღვთაების სახელს უკავშირდება, რაც ლოგიკურია. ამ შემთხვევაში კვდომა-აღორძინების იდეა განცხადებულია ქრისტეში და, ამდენად, წარმართობიდან მომდინარე რწმენამ სიცოცხლის განახლება-აღორძინების შესახებ შემოინახა თავი ახალ, ქრისტიანულ იდეოლოგიაში ასახვის გზით.

სიკვდილის თემასთანვე კავშირში განიხილება როგორც ღვთაების ნიშნად მიხნეული, მიცვალებულისათვის განკუთვნილი რიტუალური ნამცხვარი „კუკლა“, ისე სხვა პლასტიკურ მოსართავიანი ანუ საწესო პურები⁶³.

ზემომოყვანილ მაგალითებში აისახა ღვთაების კვალი კვდომასა და მიცვალებულთან დაკავშირებულ რწმენა-ჩვეულებებში.

ღვთაებისავე კვალი ბერიკას მონაწილეობის სახით თავს იჩენს მკა-ლეწვის, მცენარის „სულის მოკვლის“ დროსაც⁶⁴.

სწორედ მცენარის „სულის მოკვლით“ გამოწვეული, ანიმიზმის ეპოქიდან მომდინარე და შემდგომ „ხმით ნატირლების“ სახელით ცნობილი გლოვის ნიმუში⁶⁵ დაედო საფუძვლად, შემდგომში ტრადიციად ქცეულ, მიცვალებულის ხმით დატირებას, რაც პირველი ე. წ. მოსავლის შემგროვებლისა და ამდენადვე პირველივე გლოვის მგოსნის – ქალის – ისტორიულ მოვალეობად ქცეულა⁶⁶. იმ შორეულ წარსულ-

შივე, მცენარის მოკლული სულისათვის თავთავების მიძღვნიდან უნდა იღებდეს სათავეს ზოგადად სიკვდილის თემასა და მიცვალებულის კულტთან მისადაგებული წესები, მათ შორის მიცვალებულისათვის შესაწირავის მირთმევის ჩვეულებაც. შესაწირს კი ჯერ მოწყვეტილი თავთავების⁶⁷, შემდეგ მოხარშული მარცვლეულისა და მოგვიანოდ უკვე გამომცხვარი, ოღონდ უფუარი პურის სახე უნდა ჰქონოდა, რაც თითქმის ბოლო დრომდე შემორჩა მიცვალებულის სუფრას, როგორც ისტორიულად პირველი და შემდგომ სავალდებულოდ ქცეული, ტრადიციული შესაწირი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მიცვალებულისადმი მიძღვნილი რიტუალები და დღეები ემთხვევა როგორც ოფიციალური კალენდრების წლის საწყისს (ჭინტლობა, ლიფანალი), ისე ხალხური აგრარული კალენდრის ისეთ თარიღებს, რომლებიც უკავშირდება საგაზაფხულო დღეობების ციკლს და, რაც მთავარია, გარკვეულ სამეურნეო სამუშაოთა დაწყებას; ამათგან ყურადღებას იპყრობს მიცვალებულის სულისათვის განკუთვნილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებული, თიბვა-მკის სეზონთან თანხვედრილი დღეობა ხალარჯობა. ამ დღეს მიცვალებულისათვის აუცილებელი შესაწირია უფუარი პური – ხმიადი ანუ ბალარჯი//ხალარჯი, რამაც ასახვა ჰპოვა დღეობის სახელში. ხმიადი უნდა ყოფილიყო ქერისა – მთის პირობებში ყველაზე საადრეო პურეულისა, რომლის პირველი ნამკლის ფქვილისაგან უნდა გამომცხვარიყო შესაწირი პური. ფშავ-ხევსურეთსა, მთიულეთსა და ხევში მიცვალებულისადმი მიძღვნილი ხალარჯობა კვირიას სახელთან იყო დაკავშირებული⁶⁸, რაც ბუნებრივი გამომხდება თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელი კვირია, უძველესი ქართული თეონიმი, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მზის სინონიმი⁶⁹. თავად კვირია კი ძველი წარმართული, მოკვდავ-აღდგომადი მზიური ღვთაების იდენტურად განიხილება და, აღმოსავლეთ საქართველოს მთიულთა წარმოდგენით, სამზეოში შესასრულებელ თავის ფუნქციებს მკვდართა მიმართაც ასრულებს⁷⁰.

ღვთაება კვირიას სახელთან ხალარჯობის დაკავშირება, ისევე როგორც მკალეწვის დროს ბერიკათა გამოჩე-

ნა, თავის მხრივ, კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ წლიური ჟამთაღრიცხვის ხალხურ სისტემაზე დაფუძნებული ძველადმოსავლური ოფიციალური კალენდრების თავთარილი უნდა მისადაგებოდა მზის საზაფხულო დადგთან მიახლოებულ მოსავლის აღების სეზონს⁷¹. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ მიცვალებულის დღეები (სამზეოს გამოცხადება) ემთხვეოდა გარკვეულ სამეურნეო სამუშაოთა პერიოდებს – საგაზაფხულო დღეობების ციკლს და მინდვრის მოსავლის აღების სეზონს.

სიკვდილის (უფრო სწორად, გარდაცვალების) თემას, უძველესი დროიდანვე დაკავშირებულს მოკვდავ-ადღვომად ღვთაების დღესასწაულთან, ხომ მოსდევს სიცოცხლის აღორძინებისა და გამრავლება-ნაყოფიერების უზრუნველმყოფელი რიტუალები, როგორცაა დღესასწაულის დროს შესასრულებელი ეროტიკული ქმედებანი, საწესო ქორწილი და ხვნა-თესვა. და აი, სიცოცხლის განახლების თემა, სწრაფვაც ნაყოფიერება-ბარაქიანობის უზრუნველყოფისაკენ აისახა მიცვალებულის კულტთან მისადაგებულ წესჩვეულებებშიც. ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოში დამოწმებული მასალა. სვანეთში მიცვალებულისათვის ღამის თევის დროს მიღებული ყოფილა სიცილი, რის მიმართ ადგილობრივთა საინტერესო დამოკიდებულებას გვამცნობს შ. ჩართოლანი: „მიცვალებულის ღამის თევის დროს საძრახისად არ ითვლებოდა სიცილი, მხიარული განწყობილება, მაშინ როცა, დღისით განუწყვეტელი ტირილი იყო. ტირილი იწებოდა მზის ამოსვლიდან და გრძელდებოდა მზის ჩასვლამდე. ამ წეს-ჩვეულებაში აშკარად შემონახულია მზესთან და მის მოძრაობასთან დაკავშირებული რელიგიური წარმოდგენები, რომლებიც იქნებ სვანთა კოსმოლოგიური შეხედულებებიდან გამომდინარეა. ღამით მხიარულება მიუთითებს სვანების იმ რწმენაზე, რომ მზე მიდის მკვდართა ქვეყანაში, მაშასადამე, მიცვალებული მზეს შეხვდა, სიცოცხლეს ეზიარა და ამიტომაც აღარ არის საჭირო გლოვა. გათენების შემდეგ კი კვლავ იწყებოდა გლოვა რადგან მზე უკვე ტოვებდა მკვდართა ქვეყანას, ქვესკნელს“⁷². იგივე ჩვეულება, ანუ მამაკაცთა სიცილი მიცვალებულთან, ე. წ. საშუადამოს დროს, ცნო-

ბილია თუშეთშიც, სადაც სწამთ, რომ არ ვარგა თუ საშუალოდამოხე სიცილი არ არის – სულეები წუხდებიან⁷³. ზემომოყვანილი მაგალითებიდან პირველი ასახავს საყოველთაოდვე ცნობილ შეხედულებას მიცვალებულისა და მზის კულტებს შორის კავშირის შესახებ და, საფიქრალია, რომ ისევე როგორც თუშური მასალა, ეხმაურება საყოველთაოდვე მიღებულ მრწამსს სიცილის ამალორძინებელი და მწარმოებლურ-გამანაყოფიერებელი ძალების გაძლიერების მაგიური მნიშვნელობის შესახებ⁷⁴.

აღნიშნულის გარდა, აღორძინებისავე თემას ემსახურება ხევსურეთსა და იმერეთში დამოწმებული, მიცვალებულთან ღამის მთევველთა მიერ ცოლქმრული ურთიერთობის სიმულაციის – „წოლა-დგომის“ წესის – შესრულება⁷⁵. კედომა-აღდგომასთან დაკავშირებული ეს საწესო ეროტიზმი თავისებური, გადმონაშთური ანარეკლია რიტუალისა, რომელიც ეძღვნება მკვდრეთით აღდგომას, სიცოცხლის გაგრძელებას, გამრავლებას და ამ იდეის გამომხატველ საწესო ქორწინებას.

მიცვალებულის კულტთან მიმართებაში აღდგომის თემას უკავშირდება საყოველთაოდ ცნობილი ორმოცი დღისა და თავად აღდგომის დღესასწაულის გარდა არაერთი რიტუალი; ავიღოთ თუნდაც საფლავზე კვერცხის – სიცოცხლის და ნაყოფიერების სიმბოლოს – გადაგორება, ან ბულგარეთში მიცვალებულის გარშემო მარჯვნიდან მარცხნივ სამჯერ სავალდებულო შემოვლისას მის ირგვლივ და მის მარჯვენა სახელოშიც ფეტივისა და მდოგვის ჩაყრა, დაკრძალვის მესამე დღეს კი საფლავის გარშემო მარცხლის მობნევა⁷⁶. ამ ქმედებებში ამოიკითხება საწესო თესვაზე ანუ აღდგომა-განახლებაზე მიმანიშნებელი რიტუალის ანარეკლი.

სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის სიმბოლო – დროშა – ახლავს მიცვალებულის დამკრძალავ პროცესიას. თუშეთში მიცვალებულისადმი მიძღვნილ დოღში მონაწილე მხედრებსაც თან დაჰქონდათ ალაში//ბაირალი⁷⁷. სვანეთშიც ლიფანაღის დასასრულს სულეების გაცილების შემდეგ, სოფლის ახალგაზრდობა დროშით ხელში კარდაკარ ჩამოუვლიდა მოსახლეობას⁷⁸. ასევეა ბულგარეთშიც,

განსაკუთრებით „პოგრებენია სვატბას“ თანმხლებია კოსმიური ხის ვარიანტად მიჩნეული ბაირადი⁷⁹. ამ მაგალითებითაც ხაზი აქვს გასმული სიკვდილ-სიცოცხლის ციკლურობისა (გარდაცვალებისა და არა კვდომის) და სიცოცხლის გაგრძელება-მარადიულობის შესახებ რწმენას.

სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის შესაბამისი გამოსახულებაა აგრეთვე ქართველი ტომების სოციალური და მატერიალური კულტურის ერთ-ერთი უძველესი მონაპოვარი, ნაყოფიერების, ცისა და მზის ვეგეტაციური ღვთაება კვირიას სიმბოლო, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული სვანური კამარაი – გარდაცვლილის წლისთავისა და აღდგომის აუცილებელი ატრიბუტი (რომლის მორთულობა და აგებულება მიგვანიშნებს, რომ ღვთაების საუფლოში შედიოდა ცა, მზე და მთვარე)⁸⁰; და თუმცა ჯ. ონიანის აზრით, ნაყოფიერების ღვთაების განსახიერება – კამარაი – მიცვალებულის კულტს გვიან უნდა დაკავშირებოდა, რაზეც მეტყველებს მისი შემკობა პურის თაველებით, ვინაიდან „ძველი სვანური რწმენით, სხვა შემთხვევაში მიცვალებულისადმი „უმი“ (არამზა) პროდუქტის კურთხევა ჯერ-ჯერობით არაა ცნობილი“⁸¹, მაგრამ საფიქრალია, რომ თავთავებით კამარაის შემკობის შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს არა გვიან შემოსულ, არამედ პირიქით, – სწორედ უძველეს, თავდაპირველ წესთან, იმ დროის გადმონაშთთან, როცა ჯერ კიდევ მოსავლის შემგროვებლობის სტადიიდან მოყოლებული და მიწათმოქმედების ხანით დამთავრებული, ჯერ მცენარის „მოკლულ სულს“ (რაზეც ზემოთ იყო საუბარი), წინაპრის სულს და ბოლოს ღვთაებას, სწირავდნენ მარცვლეულის მოსავალს თავთავების სახით, რისი კვალი შემორჩენია არაერთი ხალხის ყოფას.

კამარაის ანალოგია „ახალი სულის“ პატრონის მიერ კვერცხ, ვაშლ, ჭყინტ ყველ, კამფეტებ და ყვავილებწამოცმული ჩხები (ტოტები), რომლებიც გააქვთ სასაფლაოზე ამადლება დღეს⁸². აქედან კვლავ პარალელი სიცოცხლის ხესთან – აღამთან.

ბულგარეთშიც საგანგებო ადგილი ეთმობა ასევე ბაირადის, სიცოცხლის ხის პლასტიკურ ანალოგად მიჩნეულ ე. წ. მიცვალებულის მოსახსენებელ ხეს⁸³. ის სვანური კა-

მარაის მსგავსია და იდგმება მიცვალებულის კულტთანვე დაკავშირებულ საერთო სუფრაზე, რომელიც განიხილება როგორც მსხვერპლშეწირვის დამოუკიდებელი რიტუალური კომპლექსი, როდესაც საწესო საჭმლის ერთობლივი ხმევით, ხალხის რწმენით, მყარდება რიტუალური კავშირი მიცვალებულთან და მისი მეშვეობით წინაპრებთანაც⁸⁴. მიცვალებულისათვის მიძღვნილი საერთო სუფრა კი იმართება როგორც ქელესში⁸⁵, ისე გარდაცვალებიდან გარკვეული სავალდებულო დღეების აღნიშვნისას. რიტუალური ტრაპეზი, განსაკუთრებით კი მიცვალებულისადმი განკუთვნილი (რაც გულისხმობს შესაწირავის ხმევას), როგორც ითქვა, სათავეს იღებს მცენარის „მოკლული სულის“ დატირებიდან და, ამდენად, მიცვალებულის კულტთან კავშირში განიხილება.

რიტუალური ცეკვა – ფერხული, რომელიც ასტრალურ კულტს უკავშირდება⁸⁶, სრულდება სულის მოსახსენიებელი ცერემონიალის დროსაც⁸⁷; სვანეთში, ლიფანალში სულების გაცილების შემდეგ მოქიშპე დასტები ერთობლივი შეყრისას ასრულებენ ცეკვებს⁸⁸. სამეგრელოში მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი სუფრიდან ამდგარი მეინახეები ხელიხელგაყრილნი მღერიან და ცეკვავენ მინდორში⁸⁹ ანუ ასრულებენ ფერხულს. აფხაზეთში კი წყალში დამხრჩვლის „სულს იჭერენ“ ცეკვა-თამაშისა და სიმღერის თანხლებით⁹⁰.

ბალკანეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, რუმინეთში 3 დღის განმავლობაში, სანამ მიცვალებული სახლში იყო, მის გვერდით ეწყობოდა რიტუალური თამაშობები, სრულდებოდა ცეკვები. მოცეკვავეები ზოგჯერ ნიღბებსაც იკეთებდნენ⁹¹.

მიცვალებულთან კავშირში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცეცხლის კულტსაც. ცეცხლით განწმენდა – „опалване“ – მიცვალებულის დასაკრძალავად გამზადების აუცილებელი წესია⁹².

დიდია წყლის როლიც მიცვალებულთან დაკავშირებულ წარმოდგენებსა და რიტუალებში. წყალი განბანვის გარდა, ცეცხლის მსგავსად, განწმენდის საშუალებადაა და, ამდენად, მას აქვს როგორც მაგიურ-რიტუალური, ისე

რაციონალური დანიშნულება. ბულგარეთში საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებოდა დამკრძალავი პროცესიის წყალზე გადასვლას, რაც ნიშნავდა სამზეოდან საიქიოში გადასახლებას. თუმცა, სტ. გენჩევის მიხედვით, XIX ს. დასასრულსა და XX ს. შუა წლებში ეს ასე აღარ გაიზარებოდა, მაგრამ სარიტუალო პრაქტიკა მაინც ზუსტად მისდევს ტრადიციას⁹³, როგორც ჩანს, დამყარებულს ძველი აღმოსავლეთის ხალხთა და ინდოევროპელთა უძველეს წარმოდგენაზე, რომლის მიხედვით, მიცვალებულთა სამეფო წყალგადმა სამყაროა, ანუ სააქაო წყლითაა გამოყოფილი საიქიოსაგან⁹⁴. ამ რწმენამ თავისებური ასახვა პოვა საქართველოშიც სიკვდილზე მიმანიშნებელი გამოთქმით – „გავიდა გადმა“. ხოლო ღვთაებასთან მიახლოებული მიცვალებულის კავშირზე წყლის კულტთანაც მიგვანიშნებს ჩვენში დამოწმებული ფაქტი: საკულტო-სალოცავი, კოშკი, მიცვალებულის კოშკი, აკლდამა და მიცვალებულის სახელზე აგებული „სულის წყარო“ ერთი ტიპის ნაგებობებია⁹⁵.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავიდან ახალი სამეურნეო სეზონის დაწყებასთან დაკავშირებულ სიკვდილის თემას, მიცვალებულთა ხსენებას და მის კულტთან მისადაგებულ წეს-ჩვეულებებს (მატერიალური კულტურის შესაბამისი ელემენტებით) მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა როგორც საერთო საზოგადოებრივ (ოფიციალური თუ ხალხური კალენდრების თავთარიღებში და სამეურნეო სამუშაოების დაწყებისას), ისე საოჯახო გამორჩეულ დღეებში (ქორწილი, დაბადება, ნათლობა...).

ზემომოყვანილი მასალებიდან გაცხადდა, რომ ჩვენშიც და ბულგარეთშიც, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რომლებიც სრულდება საიქიოში მყოფი სულებისადმი მსახურებისა და სააქაოში დარჩენილთათვის გამრავლება-ნაყოფიერება-ბარაქიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ძირითადად ურთიერთმსგავსია; მათ საფუძვლად დაედო არაერთი სხვა ხალხისთვისაც საერთო წარმოდგენები სიკვდილსა და მიცვალებულზე, მრწამსი სიკვდილ-სიცოცხლის ციკლურობისა და სიცოცხლის მარადიულობის შესახებ.

**DISCUSSION OF GEORGIAN AND BULGARIAN CUSTOMS
CONNECTED WITH THE CULT OF THE DECEASED**

As a result of discussion of folk-beliefs, customs and rites spread in Georgia and Bulgaria, connected with the cult of the deceased, it was found out that mainly they are similar, they have important role in common holidays, as well as in distinguished household days; their basis is a common opinion about death and the deceased which exists in other nations too – the belief about cyclic nature of death and life and eternity of life.

In the scientific work are represented the author's opinions those differ from folk-definitions and interpretations about the discussed theme expressed in science before.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 81; დ. გორგაძე, დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1987, გვ. 68, 69; გ. ცოცხანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1987, გვ. 115; დ. შავიანიძე, ოკრიბა, ქუთ., 2005, გვ. 65; Г. Ф. Чурсин, Очерки по этнологии Кавказа, Тифл., 1913, с. 183-183; Ст. Генчев, Семейни обичаи и обреди, ЕБ, III, София, 1985, с. 196.
2. ЕБ, III, с. 194; Хр. Вакарелски, Български погребални обичаи, С. 1990, с. 25; С. Б. Бернштейн, Болгарско-русский словарь, М., 1975.
3. Хр. Вакарелски, Указ. раб., с. 24, 143.
4. ЕБ, III, с. 194; «Капанци», С., 1985, с. 192.
5. ნ. ბრეგაძე, მეფე „სამამ“, ტ. 100, №3, 1980.
6. ქეგლ, ტ. VI, 1960, გვ. 800, 801, 1266; ტ. IV, 1955, გვ. 1398.


7. В. В. Бардавелидзе, Исторические корни традиционных общественно-культурных памятников на Кавказе, М., 1968, с. 15, 16.
8. Е. В. Антонова, Очерки культуры древних земледельцев Передней и Средней Азии, М., 1984, с. 228, с. 26.
9. თ. ოზიაური, დაკრძალვის წესები ქართლში ძველად და ახლა, თბ., 1987, გვ. 27.
10. ЕБ, III, с. 199.
11. Д. Червенаков, Похоронные обычаи в Верхней Сванетии, «К», 1905, №260.
12. ნ. ქაჯაია, მიცვალებულის კულტი ღმერთში, „ღმერთში“, თბ., 1955, გვ. 186.
13. ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 68.
14. Г. Ф. Чурсин, Указ. раб., с. 170; Д. Бакрадзе, Сванетия, «К», 1861, №1-4; შ. ჩართოლანი, სვანთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები არქეოლოგიური მასალების შუქზე, „სვანეთი“, თბ., 1977, გვ. 100.
15. შ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრ., გვ. 100.
16. ჯ. ონიანი, კამარაი, „ძმ“, თბ., 1980, №55, გვ. 33, 34.
17. ЕБ, III, с. 194; там же, с. 179; Хр. Вакарелски, Указ, раб., с. 55.
18. გ. ჩიტაია, გ. ჯალაბაძე, უღლები და აპეურები, „სეია“, მასალები, თბ., 1985, გვ. 60.
19. С. Ш. Гаджиева, Семья и брак у народов Дагестана в XIX-нач. XX в., М., 1985, с. 296, 297.
20. К. В. Тревер, Памятники греко-бакрийского искусства, М.-Л., 1940, с. 83.
21. С. Габиев, Лаки, «СМОМПК», вып. 26, отд. I, Тифл., 1906, с. 107.
22. ნ. ბრეგაძე, საქართველო – მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა, თბ., 2004, გვ. 269, 270; მისივე, აგრარული დღეობების ისტორიისათვის, „ნაწლები“, №6, 2010, გვ. 356.
23. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, თბ., 1962, გვ. 77.
24. ც. ბეზარაშვილი, რიტუალური სამოსელი, „მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ.,

- 1975, გვ. 129; მისივე, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1974, გვ. 94; თ. ოჩიაური, დასახ. ნაშრ., გვ. 9; დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 73.
25. ც. ბეზარაშვილი, სვანი ქალის სამოსი, „სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბ., 1970, გვ. 181, 183; მისივე ქალის სამოსელი აღმოსავლეთ... გვ. 94; მისივე, ქალის ჩაცმულობა იმერეთში, „იმერეთი“, თბ., 1978, გვ. 120-122; მისივე, ქალის ტანსაცმელი გურიაში, „გურია“, თბ., 1980, გვ. 101; დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 8.
26. С. Ш. Гаджиева, Указ. раб., с. 288.
27. ც. ბეზარაშვილი, ქართული ჩაცმულობა, „შიდა ქართლი“, თბ., 1987, გვ. 78; ე. ნადირაძე, ქვით ხურობა და საფლაგის ძეგლები შიდა ქართლში, „შიდა ქართლი“, გვ. 145. სურ. 2, გვ. 149, სურ. 12; ასეთივე გამოსახულებიანი საფლაგის ქვა დავამოწმე წყნეთში ეკლესიის ეზოში გასული საუკუნის 70-იან წლებში.
28. ც. ბეზარაშვილი, ქალის ტანსაცმელი გურიაში, გვ. 101; მისივე, რიტუალური სამოსელი, გვ. 128.
29. ს. მაკალათია, ფშავი, ტფ., 1934, გვ. 159.
30. ნ. ბრეგაძე, საქართველო – მიწათმოქმედების... გვ. 247-248, 257-259, 286.
31. ნ. აზიკური, თუშური ნაბადი, თბ., 1999, გვ. 50, 51.
32. ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983, გვ. 179.
33. ნ. აზიკური, დასახ. ნაშრ., გვ. 50, 51.
34. გ. ცოცხანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 104.
35. Г. Ф. Чурсин, Указ. раб., с. 188-189.
36. იქვე, გვ. 180; ნ. ომარაშვილი, მიცვალებულის კულტი და თაყვანისცემა ავარიელებში, „ეთნოგრაფიული გამოკვლევები“, თბ., 1989, გვ. 42, სქ. 11; С. Ш. Гаджиева, А. И. Аджиев, Похоронные обряды и причитания кумыков, «Семейный быт народов Дагестана», Махачкала, 1980, с. 51.
37. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებათა ტომი V, თბ., 1986, გვ. 50; მისივე, მასალები ქართველი ერის მატერიალური..., გვ. 78; ს.-ს. ორბელიანი სიტყვის კონა, თბ., 1949; ქ. დათიკაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, II, თბ., 1948; ქეგლ, VII, თბ., 1962, VIII, თბ., 1964; დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 72.

38. ლ. ბერიძე, საქართველოს უძველესი კულტურული მცენარეები – ძაძა, „ანალები“, 2000, №1, გვ. 80-83.
39. დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 73; ЕБ, III, с. 195, сх. 190; «Капанци», С., 1985, с. 160; Хр. Вакарелски, Указ. раб., с. 62, 64.
40. Хр. Вакарелски, Указ. раб., с. 63; В. С. Зеленчук, Н. М. Калашникова, Одежда населения Молдавии. XV-XIX вв., «Древняя одежда народов Восточной Европы», М., 1986, с. 240.
41. ЕБ, III, с. 195; Хр. Вакарелски, Указ. раб., с. 62.
42. ЕБ, III, с. 195, 205; «Капанци», с. 197; «Добруджа», С., 1974, с. 296.
43. ЕБ, III, с. 205.
44. იქვე, გვ. 204; Хр. Вакарелски, Указ. раб., с. 122.
45. ЕБ, III, с. 204.
46. იქვე; «Капанци», с. 160, 196.
47. დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 11-14.
48. Д. Тодоров, Древнетракийско наследство в българския фолклор, С., 1972, с. 291.
49. Е. Папазова, Богомолски надгробни паметници в Босна и Херцеговина, С., 1971, илл. I, 2, 2^a, I3, 16-18, 34, 36; П. В. Денисов, Этнокультурные параллели дунайских болгар и чувашей, Чебоксары, 1969, с. 99.
50. ე. ნადირაძე, მემორიალურ ძეგლთა სიმბოლიკა, თბ., 1998, გვ. 99; მისივე, საქართველოს ზოომორფული ძეგლები, თბ., 1966, გვ. 32, 36, 42, 46-54.
51. ЕБ, III, с. 200.
52. იქვე, გვ. 203.
53. Хр. Вакарелски, Указ. раб, с. 128, 129.
54. ЕБ, III, с. 202, сх. 222.
55. ნ. ბრეგაძე, „კუკლა“, „კვალი ნათელი“, თბ., 1998; მისივე, ბულგარული სიტყვის „კუკერ“ ეტიმოლოგიისათვის, „სმამ“, ტ. 137, №1, 1990.
56. Хр. Вакарелски, Указ. раб, с. 129.
57. ЕБ, III, с. 202, 203; «Капанци», с. 189, 190, рис. 5.
58. Хр. Вакарелски, Указ. раб, с. 129.
59. ნ. ბრეგაძე, რიტუალური ნამცხვრების ისტორიისათვის, „ანალები“, №1, 1999.
60. ნ. ბრეგაძე, „კუკლა“, გვ. 121-123.

61. Хр. Вакарелски, Указ. раб, с. 132.
62. ს. მაკალათია, ხევი, ტფ., 1934, გვ. 185; ნ. ღამბაშიძე, საახალწლო დღესასწაული ერწო-თიანეთში, „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები“, თბ., 1985, გვ. 192; ა. ლეკიაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა თეონიმებიდან, ღვთაება კვირიას სახელები, „მსე“, XXIII, თბ., 1987; В. Ломинадзе, Встреча Нового года в Имерети, СМОМПК, вып. XIII, отд. I, 1892, с. 5.
63. ЕБ, III, с. 198; Ст. Янева, Български обредни хлябове, С., 1989.
64. ნ. ბრეგაძე, საქართველო – მიწათმოქმედების..., გვ. 230.
65. თ. ოჩიაური, ხევსურული მთიბლური სიმღერა – გვრინი, „მიმომხილველი“, II, თბ., 1951, გვ. 427, 428.
66. ნ. ბრეგაძე, კვლავ შრომის უძველესი სიმღერების შესახებ, „ანალები“, №2, 2008, გვ. 291.
67. იქვე, გვ. 290.
68. დ. გიორგაძე, საზაფხულო დღეობათა ციკლი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხალარჯობა), „ანალები“, თბ., 2002, №2, გვ. 48-51.
69. ა. ლეკიაშვილი, დასახ. ნაშრ.; ჯ. ონიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 33.
70. დ. გიორგაძე, საზაფხულო დღეობათა ციკლი..., გვ. 51.
71. ნ. ბრეგაძე, საქართველო – მიწათმოქმედების..., გვ. 210; მისივე, აგრარული დღეობების ისტორიისათვის, „ანალები“, 2010, №6, გვ. 353-355.
72. შ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრ., გვ. 97.
73. გ. ცოცანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 104.
74. В. Я. Пропп, Фольклор и действительность, М., 1976, с. 174-204.
75. М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. II, 1890, с. 184; დ. გიორგაძე, დაკრძალვისა და გლოვის..., გვ. 11.
76. Р. Попов, Някои особености в Българските погребални обичаи, БЕ, 1992, №4-6, с. 26.
77. დ. გიორგაძე, დაკრძალვისა და გლოვის..., გვ. 57.
78. ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი 1^ა, „მსე“, VI, 1953, გვ. 289.

79. ЕБ, III, с. 199; Л. Миков, Пластични символи на «световното дърво», в сватбената и погребални поменната обредност у българите, «БЕ», 1991, №1, с. 35.
80. ჯ. ონიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 33.
81. იქვე, გვ. 34.
82. ნ. აზიკური, კოტორი, როგორც რიტუალური პური თუ-შეთში, „მსე“, XXIII, გვ. 221.
83. Л. Миков, Указ. раб.
84. Г. Лозанова, Обредни трапези при погребание у южните славяне, «БЕ», 1991, №1, с. 3-12.
85. ЕБ, III, с. 200.
86. ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული..., გვ. 131.
87. დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1948, გვ. 169; ნ. მაკალათია, მ. ბალიაური, „მსე“, III, გვ. 46; დ. გიორგაძე, დაკრძალვისა და გლოვის... გვ. 46.
88. ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა..., „მსე“, VI.
89. არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 37, 38.
90. ნ. ჯანაშია, წყალში დამხრჩვალის სულის დაჭერა, „მომბე“, II, 1897, გვ. 66-68.
91. НЗЕ, I, с. 650.
92. ЕБ, III, с. 201; Р. Попов, Указ. раб., с. 35.
93. ЕБ, III, с. 199.
94. Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, Тб., 1984, с. 825.
95. დ. გიორგაძე, დაკრძალვისა და გლოვის წესები..., გვ. 86.



ეპა კაჭარავა

ალავერდელ მღვდელმთავართა ქრონოლოგია*
(XVII საუკუნე)
ნაწილი II

კვლევა გაგრძელდება ჟურნალ „ნაწილების“ VI ტომში დაბეჭდილი სტატიისა „ალავერდელ მღვდელმთავართა ქრონოლოგია (XVII საუკუნე), ნაწილი I.“* ნაშრომის მიზანია XVII საუკუნეში მოღვაწე ალავერდელ მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის დადგენა.

ამბა ალავერდელი გრიგოლ (ჩოლოყაშვილი)
დაახლ. 1664 – 1679

გრიგოლ ჩოლოყაშვილის ალავერდელობა კახეთის სამეფოს ისტორიის შედარებით მშვიდობიანი განვითარების თანადროულია. 1664 წლისათვის ვახტანგ V შაჰნავაზის ძე – არჩილი, შაჰის მოთხოვნით ირანს გაიწვიეს, გაამაჰმადიანეს და შაჰ ნაზარ-ხანად წოდებულს კახეთის მეფობა უბოძეს (1664-1675).

ახლადგამეფებულმა არჩილმა დედაქალაქი გრემიდან თელავში გადაიტანა, განაახლა მთელი კახეთის სამეფოს ეკლესიები, „დასხნა ეპისკოპოზნი, მატა სჯულსა და შენობასა ქუეყანისასა“ (3. 603).

გრიგოლ ჩოლოყაშვილი კახეთის სამეფო სახლობასთან დაახლოებული წარჩინებული ოჯახის წარმომადგენე-

* ნაშრომი „ალავერდელ მღვდელმთავართა ქრონოლოგია (XVII საუკუნე)“ (ნაწილი I) და „ალავერდელ მღვდელმთავართა ქრონოლოგია (XVII საუკუნე)“ (ნაწილი II) მომზადდა FaRiG-ის (Friends of Academic Research in Georgia) მხარდაჭერით.

* ნაწილები, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, №6, 2010, გვ. 121-152.

ლია. მისი მამა – რევაზ ჩოლოყაშვილი თეიმურაზ I-ის სახლთუხუცესი და მისი ერთგული თანამებრძოლი იყო*.

გრიგოლ ჩოლოყაშვილის ძმა, ასევე რევაზ ჩოლოყაშვილი, აქტიური პოლიტიკური მოღვაწეა.

ალავერდელი მღვდელმთავარი მოწმედ იხსენიება 1664 წლით დათარიღებულ ნასყიდობის წიგნში (3. 368), თუმცა მისი ვინაობა არ ჩანს. პირდაპირი ცნობა ამ დროინდელი ალავერდელი მღვდელმთავარის ვინაობის შესახებ არ გაგვაჩნია. შესაძლოა ახლად გამეფებული არჩილის დასმულ ეპისკოპოსთაგან ერთერთი ალავერდელი მღვდელმთავარი გრიგოლ ჩოლოყაშვილიც ყოფილიყო.

არსებულ ცნობებში ალავერდელის რანგში გრიგოლ ჩოლოყაშვილი პირველად 1667 წლისათვის, არჩილის ქორწინებასთან დაკავშირებით გვხვდება. 1668 წელს არჩილი კახთა მეფის – თეიმურაზ I-ის შვილიშვილზე დაქორწინდა. არჩილ მეფის ქეთევან ბაგრატიონზე დაქორწინებაში კახ დიდებულებთან ერთად დიდია ალავერდელი მღვდელმთავარის – გრიგოლის წვლილი: „კახს ბატონს, მეფეს არჩილს კახნი და ალავერდელი გრიგოლ შეადგა და ბატონის თეიმურაზის შვილისშვილი ქეთევან შეერთო, დააჯერეს.“ არჩილმა ქეთევანზე იქორწინა: „კახთ შეეკნა დიდი გახარება.“ ქორწილი პარიზის ქრონიკის თანახმად „ტბილისს ქალაქს“ გაიმართა (21. 117). ცხადია, არჩილ მუხრან-ბატონისა და ქეთევან ბაგრატიონის ჯვრისწერა კათალიკოსის, ამ დროისათვის დომენტი III-ისა (1660-1676) და ალავერდელი მღვდელმთავარის – გრიგოლის მონაწილეობით შედგებოდა.

ალავერდელი ეპისკოპოსი ქორწინების პოლიტიკურ მნიშვნელობას სათანადოდ აფასებს. ქეთევან ბაგრატიონზე დაქორწინებით არჩილ მუხრან-ბატონი კახ ბაგრატიონთა სამეფო ოჯახს დაუკავშირდა და მისივე სიტყვებით „უმეტეს მკვდრად“ დაიპყრო კახეთი (4. 603). პოლიტიკური მო-

* „... დმრთისა მიერ კურთხეულმა დიდისა და ცათა [მობაძავისა] ალავერდ[ის] წმიდის გიორგის საყდრის საჭეთმპყრობელ-მქონებელმან ... ძემან სახლისუხუცის რევაზისამან ანბა ალავერდელმა პატრონმა [გრიგოლ] ...“ (ქსძ. III, გვ. 566).

ტივაციის გარდა, გრიგოლ ალავერდელს პირადი ინტერესიც ამოძრავებს. გრიგოლ ჩოლოყაშვილის ოჯახი თეიმურაზ I-ის კართან იყო დაახლოებული. გრიგოლის მამა, რევაზ ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ მეფის ერთგულ სამსახურს შეუწირა (4. 443; 597). გრიგოლიც კახ ბაგრატიონთა მომხრეთა შორისაა საგულგებელი. ამ ქორწინებით ქეთევან დედოფლის სახით, კახეთის სამეფო ტახტზე კანონიერი მემკვიდრე – კახ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი აღმოჩნდა. გრიგოლ ალავერდელის აქტიური ჩარევა ასეთი მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტაში, მის დიდ ავტორიტეტს მოწმობს.

არჩილმა განაგრძო როსტომის მიერ დაწყებული ძლიერ დაზიანებული ალავერდის ტაძრის აღდგენა-განახლება (4. 549)*. აღდგენითი საქმიანობის ინიციატორი და თანამონაწილე იქნებოდა გრიგოლ ალავერდელი.

მოგვეპოვება გრიგოლ ალავერდელის მიერ გაცემული ორი შეწირულების წიგნი. ერთი მათგანი 1670 წლითაა დათარიღებული და გაცემულია კირილე ბოდბელი მთავარეპისკოპოსისადმი. ამ საბუთიდან ირკვევა, რომ კირილე ბოდბელს ალავერდისათვის შეუწირავს თავისი რძალი – მარიამ ჩოლოყაშვილი, ხოლო გრიგოლ ალავერდელი კირილე ბოდბელსა და მარიამის შვილებს მათივე თხოვნის საფუძველზე უბოძებს ყმა-მამულს (17. 566; 20. 1448-636)** გრიგოლ ალავერდელის მეორე შეწირულების წიგნი გაცემულია ვინმე გამსივაშვილი პაპუნასადმი და უთარიღოა. (20. 1449-1854; 1451-40.)

* „როსტომ იწყო შენებად, არჩილ შეასრულა“ (ქცხბა IV, გვ. 549).

** „ამას გარდა მოგვიდევით [და მამულის]ა წყალობისა აჯასა გვეაჯენით. ვისმინეთ აჯა თქვენი ვითა გარეთ... ეგებოდა თქვენი გიბოძეთ ჳორჳელში ყოვლად წმიდის საყდარი ში[გნით]... ბჳითურთ, სასაფლაოთ ყოვლის კაცის შემოუცილებლად რომ ში[გნით არასდრ]ოს არავინ შემოგეცილოს. გარეთ ჳორჳელთა არის და იმაზე ჳელს ნუ [ჳყოფ, ვინც] ახლა სახლობს, ნუ შეეცილები. ამას გარდაის გიბოძეთ ჳორჳელში... სანამდის ცოცხალია კოზმანიშვილი, იმას ჳქონდეს და მასუკან თქვენთვის გვიბოძებია საბოლოოთ...“ (ქსმ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 566).

1675 წლისათვის ქეთევან დედოფალს მეფობის „წარსამართებლად“ და ძმის – ერეკლეს დღეგრძელობისათვის ალავერდის წმიდა გიორგისათვის ხოდაშენში ბათიაშვილის ნაქონი მამული შეუწირავს (6. 52; 11. 501-1449-2676)*.

გრიგოლ ალავერდელი მოგვიანებით, ნიკოლოზ ენდრონიკაშვილის ალავერდელობის დროს, იხსენიება ორ დაუთარიღებელ მსგავსი შინაარსის საბუთში (20. 1449-1854; 1451-40).

მოგვიანებით გრიგოლ ალავერდელის ძმა, სახლთუხუცესი ოთარ ჩოლოყაშვილი, ალავერდელ მთავარეპისკოპოსს ნიკოლოზ ენდრონიკაშვილს ედავება თავისი ძმის – გრიგოლ ალავერდელის ყმა-მამულს სოფელ ენგიანში. დავა ნიკოლოზ ალავერდელის სასარგებლოდ გადაწყდა და გრიგოლ ჩოლოყაშვილის კუთვნილი ყმა-მამული ალავერდის საკუთრებაში დარჩა (20. 1449-1854).

გრიგოლ ალავერდელი იხსენიება 1676 წლის 6 თებერვლით დათარიღებულ აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ნიკოლოზ IX (ამილახვარის)** რუსეთის მეფის, თევდორე ალექსის ძისადმი გაგზავნილ წერილში. კახეთის უმაღლესმა სამღვდელოებამ არჩილ მეფის კახეთიდან წასვლის შემდეგ, თადარიგი დროულად დაიჭირა და კახეთის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრის – ერეკლეს გასამეფებლად დაიწყო ზრუნვა (10. 92-93).

ამ წერილში კათალიკოსი რუსეთის მეფეს, თევდორე ალექსის ძეს, თხოვს ირანის შაჰთან შუამდგომლობას, გამოგზავნოს ერეკლე კახეთში მეფედ. წერილს კათალიკოს-

* „რაც ბეჟანს მამული აქუს იმისი ნახევარი ყოვლის მისის სამართლიანის სამძღურთა შესავლითა და გასვლითა წყლით წისქვილითა საჯნავითა და უჯნავითა ველითა ვენაჯითა მითითა და ბართითა და ყოვლის მისის გასადევართა...“ (ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. IV, ტფ. 1913 წ. გვ. 52).

** ნიშანდობლივია, რომ ნიკოლოზ კათალიკოსის სვეტიცხოვლისადმი [1687] წლით დათარიღებული შეწირულების წიგნის თანახმად, ის კათალიკოსად მისივე თქმით დადგენილ იქნა 1678 წელს (ქორონიკონსა ტავ). (ქსმ, III, გვ. 589) მაშინ როდესაც ამ 1676 წლის წერილში ის უკვე კათალიკოსად იხსენიება.

თან ერთად ხელს ურთავენ კახი ეპისკოპოსები: გრიგოლ ალავერდელი, ბოდბელი, რუსთველი, ნინოწმინდელი, ნეკრესელი და სამეხელი ეპისკოპოსები*.

1678 წლითაა დათარიღებული ერეკლე I-ის ალავერდისათვის გაცემული შეწირულების სიგელი, რომლის თანახმადაც ის ტაძარს წირავს თავის ერთგულად ნამსახურ, უმემკვიდრეოდ დარჩენილ ბოქაულთუხუცეს გორჯასპი ზაალიშვილს მისივე თხოვნით (12. 492)**.

1770 წლით დათარიღებული ბოქაულთუხუცეს ფარემუხისადმი გაცემული წყალობის სიგელის თანახმად ერეკლე მეფის ბრძანების საფუძველზე ზენონ ალავერდელი ფარემუხს უახლებს მემკვიდრეობით მიღებულ ყმა-მამულს. (17. 886-887) ყმა-მამულის ჩამონათვალში ფარემუხ ბოქაულთუხუცესის წინაპართათვის გრიგოლ ალავერდელის მიერ ბოძებული ყმა-მამულიც იხსენიება.

ამ საბუთის მიხედვით ფარემუხ ბოქაულთუხუცესის საკუთრებაში არსებული ყმა-მამულიდან უძველესი და უმნიშვნელოვანესია გრიგოლ ჩოლოყაშვილის მიერ გაცემული წყალობა***.

* «Алаверделий Григорий, Бодбелій Матфей, Руствелий, архієпископъ Ниноделій Николай, Никриселій, Самбелій, Эристафъ Ревазъ, и все Кахетинцы.» (10.93).

** „სულ ყოვლის მისის ყმითა, მამულითა ... რისაც მამულის და ან ალაგის მქონებელი ან მამა, ან პაპა ყოფილიყოს და ან თვითონ იყოს (კაკაბეთი, იკარო, კონდოლს ზვრები, კისისხევს ყმები, გავაზს ყმა ენისელში) ... თარხანად მოგვჭსენებია... არა ეთხოვბოდეს რა ... ღვნო..., არა აბრეშუმი..., არა ყარახარჯი საური, არა ბელბაში, არა ფავაბაში..., თუნიერ ლაშქარ-ნადირობისაგან კიდე ... და გავაჩინეთ (ორი ალაპი მეფისთვეს, ალაპს გორჯასპი უნდა გარდისხიდესო)...“ პირობით, რომ სიცოცხლის მანძილზე ბოქაულთუხუცესობა არ მოშლოდა და მეფის სამსახურში იქნებოდა.“ (თ. ჟორდანია, ქრ. II, გვ. 492).

*** „ოიოს: გბოძებიათ ზვრათა გრიგოლ ალავერდელისაგან ორი საკომლო ბეთალმანი ნაოსარი მამული, ბურდულისა და [ა]სიტაშვილის ნაქონი მამული, დღეს რომ შენ სახლობხარ ზედ, რომ ზვრად გიძეს...“ (ქსძ. III, გვ. 886) ასევე „ზვრათ რომ ორი საკომლო ბეთალმანი გბოძებიათ, დღეს რომ ზედ სახლობთ, ისიც თა-

ამბა ალავერდელი ნიკოლოზ (ენდრონიკაშვილი)
1683-1695

ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი ყორჩიბაშისა და მარტყოფის მოურავის ზურაბ ენდრონიკაშვილის ძეა (11. 154).

ალავერდის კათედრის დაკავებამდე ნიკოლოზ ენდრონიკაშვილს ნინოწმინდის კათედრა უკავია (დაახლ. 1671-1679). მის მიერაა აშენებული ნინოწმინდის ტაძრის ერთერთი კარიბჭე და განახლებულ-შემკობილი ნინოწმინდის ტაძრის კანკელი, რაც აღნიშნულია ნინოწმინდის 1671 წლით დათარიღებულ ტაძრის დასავლეთის შესასვლელ კარში აშენებულ კარიბჭის წარწერაში (7.121-122). ნიკოლოზს ნინოწმინდელის რანგში ვხვდებით დავით გარეჯის 1673, 1674 და 1679 წლებით დათარიღებულ წარწერებსა (7. 47, 121; 2. 85, 116, 189-190, 359-360) და ზემოაღნიშნულ აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ნიკოლოზ IX-ის რუსეთის მეფისადმი მიწერილ წერილში. კათალიკოსის წერილს ალავერდელისა და ბოდბელის შემდეგ ნიკოლოზ ნინოწმინდელი ურთავს ხელს (10. 92, 93).

დავით გარეჯის წარწერის თანახმად 1679 წლისათვის ნინოწმინდელად სხვა პირი – არსენი იხსენიება (2. 120). ამდენად, ნიკოლოზ ენდრონიკაშვილის ალავერდელად აღსაყდრება 1679 წლის შემდგომ, უფრო ზუსტად 1683 წლისათვისაა სავარაუდო (*1679-1683 წწ-ში ალავერდელის ვინაობის დაზუსტება პირდაპირი წყაროების უქონლობის გამო ვერ შეეძლებოდა. შესაძლოა კვლავ გრიგოლია*).

აღნიშნულთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები 1683 წლისათვის კახეთში განვითარებული მოვლენები. ვახუშტით ამ წელს „ვედრებითა კახთათა“ შაჰმა გაიწვია ბეჟან ხანი (4. 603). კახთა „ვედრება“ ერეკლეს გამეფების სურვილით იყო გაპირობებული. ერეკლეს კახთა მეფედ დადგენის იმედს უნდა უკავშირდებოდეს სამღვდელმთავრო ინსიგნიათა შორის უმთავრესის – ოქროს თავსაბურავის ერეკლე

ვისის სამძღვრით, სახნავ-სათესით, ქვევრითა და მარნით, წყლითა და წისქვილით, რომ ეს საწისქვილი ჩაბინანში გაქვსთ, – ესებო სულ გრიგოლ ალავერდელის წყალობა არის.“ (ქსძ. III, გვ. 887).

I-ის დედის – ელენე დიასამიძის დაკვეთით 1683 წლისათვის განსრულება (5. 76). გვირგვინი ირანს მზადდებოდა და მის დამზადებაზე დედოფალს მთელი თავისი „ჭირნახული“ – საფასე დაუდგია. თავისთავად ცხადია ამ გვირგვინის მნიშვნელობა კახეთის ტახტის პრეტენდენტისათვის.

ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, 1677-1683 წლებში ბეჟან ხანი კახეთს განაგებდა რევაზ ჩოლოყაშვილის, ქისიყისა და ელისენის მოურავების მეშვეობით (4. 606). რევაზ ჩოლოყაშვილი გრიგოლ ალავერდელის ძმა იყო. ვახუშტითვე ამ პერიოდში, კახეთის სამეფოში ეპისკოპოსის გარდაცვალების შემთხვევაში, ირანელი მოხელის – ხანის ბატონობის პირობებშიც კი, კახ წარჩინებულთა და ეპისკოპოსთა მიერ შერჩეული კანდიდატურა ხანის დასტურით კურთხევისათვის მცხეთას იგზავნებოდა. „კუალად მოკუდის თუ ეპისკოპოზი, ამათითვე *(იგულისხმებიან რევაზ ჩოლოყაშვილი, ქისიყის მოურავი აბელ და ელისენის მოურავი მერაბ და სხუანიცა)* – კახი წარჩინებულნი რომელთა მეშვეობითაც ხანი განაგებდა კახეთს ამ პერიოდში – ე. კ.) და ეპისკოპოზთაგან აღრჩევით მისცის ხანმან ეპისკოპოზობა და წარუვლინიან ქართლის კათალიკოსსა მცხეთას და მან აკურთხის და გამოუტევის“ (4. 606). ვფიქრობ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ბატონიშვილის მიერ აქ ამ ფაქტის საგანგებო აღნიშვნა. ცხადია, გამონაკლისი ვერც ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი იქნებოდა. თუმცა, როგორც ირკვევა ის ალავერდელ მღვდელმთავრად არსებული ტრადიციის იგნორირებით იკურთხა. ბუნებრივია, ამ თვითნებურ აღსაყდრებას მცხეთის საკათალიკოსოსთან ურთიერთობის გართულება მოჰყვა*. არსებული კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას თბილელი მთავარეპისკოპოსი შეეცადა, რაც აისახა ნიკოლოზ ალავერდელის თბილელი

* ალავერდელთა სეპარატისტული მიდრეკილების შესახებ იხ. ე. კაჭარავა, „საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, №3, 1987, გვ. 113 და „ალავერდის საეპისკოპოსო (ეპარქია) სრულიად საქართველოს საპატრიარქოს შემადგენელი ნაწილი“, საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, თბ., 1995, გვ. 179.

მთავარეპისკოპოსისათვის გაგზავნილ ვედრების წიგნში. წერილი მეტად ინფორმატიული და მრავალმხრივ საინტერესოა (17. 594-595; 1173). ეს დოკუმენტი (Ad-156) ი. დოლიძის მიერ იოსებ ტფილელისა (1661-1688) და ნიკოლოზ ალავერდელის (1685-1694) ზეობის წლების მიხედვითაა დათარიღებული (17. 1173)*. ჩვენის აზრით, საბუთი დანამდვილებით 1688 წლამდე, იოსებ ტფილელის ზეობის პერიოდში (1661-1688), ერეკლე I-ის ქართლს გამეფებამდე (1688) და ნიკოლოზ ამილახვარის (1678-1688; 1692-1695) იოანე X დიასამიძით (1688-1692; 1695-1700) შეცვლამდეა გაცემული. ამასთანავე თუ გავითვალისწინებთ ნიკოლოზ ენდრონიკაშვილის ალავერდელად აღსაყდრებას 1683 წლისათვის, გამოდის საბუთი 1683-1688 წლებს შორისაა გაცემული; უფრო ზუსტად კი პერიოდში როდესაც ქართლ-კახეთს შორის ურთიერთობა იმდენადაა გამწვავებული, რომ კახელებს და განსაკუთრებით კახეთის ეკლესიის პირველ მღვდელმთავარს ქართლში არ ჩაესვლება. („რომე თავად სხვა კახი კაცი და უფროსლა მე ვერ წამოვალ მანდით“ (17. 594-594). იოსებ ტფილელმა კონფლიქტის მოგვარების მიზნით ნიკოლოზ ენდრონიკაშვილს პატრიარქთან ხლება ურჩია**. ალავერდელის აღნიშვნით მას წამქეზებელიც მრავლად ჰყავდა***.

ცხადია, მის მრჩეველ „მრავალთ დარბაისელთ და მახსოვართ“ შორის ერეკლე I-ის მომხრე კახ დიდებულთა დასი მოიაზრება. ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი საგანგებოდ

* პირველი ამ საბუთს აქვეყნებს და ათარიღებს თ. ჟორდანიანი: „ქკს : ტპა : ამ დროებში უნდა იყოს დაწერილი წერილი ალავერდელ ნიკოლოზისა თფილელ იოსებთან“.

** ნიკოლოზ ენდრონიკაშვილის თქმით: „... ამას წინათაცა და კიდევუ ახლა ჩვენისა და ბატონის კათალიკოზის ერთად შეყრა და ურთიერთას მშვიდობის დაგებისა ყოფნა გებძანა.“ (ქსდ, III, თბ., 1970, გვ. 594-595).

*** „დემერთია მოწმე და კაცნიც მრავალი, რომე ჩემის თავმოთნეობითა და არც თავკველობითა და არც წინა აღმდგომობითა მე გვირგვინი არ დამეხუროს; მრავალთ დარბაისელთ და მახსოვართ ვკითხე, მეც მითხრეს და მაგ ბატონს კათალიკოზსაც მოახსენე, რომ სხვას ალავერდელსა უკათალიკოზოდ დაუხუროავსო და მეც დავიხურე“ (ქსდ, III, თბ., 1970, გვ. 594-595).

აღნიშნავს, რომ გვირგვინი „სხვას ალავერდელსა უკათალიკოზოდ დაუხურავსო და მეც დავიხურე“-ო, თუმცა ამავე საბუთში თვითვე წერს, რომ ძველთაგანვე საყოველთაოდ ცნობილი იყო ალავერდელთა მცხეთას კურთხევა*.

საინტერესოა ალავერდელის პასუხი, კათალიკოსთან ხლების თაობაზე. აღნიშნავს რა, რომ მისთვის სვეტიცხოვლისათვის თაყვანისცემისა და კათალიკოსისაგან შენდობის მიღებაზე სასურველი არაფერია, მაგრამ არსებული ვითარების გამო კახელებს და უმეტესად პირადად მას ქართლს არ ჩაესვლებათ**.

ალავერდელი თბილელს თხოვს უშუამდგომლოს კათალიკოსთან, რომ მან შეინდოს, ის ამასთანავე აღნიშნავს, რომ ამ ურთიერთობის მოგვარება ზოგადად ქრისტიანობის შერყეული მდგომარეობისათვის იქნება უმჯობესი***.

ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი პატრიარქის განაწყენების თაობაზე შემდეგს აღნიშნავს: „... ეს რომ გამიწყრება, სულ ამ სოფელს გათავებას მოველი. ეგ კიდემ მოწყალე არის, შემეწყნარებს რაგინდ დიდი რამ დანაშაული მქონდეს. აწე მე ასე მომივიდა საქმე, რომ უმაგათოდ დავიხუ-

* „... ეგ ყოველთა იციან ძველთაგან, რომე ვინცა ვინ ალავერდელი ყოფილა ან იქნების, მეცა და ყველა სხვანი, სვეტის ცხოველის კარსა და ვინცა საჭეთმპყრობელი კახი ყოფილა, კურთხევა მისგან (კათალიკოსისგან – ე. კ.) მიუღია“ (ქსძ, III, თბ., 1970, გვ. 594-595).

** „აწე ასე უსახო და ღმრთისმოძულე როგორ ვიქნები, რომე წმიდას სვეტის ცხოველს მოსვლა და თაყუანის ცემა არ მინდოდეს და ბატონის კათალიკოზის შენდობის აღება და მანდ მოსვლა. მაგრამ ასე რიგად საქმე მაქვს მოსული, რომე თავად სხვა კახი კაცი და უფროსდა მე ვერ წამოვალ მანდით“ (ქსძ, III, თბ., 1970, გვ. 594-595).

*** „... ქრისტიანობისათვის ჩვენც ამას მოგახსენებთ **თქვენ და მგ ეფისკოპოზთა**, რომე ჩემიც რამ ინაღვლოთ: ამდონი შუამავლობა მიყავით, რომე მე დანაშაულზედ დამიც თავი; **დავაშავე, საქმემ და დრომ ასე მოიყუანა**. მეც ერთი წიგნი მომწეროს, ისევ შემირიგოს, ისევ შემიტკობს, ჩემი თავიც ინდომოს. ამ დაკნინებულ ქრისტიანობასაც ისე უჯობს“ (ქსძ, III, თბ., 1970, გვ. 594-595).

რე. მაგათ ეგების ასე ეგონოს, რომე სხვა ალავერდელიც მონინდომებდესო, რადგან ამან ქნაო.“ აქვე ის პირობას დებს, რომ ვერცერთი მისი მემკვიდრე ალავერდელი მღვედელმთავარი კათოლიკოსის გარეშე გვირგვინს ვერ „დაიბურავს“*.

ნიკოლოზ ენდრონიკაშვილისევე სიტყვებიდან ნათლად ჩანს კათალიკოსის უსაზღვრო განაწყენება**. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ასევე ნიკოლოზ ალავერდელის მხრიდან ნათქვამი, რომ ის ისე მოიქცევა, როგორც კათოლიკოსი უბრძანებს***.

პირდაპირი ცნობები, კონფლიქტის გადაწყვეტის შესახებ არ მოგვეპოვება. ვედრების წიგნის საფუძველზე შესაძლოა დავასკვნათ, რომ კახ მესვეურთა სეპარატისტულმა მცდელობამ მარცხი განიცადა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ნიკოლოზ ენდრონიკაშვილმა შეინარჩუნა ალავერდის კათედრა. შესაძლოა, იოსებ თბილელის შუამდგომლობითა და ძალისხმევით კათალიკოსმა ნიკოლოზ ამილახვარმა, შეუნდო ალავერდელს დანაშაული, შესაძლოა ამ დროისათვის ქართლში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, ერეკლე I-ის გამეფებამ ქართლში (1688-1703) და საკათალიკოსო ტახტზე ცვლილებამ – ნიკოლოზ ამილახვარის (1678-1688; 1692-1695) იოანე X დიასამიძით (1688-1692; 1695-1700) შეცვლამ მდგომარეობა ნიკოლოზ ალავერდელის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ძალაუფლება ქართლის სამეფოში ნიკოლოზ ენდრონიკაშვილის სეპარატისტული ქმედე-

* „საბოლოოსი ეს პირობა მომიხსენებია: ჩვენ რომ გარდვიცვაღნეთ, ვინცა ჩვენსა უკან ალავერდელი დაჯდეს, უკათალიკოსოდ გვირგვინი ვერ დაიბუროს.“

** „ნულარც ვე გვიწერების, ამდონი გულის-კლება გაათაოს; თუ არადა, ბედნიერად იყოს, ჩვენგან ხვეწნის მეტი არა გაეწყობა რა, რა ვქნა.“ ასევე „... ახლა მანდ ჩამოუსლფელობა მოგუიტეოს და შერიგების წიგნი გუიბოდოს. მოხსენება და ხვეწნა ამას ქვიან და ჩვენ მაშინც ამის მეტს არას მოვახსენებთ.“

*** „მას უკან თუ ღმერთი ან მაგათს აქათ ჩამობძანებასა და მაგათ ნახვას მადირსებს ან მე ვიახლები, რომელსაც ვე მიბძანებს, იმას ვიქით.“

ბის სულისჩამდგმელს, კახეთის ტახტის კანონიერ პრეტენდენტს – ერეკლე I-ს ერგო.

ნიკოლოზ ალავერდელი აღსაყდრებისთანავე ენერგიულად შეუდგა როგორც საალავერდოს საყმოსა და სამწყსოს, ისე შეღახული საეკლესიო წეს-წყობილების მოწესრიგებას. აღნიშნულის დასადასტურებლად 1685, 1687 წლებით დათარიღებული არაერთი საბუთი მოგვეპოვება. (20. 1449-1856, 1858; 1451-82, 83, 84, 85, 86, 88; 19. Ad-824, 849, 854, 864; 18. 586.)

მოგვეპოვება ნიკოლოზ ენდრონიკაშვილის მიერ გაცემული 1687 წლით დათარიღებული რამდენიმე წყალობის წიგნი (20. 1449-1856; 1449-1857; 1858). დაახლოებით 1688-1694 წლებით დათარიღებული საბუთით ერეკლე I-მა მთაწმინდის ხარების მონასტრის მამა ნიკოლოზის ხოდაშნის საწინამძღვრო მამულითურთ, ალავერდელ ნიკოლოზ ენდრონიკაშვილს მიაბარა (19. Ad-587).

ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი მონაწილეა 1690 წლისათვის ერეკლე I-ის ბრძანებით მოწვეული საეკლესიო კრებისა. კრებას ესწრებოდნენ კათალიკოსი იოანე დიასამიძე, ევდემოზ ბოდბელი, არსენ ნინოწმიდელი, ნიკოლოზ რუსთველი, ნიკოლოზ სამეხელი, ქართლის მთავარეპისკოპოსი და სხვა სასულიერო პირები. საეკლესიო კრებამ დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვრად დაადგინა ონოფრე მაჭუტაძე (ონოფრე გარეჯელი), მნიშვნელოვანი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი (1690-1736) (18. 597-598; 19. Ad-349). ამ კრების დადგენილებას სახელწოდებით „განწესება დავით-გარეჯის მონასტრის რიგისა“ დათარიღებულს 1690 წლის 12 მარტით, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მღვდელმთავრებთან ერთად ხელს ურთავს ალავერდელი ნიკოლოზი. ამ საბუთზე ასევე დასმულია მისი ბეჭედი: „მოსავი ღვთისა“.

1694 წლისათვის ამა ალავერდელი ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი, რუსთველ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილთან, თბილელ მთავარეპისკოპოსთან, იოანე კათალიკოსთან, ერეკლე I-თან, და სხვა წარჩინებულ საერო პირებთან ერთად მონაწილეა ერეკლე I-ის მიერ გურამიშვილთა სასისხლო საქმის გარიგებისა (20. 1448-57).

*ამბა ალავერდელი ნიკოლოზ (ჩოლოყაშვილი)
1695-1731*

ალავერდელი მღვდელმთავარი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, რომლის ალავერდელობაც ნიკოლოზ ენდრონიკაშვილის შემდგომაა დადასტურებული, ალავერდის კათედრის დაკავებამდე XVII საუკუნის დაახლ. 80-იან წლებში სამებელი (18. 275-276)*, ხოლო შემდეგ რუსთავის მთავარეპისკოპოსია (1690-1694) (13.343). მისი ძმაა სახლთუხუცესი დურმიშხან ჩოლოყაშვილი.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის სამებლობის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია მეტად მწირია. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი იხსენიება 1710 წლით დათარიღებულ დავით იმამყულიხანის სამებისათვის გაცემულ წყალობის სიგელში, სადაც მის შესახებ აღნიშნულია, რომ მისი სამებლობის დროს „... ხაშმის ბოლოს ჩოლაყაშვილს სახლთ-უხუცესს რევაზს კაცები დაესახლებინა საყდრის მამულში და სოფლის აშენება მოენდომებინა. ჩოლაყაშვილს ამბა ალავერდელს ნიკოლოზს, რომ სამებლობა ქონოდა, კაცები გაეყარა და სახლები დაექცივა, თავისი მამული ისევ საყდრისთვის დაედვა“ (13. 32) *(ამავე საბუთში აღნიშნულია, რომ იმ დროისათვის როდესაც „... ბედნიერმან ყაენმან ჩვენი სამკვიდრო კახეთი მოგვიბოძა, ეფისკოპოზათ ეს სამებელი დაგვხვდა.“ ეს სამებელი მდივანთმწიგნობართუხუცესის ძე ნიკოლოზი – ნიკოლოზ მაცაშვილია, რომლის სამებლობაც საბუთების მიხედვით 1690-1710 წლებზე მოდის).* ასევე 1718 წლით დათარიღებულ დავით გარეჯის უდაბნოს განჩინებაში აღნიშნულია, რომ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს მისი სამებლობის დროს მოუკითხავს გარეჯის ნათლისმცემლის დატაცებული მამულები და მონასტრისათვის დაუბრუნებინებია (18. 275).

* „როდესაც მოვედით და უდაბნო მეორედ ავაშენეთ, ჩოლაყაშვილმა ამბა ალავერდელმა ნიკოლოზ თავის სამებლობაში მოკითხული ქნაო და, ვისაც ჩვენი მამულები ეჭირა, დაადებინა და ჩვენ დაგვანებაო.“ (ქსძ, IV, გვ. 276).

1690 წლისათვის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი რუსთავის მთავარეპისკოპოსია (22. 353). ის მონაწილეა 1690 წლისათვის ერეკლე I-ის ბრძანებით მოწვეული საეკლესიო კრებისა, რომელსაც ესწრებოდნენ კათალიკოსი იოანე დიასამიძე (1688-1692; 1695-1700), ამბა ალავერდელი ნიკოლოზ (ენდრონიკაშვილი), ევდემოზ ბოდბელი, არსენ ნინოწმიდელი, სამეპელი ნიკოლოზ მაყაშვილი, ქართლის მთავარეპისკოპოსი და სხვა სასულიერო პირები. ამ კრების დადგენილება, სახელწოდებით „განწესება დავით-გარეჯის მონასტრის რიგისა“, დათარიღებულს 1690 წლის 12 მარტით, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მღვდელმთავრებთან ერთად ხელს ურთავს რუსთველი ეპისკოპოსი ნიკოლოზი (17. 597-598; Ad-349.).

1694 წლისათვის რუსთავის ეპისკოპოსი, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, ერეკლე I-თან, იოანე კათალიკოსთან, ამბა ალავერდელ ნიკოლოზ ენდრონიკაშვილთან, თბილელ მთავარეპისკოპოსთან და წარჩინებულ საერო პირებთან ერთად მონაწილეა ერეკლე I-ის მიერ გურამიშვილთა სასისხლო საქმის გარიგებისა (20. 1448-5).

ჩვენს ხელთ არსებული საბუთებიდან გარკვევით ჩანს, რომ 1694 წლისათვის ალავერდელად ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი, ხოლო რუსთავის ეპისკოპოსად ნიკოლოზ ჩოლოყაშვილია (20. 1448-57) 1695 წლით დათარიღებული ერეკლე I-ის მცხეთის სვეტიცხოვლისათვის გაცემული სიგელის თანახმად ამ დროისათვის ამბა ალავერდელია ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი* (6. 70-71).

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის კათალიკოს-პატრიარქ იოანე X-ისადმი მიცემული ერთგულების წიგნი იოანე კათალიკოსის ზეობის წლებითაა (1688-1700) დათარიღებული. (17. 621; 19. Ad-74)

დღეისათვის იოანე კათალიკოსის ზეობა მეტადაა დაზუსტებული და მოიცავს 1688-1692; 1695-1700 წლებს (14. 115).

* „დაიწერა სიგელი ესე ფებერვალსა ერთსა ქკსა ტკპკ შუამდგომელობითა ამბა ალავერდელის ჩოლოყაშვილის ნიკოლოზისათა ჰველითა სამეპელ ეფისკოპოზის ნიკოლოზისათა ძისა მდივნისა“ (ს. კაკაბაძე, ისტ. საბ. IV, გვ. 70-71).

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ერთგულების წიგნის შინაარსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ვთვლი საბუთის დათარიღების 1695 წლით შეცვლას. საბუთიდან კარგად ჩანს, რომ ნიკოლოზი, არსებული წესის თანახმად, მცხეთის საკათალიკოსო საყდარში კათალიკოსთან საკურთხეველად მიდის და იოანე კათალიკოსს ერთგულების წიგნს ალავერდის კათედრაზე აღსაყდრებასთან დაკავშირებით აძლევს. 1694 წლისათვის ნიკოლოზი ჯერ კიდევ რუსთველად, ხოლო 1695 წლით დათარიღებულ ერეკლე I-ის მცხეთის სვეტიცხოვლისთვის გაცემულ შეწირულების სიგელში, უკვე ალავერდელად იხსენიება (6. 70-71). ნიკოლოზის ერთგულების ფიცის წიგნი მისი ალავერდის კათედრაზე აღსაყდრების თანადროულია, იოანე დიასამიძეც საკათალიკოსო ტახტს ხელმეორედ სწორედ 1695 წლისათვის იკავებს. ამასთანავე, 1696 წლისათვის რუსთავის კათედრა ვაკანტურია და აღსაყდრებას ცდილობს ქიზიყის მოურავის შვილი ზაქარია ენდრონიკაშვილი (11. 1461-13-1). ამდენად, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის აღსაყდრების თარიღად 1695 წელი უნდა მივიჩნიოთ. შესაბამისად ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მიერ კათალიკოსისათვის გაცემული ერთგულების წიგნის დათარიღება 1688-1700 წლების ნაცვლად, 1695 წლით უნდა შეიცვალოს.

1696 წლისათვის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი კახ ეპისკოპოს-დარბაისლებთან ერთად (რუსთველი ნიკოლოზ, სამებელი ნიკოლოზ) სითარხნის გუჯარს აძლევს დავით გარეჯის მონასტერს. გარეჯის მონასტრის ძველი სიგელგუჯრები ლეკთა თავდასხმებისას განადგურებულია. თუმცა გარეჯის მონასტრის შეუვალობა და თავისუფლება საბუთიანობის გარეშეც ცნობილი იყო. ამის გამო კახეთის ყიზილბაში ხანის კარზე შეკრებილან ამა ალავერდელი ნიკოლოზ და „ერთობილთ კახთ“ ეპისკოპოსები და მოხელეები. შეკრებილთ ერთობლივად გადაუწყვეტიათ გარეჯის მონასტრის ყმების სრული შეუვალობა და თავისუფლება. (17. 605; 20. 1448-1469). საბუთს ხელს ურთავს ამა ალავერდელი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი კათალიკოსის შემდეგ უმთავრესი მონაწილეა 1702 წლის საეკლესიო კრებისა. კრე-

ბის დადგენილებიდან გამომდინარე, საეკლესიო კრებაზე სამონასტრო ცხოვრების „წესისა და რიგის“ მოწესრიგების საკითხები განიხილებოდა. საეკლესიო კრების მონაწილე კახ ეპისკოპოსთა შორის დასახელებული არიან ბოდბელი, სამებელი, ჭერემელი, ხარჭაშნელი და ნინოწმინდელი ეპისკოპოსები. კრების განჩინებას კათალიკოს ევდემოს II-ის (დიასამიძე) (1700-1705) შემდეგ ნიკოლოზ ალავერდელი ამტკიცებს (17. 633-635).

1707-1708 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს – პატრიარქი დომენტი IV (*დამიანე ბაგრატიონი*) (1705-1741) (8. 34; 14. 115) ირანში იმყოფება კახეთში მისი კუთვნილი საკათალიკოსო მამულების დამტკიცების მიზნით. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, „... კათალიკოსს დომენტის არა აუფლეს კახთა კახეთს მამული თვისი“ და „ამისთვის წარვიდა წინაშე ყვენისა...“ ვახუშტით ეს 1707 წლისათვის ხდება.

„მისრულსა კათალიკოსს პატივ-სცა ყვენმან და მისცნა ყოველნი მამულნი თვისნი და ნიჭი დიდი. შემდგომად გამოუტევა და მოვიდა ტფილისს...“ 1708 წლისათვის ქართლს დაბრუნებული კათალიკოსი „შთავიდა ... კახეთს, იმამ-ყულიხანისა თანა და აუფლეს მამულსა თვისსა.“ ამდენად, კათალიკოსს კახეთში სამცხეთო საკუთრების დამტკიცებისათვის ირანის შაჰის ჩარევა დასჭირდა (4. 612)*. დომენტი IV დავით II-მ პატივით მიიღო და კახეთში მცხეთის საკათალიკოსო მამულების სიგელი უბოძა. ამ 1710 წლით დათარიღებული სიგელით კათალიკოსმა „შემოიმტკიცა მამული თვისი.“ ალბათ ბუნებრივი იქნება, იმ კახთა შორის დომენტი კათალიკოსს, რომ „არა აუფლეს მამული თვისი“, ამბა ალავერდელი ნიკოლოზიც ვივარაუდოთ.

თავის მხრივ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი დიდად ზრუნავს ალავერდის საკუთრების განახლებასა და გაფართოებაზე. მას 1707 წლისათვის დავით იმამყულიხანისათვის

* „... მოვიდა ყარაღაჯს კათალიკოზი დომენტი, რამეთუ მიეცა ყვენსა მცხეთის შეწირულობა, რა იგი არს კახეთსა შინა. პატივით მიიღო იმამ-ყულიხან და მისცა ყოველი ნებასა მისსა და განუტევა.“ (ქცხბა, IV, გვ. 612)

გასახლებლად გადაუცია კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ალავერდის ძველი შეწირულების სიგელი (20. 1449-437, იგივე 1449-2599. 49)

1711 წლისათვის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მეცადინეობით ავთანდილ ამილახორს ალავერდისათვის შეუწირავს ორი კომლი (20. 1449; 2699; 3. 374; 381-382; 13. 41-42; 44-45; 18. 213, 236). ნიკოლოზ ალავერდელი მონაწილეობს საეკლესიო კრებებში, ამოწმებს და ამტკიცებს დადგენილებებსა და სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას.

ჩვენ მრავლად მოგვეპოვება 1700 და 1711 წლებით დათარიღებული დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ ნიკოლოზ ალავერდელის მონაწილეობას ყმა-მამულის გარიგებასა და სასამართლო საქმის წარმოებაში (16. 330; 1451-103; 13. 250-251; 9. 147-148).

XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ალავერდელი მღვდელმთავარი კახეთის სამეფოში უპირველეს ადგილს ინარჩუნებს, კახ ეპისკოპოსთა პატივის მომატება მისი პრეროგატივაა. 1711 წლისათვის კახთა მეფე დავით იმამყულიხანი ამბა ალავერდელ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს მიართმევს საგანგებო წიგნს, სადაც მეფე აღნიშნავს, რომ მისი ბრძანებით, რუსთველი მთავარეპისკოპოსი სამღვდელმთავრო ბისონით შეიმოსა. დავით იმამყულიხანი რუსთველისათვის პატივის მომატებას მისი დროშის პატრონობისა და სარდლობის საბაბით ხსნის და ალავერდელს აღუთქვამს, რომ მსგავსი პრეცედენტი აღარ განმეორდება და ალავერდელი მღვდელმთავარის დაუკითხავად კახი ეპისკოპოსები პატივს ვერ მოიმატებენ. ამ საბუთით მეფე ერთგვარად ებოდიშება ალავერდელს. დავით იმამყულიხანის საბუთი 1711 წლის 11 დეკემბრითაა დათარიღებული (17. 66). ნიშანდობლივია, რომ ამავე წლის 17 დეკემბრითაა დათარიღებული ერთგულების წიგნი ბოდბელისა და რუსთველისა ნიკოლოზ ალავერდელისადმი (15. 532). როგორც ჩანს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი მეფის ბრძანებას დაემორჩილა, თუმცა მეფის პირობას არ დასჯერდა, რის გამოც მას ბოდბელი ზაქარია ენდრონიკასშვილი და რუსთველი ნიკოლოზ ჩერქეზისშვილი საგანგებო ერთგულების წიგნს

მართმევენ, რომლის თანახმადაც მორჩილებასა და ერთგულებას აღუთქვამენ.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1706-1710 წლებში საგრძნობლად ძლიერდება კახეთზე ლეკთა თავდასხმები. ლეკები იმდენად ავიწროვებენ კახეთს, რომ დავით II იმამყულიხანი (1709-1722) იძულებულია რეზიდენცია ყარაღაჯიდან თელავში გადაიტანოს (4. 615) ლეკთა თარეშის სიმძიმე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ოჯახსაც შეეხო. 1715 წელს ლეკებთან ბრძოლის დროს დაიღუპა მისი ძმისწული, კახთა მეფის სახლთუხუცესი, მეუღლე მარიამ (მაკრინე) ბატონიხისა – ედიშერ ჩოლოყაშვილი. 54)*.

ალავერდისათვის ლეკიანობის სიმძიმე კარგადაა ასახული თვით ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის 1721 და 1728 წლებით დათარიღებულ წყალობის წიგნებში, სადაც ნიკოლოზ ალავერდელი ლეკიანობის დროს ალავერდის ერთგულად ნამსახურ ყმებს ემადლიერება, ათავისუფლებს ან ყმა-მამულს უბოძებს (20. 1449-2629; 1448-2768; 1449-2626).

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი სასულიეროს გარდა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწეა. ერეკლე I-ის გარდაცვალების შემდეგ, დავით II (იმამყულიხანი) ტახტზე დასამტკიცებლად ირანს გაემგზავრა, სადაც 1715 წლამდე მოუხდა დარჩენა. ამ პერიოდში კახეთის სამეფოს ფორმალური მმართველი ერეკლე I-ის მცირეწლოვანი ვაჟი – თეიმურაზ ბატონიშვილია. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, კახეთს ფაქტიურად დედოფალი ანნა ჩოლოყაშვილი და ალავერდელი მღვდელმთავარი – ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი განაგებენ (4. 615). თუმცა ვახუშტისვე შენიშვნით, კახეთის საქმეებს სრულად წყვეტს ალავერდელი მთავარეპისკოპოსი, რომელიც კახეთის სამეფო კარზე უადრესად სანდოდ და მოხერხებულად მიაჩნიათ (4. 615)**.

* ერეკლე I-ისა და ანნა ჩოლოყაშვილის ასული მარიამი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ძმის, ედიშერ ჩოლოყაშვილის მეუღლეა. მათი ქორწინება 1714 წლისათვის შემდგარა.

** „... იყვნენ დედოფალი და თეიმურაზ თელავს, მანავს და მადაროს მჭმუნვარენი და თავობდა ალავერდელი ნიკოლოზ, რომელი უჩნდათ დიდ სათნოდ, რამეთუ იყო ფრიად ხუანჯიანი.“

1716 წლის გაზაფხულს გარდაიცვალა კახთა დედოფალი ანნა ჩოლოყაშვილი. ვახუშტით „მოვიდნენ იესე და ელენე მოტირლად პატარძელს და დაფლეს ანნა ალავერდს.“ დედოფლის დაკრძალვის ცერემონიალი, ცხადია ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით ჩატარდებოდა.

მდგომარეობა არც დავით II იმამყულიხანის კახეთს დაბრუნების შემდეგ გაუმჯობესდა. ლეკთაგან შევიწროებული კახეთის სამეფოს მესვეურები გამოსავლის ძიებაში არიან („ამისთვის კახნი შემჭირვებულნი განიზრახვიდენ თუ რად ჰყონ“). შექმნილ ვითარებაში, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა პრობლემის გადაწყვეტის მისეული გეგმა წარადგინა. ალავერდელის სტრატეგია ლეკებისათვის ქართლისა და აზერბაიჯანის პროვინციებისაკენ გზის გახსნაში მდგომარეობდა* (4. 615-617).

1723 წელს შაჰ თამაზმა ვახტანგ VI-ეს ქართლის ტახტი ჩამოართვა და კახთა მეფეს კონსტანტინე მაჰმად ყული ხანს (1722-1732) უბოძა. ვახუშტის თანახმად, ამასთან დაკავშირებით კონსტანტინემ სათათბიროდ შეკრიბა კახნი, როგორც ჩანს მას არ სურდა ვახტანგთან დაპირისპირება. მაგრამ კახმა დიდებულებმა და ვახუშტის თანახმად, განსაკუთრებით ალავერდელმა, („უმეტეს ალავერდელმან“) კახთა მეფეს გადაწყვეტილება შეაცვლევინეს. საბოლოოდ, ალავერდელმა და მისმა მომხრეებმა შეძლეს მაჰმად ყულიხანის დაყოლიება (1. 316).

1723 წლიდან კახეთის სამეფოს მდგომარეობა უფრო მძიმდება. გალეკების გარდა კახეთს ოსმალური საფრთხეც

(ქცხბა IV, გვ. 614); (ხვანჯი – ხრიკი და ხლათი – სულხან საბა ორბელიანი „სიტყვის კონა“, 1949).

* „ამისთვის კახნი შემჭირვებულნი განიზრახვიდენ თუ რად ჰყონ; ვინაიდან არავინ შეეწივნენ, განიგულეს ხრიკი განზრახვთა ალავერდელისათა და დაასკუნეს, რათა მისცენ ეტიკი ლეკთა და უწყონ ჳდომა და ოჭრება ქართლს, ყაზახს, შამშადილუს და ყარაბაღს და შირვანს, რამეთუ მორჩების ამით ქუეყანა ჩუენი ოჭრებისაგან, და მათ ქუეყანათა მრისხანედ უწყონ მტერობა ჭარელთა“ (ქცხბა IV, გვ. 615).

დაემუქრა. ქართლის სამეფოს დაპატრონებული ოსმალები კახეთის დაპყრობასაც ცდილობენ. 1725 წელს ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებულმა ქართველებმა გასაბატონებლად კონსტანტინეს უხმეს (1. 317-318). კონსტანტინე დამარცხდა და თავი ჯერ ქსნის საერისთავოს, ხოლო შემდეგ ფშავს შეაფარა. კახთა მეფე კახი თავად-ახნაურობით მთელ წელიწადს ხიზნობდა ფშავში. 1725 წლისათვის ლეკებმა კახეთის დაკავება „გალეკებული“ კახეთის გლეხობის დახმარებით შეძლეს. მათ ფაქტიურად მთელი კახეთი დაიკავეს, მხოლოდ თელავი და ალავერდი დარჩათ აუღებელი (17. 792; 19. Hd-1638). მიუხედავად ამისა, ალავერდის მდგომარეობა მეტად მძიმეა. ალავერდელი ეპისკოპოსი გამუდმებით მეფის ამაღლაშია და აქტიურადაა დაკავებული პოლიტიკური საქმიანობით. მისი სამწყსო და საყმო მიტოვებულია. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ერთ დაუთარიღებელ საბუთში, ის თვით აღნიშნავს, რომ: „ოდეს კახეთი ლეკთ დაიპყრეს ჩვენ ქსნის ხევზე ქსნის ერისთვის მამულში დავიხიზნით“-ო (1. 318). აღნიშნული საბუთი ქართული სამართლის ძეგლებში ნიკოლოზ ალავერდელის ზეობის წლებითა და ხელის მიხედვით 1695-1746 წლებით თარიღდება. ვფიქრობთ, შესაძლებელია საბუთის დათარიღების მეტად დაზუსტება. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს ალავერდი უნდა მიეტოვებინა და კონსტანტინე მეფესთან ერთად ქსნის ერისთავს შეხიზნოდა 1725 წლისათვის, კონსტანტინეს მარცხის შემდეგ. თუ გავითვალისწინებთ შემდგომში განვითარებულ მოვლენებს, ის ფშავშიაც უნდა ახლდეს მეფეს. ამდენად საბუთი გაცემული უნდა იყოს ამ მოვლენათა შემდგომ, 1725-1732 წლებს შორის, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის გარდაცვალებამდე.

კახეთს გაბატონებულ ლეკებს მალე აუჯანყდა კახი გლეხობა, მოიწვიეს ფშავში გახიზნული კონსტანტინე. გაძევებული თავად-ახნაურობა და ფეოდალური სამღვდელთა თანდათან დაუბრუნდა თავის საყმოსა და სამწყსოს და შერყეული ბატონობისა და ქრისტიანობის აღდგენას შეუდგა (1. 319). ალავერდს დაუბრუნდებოდა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილიც.

ოსმალეთმა კახეთის დაპყრობა დიდხანს ვერ შეძლო. საბოლოოდ კონსტანტინე იძულებული შეიქნა ოსმალეთს დაზავებოდა, და ხარკი და სამსახური ეკისრა (4. 624-625). თუმცა ოსმალები მას არ ენდობოდნენ. 1731 წელს ისაყ თბილისის ფაშას შვილმა იუსუფ-ფაშამ, ვითომდა წყალობის მიზნით, კონსტანტინე კახთა მეფე მიიწვია. კონსტანტინე ფრთხილობდა და ფშავში გახიზვნას გეგმავდა.

კონსტანტინე მეფესა და იუსუფ ფაშას შორის მოლაპარაკებას აწარმოებდა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, მისივე ძაღდატანებით ეწვია კონსტანტინე იუსუფ ფაშას. ვახუშტი ბატონიშვილი კარგად ხსნის ალავერდელის მხრიდან ძაღდატანების საბაბს, აღნიშნავს რა, რომ კონსტანტინეს მიუსვლელობას ლეკთა და ოსმალთაგან კახეთის აოსრება მოყვებოდა. ოსმალებმა კონსტანტინე მეფე მოკლეს, დაატყვევეს მისი თანმხმლები ქართველი დარბაისლები, მათ შორის ნიკოლოზ ალავერდელი, რომელსაც სხვა ქართველ დარბაისლებთან ერთად თავი მოკვეთეს და ოსმალეთის სულთანს გაუგზავნეს (4. 624-625).

კახეთის სამეფოსა და მისი უმთავრესი სალოცავის – ალავერდის, კეთილდღეობისათვის დამაშვრალმა მღვდელმთავარმა ტრაგიკულად დაასრულა თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობა.

ამბა ალავერდელი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი მრავალმხრივი მოღვაწეა. სასულიეროსა და პოლიტიკურის გარდა, აღსანიშნავია მისი სააღმშენებლო და სამწიგნობრო მოღვაწეობა.

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის დროს ალავერდში მნიშვნელოვანი სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა. ჩვენამდე მოღწეული ცნობებით, 1698 წელს რუსთველმა ეპისკოპოსმა ზაქარია ენდრონიკაშვილმა ააშენა ალავერდის სამრეკლო (12. 80), ალავერდის წმინდა გიორგის ტაძრის ოქროს ხატის წარწერის თანახმად, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა განაახლა ალავერდის მორღვეული გალავანი (15. 41, 685), „მრავლითა გულის-მოდგინებითა და ფრიადითა საფასითა წარგებითა“, მოაჭედინა წმინდა გიორგის ხატი. წმ გიორგის ხატი დაუკვეთიათ სამებისა და წმ. სერგის ლავრის ფერწერული სახელოსნოსათვის (მოსკოვთან,

ზაგორსკში), 1721 წელს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის დაკვეთით ხატი მთლიანად შეუჭედავთ (წმინდანის სახისა და სახელოსნოს ემბლემის გარდა) (15. 532-533), ასევე „მძიმეთ ქვითა ოქროთა“ შეამკო სამღვდელმთავრო „მეორე გურგუნი“ და სახარება მოაჭედინა „ოქროთა სრულიად“. ყოველივე ეს ნიკოლოზს, როგორც თვით აღნიშნავს შეუსრულებია „მეფობასა დავითისსა“ ანუ დავით II იმამყულიხანის მეფობის პერიოდში – 1709-1722 წლებს შორის.

ამბა ალავერდელი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ზრუნავს, როგორც ალავერდის მატერიალურ შეწევნაზე, ისე კულტურულ-სამწიგნობრო ცხოვრების განვითარებაზე. ნიკოლოზის დაკვეთით, 1714-16 წლებში ალავერდის ეკლესიაში დემეტრე მგალობელსა და ზაქარია ჭილაიშვილს გადაუწერიათ „დიდი სადღესასწაულო თუენი“ (19. A366, A379, A380). ნიკოლოზ ალავერდელმა დაიხსნა „მარბეველთაგან“ გატაცებული მარხვანი XVI საუკუნისა (19. A1404).

მისი მღვდელმთავრობის დროს აღსანიშნავია ალავერდის მონასტერში ერეკლე I-ის ასულის მარიამ ბატონიშვილის მოღვაწეობა. ნაადრევად დაქვრივებული მარიამ ბაგრატიონი ძმის, კახთა მეფის დავით იმამყულიხანის ნებართვით ალავერდის მონასტერში შემონაზვნდა და მაკრინედ იწოდა. მაკრინე მონაზონი შესანიშნავი მცოდნე იყო, როგორც მშობლიური ქართული, ისე სომხური, ბერძნული და ფრანგული ენებისა. ალავერდში შემონაზვნებამდე მისი ბრძანებითა და ხარჯით ალავერდში გადაუწერიათ „სადღესასწაულო“, რომელიც დღეისათვის სამ ხელნაწერშია შემონახული (19. A366; A379; A380); მის მიერაა გადაწერილი მეორე ნაწილი ე. წ. „ღვთაების გუჯრისა“, კანონიკური კრებული (19. Q427), ჰიმნოგრაფიული კრებული (19. S3269) და სხვ. მაკრინე ბატონიშვილის ორიგინალური შრომებიდან მნიშვნელოვანია იამბიკური „შესხმა“, რომელიც მას ბოლოსიტყვაობის სახით დაურთავს მის მიერ გადაწერილი საბას ლექსიკონისათვის (19. H1740) და საგალობლნი ალავერდის მონასტრის დამაარსებლის იოსებ ალავერდელისადმი (19. A387; S3269; H1762; H2077, ქუთ. 36) საგალობ-

ლების გარდა მასვე მიეკუთვნება იოსებ ალავერდელის მოკლე სვინაქსარული „ცხოვრება“ (15 .532-533).

ნიკოლოზ ალავერდელს მისი მრავალმხრივი ნიჭისა და ღვაწლის გამო, მოგვიანებით მის მიერვე გაცემული წყალობის წიგნის დამტკიცებისას ერთერთი მომდევნო ალავერდელი (პატა მოურავის ძე ნიკოლოზი), როგორც „ბატონს დიდს ნიკოლოზ ალავერდელს“ მოიხსენებს (1449. 2626), ის ამავე ეპითეტით იხსენიება 1775 წლით დათარიღებულ ერთ დოკუმენტში (18. 680). ალავერდელი მღვდელმთავარი უადრესად აქტიური სასულიერო, პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეა. დროა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს სათანადო ადგილი მიეუჩინოთ XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნის გამორჩეულ ქართველ მოღვაწეთა შორის.

ასეთია, არსებული ინფორმაციის თანახმად, XVII საუკუნის ალავერდის კათედრის მეთაურთა ქრონოლოგიური რიგი. ჩატარებულმა კვლევამ არაერთი საინტერესო ისტორიული პირის გამოვლენის, ბიოგრაფიული დეტალის, ფაქტისა და დოკუმენტის დათარიღების დაზუსტების შესაძლებლობა მოგვცა. ამასთანავე თვალსაჩინო გახდა ამ მნიშვნელოვანი კათედრის მეთაურთა ნამოღვაწარი, როგორც სასულიერო, ისე პოლიტიკურ-კულტურული თვალსაზრისით. სამომავლოდ ვიტოვებთ დამატებითი ინფორმაციის მოპოვების იმედს, რაც მოგვცემს შესაძლებლობას მეტად დავაზუსტოთ ალავერდელ მღვდელმთავართა ქრონოლოგია. სადღეისოდ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით XVII საუკუნის ალავერდელ მღვდელმთავართა ქრონოლოგიური რიგი ასეთგვარად გამოიყურება:

ამბა ალავერდელი ფილიპე (მიხაბაძე) – 1590-1602/1604-1611

ამბა ალავერდელი (ჩოლოყაშვილი) – 1602-1604

უცნობი ამბა ალავერდელი (იოვანე ავალიშვილი ?) – დაახლ. 1612-1627

ამბა ალავერდელი მიტროფანე – 1628-1636

ამბა ალავერდელი ზებედე – 1636-1648

ამბა ალავერდელი არსენ (ავალიშვილი) – 1648-[1660]

ამბა ალავერდელი გრიგოლ (ჩოლოყაშვილი) – დაახლ. 1664-1679

ამბა ალავერდელი ნიკოლოზ (ენდრონიკაშვილი) – 1683-1695
ამბა ალავერდელი ნიკოლოზ (ხოლოყაშვილი) – 1695-1731

E. KACHARAVA

CHRONOLOGY OF ARCHBISHOPS OF ALAVERDI

Part II

The study “*Chronology of Archbishops of Alaverdi*” presents chronology of the Archbishops of Alaverdi in the second part of the XVII century. The years of their leadership and details of their activity were identified in the research. These are the following Abbas of Alaverdi: **Grigol (Choloqashvili) (Approximately 1664-1676)**, **Nikoloz (Endronikashvili) (1683-1695)** and **Nikoloz (Cholokashvili) (1695-1732)**.

All these Abbas of Alaverdi were representatives of noble families. They were in close relation with the Kakhetin royal family – actively participating in political, social and cultural life of the country.

The period of Grigol Choloqashvili being an Abba of Alaverdi was notable for a relatively peaceful development of the Kakhetian Kingdom. **Grigol (Choloqashvili)** played an important role in arrangement of the marriage of King Archil. Active interference of Grigol of Alaverdi with solution of such an important issue was evidence of his great authority.

King Archil was the one who continued rehabilitation and renovation of the heavily damaged Alaverdi Cathedral. Apparently, Grigol of Alaverdi was among those who participated in the rehabilitation of the Cathedral.

The next Abba of Alaverdi – **Nikoloz Endronikashvili** was at the head of the Cathedra of Ninotsminda before becoming an Archbishop of Alaverdi. One of the gateways of Ninotsminda Cathedral was built by Nikoloz. He also built an iconostasis of a renovated and de-

corated Ninotsminda Cathedral, which is recorded in an inscription on its gateway.

Nikoloz Endronikashvili put on the Head Priest's crown without permission and sanctification of the Catholicos. Such disrespect of the Archbishop resulted in a serious conflict. Finally, this attempt of Abba of Alaverdi had failed, as the Catholicos of Mtskheta timely suppressed the separatist action of the Kakhetian Head Priest. There are no first-hand data about how the conflict was resolved. It is known that Nikoloz Endronikashvili retained the Cathedra. The reason might be that Catholicos Nikoloz Amilakhvari forgave him the misdeed owing to intervention of Ioseb Tbileli. Or perhaps it was due to the events that took place in Kartli, namely, accession of Erekle I to the throne and the change that took place at the Catholicos' throne – substitution of Nikoloz Amilakhvari by Ioane X Diasamidze. The situation ended favorably for Nikoloz of Alaverdi. The inspirer of the separatist action of Nikoloz Endronikashvili, a lawful heir of the Kakhetian Kingdom Erekle I, came to power.

From the moment of his accession, Nikoloz of Alaverdi vigorously started establishing the disturbed church order among the serfs and congregations of Alaverdi. The evidence of this can be found in numerous documents.

The Abba of Alaverdi Nikoloz Choloqashvili was the Archbishop of Sameba and later – the Archbishop of Rustavi before occupying the Cathedra of Alaverdi.

Nikoloz Choloqashvili was not only a clerical, but also a significant political figure. He is also remarkable for his constructional and publishing initiatives. In the times of Nikoloz Cholqashvili significant constructional and rehabilitation activities took place in Alaverdi.

Abba of Alaverdi – Nikoloz Choloqashvili was in charge of both providing material aid to Alaverdi and sustaining its cultural and librarian life. On request of Nikoloz, Demetre Mgalobeli and Zakaria Chilaishvili rewrote the collection of hymns prescribed for the whole year in calendar order of Alaverdi Church. Nikoloz of Alaverdi saved the stolen "*Markhvani*" (book of prayers to be read during fasting) of the 16th century from "raiders". The daughter of Erekle I – Mariam Batonishvili's activities in the Alaverdi Monastery (while Nikoloz's was an Archbishop) are also worth mentioning. Collection of hymns for great Christian holidays (which has been preserved in three

manuscripts) were rewritten by her request and financial aid. She personally rewrote the second part of the canonical collection of "the Divine Gujar (deed)", a hymnographic collection and others. Some of the most remarkable original works of Makrine Batonishvili are iambic "Praising" (attached by her as an afterword to Saba's dictionary) and hymns to the founder of Alaverdi Monastery, Ioseb of Alaverdi. In addition to the hymns, she is the author of the short biographic data of Ioseb of Alaverdi written for a *typikon*.

Nikoloz Cholokashvili is one of the most active clerical, political and cultural figures. It would be right to give him his proper place among outstanding Georgian figures of the 17th-18th century's boundary.

According to the available sources, the chronological succession of the Archbishops of Alaverdi looks like this today. The paucity of the sources prevented me from reconstructing a complete picture of the life and the activities of the Archbishops of Alaverdi. Quite a few details of their biographies still remain unknown. The efforts to get precise details from their biographies revealed a number of interesting and important facts. It gives the possibility to identify the data of the documents more precisely. Also new topics of interest and issues requiring further research have emerged.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973.
2. გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტ. I, ნაკ. I, წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირატლაძემ, თბ. 1999.
3. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1940.
4. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწე-

- რის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973.
5. კავლელიშვილი ელ., ალავერდის სამღვდელმთავრო თავსაბურავი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, კრებული „ალავერდის ეპარქიის ისტორიის ფურცლები, I, 2006-2007.
 6. კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, წ. IV, ტფ. 1913.
 7. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო თ. ბარნაველმა. თბ. 1961.
 8. კაჭარავა ე., დომენტი კათოლიკოსის მოღვაწეობის საკითხისათვის, ანალები, №1, 2002.
 9. კლიშიაშვილი აკ., XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, 1964.
 10. Переписка Грузинских Царей съ Российскими Государями, от 1659 г. По 1770 г., СПб, 1861.
 11. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. თბ. 1991.
 12. ჟორდანიას თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგნ. მეორე, ტფ., 1897.
 13. ჟორდანიას თ., ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903.
 14. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, (ე. კაჭარავას ნაწილი), თბ., 2000.
 15. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2007.
 16. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. II, თბ., 1966.
 17. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. III, თბ., 1970.
 18. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. IV, თბ., 1972.
 19. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

20. სცსსა.
21. ცხოვრება საქართველოდსა (პარიზის ქრონიკა), *ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები, II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ვ. ალასანიამ, თბ., 1980.*
22. ჯანდიერი ვ. XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის, *მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, თბ., 1971.*

აკაკი წერეთელი და საქართველოს ეკლესიის
ზოზიერთი საკითხი

აკაკი წერეთლის მრავალმხრივ და მრავალფეროვან საზოგადოებრივ თუ შემოქმედებით მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხების წარმოჩენას. იგი, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, დიდ ყურადღებას აქცევდა ავტოკეფალიაწართმეული საქართველოს ეკლესიის უფლებების დაცვას. თავის შემოქმედებაში მან გარკვეული ყურადღება მიაქცია ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეულ მძიმე შედეგებს. იგი აქტიურად იყო ჩართული ავტოკეფალისტთა მოძრაობაში. აკაკი წერეთლისა და საერთოდ თერგდალეულთა აქტიური მონაწილეობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში იმის დასტურია, რომ ეს მოძრაობა ვიწრო წრის ინტერესებით არ იფარგლებოდა. ქართველ სასულიერო პირებთან ერთად პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოების ჩაბმა აღნიშნულ მოძრაობაში მას დიდ პოლიტიკურ დატვირთვას ანიჭებდა. სწორედ ამის გამო, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად იქცა. საეკლესიო საკითხებისადმი აკაკი წერეთლის დაინტერესება გარდა პოლიტიკური დატვირთვისა, იმითაც იყო გამპირობებული, რომ იგი ამით ახდენდა თავისი სარწმუნოებრივი მოთხოვნილებების რეალიზაციას.

აკაკი წერეთელი ქრისტიანობას პატარაობიდანვე ეზიარა. სავანეში გაძიძავებული პატარა აკაკი ლოცვის გარეშე არ იძინებდა. ვინაიდან იმ დროს გლეხთა უმეტესობამ წერ-კითხვა არ იცოდა, მათთვის უცნობი იყო კანონიკური ლოცვები. დაბალი ფენა სახარებას ეკლესიაში ზეპირი სახით, წირვა-ლოცვის დროს, ისმენდა. უმეტეს შემთხვევაში ისინი ღმერთს საკუთარი სიტყვებით აღიძებდნენ, ლოცვებსაც თავისებურად წარმოთქვამდნენ. ასე წარმოიშვა ე. წ. ხალხური ქრისტიანული ლოცვები. თავის

მოგონებაში აკაკი წერეთელი ასეთ ლოცვის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოგვიდგენს, რომლის თქმის გარეშე მას გამზრდელი დაძინების უფლებას არ აძლევდა.

„დავწვიები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი, თავითა დამესვენება.“¹

ან კიდევ:

„ჯვარი მწყალობდეს ჯვარცმული,
ვერას მავნებს მაცდური!“²

სასახლეში გადასული აკაკი, როდესაც აღნიშნული ლოცვით აპირებდა დაძინებას, დედამისმა უთხრა: „კარგი ლოცვააო, მაგრამ სოფელურია და ჩვენ კი სულ სხვა ლოცვები გვაქვს, წმინდა მამებისაგან შედგენილიო და ის უნდა ისწავლოო.“³ პატარა აკაკი დაეთანხმა დედის გადაწყვეტილებას და ერთი თვის განმავლობაში ზეპირად დაისწავლა „მრწამსი,“ „მამაო ჩვენო,“ „წმინდაო ღმერთო.“ ლოცვების ზეპირად სწავლამ გადააწყვეტინა აკაკის ქართული წერა-კითხვა შეესწავლა. სკოლაში შესვლამდე აკაკიმ კარგად ისწავლა ხუცური და მხედრული ანბანი. პატარაობიდანვე აკაკი ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს ზედმიწევნით ასრულებდა. როგორც თვითონ აღნიშნავს: „უმთავრესი ყურადღება ჩვენი წირვა-ლოცვაზე და მარხვაზე იყო მიქცეული.“⁴ ბავშვობაში შექმნილი რელიგიური ცოდნა აკაკის გიმნაზიაში სწავლის დროს გამოადგა. როგორც მისი საკლასო ჟურნალიდან ჩანს, საღმრთო რჯულს იგი დიდი გულმოდგინებით სწავლობდა და მუდამ მაღალ ნიშნებს იღებდა.

როგორც წყაროებით დასტურდება, პატარაობიდანვე აკაკი ღვთისადმი შიშს მისი მშობლები უნერგავდნენ. ამ მხრივ, გამსაკუთრებით გამოირჩეოდა დედამისი, ეკატერინე აბაშიძე, რომელიც იყო შვილიშვილი იმერეთის მეფე სოლომონ პირველისა. როგორც ცნობილია, 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების დროს, მამამისი ივანე აბაშიძე მოკლული იქნა, ხოლო პატარა ეკატერინე გურიის სამთავროში იზრდებოდა, სადაც იგი დაახლოებით იმხანად იქ მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს. მათგან აკაკის დედას შეუსწავლია სამედიცინო საქმე. აკაკი სწორედ დედის დახმარებით გაეცნო ქრისტიანობას. მან სასახლის მოსამსახურე-

ბიც შეაჩვია ქრისტიანული ცხოვრების წესს. აკაკი დედას, ეკატერინე აბაშიძეს, ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ეპისკოპოსს გაბრიელ ქიქოძესთან. მართალია, როგორც აკაკი გადმოგვცემს, დედისაგან განსხვავებული იყო მამა, როსტომ წერეთელი, რომელიც დარდიმანდულ ცხოვრებას ეწეოდა, მაგრამ ღვთისმოშიშობა არც მას აკლდა. ბავშვობაში მას განათლება პეტრე არქიმანდრიტისაგან მიუღია, დიდად ჰყვარებია სასულიერო ლიტერატურის კითხვა, სახარებას კი, როგორც აკაკი გადმოგვცემს, „იმ კილოთი კითხულობდა რა კილოთიც წირვაზე კითხულობდნენ და ისე გაიტაცებდა ხოლმე კითხვა, რომ სახარებაში გამოხატულ პირებს ემუსაიფებოდა.“⁵

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, როსტომ წერეთელი დიდად ზრუნავდა გაპარტახებული ეკლესია-მონასტრების აღსადგენად. 1875 წლის 10 აგვისტოს იგი ბლადონინ იოანე აბაშიძეს აცნობებს, რომ კვერეთის ღვთისმშობლის ეკლესია სიძველისა და მოუვლელობის გამო მძიმე მდგომარეობაშია და სთხოვდა ეშუამდგომლა გაბრიელ ეპისკოპოსის წინაშე ნება დართოდა, რომ აღნიშნული ტაძარი საკუთარი ხარჯით აღედგინა. მართალია, ეპისკოპოსმა გაბრიელმა დააკმაყოფილა როსტომ წერეთლის თხოვნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა დანაპირები ვერ შეასრულა, 1876 წლის 4 მარტს გარდაიცვალა.⁶

აკაკი წერეთელი, როგორც მისი შემოქმედებიდან ჩანს, კარგად იცნობდა საღმრთო წერილს. მას არაერთი ბიბლიური სიუჟეტი აქვს გამოყენებული თავის შემოქმედებაში.⁷ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი წერეთლის შრომებში ზოგჯერ სამწუხაროდ შეიმჩნევა „მეტად ლაღი, იუმორისტული, ანეკდოტური დამოკიდებულება საეკლესიო თემატიკისადმი.“⁸

აკაკი წერეთელმა თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქართველოს გაქრისტიანების საკითხს. აღნიშნულ თემას მან რამდენიმე პოემა მიუძღვნა. 1884 წელს ჟურნალ „მწვემის“ №№2, 8, 9 და 10 ნომრებში გაგრძელების სახით დაბეჭდა პოემა „ანდრია პირველწოდებული,“ რომელიც გამოქვეყნებისთანავე საკმაოდ პოპულარული გახდა. აღნიშნული ფაქტის გამო, 1892 წელს

ჟურნალ „მწვემის“ რედაქციამ, კერძოდ კი მისმა რედაქტორმა დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ აღნიშნული პოემა წიგნის სახით გამოსცა და გაავრცელა. მართალია, პოემა „ანდრია მოციქული“ მხატვრული ღირებულებებით არ გამოირჩევა, მაგრამ მისი პათოსია მკითხველს მიაწოდოს პოპულარულად გადმოცემული მოციქულის ღვაწლი საქართველოს გაქრისტიანებაში.

პოემის სიუჟეტი ძირითადად წარმოადგენს „ქართლის ცხოვრებაში“ ანდრია პირველწოდებულის შესახებ დაცული ცნობების მხატვრულ გაახრებას. აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთლის აღნიშნული პოემა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მხოლოდ ერთხელ, 1940 წელს ი. გრიშაშვილის რედაქტორობით გამოცემულ აკაკის თხზულებათა ერთ-ერთ ტომში გამოქვეყნდა.⁹ პოსტსაბჭოთა პერიოდში რამდენჯერმე მოხდა მისი გამოცემა.

აკაკი წერეთელმა საქართველოს გაქრისტიანებას მიუძღვნა კიდევ ერთი პოემა „წმინდა ნინო,“ რომელიც 1906 წელს ქართველ კათოლიკეთა ჟურნალ „ჯვარი ვაზისაში“ გამოქვეყნდა.¹⁰ აღნიშნული პოემა აკაკი წერეთლის იუბილის დღეებში (1908 წ.) ცნობილმა მეცენატმა მიტროფანე ლალიძემ ცალკე წიგნად გამოაქვეყნა ოდნავ შეცვლილი სათაურით „საქართველოს გაქრისტიანება ანუ „წმინდა ნინო.“ გამოცემას ამშვენებს წარწერა: „საიუბილეო გამოცემა... მთელ ამ გამოცემის ღირებულებას ნიშნად ღრმად პატივისცემისა ვუძღვნი დიდებულ იუბილარს აკაკის 50 წლის მოღვაწეობის სახსოვრად. მიტროფანე ლალიძე.“¹¹

აკაკი წერეთლის აღნიშნული პოემა ახალგაზრდობისათვის იყო განკუთვნილი. პოემის მიხედვით, პატარა ნინუცის ბაბუა უამბობს ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ღვაწლს ქართველთა წინაშე. პოემის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ აკაკი კარგად იცნობდა წმინდა ნინოს მოღვაწეობის შესახებ არსებულ წყაროებს. აკაკი მიიჩნევს, რომ წმინდა ნინო იყო ქართველი კაპადოკიიდან. წმინდა ნინოს ეთნიკური ქართველობა აკაკის მოღვაწეობის დროს თანდათან მკვიდრდება ქართველთა ცნობიერებაში. პირველად იაკობ გოგებაშვილმა გამოთქვა ვარაუდი წმინდა ნინოს ქართველობის შესახებ. შემდგომში ქარ-

თველმა მეცნიერებმა (გ. გოზალიშვილი, ვ. გოილაძე და სხვ.) სხვადასხვა მეცნიერულ არგუმენტებზე დაყრდნობით უცილობლად მიიჩნიეს წმინდა ნინოს ქართველობა. არადა წმინდა ნინოს შესახებ არსებული უძველესი წყაროები საწინააღმდეგოს მიუთითებენ, რითაც არ მტკიცდება ქართველთა განმანათლებლის ქართველობა.

პოემის მიხედვით, ბაბუა პატარა შვილიშვილს უამბობს წმინდა ნინოს დეაწლს ქართველი ხალხის მოქცევაში. წმინდა ნინოს ცხოვრების ეპიზოდების მოთხრობის დასარულს ბაბუა შვილიშვილს გულდაწვევით ეუბნება, რომ უცხო ტომის ბატონობის ქვეშ მოქცეული ქართველი ხალხი დღეს ისეთ პატივს ვეღარ სცემს ქართველთა განმანათლებელს და მის საფლავს, „რადგან მისთვის დაკეტილი არის წმინდა გალავანი!“ აგრეთვე 14 იანვარს (ძველი სტილით) აღარ მიდიან და თაყვანს აღარ სცემენ მის საფლავს, „რადგანაც აქ ქართულის წილ „პაკის-პაკის“ იძახიან.“¹²

აკაკი წერეთელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებრიობის დაკარგვასა და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას მძიმე შედეგები მოჰყვა. რუსეთის სახელმწიფომ ერთმორწმუნე ქართველი ხალხი განსაცდელში ჩააგდო: შეუბიძგა ქართული სიწმინდეები; ქართულ ეკლესია-მონასტრებში დაკანონდა წირვა-ლოცვის სლავური წეს-განგება; აღარ აღინიშნებოდა ქართველ წმინდანთა ხსენების დღე, სამაგიეროდ მომრავლდა რუსული ეკლესიისათვის დამახასიათებელი დღესასწაულები. არსებული რეალობის შემყურე აკაკი წერეთელმა თავისი განცდა კარგად გამოხატა 1891 წელს დაწერილ ლექსში „ნინობას“:

„იტირე, მიწავ, სამშობლოვ! ზარი, აუშვი, ზეცაო!

ისტორიულმა ღვთის რისხვამ დღეს ჩვენთვის

იორკეცაო!...“¹³

უცხო გადამთიელმა ფეხქვეშ გათელა ქართველი ხალხის თავმოყვარეობა, ქართველ წმინდანებს სახელები შეუცვალეს:

„ენაც წაგვართვეს და რჯულიც, ნათელი რამდა

გეფინოსო?

„თამარ“ მონათლეს „თამარად“, „ნინა“ დაარქვეს

„ნინოსო.“¹⁴

ასეთ მეპატრონის ხელში ქართველი ხალხი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რომელმაც დაივიწყა თავისი სიწმინდეები:

„სად არის კუბო თამარის ქვეყნისგან ნაამბობისა?
ვის ხელში არის საფლავი ნინო მოციქულთ სწორისა?
სადღაა ჯვარი ვაზისა, შეკრული წმინდის თმებითა?
დასდუმდა მისი ტროპარიც, ქართულის კილო –

ხმებითა.“

ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ წირვა-ლოცვის სლავური წესის დაკანონების გარდა ტაძრებში აღარ აღნიშნავდნენ საქართველოს ეკლესიის წმინდანების: წმ. თამარის, წმ. დავით აღმაშენებლის, მოციქულთა სწორის, წმ. ნინოსადმი მიძღვნილ დღესასწაულებს. დამპყრობელი კი ქრისტეს სახელით ახდენდა ქართველთა გადაგვარებას:

„ქრისტეს სახელით ქრისტეს სჯულს წვალება

შემოესია

და ჩვენს ეროვნულ ფიცარზე „ქართველი აღარ

წერია!“¹⁵

ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, აკაკი არ ეძლევა სასოწარკვეთილებას და ქართველ ხალხს სულიერი სიმშვიდისაკენ მოუწოდებს.

მართალია, საქართველოს საეგზარქოსო ოფიციალურად არ აღნიშნავდა საქართველოს ეკლესიის წმინდანთა დღესასწაულებს, მაგრამ ქართულ სამრევლოებში, დაბასოფლებში მაინც ტარდებოდა მათდამი მიძღვნილი დღესასწაულები. აკაკი ხშირად მონაწილეობდა ასეთ დღესასწაულებში და შეკრებილ ხალხს სარწმუნოებრივი სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა. 1886 წლის 14 იანვარს (ძველი სტილით) იგი ქუთაისში დასწრებია ნინოობისადმი მიძღვნილ ნადიმს. პოეტმა შეკრებილ საზოგადოებას პატრიოტული სიტყვით მიმართა: „დღევანდელმა ნადიმმა ორგვარი გრძნობა აღძრა ჩემში: სამწუხარო და საღხინო! სამწუხარო მით, რომ სადღესასწაულო მიზეზებს წარსულს საუკუნეებში ვეძებ და უახლოეს დროებას კი მსგავსი ვერა მოუცია რა! სიხარულიც ესევე მიზეზია: ვინც წარსულს არ ივიწყებს ის, ჩანს, მომავალზეც ფიქრობს და მასასადამე მეგობარია აწყმოსი.“ პოეტის აზრით, „ნათელი

ქრისტესი“ წმინდა ნინომ მოგვფინა, „მამაკაცებისათვის ღიდებაა წმინდა ნინო; დედაკაცებისათვის კი ღიდებაც არის და სიქადულიც... მათი თანაგრძნობა და სიხარულიც ორკეცი უნდა იყოს და ვწუხარ, რომ დღეს აქ ამ დღესასწაულზე ქალებს უფრო ნაკლებად ვხედავ! რაც ერთი ქვეყნის ქალებისათვის არ გადმოუცია წარსულ საუკუნეებს ის მაგალითები, რომელიც ჩვენმა დედებმა უანდერძეს ჩვენს ქალებს!“¹⁶

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი მისი ქონების მეპატრონე რუსეთის სახელმწიფოს ხაზინა აღმოჩნდა. ხელისუფლების უმაღლესმა საერო და სასულიერო პირებმა დაიწყეს საქართველოს ეკლესიის ქონების ძარცვა. აკაკი წერეთელმა ამ საკითხს რამდენიმე ლექსი და პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა. 1912 წელს დაწერილ ლექსში „რაჭა-ლენხუმი“ პოეტმა შემდეგნაირად გამოხატა თავისი გულისნადები:

„დაუხოგავად გაძარცვეს ყველგან მონასტრის

ტაძრები

და იმ ნაძარცვით აავსეს საუკუდმართო ბაზრები.“¹⁷

პოეტი აღნიშნავს, რომ რუს მოხელეთა ასეთმა ქმედებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე. საზოგადოების ზოგიერთმა წევრმა ღვთის შიში დაკარგა და ეკლესია-მონასტრების ძარცვა ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც დაიწყეს. „წინათ ქართველებს – წერს აკაკი – ისეთი შიში ჰქონდათ და პატივის ცემა საყრდისა, რომ არა თუ თვით ეკლესიასი, გაღაგანშიც, რომ გდებუღიყო ძვირფასი რამ ვერავინ გაბედავდა ხელის მოკიდებას და გამოტანას.“¹⁸ დასახელებულ პოემაში პოეტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ რუსეთის ცარიზმმა ქართველთა ასიმილაციის მიზნით პირველ რიგში იერიში მიიტანა ეკლესიაზე:

„ჯერ ეკლესიას ეტგერენ, სოქვეს: „აქ მარხია

ძაღლიო!“

ჯერ ძირი გამოუთხარე, თუ გსურს დაიქცეს

სახლიო.“¹⁹

პოეტის აზრით, დამპყრობელს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ თუკი ქართველობა წინაპართა სარწმუნოების ერთგული იქნებოდა, შეუძლებელი იყო მისი გადაგვარება: „სანამდის სარწმუნოება ქართველს ექნება ხელშიო და არ მოკვდება ზნეობით, – ხელს ვერ წაუჭერ ელშიო.

ჯერ უნდა სჯული წავართვათ, გავხადოთ უნამუსოთო და მერე შევძლებთ ადვილად, რომ კიდეც გავათათროთო.“²⁰

აკაკი ცენზურის თვალის ახვევის მიზნით აქ იყენებს ქართველთა გათათრებას.

ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი გადაგვარებისათვის რუსმა მოხელეებმა ხელსაყრელად მიიჩნიეს საქართველოში რუსული სასულიერო სასწავლებლების დაარსება, სადაც სწავლა ხალხისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. აღნიშნულის შესახებ აკაკი წერდა:

„და ამ განზრახვით გამართეს მეჯლისი სემინარია, იმისმა მიმართულებამ ხალხი სულ არივ-დარია. გარდა ქართული ენისა იქ ასწავლიდნენ ყოლიფერს და ამზადებდნენ სამღვდელოდ ქვეყნის ორგულს და ქვეყნის მტერს.“²¹

აკაკი აღნიშნავს, რომ რუსული სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულებმა მღვდლად კურთხევის შემდეგ მშობლიური ქართული ენა აღარ იცოდნენ, რის გამოც დიდი დაბრკოლება ექმნებოდათ ხოლმე სასულიერო მოღვაწეობის დროს.

აკაკი წერეთელმა რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოში განხორციელებული საეკლესიო პოლიტიკა კარგად ასახა 1886 წელს დაწერილ ლექს-პამფლეტში „მოლა, ყადი და ახუნდი.“ დაწერისთანავე აღნიშნული ლექსი საკმაოდ პოპულარული გამხდარა. იგი ერთხანს ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. 1886 წელს ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეებს იგი თავიანთ ხელნაწერ ჟურნალ „სალამურში“ გამოუქვეყნებიათ. 1894 წელს აკაკის განზრახული ჰქონდა ჟურნალ მოამბის №3 დაეებჯდა აღნიშნული პამფლეტი შეცვლილი სათაურით „რჩევა,“ მაგრამ იმის გამო,

რომ მასში ალევორიული ფორმით იყო წარმოდგენილი რუსეთის შოვინისტური პოლიტიკა საქართველოში, ცენზურამ აკრძალა იგი. შემორჩა ჟურნალ მოამბის ერთადერთი ცალი, რომელშიც მოთავსებულია აკაკის აკრძალული ლექსი. ეს ერთადერთი ეგზემპლარი დაცულია საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში.²² ლექსში მოლას სახით აკაკის გამოყვანილი ჰყავს ეგზარქოსი პავლე ლებედევი (1884 – 1886), ყადი კავკასიის მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვია, ახუნდი – კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილე იანოვსკი. ისტორიულად ცნობილია, რომ სამივე პიროვნებამ XIX საუკუნის 80-იან წლებში უარყოფითი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ლექსში აღნიშნულია, რომ მოლამ, ყადმა და ახუნდმა ერთმანეთთან კავშირი შეკერეს ქართველი ხალხის წინააღმდეგ და გადაწყვიტეს, რომ მათ გადასაგვარებლად ძალა გამოეყენებინათ. ძალისმიერი მეთოდი გამოიხატებოდა იმაში, რომ მოლას თქმით:

„აკრძალავ წირვა-ლოცვის დროს მათ ენას
 მამა-პაპურსო
 და მივცემ სამაგიეროდ ჩვენს მეტყველებას
 დათვურსო!“

ყადმაც კვერი დაუკრა მოლას განზრახვას და თან დაამატა:

„თვითონ მე გავასამართლებ ჩემგანვე გარყვნილ
 ერსაო!
 გინდა სტყუოდეს, გინდა არა, გავწირავ, როგორც
 მტერსაო!
 ნელ-ნელა გადავასახლებ... იმათ დაუდგეს თვალიო
 და მაშინ სულ ჩვენ დაგვრჩება მათი მიწა და
 წყალიო!“

ახუნდმაც მხარი აუბა მოლასა და ყადის მოსაზრებას, თვითონ კი თავს იღო:

„მეც ვეთანხმები მაგათო! და სკოლებს გადავაკეთებ
 ხალხისთვის ვირის ბაგადო, რომ სხვისი ვერა
 ისწავლონ
 თავისი დაავიწყდეთო და მათი ტკბილი განზრახვა
 უდროოდ დაუმიწდეთო!“²³

აკაკი გულნატკენია იმით, რომ მოყვრულად მოსული ჩრდილოელი მეზობელი დაუძინებელ მტრად ექცა ერთმორწმუნე ქართველ ხალხს. მას ყველაფერი წაართვეს რისი წართმევეც შეიძლება:

„რაც რამ ჰქონდა, ეკლესიას, ჩამოართვეს სუყველა მღვდელს და მიუგდეს ის სარჩენად მის მრევლსა და საწყალ სოფელს.“²⁴

დამპყრობლის ასეთმა პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო. წირვა-ლოცვის უცხო ენაზე დაკანონებამ და ქართული ქრისტიანული ტრადიციების უგულვებელყოფამ ქართველ ხალხში სარწმუნოებრივი ინდიფერენციზმი გამოიწვია. ქართველმა ხალხმა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ქრისტიანობისათვის თავს სდებდა, ახალი პოლიტიკის წყალობით ზურგი აქცია ეკლესიას, მათში ურწმუნოებამ იჩინა თავი. აღნიშნულის გამო აკაკი მიუთითებს: „ღმერთი განრისხებულია, რომ მთელმა ქვეყანამ დაკარგა სარწმუნოება, საჯელად ხოლერას აგზავნის... ხოლერისაგან შეიძლება გადარჩენა, მაგრამ რა ვუშველოთ იმას, რომ საქართველოში აღარ იხმის „აღარც წირვა, აღარც ლოცვა, არც ქართული ღაპარაკი?“ სანთელსაც კი აღარ უნთებენ ხატს ძველებური წესის შესაბამისად. მამა-პაპური ყვითელი სანთელი გადაუგდიათ და ხელოვნურ სანთელს იყენებენ. ისიც კი აღარ ახსოვთ – რა მნიშვნელობა აქვს ყვითელ სანთელს.“²⁵

რუსული პოლიტიკის შედეგად ფინანსიურად ხელისუფლებაზე დამოკიდებული სასულიერო პირების უმრავლესობა დამპყრობლის სამსახურში ჩადგა. ისინი დიდად დაშორდნენ თავიანთ სამწყსოს. ყოველი ქრისტიანული წეს-ჩვეულებების შესრულების დროს მრევლი ვალდებული იყო სახელმწიფოს მიერ დადგენილი ოფიციალური გადასახადი გადაეხადა. ამას ემატებოდა დრამის გადასახადიც. გაგულისებულ მრევლს აკაკი ათქმევინებს:

„ნუთუ ფეხს რამდენს გადადგამს სასყიდელს გვთხოვდეს მღვდელიო? მაშინ ჯობია, რომ რჯულზედ სულაც ავიღოთ ხელიო!..“²⁶

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი მრევლი სასულიერო პირებს უნდობლობას უცხადებდა. აკაკიმ რუსული პოლიტიკის გავლენის ქვეშ მყოფი სასულიერო პირთა განწყობა კარგად გადმოქცვა ლექსში „მღვდელი და ექიმი.“ მანვე გადაგვარებულ სასულიერო პირთა კრიტიკას რამდენიმე პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა. უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი წერეთელი სასულიერო პირთა კრიტიკას ათეისტური პოზიციებიდან კი არ ახდენს, არამედ მათი უარყოფითი ქმედების ჩვენებით მეფის ხელისუფლების ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკას ააშკარავებს. ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში მას მოჰყავს ერთი მოძღვრის წერილი თავისი მფარველის მიმართ, რომელშიც იგი სიამაყით აღნიშნავს, რომ მღვდლად დადგენის შემდეგ ღმერთმა მის სიღარიბეს მოწყალე თვალთ გადმოხედა.²⁷ აკაკის სამართლიანად მიაჩნდა, რომ სამღვდელოების ასეთი ყოფა „ზნეობითის დაცემისა და გონებითის სიღარიბის ბრალია.“ აღნიშნული ნაკლოვანების აღმოფხვრისათვის, მისი აზრით, აუცილებელია სასულიერო სასწავლებლების ეროვნულ ნიადაგზე ჩამოყალიბება.²⁸

სარწმუნოების საკითხებს ეძღვნება აკაკი წერეთლის მიერ 1909 წელს დაწერილი პოემა „გორონცოვი,“ რომელიც 1912 წელს პოეტის თხზულებათა მეორე ტომში უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ საცენზურო კომიტეტს აწყობილი წიგნიდან ეს პოემა ამოუღია. ი. გრიშაშვილმა ცენტრალურ არქივში მიკვლია ცენზორის მიერ აკრძალულ აკაკის პოემის პროზაულ რუსულ თარგმანს, მაგრამ საქმეში არ აღმოჩნდა თვით ლექსი. აღნიშნული ლექსის დედანი მოიძია და 1940 წელს გამოაქვეყნა ი. გრიშაშვილმა. პოემის პერსონაჟები ძმები ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები XIX საუკუნის პირველი ნახევარის ცნობილი მოღვაწეებია. პოემის სიუჟეტები დიალოგის სახით არის წარმოდგენილი.

პოემის მიხედვით, ალექსანდრე ორბელიანი ნინოების დღეს სიონის ტაძარში მიდის წირვაზე დასასწრებლად, მაგრამ გულისტკივილით ამბობს: „სიონში ვერავინ ვნახე, გარდა ერთი ორისა!“ ამის მიზეზად ალექსანდრეს მიაჩნია ის, რომ ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღარ ტარდება. თავისი დროის რეალობის შემხედვარე

აღექსანდრე ორბელიანი სიამაყით იგონებს ძველ დროს, როცა საქართველოს თავისი კათოლიკოსი ჰყავდა, წირვა-ლოცვაცა და გალობაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა „შეგვიჟულდა ჩვენი თავი და სხვაც აღარ შეგვიყვარდა.“²⁹ აკაკი პოემის მეორე პერსონაჟს ათქმევინებს, რომ მუსულმანთა გარემოცვაში მყოფ საქართველოს მფარველად მოეგლინა ერთმორწმუნე რუსეთი, რომელმაც „მოგვხიბლა ტკბილი სიტყვით, დაგვარწმუნა მან ფიცით, ჩამოგვართვა პირობა და მერე?.. აღარ ვიცით!“³⁰ ვახტანგ ორბელიანს სწამს, რომ ეს ყველაფერი დროებითი და წარმავალია. ამიტომ იგი ქრისტიანული მოთმინებით ელოდება უკეთეს მომავალს. აღექსანდრე არ ეთანხმება თავისი ძმის შეხედულებას, მისი აზრით, მოთმინებასაც გარკვეული საზღვარი აქვს, რადგან „სული როცა მოკვდება, მაშინ ხორციც მკვდარია! და აი ქართველობას დღეს ხელი რა დაჰრია!..“ ვახტანგი ძმას შეასხენებს, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია და იგი დაიფარავს მას. მისი აზრით, ბევრი ქვეყნები აღგვიღან მიწისაგან პირისა, მაგრამ საქართველომ თავი გადაირჩინა იმიტომ, რომ „ერთ ხელში ხმალი ჰქონდა, მეორეში ჯვარი, რომ ხალხს არ გაჰქრობოდა ქრისტეს წმინდა ლამპარი.“³¹ პოემაში გატარებულია აზრი, რომ ქრისტიანობამ ქართველობას შეუნარჩუნა თვითმყოფადი სახე და მდიდარი კულტურული ტრადიციები. მან იხსნა იგი მრავალი განსაცდელისაგან. ღვთის იმედს მინდობილი ვახტანგ ორბელიანი ძმას შთააგონებს: „უღმრთოდ არ გადაწყდება ჩვენი სამშობლოს ბედი!“ აღექსანდრე ეთანხმება ძმის მოსაზრებას, მაგრამ შენიშნავს, რომ „ხალხი ბრბო არის,“ რომლის გამოფხიზლებისათვის საჭიროა წინასწარმეტყველი. ასეთი როლის შესრულება, მისი აზრით, შეუძლია შეასრულოს მგოსანმა. აღექსანდრე აღნიშნავს, რომ თვით ვახტანგმა უნდა იტვირთოს „ციური მოციქულის“ როლი. აღექსანდრეს მოთხოვნას ვახტანგი უარყოფითად უპასუხებს, რომ მას არ შეუძლია ასეთი მისიის შესრულება. პოემაში მოქმედ პირად გამოყვანილია დიმიტრი ყიფიანიც, რომელიც ძმებს ურჩევს ახლო ურთიერთობა დაამყარონ ახლადდანიშნულ მეფისნაცვალ მ. ვორონცონთან,

რომელიც, მისი აზრით, ღვთისწიერი კაცია. შემდგომ პოემაში წარმოდგენილია დიალოგი მ. ვორონცოვისა და დ. ყიფიანს შორის. დ. ყიფიანი უხსნის მეფინაცვალს, რომ ქართველობა რუსეთთან შეერთების შემდეგ გადაშენების პირასაა. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ერი მხოლოდ ღმერთზე ამყარებს იმედს. დ. ყიფიანის აზრით, საჭიროა: „რომ ეროვნული შეგვრჩეს ელფერი და რუსი ვიყოთ პოლიტიკურად, აი რა გვინდა... სხვა არაფერი.“ პოემის მიხედვით მ. ვორონცოვი თანახმაა, რომ ქართველი დარჩეს ქართველად და აგრეთვე „არც რჯულს შეგვხოს, არც ეროვნებას, არც მის სიწმინდეს და აღმაფრენას.“³²

აკაკი შენატრის მ. ვორონცოვის დროს, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა: „ხალხმა დაკარგა სარწმუნოება, დღეს იმას აღარ მოეპოვება აღარც სიწმინდე, აღარც სიმშვიდე და არც სიმართლე და სასობა!“ თავისი დროის რეალობიდან გამომდინარე პოეტი კითხულობს: „ვისი ბრალია? სამღვდელოების!.. რუსის ხელში და იმიტომ სურს, რომ გაარუსოს... თორემ ზნეობას ის არ ადევნებს არც თვალს და ყურს!“³³

როგორც ირკვევა, აკაკი დიდი სიმპათიით იყო განწყობილი მეფისნაცვალ მ. ვორონცოვისადმი. აღნიშნული პოემის გარდა გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში ბერ-მონაზონ ტარასი კანდელაკის არქივში ინახება მ. ვორონცოვისადმი მიძღვნილი ლექსი „ქართველი ძეგლის წინ.“ ამ ლექსის რამდენიმე ფრაგმენტი ეკლესიის საკითხებს ეძღვნება. პოეტი მიმართავს მოხუც ვორონცოვს:

„სამღვდელოება იმას არ ფიქრობს, რომ

განამტკიცოს რჯული ქრისტესი,
პირიქით სცდილობს, რომ აღმოფხვრას

საქრისტიანოს რიგი და წესი.
გვიქადაგებენ, რომ ქართველები საქრისტიანოს არ

ხართ შეილიო
და სახარება თქვენი თურმეა „ძაღლის ენაზე

დაწერილიო.“

არც ხატი ვარგა თქვენი, არც ჯვარი, ვინ მოგცათ

წმინდა მოწამენიო?

უარ ჰყავთ თქვენი ყოველიფერი, წირვაც და

ლოცვაც! იყოს ჩვენით!
 დედაენაზე, საღმრთო ენაზე აღარ გვაძლევენ ჩვენ
 ლოცვის ნებას.
 მათგან გამოზრდილ მოზარდ თაობას, თვითვე
 უკარგვენ სარწმუნოებას.“³⁴
 ლექსის დასასრულს აკაკი მიმართავს ქვაში გამოქან-
 დაკებულ მ. ვორონცოვის ძეგლს:
 „გასწყდა კავშირი... ერთობაც ქრება! მას შენც
 ჰხედავ და ეგებ მიტომ
 გაქვავებულხარ თავქუდმოსხილი, რომ
 უსამართლოდ ტანჯული ერის
 გაიზიარო გულისტკივილი?“³⁵

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით
 გამოწვეული მძიმე სარწმუნოებრივი შედეგები გადმოცემუ-
 ღია აკაკის ერთ-ერთ ლექსში „ხმა,“ რომლის პუბლიკაცია
 პირველად 1992 წელს განახორციელა მკვლევარმა ღ. ჭრე-
 ლაშივილმა. აღნიშნული ლექსი მიკვლეული იქნა ხელნა-
 წერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ კირიონ საძაგლიშვი-
 ლის არქივში, მაგრამ მითითებული არ იყო, რომ იგი აკა-
 კი წერეთელს ეკუთნოდა. ღ. ჭრელაშივილმა ტექსტოლოგი-
 ური ანალიზით დაასკვნა, რომ მისი ავტორი აკაკი წერე-
 თელია. ღ. ჭრელაშივილის მოსაზრება დაადასტურა ლიტე-
 რატურულ მუზეუმში ეპისკოპოს კირიონის ახლობლის
 ბერ-მონაზონ ტარასის (კანდელაკი) არქივში აღმოჩენილმა
 იგივე ლექსმა, რომლის ავტორად აკაკი წერეთელია დასა-
 ხელებული.

ლექსის მიხედვით, სამოთხის კარზე მყოფი ღვთის-
 მშობელი თითისტარით „ღალის ძაფს ართავს“ და უფლის
 კვართს ქსოვს საქართველოსათვის, მაგრამ ამ ბოლო
 დროს „ბოლოს ვერ აბამს ხელქნარს, რაღაცა უშლის სიწ-
 მინდეს.“ სასოწარკვეთილნი არიან წმინდანები: წმ. ნინო,
 წმ. ქეთევანი, წმ. თამარი. დაღონებული დედაღვთისა გან-
 გებას შეეკითხება: „რა მიზეზია, რომ მადლი ვეღარ სჭრის
 რჩეულ ერზედა?

და საქართველოს ვხედავთ დღეს სულ სხვა გუნება-
 ვერზედა?“³⁶

დამწუხრებულ ღვთისმშობელს უფალი უპასუხებს:
„ნუ სწუხარ დედაო, დაეფიქრებულვარ მრავალჯერ მეც
მაღლით მაგაზედაო.“ უფალი ღვთისმშობელს მოახსენებს,
რომ ხალხმა თვითონ მიიყვანა თავი ამ მღვდმარეობამდე,
რადგან

„ადარც ხატი სწამს, არც ჯვარი, არც სადმე
სასწაულიო!

და ჯოჯოხეთის სიბილწით გადარეცხია გულიო,
გადაუგდია გულიდან ჩემი მოძღვრება-მცნებაო
და მეც სასჯელად დაგუდე იობის მოთბინებაო.“

უფლის ასეთი გულიწყრომის გამო მას მუხლმოდრე-
კით ეხვეწებიან ქართველი დედანი, რომ მათი ამ ყოფაში
ჩაგდების მიზეზი თვითონაც კარგად იციან, რადგან
„უცვცხლოდ ძალუძს ხეს სადმე, დაჰყაროს ნახშირ-ნაცა-
რი?“ ისინი უფალს შეახსენებენ, რომ ის რაც საქართვე-
ლოს ეკლესიას მსოფლიო კრებებმა უბოძეს, ყველაფერი
გარეშე ძალამ წაართვა:

„ადარ ჰყავს კათალიკოზი, მღვდელმთავარ
მეუფროსები,

მათ ნაცვლად ნაძალადევად დაუსვეს ეგზარხოზები.“

რუსი ეგზარქოზები შეგნებულად უკარგავენ ხალხს
რწმენა – სასოებას:

„და აპირობენ სხვა სჯულის სხვაგვარად შემოღებასა
სცდილობენ ენა ქართული გარდაჰქმნან სლოვენურადა!
მაგრამ ერთავად კი არა, ნელ-ნელა ეშმაკურათა.“

ქართველი მღვდლობას ვერ ეღისება:

„თუ სლოვენურად არ სწირა და უარს არ ჰყოფს
ქართველსა!

ასე ამბობენ: ქართული არც ხორცს არგებსო, არც
სუღსა.

და ამ განზრახვით ააგეს სხვადასხვა სემინარია
და მათმა მეცადინობამ საქრისტიანო არია.“

ასეთ სემინარიაში აღზრდილი სასულიერო პირები
მრევლისათვის უცხო ხილია, რადგან

„ხალხს მათი არ ესმით – რა!.. უბღვერს როგორც
მტერს – მტრულადა

და ეკლესიაც მის გამო დამსობილია სრულადა.“

უფალი ქართველი წმინდანების მონოლოგის შემდეგ დაასკენის, რომ ასეთ განსაცდელში ქართველი ხალხი დიდხანს არ იქნება, რადგან „მას იხსნის თქვენი ფარო და წაღმა დატრიალდება ეგ თითისტარიო.“³⁷

აკაკი წერეთელს სამართლიანად მიაჩნია, რომ ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარი სასულიერო პირები რუსული შოვინისტური პოლიტიკის გატარებას უწყობდნენ ხელს, რამაც გამოიწვია მათი გადაგვარება და გაუცხოება. შექმნილ სიტუაციას XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, შემდგომ კი 90-იანი წლებიდან, სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთა კარგად იყენებდა ათეიზმის პროპაგანდისათვის. როგორც ცნობილი კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე წერდა: საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარება განაპირობა ორმა გარემოებამ: ერთი „შიგნიდან ეკლესიის გახრწნამ და გარედან ათეიზმის გავრცელებამ.“ აკაკი წერეთელი ორივეს წინააღმდეგ გამოდიოდა.³⁸

აკაკი წერეთელმა ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკის კრიტიკას რამდენიმე პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა. აღნიშნულ წერილებში იგი გამოდის რუსულ ენაზე წირვალოცვის ჩატარებისა და სასულიერო სასწავლებლებში ეროვნული საგნების (ქართული ენა, ლიტერატურა, საქართველოს ისტორია) აკრძალვის წინააღმდეგ.³⁹ იგი ხშირად, გადაჭარბებულადაც კი დაუნდობელი იყო იმ ქართველთა მიმართ, რომლებიც ხელს უწყობდნენ საქართველოში რუსული პოლიტიკის გატარებას. აკაკი წერეთელმა მკაცრად გაილაშქრა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სკოლებში „მუნჯური მეთოდის“ დანერგვის წინააღმდეგ. ამ საქმის თაოსნად მან მიიჩნია XX საუკუნის დასაწყისში გურია-სამეგრელოს სკოლების ზედამხედველი თედო ჟორდანიას და მის წინააღმდეგ ორი ლექსი დაწერა, რომელშიც იგი მას „იუდა გამცემლიძეს“ უწოდებს. აღნიშნული ლექსი მხოლოდ ერთხელ 1941 წელს ა. აბაშელმა და პ. ინგოროყვამ გამოაქვეყნა აკაკი წერეთლის შვიდტომეულის მერე ტომში სათანადო კომენტარების დართვით, საიდანაც მტკიცდება, რომ აკაკი ცდებოდა თედო ჟორდანიას შეფასებაში.⁴⁰ გარკვეული დროის შემდეგ აკაკი დარწმუნდა, რომ თედო ჟორდანიას უცოდველი იყო „მუნჯური მეთოდის“ დანერგვა-

ში. პირიქით, თედო ჟორდანიამ მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით სათანადო პატივისცემაც დაიმსახურა. მის პატივისცემელთა რიცხვში აღმოჩნდა აკაკიც, რომელმაც 1913 წელს გაზეთ „თემში“ გამოქვეყნებული წერილით ბოდიში მოუხადა თედო ჟორდანიას.⁴¹ პირადად გაგზავნილ წერილში კი აღნიშნა: „ძმაო თედო! მოხარული ვარ, რომ შემთხვევა მეძლევა ძმად გიწოდო. ამის მიზეზი შენი სტატიაა „განთიადში“ დაბეჭდილი: „ბიჭვინთის სიგელ-გუჯრები.“ იყო დრო, როცა მე შენ თედორე გამცემლიძე დაგიძახე და ახლა კი შენმა სტატიამ დამარწმუნა, რომ შემცდარი ვყოფილვარ და შემცდარიც, რომ არ ვყოფილიყო და მართალი გამომდგარიყოს ჩემი რწმენა, მე მაინც დღეს ისეთის სიყვარულითა და თანამიზიარობით წარმოგიდგენდი, როგორითაც ჰყავდათ წარმოდგენილი პირველ ქრისტიანებს პავლე მოციქული, ოდესმე სავლედ ყოფილი.“⁴²

აკაკი წერეთელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ეგზარქოსობის პერიოდში დაღუპვის პირას მისული უძველესი ქართული საეკლესიო საგალობლების გადარჩენას. იგი სიხარულით მიესალმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის ინიციატივით დაარსებულ ქართული გალობის აღმდგენელი კომიტეტის დაარსებას, რომლის მიზანი იყო საგალობლების ნოტებზე გადაღება. აღმოსავლეთ საქართველოში ქართლ-კახეთის გალობის გადარჩენაში დიდი როლი შეასრულა ძმებმა კარბელაშვილებმა, დასავლეთ საქართველოში – ფილიმონ ქორიძემ და სხვებმა, რომლებმაც გურული და იმერული გალობის კილოები ჩაიწერეს. ძველი საეკლესიო საგალობლების შეკრებასთან ერთად დავა მიმდინარეობდა იმის შესახებ თუ რომელ საგალობელს მინიჭებოდა უპირატესობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 1884 წელს აკაკიმ „დროებაში“ გამოაქვეყნა წერილი, სადაც იგი გარკვევით წერდა: „მე მგონია, ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რომ საქართველოს ერთობის დროს ენაც ერთი გვქონია; ღრმად შემუშავებული და წესიერადაც დაკანონებული,“ მაგრამ ფეოდალური დაქუცმაცებულობის შემდეგ „ენასაც სრწინილება შეჰპარვია და ადგილობრივი კილო

მიუღია და ისე შელახულა, რომ დღეს ის კანონიერი ენა აღარ ისმის, მაგრამ ეს არ ნიშნავს ენის სრულად დაკარგვას.“ მისი აზრით, ენასთან ერთად იგივე მდგომარეობაში ჩავარდა ქართული გალობაც, რომელიც თავდაპირველად ბერძნულიდან შემოგვიღია და „ისე გაგვიქართველება, ე. ი. მიგვიცია ისეთი ადგილობრივი კილო და ხასიათი, რომ დედანს აღარ გვაგონებს.“ აკაკი წინააღმდეგია იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი დასავლეთ საქართველოში შეკრებილ გალობას ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო მეორენი – ქართლ-კახეთის გალობის კილოს. მათ შესახებ აკაკი აღნიშნავდა: „იმათ პირადი რამ ანგარიში და კუდაბზიკობა ამოქმედებს და სხვადასხვა ჩვეულებრივ ხრიკებს იქამდი მიულწევია, რომ ლამის საქმე არივ-დარიონ, რაღაც წვრილმანური პატრიოტობის გამოჩენით.“⁴³ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე აკაკი გაკვირვებულია გალობის აღმდგენელი კომიტეტის უმოქმედობით, რომელიც თავის პოზიციას არ აფიქსირებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. „კარბელოვის“ გალობა – წერს იგი – არის მხოლოდ პირველი დასაწყისი გალობის, პირველი გაკვეთილი და იმ პირველი მუხლით გალობენ ყოველ საგალობელს;“ ხოლო „გურული გალობა მართალია, სრული სკოლა არის, მაგრამ მეტის კლიმანჭულებით გადაუსხვაფერებით, გადაუცდენიათ კანონზე და ძველებურად ვეღარც ის ხატავს საგანს. მაშასადამე ეს გალობები, რომ გადავიღოთ და მით მოვრჩეთ საქმეს, პირველ შემთხვევაში უგნურება იქნებოდა და მეორეში – შეცდომა. არა, კომიტეტს თუ მართლა გულწრფელად ჰსურს გალობის აღდგენა, უნდა აირჩიონ მცოდნე პირი. იმან მოიაროს მთელი საქართველო, ყოველ კუთხეში და ყოველგან დაუგდოს ყური საერო კილოსნებებს, თვითონაც შეისწავლოს, ნამეტანი რაც შეჰპარვია გალობას – გამორიცხოს, რაც აკლია შეავსოს, ადადგინოს ნელ-ნელა აუჩქარებლად და სხვებსაც ასწავლოს. ამგვარად შედგება სკოლა და გალობაც თანდათან სისრულეში მოვა.“⁴⁴

აკაკი წერეთელს ახლო ურთიერთობა ჰქონდა წმ. გაბრიელ (ქიქოძე) მღვდელთავართან. იგი პატივისცემით ეპყრობოდა და დიდად აფასებდა მის ღვაწლს. თუმცა, არ

ერიდებოდა და კრიტიკულ შენიშვნებსაც გამოხატავდა ქართველი მღვდელმთავრისადმი. XIX საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთ საქართველოში ხმები იყო გავრცელებული, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი წესის აგების დროს ფულს იღებსო. აკაკის ეს ხმები ჭორები ეგონა, მაგრამ როცა შეუმოწმებია, მართალი აღმოჩენილა. გაცხარებულ აკაკის სტატია დაუწერია გაბრიელ ეპისკოპოსის წინააღმდეგ, მაგრამ სანამ გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდავდა, მანამ მღვდელმთავარს ეახლა და გააცნო წერილი. წმ. გაბრიელს წაუკითხავს აკაკის სტატია, მოუწონებია აღელვება, ზნეობისა და საქვეყნო საქმეებისათვის ზრუნვა, არც აჩქარებულობისა და თავშეუკავლეობისათვის გაუკიცხავს.⁴⁵ პირიქით დაამშვიდა და განუმარტა, რატომ იქცეოდა ასე: „...ჩვენ ხალხს – უთქვამს მღვდელმთავარს აკაკისათვის – ადრიდგანვე ჩეულებად ჰქონდა, მღვდელმთავრისგან შედობის გამოთხოვა, რჯულის კანონად ჰქონიათ გადაქცეული!.. როცა შენდობას ითხოვს, ცხადია, რომ ის თავის გულში იხედება, სინანულში ვარდება და ეს კარგია... რაც შეეხება სასყიდლის აღებას, ეს ისე აუცილებელ და საჭირო ძღვნად მიაჩნია ჩვენს ხალხს, როგორც ხატის წინ სანთლის ანთება! მის აკრძალვას არ მიიღებს, როგორც ხატის წინ სანთლების ანთების დაშლას. ახლა პრაქტიკულადაც გავსინჯოთ ეს საქმე. ის თითო-ოროლა წვლილი, რომელსაც იძლევიან თავისი სურვილით, ამით არა დააკლდებათ, ბევრი მათგანი სულ ცუდად დახარჯავს წარამარა სადმე დუქანში ღოთობის დროს და მე კი ვაგროვებ და საზოგადო დანიშნულებას ვაძლევ. ამგვარად მათი წვლილის შეგროვება და ხარჯვა შემწირველებისათვისაც მაღლია და ქვეყნისადმისაც სასარგებლო. ამიტომ ვაკეთებ იმას, რაც შენ არ მოგწონებია და განურისხებიხარ – დასძინა თურმე მოძღვარმა. აწი შენ იცი, როგორც გინდა ისე მოიქეცი. გინდა გააზზავნე ეგ სტატია დასაბეჭტად და გინდა არა, შენი ნებაო.“⁴⁵ აკაკიმ მღვდელმთავრის პასუხის შემდეგ აღნიშნული სტატია დახია, მაღლობა შესწირა და მოწიწებით გამოეთხოვა გაბრიელს.⁴⁶

გაბრიელ ეპისკოპოსთან დაკავშირებით იყო მეორე შემთხვევაც, რამაც ძალიან გააღიზიანა აკაკი წერეთელი.

იმერეთის ეპარქიაში გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობის დროს ქუთაისის გუბერნატორი იყო ლევაშოვი (1864-1874). ლევაშოვის ხელშეწყობით იმერეთის ეპარქიაში ეკლესია-მონასტრები გაიძარცვა, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ქართული გაზეთების გარდა ლევაშოვის სამარცხინო საქციელის გამო წერილები გამოქვეყნდა პეტერბურგის გაზეთში „გოლოსი.“ ხმები დადიოდა, რომ თითქოს ლევაშოვმა ეკლესიის სიწმინდეების ძარცვა გაბრიელ ეპისკოპოსის ხელშეწყობით შეძლო. ამ ჭორებს ეპისკოპოსის მტრები ავრცელებდნენ. მეტი დამაჯერებლობისათვის ფაქტად მოჰქონდათ ის, რომ ეპისკოპოსი გაბრიელი ლევაშოვის შვილის ნათლია იყო. გაზეთმა „დროება“ აღნიშნულის შესახებ პუბლიკაცია გამოაქვეყნა. პუბლიკაციის პასუხად ეპისკოპოსმა გაბრიელმა გაზეთ „დროებას“ რუსულ ენაზე დაწერილი წერილი გაუგზავნა. მართლია, გაბრიელის აღნიშნული წერილი გაზეთში არ დაბეჭდილა, მაგრამ აკაკი მას გაზეთის რედაქციაში გასცნობია და ეპისკოპოსის პასუხით უკმაყოფილო დარჩენილა. 1875 წლის აპრილ-მაისში ქუთაისის სიწმინდეთა ძარცვის გამო აკაკიმ მკვახე წერილი მისწერა გაბრიელ ეპისკოპოსს. გამოძიების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ეპისკოპოსს გაბრიელს და მის გარემოცვას არავითარი კავშირი არ ჰქონდათ ლევაშოვთან. ბუნებრივია, რომ აკაკიმ იგრძნო თავისი შეცდომა. სიცოცხლის ბოლომდე მას არ შეუცვლია თავისი გულთბილი დამოკიდებულება ქართველი მღვდელმთავრის მიმართ.⁴⁷

ავდმყოფობის გამო აკაკი ვერ დაესწრო 1896 წელს ქუთაისში გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვას, მაგრამ მღვდელმთავრის წლისთავზე წარმოთქმულ სიტყვაში მან კარგად შეაფასა მისი ღვაწლი. ეპისკოპოსმა გაბრიელმა – აღნიშნავდა იგი – „სიკვდილით სიცოცხლე გაიორკეცა! სიცოცხლე მისი სიხარული იყო ქვეყნისათვის და სიკვდილი სიქადულად გადაიქცა. როგორც მნათობი, რაც უფრო დიდ სიმაღლეზეა, უფრო თვალსაჩინოა ყველასათვის და უფრო შორსაც აწვდენს სხივებს, ისე ეს დაუვიწყარი მოძღვარიც, დღეს სიკვდილით ამალღებული ყველასათვის საერთოდ სათვალდათვალა და ყოველი მხრით თანასწო-

რად ფენს სხივებს, რომლითაც გვინათებს ბნელს აწმომში და იმავე დროს ჩვენს წარსულ მომავალთან აკავშირებს.“⁴⁸

გაბრიელ ეპისკოპოსის გარდა აკაკი წერეთელს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა სხვა ქართველ სასულიერო პირებთან: ალექსანდრე ოქროპირიძესთან, კირიონ საბაგლიშვილთან, კალისტრატე ცინცაძესთან, ლეონიდე ოქროპირიძესთან და სხვებთან. თავის მხრივ ქართველი სამღვდლოება დიდად ფასებდა აკაკის ღვაწლს ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. მის არქივში საინტერესო ეპისტოლარული მდიდარი მემკვიდრეობაა დაცული სასულიერო პირებთან მისი ურთიერთობის შესახებ. ქართველმა სამთვფელოებამ აკაკი წერეთლისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოხატა 1908 წლის დეკემბერში მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებში.

აკაკი წერეთელს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ქართველ კათოლიკე მოღვაწეებთან: რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილთან, ივანე გვარამაძესთან, კათოლიკური გაზეთის რედაქტორთან დომინიკე მულაშაშვილ-პაწაძესთან და სხვებთან. აკაკი წერეთლის თხოვნით ცნობილმა მწიგნობარმა და საზოგადო მოღვაწემ ზაქარია ჭიჭინაძემ საგანგებოდ დაწერა და გამოსცა ახალციხეში მოღვაწე კათოლიკე მღვდლის ივანე გვარამაძის ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. აღსანიშნავია, რომ 1908 წელს სტამბულში არსებულ ქართველ კათოლიკეთა მონასტერში საგანგებოდ აღნიშნეს აკაკის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. იუბილეს დღეებში კი რომიდან მიხეილ თამარაშვილმა და იქაურმა ქართველმა სტუდენტებმა აკაკის საჩუქარი გამოუგზავნეს, უცნობი იტალიელი მხატვრის მიერ შესრულებული ნამუშევარი შოთა რუსთაველი კალამს აკაკი წერეთელს გადასცემს.

ქართველმა სამღვდლოებამ დიდი პატივი მიაგო აკაკი წერეთლის გარდაცვალებას (გარდაიცვალა 1915 წლის 26 იანვარს), დაკრძალვამე იხდიდნენ მისი სულის მოსახსენებელ პანაშვიდებს და სასულიერო პირები მრევლის წინაშე წარმოთქვამდნენ სიტყვებს აკაკის ღვაწლის წარმოსაჩენად.⁴⁹ დაკრძალვის დღეს წესის აგების შემდეგ გარ-

დაცვალებულს სიტყვით მიმართა საქართველოს ეგზარქოსმა პიტირიმ ოკნოვმა (1914-1915), გამოსამშვიდობელი სიტყვები წარმოთქვეს ქართველმა სამღვდელოებამ. აკაკი წერეთლის ხსოვნის უკვდავსამყოფად დაარსდა მისი სახელობის ფონდი. ქართველმა სასულიერო პირებმა აღნიშნულ ფონდში ფულადი სახსრები შეიტანეს.

E. BUBULASHVILI

AKAKI TSERETELI AND SOME ISSUES OF GEORGIAN CHURCH

Revelation of issues of Georgian church history has an important place in creative activity of Akaki Tsereteli. He paid a great attention to defense of church rights of Georgia which was deprived of autocephaly. In his creative work he paid an attention to the results caused by loss of church independence. He was actively involved in autocephalous movement.

In his creative work Akaki Tsereteli strictly exposed church politics of czarism, as he thought that the loss of state system and abolishment of church autocephaly caused heavy results. Russian State exposed one faith believer Georgian people to heavy danger: outraged Georgian clearnesses. In Georgian churches and monasteries Slav convention of liturgy and prayer was legitimated, mentioning days of Georgian Saints were not marked, instead of it, celebrations characteristic of Russian church were increased.

As it is found out, Akaki Tsereteli's interest to ecclesiastical issues, except political reasons, was also stipulated by the fact that he realized his religious demands.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქართული მწერლობა, ტ. 12, თბ., 1996, გვ. 384.
2. იქვე.
3. იქვე.
4. იქვე, გვ. 387.
5. იქვე, გვ. 374-375.
6. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის პირადი ფონდი, №748.
7. ა. მინდიაშვილი, ქრისტიანულ-რელიგიური ნაკადი აკაკის შემოქმედებაში, თბ. 2003.
8. ე. ჭელიძე, აკაკი წერეთლის წმინდანად კანონიზირებასთან დაკავშირებით, თბ., 2010, გვ. 4.
9. ა. წერეთელი, პოემები, ტ. III, ი. გრიშაშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 93.
10. ჯვარი ვაზისა, №5, 1906, გვ. 8-14.
11. ნ. გურგენიძე, ი. გორგაძე, აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე, ბიბლიოგრაფიული ქრონიკა. 1840 – 1915, თბ., 1989, გვ. 435.
12. ჯვარ ვაზისა, №5, 1906, გვ. 14.
13. აკაკი წერეთელი, თხზ. ტ. II, თბ., 1956, გვ. 214.
14. იქვე.
15. იქვე
16. ივერია, 1886, №15.
17. აკაკი წერეთელი, თხზ., V, თბ., 1956, გვ. 292.
18. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, აკაკი წერეთლის პირადი ფონდი, №283.
19. აკაკი წერეთელი, თხზ., V, გვ. 292.
20. იქვე.
21. იქვე, გვ. 293.
22. ნ. გურგენიძე, ი. გორგაძე, აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე, ბიბლიოგრაფიული ქრონიკა. 1840-1915, გვ. 261.
23. აკაკი წერეთელი, თხზ. ტ. II, გვ. 172-173.
24. იქვე.
25. აკაკი ბაქრაძე, ილია და აკაკი, თბ., 1999, გვ. 177.
26. აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. II, გვ. 191.

27. აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. V, თბ.
28. აკაკი წერეთელი, პოემები III, გვ. 572.
29. იქვე.
30. იქვე, გვ. 573.
31. იქვე, გვ. 577.
32. იქვე, გვ. 598.
33. იქვე, გვ. 603.
34. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმი, 2123-ხ, ფურც. 125.
35. იქვე.
36. ლ. ჭრელაშვილი, ერთი უცნობი ლექსის ავტორის ავტორის დადგენისათვის, მნათობი, 1992, №5-6, გვ. 155-156.
37. იქვე.
38. აკაკი ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 180
39. აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XIV, თბ., 1967, გვ. 339, 400-401.
40. აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. IV, თბ., 1941, გვ. 712.
41. თემი, 1913, №130.
42. აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XIV, გვ. 414.
43. აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XII, გვ. 245.
44. იქვე.
45. აკაკი ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.
46. აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XIII, თბ., 1968, გვ. 475; შდრ. ა. ბაქრაძე, აკაკი წერეთელი, ქურნალი „განთიადი“, 1991, №11-12.
47. შ. გოზალიშვილი, აკაკი წერეთლის უცნობი წერილები, მნათობი, 1968, №1, გვ. 23.
48. აკაკი წერეთელი, თხზ., ტ. XIII, გვ. 475, გვ.146.
49. შ. ბარამიძე, აკაკის უკვდავება, რელიგია, 1995, №10-11-12, გვ. 91-101.

ქეთევან დედოფლის წმინდანად აღიარების საკითხი
 ევროპულ წყაროებში
 (კათოლიკურ ეკლესიაში წინდანად შერაცხვის
 პრაქტიკისათვის)

1701 წელს სლოვაკიის ქალაქ სკალიცაში, რომელიც იეზუიტთა ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა, დაიდგა ანონიმი სკალიცელი იეზუიტის პიესა ქეთევან დედოფლის შესახებ სათაურით „კატერინა [ქეთევან], ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემეული, სცენაზე წარმოდგენილი“ (*“Katerina, georgianum regina, proprio sanguine purpurata, theatro data”*, / *“Katerina, královná gurziánská vlastní krvi ozdobená, na divadlo predstavená”*)¹, რომელიც ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის აქამდე უცნობი იყო. ეს ნაწარმოები ე.წ. „სასკოლო პიესათა“ ჟანრს მიეკუთვნება, რომელსაც განსაკუთრებული ზნეობრივ-აღმზრდელობითი ფუნქცია ეკისრებოდა. ანონიმი სკალიცელი იეზუიტის პიესის ტექსტის სინიფსისის პირველი, და როგორც ჩანს, ერთადერთი გამოცემა განხორციელდა ტრნავაში პიესის წარმოდგენის წელს (1701). სინოფსისი ორ ენაზე – სლოვაკიზირებულ ჩეხურსა და ლათინურზე იყო შესრულებული და იგი ბრატისლავის ჰრადის მოხელეს, ვინმე ფრანცისკ ანტონ გიოსინგერს ეძღვნებოდა, რომლის ოჯახსაც პიესის ავტორი „ეპილოგში“ წმინდანს ავედრებს: „ხელოვნების ქალღმერთი, რომელიც ასევე ამზადებს მის ამქვეყნიდან განსვლას, სკოლის გენიას მიმართავს, რომ მადლიერების ნიშნად გიოსინგერების მთელი ოჯახი ცისკენ დიდებული ტრიუმფით მიმავალ წამებულს ჩააბაროს, რათა ამ წამებულმა მარადიული მფარველობა გაუწიოს ამ ოჯახს და ილოცოს მისთვის თავის ციურ დიდებაში, რასაც ის შეისმენს“ [1; 610]. სწორედ სლოვაკურ პიესაში ქეთევანის კათოლიკურ წმინ-

¹ პიესის ტექსტის სრული თარგმანი იხ.: ნაჭყებია მაია, უცნობი სლოვაკური პიესა ქეთევან დედოფლის შესახებ, მაცნე, ელს, თბ., 1992, № 1

დანად მოხსენიების ფაქტმა გამოიწვია ჩემი დაინტერესება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკალიცელი ავტორი მეტად გულმოდგინედ მოეპყრო იმ წყაროებს, რომლებითაც პიესის წერის დროს ისარგებლა და „ისტორიულ წინათქმაში“ მიუთითა ისინი. ეს ორი წყაროა ბისელიუსის² და ოლეარიუსის ნაშრომები: „ასე წერს ბისელიუსი, *Illustres ruinae, Decas IV*, და ოლეარიუსი *De rebus gestis Schach-Abae*, გვ. 645” [1; 605]. როგორც კვლევამ აჩვენა, ქეთევანის კათოლიკობაზე მოქცევის ამბავი სლოვაკ ავტორს ბისელიუსისგან აუღია, სწორედ ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ ზედმიწევნით შემესწავლა ქეთევანის აღმსარებლობასთან დაკავშირებული ევროპული მასალა.

* * *

ქეთევან დედოფლის მიერ მართლმადიდებლური ეკლესიის მიტოვების და კათოლიკობის აღიარების მითი სრულიად კონკრეტულ ისტორიულ-პოლიტიკურ ფონზე აღმოცენდა და მის ავტორებად იმჟამად საქართველოში მისიონის დაარსებით დაინტერესებული, შირაზში მოღვაწე აგვუსტინელი ბერები გვევლინებიან. ეს მითი მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და იგი XVII საუკუნის მანძილზე არაერთმა ევროპელმა მწერალმა და მოგზაურმა გამოიყენა თავის მხატვრულ თუ ისტორიულ თხზულებაში. მაგრამ ვიდრე ამ კონკრეტული საკითხის განხილვაზე გადავიდოდეთ, მცირე ისტორიული ექსკურსი იქნება საჭირო, რომელიც იმდროინდელ საქართველო-ევროპის ურთიერთობის ზოგიერთ ასპექტს შეეხება.

XVII საუკუნეში კათოლიკე მისიონერებისათვის ისევ ხელსაყრელი ხანა დადგა საქართველოში მისიონების დაარ-

² ბისელიუსის წყაროს მივაკვლიე მოსკოვის ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის რარიტეტების განყოფილებაში და მისი ქართული თარგმანი კომენტარით გამოვაქვეყნე კრებულში: ქართული წყაროთმცოდნეობა VIII, „მეცნიერება“, თბ., 1993. ნაჭყებია მაია, მასალები ქეთევან დედოფლისა და საქართველოს შესახებ გერმანელი იეზუიტის იოჰანეს ბისელიუსის ნაშრომში.

სებისათვის [7; 83]; ეს ძირითადად ორი მიზეზით იყო განპირობებული: ერთის მხრივ ქართველ პოლიტიკოსებს სახელმწიფოებრივი აღორძინების ერთადერთ გზად ევროპასთან დაკავშირება ესახებოდათ და ამის განხორციელებას პაპის მეშვეობით ცდილობდნენ, ვინაიდან რომის პაპს ტრადიციულად ჰქონდა მორალურ-პოლიტიკური ძალაუფლება გავლენა მოეხდინა ევროპის სახელმწიფოთა მონარქებზე. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომის პაპის ურბან VIII-ის³ (1623-1644) დიპლომატიის გავლენა მიმდინარე მოვლენებზე მინიმალური იყო, მეორე მხრივ კი, რომის დიდი სურვილი იყო ქართველი ხალხის კათოლიკობაზე მოქცევა, სარწმუნოებრივად მათი რომისათვის დამორჩილება და კათოლიკური სამყაროს ფარგლების გაფართოება. კათოლიკობის გავრცელება საქართველოში კი უკვე მისიონერების საქმე იყო. ამრიგად, ორივე მხარე ერთმანეთით იყო დაინტერესებული.

სწორედ ამ პერიოდში შემუშავდა ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის უზარმაზარი პროექტი – ესპანეთიდან პოლონეთამდე საომარი მზადება მიმდინარეობდა. ამასთან დაკავშირებით პიეტრო დელა ვალე წერს, რომ ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელი ქართველებისათვის ერთმორწმუნე პოლონეთის სამეფოს ფარგლებში მოქცევა სასარგებლო იქნებოდა მაჰმადიანური აგრესიისაგან თავის დასაცავად და იქვე დასძენს: „მაგრამ ისინი დამოუკიდებელი არიან და ჰყავთ თავიანთი კანონიერი მეფე-მთავრე-

³ ურბან VIII, მათეო ბარბერინი დაიბადა 1568 წლის 5 აპრილს ფლორენციაში, თავადურ ოჯახში. წმ. პეტრეს ტახტის დაკავების შემდეგ გამოიჩინა ისეთი ნეპოტიზმი, რომ ყოველსმნახველნიც გააოცა: თავის ნათესავეებს უხვად დაურიგა კარდინალის ტიტულები და მასთან ერთედ ყველაზე შემოსავლიანი თანამდებობები. მისი პონტიფიკატი ოცდაათწლიან ომს დაემთხვა: ამ ომმა სისხლისგან დაცალა ევროპა, მაგრამ პაპის დიპლომატიის გავლენა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ურბან VIII-ის პაპობას იმდროინდელი ევროპის პოლიტიკურ ვითარებაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია, მით უმეტეს, რომ პირადად პაპის მორალური ავტორიტეტი საყოველთაო კრიტიკის საგნად იქცა.

ბი, ამიტომაც არ ეჭაშნიკებათ დაექვემდებარონ უცხოელებს, თუნდაც ერთმორწმუნეთ, რაც ყველა ხალხში აღშფოთებასა და ზიზღს იწვევს” [13; 127-128]. მაგრამ ანტი-ოსმალურ კოალიციაში საქართველოს მონაწილეობა იმთავითვე გამორიცხული იყო ირანის მიერ კახეთის აოსრების გამო და იგი სწორედ ოსმალების დახმარებით ღამობდა ყიზილბაშების განდევნას საქართველოდან.

ეს პროექტი თავისთავად სწორედ იმითაა საინტერესო, რომ მასში ჩანს კათოლიკური სამყაროს დამოკიდებულება საქართველოს მიმართ: საქართველო, როგორც ქრისტიანობის უკიდურესი ფორპოსტი აღმოსავლეთში თავისი მნიშვნელოვანი და უნიკალური გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ევროპას ესახებოდა კვანძად ევროპასა და აზიას შორის.

რომს საქართველოს იდეოლოგიური დაპატრონება სწორედ სარწმუნოებრივი გზით ჰქონდა წარმოდგენილი და ამიტომაც გამოცოცხლდა ასე მისიონერთა მოღვაწეობა საქართველოში XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან. კათოლიკე მოგზაურები და მისიონერები თავის „რელაციებში“ შემდეგს წერდნენ საქართველოს შესახებ: „დელა ვალემ გვაუწყა, რომ (ქართველები) კარგად მომზადებულნი არიან სამოციქულო საყდართან შესაერთებლად” [7; 89], „ქართველებს შორის კათოლიკე სარწმუნოების გავრცელება ძლიერ ადვილ საქმედ მიმაჩნია” [7; 86]. შემდეგ მოგზაური ჩამოთვლის ამ მიზეზებს და ბოლოს დასძენს: „მთელს მსოფლიოში, სადაც კი სარწმუნოების გავრცელება საჭიროა, ხსენებული ქართველების ქვეყანა პირველი უნდა იყოს, ამიტომ მე ყველაზედ უმცირეს სამოციქულო მისიონერთაგანი, სიმდაბლით და დიდის თხოვნით ვავედრებ მას ჩვენს უწმინდეს უფალს პაპს ურბანო მერვეს და პროპაგანდას, რადგანაც ქართველი ერი დიდათ ღირსია სამოციქულო საყდრის მადლისა და წყალობისა ზემოხსენებული მიზეზების გამო, ესე იგი რომ დიდი პატივი აქვთ პეტრესი და პავლესი, რომისა და რომის პაპისა” [7; 86-87].

სწორედ ამ პერიოდში, ასეთი დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე, 1624 წლის 22 სექტემბერს აწამა შაჰ-აბასმა შირაზში ტყვედ მყოფი ქართველი დედოფალი.

ეს ბარბაროსული აქტი მთელ იმდროინდელ ევროპაში გახდა ცნობილი წამების თვითმხილველი ავგუსტინელი ბერების მეშვეობით, რომლებიც დიდი ხანია ოცნებობდნენ საქართველოში მისიონის დაარსებაზე და იმ მითს, იმ ისტორიულ ფიქციას, რომელიც მათ შექმნეს ქეთევანის მიერ კათოლიკობაზე მოქცევის შესახებ, ავგუსტინელი ბერებისათვის გზა უნდა გაეხსნა მათი სანუკვარი ოცნების ასასრულებლად, ანუ საქართველოში მისიონის დასაარსებლად.

შაჰ აბასის მიერ ქეთევან დედოფლის წამების ამბავი უმაღლ გავრცელდა იმდროინდელ ევროპაში და აქამდე ჩვენთვის უკვე ცნობილ ქვეყნებს: პორტუგალიას, იტალიას, გერმანიას, საფრანგეთსა და ინგლისს დღეს კიდევ ერთი ქვეყანა – ყოფილი ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შემავალი პროვინციული სლოვაკიეთიც შეემატა. ამ ფაქტის გავრცელება, ევროპაში ასეთი გახმაურება და დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა: როგორც ჩანს ამის მიზეზი იმ გარემოებაში უნდა ვეძიოთ, რომელიც ქეთევანის წამების აღწერას იმთავითვე თან ახლდა. მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ წამების თვითმხილველის, ამბროზიო დუშ ანჟუშის ნაშრომი „ნამდვილი ცნობები უბრწყინვალესი დედოფლის ქეთევანის, დოპოლის, სახელოვან მოწამებრივ სიკვდილზე სპარსეთის სამეფოს მთავარ ქალაქ შირაზში, შაჰ აბასის ბრძანებით 1624 წლის 22 სექტემბერს დაწერილი ჩვენი მამის, წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერის, ქალაქ შირაზში ხსენებული ორდენის მონასტერში მყოფი მამა, მორჩილი ძმა ამბროზიო დუშ ანჟუშის მიერ“ [5; 26-46] ისეთ ორაზროვან და ბუნდოვან ცნობებს შეიცავს ქეთევანის მიერ კათოლიკობის მიღებასა და მართლმადიდებლური ეკლესიის მიტოვებაზე, რომ არც არის გასაოცარი, ასე სახეშეცვლილი რომ მოედო ეს ფაქტი მთელს ევროპას. ძნელი სათქმელია, ამბროზიო დუშ ანჟუშს ქეთევანისათვის კათოლიკობის მიღება რომ არ მიეწერა, გამოიწვევდა თუ არა მისი მოწამებრივი აღსასრული ასეთ რეზონანსს ევროპაში. ალბათ არა. ევროპისათვის სწორედ ის იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ საქართველო კათოლიკობაზე მოქცეულიყო, ხოლო ქეთევანის მიერ კათოლიკობის მიღება და „ტემპარიტ ეკლესიასთან“ შეერთება –

როგორც ამას საუკუნეების განმავლობაში რომის პაპები მოითხოვდნენ საქართველოს მეფეებისაგან, ვინაიდან პაპები იცვლებოდნენ, პოლიტიკა კი უცვლელი რჩებოდა – ისეთი მომგებიანი საბუთი იყო კათოლიკეების სასარგებლოდ, რომ მისი არგამოყენება კათოლიკეთა მხრივ სრულიად გამორიცხული იყო.

როდესაც ვამბობთ, ქეთევანისათვის კათოლიკობა რომ არ მიეწერათ, შესაძლოა მისი წამების ამბავს ევროპაში ასეთი რეზონანსი არ ჰქონოდა, მხედველობაში გვაქვს იმდროინდელი ევროპის მდგომარეობა, სადაც მაშინ გამძვინვარებული რელიგიური ბრძოლები მიმდინარეობდა კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქეთევანის წამების ამბის გავრცელების ქრონოლოგია და გეოგრაფია ევროპის ქვეყნებში. აქ დავიმოწმებ საუკუნის ყველა იმ ევროპულ წყაროს, რომელნიც დღეისთვისაა ცნობილი, სადაც ქეთევანის ამბავია მოთხრობილი. წყაროები ბევრია, ამიტომ მეტი გარკვეულობისთვის მართებულად მიმაჩნია არსებული მასალის გარკვეული სისტემით დალაგება. ჩემს ხელთ არსებული წყაროები ორ ძირითად ჯგუფად ნაწილდება: I. პირველწყარო და უშუალოდ პირველწყაროდან მიღებული ინფორმაცია და II. ინტერპრეტირებული წყაროები. არსებითად ხელთ სამი პირველწყარო გვაქვს:

1. 1624 წლის 22 სექტემბერს შირაზში შაჰ-აბასმა აწამა ქეთევან დედოფალი. ამ წამების თვითმხილველი და აღმწერი იყო წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერი მამა ამბროზიო დუშ ანჟუში, რომელმაც შირაზში დაწერა 1625 წლის 5 იანვართ დათარიღებული „ნამდვილი ცნობები“ უბრწყინვალესი დედოფლის, ქეთევანის სახელოვან მოწამებრივ სიკვდილზე [5; 26-46].

2. 1625 წლის გაზაფხულზე დომინიკანელ მამა გრეგორიო ორსინის, რომელიც ისპაჰანში იმყოფებოდა და სახმელეთო გზით ბრუნდებოდა რომში, ავგუსტინელმა მისიონერებმა გადასცეს „ნამდვილი ცნობები“ ვატიკანში წასაღებად. ქეთევანის წამების ამბავი მამა გრეგორიო ორსინიმ უშუალოდ თვითმხილველისაგან – მამა ამბროზიო დუშ ანჟუშისაგან შეიტყო [5; 18].

3. 1625 წლის მაისში იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე სპარსეთზე გზად მიმავალი დომინიკანელი ბერისაგან – მამა გრეგორიო ორსინისაგან იგებს ქეთევან დედოფლის წამების ამბავს შაჰ-აბასის მიერ. „ჩვენ ერთმანეთს ბასაოში შევხვდით, წერს პიეტრო დელა ვალე, მან ეს ახალი ამბავი მამცნო და მითხრა, ამის შესახებ წერილიც მაქვსო” [5; 18].

ინტერპრეტირეული წყაროები გაცილებით მეტია და მათი გეოგრაფიაც შეუდარებლად უფრო ვრცელია:

4. 1626 წლის 16 მაისს დაიწერა მართლმადიდებელი ბერძენი ბერის გრეგორიოს „წერილი ქართველთა ხელმწიფის თეიმურაზის დედის წამებისა და ამ შემთხვევის გამო იეზუიტთა იშვიათ ვერაგობაზე“, რომელიც ბერძნულიდან ინგლისურად ითარგმნა და 1633 წელს ოქსფორდში გამოქვეყნდა [11; 163-168].

5. 1628 წლის 20 აგვისტოთა დათარიღებული დონ დე მოსკოს წერილი: „ცნობები თეიმურაზზე და საქართველოზე“, სადაც ქეთევანის წამებაზეც არის ლაპარაკი [14; 249-250].

6. 1635 წელს გამოვიდა ფრანგი ავტორის კლოდ მალენგრის ნაშრომი – „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები“, სადაც ქეთევანის წამების ამბავი საკმაოდ ვრცელადაა მოთხრობილი.

7. 1627-1654 წლებში საქართველოში იმყოფებოდა იტალიელი მოგზაური კრისტოფო დე კასტელი, რომელიც თავის ნაშრომში საქართველოს შესახებ ქეთევანის წამების ამბავსაც შეეხო [8; 214].

8. 1656 წელს დაიბეჭდა გერმანელი დრამატურგის, ანდრეას გრიფიუსის ტრაგედია – „ქეთევან ქართველი, ანუ გაუტეხელი სიმტიცე“ [6; 57-214].

9. 1654-1664 წწ. ამბერში გამოვიდა გერმანელი იეზუიტის იოჰანეს ბისელიუსის ნაშრომი – „Illustres Ruinae“, რომელიც მეორედ 1679 წელს გამოიცა. ეს ნაშრომი მითითებულია სლოვაკი იეზუიტის მიერ, როგორც მისი პიესის ერთ-ერთი წყარო [4; 1060-1065].

10. 1686 წელს ლონდონში პირველად გამოვიდა ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის წიგნი – „შარდენის მოგზა-

ურობა”, რომელმაც 1672-1673 წლებში საქართველოში იმოგზაურა, აქ შეიტყო ქეთევანის წამების ამბავი და შეიტანა თავის წიგნში [15; 306-307].

11. 1701 წელს ანონიმმა სლოვაკმა იეზუიტმა დაწერა პიესა "კატერინა (ქეთევანი), ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული, სცენაზე წარმოდგენილი", რომელიც იმავე წელს იქნა წარმოდგენილი სკალიცის იეზუიტური გიმნაზიის სცენაზე [12; 605-610].

როდესაც ქეთევან დედოფლის კათოლიკედ მოქცევაზე და კათოლიკური ეკლესიის მიერ მისი წმინდანად შერაცხვის პრობლემაზე გვაქვს საუბარი, ერთადერთ საყრდენ და ამოსავალ წერტილად უნდა მივიჩნიოთ ავგუსტინელი ბერის, შირაზში მოღვაწე მისიონერის, მამა ამბროზიო დუშ ანჟუშის „ნამდვილი ცნობები“, რადგანაც ყველა სხვა ცნობა ქეთევანის მოწამებრივი აღსასრულის შესახებ სწორედ „ნამდვილ ცნობებზე“ დაყრდნობით გავრცელდა.

აქ შევეცდები ქეთევანის მიერ მართლმადიდებლობის ვითომც მიტოვებისა და მის მიერ კათოლიკობის აღიარების საკითხი განვიხილოთ უშუალოდ მამა ამბროზიო დუშ ანჟუშის ნაშრომზე – „ნამდვილ ცნობებზე“ – დაყრდნობით, საიდანაც ამოგკრიბეთ ყველა ის ადგილი, რომელიც ამ თვალსაზრისით შეიძლება საინტერესო იყოს:

1. „ჩემთვის ყველაზე დიდი ნუგეში ქეთევან დედოფალთან მისვლა იყო. ვსაუბრობდით მის ხსენაზე, სასულიერო საკითხებზე. ვურჩევდი, განსაცდელში მოთმინება გამოეჩინა, მოვუწოდებდი მას სიმტკიცეს ჩვენი უფლის, ქრისტეს რწმენაში, რაც ტანჯვის ფასად მტკიცედ შეინარჩუნა. ხშირად ვსაუბრობდით კათოლიკურ ეკლესიაზე. ვუყვებოდი რომის პაპის სიღიადეზე, ვუმტკიცებდი, რომ იგი მსოფლიოს ყველა ეკლესიის ნამდვილი მეთაურია. დედოფალი სიხარულით მისმენდა და ჩანდა, რომ ჩემი სმენა დიდ შებებას გვრიდა. მეც მიხაროდა ასეთი მორწმუნის, ჩვენს წმინდა რწმენასთან ესოდენ დაახლოებული ადამიანის ხილვა და ვეთაყვანებოდი მის სათნოებას" (ხაზი აქ და შემდეგ ჩემია – მ. ნ.) [5; 34].

2. „ერთხელ, მარხვის დროს, თავისი მსახურის საშუალებით მთხოვა მივსულიყავი მასთან და მისიანებისაგან

აღსარება მიმელო. ისინი ჩვენს მონასტერში დადიოდნენ წირვის მოსასმენად და სალოცავად” [5; 34].

3. „...ერთ-ერთი მათგანი [რელიქვია – მ. ნ.], ოთხი მტკაველის სიგრძის ხეზე გამოსახული ქალწული მარიამ ღვთისმშობელი გახლდათ. ახლა ამ უნიკალურ რელიქვიას ქრისტიანები დიდად ეთაყვანებიან, რადგან იგი დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის სიმბოლოა” [5; 35].

ეს ცნობები არაფერს გვეუბნება იმის თაობაზე, რომ ქეთევანმა კათოლიკობა მიიღო, სამაგიეროდ ერთი რამაა ნათელი, სახელდობრ ის, რომ დუშ ანჟუში კათოლიკური სარწმუნოების ენერგიულ პროპაგანდას ეწევა: „**ხშირად ვსაუბრობდით კათოლიკურ ეკლესიაზე. ვუყვებოდი რომის პაპის სიღიადებზე, ვუმტკიებდი, რომ იგი მსოფლიოს ყველა ეკლესიის ნამდვილი მეთაურია**”. ეს არც არის გასაკვირი: ავგუსტინელი მისიონერების სასიცოცხლო ინტერესს და მიზანს ხომ საქართველოში მისიონის დაარსება წარმოადგენდა და ამ მიზნისათვის იმ ქვეყნის დედოფლის კათოლიკობაზე მოქცევა, სადაც მათ მიზნად თავისი სარწმუნოების გაერცელება ჰქონდათ, შესანიშნავი პირობა იქნებოდა, რასაც მათთვის უპირატესობა უნდა მიენიჭებინა სხვა ორდენების წინაშე. ეს კი საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი იყო, ვინაიდან ამაზე იყო დამოკიდებული, თუ ვინ მოიკიდებდა ფეხს საქართველოში და დაეპატრონებოდა მას იდეოლოგიურად. რ. გულბენკიანი აღნიშნავს თავის გამოკვლევაში: „როგორც კი დედოფლის სხეულის ნაწილები იგდეს ხელთ, ავგუსტინელებმა გადაწყვიტეს, რომ დადგადრო ძველი განზრახვა აესრულებინათ, განძის ნაწილი საქართველოში წაეღოთ. **მათი აზრით, მისიონის წარმატებას დიდად შეუწყობდა ხელს ის ფაქტი, რომ ვატიკანს ქეთევან დედოფალი რომაული კათოლიკური ეკლესიის წამებულად ეცნო**” [5; 11]. მაგრამ საბოლოოდ რომმა არჩევანი მაინც თეანთელთა ორდენის ბერებზე შეაჩერა, რომელთაც „პაპის ელჩებს” უწოდებდნენ და არა „პორტუგალიის მეფის ელჩებზე”, როგორც სპარსეთში მოღვაწე ავგუსტინელებს უწოდებდნენ.

რაც შეეხება ავგუსტინელების ვერსიას ქეთევანის მიერ კათოლიკობის მიღების შესახებ, მის სიმცდარეს თა-

ვისთავად ის გარემოებაც ადასტურებს, რომ „ნამდვილ ცნობებში“ არ არის აღწერილი უმთავრესი – ქეთევანის კათოლიკობაზე მოქცევის რიტუალი; ამ ფაქტს მართლაც რომ ჰქონოდა ადგილი, მისიონერები მას დეტალურად აღწერდნენ, ვინაიდან ეს მათ უშუალო ინტერესს შეადგენდა. შედარებისათვის საინტერესოა თუნდაც ის, თუ რა დაწვრილებით არის აღწერილი „ნამდვილ ცნობებში“ ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების ძიების ამბავი, უმთავრესზე, ანუ ქეთევანის კათოლიკობაზე მოქცევის ფაქტზე კი – რაც რიტუალს გულისხმობს – სიტყვაც კი არ არის დაძრული.

მამა ამბროზიო დუშ ანჟუშის „ნამდვილი ცნობების“ მეოთხე თავი – „ქეთევან დედოფლის სახელოვანი წამება და მშვენიერი სიკვდილი“ – თავისი არსით აგიოგრაფიული ნაწარმოებია, და ამიტომ მისი ავტორიც, მამა ამბროზიო ქეთევანის აგიოგრაფად გვევლინება. როგორც ცნობილია, აგიოგრაფის მოვალეობა იყო „მოწმედ“ დასდგომოდა ადამიანს, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებას სიცოცხლეს სწირავდა და შემდეგ მისი მარტვილობა აღწერა. აგიოგრაფიას, როგორც ყველა ჟანრს, თავისი კანონები აქვს; აგიოგრაფი, როგორც თვითმხილველი, აღწერდა მხოლოდ იმას, რასაც ხედავდა და იცოდა, ან რაც სხვებისაგან ჰქონდა გაგონილი და ეს ინფორმაცია საიმედო წყაროს წარმოადგენდა. „მარტვილობები“, „ცხოვრებებისაგან“ განსხვავებით, უმეტეს შემთხვევებში უშუალო მოწმეების მიერ იწერებოდა. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამიტომაც მოერიდა ამბროზიო დუშ ანჟუში თავის თხზულებაში ისეთი რამის შეტანას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ქეთევანის წამების შემთხვევაში სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მართლმადიდებელი მოწამის ცხოვრებას კათოლიკე ბერი აღწერს. ზევით უკვე ავღნიშნეთ, რომ ავეუსტინელ ბერებს საქართველოში დასამკვიდრებლად და მისიონის გასახსენელად განსაკუთრებით ხელს აძლევდათ ის, რომ ქეთევანი მათ მიერ ყოფილიყო მოქცეული კათოლიკობაზე.

ახლა კი სწორედ იმ დროს რომის პრაქტიკაში დამკვიდრებულ წმინდანად შერაცხვის რიტუალის საკითხი განვიხილოთ:

უნდა აღინიშნოს, რომ ურბან VIII, რომლსაც 1623-1644 წლებში ეკავა წმინდა პეტრეს ტახტი, განათლებით იურისტი იყო და სწორედ მის სახელს უკავშირდება წმინდანად შერაცხვის ახალი წესების შემუშავება და მიღება [12; 194-195]. XVII საუკუნეში კატეგორიულად აიკრძალა არაკანონიზირებულ წმინდანთა თაყვანისცემა, ანუ ისეთი საკულტო ღონისძიებები, რომლებიც არ იყო სანქციონირებული პირადად პაპის მიერ [3; 162]. ამ და სხვა საინტერესო საკითხებისადმი მიძღვნილი ინგლისელი მეცნიერების ბელისა და ვაინშტეინის წიგნი – „წმინდანები და საზოგადოება“. როგორც გამოკვლევის ავტორები წერენ, პაპ ურბან VIII-ის მიერ დაწესებული კანონიზაციის ოფიციალური პროცედურის თანახმად, ყველა კანდიდატს – გარდა მარტვილისა – უნდა დაეკმაყოფილებინა სამი ძირითადი მოთხოვნა: 1) დოქტრინული სიწმინდე, 2) ჰეროიკული სათნოება (ზნეობრიობა) და 3) სასწაულებრივი მეოხება ანუ შუამდგომლობა სიკვდილის შემდეგ. პირველი პუნქტი, **დოქტრინული სიწმინდე**, იმისკენ იყო მიმართული, რომ წმინდანთა საზოგადოებაში არ მოხვედრილიყო ერეტიკოსი ან ჰეტეროდოქსულად მოაზროვნე ადამიანი და ამიტომ იგი საკმაოდ ხანგრძლივ და რთულ პროცედურას წარმოადგენდა, რათა კათოლიკურ ეკლესიას, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა, რომ მას სულიწმიდა წინამძღოლობს, თავიდან აეცილებინა შესაძლებელი წინააღმდეგობანი და გართულებანი. დოქტრინული სიწმინდის გამოძიება, როგორც ჩანს, XII საუკუნეში, ერეტიკული მოძრაობის ფართოდ გავრცელებასთან ერთად დაიწყო. მეორე მოთხოვნა, ჰეროიკული სათნოება ჩაფიქრებული იყო კეთილსინდისიერი სასწაულთმოქმედის განსასხვავებლად შავი მაგიის მიმდევრისაგან. როგორც ეს თომას აქვინელმა და XIII საუკუნის სხვა თეოლოგებმა დაამუშავეს, არსებობდა შვიდი სიქველე: სამი თეოლოგიური სიქველე – რწმენა, იმედი, სათნოება და ოთხი ძირითადი სიქველე – კეთილგონიერება, ზომიერება, სამართლიანობა და სულის სიძლიერე (მორალური გამბედაობა). ყველა ეს თვისება ერთად წარმოადგენდა სანიმუშო ქრისტიანის ცხოვრებისათვის წაყენებულ მოთხოვნას. მესამე მოთხოვნა, სასწაულებრივი შუამ-

დგომლობა იმის საბუთი იყო, რომ „ღმერთის მსახური“ განისვენებდა ცაში წმინდანთა საზოგადოებაში და შუამდგომლობდა ქრისტეს წინაშე, რათა მას ეპასუხა მიწაზე მყოფთა ლოცვებისათვის [3; 141-142].

შუა საუკუნეების ევროპაში მაინცდამაინც არ სცემდნენ თაყვანს პოლიტიკურ წამებულებს – გამონაკლისს ეპისკოპოსი თომას ბეკეტი წარმოადგენს, რომელიც მეფე ჰენრიხ II-სთან მომხდარი უთანხმოების გამო საკათედრო ტაძრის სამლოცველოში იქნა მოკლული 1170 წლის 29 დეკემბერს. იგი მაშინვე გამოცხადდა მარტვილად და 1173 წელს იქნა კანონიზებული. დაახლოებით ოთხი საუკუნის მანძილზე მისი საფლავი პილიგრიმების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სალოცავი ადგილი იყო მთელ დასავლეთ ევროპაში [2; 317-318], რადგან მაშინ გაცილებით უფრო გავრცელებული იყო სასწაულთმოქმედ მკურნალთა და მისტიკოსთა კულტი, მაგრამ უკვე შუა საუკუნეების ბოლოს, როდესაც ქრისტიანობამ თავისი საზღვრების გაფართოება დაიწყო, მას სარწმუნოებისათვის წამებულები დასჭირდა. როგორც ამ გამოკვლევის ავტორები წერენ, მხოლოდ XVI და XVII საუკუნეებში დაუბრუნდა მარტვილობას ის მნიშვნელობა, რომელიც მას ადრეული ქრისტიანობის დროს ჰქონდა. კათოლიკე მარტვილთა არეალი ახლა ინგლისს და ახალ დაპყრობილ მიწებს მოიცავდა აზიასა და აფრიკაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში. ინგლისში, სადაც ტიუდორები და სტიუარტები ეროვნულ ეკლესიას ხელმძღვანელობდნენ, კათოლიკე ლტოლვილები, ძირითადად იეზუიტები, ფარულად უკან ბრუნდებოდნენ ძველი სარწმუნოების – კათოლიკობის – აღდგენის იმედით, რომელიც წინასწარვე განწირული იყო [3; 161].

როგორც ვხედავთ, მარტვილებს, წმინდანობის სხვა კანდიდატებისაგან განსხვავებით, არ მოეთხოვებოდათ სამი ძირითადი პირობის დაკმაყოფილება კანონიზაციისათვის, ვინაიდან ეს პირობები კათოლიკეთათვის იყო გათვალისწინებული. ქეთევანის შემთხვევაში კი სწორედ მოთხოვნის პირველი პირობა იყო გადამწყვეტი. ეს იყო დოქტრინული სიწმინდე, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კათოლიკური ეკლესიის თანახმად ნიშნავდა იმას, რომ

წმინდანად წარდგენილი კანდიდატი არ იყო ერეტიკოსი, ხოლო 1054 წლის შემდეგ, როდესაც საბოლოო განხეთქილება მოხდა რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიებს შორის [12; 105], მართლმადიდებელ ქრისტიანებს რომის კათოლიკური ეკლესია ერეტიკოსებსა და სქიზმატიკოსებს უწოდებდა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მართლმადიდებელი ქეთევანი კათოლიკურმა რომმა წმინდანად არ შერაცხა მიუხედავად ისპაჰანში მოღვაწე ავგუსტინელების დიდი მონღომებისა. რა თქმა უნდა, ეს სრულიად ბუნებრივია. ამაში ოდნავი ეჭვიც კი არ იქნებოდა შესატანი, რომ არ ყოფილიყო მამა ამბროზიო დუშ ანჟუმის „ნამდვილ ცნობებში“ არსებული ბუნდოვანი განცხადებები, რამაც მათი ტენდენციური ინტერპრეტაცია გამოიწვია ევროპელ ავტორთა თხზულებებში.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებიდან მოყოლებული ქეთევან დედოფლის მიერ კათოლიკობის მიღების ვერსია რამდენიმე ქართველმა მეცნიერმაც გაიზიარა, როგორც ჩანს, ეს ისევ ევროპული წყაროების და მათდამი არაკრიტიკული მიდგომის შედეგია. აქვე უნდა ითქვას, რომ კორნელი კეკელიძე ყოველთვის მტკიცედ და ურყევად ადგა იმ აზრს, რომ ქეთევან დედოფალი ქართველთა ეროვნული წმინდანია და ეს დიდი პიროვნება მართლმადიდებლად აღესრულა. მისი ეს უდავო და მართებული აზრი სხვადასხვა დროს დაწერილ ნაშრომებშია დამოწმებული. გამოკვლევაში „მაკრინეს ლიტერატურული მემკვიდრეობა“ [9; 26-54], ეხება რა ანტონ პირველის მოღვაწეობის დასაწყისს, მკვლევარი ახალიზებს ეპოქას და აღნიშნავს, რომ „საეკლესიო სფეროში ამ დროს შეინიშნება განსაკუთრებული მოძრაობა **ქართული ეროვნული დღესასწაულების მოგვარებისა** და მათთვის შესაფერისი საგალობლების შედგენისათვის. **ხდება გადასინჯვა ქართველ წმინდანთა კალენდრისა და მისი გაცხრილვა სარწმუნოებრივად მიუღებელ პირებისაგან** (1703 წლის მახლობლად) შემდგარ საეკლესიო კრებას **ქეთევანის ხსენება 13 სექტემბერს დაუდვია**“; ნაშრომი „ქართული სტამბის ისტორიიდან მეთვრამეტე საუკუნეში“ [10; 108-115] მკვლევარს ერთ საკითხზე მსჯელობისას გამოტანილი

აკეს დასკვნა: „სარკვევ წიგნში შეტანილია საგალობლები შემდეგი მხოლოდ ქართველი წმინდანებისა: ქეთევან დედოფლის (13 სექტემბერი), სვეტიცხოვლისა (1 ოქტომბერი), წმ. გიორგისა (3 ნოემბერი), კოსტანტი კახისა (10 ნოემბერი), ილარიონ ქართველისა (19 ნოემბერი)“, [10; 109], თუმცა ეს ნაშრომები უშუალოდ ქეთევან დედოფალს არ ეძღვნება და სხვა საკითხთა შესახებაა დაწერილი, მკვლევარის სათანადო დებულებიდან ჩანს, რომ ქეთევანს იგი მხოლოდ ქართველ წმინდანად თვლიდა.

M. NACHKEBIA

**ISSUE OF RECOGNITION THE QUEEN KETEVAN
AS A SAINT BY THE CATHOLIC CHURCH
(For the Practice of Canonization in the Catholic Church)**


The fact that Georgian Martyr – Saint Queen Ketevan was represented as catholic saint in the Slovak school play (1701) attracted my attention and it turned out that the author wrote this based on the source of German Jesuit Iohannes Bisselius.

The fact is that this wrong version was widely spread in the 17th century Europe due to vague information of the Augustinian monk Ambrosio Dos Anjos who was the witness of the Queen Ketevan's martyrdom in Shiraz in 1624 and who described it. This information was included in number of European works of the 17th century. In this respect it is necessary to mention the strict practice of canonization of saints introduced by Urban VIII according to which martyrs were not requested to meet three main requirements as it was envisaged for Catholics and which was decisive in saint Ketevan's case as she was orthodox and never abandoned her face.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Antológia Staršej Slovenskej Literatúry. Katerina, kráľovná gurziánská vlastní krvi ozdobená, na divadlo predstavená. Na vydanie pripravil a poznámky napísal J. Mišianik, SPN, Bratislava, 1981.
2. **Attwater, Donald.** Dictionary of saints, second edition, Penguin Books, 1983.
3. **Bell & Weinstein.** Siant and Society, London, 1927.
4. **BISSELI IOANNIS.** Illustrium, Ab Orbe Conditio, Ruinarum, Decadis IV, Pars II, Permissu Superiorum. Delingae, Formis Academicis, Apud Ignatium Maier. Anno M. CD. LXIIL (1663).
5. **გულბენკიანი რობერტო,** ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ, ფრანგულიდან თარგმნეს ი. ტაბალუამ და ც. ბიბილეიშვილმა, "მეცნიერება", თბ., 1987.
6. **გრიფიუსი ანდრეას,** ქეთევან ქართველი ანუ გაუტყეხელი სიმტკიცე, ტრაგედია ხუთ მოქმედებად, გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოანმა. "საბჭოთა საქართველო," თბ., 1975.
7. **თამარაშვილი მიქაელ.** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილი საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფილისი, 1902.
8. **კასტელი, დონ კრისტოფო დე,** ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. "მეცნიერება", თბ., 1977.
9. **კეკელიძე კორნელი,** მაკრინეს ლიტერატურული მემკვიდრეობა/ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIII, ტომი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანეიშვილმა, "მეცნიერება", თბილისი, 1974.
10. **კეკელიძე კორნელი,** ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თსუ გამომცემლობა, 1955.
11. **კენჭოშვილი ირაკლი,** ინგლისური წიგნი ქეთევან დედოფალზე // მნათობი, 1961/1.

12. **Ковальский, Ян Веруш.** Папы и папствою Изд. политической литературы, Москва, 1991.
13. **ნატროშვილი თამაზ.** წელი ერთი და წელი ათასი, „მერანი“, თბ., 1988.
14. **ტაბაღუა ილია.** საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, (XIII-XXს-ის პირველი მეოთხედი), (1600-1628 წწ.), II, "მეცნიერება", თბილისი, 1986.
15. **შარდენი ჟან,** ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. "მეცნიერება," თბ., 1975.



ელგუჯა მენაბდიშვილი

**სტუდენტი ახალგაზრდების რელიგიისადმი
დამოკიდებულება**

გლობალიზაციამ აქტუალური გახადა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მეცნიერული კვლევა. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ახალ პირობებში ჩამოყალიბებული ადამიანების, კერძოდ სტუდენტი ახალგაზრდობის, მსოფლმხედველობრივი და ღირებულებითი ორიენტაციების შესწავლამ.

სტუდენტების რელიგიისადმი დამოკიდებულებაზე ვიმსჯელებთ სოციოლოგიური გამოკვლევით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. განვიხილავთ ისეთ საკითხებს, როგორცაა: მორწმუნეობა, მოძღვრის ყოლა, რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობა, მარხვების შენახვა, ეკლესიისადმი ნდობის ხარისხი, მოძღვრის ადგილი ყველაზე მეტად სანდო სუბიექტებში, ეკლესია როგორც ადგილი სადაც სტუდენტი თავს ყველაზე კარგად გრძნობს. გადმოვცემთ სტუდენტთა აზრს სარწმუნოებაზე, როგორც ქართველების ერთ-ერთ ყველაზე დიდმნიშვნელოვან ღირებულებაზე.

ინფორმაცია მოვიპოვეთ 2010 წლის მაის – ნოემბერში თბილისის შვიდ უმაღლეს სასწავლებელში ჩატარებული გამოკვლევის შედეგად. რომელიც განხორციელდა ილიას უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარის ლელა მენაბდიშვილის მიერ. რელიგიისადმი დამოკიდებულების შესახებ კითხვების ბლოკი შედგენილია ჩვენს მიერ. სულ დარიგდა 800 კითხვარი. შევსებული კითხვარების რედაქციის შედეგად ვარგისი აღმოჩნდა 776. შევსების არასრულყოფილების გამო 24 კითხვარი დამუშავებისთვის უვარგისი აღმოჩნდა.

გამოკითხული სტუდენტები 17 – 21 წლის ასაკისანი არიან. მათი აბსოლუტური უმრავლესობა პირველკურსელია.

ეკლესიური ცხოვრება. გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (96,4%) განაცხადა, რომ მორწმუნეა. მათ შორის 28,6% ქალია, 71,4% – კაცი. მართლმადიდებელი მორწმუნის ცხოვრების წესის ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია მოძღვრის ყოლა. მოძღვარი რელიგიური სუბიექტია, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს მორწმუნის ცხოვრებაში. მოძღვარი ის პიროვნებაა, ვისი დახმარებითაც მორწმუნე თავისუფლდება მტკივნეული ემოციური და ფიზიკური განცდებისაგან, თავს აღწევს მწუხარებასა და აპათიას, იღებს სულიერ სიმშვიდეს, ენთუზიზმსა და მხიარულებას.

გამოკითხული ერთობლიობის განხილვამ მოძღვრის ყოლის ნიშნით, გვიჩვენა რომ იგი ჰყავს გამოკითხულთა 42,3%-ს. კითხვას არ უპასუხა 0,9%-მა. მათ შორის ვისაც ჰყავს მოძღვარი 43,9% კაცია, 61,7% კი ქალი.

ღვთის მსახურება განამტკიცებს მორწმუნეთა შორის სიყვარულსა და ძმობას. ეკლესიაში სიარულით, ღოცვითა და მარხვით ხდება ყოველი ცუდი ზრახვისა და გულის-თქმის დათრგუნვა, რომელიც გაუჩნდება ადამიანს. რელიგიურ მსახურებაში დასწრების სიხშირითა და მოტივით გამოკითხულები განსხვავდებიან. მეოთხედზე მეტი (25,5%) რელიგიურ მსახურებებს ყოველ კვირა ესწრება. ამდენივე ესწრება თვეში ერთხელ. მხოლოდ რელიგიური დღესასწაულების დროს – 21%. რელიგიურ მსახურებას წელიწადში რამდენჯერმე ესწრება რესპონდენტთა 26,9%. მცირეა იმათი ხვედრითი წილი, რომლებიც რელიგიურ მსახურებას ესწრებიან ჯვრისწერის, ნათლობის და დაკრძალვის დროს. კითხვას არ უპასუხა 1,5%-მა.

რელიგიური ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მარხვების შენახვა. ამ მხრივ გამოკითხული ერთობლიობის ქცევა არ არის ერთგვაროვანი. მათი მეხუთედზე (21,6%) მეტი ყველა მარხვას ინახავს. მხოლოდ ოთხშაბათი პარასკევის მარხვას ინახავს 7,3%, აღდგომის მარხვას – 16,2%, შობის მარხვას – 6,3%, მარიამობის მარხვას – 3,6%, არცერთ მარხვას არ ინახავს გამოკითხულთა 44,7%. კითხვას არ უპასუხა 4%-მა. პასუხების ვარიანტში

„სხვა“ რესპონდენტთა ნაწილმა ასეთი პასუხები ჩაწერა: „ხან რომელს, ხან რომელს“, „შექლებისდაგვარად“, „ხშირ შემთხვევაში“, „ხანდახან“, „ადრე ვინახავდი ახლა არა“.

რელიგიური რწმენა არაა ბიოლოგიური ფენომენი. იგი სოციალური ფენომენია. ადამიანის სოციალიზაცია არაა ერთჯერადი პროცესი. იგი დროში შეუზღუდავად მიმდინარეობს და თვეების, წლების და თვით სიცოცხლის დასასრულამდე გრძელდება. არც რელიგიური რწმენისა და ღირებულებების გაცნობა – გათავისებაა მარტივი და ერთჯერადი სოციალური ქმედებების შედეგი. ჩვენი ცნობიერება, ჩვენი სოციალური გარემო არ მოიაზრება ოჯახის, სკოლის, სამეზობლოს, მეგობარ თანატოლებისა თუ ლიტერატურის, კინოს გმირების გარეშე. იგი არ მოიაზრება თანამედროვე ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებებთან ურთიერთობის გარეშეც. აზრი აქვს გავარკვიოთ სტუდენტებში რელიგიური რწმენის შექმნა – ჩამოყალიბების გარემო. მასზე გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა პასუხმა კითხვაზე „სად შეიძინეთ რელიგიური რწმენა?“ გამოკითხულმა სტუდენტებმა რამდენიმე მათგანი დაასახელა. მათ შორის უმრავლესობამ ოჯახი (68,8%) აღნიშნა. კითხვას არ უპასუხა რესპონდენტთა მეოთხედმა (25,3%). რესპონდენტთა მცირე ნაწილმა რელიგიური რწმენის შექმნის ადგილად დაასახელა სკოლა (9,8%), თანატოლები და მეგობრები (8,25%) და ლიტერატურის, კინოს გმირები (3,5%). როგორც ვხედავთ, რელიგიური რწმენის ჩამოყალიბება რამდენიმე სოციალურ გარემოში ხორციელდება, ოღონდ მათ შორის დომინირებული ადგილი ოჯახს უკავია.

სტუდენტთა ნდობა ძირითადი ინსტიტუტებისადმი. ყოველი წარმატებული საზოგადოების არსებითი მახასიათებელია ნდობის მაღალი ხარისხი ისეთი ძირითადი ინსტიტუტების, ორგანიზაციებისა და სამსახურების მიმართ, როგორცაა განათლება, სასამართლო, პოლიცია, შეიარაღებული ძალები, სახელმწიფო სამსახურები, პროფკავშირები, პარლამენტი და სხვ.

დავინტერესდით ეკლესიისადმი სტუდენტთა ნდობის ხარისხის გარკვევით. კითხვის ფორმამ შესაძლებლობა მოგვცა ეკლესიისადმი სტუდენტთა ნდობა გაგვეანალიზე-

ბინა ქართული საზოგადოების ისეთი სამსახურების, ორგანიზაციების და ინსტიტუტებისადმი გამოვლენილი ნდობის ფონზე, როგორცაა შეიარაღებული ძალები, სასკოლო განათლება, პარლამენტი, სასამართლო, უმაღლესი განათლება, ტელევიზია, პროფკავშირები, სახელმწიფო სამსახურები და პოლიცია. სტუდენტს თითოეული მათგანისადმი ნდობა უნდა გამოეხატა შეთავაზებული ოთხი ვარიანტიდან ერთ-ერთის აღნიშვნით. ვარიანტები იყო: „ძალიან დიდი“, „დიდი“, „საშუალო“ და „არ ვენდობი“. რესპონდენტთა ნდობის არ არსებობის დადგენასთან ერთად შეთავაზებული ვარიანტებით შეგვეძლო ნდობის ხარისხის დონის გარკვევა (ცხრილი №1).

ცხრილი 1

*როგორია თქვენი ნდობის ხარისხი
თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილისადმი*

	ძალიან დიდი	დიდი	საშუალო	არ ვენდობი
ეკლესია	78,84	14,74	5,25	1,15
შეიარაღებული ძალები	9,72	34,29	44,39	11,59
სასკოლო განათლება	7,73	24,23	53,99	12,76
სასამართლო	4,15	16,49	50,91	28,44
უმაღლესი განათლება	20,08	36,04	39,63	4,25
პროფკავშირები	0,95	7,18	52,3	39,56
პარლამენტი	1,82	8,59	51,56	38,02
ტელევიზია	0,65	7,82	53,98	37,65
სახელმწიფო სამსახურები	2,25	17,98	55,02	24,73
პოლიცია	10,02	30,59	45,24	14,14

გამოკითხულ სტუდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხოლოდ ეკლესიისადმი გამოხატა ნდობის მაღალი დონე (მათ შორის 78,84% – „ძალიან დიდი“, 14,74%-მა „დიდი“). ყველა სხვა სამსახურისადმი თუ ორგანიზაციისადმი ნდობის მქონე რესპონდენტთა ხვედრითი წილი დაბალია. მათ შორის უფრო უკეთესი მდგომარეობა აღინიშნება უმაღლესი განათლების, შეიარაღებული ძალების და პოლიციის შემთხვევაში. უმაღლესი განათლებისადმი მაღალი ხარისხის ნდობა გამოხატა სტუდენტთა 56,12%-მა (მათ შორის 20,08% – „ძალიან დიდი“, 36,04% – „დიდი“). შეიარაღებული ძალებისადმი მაღალი ხარისხის ნდობა გამოხატა სტუდენტთა 44,01% მათ შორის „ძალიან დიდი“ – 9,72%-მა, „დიდი“ – 34,29%). პოლიციისადმი ნდობის მაღალი ხარისხი გამოხატა სტუდენტთა 40,01%-მა (მათ შორის „ძალიან დიდი“ – 10,02%, „დიდი“ – 30,59%). რესპონდენტთა მხოლოდ მესამედზე ნაკლებმა გამოხატა ნდობის მაღალი ხარისხი სასკოლო განათლებისადმი (მათ შორის „ძალიან დიდი“ – 7,73%, „დიდი“ – 24,23%). მხოლოდ ერთმა მესამედმა გამოხატა ნდობა სახელმწიფო სამსახურისადმი (მათ შორის „ძალიან დიდი“ – 2,25%, „დიდი“ – 17,98%) და სასამართლოსადმი (მათ შორის „ძალიან დიდი“ – 4,15%, „დიდი“ – 16,49%).

ძალიან მცირეა იმ სტუდენტთა ხვედრითი წილი, რომლებმაც მაღალი ხარისხის ნდობა გამოაცხადეს პარლამენტის (მათ შორის „ძალიან დიდი“ – 1,82%, „დიდი“ – 8,59%), ტელევიზიის („ძალიან დიდი“ – 0,65%, „დიდი“ – 7,82%) და პროფკავშირებისადმი („ძალიან დიდი“ – 0,95%, „დიდი“ – 7,18%).

ნდობის დეფიციტი კიდევ უფრო ნათლად გამოიხატება თუ განხილულ ინსტიტუტებსა და სამსახურებს შევფასებთ მხოლოდ პასუხის ვარიანტით „არ ვენდობი“. არც ერთი მათგანი არ დარჩა ამ პასუხის გარეშე, მაგრამ თუ ეკლესიისა და უმაღლესი განათლების მიმართ პასუხის ეს ვარიანტი აღნიშნა შესაბამისად 1,15% და 4,25%-მა, ბევრად მაღალი იყო შეიარაღებული ძალების (11,59%), სასკოლო განათლების (12, 76%) და პოლიციის შემთხვევაში (14,14%). როგორი მცირეც არ უნდა იყოს „არ ვენდობის“ აღმნიშვნელი სტუდენტთა ხვედრითი წილი, იგი არის მათ მი-

მართ უნდობლობის აშკარა გამოხატულება, რაც მათ ფუნქციობაში ნაკლოვანებებისა და უარყოფითი ტენდენციების აღმოფხვრის აქტუალობაზე მიგვანიშნებს. სტუდენტთა იმდენად მრავალრიცხოვანმა ნაწილმა გამოხატა უნდობლობა სახელმწიფო სამსახურების (24,73%), სასამართლოს (28,44%), ტელევიზიის (37,65%), პარლამენტის (38,02%) და პროფკავშირების (39,56%) მიმართ, რომ ნდობის მათდამი შეცვლა მხოლოდ მიზანმიმართული, მასშტაბური და ძირეული გარდაქმნებითაა შესაძლებელი. ერთადერთი ინსტიტუტი, რომლისადმიც გამოკითხულმა სტუდენტებმა ნდობის მაღალი დონე გამოხატეს აღნოხნდა ეკლესია. რესპონდენტთა მხოლოდ 6,4% -მა გამოხატა მისდამი საშუალო ნდობა და უნდობლობა.

პიროვნული და სექსუალური თავისუფლებისადმი დამოკიდებულება. თანამედროვე მკვლევართა აზრით კულტურული რღვევა, რომელიც ჰყოფს დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს, ეხება პიროვნულ თავისუფლებას სექსუალურ საკითხებში, განქორწინებისადმი დამოკიდებულებას და გენდერულ თანასწორობას. (ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, ანგარიშები, ანალიზი, რეკომენდაციები: ქართული საზოგადოების ღირებულებები 2006, გვ 18)

სექსუალური თავისუფლებისადმი რესპონდენტთა დამოკიდებულებას განვიხილავთ პასუხებით კითხვებზე: „პირადად თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ სექსუალური თავისუფლებისადმი?“ პასუხთა ვარიანტებით: 1. დადებითი, 2. უარყოფითი. „პირადად თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ პიროვნული თავისუფლებისადმი?“ პასუხთა ვარიანტებით: 1. დადებითი. 2. უარყოფითი. „ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ ადამიანმა უნდა იცხოვროს სრული სექსუალური თავისუფლების პრინციპით?“ პასუხების ვარიანტებით: 1. სრულად ვეთანხმები, 2. ნაწილობრივ ვეთანხმები, 3. არ ვეთანხმები, 4. მიჭირს პასუხის გაცემა.

მიღებული მონაცემის ანალიზმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა მეოთხედზე მეტს (25,5%) დადებითი დამოკიდებულება აქვს სექსუალური თავისუფლებისადმი, ხოლო სამ მეოთხედზე ნაკლები (71,25%) აღნიშნავს უარყოფით დამოკიდებულებას. კითხვას არ უპასუხა - 3,22%-მა. უარყოფითი

პოზიციის რესპონდენტებში გოგონები უფო მეტია (79%), ვიდრე ვაჟები (60,55%).

პიროვნული თავისუფლებისადმი რესპონდენტთა დამოკიდებულების შეთხვევაში სხვა ვითარებაა. დადებითი დამოკიდებულება გამოავლინა რესპონდენტთა 95%-მა. უარყოფითი დამოკიდებულება აღნიშნა 2%-მა. ხოლო კითხვას არ უპასუხა 3%-მა. რაც შეეხება რესპონდენტთა სრული სექსუალური თავისუფლების პრინციპით ცხოვრებისადმი დამოკიდებულებას, აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილი (44,3%) მას არ ეთანხმება, მეათედს ოდნავ აღემატება ის რესპონდენტები, რომლებიც მას სრულად ეთანხმება (10,7%), თითქმის მეოთხედი (24,5%) ნაწილობრივ ეთანხმება, ხოლო 12,5%-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა. პასუხთა გადმოცემული სტრუქტურა მიგვანიშნებს რესპონდენტთა არცთუ უმნიშვნელო ნაწილის პოზიციის გაურკვეველობაზე. დამაფიქრებელია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომლებსაც სრული სექსუალური თავისუფლების პრინციპით ცხოვრებისადმი უფრო თანხმობა გამოხატა, ვიდრე უარყოფითი პოზიცია.

გამოკვლევა შასაძლებლობას იძლეოდა გაგვერკვია როგორი დამოკიდებულება აქვს ჩვენ საზოგადოებას ქალწულობის ინსტიტუტის დაცვისადმი. იგი იწონებს, პატივისცემას ავლენს თუ არა იმ ადამიანებისადმი, რომლებიც ქალწულობის ინსტიტუტს იცავენ. მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ჩვენ საზოგადოებაში ქალწულობის ინსტიტუტისადმი არაერთგაროვანი დამოკიდებულებაა. რესპონდენტთა ერთმა ჯგუფმა ეს დამოკიდებულება შეაფასა, როგორც დიდი მოწონება და პატივისცემა (30,6%), მეორემ საშუალო (40,4%) და მესამემ დაბალი (27,8%). ბუნებრივია ასეთი დამოკიდებულება არ შეიძლება ხელს უწყობდეს ჩვენს საზოგადოებაში ქალწულობის ინსტიტუტის დამცველთა გამრავლებას. თუ საზოგადოებაში მხოლოდ დაბალი პრესტიჟი და პატივისცემაა გარანტირებული იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ქალწულობის ინსტიტუტის დაცვის ერთგულნი არიან, იგი შეუძლებელია საზოგადოებაში ცხოვრების ნორმად იქცეს.

გამოკვლევა საშუალებას იძლევა განვიხილოთ ეს საკითხი ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობის გამოცდილების ქონება არ ქონების შესახებ რესპონდენტთა დამოკიდებულების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა დამოკიდებულება განსხვავებულია იმის და მიხედვით თუ რომელი სქესის წარმომადგენელს ეხება ქალს თუ კაცს. რესპონდენტთა 72% ეთანხმება იმ აზრს, რომ ქალს არ უნდა ჰქონდეს სექსუალური ურთიერთობის გამოცდილება. კაცის მიმართ კი პოზიცია განსხვავებულია. 82,8% მიაჩნია, რომ კაცს სექსუალური ურთიერთობის გამოცდილება უნდა ჰქონდეს.

თავს ნებას მივცემთ გამოკითხული ერთობლიობის და კითხვარის განსხვავების მიუხედავად შევადაროთ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ დაფინანსებით ჩატარებული გამოკვლევებისა და ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევის მონაცემები პიროვნების სექსუალური თავისუფლების საკითხზე. იმისდა მიუხედავად, რომ გამოკითხული ერთობლიობა ასაკობრივად, ცხოვრების გამოცდილებითა და სოციალური მახასიათებლებით განსხვავდება, აგრეთვე განსხვავდება პოზიციის გამოვლენის კითხვისა და პასუხის ფორმა, ვფიქრობთ შედარება მაინც შესაძლებელია. მათთან კითხვა ასე იყო ფორმულირებული: „თუ ვინმე იტყვის, რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ სრული სექსუალური თავისუფლებით შეზღუდვის გარეშე უფრო დაეთანხმებით თუ არ დაეთანხმებით?“ პასუხის ვარიანტებია“ 1. უფრო დაეთანხმები, 2. უფრო არ დაეთანხმები, 3. არც ერთი/გააჩნია, 4. არ ვიცი. რესპონდენტთა პასუხები ასე განაწილდა: 50,5% უფრო არ დავეთანხმები, 23,1% – არ ვიცი, 17,7% – უფრო დავეთანხმები, 8,7% – არც ერთი/გააჩნია. როგორც ვხედავთ სექსუალური თავისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოკითხულთა ნახევარზე მცირედ მეტთან აღინიშნა. გამოკითხულთა თითქმის მეექვსედმა კი დადებითი დამოკიდებულება აღნიშნა. გაურკვეველი პოზიციაა თითქმის მეოთხედთან. რაც შეიძლება გამოკითხულთა სოციალური არაერთგვაროვნებით, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურითა და კითხვის ფორმით იყოს გაპირობებული. აღნიშნუ-

ლის მიუხედავად, ფაქტია, რომ ჩვენ მიერ გამოკითხულ სტუდენტებს შორის სექსუალური თავისუფლებისადმი დადებითად დამოკიდებული რესპონდენტების ხვედრითი წილი არც თუ უმნიშვნელოდ აღემატება ფონდის მიერ ჩატარებული გამოკვლევის ანალოგიურ მაჩვენებელს. არის ეს თანამედროვე ელექტრონული ინფორმაციების მზარდი ზეგავლენის შედეგი, რომელსაც „ინფორმაციულ იმპერიალიზმს“ უწოდებენ და ფართოდ ავრცელებს პირველი სამყაროს ქვეყნების კულტურასა და ღირებულებებს, თუ არა ამას შემდგომი გამოკვლევები გვიჩვენებენ.

სტუდენტთა დამოკიდებულება ოჯახისა და ქორწინებისადმი. გამოკითხულ სტუდენტთა დამოკიდებულება ოჯახის შექმნის აუცილებლობის, ქორწინებაში მშობლის თანხმობის აუცილებლობისა და ოჯახის შექმნის ფორმებისადმი ასეთია: რესპონდენტთა მხოლოდ 47.8% მთლიანად იზიარებს იმ აზრს, რომ ყველა ადამიანმა უნდა შექმნას ოჯახი, 11.9% ამ პოზიციას არ იზიარებს, ხოლო 40.2% მხოლოდ ნაწილობრივ იზიარებს. არაერთგვაროვანია სტუდენტთა დამოკიდებულება ქორწინებაში მშობლის თანხმობის აუცილებლობისადმი. მათ ნახევარს იგი აუცილებლად მიაჩნია, თითქმის ამდენივე კი საპირისპირო მოსაზრებაზეა. ოჯახის შექმნის ფორმებიდან რესპონდენტების უმრავლესობა (87.9%) ჯვრისწერას ეთანხმება, თითქმის მეხუთედი სამოქალაქო რეესტრში ქორწინებას, ხოლო 11.5% – თანაცხოვრებას. რესპონდენტების ნაწილმა ერთდროულად რამოდენიმე ფორმაზე მიუთითა.

ასეთია ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი. იგი გვიჩვენებს მხოლოდ მნიშვნელოვან ცვლილებებს ქართული ტრადიციული ოჯახურ – ქორწინებრივი ურთიერთობის ნორმებში, ჩვენი ახალგაზრდების ცნობიერებაში, სულიერ ცხოვრებაში. განსაკუთრებით ეს ეხება სექსუალური თავისუფლების საკითხს და ოჯახურ – ქორწინებით ურთიერთობებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებები. ქართველების ყველაზე მნიშვნელოვანი ათი ღირებულების გამოკვლევის მიზნით ჩვენი ხელმძღვანელობით ჩატარდა რამდენიმე გამოკვლევა. 2003 წელს გამოიკითხა 652 ქართველი.

ისინი ასაკით, სქესით, საქმიანობით სრულიად განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს ეკუთვნოდნენ, 2004 წელს სექტემბერ – ნოემბერში თბილისის მართლმადიდებელი მრევლის 1500 წარმომადგენელი იქნა გამოკითხული. 2010 წელს თბილისის შვიდი უმაღლესი სასწავლებლის 800 – მდე სტუდენტი იქნა გამოკითხული. აღნიშნული გამოკვლევებით მიღებული შედეგები უმნიშვნელო ცვლილებებით ხასიათდებიან. ცვლილებები გამოიხატება რამდენიმე ღირებულების დამსახელებელთა ხვედრითი წილის შეცვლით. იგი გამოვლინდა გამოკითხულთა ნახევარის, ორი მეხუთედის, ერთი მესამედის და ერთი მეოთხედის ფარგლებში.

გამოკითხული 652 ქართველიდან რვა ღირებულება დასახელებული იქნა რესპონდენტთა ნახევარზე მეტის მიერ, ხოლო 1500 რესპონდენტის მიერ დასახელებული ღირებულებებიდან ცხრა იყო აღნიშნული რესპონდენტთა ნახევარზე მეტის მიერ. ასევე რესპონდენტთა ნახევარზე მეტის მიერ იყო დასახელებული ცხრა ღირებულება სტუდენტთა გამოკითხვის დროს.

სამივე გამოკითხვაში გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა ყველაზე მნიშვნელოვან ათ ღირებულებაში დაასახელა „ოჯახი“, „სარწმუნოება“, „სამშობლო“, „პატიოსნება“, „მეგობრობა“ და „ნათესავი“. 1500 რესპონდენტის ათი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებების სიის მიღმა დარჩა „მშობლიური ენა“ და „ფული“. ისინი განხილულ ორ გამოკვლევაში ათეულში შედიოდნენ. სტუდენტთა მიერ დასახელებული ათი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულების სიის მიღმა დარჩა: „განათლება“, „კაცთმოყვარეობა“ და „ქალის პატივისცემა“, ხოლო მათ ყველაზე მნიშვნელოვან ათ ღირებულებაში შევიდა: „თავისუფლება“ და „წინაპარი“. ისინი წინა ორ გამოკვლევაში დასახელებული ათი ღირებულების სიის მიღმა იყვნენ.

ყოველი ადამიანის ცხოვრება ოჯახთანაა დაკავშირებული. როლისა და ფუნქციის მიხედვით ადამიანის ცხოვრება ორ ნაწილად შეიძლება გავეყოთ. ერთი ნაწილი დაბადებიდან იწყება და დამოუკიდებელი ოჯახის შექმნამდე გრძელდება. ამ პერიოდში იგი ოჯახის ერთ-ერთი წევრია. ცხოვრების მეორე პერიოდი ოჯახის შექმნით იწყება და

სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება. ამ პერიოდში იგი ოჯახის შემოქმედია, მომავალი თაობის, შთამომავლობის შემოქმედია. ქორწინებით ის მეუღლესთან ერთად იწყებს იმ მძიმე და საპატიო ტვირთის ზიდვას, რომელიც ხდება მისი ღირსებისა და საზოგადოებრივი პატივისცემის საფუძველი. საზოგადოება ოჯახის შემქმნელი სუბიექტების შეფასებას ახდენს იმ როლების შესრულებით, რომლებსაც მართლმადიდებლობა უწოდებს „ცხოვრების მეგზურსა და შემწეს“ და „თანამეუღლესა და მცველს“.

„ცხოვრების მეგზურად და შემწედ“ და „თანამეუღლედ და მცველად“ ყოფნის საფუძველია ურთიერთსიყვარული და ერთგულება. იგი ქართველების ფუძემდებლური ღირებულებაა. საუკუნეების განმავლობაში ის დაცული იყო ზნე – ჩვეულებებით, ტრადიციით, ყოფითი წესებით, ადათობრივი და რელიგიური სამართლის ნორმებით.

ვფიქრობთ, აღნიშნული ნათელსა და გასაგებს ხდის თუ სამივე გამოკვლევაში გამოკითხულ რესპონდენტთა ყველაზე მრავალრიცხოვანმა ნაწილმა რატომ დაასახელა ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებად „ოჯახი“ (89.2%, 84.5%, 87.1%) და „სარწმუნოება“ (67.3%, 76.8%, 78.7%).

2010 წელს გამოკითხულმა სტუდენტებმა შეთავაზებული ოცდაოთხი ღირებულებიდან ქართველებისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად ოცდაოთხივე დაასახელეს. ოღონდ, დასახელების სისწორით ისინი განსხვავდებიან (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

სტუდენტების მიერ დასახელებული ღირებულებები

ღირებულებები	აბსოლუტური რაოდენობა	დამსახელებელთა ხვედრითი წილი
ოჯახი	676	87.11%
სარწმუნოება	611	78.74%
სამშობლო	568	73.19%
მეგობრობა	521	67.14%
ფული	452	58.25%

თავისუფლება	450	57.99%
პატიოსნება	445	57.34%
წინაპრები	444	57.21%
ნათესავი	397	51.16%
მშობლიური ენა	367	47.29%
ზნე-ჩვეულება	354	45.62%
განათლება	336	43.30%
იუმორი	298	38.40%
ქალის პატივისცემა	290	37.37%
გართობა	289	37.24%
ეროვნული კულტურა	276	35.57%
კაცთმოყვარეობა	200	25.77%
შრომა	151	19.46%
ხელისუფლება	132	17.01%
მეზობლობა	129	16.62%
ხელოვნება	67	8.63%
მრავალშვილიანობა	50	6.44%
კანონი	47	6.05%
მეცნიერება	19	2.45%

ყველაზე მრავალრიცხოვანმა რესპონდენტმა დაასახელა: „ოჯახი“, „სარწმუნოება“ და „სამშობლო“. ყველაზე მცირერიცხოვანმა – „მრავალშვილიანობა“, „კანონი“ და „მეცნიერება“. დასახელების მიხედვით ცხრა ღირებულებამ არჩევანი მიიღო გამოკითხულ რესპონდენტთა ნახევარზე მეტისგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ღირებულებების ერთსულოვანი არჩევანი გააკეთა გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა. აღნიშნული სამი ღირებულების გარდა მათ მიეკუთვნება: „მეგობრობა“, „ფული“, „თავისუფლება“, „პატიოსნება“, „წინაპარი“ და „ნათესავი“. ოღონდ, თუ პირველი ოთხი ღირებულების შემთხვევაში ერთსულოვნება გამოიხატა რესპონდენტთა ორ მესამედზე მეტით, შემდგომი ხუთი ღირებულების შემთხვევაში იგი გამოიხატა რესპონდენტთა 51-59%-ით. შემდეგი სამი საფეხური დაიკავეს ღირებულებებმა, რომლებიც დასახელებულნი იქნენ გამო-

კითხულთა 43-48%-ის მიერ. ეს ღირებულებებია: „მშობლიური ენა“, „ზნეჩვეულება“ და „განათლება“. შემდეგი ოთხი საფეხური დაიკავეს ღირებულებებმა, რომლებიც დაასახელეს რესპონდენტთა 35-39%. ეს ღირებულებებია: „იუმორი“, „ქალის პატივისცემა“, „გართობა“ და „ეროვნული კულტურა“. მომდევნო ოთხი საფეხური დაიკავეს ღირებულებებმა, რომლებიც დასახელდა რესპონდენტთა 16-26% მიერ. ეს ღირებულებებია: „კაცთმოყვარეობა“, „შრომა“, „ხელისუფლება“ და „მეზობლობა“. ბოლო ოთხი საფეხური დაიკავეს ღირებულებებმა, რომლებიც დასახელებული იქნა გამოკითხულთა 2-9% მიერ. ეს ღირებულებებია: „ხელოვნება“, „მრავალშვილიანობა“, „კანონი“ და „მეცნიერება“.

ასეთია გამოკითხული სტუდენტების მიერ აღნიშნული ქართველების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ღირებულებების იერარქია. თუ მას შევფასებთ ერის არსებობა-განვითარების პირობების შექმნის ფუნქციით, ე.ი იმით, თუ რამდენად უწყობს ხელს ერის აქტუალური ამოცანების გადაწყვეტას, მისი შემდგომი პროგრესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ვნახავთ, რომ ისინი ქართველი ერის წინაშე მდგომი ამოცანების არაადეკვატურია. დავკმაყოფილდებით ორი მაგალითით. პირველი, იგი იმ ღირებულებების იგნორირებას, არასათანადო დაფასებას ახდენს, რომელიც ქართველი ერის ბიოლოგიურ, ფიზიკურ არსებობას უზრუნველყოფს. „მრავალშვილიანობა“ მხოლოდ გამოკითხულთა მცირე ნაწილისთვისაა (6.44%) დიდმნიშვნელოვანი ღირებულება, არადა გაეროს, მსოფლიო ექსპერტთა დასკვნით ქართველები მომაკვდავ ერებს მიეკუთვნება. მეორე, „მეცნიერებისთვის“ ბოლო უკანასკნელ ადგილით (2.45%) ფაქტიურად იმის უარყოფა ხდება, რაც თვით მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში. აშშ-ში აღიარებულია ეკონომიკის, ტექნოლოგიების, სოციალური პროგრესის განმსაზღვრელად. აშშ-ს მეცნიერებები (ნ. სმელზერი, ჯ. მასიონისი, ე. გიდენსი და სხვ.) ხაზს უსვამენ მეცნიერების გამორჩეულ როლს ახალი ტექნოლოგიების შექმნაში, ადამიანთა ჯანმრთელობის, სიცოცხლის ხანგრძლივობისა და სოციალური პრობლემების მოხსნაში. „ამერიკელები – აღნიშნავს ნ. სმელზერი, – მეცნიერების

გან მოვლიან ტექნოლოგიური, სამედიცინო და თვით სოციალური პრობლემების გადაწყვეტას.“ (ნუილ სმელზერი, სოციოლოგია, გამომცემლობა „ფენიქსი“ 1994წ. გვ. 64.)

აქამდე ჩატარებულ ორ გამოკვლევაში ღირებულებები განხილული იყო გამოკითხულთა მიერ დასახელების ნიშნით. რესპონდენტი შეთავაზებული 24 ღირებულებიდან ათს გამოჰყოფდა როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს ისე, რომ არ ახდენდა თითოეული აღნიშნულის რანგობრივად დახარისხებას. ათი დასახელებული ღირებულება არ იყო რაიმე რანგის მიხედვით დაყოფილი, დახარისხებული, არადა, ცხადია, თითოეული მათგანი რესპონდენტისათვის ერთნაირი მნიშვნელობის არ იყო. ვცადეთ, რესპონდენტებს მოეხდინათ დასახელებული ათი ღირებულების რანგობრივი შეფასება. ამ მიზნით სტუდენტთა ნაწილს ვთხოვეთ, ღირებულებებისთვის მიეწერათ ქულა (ბალი) ერთიდან ათის ჩათვლით. ყველაზე მნიშვნელოვანისთვის მიეწერათ 10 ქულა, მასზე უფრო ნაკლები მნიშვნელობისთვის 9 ქულა, კიდევ უფრო ნაკლებ მნიშვნელობისთვის 8 ქულა და ა.შ. ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანისათვის კი მიეწერათ 1 ქულა.

ამრიგად, ჩვენს გამოკითხვაში პირველად 216 სტუდენტმა ქართველებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ათი ღირებულების დასახელების გარდა მათი რანგობრივი განლაგება – დახასიათებაც მოახდინა. მათ მიერ ღირებულებების რანგობრივი განლაგება ასეთია: პირველი რანგი მიიღო 11 ღირებულებამ, მეორე რანგი – 13 ღირებულებამ, მესამე რანგი – 13 ღირებულებამ, მეოთხე რანგი – 16 ღირებულებამ, მეხუთე რანგი – 15 ღირებულებამ, მეექვსე რანგი – 18 ღირებულებამ, მეშვიდე რანგი – 17 ღირებულებამ, მერვე რანგი – 16 ღირებულებამ, მეცხრე რანგი – 19 ღირებულებამ, მეათე რანგი – 17 ღირებულებამ.

ახლა განვიხილოთ ცამეტი ღირებულების რანგობრივი დახასიათება:

„სარწმუნოებას“ ათივე საფეხურის ქულა აქვს მინიჭებული რანგის მინიჭებული რესპონდენტების 94.9%-ის მიერ. ისინი არათანაბრად არიან განაწილებული. უმაღლესი ანუ პირველი საფეხურის ქულა მიანიჭა რესპონდენტთა 32.68%-მა, მეორე საფეხურის – 19.51%, სულ პირველი სამი

საფეხურის ქულები მიაკუთვნა 62.44%. პირველი ხუთი საფეხურის ქულები მიაკუთვნა რესპონდენტთა 82.93%, ბოლო ხუთი საფეხურისა – 17.07%, მათ შორის ბოლო სამი საფეხურის – 9.75%. „სარწმუნოებამ“ სულ მიიღო 1578 ქულა.

„ოჯახს“ ათივე საფეხურის ქულა აქვს მინიჭებული. იგი რანგის მიმნიჭებელ რესპონდენტთა 85.65% მიანიჭა. უმაღლესი, ანუ პირველი საფეხური მიაკუთვნა რესპონდენტთა 21.08%, მეორე საფეხური – 18.91%, სულ პირველი სამი საფეხურის ქულები მიაკუთვნეს რესპონდენტთა 57.83%, პირველი ხუთი საფეხურისა 73.51%, ბოლო ხუთი საფეხურის – 26.48%, მათ შორის ბოლო სამი საფეხურის – 13.51%. „ოჯახმა“ სულ მიიღო 1317 ქულა.

„სამშობლომ“ ათივე საფეხურზე ქულა მიიღო რესპონდენტთა 74.54%-სგან. აქ ქულები არც თანაბრად და არც თანამიმდევრულად არაა განაწილებული. პირველი საფეხურის ქულები მიაკუთვნეს რესპონდენტთა 19.25%, მეორე საფეხურის – 31.67%. სულ პირველი სამი საფეხურის ქულები მიაკუთვნეს რესპონდენტთა 63.96%, პირველი ხუთი საფეხურის – 77.02%, ბოლო ხუთი საფეხურის – 22.96%, მათ შორის ბოლო სამი საფეხურის – 9.94%. სულ „სამშობლომ“ 1207 ქულა მიიღო.

„მეგობრობამ“ ათივე საფეხურზე ქულები მიიღო რესპონდენტთა 59.26%-სგან. პირველ საფეხურზე მას ქულა მიანიჭა რესპონდენტთა 1.56%, მეორე საფეხურზე – 2.34%, სულ პირველ სამ საფეხურზე რესპონდენტთა 15.62%, პირველ ხუთ საფეხურზე – 36.72%, ბოლო ხუთ საფეხურზე – 63.28%, მათ შორის ბოლო სამ საფეხურზე – 35.93%. „მეგობრობის“ ღირებულებამ სულ 609 ქულა მიიღო.

„თავისუფლებამ“ ათივე საფეხურზე მიიღო ქულები. იგი მას მიანიჭა რანგის მიმნიჭებელ რესპონდენტთა 58.8%. პირველი საფეხურის ქულა მიაკუთვნა რესპონდენტთა 19.38%, მეორე საფეხურის – 1.57%. პირველი სამი საფეხურის ქულებია 24.41%. პირველი ხუთი საფეხურის ქულები მიანიჭა რესპონდენტთა 48.82%, ბოლო ხუთი საფეხურის ქულები მიანიჭა რესპონდენტთა 51.18%. სულ „თავისუფლების“ ღირებულებამ 692 ქულა მიიღო.

„პატიოსნებას“ ათივე საფეხურზე მიანიჭეს ქულები. მას იგი მიაკუთვნა რანგის მიმნიჭებელ რესპონდენტთა 56.01%. უმაღლესი საფეხური მას რესპონდენტთა 13.22% მიაკუთვნა, მეორე საფეხური კი – 15.7%. პირველი სამი საფეხური მიანიჭა რესპონდენტთა 46.28%, პირველი ხუთი საფეხური – 67.76%. ბოლო ხუთი საფეხური რესპონდენტთა 32.24%. სულ „პატიოსნებამ“, როგორც ღირებულებამ მიიღო 807 ქულა.

„წინაპარს“ ათივე საფეხურზე ქულა მიაკუთვნა რესპონდენტთა ნახევარმა (50.4%). მათ შორის უმაღლესი საფეხური მიაკუთვნა მცირე ნაწილმა (1.83%), მეორე საფეხურზე ქულა რესპონდენტთა ამდენივე ნაწილმა მიაკუთვნა. მესამე საფეხურზე ქულა რესპონდენტთა 11% მიანიჭა. სულ პირველი სამი საფეხურის ქულები რესპონდენტთა 16.67% მიანიჭა, პირველი ხუთი საფეხურის ქულები კი – 32.11%. ბოლო ხუთი საფეხურის ქულები მიაკუთვნა რესპონდენტთა 67.89%, მათ შორის ბოლო სამი საფეხურის ქულები 32.61% შეადგინა. სულ „წინაპარმა“ მიიღო 495 ქულა.

„ზნეჩეულებამ“ ქულები მხოლოდ ცხრა საფეხურზე მიიღო. მესამე საფეხურზე მას ქულები არ მიუღია. მას ქულები მიანიჭა რანგის მიმნიჭებელ რესპონდენტთა 51.85%. პირველ საფეხურზე მას ქულები მიანიჭა 6.25%, მეორე საფეხურზე კი – 8%. სულ პირველი სამი საფეხურის ქულები „ზნეჩეულებამ“ მიიღო რესპონდენტთა 14.28%, პირველი ხუთი საფეხურისა კი – 33.03%. ბოლო ხუთი საფეხურის ქულები ზნეჩეულებას მიანიჭა 66.26%, მათ შორის სულ სამი საფეხურის ქულები შეადგინა 46.38%. სულ მინიჭებული ქულების რაოდენობაა 487.

„განათლებას“ ათივე საფეხურზე ქულა მიანიჭა რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა (56.01%). პირველი, ანუ უმაღლესი საფეხურის ქულა მიაკუთვნა რესპონდენტთა 0.82%, მეორე საფეხურის – 7.44%. სულ პირველი სამი საფეხურის ქულები მიაკუთვნეს რესპონდენტთა 14.87%, პირველი ხუთი საფეხურის ქულები „განათლებას“ რესპონდენტთა მესამედზე ნაკლებმა (32.23%) მიაკუთვნა, ხოლო ბოლო ხუთი საფეხურის ქულები 67.77%, მათ შორის ბოლო სამი საფეხურისა 27.31%. სულ „განათლებას“ ქულებია 532.

„ნათესავს“ რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა (52.78%) ქულა ათივე საფეხურზე მიაკუთვნა. პირველ სამ საფეხურზე ქულების მიმნიჭებელ რესპონდენტთა რაოდენობა თანაბარია. სულ პირველი სამი საფეხურის მიმნიჭებელთა ხვედრითი წილი 10.53%. პირველი ხუთი საფეხური მიანიჭა რესპონდენტთა 39.47%, ხოლო ბოლო ხუთი საფეხური – 60.53%, მათ შორისაა ბოლო სამი საფეხური – 25.44%. სულ „ნათესავს“ მიიღო 506 ქულა.

„მშობლიურმა ენამ“ ათივე საფეხურზე ქულები რესპონდენტთა 49.54%-გან მიიღო. უმაღლესი საფეხური მას მიანიჭა რესპონდენტთა 0.93%, მეორე საფეხური – 6.54%, მესამე საფეხური – 14.01%. პირველ სამ საფეხურზე მან რესპონდენტთა მეხუთედზე მეტისგან მიიღო ქულა (21.48%), პირველ ხუთ საფეხურზე კი – 52.31%. ბოლო ხუთ საფეხურზე მას ქულები მიანიჭა რესპონდენტთა 47.68%, მათ შორის ბოლო სამ საფეხურზე 30.83%. „მშობლიური ენის“ ქულათა რაოდენობამ 566 შეადგინა.

„ფულს“ ქულები ათივე საფეხურზე მიანიჭა რესპონდენტთა ნახევარზე ნაკლებმა. უმაღლეს საფეხურზე მას ქულა მიანიჭა – 25.54%, მეორე საფეხურზე – 12.26%. სულ პირველ სამ საფეხურზე მან ქულები რესპონდენტთა 39.68%-სგან მიიღო. პირველ ხუთ საფეხურზე კი 57.6%. ბოლო ხუთ საფეხურზე ქულები მან რესპონდენტთა 43.4%-სგან მიიღო. ბოლო სამ საფეხურზე კი 28.3%. „ფულის, როგორც ღირებულების ქულათა რაოდენობამ 643 შეადგინა.

„ეროვნულმა კულტურამ“ ქულები ათივე საფეხურზე რესპონდენტთა 44.90%-გან მიიღო. უმაღლესი საფეხურის შესაბამისი ქულები მან მიიღო რანგის მიმნიჭებელ რესპონდენტთა 4.12%-გან. ამდენივე რესპონდენტმა მას მიანიჭა მეორე საფეხურის ქულები. სულ პირველი სამი საფეხურის ქულები მას რესპონდენტთა 18.55% მიანიჭა, ხოლო პირველი ხუთი საფეხურის ქულები – 48.45%. ბოლო ხუთი საფეხურის ქულები მან რესპონდენტთა ნახევარზე მეტისგან (51.54%) მიიღო. სულ „ეროვნულმა კულტურამ“ მიიღო 495 ქულა.

ასეთია 216 რესპონდენტის მიერ ათბალიანი შკალით შეფასებული 24 ღირებულებიდან 13 გადმოცემულის დახა-

სიათება. ჩვენ სხვა ღირებულებები არ გადმოვეცით. დაინტერესებულ მკითხველს სათანადო ინფორმაცია ცხრილებში შეუძლია იხილოს.

ღირებულების დასახელებისა და რანჟირების ასპექტით განხილვამ უფრო სრულად წამოაჩინა თითოეულის მნიშვნელობა. ის საერთო, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი ათი ღირებულების დონეზე მივიღეთ რანჟირების დონეზე მხოლოდ სამი ღირებულების შემთხვევაში, („სამშობლო“, „მრავალშვილიანობა“, „მეცნიერება“) დარჩა უცვლელი. ყველა სხვა შემთხვევაში ღირებულებების ადგილი იერარქიაში დამსახელებელ რესპონდენტთა ხვედრითი წილით, რანგის მიმნიჭებელ რესპონდენტთა ხვედრითი წილით და რანგით მიღებული ქულების (ბალი) ხვედრითი წილით შეიცვალა. ამით უფრო უკეთესი შესაძლებლობა მივიღეთ თითოეული ღირებულების მნიშვნელობის გააზრებისათვის.

განხილულის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის პროცესებმა ელექტრონული ინფორმაციებით უცხო, არაქართული ღირებულებების მოზღვავებამ სტუდენტ ახალგაზრდობაში გააძლიერა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ნდობა და დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

გამოკვლევამ გვიჩვენა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში შემდეგი შესაძლო ცვლილებები და ტენდენციები:

1. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისადმი სტუდენტ ახალგაზრდობის გამორჩეულად მაღალი ნდობა, რელიგიურ მსახურებაში და რიტუალებში მონაწილეობა და ჩართულობა ხელს შეუწყობს ქართული ზნეობრივი ნორმების, წესებისა და ტრადიციებისადმი დადებითი დამოკიდებულების გაძლიერებას, ქართული ყოფის განმტკიცებასა და ეთნიკური მემკვიდრის შენარჩუნებას;

2. ოჯახის შექმნისა და ქორწინების ფორმებისადმი დამოკიდებულება, აგრეთვე პიროვნული და თავისუფალი სექსუალური ურთიერთობის პრინციპებისადმი დამოკიდებულება ახალგაზრდების ცხოვრებაში ლიბერალური დამოკიდებულების გაძლიერების მაუწყებელია;

3. ქართველების ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებების იერქარქია გვიჩვენებს, რომ მაინტეგრირებელი ფუნქციის შესრულების მაღალი დონით ისინი შეიძლება ოთხ ჯგუფად დაყვით. ერთ ჯგუფს შეადგენენ ღირებულებები („ოჯახი“, „სარწმუნოება“, „სამშობლო“ და „მეგობრობა“), რომლებიც გამაერთიანებლები არიან გამოკითხულთა ორი მესამედიდან ცხრა მეთედამდე ნაწილში. მეორე ჯგუფს ქმნიან ღირებულებები („ფული“, „თავისუფლება“, „პატიოსნება“, „წინაპრები“, „ნათესავი“), რომლებიც მაინტეგრირებელ როლს ასრულებენ გამოკითხულთა ნახევარზე მეტში. მესამე ჯგუფში არიან ღირებულებები, რომლებიც ამავე ფუნქციას ასრულებენ გამოკითხულთა 43-47%-ში. ეს ღირებულებებია: „განათლება“, „ზნეჩვეულება“ და „მშობლიური ენა“. მეოთხე ჯგუფი შეადგინა ღირებულებებმა („იუმორი“, „ქალის პატივისცემა“, „ეროვნული კულტურა“), რომლებიც ამავე ფუნქციას ასრულებენ გამოკითხულთა 35-38%-ში;

4. რესპონდენტთა მცირე ნაწილის – მეხუთედზე ნაკლების – მიერ ღირებულებების „კანონი“, „შრომა“ არჩევა აუცილებლად შეაფერხებს ქართულ საზოგადოებაში კანონიერების დამკვიდრებას, ეკონომიკის განვითარებას, ხოლო ღირებულებების – „ხელოვნება“, „მრავალშეილიანობისა“ და „მეცნიერების“ აღმნიშვნელთა სიმცირე მხოლოდ შეკვეცილი აღწარმოების კიდევ უფრო გაძლიერების, ახალი ტექნოლოგიების დამკვიდრების და ქართული ხელოვნების განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორად წარმოსდგება.

ცხრილი 3

ღირებულებების რანგობრივი ქულები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
სარწმუნოება	670	360	168	154	120	40	28	21	8	9	1578
ოჯახი	390	315	264	91	96	55	60	24	14	8	1317
სამშობლო	310	459	168	91	48	55	40	18	16	2	1207

მეგობარი	20	27	120	105	72	100	60	69	26	10	6091
თავისუფ- ლება	170	18	112	154	42	60	52	42	32	10	692
პატიოს- ნება	160	171	168	91	78	55	44	27	10	3	807
ნათესავი	40	36	32	77	132	105	44	27	10	3	506
ზნე- წყველება	70	81	–	91	48	55	76	42	18	6	487
განათლება	10	81	64	56	78	80	60	45	42	16	532
ფული	260	117	16	70	54	40	32	18	24	12	643
წინაპარი	20	18	96	70	54	70	76	60	20	11	495
მშობლიური ენა	10	63	120	147	72	55	28	39	24	8	566
ეროვნულ- კულტურა	40	36	80	98	90	50	44	30	16	11	495
ქალის პატივისცემა	–	9	–	28	30	55	44	33	16	19	234
გართობა	30	108	48	21	24	40	12	6	18	17	321
იუმორი	10	9	48	21	36	25	16	33	24	13	235
შრომა	–	18	8	14	–	25	28	42	22	16	173
კაცთმოყ- ვარება	–	54	48	35	42	45	4	24	10	8	270
კანონი	–	–	40	21	30	26	32	3	4	3	159
ხელისუფ- ლება	20	9	32	14	–	20	24	6	8	5	138
მეზობელი	–	–	–	35	18	–	16	9	10	4	92
მრავალ- შვილიანობა	–	–	–	–	16	5	12	9	10	–	52
ხელოვნება	10	–	–	7	12	5	4	3	4	3	48
მეცნიერება	–	–	–	–	18	–	8	6	6	1	39

ღირებულებების განაწილება რანგის მიმნიჭებელთა
ხვედრითი წილითა და მიღებული ქულებით

	რანგის მიმნიჭებელ რესპონდენტთა ხვედრითი წილი	რანჟირებით მიღებული ქულა
სარწმუნოება	93.60	1578
ოჯახი	85.65	1317
სამშობლო	74.54	1207
მეგობარი	59.26	609
თავისუფლება	58.79	692
პატიოსნება	56.02	807
განათლება	56.02	532
ნათესავი	52.78	506
ზნე-ჩვეულება	51.85	487
წინაპარი	50.46	495
მშობლირი ენა	49.54	566
ფული	49.07	643
ეროვნული კულტურა	44.91	495
ქალის პატივისცემა	31.94	234
გართობა	29.63	321
იუმორი	28.70	235
შრომა	26.85	173
კაცთმოყვარეობა	25.46	270
კანონი	14.81	159
ხელისუფლება	13.89	138
მეზობელი	11.11	92
მრავალშვილიანობა	9.26	52
ხელოვნება	5.55	48
მეცნიერება	5.09	39

რანგობრივად გამანაწილებელ რესპონდენტთა ხვედრითი წილი

ლიტერატურა/რანგი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
სარწმუნოება	32.68	19.51	10.24	10.71	9.75	2.93	3.41	3.41	1.95	4.39	94.9
ოჯახი	21.08	18.91	17.84	2.03	8.65	5.94	8.10	4.32	3.78	4.32	85.65
სამშობლო	19.25	31.67	13.04	8.07	4.97	6.83	6.21	3.73	4.97	1.24	74.54
შეცობარი	1.56	2.34	11.72	11.72	9.37	15.62	11.72	17.97	10.15	7.81	59.26
თავისუფლება	13.38	1.57	11.02	17.32	5.51	9.45	10.23	11.02	12.6	7.87	58.8
პატიოსნება	13.22	15.70	17.35	10.54	10.74	9.09	9.09	7.44	4.13	2.48	56.4
ნათესავი	3.51	3.51	3.51	9.65	19.3	18.42	16.66	12.28	7.9	5.26	52.77
ზნეგვილება	6.25	8.03	-	11.61	7.14	9.82	10.71	13.39	18.75	14.28	51.85
განათლება	0.82	7.44	6.61	6.61	10.74	13.22	16.53	10.74	17.35	9.22	56.01
ფული	25.54	12.26	1.88	9.43	8.49	7.55	7.55	5.66	11.32	11.32	49.07
წინაპარი	1.83	1.83	11	9.17	8.25	12.84	17.43	18.35	9.17	10.09	50.46
მშობლიური ენა	0.93	6.54	14.01	19.62	11.21	10.28	6.54	12.15	11.21	7.47	49.59
ქრონოლოგი	4.12	4.12	10.31	14.43	15.46	10.31	11.34	10.30	8.24	11.34	44.90
კულტურა											

ქალის პატივისცემა	–	1.45	–	5.79	7.24	15.94	15.94	15.94	10.14	–	31.94
გართობა	4.68	18.75	9.37	4.68	6.25	12.5	4.68	3.12	14.06	–	29.62
ოქმორი	1.61	1.61	9.67	4.83	9.67	8.06	6.45	17.74	19.35	–	62
შრომა	–	3.44	1.72	3.44	–	8.62	12.06	24.13	18.96	–	26.85
კაცთშეუკავრეობა	–	10.9	10.9	9.02	12.72	16.36	1.81	14.54	9.09	–	25.46
კანონი	–	–	15.62	9.37	15.62	15.62	25	3.12	6.25	–	14.81
სეღისსუფლკება	6.86	3.33	13.33	6.66	–	13.33	20	6.66	13.33	–	13.9
მეზობელი	–	–	–	20.83	12.5	–	16.66	12.5	20.83	–	11.11
მრავალშეიღიანობა	–	–	–	–	40	5	15	15	25	–	9.26
სეღლოენება	8.33	–	–	8.33	16.66	8.33	8.33	8.33	16.66	–	5.55
მეცნიერება	–	–	–	–	27.27	–	18.18	18.18	17.22	–	5.99

STUDENTS' ATTITUDES TOWARDS THE RELIGION

The process of Globalization has made the research of the Weltanschauung and value orientations of the Youth especially current. Our aim was to study the attitudes of students towards Religion. In 2010, 800 students of universities and higher education institutes were inquired. The results of the research were the following:


The majority of the respondents (96,4%), considered themselves to be religious. 42% of the respondents have a father confessor. Attending of the church-service and keeping fast and Lent is not homogeneous in our subjects. Majority of them became introduced with religion in families (68%), though some of the respondents were influenced by the school and their mates. The absolute majority of the respondents showed the high quality of trust towards the church institution. It appeared that the students trust less the armed forces, the police, court, high education, school education, state offices, television and professional unions.

The students showed the positive attitude towards independency and negative towards the sexual freedom. Their attitude towards marriage is not homogenous. Approximately a half of them think that it is necessary for everybody to be married. Only a small part of the respondents do not consider necessary to start a family. For a half of the students consent of their parents is of a paramount importance.

More than a half of those being inquired think the main values of the Georgians are: "Family", "Confession", "Mother-Land", "Friendship", "Money", "Freedom", "Honesty", "Ancestors", and "Relatives". A small part of the respondents thinks those values are: "Art", "Many Children Family", "Law", and "Science".

Importance of the values being named by the students for the solution of the current and hot for the nation problems and tasks needs thorough examination and analyses. It is natural, that establishing of the legality and economy development cannot supposedly be promoted if the values like "Law" and "Labor" are not considered important and significant. Highly unlikely, the social economy and cultural progress be supported by the nation giving the last place to "Science", as well as it is unbelievable the nation physically survives, if only the insignificant part of the generation, being in the reproductive age considers the highest priority the notion Many Children Family".

საისტორიო გეობრაფია



პაპუნა ბაბისონია

წალენჯიხის რაიონის ისტორიული გეობრაფიიდან

სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს წალენჯიხის რაიონი, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთით ზუგდიდის რაიონი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით ჩხოროწყუს რაიონი ესაზღვრება. დასავლეთით მას გაღის რაიონი საზღვრავს, ჩრდილოეთით კი მესტიის რაიონი. საკუთვრივ რაიონული ცენტრი – წალენჯიხა თბილისიდან 343 კმ-ით არის დაშორებული და ზღვის დონიდან 222 მეტრზეა გაშენებული. ქალაქ ზუგდიდიდან წალენჯიხას 25 კმ-ი აშორებს, რომელთანაც მას ზემო სამეგრელოში მიმავალი გზატკეცილი აკავშირებს. სარკინიგზო ხაზი წალენჯიხის რაიონში შემავალ დაბა ჯვარამდე მიდის. წალენჯიხასა და ჯვარს შორის მანძილი 16 კმ-ია.

წალენჯიხის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში რელიეფი მთიანია, სამხრეთით ვიწრო პლატოსებრი, გორაკ-ბორცოვანი ვაკეა. მთიანი ნაწილი მოიცავს ეგრისის და კოდორის ქედების სახრეთ შტოქედებს და ღრმა ხეობებს. ეგრისის ქედზე აღმართულია რამდენიმე მწვერვალი, რომელთა სიმაღლე 3 ათას მეტრს აღემატება. მათ შორის უდიდესია ლაკუმურაშ დუდი (ლაკუმურას თავი) – 3111 მეტრი ზღვის დონიდან. ეს მთიანი ნაწილი დასერილია ენგურისა და ჭანისწყლის მრავალრიცხოვანი შენაკადების ღრმა ხეობებით. მთავარი მდინარეა ენგური, რომელიც რაიონში საკმაოდ დიდ მანძილზე მოედინება. მისი მარჯვენა შენაკადებიდან აღსანიშნავია ჩხინა, ეცი, ოლორი. ხოლო მარცხენა შენაკადებია: ხუბერი, მაგანა. რაიონის აღმოსავლეთ მხარეს მიედინება ჭანისწყალი, რომლის ორივე მხარეს არის წალენჯიხა გაშენებული. მისი შენაკადებია: ინწრა, სკურდილი... ამ რაიონშია მდინარე ჯუმის და ოჩხომურის ზემო

დინება. ტბებიდან აღსანიშნავია ალპიური ტბა ტობა ვარ-
ჩხილი, რომელიც ეგრისის ქედზე მდებარეობს. წალენჯი-
ხის რაიონი, განსაკუთრებით ჩრდილოეთი ნაწილი, ტყის
საფარით მდიდარია.

XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული 1930
წლამდე წალენჯიხა ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზ-
რაში შედიოდა (1924 წელს წალენჯიხა მცირე ხნით რაიონ-
ნად გამოცხადდა). 1930 წელს ის ცალკე რაიონი გახდა.
1963 წელს ზუგდიდის რაიონს მიუერთეს, ხოლო ერთი
წლის შემდეგ კვლავ გამოყვეს. დღეისთვის წალენჯიხა სა-
მეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შემავალი ერთერთი
რაიონია.

წალენჯიხის ცენტრიდან ორი კმ-ს დაშორებით, ჭა-
ნისწყლის მარცხენა მხარეს, მაღალ ბორცვზე აღმართუ-
ლია შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო არქიტექტუ-
რის შესანიშნავი ძეგლი – მაცხოვრის ფერისცვალების ეკ-
ლესია, ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებით „...გუმბათიანი,
დიდშენობა, შუენიერი, კეთილს ადვილს“ (1, 778). ტაძარი
ცენტრალურ ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა და წახნაგოვა-
ნი გუმბათი სიმაღლით ეკლესიის სიდიდესთან არის შეხა-
მებული. თითოეულ წახნაგში გრძელი და ვიწრო სარკმე-
ლია დატანებული. ტაძარი სამ საფეხურიან საძირკველზე
დგას და კარგად თლილი თეთრი ქვის კვადრებით არის
მოპირკეთებული. კარები დასავლეთის, სამხრეთის და
ჩრდილოეთის მხარესაა დატანებული, ხოლო აღმოსავლეთ-
ით საკურთხეველია მოწყობილი. XIV საუკუნეში ეკლესი-
ას ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრიდან ღია სვეტე-
ბიანი გალერეები მიაშენეს, მოგვიანებით მათი ნაწილი და-
დიანთა სამარხ ეკვდრებად გადააკეთეს. ტაძრის კარ-სარ-
კმელებს ჩუქურთმები აღარ ამშვენებს და ფასადებიც სრუ-
ლიად სადაა. სამაგიეროდ მაცხოვრის ეკლესია შიგნიდან
ფრესკებით მდიდრულად არის შემკული ქართული და
ბერძნული წარწერებით. XIV საუკუნეში სამეგრელოს ერთ-
თავთ-ერისთავის ვამეყ I დადიანის (1384- 1396) ბრძანებით
წალენჯიხელმა ბერ-მონაზვნებმა: ანდრონიკე გაბისულავამ
და მახარობელ ქვაბალიამ კონსტანტინოპოლიდან მხატვა-
რი კირ მანუელ ეუგენიკოსი ჩამოიყვანეს, რომელმაც მოხა-

ტა ტაძარი. ამის შესახებ ქართულ და ბერძნულ ენოვანი წარწერები გამცნობს (2, 211-212; 3, 95).

წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის აშენების თარიღის შესახებ საისტორიო წყაროებში ცნობა არ მოგვეპოვება და არც ტაძარს გააჩნია სამშენებლო წარწერა. 1913 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა სამეგრელოში მოგზაურობის დროს ეს ეკლესიაც მონახულა და X-XI საუკუნეებში აშენებულად მიიჩნია (2, 210). საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის საპასპორტო მონაცემებით ტაძარი XII-XIII საუკუნეებით არის დათარიღებული (4).

ეკლესიას გარს გრძელი გალავანი აქვს შემოვლებული. რომელიც თავდაპირველად თლილი ქვით იყო ნაშენი, მაგრამ შემდგომ დაქცეულა. XIX საუკუნის დამდეგს მის ნანგრევებზე უბრალო რიყის ქვის გალავანი აუგიათ (5, 4; 6, 293). ჩრდილო-დასავლეთ მხარეს გვიანი შუა საუკუნეების ორსართულიანი სამრეკლოა აღმართული, რომლის ქვედა ნაწილში ეკლესიის ეზოში შესასვლელი კარიბჭეა დატანებული, ხოლო მეორე სართულს ღია თაღოვანი გადახურვა აქვს.

ტაძრის დასავლეთით 40-45 მეტრის სიგრძის გვირაბი იყო გაყვანილი, რომელიც დაზიანებული სახით დღემდე შემორჩა. დასავლეთ მხარესვე დადიანთა სასახლის ნანგრევებია შემორჩენილი, რომლის ქვედა სართული ქვის სვეტებზე იდგა და თაღოვანი იყო (დღეისთვის ნაწილობრივ არის რესტავირებული). ზედა სართული საფიქრებელია, რომ ხის იყო. სამხრეთ მხარეს გალავანს მიდგმული აქვს მოზრდილი კოშკი, რომელიც სანახევროდ ჩამოშლილია.

შუა საუკუნეებში წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია მონასტერი იყო და დასავლეთ საქართველოში ერთერთ მნიშვნელოვან სასულიერო კერად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, წალენჯიხაში ადრეული ხანის სამონასტრო ცხოვრების შესახებ საისტორიო წყაროებში ცნობები არ მოგვეპოვება. მხოლოდ XIV საუკუნის ზემოთ ნახსენები ბერების: ანდრონიკე გაბისულავას და მახარობელ ქვაბაღლიას ვინაობა ვიცით.

XVI საუკუნის II ნახევრიდან საისტორიო წყაროებში წალენჯიხის მონასტრის წინამძღვრები იხსენიებიან. „ცაი-

შის გულანის” სახელით ცნობილ ხელნაწერის მინაწერში მათეოზ წინამძღვარია მოხსენიებული. ეს უამნ-გულანი თავდაპირველად წალენჯიხის მონასტრის საკუთრება იყო და მოგვიანებით, XVIII საუკუნეში მოხდა ცაიშის ეკლესიაში (7, 53). მათეოზ წინამძღვარი მონასტერს დაახლოებით XVI საუკუნის II საუკუნეში განაგებდა. XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე წინამძღვრად ელისე ჯაფარიძე იხსენიება. 1613 წლიდან 1628-1630 წლამდე მონასტერს ზებედე წინამძღვარი ედგა სათავეში. მის შემდეგ წალენჯიხის მონასტრის წინამძღვარია იოანე (9, 31-32).

XVII საუკუნის 40-იან წლების დასაწყისში სამეგრელოს მთავარ ლევან II-ის (1611-1657) გადაწყვეტილებით წალენჯიხაში საეპისკოპოსო კათედრა დაფუძნდა. საეპისკოპოსოს დასაველეთი მიჯნა მდინარე ენგური, ხოლო აღმოსავლეთით მდინარე ხობისწყალი იყო. სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მას ცაიშის საეპისკოპოსო ესაზღვრებოდა, ხოლო ჩრდილოეთით წალენჯიხის საეპისკოპოსოს საზღვარი სამეგრელოს (ეგრისის) ქედამდე აღწევდა (9, 32). საისტორიო წყაროებში წალენჯიხის პირველ ეპისკოპოსად მიტროფანე ალავერდელი ეპისკოპოსი ჩანს (10, 185,187). მაგრამ მისი ამ საეკლესიო თანამდებობაზე მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა და უკვე 1643 წლიდან დაახლოებით 1655 წლამდე წალენჯიხის ეპისკოპოსი დრანდელყოფილი ევდემონ ჯაიანია. მის შემდეგ საეპისკოპოსოს ილარიონ წალენჯიხელი განაგებდა დაახლოებით XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე. ამავე საუკუნის 70-80-იან წლებში წალენჯიხელი ეპისკოპოსია ქრისტეფორე. ჩვენი მოსაზრებით ეს უნდა იყოს ბოლო მღვდელმთავარი და მის მერე, XVII საუკუნის მიწურულისთვის წალენჯიხის საეპისკოპოსოს არსებობა უნდა შეეწყვიტა. საეპისკოპოსოს პარალელურად მონასტერიც აგრძელებდა არსებობას. 1648 წლისთვის მონასტრის წინამძღვრობა ეკავა მაქსიმე მეღიაძეს. XVII საუკუნის 60-70-იან წლებში წინამძღვარია სვიმონ ჭილაძე. 1700 წლის ახლო ხანაში სახელის გარეშე იხსენიება წალენჯიხელი წინამძღვარი. ამის შემდეგ საისტორიო წყაროებში წალენჯიხის მონასტრის წინამძღვარი პეტრიძე XIX საუკუნის II ნახეარში გვხვდება (9, 32-34).

1665 წელს წალენჯიხის მონასტერს საქართველოში მყოფი ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი ესტუმრა. ის აქ რამდენიმე ხნით დარჩა და საქართველოს შესახებ შთაბეჭდილებები დაწერა. საინტერესოა ის, რომ მაკარიოსი წალენჯიხის მონასტერს ჭანისწყლის მონასტრად იხსენიებს (8, 123).

წალენჯიხის ეკლესიაშია დაკრძალული სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი. მის საფლავს კონსტანტინოპოლიდან საგანგებოდ ჩამოტანილი მარმარილოს ქვა ადევს სათანადო წარწერით. აქვეა სამთავრო სახლისა და გვერდითი შტოს წვერთა სამარხებიც.

წალენჯიხის ცენტრიდან 5 კმ-ს დაშორებით, მაზანდარას დასახლებაში, ადგილ კაცხარაში, შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრის ნანგრევებია შემორჩენილი, რომელსაც ადგილობრივები „ნაჯიხარს“ ანუ ნაციხარს ეძახიან. ის მდინარე ჭანისწყლის და ინწრას შესართავთან, კონცხზე მდებარეობს. ციხე-სიმაგრე მდინარის ქვით იყო აშენებული აშენებული და მის ცენტრალურ ადგილას კოშკი იდგა. გალავნის შემორჩენილ ნაწილს სათოფურები გააჩნია, შესაბამისად ეს ციხე-სიმაგრე გვიან შუა საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. აქ გასული საუკუნის 20-30-იან წლებში მრავლად აღმოუჩენიათ საომარი იარაღები (11, 181).

წალენჯიხაშივე შემორჩენილია კიდევ ერთი შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრის ნაშთი. ციხე იდგა შემადლებულ ქედზე, მისი გალავანი ნანგრევების სახით არის შემორჩენილი და საკმაოდ დიდ ფართობს მოიცავს. სამშენებლო მასალად სხვადასხვა ზომის რიყის ქვას გამოყენებული. სიმაგრის კედლებში სათოფურებია დატანებული და ეს სიმაგრეც ჩვენში ცვეცხსასრული იარაღის გაჩენის შემდგომ უნდა იყოს აშენებული. ციხეს მისასვლელი ჩრდილო-აღმოსავლეთ მხრიდან აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საისტორიო წყაროებში წალენჯიხის ეკლესიაზე და საეპისკოპოსოზე ცნობები მოგვეპოვება, ამ ციხე-სიმაგრეების შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გავაჩნია.

წალენჯიხიდან 12 კმ-ის დაშორებით, ჩრდილოეთით მდებარეობს ბალნეოლოგიური კურორტი სქური, რომელსაც მარჯვენა მხრიდან ჭანისწყალი ჩამოედის. სქურის ხე-

ობაში შემაჯავლი გზის დასაწყისში, თარზენის ქედის ძირას აღმართული იყო თლილი ქვით ნაგები ორსართულიანი კოშკი, რომელსაც „გოთოლს“ ანუ გასასვლელს ეძახდნენ. ეს კოშკი, რომელიც 1943 წელს გზის მშენებლობასთან დაკავშირებით დაანგრიეს, სიმაღლით 8 მეტრს აღემატებოდა, სიგრძე-სიგანე კი 5 მეტრი ჰქონდა. ეს ნაგებობა საგუშაგო დანიშნულების იყო და სქურში შესასვლელ გზას აკონტროლებდა.

ჭანისწყლის მარცხენა ნაპირას, ბორცვზე აღმართულია „სქურის ჯიხა“ ანუ სქურის ციხე-სიმაგრე. ის მდებარეობს გზის დასავლეთ მხარეს და ყოფილი საგუშაგო კოშკის ადგილიდან ნახევარი კმ-ით არის დაშორებული. სქურის ციხე დიდი, თანაბარი, უხეშად თლილი მოყვითალო ქვის კვადრებით არის აგებული. მას ნალისებური კოშკის მოყვანილობა აქვს. დღეისთვის ციხის სიმაღლე 5 მეტრს აღწევს და მასზე მიშენებული გალავნის ფრაგმენტებია დარჩენილი. სქურის ციხე-სიმაგრის სამშენებლო ფენა როგორც ფიქრობენ II-IV საუკუნეებს განეკუთვნება (13, 432).

სქურის ოდნავ სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბორცვზე დგას ნახევრად დანგრეული დარბაზული ეკლესია, რომელიც X-XI საუკუნეებით არის დათარიღებული (40, 126). სამშენებლო მასალად გამოყენებულია სხადასხვა ზომის რიყის ქვა, რომელიც შემდეგ მოპირკეთებულია კარგად გათლილი ქვიშა-ქვის კვადრებით. ეკლესია გეგმით მართკუთხედს წარმოადგენს. აღმოსავლეთით საკურთხეველი აქვს, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან მინაშენები აკრავს. სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში სამ-სამი თაღოვანი სარკმელია დატანებული. ტაძარს სამი მხრიდან აქვს შესასვლელი. შემორჩენილია ფრესკების მცირე ნაწილი, ხოლო წარწერები როგორც შიგნითა, ისე გარეთა მხრიდან არ ჩანს. ეკლესიის სიმაღლე დაახლოებით 10-11 მეტრია, სიგრძე – 9 მეტრი, სიგანე – 8 მეტრი. მას ადრე თეთრი ქვით აგებული გალავანი უვლიდა, რომელსაც სათოფურები ჰქონდა დატანებული.

სქურის ეკლესიაში შუა საუკუნეებში მონასტერი არსებობდა, რომელიც მაცხოვრის შობის სახელობის იყო (14, 256-258; 8, 110).

სქურის ეკლესიას დიდი ამაგი დასდო მთავარმა ლევან II დადიანმა, რომელმაც ამ საყდრის კუთვნილი ჯვარხატი ხელახლა შეამკობინა. სამწუხაროდ სქურის მონასტრის წინმძღვრების შესახებ საისტორიო წყაროებში ცნობები არ მოგვეპოვება. ზუსტად უცნობია თუ როდის გაუქმდა სქურის მონასტერი. სავარაუდოდ, ალბათ XVII საუკუნის მიწურულში, რადგან მომდევნო საუკუნეებში ის წყაროებში არ იხსენიება (15, 275-280).

სქურის მიდამოებშივე შემორჩენილია მცირე ზომის ორი დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. ერთი მათგანი მთავარანგელოზის სახელობის ყოფილა.

საეკლესიო და საფორტიფიკაციო ნაგებობების არსებობა სქურში, შუა საუკუნეებში აქ მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტის არსებობაზე მეტყველებს.

სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროში 1633-1653 წლებში მოღვაწე კათოლიკე მისიონერი ბერის დონ არქანჯელო ლამბერტის ნაშრომს „სამეგრელოს აღწერას“, რომელიც 1654 წელს გამოვიდა ნეაპოლში, თან ერთვის სამეგრელოს რუკა, სადაც დატანილია სამეგრელოს დასახლებული ადგილები, ეკლესიები, მდინარეები. აღნიშნული რუკა ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილია და სათანადოდ არის შესწავლილი (11). მაგრამ ზოგიერთი პუნქტის სახელწოდების ქართულად აღდგენა და მათი ლოკალიზაცია კიდევ დასადგენია.

ლამბერტის ნაშრომზე დართულ ამ რუკაზე ერთერთ ასეთი ადგილია „Sugiona“, რომელიც მდინარე ენგურის მარჯვენა მხარესაა აღნიშნული. იგი სათანჯოს ციხე-სიმაგრის (გალის რ-ნი, სოფელი დისახურგა) ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ნაჩვენები. „Sugiona“-სთან არის ეკლესიის აღმნიშვნელი ნიშანი დატანილი. ამ ტოპონიმის მოპირდაპირედ, ენგურის მარცხენა მხარეს, მითითებულია უახლოესი პუნქტები: ბაში (დღეისთვის სოფელ კორცხელის ერთერთი უბანი, ზუგდიდის რ-ნი) და რუხის ციხე-სიმაგრე.

ადგილ „Sugiona“-ს სახელის ქართულად აღდგენას და ლოკალიზაციას სპეციალურად შეეხო მკვლევარი პ. ცხადაია. მისი დაკვირვებით იტალიურად დაწერილი „Sugi-

ona” ქართულად გამოითქმის როგორც „სუჯონა” (17, 68-70). როგორც ქართულ ენათმეცნიერებაშია მიჩნეული, ქართულ სიტყვა სუროს მეგრულსა და ლაზურში ძველად შეესიტყვებოდა „სუჯი”. შემდგომში მეგრულში „სუჯი” შეცვალა „ცურუ“-მ (16, 77). „სუჯს” პ. ცხადია ცვარსაც უკავშირებს და მიიჩნევს, რომ „სუჯონა” ცვარ-ნამიან ადგილს უფრო ნიშნავს, ვიდრე სუროიან ადგილს, სუროვანს (17, 68-70). იგი ამ დასახლებული პუნქტის და ეკლესიის ლოკალიზაციას სოფელ საბერიოს (გალის რ-ნი) ტერიტორიაზე ახდენს (18, 175).

ჩვენი მოსაზრებით „Sugiona” სუროიან ადგილს, მეგრულად ცურუონს, ცურონს უნდა ნიშნავდეს და XVII საუკუნეში სამეგრელოს ერთერთი სოფლის სახელი უნდა ყოფილიყო, რომელიც ენგურის მარჯვენა მხარეს მდებარეობდა. ცურონში ეკლესიაც იდგა, რომლის აღნიშვნა რუკაზე ლამბერტმა საჭიროდ მიიჩნია.

1861 წლის სამეგრელოს რუსულენოვან რუკაზე ენგურის მარჯვენა მხარეს, სოფელ ფახულანის (წალენჯიხის რ-ნი) სასოფლო თემის ტერიტორიაზე, ფახულანის ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით სამიოდე კილომეტრის დაშორებით აღნიშნულია პატარა სოფელი ცურონი („Цуронъ”) (19). მის გარშემო დასახლებულია ფახულანის თემში შემავალი სხვა მცირე სოფლები. სოფელი ცურონი დღეისთვის არ არსებობს. მაგრამ მისი ლოკალიზაცია შესაძლებელია დღევანდელ სოფელ ქალაღალში, რომელიც ფახულანის საკრებულოში შედის. ქალაღალიც ფახულანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს სამი კილომეტრის დაშორებით. აქ „ცანაშის” სახელით ცნობილ ბორცვზე შემორჩენილია ნაეკლესიარი, რომელსაც ადგილობრივები „ნაოხვამუს” ანუ ნაეკლესიარს ეძახიან (41, 101). სიძველეთა ცნობილ დამცველს და ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დამაარსებელს აკაკი ჭანტურიას XX საუკუნის 20-იან წლებში სამეგრელოს, მათ შორის ზუგდიდის მაზრაში არსებული ისტორიული ძეგლების სია შეუდგენია, რომლებიც დაცვას საჭიროებდნენ. მათ შორისაა ცანას ეკლესია (20). ქალაღალში „გინახვამას” ბორცვზე,

რომლის სახელწოდებაც მიგვითითებს, რომ აქ ხატობა იმართებოდა, გადმოცემის მიხედვით წმინდა გიორგის ხატი იყო დაბრძანებული. იმავე ბორცზე ჯვარიც იყო აღმართული (41, 25).

ვფიქრობთ, რომ არქანჯელო ლამბერტის ნაშრომზე დართულ რუკაზე აღნიშნული ტოპონიმი „Sugiona” დღევანდელ სოფელ ქალაღალის ტერიტორიაზე XVII-XIX საუკუნეებში არსებული სოფელი ცურონი იყო თავისი ეკლესიით, რომელიც ლამბერტის სამეგრელოში ყოფნის დროს ერთერთ მნიშვნელოვან სალოცავს წარმოადგენდა. საფიქრებელია ისიც, რომ ამ სოფელს ქალაღალი მოგვიანებით დაერქვა.

საკუთრივ ფახულანი, რომელიც მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და რაიონულ ცენტრ წალენჯიხიდან 32 კმ-ით არის დაშორებული, მდიდარია ისტორიული ძეგლებით. ამ სოფლის უბნებია: წყოუში, ქალაღალი, ჭველე, უბადოღალი, ნანჯიში, ლეგერდე, ნაშამგუ, ნაჯიხარი და სხვა. ფახულანში მოედინება ენგურის გარდა შემდეგი მდინარეები: ოლორი თავისი ორი შენაკადით; დიდი და პატარა ტებენე, ქალაღალი. სოფლის სახელწოდების წარმომავლობა უცნობია.

ფახულანში არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელიც ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჩაატარა (1964-1970 წწ.), ქვედა პალეოლითის (მუსტიეს) ხანის ქვის იარაღები აღმოჩნდა (21, 49).

1930 წელს აქ იპოვეს პონტოს მეფე პოლემონ II-ის მიერ მოჭრილი მონეტა. ასევე რკინის ნაჯახი და დანები, ვერცხლის საკინძეები (42, 76).

იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნში განწესებულია მიქაელ ფახულანის დეკანოზის მოსახსენიებელი: „თუესა მასსა კგ, ამასვე დღესა ალაპი მიქაელ ფახულანის დეკანოზისაი...“. ეს ალაპი XIII საუკუნის უკანასკნელი ათეულით და XIV საუკუნის დამდეგით თარიღდება (43, 101, 169).

XIV საუკუნის შეწირულობის სიგელით, სვანეთის ერისთავთერისთავმა, და მანდატურთუხუცესმა (დასავლეთ საქართველოს) ხაჟიგ დადიანმა (44, 73) სვანეთში სეტის

(მესტიის) ეკლესიას უბოძა დღევანდელ ფახულანის თემში შემავალ პატარა სოფელ წყოუშში მცხოვრები გლეხები. საისტორიო დოკუმენტში წყოუში წოუშხევად არის ნახსენები: „ქ. გკადრედ და მოგახსენეთ თქვენ მთავარმოწამესა სეტიისა მე ერისთავთერისთავმან და მანდატურთუხუცესმან დადიანმან ხაუიკ, მას უამსა, ოდეს ჩუენისა გამარჯუებისათვის შემოგწირეთ და მოგახსენეთ წოუშხევს ოთხისა გლეხისა ბეგარი ცვილი. გლეხნი ესენი არიან: დაგვინაი ძიძია, შამიგია (...) შამიგია ხერუხინა და დავითელა გვაგვინია. ესე ჩემისა გამარჯუებისათვის შემომიწირავს“ (22, 113).

ფახულანში „სქვამაიას სახელით ცნობილ ბორცვზე შემორჩენილია შუა ფეოდალური ხანის (XI-XIII სს.) ციხესიმაგრის ნაშთები. მას ადგილობრივები „ნოჯიხუს“ ე.ი. ნაციხარს ეძახიან. ბორცვი სიმაღლით 70 მეტრს აღწევს, რომელსაც სამი მხრიდან ციცაბო დაქანება აქვს. ციხე-სიმაგრის საერთო ფართობი 400 მ²-ს შეადგენს. აშენებული იყო რიყის ქვით. გალავანი ძალზე დანგრეულია. ციხე-სიმაგრეში სამი კოშკი იდგა, ხოლო მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში პატარა დარბაზული ეკლესიის საძირკველი გამოვლინდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ვერცხლის, რკინის და კერამიკის ნაწარმს მიაკვლიეს (23: 105-111).

ეს ციხე-სიმაგრე უნდა იყოს ნაგულისხმევი ვახუშტი ბაგრატიონის 1745 წლის ატლასში, სადაც ფახულანის ადგილას დატანილია აზნაურის სასახლის აღმნიშვნელი პირობითი ნიშანი წარწერით „სააფაციო“. ვახუშტის რუსულენოვანი ატლასში „სააფაციო“ უკვე სიმაგრის ნიშნით და წარწერით „Крепост“ არის აღნიშნული (24, 52, 53, 63).

ფახულანშივე მდ. ოლორის მარცხენა ნაპირზე, მთის პლატოზე შემორჩენილია კიდევ ერთი ციხე-სიმაგრის ნანგრევები. ასევე ოლორსა და მის შენაკად ტებენის შუა კოშკის ნაშთი. კიდევ ერთი ციხე-კოშკი იდგა წყოუშში.

ფახულანის ჩრდილოეთით მდებარე სოფელ მუჟავაში, მდ. ოლორის მარცხენა მხარეს მაღალ მთაზე შემორჩენილია საფორთიფიკაციო კომპლექსის ნანგრევები. მისი კონფიგურაცია მთის კონცხის მოყვანილობას იმეორებს. გალავნის სამხრეთ-დასავლეთით მრგვალი კოშკის ფრაგმენ-

ტებია დარჩენილი, რომელიც ისევე როგორც გალაგანი ნაშენია რუხი ფერის კლდის ქვით. სიმაგრის ქვედა ტერასაზე დარბაზული ნაგებობის რამდენიმე კედლის ნაშთია დარჩენილი. ნაგებობა უხეშად თლილი ქვებით არის აგებული. ციხე-სიმაგრის ყველაზე მაღალ ადგილას მცირე ზომის დაზიანებული ეკლესია დგას, რომელიც უხეშად დამუშავებული თანაბარი ზომის ქვებით არის აშენებული და მისი სამშენებლო წყობა ზოგადად კარგია.

მუჟაგაშივე, უბან „საანთიოში“ შემორჩენილია დარბაზული ეკლესიის ჩრდილოეთის კედელი, საკურთხევლისა და დასავლეთის კედლის ფრაგმენტები. ეს საყდარი სხვადასხვა ზომის უხეშად თლილი ქვით იყო აგებული. ამ სოფელში მრგვალი კოშკის შანთია შემორჩენილი, რომლის სამშენებლო მასალად რიყის და კლდის ფლეთილი ქვები გაოუყენებიათ. იქვე გალაგანის ფრაგმენტებია დარჩენილი, რომელიც იმავე მასალით არის აშენებული.

წალენჯიხის ჩრდილოეთით რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდ. იწრას ხეობაში გაშენებულია სოფელი საჩინო, ის აგებულია გათლილი ქვებით. დღეისთვის საყდრის კამარა და კონქი ჩამოქცეულია და მის კედლებზე მცენარეულობაა ამოსული. ეკლესიას წრწერა ან ჩუქურთმა არ ამკობს და უცნობია თუ ვის სახელობაზეა აგებული. საჩინოს უბან კუხეშში შემორჩენილია ციხე-კოშკის ნანგრევები, რომელსაც „მამუკიას ჯიხას“ ეძახიან. ამ რიყის ქვით აგებული სიმაგრე შემადღებულ ბორცვზე იდგა. დღეისთვის ყველაზე კარგად კოშკის ფრაგმენტია შემორჩენილი. საჩინო აფაქიძეთა სათავადოს სახლის ერთ-ერთი რეზიდენცია იყო და ეს ციხე-სიმაგრეც მათ ეკუთვნოდა. XIX-XX ს-თა მიჯნაზე ამ ციხის მიდამოებში თავადი ლევან აფაქიძე ცხოვრობდა, რომელიც მამუკიას შთამომავლად ითვლებოდა (25, 165-166).

საჩინოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფელ ჯგალის უბან ლესალეში შემორჩენილია გვიან შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე. ის სოფლის ჩრდილოეთით 1,5 კმ. დაშორებით მთაზეა აგებული და აქ გამავალ ხემო სამეგრელოს გზას აკონტროლებდა. ციხის გეგმა მთის ზედაპირის მოყვანილობას იმეორებს. ციხე-სიმაგრის ჩრდილო-დასავლეთი მხარე

კუთხოვანია, ხოლო დანარჩენი მხარე მომრგვალებული. მისი გაღავანი სხვადასხვა ზომის დაუმუშავებელი ქვით არის აშენებული. გაღავნის ჩრდილოეთ ნაწილში კარიბჭეა დატანებული, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილს მიდგომული ჰქონდა გრძელი დარბაზული ნაგებობა, რომლის აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლებია შემორჩენილი. გაღავნის სამხრეთ კედელში სათოფურებია დატანებული. ციხე-სიმაგრის კედლები მნიშვნელოვნად არის დაზიანებული.

ჯგალის (ლეხალეს) ციხე პირველად XVII ს-ში იხსენიება. 1616-1621 წლებს შორის გაცემული ერთი საბუთის მიხედვით, ჯგალის ციხის მიმდგომ გლეხებს დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გადასახადი ემართათ. იქვე მოხსენიებულია საკათალიკოსო სასახლე და მებეგრე გლეხთა ნუსხა (26, 471, 478).

ჯგალის საკრებულოში შემავალ პატარა სოფელ კანთში (ლეკანთი) იღვა ეკლესია, რომლისგანაც დღეისთვის მხოლოდ მცირე ნაწილი შემორჩა. ეს საყდარი XX ს-ის 30 წლებამდე მოქმედი იყო. XVII ს-ში სამეგრელოში მოღვაწე იტალიელი კათოლიკე მიიონერის არქანჯელო ლამბერტის სამეგრელოს რუკაზე აღნიშნულია ჯგალი და იქ მდგარი ეკლესია. ვფიქრობთ, რომ სწორედ კანთში მდგარი ეს საყდარი უნდა იყოს აღნიშნული ლამბერტის რუკაზე. ჯგალის ეს ეკლესია იხსენიება სამეგრელოში 1639 წელს ჩამოსული რუსი ელჩების საანგარიშო აღწერილობაში. ისინი ამ სოფელში 22 ნოემბერს მივიდნენ. მათი აღწერით: „იქ ქვის ეკლესია იღვა, რომელზეც ჯვარი არ იყო აღმართული. ეკლესიის დარბაზი საკურთხევლისაგან გამოყოფილი იყო კანკელით და მასში ორი კარი იყო. ქვის სატრაპეზო კედელზე იყო მიშენებული. საკურთხეველში ხატები და წმინდა წერილი არ იყო. ანდრია ცაიშელ ეპისკოპოსის მისვლის შემდეგ მისი ბრძანებით ჯგალის ეკლესიაში ჯვარი აღმართეს და ღვთისმშობლის ხატი დაასვენეს. ჯგალის ეკლესიაში 23 ნოემბერს ევდემონ არქიმანდიტრმა წირვა ჩაატარა, ხოლო 24 ნოემბერს აკურთხა (14, 249-256).

წალენჯიხის სამხრეთით 6 კმ-ის დაშორებით, მდ. ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარეობს სოფელი ობუქი სოფლის ჩრდილოეთით შემორჩენილია შუა საუკუნეების

ეკლესიის ფრაგმენტები, რომელიც საკმაოდ დიდ ფართობს მოიცავს. მოზრდილი ქვის კვადრებით ნაგებ ეკლესიას კარსარკმელები მოჩუქურთმებული ჰქონდა. ბევრად უკეთესად არის გადარჩენილი სამრეკლო. იგი ორსართულიანი, რიყის დაფლეთილი ქვით აშენებული ნაგებობაა და გარედან მოპირკეთებულია ქვიშა-ქვის კვადრებით. თავის დროზე ეკლესიაც ასევე იყო მოპირკეთებული. სამრეკლოს პირველი სართული თაღოვან გასასვლელს წარმოადგენს.

ობუჯი საისტორიო წყაროებში ცნობილი სოფელია. არქანჯელო ლამბერტი ოდიშის მონასტრების ჩამოთვლისას აღნიშნავს, რომ „მეოთხეთა ობუჯის მონასტერი, რომლის ეკლესია წმინდა გიორგის სახელობაზეა აშენებული. აქ ძველად მთავრების სამარხი იყო, რომელიც ეხლა წალენჯიხაშია 927, 124). XVII ს-ში აფხაზეთიდან, ქიაჩის ეკლესიიდან ობუჯის მონასტერში გადმოსვენეს ვერცხლის ნაჭედი და ოქროთი დაფერილი ხატი – „სამწერობელი“, რომელიც XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება. მასზე ამოტვიფრულია წარწერა: „სახელითა ღმრთისათა მე გიორგი მეფემან დაეხსენ ეს სამწერობელნი წმიდისა ამას ეკლესიას ქიაჩს...“ (2, 239).

ობუჯის სამხრეთით, ოღონდ მდ. ჭანისწყლის მარცხენა მხარეს სოფელ ჯაღრაში გორაკზე, რომელიც მდინარეს გადაჰყურებს ღვას ჯაღრას ციხე-სიმაგრე კოშკსა და გალაენისაგან შედგება და რიყის ქვით არის აშენებული. ციხის გალაენისა და კოშკზე სათოფურებია დატანებული, ხოლო შესასვლელი კარიბჭე აღმოსავლეთის მხარესაა დატანებული. პ. ზაქარიას დათარიღებით ეს საფორტიფიკაციო ნაგებობა დაახლოებით XV-XVI სს-ში უნდა იყოს აგებული (28, 289). ჯაღრა 1639 წელს იპ. ზახარიევის და ფ. ელჩინის მოხსენებათა ანგარიში იხსენიება, სადაც აღნიშნულია, რომ ელჩები 3 დეკემბერს მივიდნენ ჯაღრაში (რუსულ ტექსტში Жагара) და 31 იანვარს წამოვიდნენ იქიდან (14, 217). ამ ხნის განმავლობაში რუსი ელჩები ბუნებრივია ამ ციხე-სიმაგრეში იქნებოდნენ დაბანაკებულნი.

ისევე როგორც ობუჯი, ასევე ჯაღრა ზემო სამეგრელოს გზის გასწვრივ მდებარეობა და ჯაღრას ციხე ამ გზის გარკვეული პერიოდის გაკონტროლებასაც ემსახუ-

რება. თავის მხრივ სამხრეთით ეს გზა მოემართება სოფელ ჯიხაშკარში სადაც მდებარეობს ცნობილი ჭაქვინჯის ციხე-სიმაგრე.

ზუგდიდიდან ზემო სვანეთისკენ, მდ. ენგურის მარცხენა მხარეს მიემართება გზა, რომელიც უძველესი დროიდან აკავშირებდა სვანეთს ბართან. ამ გზაზე წალენჯიხის რ-ნის პირველი სოფელი არის ღია. ღია სულხან-საბა ორბელიანის განმარტებებითი ლექსიკონის მიხედვით საფლობ ტალახს ნიშნავს (29, 414). მართლაც ღიის დიდი ნაწილი ენგურისპირა დაბლობზეა გაშენებული და სანამ ენგურპეისის თაღოვანი კაშხალი აშენდებოდა, ეს ადგილი წყალდიდობების დროს გამუდმებით იტბორებოდა. სოფელს აღმოსავლეთ მხარეს მაღალი ბორცვოვანი ქედი გასდევს. ერთ-ერთ ბორცვზე რომელსაც „დიდა ქირსას“ (ქრისტეს დედა) ეძახიან, შემორჩენილია ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომლის ფართობი დაახლოებით 1200 კვ. მ-ია. აქ გასული საუკუნის 60-იან წლებში ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის ნაწილმა ჯ. ჯღამაიას ხელმძღვანელობით ჩაატარა გათხრები, რის შედეგადაც გაირკვა, რომ გორაკზე ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში ააგეს სამი კოშკი დიდი ზომის რიყის ქვებით, ხოლო გვიანფეოდალურ ხანაში ეს კოშკები გაღავნით შემოზღუდეს. ციხე-სიმაგრის მშენებლობაში რამდენიმე პერიოდი გამოიყოფა, რაც მის მრავალჯერ განახლებაზე მიუთითებს. დღეისთვის ყველაზე კარგად ნაცხრის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეა შემორჩენილი, რომლის სიმაღლე 4 მეტრამდეა, ხოლო სიგრძე 10 მ-დე. ციხის შიგნით გათხრების შედეგად გამოვლინდა მცირე ეკლესიის აფსიდი, რომელიც ადრეიზანტიური ხანისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული წესით იყო აშენებული. „დიდა ქირსას“ ბორცვზე არქეოლოგიური გათხრებისას რომაული ხანის სამარხებიც აღმოჩნდა, რომლებიც II-IV საუკუნეებს განეკუთვნება, გამოვლინდა არქეოლოგიური მასალაც: კერამიკა, მძივები, სამაჯურები, რკინის საომარი იარაღები, ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტი, რომაული მონეტები. ამ ბორცვის ფერდობებზე სადაზვერვო გათხრების დროს გამოვლინდა ძვ. წ. V საუკუნის კერამიკის მათ შორის იმპორტულ: როდოსული და

ხიოსური ამფორათა ფრაგმენტები და შავლაკიანი ფიალის ძირები. ქრისტიანობის გავრცელების თვალსაზრისით ახ. წ. IV-V საუკუნეების სამარხები ერთგვარად გარდამავალი ხასიათისაა. V ს-ში დაკრძალულთა ერთი ნაწილი აშკარად ქრისტიანები არიან, ხოლო VI ს-ში დაკრძალულები მხოლოდ ქრისტიანებია (30, 126-134. 31. 32, 155. 179-181).

„დიდა ქირსას“ ბორცვზე ცხოვრების კვალი სავარაუდებელია ელინისტური ხანიდან მაინც. ადრე შუა საუკუნეებში აქ ჯერ ეკლესია აუგიათ, ხოლო შემდეგ კოშკები. გვიანფეოდალურ ხანაში ციხე-სიმაგრე აშენდა, როდესაც გარკვეული ტერიტორია შემოიზღუდა მასში მოქცეული ორი კოშკით. ლიის ციხე-სიმაგრე აკონტროლებდა სამეგრელოდან სვანეთისაკენ მიმავალ უძველეს გზას. ასევე ამ სიმაგრის კონტროლქვეშ იყო მეორე გზა, რომელიც ლიიდან წალენჯიხისაკენ მიემართება. „დიდა ქირსას“ სამხრეთ-დასავლეთით, მშრალი ხევის დასაწყისში კლდე-კარია, რომელსაც ადგილობრივი „გოხორხილს“ (გახერხილს) ეძახიან. საუკუნეთა განმავლობაში 10 მ-ის სიმაღლის კლდე წყალს დაუღრმავებია, შემდეგ კი ხელოვნურად გაუფართოვებიათ და გზად უქცევიათ. ამჟამად იქ ლიიდან წალენჯიხაში მიმავალი უმოკლესი გზა გადის. გვიან ფეოდალურ ხანაში ლიის ციხე-სიმაგრე გზების კონტროლის გარდა ალბათ აფხაზთა მარბიელი შემოსევებისაგან თავდასაცავადაც გამოიყენებოდა.

ლიის საკრებულოში შედის ენგურისპირა პატარა სოფელი პალური, სადაც 1969-1970 წლებში ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხრები ჩაატარა „ჟირსუკის“ სახელით ცნობილ ბორცვზე, სადაც ნეოლითის ხანიდან მოყოლებული ადრე შუა საუკუნეებამდე არქეოლოგიური მასალა გამოვლინდა. ხოლო „საძვალეს“ სახელით ცნობილ ადგილას უძველეს სარიტუალო მოედანი გაითხარა (33, 30. 35).

ლია სიგრძეზე გაშენებული სოფელია და უშუალოდ უერთდება დაბა ჯვარს. ჯვარი მდ. ენგურისა და მდ. მაგანას შესართავთან მდებარეობს. მის აღმოსავლეთით 1 კმ-ის დაშორებით მაღალ ზეგანზე გაშენებულია საქალაქო ტიპის დასახლება – ჯვარზენი. ჯვარი მნიშვნელოვანი

გზების გადაკვეთაზე მდებარეობს: ერთის მხრივ სვანეთისკენ მიმავალი გზა, ხოლო ჯვარიდან სოფელ ჩქვალერის და საჩინოს გავლით ზემო სამეგრელოს გზაზე შეიძლება გასვლა. აფხაზეთის მიმართულებით გზა სოფელ ჭალეზე და ფახულანზე გადის.

ჯვარი უძველესი დროიდან იყო დასახლებული. აქ აღმოაჩინეს გვიანბრინჯაოს ხანის განძი, რომელიც პეტერბურგშია დაცული (34), 1964 წელს ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოიკვლია მაქსანიას გამოქვაბული, რომელიც ჯვარის ჩრდილოეთით მდებარეობს. აღმოჩნდა, რომ ელინისტურ ხანაში ამ გამოქვაბულს სვანეთისკენ მიმავალნი სადგომად იყენებდნენ, ხოლო ენგურის თაღოვანი კაშხალის ზემოთ, მდ. ეცი (ეიცი) ხეობაში ქვის ხანის (მუსტიეს ეპოქა) ადამიანთა გარე სადგომები გამოვლინდა (11, 218).

ჯვარისთვის ამ სახელის დარქმევა ზეპირგადმოცემით მოციქულ ანდრია პირველწოდებულს უკავშირდება, რომელმაც აქ ჯვარი აღმართა, ხოლო იმ ველს სადაც ჯვარი იყო აღმართული – ჯვარზენი ეწოდება. ამავე გადმოცემის მიხედვით, IV ს-ში აქ ეკლესია აუგიათ.

ჯვარზენში იდგა წმინდა გიორგის სახელობის საკმაოდ დიდი ზომის ეკლესია, რომლის წმინდა გიორგის ხატს ადგილობრივები „ჯგეგეს“ (იგივე წმინდა გიორგი) უწოდებდნენ. ეს ეკლესია 1924 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ დაანგრია. ჯვარზენშივე იდგა „ჯვარი პატიოსანის“ მცირე ზომის ეკლესია, რომლის მხოლოდ მცირე ნაშთია შემორჩენილი.

ამ ეკლესიების შესახებ ცნობა უნდა იყოს დაცული აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი იადგარის 1611-1615 წლებს შორის შესრულებულ მინაწერში, სადაც „ჯვარი პატიოსანისა“ და „წმიდა გიორგის“ მონასტრები იხსენიება. ეს მონასტრები ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა სასახლით, მამულებით და ყმებით ბიჭვინთის საკათალიკოსოს უწყალობა (37, 187. 38).

ჯვარზენის სამხრეთ მხარეს, ტრიკონქის ტიპის ეკლესია იდგა, რომელთა კედლები ბოლო დრომდე 1, 1,5 მეტრის სიმაღლეზე იყო დარჩენილი. იგი IX-X საუკუნეებით

თარიღდება და ასეთი მარტივი ფორმის ტრიკონქი ერთადერთია საქართველოში (36, 66-67).

ჯვარის ჩრდილოეთით, ენგურისა და მაგანას წყალგამყოფ ქედზე – „ლაბერაშზე“ ადრე შუა საუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთია შემორჩენილი, ხოლო იქ სადაც ენგური დაბლობზე გამოდის დგას კოშკი „ომუნეს ჯიხა“, რომელიც დღეისთვის რესტავრირებულია. ის მრავალსართულიანი ნაგებობაა და დაახლოებით XV-XVI ს-ში უნდა იყოს აგებული (11, 218-219).

ჯვარის ახლოს სოფელ ლეშამუგეში გზისპირას შემორჩენილია სამნავიანი ეკლესიის ნანგრევები. იქვე აღმოჩნდა სამარხი ქვის ყუთები. ერთ-ერთში ძვლებთან ერთად წითლად გამომწვარი დოქი აღმოჩნდა, რომელიც VII-VIII ს-ით დათარიღდა. თ. ბერაძის აზრით დაახლოებით ამ საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს ლეშამუგეს ეკლესია (11, 221).

სიძველეთა ცნობილ დამცველმა და ზუგდიდის მუზეუმის დამაარსებელმა აკაკი ჭანტურიაშვილმა შეადგინა რუკა, სადაც დაიტანა XX ს-ის 20-იან წლებში ჯვარს და მის მიდამოებში ჯერ კიდევ შემორჩენილი ისტორიული ძეგლები ან მათი ნაშთები. ამ რუკაზე ზემოთ ნახსენები ძეგლების გარდა დატანილია: ყენიაშ ჯიხა (ყენიას ციხე), ლეხარჩილეთში ნაჯიხი (ნაცისარი), ასევე ორი ნაეკლესიარი. ლატურაში – „ნაჯიხი“, ლეხუბუტეში ნაეკლესიარი, ლაყამუოჰონიეში – „ნაჯიხი“ და ნაეკლესიარი, ნაფარონში და ლაფარიაში – ნაეკლესიარები, ლექარდეს მაცხოვრის ეკლესია (39, 117) დღეისთვის ამ ისტორიული ძეგლების ნაშთები თითქმის არ არის შემორჩენილი.

ჯვარი 1639 წელს სამეგრელოში ჩამოსული რუსი დესპანების მოხსენებათა ანგარიშიც არის მოხსენიებული, სადაც ისინი 17-და 20 ნოემბრამდე იმყოფებოდნენ (14, 247-248).

ჯვარის მოპირდაპირე მხარეს, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირას სოფელი ჭალე მდებარეობს. აქ ეწერფერდის უბანში „ჩეოხვამეს“ ანუ თეთრი საყდრის სახელით ცნობილი მცირე დარბაზული ეკლესია დგას, რომელიც რიყის ქვით და უხეშად დამუშავებული ქვიშაქვის კვადრებით არის აშენებული. ეს ეკლესია გვიან შუა საუკუნეებს განეკუთვნება და XIX ს-შიც მოქმედი იყო. წალენჯიხის რ-ნის

სხვა სოფლებში: ულურიაში, ნაკიფუში, ნაგურუში, ჩქვალერში, მიქაეში, შემორჩენილი ნაეკლესიარები თუ საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შუა საუკუნეებში აქ მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები არსებობდა თავისი საკულტო ძეგლებით. საფორტიფიკაციო ნაგებობები კი თავდაცვას და აქ გამავალი გზების კონტროლს ემსახურებოდა.

P. GABISONIA

FROM HISTORICAL-GEOGRAPHY OF TSALENJIKHA

District of Tsalenjikha is located to the North-West part of Samegrelo. It is rich with historical monuments, among them the church of Our Saviour (XI-XI) is the most important one. This dome-shaped church is decorated with the frescoes, painted, by the famous painter from Constantinepole in the XIVth century. The church is famous with its grandiosity and once it was the burial place of the Dadians; Principal House members. The powerful principal of Odishi (Samegrelo) Levan II Dadiani is buried there (1611-1657). From the early years there was the Monastery. From the church in the XVIIth century there was the episcopacy pulpit there.

There are the ruins of two castles in Tsalenjikha. From the district historical monuments the Pakhulani castle the Chale church and the Mujava church are very interesting. The ruins of the middle-century castle in Lia is also very important. It was located to the left side of the river Enguri. And from there the ancient road from Samegrelo to Svaneti was watched. There are the ruins of the middle century church in the village of Obuji. There is the castle of Skuri which was acted from the IVth century. There is the church in Skuri where in the XVII-XVIIIth the Monastery was acted.


From the fortification works the castles of Jaghra, Sachino and Jgali are very important. There are the ruins of basilical temple in Daba Jvari.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქც., ტ. IV, თბ., 1973.
2. ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, ტ. III, ტფ., 1913-1914.
3. თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I, დასაველთ საქართველო, თბ., 1999.
4. საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, წაღენჯიხის რ-ნი, პასპორტი №97.
5. ა. მიქავა, წაღენჯიხა.
6. ნ. ჯაბუა, მოკლე ცნობები საკულტო ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ, სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში, ი. ანთელავას რედაქციით, თბ., 1999.
7. კ. გრიგოლია, ზებედე მღვდელმონაზონი და მისი ანდერძი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII-ბ, თბ., 1953.
8. მაკარი ანტიოქელი, ცნობები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა თ. მარგველაშვილმა, არმაღანი, აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, თბ., 1982.
9. პ. გაბისონია, წაღენჯიხის მონასტრის ისტორიიდან, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, IX, თბ., 2008.
10. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.
11. თ. ბერაძე, ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.) საღისერტაცო ნაშრომი, თბ., 1967.
12. ა. მიქავა, სქურის ხეობის სიძველენი, მეგრძოლი, №13, 30, I, 1965.

13. თ. ბერაძე, სქურის ციხე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IX, თბ., 1985.
14. Посольства Федота Елчина и Павла Захарыева в Менгрелию (1639-1640), Материалы по Церковной и этнополитической истории Абхазии, для издания подготовил, предисловием, комментарием и словарем снабдил Дж. Гамахария, Тб., 2005.
15. პ. გაბისონია, სქურის ისტორიული ძეგლები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, IX, თბ., 2007.
16. გ. როგავა, სურო სახელის ვარიანტები ქართველურ ენებში, კრ. „ეტიმოლოგიური ძიებანი“, თბ., 1990.
17. პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბ., 2004.
18. პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003.
19. Карта Мингрелии с прилежающими землями, 1861 г.
20. აკაკი ჭანტურიას არქივიდან, ცნობა მოგვაწოდა არიანე ჭანტურიაძე.
21. გ. გრგოლია, ენგურის ხეობის ქვედაპალეოლითური ძეგლები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VIII, თბ., 1979.
22. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნ. 2, თბ., 1941.
23. ჯ. ჯღამაია, შუა საუკუნეების ნაციხვარი, „ნოჯიხუ“ სოფელ ფახულანიდან, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ., 1978.
24. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ატლასი (XVIII ს.), თბ., 1997.
25. თ. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ პოლიტიკური ისტორიიდან, III, თბ., 1990.
26. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, III, თბ., 1970.
27. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიურიდან თარგმანი ალ. ჭყონიასი, ტფ., 1901.
28. პ. ზაქარაია, ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია (ველე-სი დროიდან XVIII ს-ის ბოლომდე).

29. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ი. აბულაძის გამოცემა, ტ. 1, თბ., 1991.
30. ჯ. ჯღამაია, სოფელ ღიას შუა საუკუნეების ნაციხვარი, მაცნე, ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია №1, თბ., 1980.
31. ლ. წითლაძე, რომაული ხანის სამარხები სოფელ ღიიდან, გაზ. „კომუნიზმის დროში“ №6, 15, I, 1970.
32. ვ. ჯაფარიძე, ეგრისი ახ. წ. I-VII სს. მატერიალური კულტურის ძეგლები (არქეოლოგიური გათხრები, გამოკვლევა), თბ., 2006.
33. გ. გრგოლია, მ. ბარამიძე, ნ. ოქროპირიძე, ვ. ჯაფარიძე, ჯ. ჯღამაია, ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971.
34. შ. მესხია, მცირე ცნობა წალენჯიხის უძველესი წარსულიდან, გაზ. „კომუნიზმის დროში“, №3. 8. I, 1961.
35. აღ. მიქავა, არქეოლოგიური ძეგლები, გაზ. ლიტერატურული საქართველო, №49, 3. XII, 1965.
36. თ. კაპანაძე, ჯვარზენის ტრიკონქი, ძეგლის მეგობარი, №2, არქ. 84, თბ., 1989.
37. ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი იადგარი, საისტორიო მოამბე, წ. II, თბ., 1952.
38. ა. ტულუში, საინტერესო ისტორიის მქონე, გაზ. ენგურის ჩირაღდანი, №22, 8. VI, 1974.
39. აკ. ჭანტურია, ჯვრის რუკა, თსუ. შრომები, ისტორიის სერია №283, თბ., 1989.
40. საქართველოს კულტურის ძეგლები, თბ., 1959.
41. პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი (წალენჯიხის რაიონი), I, თბ., 2004.
42. Голенко, К, денежное обращение Колхиды в римское время, II. 1964.
43. ე. მეტრეველი, მასალების იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, (XI-XVII სს.), თბ., 1962.
44. გ. არახამია, ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XI-XVI ს. I ნახ.), თბ., 2003, გვ. 73.



ვერა ჩიხლაძე, ელისო ყვავაძე

**ქინვალის სამაროვნის 375-ე ძვის სამარხში
აღმოჩენილი ძალის თაფსამკაული, ვარცხნილობა
და ორბანული ნაშთების პალინოლოგიური
კვლევის შედეგები**

არაგვის ხეობის შუაწელზე, იქ, სადაც დღეს „ქინვალის ზღვაა“, მდებარეობდა სოფელი ქინვალი. ქინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებლობის გამო ქინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციას მუშაობა მოუხდა არაგვის ხეობაში, კერძოდ, ქინვალის სამაროვანზე.

ქინვალის სამაროვანი მდებარეობდა დუშეთის რაიონში, სოფელ ქინვალის სამხრეთ ნაწილში, ადგილ „ნაფუძრებში“, მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ტერასაზე, საქართველოს სამხედრო გზის პირას. ამჟამად იგი ქინვალის წყალსაცავის ფსკერს წარმოადგენს. სამაროვანს ეკავა დაახლოებით ერთი ჰექტარი ფართობი.

ქინვალის სამაროვანი აღმოჩნდა 1971 წელს. იგი გათხარა და შეისწავლა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1974-1985 წლებში (ექსპედიციის ხელმძღვანელი რ. რამიშვილი, უბნის უფროსი ვ. ჩიხლაძე). გაითხარა 5450 მ² ფართობი. გამოვლინდა 558 სამარხი, რომელთა თარიღი ძვ.წ. I-ახ.წ. VIII განისაზღვრა.

ქინვალის სამაროვანი მრავალღარუსიანი იყო. სამარხები ერთმანეთზე იყო განლაგებული. ზოგ შემთხვევაში ოთხ და ხუთ იარუსადაც კი. სამაროვანზე დადასტურდა სამარხთა სხვადასხვა ტიპები: ორმოსამარხი, ქვამიწაყრილიანი, მიწაყრილიანი, ყორეკედლიანი, ხის ძელებით გადახურული, ქვებით შემოსაზღვრული და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები, აგრეთვე კატაკომბები და ქვის სამარხები. სამაროვნისათვის სამარხთა ტიპების მრავ-

ვალსახეობები შეიძლება აიხსნას იქ დაკრძალული სოციალური ან რელიგიური სხვადასხვაობებით, ან დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონით (ვ. ჩიხლაძე, 1990 წ., გვ. 1).

ჟინვალის სამაროვანზე შესწავლილი სამარხთაგან 272 სამარხი წინაქრისტიანული, გვიანრომაული ხანისაა, ხოლო 286 ადრექრისტიანულია. მათ შორის 127 ქვის სამარხია, 51 კატაკომბური სამარხი, 28 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხია და 80 დედაქანში გაჭრილი მეტწილად უინვენტარო, მიწით შევსებული ორმოსამარხებია.

დაკრძალვის წესი ჟინვალის სამაროვანზე ყველა ტიპის სამარხში ინჰუმაციურია. წინაქრისტიანულ ხანაში მიცვალებულებს კრძალავენ კიდურებმოკეცილ პოზაში. ინდივიდუალურად, გვხვდება წყვილადი დაკრძალვაც. ქრისტიანული პერიოდის სამარხებში კი გაბატონებულია საოჯახო-კოლექტიური დაკრძალვის წესი, თუმცა, ინდივიდუალურად დაკრძალულნი აქაც გვხვდება, დაკრძალვის პოზა ქრისტიანულია, მაგრამ ადრეულ ეტაპზე (IV-V სს. მიჯნა) თანაარსებობს წარმართული წესით დაკრძალულნი, ძირითადად დედაკაცები. ქრისტიანულ სამარხში, „ყველა უნდა დაიკრძალოს ისე, რომ თავი იყოს მიქცეული დასავლეთისაკენ, ხოლო ფეხები აღმოსავლეთისაკენ. ამ მდებარეობით ის, ასე ვთქვათ, ლოცვულობს და გამოხატავს, რომ მზად არის იჩქაროს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, დაისიდან აისისაკენ, ამ სოფლიდან მარადიულობისაკენ (ს. ჭანტურიშვილი, თბ., 1997, გვ. 160).

ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებულია უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა, რომლის უდიდესი ნაწილი მოდის ადრეული ქრონოლოგიური ჯგუფის სამარხებზე. თვით სამაროვანი უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ იქ თვალნათლივ ჩანს ის დიდი გარდატეხა საზოგადოებრივ ყოფაში, რაც IV საუკუნეში ქრისტიანობის ოფიციალურ აღიარებას მოჰყვა ქვეყანაში და ის ცვლილებები, რაც თან ახლდა დაკრძალვის ქრისტიანული რიტუალის დამკვიდრებას ქართლის სამეფოში.

ადრეულ შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით კი V ს. დან სამარხებში ჩატანებულ ნივთთა რაოდენობა მკვეთრად კლებულობს, მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება საკმაო რაოდენ

ნობისა და მრავალფეროვანი ნივთები, რაც საშუალებას იძლევა დაზუსტდეს ქრონოლოგია, შეფასდეს შესასწავლი ხანის კულტურულ-ეკონომიკური დონე და კავშირ-ურთიერთობები. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, „საერთოდ საყურადღებოა ჩვენი წელთაღრიცხვის ეს პირველი ხუთი-ექვსი საუკუნე. ის ყოველი მხრით ძლიერი ჩანს და სწრაფი აღმავლობის გზით მავალი” (ნ. ბერძენიშვილი, 1960, გვ. 150).

ჩვენს ნაშრომში განვიხილავთ ქინვალის სამაროვნის 375-ე ქვის სამარხის აღმოჩენის ვითარებას, დაკრძალვის წესს, სამარხში აღმოჩენილია ინვენტარს და სამარხის ორგანული ნაშთების პალინოლოგიურ კვლევის შედეგებს.

სამარხი 375 წარმოადგენდა ქვის სამარხს. იგი გამართული იყო სამაროვნის ჩრდილოეთ მონაკვეთზე მიწის ზედაპირიდან 1,30 მ დონეზე. დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით. გრძივი კედლები შედგენილ იყო ქვიშაქვის კარგად დამუშავებული თითო ფილისაგან, თავკედლებადაც თითო ფილაქვა ჰქონდათ ჩადგმული, ხოლო სახურავად სამი დიდი ფილაქვა გამოუყენებიათ, სახურავის ფილებს შორის ღიობები პატარა ზომის ბრტყელი ქვებით იყო დაფარული. სამარხის გარეგანი ზომები: 2,80X1,60X0,85 მ, შიდა ზომები: 1,80X0,75X0,75 მ, ქვის სიქე – 0,10 მ.

პრეპარაციის შემდეგ სამარხში სამი ჩონჩხი აღმოჩნდა*. ორი მოთავსებული იყო სამარხის დასავლეთ ნაწილში ერთიმეორის გვერდით, ერთდროულად დაკრძალულნი, კიდურებმოკეცილნი მარცხენა გვერდზე. ერთი 5-8 წლის ბიჭუნას ეკუთვნოდა, ხოლო მეორე 8-10 წლის გოგონას. ხელები ორივეს მკერდის არეში ჰქონდათ დაწყობილი. ხოლო მესამე ჩონჩხი 10-13 წლის გოგონასი მისხვეტილი იყო სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.

10-13 წლის გოგონას თავის ქალაზე იღო: რგოლი ბრინჯაოსი (09-XXV-812-139) განიკვეთში მრგვალი ღერო თავგახსნილია და თავები გარეთაა გადმოკეცილი. დმ – 6 სმ.

* ჩონჩხები ანთროპოლოგიურად შეისწავლა პავლე ფირფილაშვილმა.

საკინძისთავი ოქროსი (09-XXV-81-134). იგი წარმოადგენს გულის მოყვანილობის ფუყე ფიტფიტას, ცენტრში გულის ფორმის თვალბედით, რომელშიც აღმანდინის ამობურცული თვალია ჩასმული. თვალბუდეც ირგვლივ ცვარა შემოსდევს. ფირფიტას ნაპირებზე 10 ც მარგალიტი აქვს ბრინჯაოს ღერაკზე დამაგრებული. საკინძისთავს ღეროზე მისამაგრებლად ბრინჯაოს ყუნწი აქვს მირჩილული. საკინძის სიგრძე – 1,9 სმ სიგანე 1,5 სმ, სისქე – 03 სმ.

საკინძი ბრინჯაოსი (09-XXV-81-135) წარმოადგენს განიკვეთში მრგვალი, წვეროსაკენ თანაბრად შევიწროებული ღეროს, რომელსაც თავი ჩახვეული აქვს. ბრინჯაოს ღერაკზე მოძრავად დამაგრებულია ოქროს წრიული თვალბუდე აღმანდინის თვალთ. თვალბუდეც ირგვლივ ცვარა შემოსდევს. მასზევე სიმეტრიულად ოთხი მარგალიტი ყოფილა მიმაგრებული, რომელთაგანაც მხოლოდ ორია შემორჩენილი. საკინძისთავს ზურგზე მიმაგრებული აქვს ოქროს ყუნწი. ოქროს თვალბუდის დმ 1,3 სმ, საკინძის სიგრძე 8 სმ.

საკინძი ბრინჯაოსი 2 ც (09-XXV-81-145, 146), მთლიანად სხმული, ბურთულთავიანი. განიკვეთში მრგვალი ღერო წვეროსაკენ თანაბრად შევიწროებულია. თავს ქვემოთ ორი რელიეფური სარტყელი შემოსდევს. სიგრძე 12,3სმ, 12,5 სმ.

საკინძი ბრინჯაოსი, 2 ც (09-XXV-81-144, 147) მთლიანად სხმული, გრდემლისებრთავიანი. მრგვალგანიკვეთიანი ღერო ყველგან თანაბარი ზომია: სიგრძე 12 სმ, 12,5 სმ.

საკინძი ბრინჯაოსი, 2ც (09-XXV-81-140-143), მთლიანად სხმული, ოთხკუთხა, დაფანჯრულთავიანი. თავსქვემოთ ოთხკუთხა რელიეფური სარტყელით. განიკვეთში მრგვალი ღერო წვეროსთან ერთად თანაბრად შევიწროებულია. სიგრძე 15 სამ, 15,5 სმ.

საკინძი ბრინჯაოსი, 2 ც (09-XXV-81-140, 141) წარმოადგენს განიკვეთში მრგვალ ღეროს, რომელიც წვეროსაკენ თანაბრად შევიწროებულია, თავი კი შემკული აქვს სარდონის მრავალწახნაგა მძივით, რომელსაც ორივე მხრიდან ბრინჯაოსივე ვარდულები აქვს დამაგრებული, სიგრძე 11 სმ, 11 სმ.

შესაკრავი ბრინჯაოსი (09-XXV0-81-137) ცხვრის თავის გამოსახულებით, რეალისტურად წარმოდგენილი ჩაგრეხი-

ლი რქებითა და წაწვეტებული ცხვირით. სიგრძე 2,3სმ, სიგანე – 2,5 სმ.

მედალიონი – გულქანდი, ბრინჯაოსი (09-XXV-81-137). იგი წარმოადგენს ბრტყელ, ოვალურ ფირფიტას, რომელსაც უკანა მხარეს ქსოვილზე მისამაგრებლად ბრინჯაოსვე ნემსი აქვს მირჩილული. წინა მხარეს დარჩილულია ბრინჯაოსივე თხელი ფირფიტა, რომელიც ქმნის თვალბუდე. თვალბუდეში პასტის თეთრი ფერის თვალია ჩასმული. მედალიონის უკანა მხარეს ქსოვილის ნაშთი აქვს შემორჩენილი. მედალიონის სიგრძე – 3,2 სმ, სიგანე 2,7 სმ.

თმა (09-XXV-81-178), სამად დაწნული ნაწნავი, შემოხვეული იყო ბრინჯაოს რგოლზე და დამაგრებული იყო ამ ათი საკინძით, ხოლო რგოლის შუაში იდო ბრინჯაოს მედალიონი – გულქანდი, რომლითაც მანდილი იყო დამაგრებული გოგონას თავზე.

საკინძისთავი ოქროსი (09-XXV-81-133). იგი წარმოადგენს ოქროს თხელ, წრიულ ფირფიტას, რომელზედაც განიკვეთში ოქროს ოთხკუთხა რგოლია დარჩილული, ხოლო რგოლის შიგნით ოქროს ოთხკუთხედია მირჩილული რგოლსა და ოთხკუთხედს შორის ასე შევსებულია მინანქრის მასით. ხოლო ოთხკუთხედში მომწვანო ბრტყელი თვალი ყოფილა ჩასმული, რომელიც ახლა ამოვარდნილა. წრიულ რგოლზე სამი ყუნწია მირჩილული. საკინძისათავს უკანა მხარეს ცენტრში ოქროსივე ყუნწი აქვს დარჩილული. დმ 2,4 სმ, აღმოჩნდა გოგონას მკერდის არეში.

ბეჭედი (09-XXV-81-51) ბრინჯაოსი. განიკვეთში მრგვალი რკალი მხრებთან გაბრტყელებულია. თვალბუდე აკლია. რკალის დმ 2,3 სმ, აღმოჩნდა მოხვეტილ ჩონჩხზე.

საყურე 2 ც (09-XXV-81-159) რკინისა, მრგვალგანიკვეთიანი, ღერო დაჯანგულია. გატეხილია ოთხად, აღმოჩნდა მიხვეტილ ჩონჩხზე).

სამაჯური 2ც (09-XXV-81-160,161) ბრინჯაოსი, შედგენილი. ოვალისებრად მირკალილ განიკვეთში მრგვალ თავგახსნილ რგოლზე მირჩილულია მცირე ზომის ბრინჯაოსვე რგოლი, რომელზედაც ჩამობმულია ბრინჯაოსვე სფეროსებრი ფუყე საკიდი. რგოლის დმ 3,2-2,2მსმ. აღმოჩნდა მიხვეტილი ჩონჩხის თავის ქალასთან.

მშვილდსაკინძი (09-XXV-81-155) ბრინჯაოსი, რკინის ენით. მშვილდი ბრტყელია, მაღალი, მორკალული. ენა რკინის სქელი ქანგით არის დაფარული. სიგრძე 5 სმ, სიმაღლე 1,6 სმ. აღმოჩნდა მიხვეტილ ჩონჩხზე.

მძივები (09-XXV-81-166), მინისა. 10 ც სფეროსებრი. შავი. აღმოჩნდა მიხვეტილ ჩონჩხზე.

ბრინჯაოს ნივთი (09-XXV-81-170) გაურკვეველი დანიშნულებისა – აღმოჩნდა მიხვეტილ ჩონჩხზე.

ფირფიტა (09-XXV-81-169), ბრინჯაოსი, ბრტყელი. აღმოჩნდა მიხვეტილ ჩონჩხზე.

ფირფიტა (09-XXV-81-172) ბრინჯაოსი, დანხვრეტილი, – აღმოჩნდა მიხვეტილი ჩონჩხზე.

ფირფიტა (09-XXV-81-171) ბრინჯაოსი, ორნამენტირებული – აღმოჩნდა მიხვეტილ ჩონჩხზე.

საკინძი ვერცხლისა (09-XXV-81-136). იგი წარმოადგენს განივკვეთში მრგვალ წვეროსაკენ თანაბრად შევიწროვებული ღეროს საკინძისთავი კი წარმოადგენს ვერცხლისავე წრიულ თვალბუდეს, რომელშიც ლურჯი მინის თვალია ჩასმული. თვალბუდეზე სიმეტრიულად ბრინჯაოს სამი ყუნწია მიმაგრებული. საკინძისთავს ზურგზე ბრინჯაოს ყუნწი აქვს დარჩილული. საკინძის სიგრძე – 11,5 სმ, საკინძისთავის დმ – 1,8 სმ, აღმოჩნდა 8-10 წლის გოგონას ჩონჩხზე.

საკინძი ბრინჯაოსი (09-XXV-81-148) მთლიანადსხმული, ოთხკუთხა. დაფანჯრულთავიანი, თავს ქვემოთ რელიეფური ოთხკუთხა სარტყლით, გატეხილია ორად. სიგრძე 15,3 სმ. აღმოჩნდა 8-10 წლის გოგონას თავის ქალასთან.

საკინძი რკინისა (09-XXV-81-149). განივკვეთში მრგვალი ღერო დაქანგული და დამტვრეულია. თავი შემკული აქვს ცილინრდული ფორმის მარჯნის მძივით. აღმოჩნდა 8-10 წლის გოგონას ჩონჩხზე.

საკინძისთავი (09-XXV-81-167) მარჯნისა, რომელიც ორივე მხრიდან ბრინჯაოს ვარდულებითაა დამაგრებული, აღმოჩნდა 8-10 წლის გოგონას ჩონჩხზე.

საკინძისთავი (09-XXV-81-168) ბრინჯაოსი, ოთხკუთხა, დაფანჯრულთავიანი. აღმოჩნდა 8-10 წლის გოგონას ჩონჩხზე.

ბეჭედი (09-XXV-81-151) ბრინჯაოსი. განიკვეთში მრგვალი რკალის აქვს. თვალბუდე აკლია. დმ 2,4 სმ. აღმოჩნდა 8-10 წლის გოგონას ხელებთან.

მშვილდსაკინძი (09-XXV-81-156) რკინისა დაქანგულია. დამტვრეული. შემორჩენილია ბრტყელი მშვილდის ნაწილი. აღმოჩნდა 8-10 წლის გოგონას მხართან.

სამაჯური (09-XXV-81-158) რკინისა. განიკვეთში მრგვალი დერო დაქანგულია. გატეხილია სამად. აღმოჩნდა 8-10 წლის გოგონას ხელებთან.

საყურე (09-XXV-81-162, 163) ბრინჯაოსი. 2 ც. იგი წარმოადგენს ოვალისებურად მორკალულ, თავგახსნილ რგოლს. ცალ მხარეს მირჩილული აქვს ორი მცირე ზომის რგოლი, რომლებზედაც ჩამოკიდულია ბრინჯაოს დერაკზე ასხმული მძივები მარგალიტით. რგოლის დმ 3,4-4,5 სმ. აღმოჩნდა 8-10 წლის გოგონას თავის ქალასთან.

აბზინდა (09-XXV-81-152) ბრინჯაოსი. აბზინდის რგოლი განიკვეთში სამკუთხაა. ხოლო განიკვეთში ოთხკუთხა ენა რგოლზე გადადის. დმ 2,4 სმ აღმოჩნდა 5-8 წლის ბიჭუნას მუცლის არეში.

აბზინდა 2ც (09-XXV-81-153,154) ბრინჯაოსი. მცირე ზომისა. დმ – 1,3 სმ, 3 სმ. აღმოჩნდა 5-8 წლის ბიჭუნას ფეხებთან. ალბათ წვივისაკრავებია.

მშვილსაკინძი (09-XXV-81-157) რკინისა. დაქანგული. იდო 8-10 წლის ბიჭუნას მხართან.

ეჟვანი 2ც (09-XXV-81-164,165) ბრინჯაოსი. ფუჟე. ჟღარუნათი. ქვემოდან ჭრილიანი. ელიფსური მუცლითა და ბრტყელი, გახვრეტილი ყურით. ზომები: 2,1X1,5 ს. აღმოჩნდა 8-10 ბიჭუნას მკერდის არეში.

375-ე ქვის სამარხში აღმოჩენილი ინვენტარიდან ჩვენს ყურადღებას იქცევს ვარცხნილობა. უინვალებელ გოგონას თავის ქალაზე ბრინჯაოს თავგახსნილი რგოლი იდო, რომელსაც კრავდა ბრინჯაოსვე შესაკრავი ცხვრის თავის რეალისტური გამოსახულებით. გოგონას თმა სამად ჰქონდა დაწნული და შემოხვეული ბრინჯაოს რგოლზე პირამიდისებურად, რომელშიც ჩარჭობილი იყო ათი სხვადასხვაგვართავიანი საკინძი, ხოლო ბრინჯაოს რგოლის ცენ-

ტრში იდო მითვალული ბრინჯაოს გულქანდი, რომლითაც მანდილი იყო დამაგრებული თავზე-თმებზე.

ანალოგიური ვარცხნილობა აღმოჩენილია ვაშლაჯვარას სამაროვნის №18 ქვის სამარხში. თავის ქალაზე იდო სამად დაწნული ნაწნავის ხვეული პირამიდისებურად, რომელსაც ჩარჭობილი ჰქონდა ერთი რკინის საკინძი (ვ. ნიკოლაიშვილი, 1978 გვ. 68). სამარხი ინვენტარის მიხედვით V-VI საუკუნით დათარიღდა.

ჟინვალის სამაროვანზე, ისე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონულ ძეგლებზე, საკინძთა დიდი ნაწილი სამარხებში მხოლოდ დედაკაცთა თავის ქალის არეში დადასტურდა. ისინი თავსაბურავისა თუ თმის ვარცხნილობისთვის იყო განკუთვნილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია შუბლის არეში დადასტურებული წყვილადი შუბლსაკინძები. მათში ქართული ჩიხთიკოპისა თუ თავსაკრავის მსგავსი თავსაბურავის შესაბნევი თუ დასამშვენებლად ჩარჭობილი საკინძები უნდა ვივარაუდოთ, ხოლო თვით ეს წესი თმის შემკობისა თუ თავის დაბურვისა IV ს გაჩენილია ჩვენში. ამრიგად, თითქოს ხელთა გვაქვს ქართველი ქალის ჩაცმა-დახურვის და ვარცხნილობის ამჟამად ცნობილი წესის საწყისები (საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 337). ჩიხტა უნდა მოერგოს ამა თუ იმ პიროვნების თავის ფორმას, რაც გარკვეულ დახელოვნებას მოითხოვს ოსტატისაგან (მ. გოგიჩაიშვილი, 1959, გვ. 113). ეს ჟინვალელ ოსტატს ბრწყინვალედ შეუსრულებლია. ისინი 1500 წლის შემდეგაც შუბლის არეში, თავის თავდაპირველ ადგილას დადასტურდა.

გ. ლომთათიძის დაკვირვება IV-V საუკუნის სამარხებზე გვიჩვენებს, რომ ქალებს თმა „ბულულეზად“ უტარებიათ და შიგ გრძელი, თავიანთი საკინძები ჰქონიათ დასამშვენებლად ჩარჭობილი (გ. ლომთათიძე, 1957, გვ. 114).

ადრეშუასაუკუნეების წერილობით ძეგლებში იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ ვხვდებით ცნობებს ჩვენთვის საინტერესო დედაკაცთა თმის ვარცხნილობასა და მათ ჩაცმა-დახურვაზე. მადალი წოდების ქალებს „თავი დაბურული“ უნდა ჰქონოდათ. პიტიახშის მეუღლეს თავზე „კუბასტი“ ებურა. მდაბიო დედაკაცები კი „თმაგატევებული“

დაუწნავი დადიოდნენ. მაღალი წოდების ქალს არ უნდა ეარნა „თმაგატევებულს“, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანს (იაკობ ხუცესი, 1979, გვ. 16, 17). „კუბასტს“ საბა ლეჩაქად განმარტავს, ნ.ჩუბინიშვილი კი თავსაბურავად.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აგვიწერს ქალთა ვარცხნილობას: ახალგაზრდა ქალებს „კავნი თვისსავე თმისა დაწვსა ზედა და ქუდი ან ლეჩაქი. არამედ ქმროსანთა კავსა ზედა აძესთ თმა შეწნული, მსხვილი იმიერ და ამიერ, და ყბას ქვეშ მარგალიტით შემზადებულს ამოიდებენ და თხემსა ზედა შეიკურენ და ჰბურავთ მასზედ ლეჩაქი (ბაგრატიონი, 1941 წ., გვ. 32). ვახუშტისეულ აღწერას ნიკოლოზ ალექსი მესხიშვილი უმატებს: „ხევსურეთში დღესაც გასათხოვარ მანდილოსანთ თმა თავზედ დაწნული, ხოლო გათხოვილთ გადატკეცილი აქეთო“ (ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი, გაზ. „ივერია“, 1904 წ., №6).

საინტერესოდ აქვს აღწერილი ქართველი ქალის ჩაცმულობა და ვარცხნილობა XIX საუკუნის მოღვაწეს დავით ფანასკერტელს: „ქალებს თავზე ებურათ ლეჩაქი ზედმოვლებულის ფოჩითა, რომელთამე ოქრომკერდისა, რომელთამე ჭიჭნაურისა. კავთა ანუ თმათა ზედა მსხვილი სხვა თმისაგან ნაქმარნი კავნი, ჭავლად ხმობილნი. შუბლთა ზედა თავსაკრავი ზოგთა მარგალიტით ნაკერნი... ყმაწვილთა ქალთა თავსა ზედა ეხურათ ყამჩი, მარგალიტით ნაკერი თვლითა. ყელმოსხნილნი, ლენქამოუხვევლად, არამედ ეხურათ მხოლოდ თავსა ზედა და ზურგზედ გადაფენილი (ფანასკერტელი-ციციშვილი დავით, 1901 წ., გაზ. „ივერია“, №121, 122).

წყაროებში გადმოცემული ცნობები ზუსტად ესადაგება ჟინვალის სინამდვილეს. სამარხები, რომლებშიც შუბლსაკინძები დადასტურებული, ანთროპოლოგიური მონაცემებით დედაკაცებს ეკუთვნოდათ, რომელთა ასაკი 20 წლის ზემოთ განისაზღვრა. მათ თავზე ჩიხტა ჰქონათ გადაკრული წყვილი შუბლსაკინძით, ზოგ შემთხვევაში ჩიხტა მძივებით იყო ნაკერი. ხოლო სამარხები, რომლებშიც 10-15 წლის გოგონების ჩონჩხი დადასტურდა, თმა დაწნული ჰქონდათ და დამაგრებული თავს ზემოთ. მდიდრებს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი საკინძებით, მდა-

ბიოებს კი იგივე ვარცხნილობა ერთი საკინძით ჰქონდათ ჩამაგრებული.

ქართული წერილობით და ლიტერატურული ძეგლებში ასახული სიტუაცია უინგალის არქეოლოგიურმა მასალამ ერთხელ კიდევ დადასტურა და დამაჯერებელი გახადა ვარაუდი, რომ ადრეშუასაუკუნეებში ქართველი ყმაწვილი ქალები თმას სამად იწნავდნენ, თავს ზემოთ იღებდნენ და იმაგრებდნენ საკინძებით. საკინძებითვე ან გულქანდითაა თმებზე დამაგრებული მანდილი, რომელიც ზურგზე აქვთ გადაფენილი. ხოლო დედაკაცებს, „ქმროსანთ“ შუბლზე ჩიხტიკოპი მჭიდროდ აქვთ გადაკრული, თმა დაწნული ან კავებად (დალაღებად) დაშვებული. შუბლის არეში წყვილადი შუბლსაკინძებია დადასტურებული და ზოგჯერ ნაწნავები საკინძებით არის დამშვენებული. ჩიხტიკოპი ხშირად მძივებისაგან არის ნაკერი. მანდილი ხშირ შემთხვევაში მძივებით არის შემკული და საკინძებით თმებზე – თავზე დამაგრებული, ან კავებქვეშაა ამოდებული და თხემზე შეკრული.

375-ე ქვის სამარხი მასში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით V-VI სს. დათარიღდა. ანალოგიური საკინძები აღმოჩენილია მცხეთაში, არმაზისხევსა და ნავთსადენში (ნ. უგრელიძე, 1956) სამთავროს სამაროვანზე (ო. ტყემელაშვილი, 1957 წ., გვ. 149-162). ტუიაქოჩორას სამაროვანზე (ვ. ნიკოლაიშვილი, 1978, გვ. 157-169), მუხათგვერდში (ლ. ხეცურიანი, 1982, გვ. 56-50), ერწოთიანეთის სამაროვნებზე (ბ. ჯორბენაძე, 1982). ქვემო ქართლში ალევში (ნ. აფხაზავა, 1988) და ადრე შუა საუკუნეებით დათარიღებული სხვა ქართული არქეოლოგიურ ძეგლებზე.

როგორც განხილულ მასალებიდან ჩანს, საკინძები IV-VIII სს. ქართველი ქალის თავსამკაულის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. იგი ქართული წარმოშობისაა, ადგილზევეა დამზადებული და ადრეულ შუა საუკუნეებში გვხვდება საქართველოში და მის მეზობლად – ქართული კულტურის გავლენის სფეროში მყოფ ქვეყნებში.

ამავე სამარხის ორგანულ ნაშთებზე ცატარდა პალიონოლოგიური გამოკვლევა.

პალინოლოგიური მეთოდის საანალიზოდ აღებულია ქინვალის 375-ე ქვის სამარხში მოპოვებული დაწნული თმის ნაწილი. თმაში ნაპოვნია შავი ფერის მკერვი ორგანიკის ნაშთიც. ეს ნაშთი, რომლის მოცულობა 5 მმ3 ცალკე იქნა დამუშავებული როგორც ნიმუში №1. დაწნული თმის გრეხილი მონაკვეთი, რომელიც უფრო სუფთა იყო დამუშავდა როგორც ნიმუში №2. თმის ზომა სიგრძეში 1 სმ და სიგანეში 0,5 სმ იყო.

№1 ნიმუშის ლაბორატორიულმა დამუშავებამ მოგვცა შემდეგი: შედეგი პალინოლოგიური სპექტრი მდიდარია, მტვრის მარცვლები გამოირჩევა კარგი დაცულობით. განხილულ სინჯში დათვლილია 293 მტვრის მარცვალი, აქედან 135 მიეკუთვნება ხემცენარეთა ჯგუფს, 158 კი ბალახოვნებს. ნაპოვნია აგრეთვე 26 ტყის გვიმრის სპორა. ხეებს შორის ბევრია ფიჭვის და კაკლის მტვრის მარცვლები. მეორე დომინანტი თხილია. ნაკლებია რცხილის, წიფლის, მუხის, თელას, ცაცხვის, იფნისა და მურყნის შემადგენლობა. ერთეული მტვრის მარცვლებით აღინიშნება მაღალმთის ტყის ელემენტები (ნაძვი, სოჭი და არყა).

ბალახოვანთა შორის ჭარბობენ ეზოს და ბაღების სარევეები. აღინიშნება აგრეთვე ხორბლის მტვრის მარცვლები.

არაპალინოლოგიური ხასიათის ნამარხების რაოდენობა 225-ა და იგი პალინომორფების 52% შეადგენს. ჭარბობს ტექსტილის ბოჭკო. დათვლილია 88 აბრეშუმის ბოჭკო. 32 ბამბის და 8 სელის ქსოვილის ბოჭკო. აღინიშნება სოკოს სპორები, განსაკუთრებით ბევრია ის სოკო, რომლებიც შინაური ცხოველების ნაკელზე იზრდებიან. ნაპოვნია ტყიპების რამოდენიმე მიკრონაშთები.

№2 ნიმუშში ნაპოვნია 143 მტვრის მარცვალი. აღსანიშნავია, რომ თმის პალინოლოგიური სპექტრი შედგება მხოლოდ ბალახოვნების მტვრისაგან. დომინირებს სმირნა. მისი მტვრის მარცვალი 48-ს აღწევს.

მეორე დომინანტი ჭინჭრის მტვერია. დათვლილია მისი 20 მტვრის მარცვალი. პალინოლოგიურ სპექტრში აღმოჩენილი ექვსი ხორბლის მტვრის მარცვალი. არის სხვა კულტურული და ველური მარცვლოვანების მტვერიც.

განხილული პალინოლოგიური სპექტრების ხასიათი საფუძველს იძლევა, რომ ნიმუში №1 ჩაითვალოს როგორც აბრეშუმის თავსაბურავის ნაშთი, რადგან მასში ძალიან ბევრია აბრეშუმის ქსოვილის ბოჭკო. სინჯში არსებული მცენარეთა მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობა და მათი ტაქსინომიური სიმდიდრე იმის დასტურია, რომ თავსაბურავი ხანგრძლივ ხმარებაში უნდა ყოფილიყო. ტყის ელემენტების საკმაოდ მნიშვნელოვანი მონაწილეობა თავსაბურავის ბოჭკოებში, დასტურია იმისა, რომ მიცვალებული სიკვდილამდე სშირად დადიოდა ტყეში. მაგრამ ის ფაქტი, რომ გარდაცვლილის თმებში არანაირი ხემცენარის მტვერი არ აღმოჩნდა, გვაფიქრებინებს, რომ მისი სიცოცხლის ბოლო მონაკვეთი ხანგრძლივი ავადმყოფობა უნდა ყოფილიყო, როდესაც იგი სახლის ეზოს ვეღარ სცილდებოდა. თმების სპექტრში აღიბეჭდა მხოლოდ და მხოლოდ ეზოს სარეველები და ხორბლის ნათესების კომპონენტები, რომლებიც ალბათ სახლთან ახლოს იზრდებოდა.

რაც შეეხება ჭინჭრის მტვრის დიდ რაოდენობას აქ ასეთ ვარაუდს ვაკეთებთ. ჭინჭარი სამკურნალო მცენარეა, იგი თმის ძირებს ამარაგებს, ასევე როგორც შამპუნი, თმასაც არბილებს. ალბათ იმ დროს, ჭინჭრის ეს თვისება იცოდნენ და მიცვალებული თმის დასაბანად ამ მეთოდს ხმარობდა. ჭინჭრის მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობა მიუთითებს იმას, რომ გარდაცვალება მოხდა გაზაფხულზე, როცა ყვავილობს ჭინჭარი. ეს არგუმენტი დასტურდება აგრეთვე კაკლისა და ფიჭვის მტვრის დიდი რაოდენობით. ორივე ეს მცენარე გაზაფხულზე ყვავილობს. (აპრილის მეორე ნახევარი, მაისის დასაწყისი), სწორედ ეს თარიღია სავარაუდო მიცვალებულის დაკრძალვისა.

რაც შეეხება იმ დროინდელ ტრადიციებს, სმირნის და სხვა სურნელოვან მცენარეთა მტვრის დიდი რაოდენობა გვაფიქრებინებს, რომ მიცვალებულს აცხეს სურნელოვანი ზეთი ან ის ტილოც დაასველეს, რომელშიც მიცვალებული დაკრძალვის მომენტში იყო გახვეული.

თმებში ნაპოვნი სელის ბოჭკო, ჩვენი ვარაუდით წარმოადგენს დაშლილი სუდარის მიკრონაშთს. ბამბის ბოჭკო

კი მოხვედებოდა მიცვალებულის ტანსაცმლიდან ან საწოლიდან.

საბოლოოდ შეიძლება ასეთი დასკვნები გავაკეთოთ:

მიცვალებულის თავსაბურავი აბრეშუმის ქსოვილისგან იყო დამზადებული, რაზეც იქ ნაპოვნი აბრეშუმის ბოჭკოს დიდი რაოდენობით აღმოჩენა მიუთითებს. თავსაბურავი ნახშიარი იყო.

დაკრძალვა აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. ამის დასტურია უხვად წარმოდგენილი ჭინჭრის და კაკლის მტვერი.

გარდაცვალების მიზეზი ხანგრძლივი ავადმყოფობა უნდა ყოფილიყო, რადგან მიცვალებულის თმის პალინოლოგიურ სპექტრში მხოლოდ ეზოს სარეველებია აღბეჭდილი.


V-VI სს. ჟინვალის რეგიონში დღევანდელთან შედარებით უფრო გრილი კლიმატი ყოფილა, რადგან აქ იზრდებოდა მაღალმთის ელემენტები: სოჭი, ნაძვი, ფიჭვი და არყა. დღეს აქ მუხა და რცხილა დომინირებს, რომლებიც უფრო სითბოს მოყვარულნი არიან.

ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობაში მესაქონლეობას დიდი როლი უნდა ჰქონოდა, რაზედაც პალინოლოგიურ სპექტრში ნაპოვნი იმ სოკოს სპორებია, რომლებიც იზრდება შინაური ცხოველების ნაკელში.


ჟინვალის სამაროვნის 375-ე ქვის სამარხის პალინოლოგიური გამოკვლევა არაგვის ხეობის სამაროვანზე პირველად ჩატარდა, რითიც დადასტურდა მიცვალებულის გარდაცვალების დრო და დაკრძალვის წეს-ჩვეულება. აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით სამარხი თარიღდება V-VI საუკუნეებით. მასში აღმოჩენილი ვარცხნილობის ნაშთი, რომელიც სრულად იყო შემორჩენილი, უნიკალური არქეოლოგიური მონაპოვარია და მდიდარ ინფონმაციას იძლევა იმდროინდელი კულტურის რწმენა-წარმოდგენებზე, ფლორასა და ფაუნაზე.

ჟინვალის სამარხი	ნიმუში №1	ნიმუში №2
	ქსოვილი	თმა
ხემცენარეები:		
Abies nordmanniana (სოჭი)	2	
Picea orientalis (ნაძვი)	1	
Pinus (ფიჭვი)	45	
Juniperus (ღვია)	1	
Betula (არყა)	2	
Fraxinus (იფანი)	1	
Juglans regia (კაკალი)	44	
Alnus (მურყანი)	4	
Fagus orientalis (წიფელი)	3	
Carpinus caucasica (რკხილა)	6	
Carpinus orientalis (ჯაგრკხილა)	2	
Ulmus (თელა)	1	
Quercus (მუხა)	3	
Tilia (კაცხვი)	2	
Evonymus (ჭანჭყაძა)	1	
Corylus (თხილი)	17	
ხემცენარეთა ჯამი	135	0
ბალახოვნები:		
Cerealial (სათესი მარცვლოვნები)	1	3
Triticum (ხორბალი)	3	6
Poaceae (მარცვლოვნები)	9	6
Artemisia (აეშანი)	2	2
Chenopodiaceae (ნაცარქათამა)	10	8
Cichorioideae type (ვარდკაჭაჭა)	8	
Aster (ასტრა)	3	
Achillea (ფარსმანდუკი)	9	
Carduus (ნარშავი)	1	
Centaurea (დიდილო)		2
Serratula type (ირმისმსხალა)	2	
Polygonum (მატიტელა)	7	
Convolvulus (ხვართქელა)	13	
Fabaceae (პარკოსნები)	5	3
Melissa type (ბარამბო)		2

Lamiaceae	5	
Ranunculus (ბაია)	2	
Boraginaceae (ჭარხლისებურნი)	7	
Echium (ძირწითელა)		1
Malva (ბალბა)		1
Plantago m/m type (მრავალპარღვა)	2	1
Plantago lanceolata type (მრავალპარღვა)	5	
Urtica (ჭინჭარი)		20
Apium (ნიახური)	7	3
Smyrnium type (სმირნა)		48
Trifolium type (სამყურა)		13
განუსაზღვრელი ბალახოვნები	31	22
Polypodiaceae undeff.	24	2
Polypodium vulgare (კილამურა)	1	
Bothrychium lunaria (მარგალიტა)	1	
ბალახოვანთა ჯამი	158	143
არაპალინოლოგიური ნაშთები:		
Fibers of silk (აბრეშუმის ბოჭკო)	88	2
Fibers of cotton (ბამბის ბოჭკო)	52	11
Fibers of flax (სელის ბოჭკო)	8	20
Hair of man (ადამიანის თმა)		192
Coprophilleus Ascospores	27	
Sordaria type	5	
Sporormiella	2	
Neurospora	3	
Spirogira (სპიროგირა)	1	
Hair of Acari (ტკიპის ჯაგარი)	4	4
ზომასაღა		4
ფიჭვის მერქნის პარენქიუჯრედები	25	2
სხვა მერქნის პარენქიუჯრედები	10	
მტვრის მარცვლების ჯამი	293	143
არაპალინოლოგიური ნაშთების ჯამი	225	235
პალინომორფების საერთო ჯამი	518	378



სამარხი 375-ის სამარხული ინვენტარი



თმის ვარცხნილობის ნაშთი, რომელშიც შემორჩენილია საკინძები და გულქანდი (in situ)



თმის ვარცხნილობის აღდგენის ცდა (მხატვარ ელზა გომარელის მიერ)



შემორჩენილი თმის ნაშთი

**RESULTS OF THE PALYNOLOGICAL STUDY OF THE
WOMAN HEAD ORNAMENT, HAIR-DO AND ORGANIC
REMAINS BEING FOUND IN THE N375 STONE BURIAL
GROUND OF JINVALI TOMB**

In the stone burial ground N375 of a Jinvali tomb is discovered a woman head ornament being dated from the V-VI centuries. The remains of the hair-do was also found in the burial. It belonged to the 13-15 year old girl. According to the hair-do remains the data being confirmed in the historical sources pointing to the fact, that in that period the hair-do of the juveniles was directed towards the heavens is clearly seen. According to the Christian religion the souls of juveniles were led to the heaven by the angels. As for those having husbands (married women) – they wore their hair plaited and directed towards the “underworld“. The corps were washed with the “Smyrna” oil and the head gear was made of silk.


The Palynological study was first made in the tomb of the Aragvi gorge and gave the following interesting results: concerning the period of death, clothes and provision (food).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

- აფაქიძე ა., მანჯგალაძე გ., და სხვა. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში – მცხეთა II, თბ., 1978, გვ. 81-156.
- აფხაზავა ნ., ქვემო ალგვი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბ., 1988;
- ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1941, გვ. 32.
- ბერძენიშვილი ნ., ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან თბ., 1960 წ., გვ. 150.

- გოგიჩაიშვილი მ., ხელოსნობა საქართველოში თბ., 1959, გვ., 113.
- ლომთათიძე გ., საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს, თბ., 1957, გვ. 114.
- აღექსი-მესხიშვილი ნიკოლოზ, ისტორიული პიესების წარმოდგენის გამო, გაზ. „ივერია“, 1904 წ., №66.
- ნიკოლაიშვილი ვ., ვაშლაჯვარას სამაროვანი, კრ. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 68.
- ნიკოლაიშვილი ვ., ტუიქორას სამაროვანი, მცხეთა II, თბ., 1978, გვ. 157-169.
- საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 337.
- ტყეშელაშვილი ო., სამთავროს ახ. წ. IV-VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი ქინძისთავეები – სსმმ, ტ. XIX-A-XXI-B, 1957, გვ. 149-162.
- უგრელიძე ნ., ადრეფეოდალური მცხეთის მატერიალური კულტურა არმაზისხევის და ნავთობსადენის არქეოლოგიური მასალების მიხედვით, 1956 წ. (ხელნაწერი ინახება აკცა-ში).
- ფანასკერტელი-ციციშვილი დ., შემოკრებული მოთხრობა ქცევათა და ჩვეულებათათვის ქართველთა, გაზ. „ივერია“, 1901 წ., №121, 122.
- ჩიხლაძე ვ., ჟინვალის კატაკომბები, პრეპრინტი, თბ., 1990.
- ჩიხლაძე ვ., ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებული საკინძები, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, თბ., 2005, გვ. 195.
- ჭანტურიაშვილი ს., ეთნოლოგიის ქრესტომათია, თბ., 1997 წ., გვ. 260.
- ხეცურიანი ლ., მუსხთავერდი I, ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი, არქეოლოგიური ძიებანი (ახალგაზრდა მკვლევართა II და III სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1982, გვ., 56-60.
- იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“. კრ. ძველი ქართული მოთხრობა, თბ., 1979, გვ. 16-17.

ანთროპოლოგია



ლია ბითაძე, რამაზ შენგელია,
ელისო ჭვავაძე, შორენა ლალიაშვილი

ბიოარქეოლოგიური კვლევების განვითარება საქართველოში (აქტუალობა და პერსპექტივები)

არქეოლოგიაში პალეოანთროპოლოგიური მონაცემების უძველესი წარსულის რეკონსტრუქციისათვის როგორც უძველესი წყაროს გამოყენებას დიდი ტრადიცია აქვს. ანთროპოლოგიური კვლევები დარგის განვითარებასთან ერთად მეცნიერების სხვადასხვა დისციპლინისა თუ მიმართულების მეთოდებით აღიჭურვა. ამიტომ XX საუკუნეში გაჩნდა ინტერდისციპლინარული დარგი, რომელსაც ბიოარქეოლოგია ეწოდა.

ბიოარქეოლოგია, თავისი ფართო გაგებით, საქართველოშიც, ბუნებრივია, პალეოანთროპოლოგიისა და პალეოპათოლოგიის შესწავლით იწყება. პირველადი ინფორმაცია, რომელსაც არქეოლოგიური გათხრებისას ვიღებთ, ეხება ადამიანის კულტურული მოღვაწეობის შედეგად წარმოებულ შრომის იარაღებს, ნივთებს და ასევე ორგანულ ნაშთებს. ორგანული ნაშთების შესწავლა სხვადასხვა დარგის მეცნიერების მიერ ხორციელდება.

პალეოანთროპოლოგიური კვლევებით დადგინდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მორფოლოგიური ტიპის ცვალებადობა უძველესი დროიდან დღემდე [1: 1-207; 2: 1-203]. ამ და სხვა ნაშრომებში პირველად დადასტურდა უდიდესი სამეცნიერო მნიშვნელობის ფაქტი კავკასიის ტერიტორიაზე ძველი და თანამედროვე მოსახლეობის ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ. დამკვიდრდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ პალეოანთროპოლოგიური ტიპების მორფოლოგიური სიახლოვე მატულობს მათი ქრონოლოგიური ასაკის მატებასთან ერთად, რაც თავის მხრივ, იმის მანიშნებელია, რომ ადგი-

ლობრივ პოპულაციებს შორის მსგავსება პირველადია, ხოლო დიფერენციაცია – მეორადი, ჩამოყალიბებული ისტორიული განვითარების შემდგომ პერიოდში [3: 5-58; 4: 8-62]. შექმნილია კავკასიის ხალხთა ორიგინალური კლასიფიკაცია [1: 66-74], გამოყოფილია კავკასიონის ანთროპოლოგიური ტიპი [5: 322], კავკასია განიხილება, როგორც ერთადერთი რეგიონი, სადაც სამხრეთევროპეიდული რასის სამივე ძირითადი განშტოება კავკასიური ნაირსახეობითაა წარმოდგენილი და ამდენად სამხრეთევროპეიდული რასის გენეზისი კავკასიასთანაა დაკავშირებული [6: 14-22].

პალეომოსახლეობის ფიზიკური განვითარების შესწავლა და სამკურნალო მანიპულაციები ძვლოვან მასალაზეა შესაძლებელი. უძველესი ოპერაციული ჩარევები და თანაც თავის ქალაზე ცნობილია უკვე მეზოლითში და მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. აღსანიშნავია, რომ ტრეპანაციის აუცილებლობა გამოწვეული უნდა ყოფილიყო ერთის მხრივ, რიტუალურ მომენტთან, ხოლო მეორე მხრივ, ტრავმების შედეგების სალიკვიდაციოდ და ანთებითი პროცესებისა და ფსიქიკური აშლილობის მქონე დაავადებულთა სამკურნალოდ [7: 28]. პ. ფირფილაშიილმა აღწერა მამაკაცის თავის ქალა (ძვ. წ. XII ს.) რომლის თხემის ძვლის ზემო ნაწილში, შუბლის ძვლის მოსაზღვრედ აღინიშნებოდა ოვალური ფორმის დეფექტი, რასაც ტრეპანაციის კვალიფიკაცია მიეცა. დეფექტის პერიფერიაზე რეაქტიული მოვლენების კვალია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ინდივიდი ტრეპანაციის შემდეგ გარკვეულ ხანს ცოცხლობდა [8:505-508].

იგივე ავტორი აღწერს მამაკაცის თავის ქალას (ძვ.წ VII-VI სს.) ტრავმულ მოტეხილობებს სიონის კრანიოლოგიურ სერიაში (X-XI სს). საგვარჯილემში მოპოვებულ (VI-XII სს.) 40-50 წლის ასაკის მამაკაცის თავის ქალაზე შიგნითა ზედაპირზე ჩანს მოტეხილი ფრაგმენტების კონსოლიდაციის სურათი. ამავე მამაკაცს შეზრდილი ჰქონდა წვივის ძვლებიც მკურნალობის დადებითი შედეგით [9: 737-744]. ეს შემთხვევები ადასტურებს საქართველოში ქირურგიული მკურნალობისა და ავადმყოფის მოვლის საკმაოდ მაღალ დონეს.

XX საუკუნის 30-იან წლებამდე საქართველოს მთიანეთში მოქმედებდნენ სახალხო მკურნალები (მგელიკა ლიქოკელი, ალეკო ოჩიაური და სხვა), რომელნიც მეტად წარმატებულ ტრეპანაციებს აკეთებდნენ. ამ მკურნალობის შედეგები 60-70-იან წლებშიცაა დაფიქსირებული [10: 110-115]. გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიურ მასალაში სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დასტურდება ჩატარებული ოპერაციების დიდი რაოდენობა, რაც უძველეს ტრადიციაზე მიუთითებს [11: 78-85].

3. ფირფილაშვილის [12: 249-252] მიერ შენიშნულია ბრინჯაოს ისრით მიყენებული დაზიანებებიც VIII-VI ს-ის ადამიანის თეძოს ძვალზე და VII-VI ს-ის ადამიანის წელის მალაზე, სადაც ოპერაციულ ჩარევას ადგილი არ ჰქონია, არც შემდგომი პათოლოგიის კვალი, რაც დაზიანებულის სწრაფ სიკვდილზე მეტყველებს.

პალეოპათოლოგიურ კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტრავმატული დაზიანების ანალიზს, რადგან იგი ხშირად გვხვდება პალეომოსახლეობის ძვლოვან ნაშთებზე. დაზიანებები შეიძლება იყოს მიყენებული სხვადასხვა მიზეზებით (უბედური შემთხვევები, ძალადობები, საომარი მოქმედებები). ძვლოვანი მასალის ტრავმატული დაზიანების ხარისხი და მდგომარეობა იძლევა საშუალებას განისაზღვროს იარაღის ტიპი, რომლითაც იყო მიყენებული დაზიანება. ჭრილობების შეხორცების შესაძლო ვადები, ანთებითი პროცესების კვალი [13: 27-41]. გარდა ამისა, ტრავმების სისშირე და ხასიათი შეიძლება გახდეს ამ მოსახლეობის საომარ მოქმედებებში მონაწილეობის, ცხოვრების წესის და სოციალური სტატუსის განმსაზღვრელი ნიშანი [14: 60-72].

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ უფრო ადრინდელ მასალებში არაერთგზის იყო მოყვანილი თავის ქალას ტრავმების (თავის ქალა №724 სამთავროდან), ჩონჩხის დაზიანებების შემთხვევები. ტრავმის შედეგად წარმოქმნილი დეკომპესიული ტრეპანაცია ჩატარებული იყო დაახლოებით ძვ.წ. VIII-VII [15: 241-248]. ამავე დროს, საქართველოში ერთ კონკრეტულ პალეოპოპულაციაში, ან სერიაში ტრავმები დღემდე არ იყო შესწავლილი. ამ პრობ-

ლემას სპეციალური ნაშრომი მიეძღვნა [16: 81-82]. გამოკვლევაში ჩართული იყო აღმოსავლეთ კავკასიონის მთის მოსახლეობა, სადაც გვიანი შუა საუკუნეების ქართველები წარმოდგენილი იყვნენ სიონის, არღუნის, შატილის და ყაზბეგის სერიებით; ინგუშების სერიები სოფლებიდან: არზი, ბეჟთი, ხული, ხოლო ჩეჩნების – სოფელ მაისთიდან. ამ გამოკვლევაში მთიელების სერიები სპეციალურად იყო გამოკვლეული, რადგან მათთვის დამახასიათებელია სისხლის აღება. გარდა ამისა, ხევსურეთში იყო გავრცელებული ფარიკაობა ახვეული თვალებით [17: 307]. წარმოდგენილ სერიებში ტრავმები თავის ქალაზე აღრიცხული იყო შუბლის, საფეთქლის, თხემის, კეფის არეში და გამოთვლილ იქნა დაზიანების საერთო პროცენტი. ყველაზე ხშირად ტრავმები შუბლის (12,9%) და თხემის ძვლებზე (10,1%) აღინიშნა. ტრავმული დაზიანებები ყველაზე ხშირად სოფ. ბეჟთის ინგუშებს (39,7%), არღუნისა (32,0%) და შატილის (28,3%) ქართველებს, მაისთის ჩეჩნებს (27,5%) ახასიათებთ. წარმოდგენილ სერიებში თავის ქალების რაოდენობა მცირეა, გარდა შატილისა (n=60), და სოფ. ხულის ინგუშებისა (n=52). ამიტომ, ტრავმების სტატისტიკურად დამაჯერებელი განსხვავება-მსგავსებაზე მსჯელობა რთულია. ერთი რამ უდაოა, აქ ტრავმების დონე მაღალია. ინგუშების სერიებში ტრავმების საშუალოდ 28,1% შემთხვევა აღინიშნება, ქართველების სერიების ანალოგიური მაჩვენებელი 23,1% უდრის. მასალის ანალიზი სქესის მიხედვით, ეთნიკური კუთვნილების გარეშე, აღმოსავლეთ კავკასიის მოსახლეობაში ქალებისა და ბავშვების მაღალ ტრავმატიზმზე მიუთითებს.

ამ მასალის მიხედვით, სიონის მოსახლეობა გაცილებით უკეთეს პირობებში ცხოვრობდა, რადგან მათ ტრავმები ძალიან დაბალი სიხშირითა და ისიც მხოლოდ მამაკაცებს აღენიშნებათ. განსხვავებული სურათია სოფ. ბეჟთისა და არზის ქალებში, რომელთა ნახევარს ტრავმული დაზიანებები აღენიშნებოდათ. შატილის მოსახლეობაში ტრავმების 1/3 ასევე ქალების და ბავშვების თავის ქალაზე იყო აღნიშნული.

თავის ქალას დაზიანებები, ძირითადად, შუბლისა და თხემის ძვლებზეა დაფიქსირებული. წარმოდგენილ მასა-

ლაში ერთდროული დაზიანებები შუბლსა და საფეთქლის, თხემისა და კეფის არეში არაერთგზისაა გამოვლენილი. მამაკაცის (№283) თავის ქალაზე შატილიდან აღინიშნება ღია ჭრილობა კეფაზე და მარჯვენა თხემის ძვალზე, ასევე ღია ჭრილობა შუბლზე. ალბათ, ეს დაზიანებები მიღებული იყო ომში და ამიტომ ტრავმები სასიკვდილო აღმოჩნდა. ქალის თავის ქალაზე სოფ. ხულიდან (№596) აღნიშნულია ძალიან დიდი, მარცხენა საფეთქლის ძვლიდან თხემის ძვლამდე ღია გამჭოლი ბასრი იარაღით მიღებული ჭრილობა, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი გამხდარა. უმეტეს თავის ქალებზე ტრავმების კომპლექსიური ხასიათი აღინიშნება [16: 82].

მოყვანილი მასალა იმაზე მიუთითებს, რომ განხილული რეგიონი მაღალი ტრავმული რისკის ზონად უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნული დაზიანებების ნაწილი, უდაოდ, ბრძოლის დროსაა მიღებული, ხოლო ქალებსა და ბავშვებში დაფიქსირებული ტრავმები მიუთითებს მათი ცხოვრების წესსა და საქმიანობაზე [18: 51-74].

საქართველოს ძველ მოსახლეობაში, ბიოარქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ძვალსახსართა ტუბერკულოზი, ბექტერევის დაავადება, არასპეციფიკური ანთებითი პროცესები და სხვა არ წარმოადგენდნენ იშვიათ პათოლოგიათა რიცხვს. 1963 წელს პ. ფირფილაშვილმა პიველად აღწერა ბექტერევის დაავადების შემთხვევა (VIII-XII სს.) და აღნიშნა სრული ანკილოზი, სადაც ხერხემლის სვეტი კისრის მე-5 და გულმკერდის 1-6 მალის დონეზე ერთ მთლიან სხეულს წარმოადგენდა, ხოლო გულმკერდის მარჯვენა 1-4 და მარცხენა 2-7 მალეების ნეკნებთან შეზრდის ადგილს. XV-XVIII საუკუნეების ძვლოვან მასალაში შემჩნეულია მუხლის სახსრის ანკილოზი, რომელიც ასევე ტუბერკულოზით უნდა ყოფილიყო გამოწვეული [15: 737-744].

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალაში კეთილთვისებიანი სიმსივნეც დასტურდება – XVII საუკუნის 30-35 წლის ქალის (სიონის კრანოლოგიური სერია) მარცხენა ყვრიმალის ძვლის ოსტეომა. ოსტეომის მეორე შემთხვევა იგივე ავტორმა შეამჩნია XVII-XVIII საუკუნეების 35-40 წლის

მამაკაცის შუბლის ძვლის შუა ნაწილში (აღმ. საქართველოს მთიანეთი, სოფელი შატილი). ჩონჩხის ძვლებზე შეინიშნება ანომალიებიც: მარცხენა მეოთხე ნეკნის გაორკაპება ერთი გრძელი დაბოლოებით. აგრეთვე აღნიშნულია ძვლოვანი წანაზარდი მარჯვენა მხრის ძვალზე [15: 740].

პ.ფირფილაშვილის მიერ მოსკოვის დონის მონასტერში ქართველ მეფეთა საფლავების ბიომასალის შესწავლა კარგი მაგალითია სერუპულოზური, გამოწველივითი კვლევისა, სადაც დადგენილია ბაგრატიონთა ზოგიერთი წარმომადგენლის (XVII-XVIII სს.) პალეოდავადებები [19: 122-125; 20: 123-131; 21: 106-111].

საქართველოს მოსახლეობის პალეოსტომოტოლოგიურმა კვლევებმა უძველესი დროიდან დღემდე ცხადჰყო ბილის კარიესის ეპოქალური დინამიკა [22: 85-87].

აღრე გამოქვეყნებული ნაშრომების ძირითადი ნაკლი არის მხოლოდ პათოლოგიების კონსტანტაცია (დაფიქსირება), ხოლო სპექტრის განსაზღვრა ან თუნდაც ერთი სამართონის მოსახლეობის მაგალითზე, ეკოლოგიური თუ სოციალური ფაქტორების როლის შეფასება და ცხოვრების დონის და წესის განსაზღვრა დღემდე არ განხორციელებულა. ამიტომ, ჩვენი აზრით უმნიშვნელოვანესია კვლევების პოპულაციურ ასპექტში გადაყვანა, მთლიანად გარემო და სოციალური ფაქტორების შეფასება, რომელთა ზეწოლის შედეგად ყალიბდება ესა თუ ის პათოლოგიათა სპექტრი. უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობაში განხილული იყო ფიზიოლოგიური სტრესისა და ეპიგენეტიკური ნიშნების ცვალებადობის რამდენიმე ასპექტი [23:1-219].

ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების გავრცელება და დინამიკა (ეპოქალური ასპექტი) საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალაში (აღრე ბრინჯაოდან გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით) გვიჩვენებს, რომ სტრესის მარკერების სისშირის რეალური შეფასება კავშირშია საკვლევი მასალის მოცულობასთან; გამოკვლეულთა რაოდენობის ზრდასთან ერთად სქესობრივი დიმორფიზმის გამოვლინება რიგ შემთხვევაში მცირდება. ყველაზე მაღალი სისშირით სტრესის მარკერები გამოვლენილია განვითარებული შუა საუკუნეების მოსახლეობაში, სადაც 10-დან 7 მარკერი სწორედ ამ

ეპოქის მოსახლეობაში მაქსიმალური სიხშირით იყო გავრცელებული. ჰიპეროსტოზი თვალბუდეების არეში უმნიშვნელოდ მაღალია ადრეულ შუა საუკუნეებში, ემალის ჰიპოპლაზია მნიშვნელოვნად მეტია გვიანი შუა საუკუნეებში და ამავე პერიოდში კარიესის მაქსიმალური რაოდენობაცაა დაფიქსირებული. მასალის ანალიზიდან ჩანს, რომ ყველაზე ხშირად ინფექციური დაავადებები გავრცელებული იყო განვითარებული შუა საუკუნეების მოსახლეობაში. სტრესის მარკერების გავრცელება დროში იმას გვიჩვენებს, რომ იგი დაკავშირებულია სამხრეთულ ზონასთან, სადაც ინფექციები მძვინვარებდა [23: 47-98].

ერთ ეპოქაში აღებული სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობაში ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების გავრცელება (ეკოლოგიური ასპექტი) განხილული იქნა განვითარებული შუა საუკუნეების მასალის საფუძველზე.

განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდში გამოვლენილია ისეთი ძირითადი ნიშნები, როგორცაა ფორთოხლის ქერქის სინდრომი (ფ.ქ.ს), ჰიპეროსტოზები თხემზე, კეფაზე და კბილების ცვეთა. მათ ახასიათებს კლინარული (მიმართული) ცვალებადობა, რაც გარკვეული ბუნებრივი ფაქტორების ზეგავლენაზე მეტყველებს. ამ ფაქტორებში იგულისხმება განსხვავებული კვების ტიპი, რაც მიუთითებს კბილების ცვეთაზე; ამ რეგიონებში ჰიპეროსტოზების არსებობა ინფექციური დაავადებების გავრცელებაზე და იმუნიტეტის დაქვეითებაზე მეტყველებს; ფორთოხლის ქერქის სინდრომი ტემპერატურის ცვალებადობაზე მიუთითებს. აღნიშნულ რეგიონებში ფ.ქ.ს. მაღალი შემცველობა უფრო მეტად მაღალმთიან რეგიონთანაა დაკავშირებული (შატილი).

ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების გავრცელების მიხედვით, გამოიკვეთა რეგიონების დიფერენციაცია. ემალის ჰიპოპლაზია გამოვლენილია ძალიან მცირე რაოდენობით, მხოლოდ იმერეთში (0,05) და ქართლში (0,04). დანარჩენი მარკერების სიხშირეების მიხედვით ყველასაგან შეიძლება გამოვყოთ იმერეთის რეგიონი, რომლის მოსახლეობაში ნაკლებადაა გავრცელებული კბილების ცვეთა (0,21), კბილების

სიცოცხლეშივე დაკარგვა (0,05), ფ.ქ.ს. (0,26), ჰიპეროსტოზები (0,44) და არ არის დაფიქსირებული კარიესი (0).

შატილის მოსახლეობა მაქსიმალურად განიცდიდა მწვავე ინფექციების (ჰიპეროსტოზების საშუალო სისშირე 0,87) ზეწოლას ექსტრემალურ კლიმატურ პირობებში, რაზეც ფ.ქ.ს. ყველაზე მაღალი სისშირე მეტყველებს (0,64). ამ რეგიონის მოსახლეობაში მაღალია კბილების ცვეთა (0,64) და ატროფია (0,36), ხოლო ძალიან მცირეა კარიესი (0,05).

უინვალის მოსახლეობაში მაქსიმალურად მაღალია კბილების ცვეთა (0,82), კარიესი (0,15), მაღალია კბილების სიცოცხლეში დაკარგვა (0,32), ჰიპეროსტოზები (0,70) და ფ.ქ.ს. (0,52).

ქართლის მოსახლეობაში მაღალი სისშირით გავრცელებულია ჰიპეროსტოზები (0,70), კბილების ცვეთა (0,72), შატილთან შედარებით თითქმის ორჯერ ნაკლებია ფ.ქ.ს (0,28), მცირეა კარიესი (0,08) და საშუალო სისშირით აღინიშნება კბილების ატროფია (0,24).

აჭარის მოსახლეობა სხვა რეგიონების მოსახლეობისაგან გამოირჩევა საშუალო რაოდენობის ჰიპეროსტოზებით (0,55), კბილების ცვეთით (0,40), ატროფიით (0,14) და ფ.ქ.ს (0,27), კარიესის მცირე რაოდენობით (0,08).

კახეთის მოსახლეობისთვის დამახასიათებელია ყველა აღნიშნული ფიზიოლოგიური სტრესის მარკერის საშუალო რაოდენობა. სახელდობრ, ჰიპეროსტოზები - 0,48, ფ.ქ.ს. - 0,42, კბილების ცვეთა - 0,58, კარიესი - 0,11 და ატროფია - 0,15.

რეგიონალურ ჭრილში განხილული მასალა გვიჩვენებს, რომ ფ.ქ.ს. პირდაპირ კავშირშია რეგიონის ჰიპოსომეტრულ სიდიდესთან და ტემპერატურულ ცვლილებებთან.

ერთი რეგიონის მოსახლეობის ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების ცვალებადობას დროში (გვიანბრინჯაოდან - გვიან შუა საუკუნეების ჩათვლით) განხილულია ქართლის მოსახლეობის მაგალითზე [23: 139-152]. შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული პერიოდების მიხედვით, ჰიპეროსტოზების სპექტრის და ფორთოხლის ქერქის სინდრომის არათანაბარი განაწილება იმაზე მიუთითებს, რომ ცალკეულ პერიოდებში სახეზეა ეკოლოგიური ფაქტორების ზე-

წოლა, რაც აისახა იმუნიტეტის დაქვეითებაში და ამ ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების ჩამოყალიბებაში. თუ დავაკვირდებით ჰიპეროსტოზების სპექტრის ჯამურ მონაცემებს (ჰიპეროსტოზების საშუალოს ყველა პერიოდში), პათოლოგიების სიხშირის ზრდა აღინიშნება ადრე ანტიკურ, ელინისტურ, გვიან ანტიკურ პერიოდებში და მაქსიმალურ პიკს განვითარებულ შუა საუკუნეებში აღწევს. ცნობილია, რომ სხვადასხვა მკვლევრები ჰიპეროსტოზების გამოვლინებას გარკვეულ დაავადებებსა (ციებ-ცხელება, ანემიები) და ეპიდემიებს უკავშირებენ [24: 78-104]. ჩამოთვლილ პერიოდებში, ალბათ, სხვადასხვა ტიპის ინფექციური დაავადებები, მათ შორის მალარია მძვინვარებდა. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვლევაში ჩართული იყო არა ერთი კონკრეტული სამაროვანის მოსახლეობის მონაცემები დინამიკაში, არამედ მთელი რეგიონის. იმის გათვალისწინებით, რომ გამოკვლევაში ჩართულია ნამარხი მოსახლეობა, რომელიც უმეტესად სხვადასხვა თაობებს მიეკუთვნებოდა, და უფრო მეტიც, განსხვავება მათ შორის შესაძლოა რამდენიმე საუკუნეს აღწევს, მაშინ მიღებული შედეგი ცვალებადობის და შეგუებლობის ფართო სპექტრს ასახავს. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია კლიმატის ხშირი ცვალებადობა, რომელიც მუდმივად მოქმედი სტრესორის როლს ასრულებდა [23: 180-197].

პალეოანთროპოლოგიური მასალის დაცულობიდან გამომდინარე, შესაძლებელია სხვადასხვა დონის რეცონსტრუქციები. ამის ნათელი მაგალითია საფარ-ხარაბას სამაროვნისა და ე. წ. „მდიდარი ქალბატონის“ სამარხი.

საფარ-ხარაბას სამაროვანზე ნავთობსადენის დერეფანში გათხრილი სამარხებიდან მხოლოდ 31-ში დაფიქსირდა ადამიანის ძვლოვანი ნაშთი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსახლეობის სრული კრანოლოგიური დახასიათება შეუძლებელია. არცერთი თავის ქალა არ აღდგა იმ მდგომარეობამდე, რომ განსაზღვრულიყო სახის სიგანე და სიმაღლე, შუბლის უმცირესი სიგანე, ყვრიმალთაშუა დიამეტრი და სხვა მნიშვნელოვანი ნიშანი. ზოგადად, ამ დროის საქართველოს მოსახლეობა ხასიათდება დიდი გრძივი და მცირე განივი დიამეტრებით, უმეტეს წილად საშუალო

ქალას სიმაღლით, დიდი ქალას ფუძის სიგრძით, დიდი სახის სრული სიმაღლით, განიერი შუბლით, მცირე სახის შუა სიგანით, მცირე ყვრიმალთაშორის დიამეტრით, მკვეთრად პროფილირებული ჰორიზონტალურ და სწორი ვერტიკალურ სიბრტყეში სახით.

ერთადერთი თავის ქალა, რომელზეც რაიმეს თქმა შეეგვიძლია მოპოვებულია სამარხ № 85-ში. მამაკაცის თავის ქალას ახასიათებს მცირე გრძივი დიამეტრი (177 მმ.), დაქანებული შუბლი და კეფა, მაღალი ქალასარქველი (pob), მცირე ზომის დვრიდისებრი მორჩი. თავის ქალას ფორმა ზემოდან *norma verticalis* კვერცხისებრია (*ovoides*). მიუხედავად იმისა, რომ, განივი დიამეტრის (*eu-eu*) გაზომვა შეუძლებელია, თავის ქალას ფორმა ზემოდან და ზოგადი ხედი პროფილში იძლევა საშუალებას განვსაზღვროთ, რომ იგი მეზოკრანულია [25: 550].

დაკრძალულთა განაწილება სქესის მიხედვით გვიჩვენებს, რომ 28,2% მამაკაცი, 41,0% დედაკაცი და 25,6% ბავშვი შეადგენს. მოკვდავობის ასაკობრივი სტრუქტურა მოსახლეობაში მიმდინარე პროცესებს ასახავს. ადრეულ საზოგადოებაში მაღალი იყო მოკვდავობა ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფებში. რთულია თქმა, რამდენადაა შესაძლებელი სამაროვნის ამ მონაკვეთში მიღებული მონაცემების გაგრძელება მთლიანად საფარ-ხარაბას მოსახლეობაზე, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ მამაკაცების (30,7) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 5,7 წლით მეტია ვიდრე ქალების (25,0), ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ბავშვთა მოკვდავობის გათვალისწინებით 23,7 წელს შეადგენს. ამ უკანასკნელზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის აღწარმოება ძალიან ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა. პოპულაციის საშუალო ასაკი ხშირად თაობების ხანგრძლივობას უტოლდება და პრაქტიკულად ემთხვევა კიდევ. ამ შემთხვევაში განსაზღვრული მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაბალ მანევრებლად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო აღწარმოების ტემპი დაჩქარებულად.

საქართველოს გვიანი ბრინჯაოს მოსახლეობის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა ბავშვთა მოკვდავობის

გათვალისწინების გარეშე 39,7 წელს შეადგენს. მამაკაცებში ის 41,6, დედაკაცებში 37,8 წელია [26: 190] და ბევრად მაღალია, ვიდრე საფარ-ხარაბას მოსახლეობაში. ადრე გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ სამხრეთ კავკასიის მოსახლეობა უძველესი დროიდან განიცდიდა ლიფერენციაციას, რაც აისახა თუნდაც ისეთ ზოგად მაჩვენებელში, როგორცაა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა [27: 21]. მთლიანობაში გარდაცვლილ ქალთა 87,5% და მამაკაცთა 81,8% რეპროდუქციულ ასაკში იმყოფებოდა. ეს უკანასკნელიც აღწარმოების სწრაფ ტემპზე მიუთითებს. საფარ-ხარაბას მოსახლეობა მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მაღალი ცხოვრების დონით ხასიათდებოდა გამოირჩეოდა დაბალი სიცოცხლის ხანგრძლივობით, რაც უკვე იმას ნიშნავს, რომ საქართველოშიც აღინიშნებოდა ლიფერენციაცია სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით.

9 მამაკაცის და 5 დედაკაცის ლულოვანი ძვლების მიხედვით განსაზღვრული სხეულის სიმაღლე მამაკაცებში ცვალებადობს 154,5-175,0 სმ. ფარგლებში, საშუალოდ 165,2 სანტიმეტრია, რაც მამაკაცების საშუალო სიმაღლეზე მეტყველებს. დედეკაცების სხეულის სიმაღლე 151,3-165,3 სმ. ფარგლებში ვარირებს, ხოლო საშუალო სიმაღლე 155,5 სმ. საფარ-ხარაბას დედაკაცები საშუალო მონაცემების მიხედვით ისევე როგორც მამაკაცები საშუალო სიმაღლისა იყვნენ. აქ ხაზი უნდა გაესვას გამოკვლეულთა რაოდენობრივ მხარეს და ამონაკრეფის შემთხვევითობას.

მამაკაცებში სხეულის პროპორციების ყველა ტიპი გამოვლინდა (1 დოლოქომორფული, 2 მეზომორფული, 2 ბრაქიმორფული), ხოლო დედაკაცებში მეზომორფული ტიპი და ბრაქიმორფული ტიპი დასტურდება.

სხეულის მასა მამაკაცებში 55,7-70,0 კგ., საშუალო 63,1 კგ. ქალებში 52,7-65,5 საშუალო 59,6 კგ-ია [25:550].

განხილულ სამროვანზე პალინოლოგიური მეთოდით გამოკვლეულია უმდიდრესი მასალა, რის საფუძველზე დადგინდა, რომ გვიანბრინჯაოს პერიოდის საფარ-ხარაბას მიდამოებში (წალკის პლატო) სულ სხვა ლანდშაფტი იყო. თბილი კლიმატი საშუალებას იძლეოდა რომ აქ გაზრდილიყო ფართოფოთლოვანი ტყე, სადაც დომინირებდა მუხა,

ცაცხვი, რცხილა. იყო ძელქვა. ამ პირობებში ადამიანი მიწათმოქმედებას მიყვებოდა. მოყავდა ხორბალი, ქერი და სხვა მარცვლოვნები. კარგად იყო განვითარებული მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა ნაკლებად.

იმ დროს ადამიანი ხმარობდა სელის, ბამბის და შალის ქსოვილს [28: 573-586]. ამ პერიოდისთვის ბამბის აღმოჩენა სრულიად ახალია არა მარტო კავკასიის რეგიონისთვის, არამედ ახლო აღმოსავლეთისთვისაც, რადგან ყველაზე ადრეული ბამბის ტექსტილის ნაშთი აღმოჩენილია თურქეთში ძვ. წ. პირველ ათასწლეულის ძველში [29]. ადამიანის პალეოდიეტას შეადგენდა ჭინჭრის, ნაცარქათამას, ღოღოს და მარცვლოვნების შეჭამანდები. ხორცის საკვები კარგადაა წარმოგდენილი ჭურჭლის შიგთავსში ძლოვანი მასალის მაკრო- და მიკრონაშთებითაც.

საქართველოში ყველაზე კომპლექსურადაა შესწავლილი მდიდარი ქალბატონის სამარხი ქუთაისიდან. ბაგრატიის ტაძარში ჩატარებული არქეოლოგიური (2009 წლის აგვისტოში) გათხრების შედეგად ძველი ტაძრის დასავლეთ მინაშენში აღმოჩნდა სამარხი მდიდრული ინვენტარით, რომელშიც დაკრძალული იყო 20-25 წლის ქალბატონი. ამ სამარხს „მდიდრული სამარხი“ უწოდეს და არქეოლოგების მიერ VIII საუკუნით დათარიღდა.

სამარხში დაცული ქალბატონის სრული კრანოლოგიური დახასიათება ვერ განხორციელდა, რადგან დაზიანებულია სახის ქალა. გაიზომა მსოლოდ განივი (eu-eu) დიამეტრი (164 მმ.), გრძივი დიამეტრი (m-op) შუბლისა და ქალას უკანა წერტილებს შორის (164 Mmm), კეფის ზედა (po-b) ნაწილის ქორდა (124 მმ), კეფის (ast-ast) სიგანე (113 მმ). ანთროპოლოგიური ტიპის დადგენა ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით არ ხორციელდება, ამისათვის აუცილებელია სახის პროფილირების მაჩვენებლები: ნაზო-მალარული კუთხე, სახის საერთო კუთხე, სიმოტური და დაკრიონული მაჩვენებლები, სახის სრული სიმაღლე, ყვრი-მაღლაშუა დიამეტრი, სახის შუა და სახის ზედა სიგანე, თავის ქალას მაჩვენებელი და ა. შ.

თავის ქალას *norma verticalis* ფართო სამკუთხოვანია (*Eurypentagonoides*), თავის ქალა ყველაზე განიერია უკანა მესამედის არეში, შუბლისა და თხემის ბორცვები მკვეთრადაა გამოხატული, კეფა მკვეთრად უკან წარზიდული. ეს ფორმა ბრაქიკრანული თავის ქალებისთვის არის დამახასიათებელი.

პოსტკრანიალური ჩონჩხის საფუძველზე შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ “მდიდარი ქალბატონის” ცხოვრების წესი არ იყო აქტიური. ძვლოვანი მასალა მიუთითებს საშუალოდ განვითარებულ ქვედა კიდურებზე და სუსტად განვითარებულ სხეულის ზედა სარტყელზე. მდიდარი ქალბატონის სხეულის სიმაღლე 156,9 სმ-ია, რაც საშუალო სიმაღლედ მიიჩნევა. გათვლების თანახმად, დაკრძალული ქალბატონის სხეულის წონა 40,9 კგ. უდრიდა.

პალეოდაავადებები. თავის ქალას ზოგადი მოცულობა სხეულთან შედარებით გვაფიქრებინებს, რომ გარდაცვლილს ბავშვობაში რაქიტი ჰქონდა გადატანილი, რაც შემდეგი ნიშნებით დასტურდება: თავის ქალას ზომების გაზრდა და ჩონჩხის ძვლის ნაკლებად განვითარება, ქათმის ფორმის გულმკერდი, მცირე ზომის მენჯი, თავის ქალაზე შუბლისა და კეფის ბორცვების გაზრდა, თავის ქალას უკანა ხედი კვადრატული. მდიდარი ქალბატონი, შესაძლოა ზამთარში დღენაკლული დაიბადა, იკვებებოდა სხვისი რძით (ძიძის რძით) და ამის შედეგად კალციუმის ცუდი ათვისება, კალციუმის და ფოსფორის შეფარდების დარღვევა აღენიშნებოდა. რაქიტული ნიშნები ყოველთვის ერთნაირად არ გამოიხატება, იგი დამოკიდებულია ავადმყოფობის მიმდინარეობის ხარისხზე. პალინოლოგიური მონაცემების მიხედვით, ქალბატონი ძალიან ბევრ დროს ატარებდა ბუნებაში (სუფთა ჰაერზე), რაც დიეტურ კვებასთან ერთად რაქიტის მკურნალობის ულტრაიისფერი სხივების მიღებისა და ორგანიზმში D ვიტამინის გამომუშავების ერთადერთი საშუალებაა.

ქალბატონის გარდაცვალების მიზეზი რაქიტი არ უნდა ყოფილიყო. რაქიტისთვის დამახასიათებელია იმუნიტე-

ტის დაქვეითება, ამიტომ, სავარაუდოდ, გარდაცვალების მიზეზი შეიძლება ნებისმიერი ინფექცია ყოფილიყო.

მდიდარი ქალბატონის სამარხიდან მოპოვებული ნიმუშების პალინოლოგიური მასალა უაღრესად მდიდარი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი აღმოჩნდა, რაც ზოგადად, სამარხებისთვის საკმაოდ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. მცენარეთა მტვრის კომპლექსში დიდია ხემცენარეთა, განსაკუთრებით წიწვოვანთა შემცველობა. პალინოლოგიური სპექტრების მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებული ცხოვრობდა “ედემის ბაღში”, სადაც ლიბანური კედარის გარდა, იზრდებოდა უამრავი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოეთიდან შემოტანილი მცენარე. კედარის გარდა, ინტროდუცირებული იყო კვიპაროსი, პეკანი, ზეთისხილი და ეგზოტური გვიმრები, რომლებიც დღეს საქართველოში არ იზრდება. ამ ბაღში უამრავი ხეხილიც იყო გაშენებული, მაგალითად: კაკალი, თხილი, პეკანი, ზეთის ხილი და სხვა. ამავე დროს, ქუთაისის მიდამოებში ბუნებრივი ლანდშაფტი ტყიანი უნდა ყოფილიყო. ფართოფოთლოვან ტყეში წაბლს დიდი ფართობი ეკავა. მასთან ერთად იზრდებოდა მუხა, ძელქვა, რცხილა, ცაცხვი, ველური ვაზი და სხვა.

მცენარეული საფარის შემადგენლობა გვავარაუდებინებს, რომ განხილული რეგიონი, სადაც „მდიდარი ქალბატონი“ ცხოვრობდა, იმ დროს თბილი კლიმატით ხასიათდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ იარსებებდა ამგვარი “ედემის ბაღი”, სადაც თბილი ქვეყნებიდან შემოტანილი ხეები ხარობდა. არც ტყეში გაიზრდებოდა წაბლის და ძელქვის ხეები, რომელთაც თბილი ჰავა ესაჭიროებათ.

ქალბატონი დაკრძალეს შემოდგომაზე. ამაზე მეტყველებს სამარხში კედარის აყვავილებული ტოტების არსებობა, რადგან ლიბანური კედარის ყვავილობა შემოდგომაზეა (ოქტომბერი, ნოემბერი). მიცვალებულს ცისფერი კაბა ეცვა, თანაც იგი ახალი არ იყო. მხოლოდ ნახმარ ტანსაცმელზე უნდა ყოფილიყო ასეთი რაოდენობით აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის მარცვლები და სხვა სახის მიკრონაშ-

თები. კაბას საყელო ჰქონდა. სუდარა ბამბის თეთრი ქსოვილის იყო.

გარდაცვლილის მუცლის არეში აღმოჩენილი სამკურნალო მცენარეების მტვერი (ეფედრა, ღვია და სხვა) იმაზე მეტყველებს, რომ მიცვალებულს ჰქონდა სასუნთქი ორგანოების დაავადება.

მდიდარი ქალბატონი უთუოდ დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელი იყო. მისი დამხრობა კანონიკურად ქრისტიანულია, ხელებისა და ფეხების პოზაში წარმართული ელემენტები აღინიშნება. ისიცაა აღსანიშნავი, რომ ქრისტიანულ ეპოქაში ძვირფასი სამკაულების ჩატანება სამარხში იშვიათობას წარმოადგენდა [30: 280-310].

ზოგადად, საქართველოში ბიოარქეოლოგიური კვლევები მოიცავს ნამარხი მოსახლეობის დემოგრაფიულ [26: 183-193; 30: 79-83] პალეოანთროპოლოგიურ [1-6], ეპიგენეტიკური ნიშნების [31; 23: 69-98], ფიზიოლოგიური სტრესის მარკერების [23: 47-69, 103-117, 139-172], პალეოდაავადებების [8, 9, 12, 15, 19, 20, 21], ძვლოვანი ნაშთის მიკროელემენტური შემცველობის [29:290] ფართო სპექტრს. ამ კვლევებში თავისი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პალინოლოგიურ და არაპალინოლოგიურ სპექტრის ანალიზით მოპოვებულ ინფორმაციას [32: 595-604; 33: 169-171; 34: 479-494; 35: 479-494]. თანამედროვე კვლევებმა საქართველოს ბიოარქეოლოგიური მასალის შესწავლა თვისობრივად ახალ ეტაპზე აიყვანა.

ვინაიდან საქართველო ისტორიულად მეტად აქტიური გეოპოლიტიკური რეგიონია და იგი მუდამ ინტენსიური მიგრაციული პროცესების ეპიცენტრი იყო, პარადოქსია, რომ დიდი დოზით შეინარჩუნა თვითმყოფადობა ეთნიკურ და კულტურულ ასპექტში, მისი ბიოარქეოლოგიური კვლევა და თანამედროვე მონაცემებთან შედარებითი ანალიზი უადრესად პერსპექტიულია. თანამედროვე ბიოარქეოლოგიური კვლევა საქართველოსა და მთელს კავკასიაში საჭიროა წარიმართოს მეტად ინტენსიურად, საერთაშორისო სამეცნიერო წრეების ჩართვითა და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. აუცილებელია ბიომასალის მაკროსკოპულ და მიკროსკოპულ მორფოლოგიურ შესწავლას, სპექტრული ანალიზითა და სტაბილური იზოტოპებით კვების

რეჟიმის, გარემოსთან ურთიერთობის და მეტაბოლური პროცესების კვლევას, გენეტიკურ კვლევას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ბიომასალის სახეობრივ, რასობრივ და ეთნიკურ კუთვნილებების განსაზღვრას, მიგრაციული პროცესების დროსა და ტიპს, ეთნოგენეზს, დაავადებების ისტორიას, ადამიანის/ცხოველის გენომის ევოლუციურ და მუტაციურ ცვლილებებს, გარემოს როლს გენომის ცვლილებებში. და ბოლოს, უნდა მოხდეს აქამდე არსებული მონაცემებისა და ზემოაღნიშნული თანამედროვე ტექნოლოგიებით მიღებული მონაცემების შეჯერება მონაცემთა ბაზის შექმნა და ანალიზი.

**L. BITADZE, R. SHENGELIA,
E. KVAVADZE, SH. LALIASHVILI**

**DEVELOPMENT OF BIOARCHAEOLOGICAL
STUDIES IN GEORGIA
(TOPICALITY AND PERSPECTIVE)**

Bioarchaeology, in its broad sense, in Georgia naturally begins with paleoanthropology and palaeopathology.

Paleoanthropologic studies revealed the morphologic changes in the types of population residing on the territory of Georgia since the ancient time and verified the fact of high scientific importance of ancient and new populations of local origin on the territory of Caucasus. Opinion was established that morphological relation of paleoanthropologic types increases alongside with their chronological age growth; original classification of the Caucasian people is created, anthropological type of the Caucasus is identified, Caucasus is considered to be the only region where the three basic branches of the southern European race are diversely presented and thus, the origin of the southern European race is related to Caucasus.

In the ancient population of Georgia, the bioarchaeological material contains traumatic cranial injuries and the signs of trepanation, benign tumours, skeleton anomalies, osteoarticular tuberculosis Bek-

hterev's syndrome, non-specific inflammation processes, etc are not those of rare pathologies.

Further development of bioarchaeology is related to shifting studies to population aspect. Epochal, social and ecological aspects of physiologic stress and epigenetic changes, localization and frequency of trauma were discussed. In general bioarchaeological studies in Georgia include wide variety of demographic, peleoanthropological, epigenetic signs of buried population, physiological stress markers, paleodiseases, and bone elements. In these highly important studies the information is gained through analysis of palynological and non-palynological specters.

Insofar as Georgia historically is a geopolitical region and the centre of intensive migrations processes, it is a paradox, that it has maintained its cultural and ethnic originality. Thus, bioarchaeological studies in Georgia are highly prospective and should be conducted more frequently, with involvement of international scientific circles and contemporary technologies. It is necessary to conduct macro and microscopic studies, the study of nutrition, relations with environment and metabolic processes with spectral analysis and stable isotopes, genetic studies which in their turn cover biomaterial types, determination of racial and ethnic belonging, time and types of migration processes, ethnogenesis, history of disease, evolutionary and mutational changes of human/animal genome, the role of environment in genetic changes. And finally, existing data and the data obtained by above described contemporary technologies shall be combined.


დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. М.Абдушелишвили Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., "Мецниереба", 1964.
2. Абдушелишвили М.Г. К краниологии древнего и современного населения Кавказа. Тб. "Мецниереба", 1966.
3. აბდუშელიშვილი მ. კავკასიის მოსახლეობა ლინისტურ ხანაში, თბ., მეცნიერება, 1979;

4. აბდუშელიშვილი მ. საქართველოს ანთროპოლოგია რკინის ხანაში. თბ. მეცნიერება, 1987.
5. Натишвили А.Н., Абдушелишвили М.Г. Материалы к антропологии Грузинского народа. Труды Института эксперимент. морфологии Акад. наук Грузинской ССР, т. V, 1955, стр. 305-326.
6. აბდუშელიშვილი მ. მოსახლეობის ანთროპოლოგიური შემადგენლობა. საქ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მასალები. თბ. მეცნიერება. 1980, გვ.14-22.
7. Медникова М.Б. Трепанации у древних народов Евразии, М. Научный мир, 2001.
8. ფირფილაშვილი, 1970 თავის ქალას ტრეპანაციის შემთხვევები კავკასიიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”. 58, 02, გვ. 505-508.
9. პ. ფირფილაშვილი, 1963 ზოგიერთი დაავადებისა და ტრავმული დაზიანების კვალი საქართველოში მოპოვებულ კრანოლოგიურ სერიებში (პარალელური ტექსტი რუტულ ენაზე), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის “მოამბე”. ტ. XXXII, 3, 1963, გვ. 737-744.
10. რ. შენგელია. ბიოარქეოლოგია – მომავლის მეცნიერება, რომელიც წარსულში იწყება. წიგნში: ქრისტიანობა და მედიცინა. თბ., 2000, გვ. 110-115
11. კილაძე ნ. უძველესი ტრეპანაციები საქართველოში, ანალები, №2, გვ. 78-84., 2005.
12. Пирпилашвили П., 1970 К вопросу лечения ранений стрелой в древней Грузии. Сообщения АН ГССР., 60, №1, стр. 249-252.
13. Бужилова А. П. Древнее население. Палеопатологические аспекты исследования., М. 1995.
14. Рохлин Д. Г. Болезни древних людей. М., 1965
15. Пирпилашвили П.М. Палеоантропологический материал по изучению болезней, повреждений и лечебных манипуляций в древней Грузии. Автореферат дис. На соискание учён. ст. канд.мед. наук. Рига, 1974., 3-34
16. Лалиашвили Ш. Частота и локализация травм в некоторых сериях средневекового населения восточного Кавказиони. Археология, этнология, фольклористика Кавказа, Тб., 2004, с. 81-82

17. Чолокашвили К. Война и её отражение в грузинском быту./ Межд. Научная конф. "Археология (IV) и этнология (III) Кавказа". Тб. 2002., с. 307.
18. Angel J.L. Health as a crucial factot in the changes from hunting to developed farming in the Mediterranean // *Paleopathology at the origins of agriculture*/Eds. Cohen M.N., Armelagos G.S.-London: Orlando, 1984, p. 51-74.
19. ფირფილაშვილი პ. მოსკოვის დონის მონასტრის მირქმის ქართველთა ეკლესიის საძვალის პათომორფოლოგიური კვლევის ზოგიერთი საკითხი. მეცნიერება და ტექნიკა, 2000, № 4-6, გვ. 122-125.
20. ფირფილაშვილი პ. მოსკოვის დონის მონასტრის მირქმის ქართველთა ეკლესიის საძვალის პათომორფოლოგიური კვლევის ზოგიერთი საკითხი (გაგრძელება), მეცნიერება და ტექნიკა, 2000, № 7-9, გვ. 123-131.
21. ფირფილაშვილი პ. მოსკოვის დონის მონასტრის მირქმის ქართველთა ეკლესიის საძვალის პათომორფოლოგიური კვლევის ზოგიერთი საკითხი, 2000, №10-12, გვ. 106-111.
22. ინაშვილი მ., 1974 კბილის კარიესული დაავადება საქართველოს მოსახლეობაში უძველესი დროიდან დღემდე. თბ., "საბჭოთა საქართველო".
23. ლალიაშვილი შ. "ფიზიოლოგიური სტრესის" მარკერების გავრცელება საქართველოს მოსახლეობაში უძველესი დროიდან დღემდე და ცხოვრების დონის რეკონსტრუქცია, თბ., 2009.
24. Бужилова А. П. Изучение физиологического стресса у древнего населения по данным палеопатологии. В сб. Экологические аспекты палеоантропологических и археологических реконструкции. Ин-т Археологии АН СССР . М., 1992., с. 78-104.
25. ბითაძე ლ. საფარ-ხარაბას სამაროვნის ანთროპოლოგიური დახასიათება. ბაქო-თბილისი-ჯეიხანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბ., 2010. გვ. 547-551.
26. ბითაძე ლ. საქართველოს უძველესი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის დინამიკა. კლიო, 2005, №26, გვ. 183-193.

27. L. Bitadze Longevity of bronze Perrod population by example of Atskuri burrial ground. Tn. Traditional Medicine and Dietology - a Way to Coucasion Langevity. Tbilisi Borjomi, 2006. p. 21.
28. ყვავაძე ე., ნარიმანიშვილი გ. წალკის პლატოს პალეოლოანდშაპტები გვიანპლემისტოცენისა და ჰოლოცენში (არქეოლოგიური და გეოლოგიური მასალის პალინოლოგიური მონაცემების მიხედვით) ბაქო-თბილისი-ჯეიხანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბ., 2010. გვ. 573-586..
29. Zohary D., Hopf M.. Domestication of plants in the old world. Oxford University Press, Oxford, 2000.
30. ბითაძე ლ., ყვავაძე ე., ლანჩავა ო., ისაკაძე რ., ლალიაშვილი შ., ვაჩეიშვილი ნ., გაფრინდაშვილი პ., დობროვოლსკაია მ. ბაგრატის ტაძარში აღმოჩენილი “მდიდარი ქალბატონის” სამარხის კომპლექსური კვლევის წინასწარი შედეგები, თბ., ანალები, 2010, №6, გვ. 280-310.
31. ბითაძე ლ., ასლანიშვილი ვ., მონასელიძე ლ., ლალიაშვილი შ., აწყურის სამაროვნის პალეოდემოგრაფია. დემოგრაფია, 2002, № 1 (5) გვ. 79-83.
32. ბითაძე ლ. ძირითადი ანომალიების გავრცელების დინამიკა საქართველოს უძველეს მოსახლეობაში, ანალები, 2005, №2, გვ. 57-64.
33. Kvavadze E. The use of fossillized honey for palaeocological reconstruction: a palynological study of archaeological material from Georgia. *Palaeontological Journal*, vol.40, suppl.5, 2006. Proceedings of the 11-th All-Russian Palynological Conference, Editor N.P. Maslova, . 2006, pp.595-604.
34. Квавадзе Э., Чичинадзе М., Марткоплишвили И. Непалинологические палиноморфы в археологическом материале. Археология, этнология, фольклористика Кавказа, Тб., 2010, с. 169-171.
35. Kvavadze E., Narimanishvili G., Bitadze L. 2010. Textile fibres of flax (*Linum*), cotton (*Gossipium*) and animals wool as Non-Pollen-Palynomorphs in the Late Late Bronze Age burials of Saphar-Kharaba, Southern Georgia. *Vegetation History and Archaeobotany*, vol.19, No 5-6: 479-494.



ნესტან სულავა

**„ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი“ – ლიტერატურულ-
ესთეტიკური ღირებულების განსაზღვრისათვის**

ქართულ საისტორიო თხზულებებს, თავისთავად ღირებულებასთან ერთად, მხატვრულ-გამომსახველობითი და ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა აქვთ. თითოეული მათგანი ყურადღებას იქცევს როგორც ლიტერატურული ნაწარმოები და როგორც ესთეტიკური ღირებულების მქონე თხზულება. მხატვრულ-ესთეტიკურ ფენომენს შეიცავს თვით სახელწოდება „ქართლის ცხოვრება“, როგორც ერთიანი პრინციპით შედგენილი წიგნის, საისტორიო თხზულებათა ერთიანობის სახელდება.

„ქართლის ცხოვრების“ ყოველი თავი ძვირფასი საისტორიო ძეგლია; მაგრამ ძველ ქართულ საისტორიო მწერლობა მხოლოდ ფაქტების ემპირიული, მშრალი აღწერით არ ხასიათდება და მხოლოდ ისტორიული ქრონიკა არ არის; იგი უაღრესად დახვეწილი ლიტერატურული ნაწარმოებია, მხატვრული შედეგია, დამოუკიდებელი მხატვრულ-ესთეტიკური მოვლენაა. ამ წიგნის ყოველი თხზულება თავისი შინაარსით, იდეურ-მსოფლმხედველობრივი მიზანდასახულობით, ლიტერატურული ღირებულებითა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების სიმდიდრით სცილდება მშრალ ქრონისტულ-ისტორიულ თხრობას, რაც ამ უანრის თხზულებებს ლიტერატურულ პროცესთა თანამდევი ერთიანი მხატვრული აზროვნების ძირეულ, განუყოფელ ნაწილად აღგვაქმევენებს. ისტორიულ თხზულებათა მხატვრული ფენომენის კვლევას ჩვენშიც, საზღვარგარეთაც ხანგრძლივი ისტორია აქვს და მრავალი სამეცნიერო ნაშრომიც მიექდვნა (ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, მ. შანიძე და სხვ.).

პრობლემის მიზანდასახულობის უკეთ წარმოსაჩენად საჭიროდ მიმანია არისტოტელეს „პოეტიკიდან“ იმ შეხედულების დამოწმება, რომელშიც გამოთქმულია ფუძემდებლური თვალსაზრისი ისტორიისა და ლიტერატურის დანიშნულებისა და არსის შესახებ, გაანალიზებული და განზოგადებულია ლიტერატურის ღირებულების საკითხი. კერძოდ, ისტორიული თხზულება ასახავს რეალურად მომხდარ ამბავს, კერძო, კონკრეტულ შემთხვევას, ხოლო ლიტერატურული – შესაძლებელსა და წარმოსახვითს, რის გამოც პოეზია მიანია უფრო ფილოსოფიურად, ვიდრე ისტორია. მხატვრული ნაწარმოები რეალურად მომხდარი ამბებისა და წარმოსახვითი აზროვნების შერწყმით იღებს პოეტურ სახეს, ამიტომ იგი ბევრად უფრო ღრმაა თავისი არსით, ვიდრე ისტორია, რომელიც მომხდარის ასახვითა და გადმოცემით შემოიფარგლება, ამავე დროს, სავსებით მისაღებია შეხედულება იმის თაობაზე, რომ ისტორიკოსმა განაზოგადოს მომხდარი ფაქტი და საერთო კანონზომიერებები დაადგინოს. არისტოტელეს სიტყვით: „პოეტის საქმეა თქვას არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, თუ რა მოხდებოდა და რა არის ალბათობისა ან აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელი. ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განირჩევიან არა იმით, ლაპარაკობენ ისინი ლექსით თუ პროზით, ვინაიდან ჰეროდოტეს ნაწარმოები შეიძლებოდა გალექსილიყო და ის მაინც ლექსად გამოთქმული ისტორიული ნაწარმოები იქნებოდა არა ნაკლებ, ვიდრე პროზით დაწერილი: ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველი ლაპარაკობს იმის შესახებ, რაც მოხდა, მეორე კი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ამის გამო პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ისტორია. პოეზიას უფრო მეტად მხედველობაში აქვს ზოგადი (τα καθολου), ისტორიას კი უფრო მეტად მხედველობაში აქვს ცალკეული (καθ' εκαστον)~ (არისტოტელი 1944:20). ისტორიისა და ლიტერატურის ამგვარი დეფინიცია ცხადად წარმოაჩენს თითოეული მათგანის თემატიკას, იდეურ მი-

ზანდასახულობას, სპეციფიკას, დანიშნულებას¹. ისტორიისა და ლიტერატურის ურთიერთმიმართებათა კვლევისას არისტოტელეს შეხედულებებს განსაკუთრებული, განმსახვდრელი მნიშვნელობა ენიჭება. ისტორია შექერებულ დროზე მოგვითხრობს, ლიტერატურა კი დროში დაუსახვდრელია, რადგან იგი სამყაროს, კაცობრიობის, ადამიანის ჭეშმარიტ სულიერ ისტორიას ასახავს. აქვე უნდა აღინიშნოს „ქართლის ცხოვრების“ წიგნების სპეციფიკაც, რომლებიც ღრმა ფილოსოფიური აზროვნებით გამოირჩევიან, რის შესახებაც ივანე ჯავახიშვილმა დასვა პრობლემა ისტორიის ფილოსოფიურობისა. ისტორიული თხზულება უთუოდ გულისხმობს იმ ზოგად სიღრმეს, ფილოსოფიურ ბუნებას, რომლის გარეშე შეუძლებელია ცალკეული ისტორიული ფაქტის შეფასება; სწორედ მომხდარი ფაქტის

¹ ს. დანელიამ განიხილა ტერმინი „ისტორია“ ეტიმოლოგიური და ლირებულებითი თვალსაზრისით. მისი შეხედულებით: „ტერმინი „ისტორია“ წარმოდგება ბერძნული ზმნიდან *ειδέναι*, რაც ნიშნავს „ცოდნას“. არისტოტელის დროს „ისტორიის“ სახელი ეწოდებოდა ცოდნას ყოველგვარ საგანზე და არა მხოლოდ ხალხის წარსულზე და მის განვითარებაზე, როგორც ჩვენს დროში ესმით ეს სიტყვა. არისტოტელისათვის გეოგრაფიაც „ისტორია“ იყო, ისე როგორც ბოტანიკა და ზოოლოგია. აი, ასე გაგებულ „ისტორიას“ უპირისპირებს არისტოტელი „ფილოსოფიას“. თუ ფილოსოფია, არისტოტელის გაგებით, იყო მოძღვრება უზოგადეს პრინციპებზე და, როგორც ასეთი, იგი თვითონაც იყო უზოგადესი მეცნიერება, „ისტორია“ იყო კერძო ან სპეციალური მეცნიერება, რომელიც შეიცავდა ცოდნას კერძო მოვლენებზე, ე. ი. ისეთ ცოდნას, რომელიც ფილოსოფიური ცოდნის ზოგადობას მოკლებული იყო და ემპირიულ ხასიათს ატარებდა. პოეზია უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე ისტორიაო, წერს არისტოტელი, რათა ამით თქვას, რომ პოეზიაში მოცემულ წარმოდგენას საგანთა შესახებ (ე. ი. ტიპს) მეტი ზოგადობა ახასიათებს, ვიდრე იმ ცოდნას, რომელსაც ამავე საგნებზე გვაწვდის ესა თუ ის სპეციალური მეცნიერება და რომელიც დაკვირვების საშუალებით მიღებულ კერძო დებულებათა დონეზე არ მაღლდება“ (არისტოტელი 1944: LXIV).

სწორ გაანალიზებაზეა დამყარებული ზოგად კანონზომიერებათა დადგენა².

„ქართლის ცხოვრებიდან“ გამორჩეული ადგილი უჭირავთ ლეონტი მროველის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ლაშა-გიორგის ისტორიებს, ჟამთააღმწერლის თხზულებას, რომლებიც, ისტორიულთან ერთად, მაღალმხატვრულ ნაწარმოებებად გვევლინებიან, რასაც გვაფიქრებინებს მათი რიტორული სტილი, მწერლის მხატვრულ-ესთეტიკურ ხედვასთან შეზავებული. ამიტომ მათი განხილვა, როგორც ესთეტიკური ფენომენისა, მხატვრული ლიტერატურის ისტორიის კანონზომიერებათა შესწავლას ბევრს ჰმატებს. მათი ამაღლებული სტილი და მხატვრული სამყარო არაფრით ჩამოუვარდება სხვა ჟანრის თხზულებებს, მხატვრულ თხზულებებს, რომელთა ლიტერატურულ-ესთეტიკური დონე უთუოდ შეესაბამება მათი თანამედროვე ეპოქის მოთხოვნებს. ისტორიკოსები თავიანთ თხზულებებს აგებენ გარკვეული კომპოზიციური თანმიმდევრობით, იყენებენ შედარების, მეტაფორის, სიმბოლოს, ალუზიის,

² XIV საუკუნის I მეოთხედის ისტორიკოსმა, რომელსაც ჟამთააღმწერლის სახელით ვიცნობთ, შეაფასა ისტორიული ფაქტების ზუსტად გადმოცემის მნიშვნელობა და განაცხადა: „ჟამთააღმწერელობა ჭეშმარიტისმეტყუელება არს, და არა თუაღახმა ვისიმე“ (ქართლის ცხოვრება 1959: 199). ერთი საუკუნით ადრე, XIII საუკუნის 30-იან წლებში, საქართველოს კათალიკოსმა არსენ ბულმაისიმისძემ თავის მრავალმხრივ მნიშვნელოვან ეპისტოლეში, რომელიც მან აბუსერ აბუსერისძეს მისწერა, თავისი ლიტერატურულ-ესთეტიკური მრწამსი წარმოაჩინა: „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ, რომელისაჲმე საქებელ-ყოფად, ხოლო სხვასა განქიქებად“ (სულავა 2003: 309). საქართველოს მწყემსმთავარმა ამ სიტყვებით განსაზღვრა, თუ როგორ შეიძლება აღვიქვათ ყოველი თხზულება, ისტორიულიცა და მხატვრულიც, რომელიც ნათლად წარმოაჩენს თვით ავტორის სულიერ-შემოქმედებით სამყაროს, მის მხატვრულ მეთოდს, ესთეტიკურ თვალთახედვას. ამიტომაც არის ეს ეპისტოლე არსენ ბულმაისიმისძის ავტოპორტრეტი, მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების გამომხატველი ქვაკუთხედი.

ენიგმის მხატვრულ ხერხებს, რისთვისაც ძირითადად ბიბლიური სიუჟეტები, მისი პერსონალები, სიმბოლოები მოხმობილი; ხშირად ქართველ მეფეებს ადარებენ ანტიკური ეპოქის ისტორიულ პირებს, ბერძნულ-რომაულ და სხვა ქვეყნების მითოლოგიურ პერსონაჟებს, აღმოსავლური ქვეყნების მხატვრული ლიტერატურის მთავარ მოქმედ პერსონაჟებს მათი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდის ან თვისების მსგავსების საფუძველზე; პერსონაჟების მეტყველებაში გვხვდება ბიბლიური წარმომავლობის კონსტრუირებული სიტყვები; მსჯელობისა და მეტყველების ამგვარი სტილი ამადლებულთან ერთად მშვენიერების ესთეტიკითაა გაჯერებული. კლასიკური ეპოქის ყოველი ისტორიული ნაწარმოები სიმბოლური და ალეგორიული აზროვნების ნიმუშიცაა, რომელშიც გამოყენებულია პარალელური სახეები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან, ე. წ. სახეთა პარალელიზმის მხატვრული ხერხი, რაც ყოველი ცალკეული პასაჟისა და მთლიანი ნაწარმოების სრულად აღქმაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ი. ჯავახიშვილმა დავით აღმაშენებლის „ცხოვრების“ განხილვისას დაიმოწმა ეფრემ მცირის შეხედულებანი თხრობის მეთოდის შესახებ, რომლის მიხედვით თხრობა შეიძლება ყოფილიყო ორი სტილისა: 1. მარტივი, ანუ „ლიტონითა სიტყვთა“ შესრულებული და 2. ხელოვნურად გამშვენებული, გარდაკაზმული სტილით შეთხზული თხზულებები. ამ კვალიფიკაციის მიხედვით, მარტივი და რიტორული სტილით შექმნილი თხზულებები ერთმანეთისაგან მკვეთრად იმიჯნება; ამასთანავე, შეინიშნება აზროვნების განვითარების ორი საფეხური. ეფრემს, მისივე სიტყვით, ხელოვნური სტილით, ანუ რიტორული ენაწყლიანობით შესრულებული თხზულებები უფრო მოსწონდა. ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც ეფრემის მოძღვრების მიმდევარი ყოფილა, ანუ თხზულებას წერდა „ველოვნებითა რიტორობისათა“, „ჯეროვნად რიტორობისა“, ოღონდ ისე, რომ ფაქტები უთუოდ სწორად უნდა აღეწერა და მოვლენათა შესახებ მონათხრობი არ გაეხვიადებინა. მისი სიტყვით: „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თითონ მხოლოდ მაშინ მიმართავდა

მოთხრობის დროს „რიტორობის ჯელოვნებას“, როცა „ნიეტონი საქმეთანი“ ექმნებოდა“ (ჯავახიშვილი 1977: 216).

საისტორიო თხზულებათა ლიტერატურულ-ესთეტიკური ფენომენის განსაზღვრისათვის საჭიროა შემდეგი საკითხების კვლევა: ნაწარმოების სტრუქტურა და კომპოზიცია; სიუჟეტის განვითარება და თხრობის თანმიმდევრობა; ისტორიკოსის მიერ პერსონაჟის ექსპონირების მხატვრული ხერხის გამოყენებით ისტორიული პირის, როგორც ლიტერატურული პერსონაჟის ასახვის პრინციპები; მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები პერსონაჟთა თუ ცალკეულ მოვლენათა წარმოსახენად. ქართულმა საისტორიო მწერლობამ იმეკვიდრა ჰაგიოგრაფიის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები და საშუალებები, თავისი მიზანდასახულების შესაბამისად.

1. პერსონაჟთა ხატვის პრინციპები. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებ რამდენიმე საკითხზე, კერძოდ, ისტორიული პირის, როგორც ლიტერატურული პერსონაჟის ექსპონირების მხატვრულ ხერხზე. ისტორიკოსი მისი წარმოსახვისას ძირითადად ჰაგიოგრაფია-ჰიმნოგრაფიაში შემუშავებულ სახეობრივ პრინციპებს, გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებსაც მიჰყვება.

უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული თხზულების ლიტერატურული თვალსაზრისით შესწავლა თვით ისტორიულ პირთა ხასიათების, თვისებების, ზნეობის, სულიერ-ინტელექტუალური სამყაროს სრულყოფილად აღსაქმელადაა აუცილებელი; მემატიაზე ისტორიული სიტუაციების ბიბლიურთან პარალელების მოხმობით მხატვრულ სიძლიერეს სძენს თხზულებას; პერსონაჟთა ქმედება და მათდამი ღვთის დამოკიდებულება შედარებულია ბიბლიურთან, რითაც უფრო მეკეთრად წარმოჩნდება ერის სულიერი მისია და თვით პიროვნების სულიერი სამყარო, არსი და დანიშნულება; ცხადია, ანალოგები ყოველთვის ზუსტი არაა, მაგრამ ისინი ავტორს ისტორიული პირის სულიერი სამყაროს გასახსნელად სჭირდება. ამ მხრივ საყურადღებოა ქართველ ბაგრატიონ მეფეთა შედარება დავით წინასწარმეტყველთან და სოლომონთან, რაც პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი ნიშანი იყო (კეკელიძე, 1957: 199; კეკე-

ლიძე, 1956: 317-318). ეს ფაქტი არა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისითაა განსახილველი, არამედ თხზულების მხატვრული არსის განსაზღვრისათვისაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

აღიარებული ფაქტია, რომ შუა საუკუნეების ესთეტიკაში კონკრეტულად მომხდარ ისტორიულ ფაქტს მხოლოდ თავისთავადი მნიშვნელობა არ ჰქონდა, იგი აღიქმებოდა ჭეშმარიტი ღირებულების მქონე, ბიბლიური კატეგორიების გამოვლინებად ლოკალურ დროში. ამიტომ მეფეთა და დიდებულთა ცხოვრება ბიბლიურ მეფეთა თავგადასავლებისა და ისტორიის ფონზე განიხილებოდა. საისტორიო თხზულებაში ისტორია, მსოფლმხედველობა, ბიბლიური შედარებები და მხატვრულ ხატ-სახეთა ესთეტიკური ფუნქცია ერთდროულად წარმოჩნდება და განისაზღვრება, რასაც საისტორიო მწერლობის ესთეტიზაციის აღიარებამდე მიყვავართ. „ქართლის ცხოვრების“ ყოველი თხზულება ესთეტიზებულია. ყოველი შედარება თუ პარალელური სახე გლობალური, ზოგადქრისტიანული მსოფლმხედველობის ნიშნებთან ერთად, ღრმა ეროვნულობითაცაა აღბეჭდილი, რაც ერის საჭირობოროტო და მტკივნეულ პრობლემებზე დაფიქრებული მწერლის სულისკვეთებას გვაუწყებს.

„დავით აღმაშენებლის ცხოვრებაში“ წარმოჩენილია სახე-იდეალური ქრისტიანული სახელმწიფოს მეფისა, ქრისტიანი მეფის იდეალი... ისტორიკოსი დავითს თავის წინაპართა ღირსეულ მემკვიდრედ მოიაზრებს და მის სახეს პორიზონტალურ ჭრილში წარმოგვიდგენს. მემატანე მეფის რეალური სახის წარმოსაჩენად ეყრდნობა მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ გამომსახველობით საშუალებებსა და მხატვრულ ხერხებს, რითაც იქმნება ესთეტიკური ფენომენი. შუა საუკუნეების საისტორიო თხზულებათა ესთეტიზაციის საფუძველს ძირითადად ბიბლიური წიგნებისა და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ძეგლების მხატვრული ფენომენის ამ უანრისათვის მისადაგება წარმოადგენს. მთავარი ისაა, თუ რითაა ნასაზრდოები ქართული საისტორიო მწერლობა იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, როგორ იყენებს მემატანე ბიბლიას, მსოფლიო ლიტერატურის მხატვრულ სამყაროს, ტროპოლოგიას.

თხზულების მსჯელობისა და მეტყველების სტილი ამადღებულთან ერთად მშვენიერების ესთეტიკითაც არის გაჯერებული. „ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი“ სიმბოლური და მეტაფორული აზროვნების ნიმუშადაც გვესახება, რადგან მასში გამოყენებულია სახეთა პარალელიზმის პრინციპი, რაც ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ხატ-სახეთა ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ სტრუქტურას ეფუძნება, აგრეთვე, კონტრასტული პარალელიზმის მხატვრული ხერხი, რაც პიროვნების ხასიათს, თვისებებს უკეთ წარმოაჩენს. თხზულების ლიტერატურული თვალსაზრისით კვლევა თვით ისტორიულ პირთა სახეების სრულყოფილად შესასწავლადაა აუცილებელი; მემატინე ისტორიული ფაქტების ბიბლიურთან პარალელის გავლებით მხატვრულ სიძლიერეს სძენს თხზულებას; ანალოგები ყოველთვის ზუსტი შეიძლება არ იყოს, მაგრამ ისინი ავტორს ისტორიული პირის სულიერი სამყაროს გასახსნელად სჭირდება, რითაც თხზულება ლიტერატურულ ღირებულებასაც იძენს.

დავით აღმაშენებელი შედარებულია ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ ისტორიულ პიროვნებებთან თუ მხატვრულ თხზულებათა პერსონაჟებთან, ანტიკური ეპოქის ისტორიულ პირებთან, ბერძნულ-რომაულ მითოლოგიურ პერსონაჟებთან, აღმოსავლური ქვეყნების მხატვრული ლიტერატურის მთავარ გმირებთან მათი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდის ან თვისების მსგავსების მიხედვით; კერძოდ, ალექსანდრე მაკედონელთან, პტოლომეოს ეგვიპტელთან, აქილევსთან, ბარამ-გურისთან, ანტონი მეგვიპტელთან, პავლე მოციქულთან, იმპერატორ კონსტანტინესთან – რწმენით, სიბრძნით, განათლებით, მხედართმთავრობით, ზნეობით, სიქველით; მისი ომები შედარებულია ტროელთა და ალექსანდრე მაკედონელის ომებთან. მეფეთა და მეომარ გმირთა შედარებები ბიბლიურ პერსონალებთან მხატვრული ფუნქციითაც იტვირთება. ამიტომ პერსონაჟის პორტრეტი, რომელსაც ავტორი სანთელივით ჩამოქნის, ღრმად მეტყველი და ფსიქოლოგიზმით აღსავსეა, იგი საბოლოოდ შთამბეჭდავ მხატვრულ სახედ ჩამოყალიბებული გვევლინება. ისტორიკოსი, ჰავიოგრაფთა მსგავსად, მრავლისაგან მცირედს გამოარჩევს და მისი მონათხრობი

მკითხველზე ტოვებს დიადის, ამაღლებულის შთაბეჭდილებას, რითაც იქმნება თხზულების ესთეტიკური აღქმის საფუძველი.

განსაკუთრებული რიტორული ენაწყლიანობით გამოირჩევა დავით მეფის ხოტბა, რომელიც არაერთხელ მოქცეულა ყურადღების ცენტრში. იგი, როგორც ქართული მჭევრმეტყველების ნიმუში, ნ. კანდელაკის დაკვირვებით, „ერთი განუყოფელი კომპოზიციური მთელია“ და „მედგება მხატვრული შედარებების შემცველი, აზრით დასრულებული, ფორმით გამოყოფილი პარალელური კონტექსტებისაგან“ (კანდელაკი 1968: 267).

„უშიში და ყოვლად უძრავი გულითა“, „ყოველი საქმე უშენიერად და ღონიერად ყო, რაბამ რადმე წყნარად და უშფოთველად, გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო“ (დიდგორის ომში), დავითის საქმეთა გადმოცემა ჩვეულებრივი ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება: „ყოვლისა სოფლისა ბრძენთა ვერ შესაძლებელ არს მითხრობად ზედა-მიწევნით ყოვლისავე, და გამომეტყუელთა ენად იმხილოს ჯეროვნად გამოწულიღვით თხრობასა ვერ-მიცემად“ (შანიძე, 1992: 191). დავითის შედარება ღომთან აქტუალურია თხზულებაში. ომებში ყოველთვის წინ უძღოდა თავის ლაშქარს და „ვითა ღომი შეუზახებდა ჳმითა მალღითა და ვითა გრიგალი მი-და-მოიქცეოდა, თუთ გოღიათებრ მიჰმართებდა, და მკლავითა მტკიცითა დაამკობდა ახოვანთა“ (შანიძე, 1992: 173). ყოველი მისი ბრძოლა გამარჯვებით მთავრდებოდა, რასაც ისტორიკოსი „ძღვევად საკვირველის“ სახელით იხსენიებს და „ტალანტის განმრავლებად“ მიიჩნევს (173). სტილი მეფის ცხოვრებისა ფსალმუნურ-აპოსტოლური მოძღვრების კვალობაზეა ასახული: „რამეთუ არა სცა ძილი თუალთა, არცა რული წამთა, არცა განსუენებაჲ ვორცთაჲ თუსთა; არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებისა ვორცთაჲსა, არა საჭმელ-სასუმელთა, არცა სიმღერა-სიღოდათა...“ (შანიძე: 186). დავითის გმირობის, მისი მხედართმთავრული ნიჭით აღფრთოვანებული ავტორი ზოგჯერ გაკვირვებითაც შესძახებს: „რომელმან ქარტამან და მელანმან დაიტოს აღწერად!“ (192). სხვაგან კი აღნიშნავს: „გარნა მე ერთიღა შევსძინო სიტყუად ამათ

თანა“ (შანიძე, 1992: 203). მეფის ნადირობასთან დაკავშირებით წერს: „რამეთუ ვინ ჰგვანდა კორციელი, ანუ ვინ იხილა ნადირობასა შინა ესეოდენ განმარჯუებული? მოსიმახოს ვინმე ითქუმის ებრაელი მოისრობისა და კეთილმმართველობისათვის აღექსანდრეს სპათა შორის მჯობად, და აქილვეი კენტავროსისაგან განსწავლულად მოისრობისა ელლენთა შორის, ხოლო ბაჰრამჯური სპარსთა შორის მოქმედად უცხოთა და საკურველთა, გარნა ვერცა ერთი ამათგანი შეესწორებოდა ამას, ვითარცა გუზილაგს ჩუენ“ (შანიძე, 1992: 202). ისტორიკოსი მეფეს ხშირად რიტორიკული კითხვების მეშვეობით წარმოგვიდგენს, რაც მწერლის სახისმეტყველური აზროვნების დადასტურებაა. როდესაც განსაკუთრებულზე, მნიშვნელოვანზე უნდა შეაჩეროს ყურადღება, სწორედ მაშინ მიმართავს რიტორიკულ ხერხებს, კერძოდ, რიტორიკულ კითხვას, რომელიც მხატვრულ-გამოსახველობით ფუნქციას იძენს. თხზულება დავითის ზესთასოფლად გადასვლით მთავრდება, რაც ზეციური მოქალაქობის მოპოვების სიმბოლოთია წარმოსახული: „და ესრეთ განცვალა ქუეყანისა მოქალაქობად ზენად სუფევად, რომლის მკედრნი განკსნილ არიან შრომათაგან... ქალაქსა მას, რომლისა შეუნიერებად არა უხილაგს თუალსა სხეულეანსა და რომლისა ბრწყინვალებად ვერ აღვალს გულსა კორციელსა, ვერცა სასმენელი ვერ დაიტევს სმენილსა“... (შანიძე, 1992: 224). დავითის მეფობის ბრწყინვა გრძელდება მის მემკვიდრეში – დემეტრეში, რომელსაც მეფე დავითი თავისზე აღმატებულად მიიჩნევდა და დმერთს შეავედრა „გამობრწყინვებად დღეთა მისთა სიმართლედ და მრავალი მშუდობად“ (შანიძე, 1992: 224).

2. ნათლის ტროპიკა. დავით აღმაშენებლის „ცხოვრება“ ბიბლიურ-ევანგელურ და საღვთისმეტყველო ლიტერატურაში დამკვიდრებული ნათლის სიმბოლო-მეტაფორით წარმართება, რომელიც კომპოზიციურად კრავს თხზულებას. დავითის ისტორიკოსი მისი გამეფების აღწერისას ამბობს: „ამიერითგან იწყეს ნიავთა ცხორებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხოვარებისათა აღმოჭვრობად, ვინათგან ათორმეტ წელ ამათ თვთო-სახეთა ჭირთა განგრძობილთა ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან

ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელმოდგამმან დავით ღმრთისა მამისამან... დავით“; ასევე უწოდა გიორგი ბრწყინვალის გამეფებას ჟამთააღმწერელმა თავის თხზულებაში, რითაც მეფის მოვლინების დროულობაა მითითებული. მეფის „აღმოცისკრება“ ის მხატვრული სახეა, რომლითაც საქართველოს მომავალი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ის ვითარება წარმოგვიდგება, რომელშიც იმყოფებოდა ჩვენი ქვეყანა მათი გამეფების პერიოდში. ეს ის მხატვრული სახეა, რომელიც ქვეყნის ისტორიის მსვლელობის ჭრილში დროის სამ განზომილებას – წარსულს, აწმყოსა და მომავალს – ათვალსაჩინოებს. იგი მიუთითებს, რომ მძიმე წარსულის შემდეგ იწყებს მეფე მოღვაწეობას და მისმა ქმედებამ, მისმა „სიტყვამ საქმიანმა“ და „საქმემ სიტყვიანმა“ უნდა შექმნას ქვეყნის მომავალი. ასე რომ, ეს სახე – „აღმოცისკრება“ – სიმბოლოდ იქცევა და დროსივრცული პოეტიკის გამოხატვის ფუნქციას კისრულობს. ნათლის სიმბოლიკა მთელი ნაწარმოების წარმმართველი და შემკვრელია. იწყება დავითის „აღმოცისკრებით“ და მთავრდება დავითის პიროვნების ნათლის სიმბოლიკით წარმოსახვით. სიმბოლურ ხატ-სახეს მოსდევს საღვთისმეტყველო საზრისით გაჯერებული ფრაზა, რომელიც დავით აღმაშენებლის ღვთიურ ცხებულებას მიუთითებს: „თუთ მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონად თუსი, და საცხებელი მისი წმიდად სცხო; რამეთუ კელი მისი შეეწია, და მკლაგემან მისმან განაძლიერა იგი; წყალობად და ჭეშმარიტებად შეჰმოსა მას... დადვა ზღუასა ზედა კელი მისი და მდინარეთა ზედა მარჯუენე მისი“ (შანიძე: 166).

რიტორიკული ნიჭით, ღრმა რელიგიური განსწავლულობით გამორჩეული ისტორიკოსი დავით აღმაშენებელს იმგვარ ხოტბას ასხამს, რომელშიც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ნათელზე, მზის დარ ბრწყინვალეობაზე: „ამათდა მომართ რასა იტყუ, რასა სიბრძნისა მოყუარებ შენ, უფროდსად ბრწყინვალეო, თუალო ყოველისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო, რომელი ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყარო ხილულსა სოფელსა შორის, საჩინო, ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის; ბრწყინუალ, ვი-

თარცა ეთერი ნივთა შორის; ნათლის-ფერ, ვითარცა ელვა ღრუბელთა შორის; ცისკროან, ვითარცა აღმოსავალ კერძოთა შორის; ტკბილ, ვითარცა არა ჟამთა შორის; ღმრთის სახე, ვითარცა საყუარელი სათნოებათა შორის“. ავტორი შედარებების დიდოსტატია, ამ შედარებების საშუალებით დავით მეფე სახისმეტყველურად მაცხოვრის ჰიპოდომითაა შემოყვანილი, იგი იესო ქრისტესთანაა მიმსგავსებული, – ჰგავს ელვას (მათეს სახარებაში ღმრთის მეორედ მოსვლა ელვასთან არის შედარებული – „ვითარცა ელვაა რად გამობრწყინდის მზის აღმოსავალით“, მათე, 24, 27; „იყო ხილვაჲ მისი ვითარცა ელვაჲ“, მათე, 28, 3; „სამოსელი მისი სპეტაკ ვითარცა ელვაჲ“, ლ, 9,29)), დავითი ნათლის ფერია (ნათელი ქრისტეს სიმბოლოა – „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ“, ი, 8,12; „ნათელი მოივლინა სოფლაჲ“, ი, 3,19)... დავითთან მიმართებაში გამოყენებულია სხვა, სიმბოლურობით დატვირთული შედარებებიც („ოქრო მიწათა შორის“, „ვარდი ყუავილთა შორის“, „სამოთხე ქუეყანასა შორის“ და სხვა), რომლებიც ქრისტეს სიმბოლოებია...

ნათლის სიმბოლიკითაა გამსჭვალული დავითის ასულების სილამაზის შესახებ ისტორიკოსის მიერ მოწოდებული ცნობა. მემატიანე აღნიშნავს, რომ დავითის ასულებმა მთელი სამყარო გაანათეს და გააბრწყინეს მამისაგან მიღებული მზის მსგავსი შარავანდედით: „**ვითარცა ორნი მნათობნი, – ერთი აღმოსავალს და ერთი დასავალს, – ცისკროვან-ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი**“ (შანიძე, 1992: 180). ნათელი, მზიანობა ქალიშვილებს მამისაგან მოსდგამთ და მოჰყვებათ. დავითმა უფროსი ასული თამარ შირვანის მეფეს მიათხოვა და შირვანი შემოიმტკიცა. შემდეგში დაქვრივებული თამარი საქართველოში დაბრუნდა და თიღვის მონასტერი ააშენა. მეორე ასული კატაი ალექსი კომნენოსის ვაჟს – ისააკს მიათხოვა და ბიზანტიასთან ურთიერთობები მოაწესრიგა. მემატიანის სიტყვები იმას ადასტურებს, რომ დავითმა თავისი ოჯახური გარემოთიც შეკრა და შეაკავშირა სამყაროს ოთხი კუთხე, რომელთა ცენტრში თვით დავით აღმაშენებელია. მოგვიანებით, დავითის შთამომავალი თამარი შამქო-

რის ომში გამარჯვებასთან დაკავშირებით დაწერილ იამბიკოში თავის თავს სამყაროს შუამფლობელად მიიხნევს.

თხზულების დასასრულს დავითის მეფობა ნათლის სიმბოლიკით წარმართება და მისი ნაღვაწი მზის შარავანდზე აღმატებულადაა წარმოდგენილი: „და რაოდენნი ვინ აღმორწყუნეს სიტყვთა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთაჲსა, რომელთა შინა ვერვინ ძუელთა და ახალთა მეფეთაგანი ემსგავსა, ვითარცა საქმენი წამებენ მზისა შარავანდთა უბრწყინვალესნი და ცხადნი, რომელნი სიბრძნითა თუსითა მან ქმნნა“ (შანიძე, 1992: 206).

3. სულიერი მოძღვრისა და ერის წინამძღოლის პარადიგმული ხატ-სახე. ისტორიკოსი გვიამბობს უფლისწულ დავითის ბავშვობის შესახებ, რამაც ჩინებული აღმზრდელის – გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ზედამხედველობის ქვეშ განვლო; იგი მისი თანამოაზრე-თანამდგომი იყო და მუდმივად მხარში ედგა მეფეს. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი სულ ათიოდე წლით იყო დავითზე უფროსი, მამის მაგივრობას უწევდა ახალგაზრდა მეფეს. ყურადღება მივაქციოთ მემატეიანის სიტყვებს, რომ გიორგი იყო „თანა-აღზრდილი პატრონთა, აღმზრდელი პატრონისა და თანა-განმკაფელი ყოველთა გზათა“. აქედან ნათლად ჩანს, რომ მეფესა და ვაზირთაუპირველესს შორის მცირე ასაკობრივი სხვაობა უნდა ყოფილიყო, ისინი თითქმის ერთ თაობას ეკუთვნოდნენ, ამიტომ უწოდებს ისტორიკოსი მეფის „თანააღზრდილს“, ხოლო „თანა-განმკაფელი ყოველთა გზათა“ თანამოაზრეობა-თანამებრძოლობას ნიშნავს. გიორგი დავითის მიერ წამოწყებული ყველა საშინაო და საგარეო საქმიანობის აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი აღმსრულებელი იყო. რომ არა გიორგი ჭყონდიდელი და მისი ღვაწლი, დავითის საქმიანობა, შესაძლოა, სხვაგვარად წარმართულიყო. მემატეიანის სიტყვით, გიორგი ჭყონდიდელი ყოფილა „**კაცი სრული ყოველითა სიკეთითა სულისა და ხორცთათა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სვიანი და ფრთხილი**“. გიორგი ჭყონდიდლის ღვაწლისა და დამსახურების შესახებ ისტორიკოსის მსჯელობას საქართველოს, ქართველი ერის წინაშე, პოლიტიკურ-იდეოლოგიურთან ერთად, მხატვრულ-ესთეტიკუ-

რი ელფერიც გასდევს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის დავით მეფის „ცხოვრებასა“ და აღმზრდელ-აღზრდილის ურთიერთობას; მათი თანამოღვაწეობა სულიერი მოძღვრისა და ერის წინამძღოლის ხატ-სახეებით წარმართება. თუ ღრმად ჩავეუკვირდებით გიორგი ჭყონდიდლის მემატინისეულ დახასიათებას, უთუოდ შევნიშნავთ მსგავსებას ჰაგიოგრაფიასთან, კერძოდ, გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან“, რომელშიც წმ. გრიგოლის გარეგნული და სულიერი თვისებების ჰარმონიულობის წარმოჩენას წმინდანის სრულყოფილება, ზნესრულობა წარმართავს. წმ. გრიგოლისა და აშოტ კურაპალატის თანამოაზრეობა-თანამებრძოლობას ჰიპოდიგმური ღირებულება აკისრია დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდლის სახეთა პარადიგმული გააზრებისათვის. თავის მხრივ, წმ. გრიგოლისა და აშოტ კურაპალატის თანამოაზრეობა-თანამებრძოლობას ჰიპოდიგმად დავით წინასწარმეტყველისა და სამოელის ხატ-სახეები უძღვის.

4. ბიბლიურ-ევანგელური სახისმეტყველებისათვის. დავით აღმაშენებლის „ცხოვრების“ პირველი ნაწილის ბოლო მონაკვეთში ისტორიკოსმა დავითის მომავალი ღვაწლი სახისმეტყველებითად წინასწარ წარმოაჩინა, რაც საისტორიო თხზულებას ესთეტიურ ბუნებას ანიჭებს: „ესვეითარნი უკუე არიან მეფობრივთა მიმოსლვათა მისთა, წყობათა და ღუაწლთა, ძღვეათა და წარმართებულებათა, დაპყრობათა და ახუმათა დიდთა მათ და მრავალთა სამეფოთა და სამთავროთა მოთხრობანი და საქმენი, რომელნი მან ქმნა და აღასრულნა, რომელნი ჩუენ მცირედითა და ყოვლად კინითა სიტყვთა წარმოგუჩენიან დიდთა მათ და მითხრობად შეუძლებელთა საქმეთა მისთაგან, და ბრჭალთაგან ლომსა და ფესვსაგან მცირისა ყოვლისა (მ. შანიძის გამოცემით) (ყუავეილისასა – ს. ყაუხჩიშვილის გამოცემით) ქსოვილისა ვითარებასა საცნაურ-ყოფად გმეცადინობთ, ვითარცა აჩრდილისაგან კაცსა, რომელნი-ესე შეუძლებელ არიან ყოფად“ (ქართლის ცხოვრება 1955: 346). მეფის საქმიანობა წინაპართა ნაღვაწის გაგრძელებად აღიქმება, რასაც ბიბლიურ-ევანგელური მოძღვრების კვალობაზე გვამცნობს, როდესაც ამბობს „ბრჭალთაგან ლომსა“, რაც გულისხმობს ლო-

მის ბუნების ბრჭყალოთ მიხედვით მოაზრებას; მასში სახარებისეული სიტყვების – „ხე ნაყოფისაგან შეიცნობის“ – გამჭვირვალე აღუზია შეიცნობა. ამგვარი აღუზია თამარის ისტორიაშიც დასტურდება: „ლომი ბრჭალოთაგან საცნაურ არს“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 19).

აქვე ყურადღება უნდა შევაჩეროთ მეორე ბიბლიურ-ევანგელური ხატ-სახის აღუზიაზეც, რომლითაც დავითის, როგორც მეფის იდეალზე საზოგადოდ და როგორც ქართველ ბაგრატიონ მეფეთა ბიბლიურ ჩამომავლობაზე მინიშნება არის აქცენტირებული. ესაა „ფესვსაგან მცირისა ყოვლისა ქსოვილისა“, რომელსაც ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. იგი, უპირველესად, 44-ე ფსალმუნის სიტყვებს ეხმიანება: „ყოველი დიდებდა ასულისა მეუფისა შინაგან, ფესუდითა ოქროვანთა შემკულ არს და შემოსილ პირად-პირადად“ (ფს. 44, 14); საგულისხმოა მათეს სახარების ის მუხლი, სადაც საუბარია სისხლმდინარი ქალის მიერ მაცხოვრის სამოსლის ფესვთან შეხებაზე: „და აჰა ესერა დედაკაცი ვინმე, რომელი იყო სისხლისა დინებასა ათორმეტ წელ, მოუჭდა ზურგით და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა“ (მათე, 9, 20). „ფესუ“ ძველ ქართულში ფოხის მნიშვნელობით გამოიყენება, რის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ფილიპე ბეთლემელის საგალობელი დასახელდეს: „ფესუთა მათგან ოქროვანთა შემკული ხარ შენ, ქალწულო, // იაკინთე ძოწეული სამოსლად გაქვს, ღმრთისმშობელო“. მას პარალელები აქვს საგალობლებში, დავიმოწმებ დვთისმშობლის „შესხმას“ „უძველესი იადგრიდან“: „ფესუდითა ოქროვანითა შემკულსა, პირად-პირადად შუენიერსა ვადიდებდეთ“ (უძველესი იადგარი, 1980: 439). საბას განმარტებით, „ფესუ“ ფესუედი – ჰურიათა მწიგნობარნი, ფესვთა გამოიბემდენ სამოსელთა ქუეშე მოსაჯსენებლად მცნებათა უფლისათა; ფესუ – ძირის ჩინჩლი, გინა სამოსლის ქვედა კერძი“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1966: 190); თავის მხრივ, საბა ფსალმუნთა ათანასე და კირილე ალექსანდრიელების კომენტარებს და მათეს სახარების იოანე ოქროპირისეულ განმარტებებს ეყრდნობა, განსაკუთრებით – ამ უკანასკნელს, რადგან მაცხოვრის სიტყვისამებრ („სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. და განიკურნა დედაკაცი იგი მი-

ერ უამითგან“; მათე, 9, 22), რწმენით შეეხო დედაკაცი მაცხოვრის სამოსლის ფესვს და განიკურნა. აქედან გამომდინარე, ფესუადი/ფესუ ფსალმუნური და ევანგელური ჰიპოდოგმაა, რომელიც უფლის მცნებათა დაცვისა და ერთგულების სიმბოლოა, ამიტომ ფრესკებსა და ხატებზე იგი განსაკუთრებული სიფაქიზით გამოისახება, სადაც მეწამული ფერის სამოსელზე შემოვლებული ოქროსფერი/ოქროვანი ფონია. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში იგი ხორციელი და სულიერი სიდიადის ჰარმონიულობის სახე-სიმბოლოა, რომელშიც დავითი, როგორც თავისი საგვარეულოს ღირსეული მემკვიდრე, მოიაზრება³. ტექსტის მ. შანიძისეული ვარიანტი ამ ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა.

5. ლექსიკური ერთეულის მხატვრული ბუნება. ისტორიკოსი მოიშველიებს ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებს, რომ ერი, რომელიც საგსეა ცოდვებით, უცხო ტომთა მსხვერპლი გახდება და მისი შეძახილი – „**ვაი ნათესავსა ცოდვილსა**“ – ერის ტრაგედიად აღიქმება. **ესაიას სიტყვები მემატთანემ გამოიყენა საქართველოს სავალალო მდგომარეობის საჩვენებლად.** ეს მემატთანის მხრიდან დროის მიერ შექმნილი მწვავე სიტუაციის, შექმნილი პირობების უზუსტესი შეგრძნება და შეფასება იყო, რაზეც კორნელი კეკელიძემ საგანგებოდ მიუთითა: „ავტორი ერთი კალმის მოსმით გვაგრძნობინებს მომენტის რაობასა და სიმწვავეს“... ამიტომაც „დიდია მხატვრული შესაძლებლობანი ამ ენისა, მისი მეტაფორული სახე-შედარებანი“ (კეკელიძე 1958: 264). მანვე აღნიშნა, რომ „დავითის სახით ავტორი იძლევა შეუდარებელი მეომრის სურათს, რომლის მოსახაზად ნახმარია მეტად ცოცხალი საღებავეები სამხედრო

³ „ცხოვრების“ ეს ეპიზოდი მზექალა შანიძემ ტექსტოლოგიური თვალსაზრისით განიხილა. აგრეთვე, მან ფესუ ისტორიკოსის თხზულებაში მიიჩნია არა ყვავილთან დაკავშირებულად, არამედ ქსოვილთან. ამიტომ მან ტექსტში **ყუავილი** დამახინჯებული სახით გადაწერილად მიიჩნია და მის ნაცვლად სხვა ხელნაწერთა მონაცემები **ყოველი** აღადგინა, რის შედეგადაც ტექსტი გაიმართა და კონტექსტი გასაგები გახდა (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992: 126-127).

ჯანრის მოთხრობებისა. ენა ნაწარმოებისა არის ლამაზი, მოხდენილი და მხატვრული“ (კეკელიძე, 1958: 264). ამ მძიმე ვითარებაში დავითის გამოჩენა ერის სულიერი და ფიზიკური არსებობის ხსნა იყო.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ ისტორიკოსის თვალით აფასებს ისტორიულ პიროვნებებს, მათი ჩვენების მხატვრული ხერხები ესთეტიკურ ღირებულებას ანიჭებს მათ და თხზულების ესთეტიკურ ბუნებაზე, მასში გამოვლენილ ესთეტიკურ ფენომენზე საუბრის საფუძველს ქმნის. ყოველი ეპიზოდი კომპოზიციური თვალსაზრისით შეკრულია და დამოუკიდებელი ნაწარმოების, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებელი ნაწარმოების, ნოველის შთაბეჭდილებას ტოვებს. ნიმუშად ერთ მონაკვეთს დავიმოწმებთ: მემატიანე მოგვითხრობს, თუ როგორი გატაცებით კითხულობდა წიგნებს მეფე ომშიც კი ისე, რომ ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაუგდია. ყურადღებას იქცევს ის ეპიზოდი, რომელშიც აღწერილია დავით მეფის ბრძოლა თურქთა წინააღმდეგ. კერძოდ, თბილისში, რომელიც არაბებს ეპყრათ ხელთ, შედიოდა ვაჭართა ქარავანი, რომელსაც ქალაქში მალულად თურქები უნდა შეეყვანა. მეფემ ლოჭინის ხევში თხუთმეტიოდე კაცი გაგზავნა, მტრის ყურადღების გასაფანტად ნახირის გატაცება დაავალდა, ხოლო თავად ავჭალის მიდამოებს მიაშურა სამასი მეომრით. არავის მიენდო და თვითონ მარტოკა წავიდა დასაზვერად, საჭურვლის გარეშე, მხოლოდ ხმალიღა ჰქონდა თან. მეფემ ღვთისმეტყველის წიგნი წარიტანა, ცხენიდან გარდახდა და კითხვას შეუდგა. ამასობაში ქართველებმა ნახირი გაიტაცეს, თურქებმა ცნეს, დაედევნენ და მათ შორის ბრძოლა გაიმართა. მეფე კითხვამ გაიტაცა, იგი ჯერ არ მოელოდა განზრახული საქმის ასე სწრაფად წარმართვას, როდესაც კივილი მოესმა. მყისვე წამოიჭრა და ხმას მიჰყვა, ნახა ნახირის გამტაცებელნი გასაჭირში და არწივივით „შთაბრიალდა“, კაკბებივით დაფანტა თურქნი: „მყის შთაბრიალდა ვითარცა არწივი და დააბნივნა ვითარცა კაკაბნი“ (შანიძე, 1992: 205). ბრძოლის დამთავრების შემდეგ ძლიერი ცემისაგან დაღვლარჩენილ ხმალს ისე შეცვლოდა ფორმა, რომ მეფემ ქარქაშში ვერ ჩააგო, რაც მეფის მებ-

რძოლ ბუნებას წარმოაჩენს. მემატრიანე აღნიშნავს, დააკვირდით, მოუცლელ მეფეს ამ ვითარებაში წიგნის კითხვა „აქუნდეს უსასწრაფოესად საქმედ“. მემატრიანე ისტორიულ პიროვნებას მხატვრული სახეებით ამკობს მისი სრულყოფილების საჩვენებლად. ლექსიკური ერთეულით „შთაბრიალდა“ ისტორიკოსი თვალნათლივ ხატავს მეფის მებრძოლ ბუნებას, რაც მხატვრულ სახედ ტრანსფორმირდება. ეს ეპიზოდი პერსონაჟის მხატვრული გააზრებისა და წარმოსახვის ერთი ჩინებული მაგალითია.

დავითის ბრძოლები საგანგებო მეტაფორა-სიმბოლოებით გადმოიცემა თხზულებაში. ისტორიკოსი საინტერესო შედარებას აკეთებს, როდესაც მეფის მებრძოლ ბუნებას ლომის მოთვინიერების, მოხელოვნების სახით წარმოგვიდგენს: „გარნა ლომსა მომკველოვანებელსა არა სცნოდა, არცა ჰრულობა ომისათვის“ (ქართლის ცხოვრება, 1955).

6. **წმ. გიორგი – ქართველთა წინამძღოლი დიდგორის ომში.** ისტორიკოსის მიერ ასახული ისტორიული ფაქტები პარალელს პოულობენ სხვა ეპოქის თხზულებებში. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, ქართველებს დავითის მიერ გადახდილი ომებიდან ყველაზე მნიშვნელოვან დიდგორის ომში დმერთი შეეწეოდა და ლაშქარს წინ უძღოდა წმინდა გიორგი, რომელსაც ყოველი მოლაშქრე ცხადად ხედავდა, ქართველთა მცველი მებრძოლი წმინდანი თავისი მკლავით მუსრავდა უსჯულო მტერს, რასაც თვით მტერთა ისტორიკოსებიც აღიარებდნენ: „რამეთუ ჴელი მადლისად შეეწეოდა და ძალი ზეგარდამოდ ჰფარვიდა მას; და წმიდად მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინა-უძღოდა მას და მკლავითა თუსითა მოსრვიდა ზედამოწვენულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თვთ იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგუთხრობდეს სასწაულსა ამას მთავარმოწამისა გიორგისსა“ (ქართლის ცხოვრება, 1955; მ. შანიძე, 1992: 191). რამდენიმე საუკუნის შემდეგ ამგვარივე სურათი აღწერა ვაჟა-ფშაველამ „**ბახტრიონში**“, კერძოდ, წმინდა გიორგის წინამძღოლობა თუშ-ფშავ-ხევსურთა ლაშქრისა, რაც დავითის ისტორიკოსის ცნობას ეხმიანება.

7. **მტრის სახის ხატვის გამომსახველობითი საშუალებები.** ისტორიკოსები, ჰაგიოგრაფთა მსგავსად, მტრის სახეს, როგორც მტარვალს, ქვეყნის მოღალატეს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებითა და ხერხებით ხატავს. დავით აღმაშენებელი დაუნდობლად ებრძოდა სახელმწიფოსა და სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე, სახელმწიფოს შინაგანი გათიშულობისაკენ მიდრეკილ დიდგვაროვან ფეოდალებს, განსაკუთრებით – ბაღვაშთა საგვარეულოს, რომელიც ისტორიულად ცნობილი იყო ბაგრატიონთა საგვარეულოს ძირითად მოწინააღმდეგედ და ქვეყნის დანაწევრება-დაქსაქსულობის მოთავედ. ფაქტობრივად, ამ დროისათვის უკვე გაუქმდა საუფლისწულოთა ძველი სისტემა, რაც ხელს უშლიდა ქვეყნის გაერთიანებას. მოსაგვარებელი დარჩა მოღალატე დიდგვაროვანთა საკითხი. კერძოდ, 1093 წელს საქართველოს მეფეს კვლავ განუდგა ლიპარიტ ბაღვაში, რომლის შესახებ ისტორიკოსი ამბობს: „**ლიპარიტ ამირამან იწყო მათვე მამულ-ჰაპურთა კუალთა სლვა, რამეთუ ზაკვიდა წინაშე მისსა**“ იმიტომ, რომ „**ქრისტიანე იყო სახითა, გარნა ორგულობა და სიძულილი პატრონთა გუარისაგან მოაქუნდა გონებითა**“. დავითმა იგი შეიპყრო და მონანიების შემდეგ კიდევ ერთხელ მისცა ერთგულების დამტკიცების საშუალება, ძველებურ პატივში აღადგინა და ღირსებებში შეუნარჩუნა, თუმცა მან ვერ შეიფერა მეფის დიდი წყალობა, ღვთის ნების თანახმად გამოვლენილი, და კვლავ უღალატა, რადგან, მხატვრული შედარებითა და გააზრებით, „**კუდი ძაღლისა არა განემართების**“ და „**არცა კირჩხიბი მართლიად ვაღს**“. როგორც მ. შანიძემ მიუთითა, „**კუდი ძაღლისა არა განემართების**“ ბიბლიური აღუზიანა (მდრ. ეკლ. 1, 15) და აღმოსავლეთში გავრცელებულ ანდაზასთანაც პოულობს პარალელს (შანიძე, 1992: 123); ხოლო ფრაზას – „**არცა კირჩხიბი მართლიად ვაღს**“, მკვლევარმა ბერძნულ ანდაზებში მოუძებნა პარალელი (შანიძე, 1992: 123-124). და აღიგავა სახელი ბაღვაშთა, „**სახლი განმამწარებელთა, რამეთუ სუა უკუანადსკნელი რისხვისაჲ, სასუმელი ცოდვილთა ქუეყანისათაჲ**“ (შანიძე, 1992: 169). ისტორიკოსის ამ სიტყვებს მხატვრული სიძლიერეც ახლავს.

აქაც შეიძლება პარალელის გავლება გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული თხზულების პერსონაჟთან – უკეთურ ცქირთან, რომელმაც ანჩის ეპისკოპოსობა მოივერაგა და დიდი უსიამოვნებები შეახვედრა წმ. გრიგოლ ხანძთელს. დავითის თანამედროვე ეკლესიები „სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს“ (შანიძე, 1992: 179), რაც სწორედ ცქირის გაეპისკოპოსებას ეხმიანება და რაც დავითის მცდელობით შეიცვალა, რაზეც ავტორი აღნიშნავს: „და ესეცა მიმსგავსებულად დიდისა კოსტანტინესა აღასრულა მეფემან დავით“ (შანიძე, 1992: 171-172).

8. მეფის ცხოვრებისა და ღვაწლის მეტაფორული აღქმა-შეფასება. ისტორიკოსი დავითის მიერ გაწეულ ღვაწლს ბრძენი მენავის აღსრულებულ საქმედ მიიჩნევს, იმ მენავისა, რომელიც მიისწრაფა ნავთსადგურად: „ესრეთ რაჲ აღსავსე იყო ნავი უფასოთაგან ტურთთა სათნოებისათა და არღარა შემძლებელ წარსლვად დადირთა და აქუნდა ყოვლით კერძო მშუდობაჲ... მაშინ ესრეთ განაგო... ვითარცა მენავემან ბრძენმან განიცადის რაჲ ნავი თუსი აღსავსედ მრავალფასითა ტურთითა, მიისწრაფის ნავთსადგურად, რაჲთა არარაჲ ივნოს სოფლისა მის ზღუსა მრავალმდეღვარობისაგან“. სათნოების უფასო ტვირთით აღსავსე ნავით მან მშვიდობით დატოვა ამქვეყნიური სამყარო და სოფლის ზღვის მრავალმდეღვარებისაგან უვნებელი მიისწრაფა ნავთსაყუდლისაკენ, რომელიც ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ზესთასოფელია, სასუფეველია. მან „აღასრულა სრბაჲ“ და „ტალანტი განამრავლა“, რაც დავითის ღვაწლს მიუთითებს.

დავითი თხზულების დასასრულს მაცხოვარს მიმსგავსებულად არის წარმოჩენილი და სრულყოფილად არის შეფასებული მისი ღვაწლი: „აჰა სახე არა უმსგავსოჲ, არამედ ფრიადცა თანა-შეტყუებული ჩუენისა თუთმპყრობელისა და ყოვლად გამომსახველი სიტყვთ საქმეთა თუაღთა ჩუენთა ხილულთა; რამეთუ სიტკბოებისა, სახიერებისა და სიბრძნისა მისისა ხილვად წყურილენი კიდით ქუეყანისაჲთ შემოკრებოდეს წინაშე მისსა. ვინ იყო ესეოდენ ტკბილ შემთხუევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვითა და სასურველ დუმილითა? იგივე შუენიერ ხატითა, უშუენიერეს

მორთულობითა გუამისაჲთა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა; ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმასხვლითა; საწადელ ღიმილითა, უსაწადელეს მჭმუნვარებითა; მადლიერ ხედვითა, საზარელ ღომებრ მაკრთობელობითა; ბრძენ ცნობითა, უბრძენეს გამორჩევითა; მარტივ სახითა, მრავალსახე მართებითა; შემრისხველ ყუდროებითა, საქებელ განსწავლულებითა, და არცა ერთსა კეთილთაგანსა შემაშთობელ უზომოებითა... ვინ ესრეთ მიიღო ერთიცა სათნოებათაგანი, ვითარ მან შეიკრიბა ყოველი? ვინ ყოველთაგან ერთი, ვითარ მან სრულებით თითოეული, რომელთა ყოველთათჳს შეუძლებელ არს დაკვრევბაჲ ოდენ, არა თუ მიბაძვებაჲ, რომლითა სრულ იქმნა იგი ყოველთა შინა?“ (ქართლის ცხოვრება, 1955; შანიძე, 1992: 219-220).

სიმბოლურობითაა აღბეჭდილი წმ. დავით მეფის გარდაცვალებაჲც, დაკრძალვაჲც, საფლავის ქვაზე წარწერაც. მეფის მიცვალება მხატვრული მეტყველებითაა გაჯერებული, მისი გარდაცვალება, მიძინება „რულითა შუენიერითადაა“ აღქმული და აღწერილია გარდაცვალების ადგილი: „საშუალ თჳსთა სამეფოთა, ადგილსა, თჳთ მის მიერვე წინაჲთ განჩინებულსა განსასუენებელად და მისაძინებელად, ვითარცა რულითა რაჲთაჲმე შუენიერითა, დაიძინა მამათა თჳსთა თანა“ (ქართლის ცხოვრება, 1955; შანიძე, 1992: 221).

საგანგებო განსჯის საგანი უნდა იყოს დავითის საფლავის ქვაზე წარწერილი დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნის სიტყვები: „**ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. ესე მთნავს აქა დავემკვიდრო მე**“. ცხადია, ამასაც თავისი დრმა სიმბოლიკა და პოეტიკა აქვს: დიდბუნებოვანმა ადამიანმა აჩვენა თავმდაბლობის იშვიათი მაგალითი. საფლავის ქვაზე წარწერილი ფსალმუნის სიტყვებით შესმინება მომავალ თაობებთან პოეტური ფორმაა სულიერი წონასწორობისა და სიმშვიდის მოპოვებისა, სულიერი ცხოვრების მოწესრიგებულობისა, თვითგამოხატვისა, რაც ასე თავმდაბლად, ქედმოდრეკით გამოიხატა ფსალმუნის სიტყვებით, ხოლო თვით მეფე-წმინდანმა – დავით აღმაშენებელმა „გალობანით“ თავისი ცხოვრების მიმწუხრს ქედდადრეკილის სიმბოლოთი წარმართა თავისი ქრისტიანული გრძნობა-განცდები.

არსენ იყალთოელმა დავით აღმაშენებელს მიუძღვნა ერთსტროფიანი ეპიტაფია, რომელშიც შეაფასა დიდი მეფის დვაწლი და დამსახურება საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე:

„ვის ნაჭარმაგვეს მეფენი თორმეტნი პურად
დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარე
გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა
შთამესხნეს.

აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს“.

ილია ჭავჭავაძის სიტყვით, „ამ დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, – ეს იქნება იმისი დვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს... კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, ამბობს ჩვენი ერი, ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა – წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი“.

დავით აღმაშენებელმა, ბრძენმა და განათლებულმა მმართველმა, შორსმჭვრეტელმა და დაკვირვებულმა მეფე-პოლიტიკოსმა, დაუძღურებული, დანაწევრებული საქართველო ჩაიბარა და უძლიერეს მონარქიულ სახელმწიფოდ გარდაქმნა; დაასრულა საქართველოს ერთიანი, ძლიერი მონარქიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ხანგრძლივი და ურთულესი პროცესი, გააერთიანა და გაზარდა ქვეყნის ტერიტორია, გააფართოვა და განამტკიცა საზღვრები, მოსახლეობისათვის ცხოვრება უშიშარი და სამართლიანი გახადა, განავითარა კულტურა, მოაწესრიგა საეკლესიო საქმეები, ხელი შეუწყო მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას, გამოასწორა ქვეყნის ეკონომიური ვითარება, რითაც ადასრულა თავისი სულიერი მისია.

ყოველივე ეს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების, მდიდარი სახისმეტყველების გამოყენებით ასახა არსენ ბერმა, რითაც ესთეტიკური ღირებულებაც მიანიჭა

ისტორიულ თხზულებას და თავად ისტორიკოსი-მემატიანე ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატადაც მოგვევლინა.

N. SULAVA

**ABOUT THE DEFINITION OF LITERARY
AND AESTHETICAL IMPORTANCE OF THE
„LIFE OF KING OF KINGS DAVITI“**

The ancient georgian historical writings did not give facts without definition, because of this it is not only historical chronicles. „Life of Kartli“ is valuable literary writing. Aesthetic phenomenon with its aim, content, literary value and theory of poetry, artistic. It is not only christian historical narration as other stories. It was published many works by georgian and foreigner scientists.

In our works we will show the literary aesthetic importance of the monk Arseni's „Life of King of Kings Daviti“. It is used comparisons, symbols, enigmas which were taken from the Bible. Characters are shown in comparison with historical people from antique periods, and with main characters of Greece and Roman mythological and Eastern (oriental) literature. The style of discussion and speech is full of beauty. The most important thing is principle of author to show the image of historical character as a literary character and also the comparison of historical and hagiographical stories.

Ivane Javakhishvili in the structural-composition research of the „Davit Agmashenebli's Life“ mentioned that it consists of two parts which means it is very close to the hagiography. We can give examples from Giorgi Merchule's, Saint Giorgi Mtatsmindeli's works.

The Aesthetic value of historical story is symbols of king's image and principles. The kings from the Bible were the example for georgian kings. It is the main principle for Davit Agmashenebeli's life. The ideal of kings from the Bible means the person full of respect and harmonious and Davit from the Bible were the symbol of this. King must be leader of his nation in everything and his word and affair

must be united. By Sul Khan-Saba king must be „Affair with Word“ and „Word with Affair“. In „The Life of Davit Agmashenebeli“ is given the ideal of king in the christian state, which was already given in the writting of Davit’s historian: „begins rising the sun of all kings Davit“ (compare the historian of XIV centuries) „the rising of the king“ in which was shown the social and political life of Georgia of his period. It is the poetry in which is given the right definition of three periods – past, present and future – . The king begins his work after hard past, his action – „Affiar with Word“ and „Word with Affair“ makes future and because of this „the rising of the king“ is symbol and is used with poetic function.


დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

- არისტოტელი, 1944 – არისტოტელი, პოეტიკა, წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტარები პროფ. ს. დანელიასი, თბ., 1944.
- კანდელაკი, 1968 – კანდელაკი ნ., ქართული მჭევრმეტყველება, თბ., 1968.
- კეკელიძე, 1958 – კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958.
- კ. კეკელიძე, 1956 – კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956.
- კ. კეკელიძე, 1957 – კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957.
- სულხან-საბა ორბელიანი, 1966 – სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, II, თბ., 1966.
- სულავა, 2003 – სულავა ნ., XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003.
- უძველესი იადგარი, 1980 – უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელენე მეტრეველმა, ცაცა ჭანკიევმა და ლილი ხევსურიანმა, თბ., 1980.

ქართლის ცხოვრება, 1955 – ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **სიმონ ყაუხჩიშვილის** მიერ, თბ., 1955.

შანიძე, ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი 1992 – ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო **მზექალა შანიძემ**, თბ., 1992.

ჯავახიშვილი, 1977 – **ჯავახიშვილი ი.**, თხზულებანი, VIII, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1977.



რედაქციისგან: წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს 2011 წლის 23 თებერვალს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში მეცნიერებათა აკადემიის წ/კ ლია მელიქიშვილის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციის: „მრავალეთნიკური ქვემო ქართლი და სოციალური უსაფრთხოება – ისტორია და თანამედროვეობა“ მასალებს. კონფერენციაზე გაიმართა საინტერესო დისკუსია ეთნიკური უსაფრთხოების აქტუალურ პრობლემებზე, რამაც ქართული საისტორიო საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია...

ლია მელიქიშვილი

ტრადიციული კულტურა გლობალიზაციის პროცესში

ბოლო ხანებში გლობალიზაციის პრობლემამ მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა. ყურადღების ცენტრში მოექცა საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების განვითარებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გავრცელების საკითხი.

დღეს მსოფლიო მასშტაბით ინსტიტუტები, ხალხები, ჯგუფები და ინდივიდები ორი ტენდენციის წინაშე აღმოჩნდნენ. ეს გახლავთ გლობალიზაცია და ეთნიკურობის ანუ ადგილობრივი ეთნო-კულტურული თავისებურებების მიმართ ინტერესის გაძლიერება. პრიორიტეტი არ დაუკარგავს ეროვნულ თვითშეგნებას, რომელიც ვლინდება ეროვნულ იდენტურობაში, ენაში, რელიგიაში და ტერიტორიულ საღმრთო მიკუთვნებულობაში.

ასევე მსოფლიო მასშტაბით ვლინდება მოდერნიზაცია თავისი დემოკრატიული მმართველობის ფორმით, სამოქალაქო საზოგადოებით, ადამიანთა უფლებებით, საბაზ-

რო ეკონომიკით, საერთაშორისო დამნაშავეობით და ტერორისტული ორგანიზაციებით.

თანამედროვე მსოფლიოში პარალელურად იზრდება ინტერესი ტრადიციული კულტურის მიმართ. დგება საკითხი “ან გლობალიზაცია ან ლოკალიზაცია”, ასევე “გლობალიზაცია და ლოკალიზაცია”. დროთა მსვლელობამ ნათელჰყო, რომ გლობალიზაციასთან ერთად გამოიკვეთა განსხვავების, გათიშულობის, დისკრიმინაციისა და შეუთანხმებლობის ნიშნები. არც გლობალიზაცია და არც მოდერნიზაცია ერთგვაროვნობას არ გულისხმობს.

დასამალი არაა, რომ დღეს გლობალიზაციას უფრო პრობლემად თვლიან, ვიდრე იმ ფაქტორად, რომელიც ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს.

სახელმწიფოთაშორისო ან ლოკალური რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით მსოფლიო ერთიანდება. ურთიერთდაახლოვებასა და ინტეგრაციას თან სდევს ისეთი პროცესები, რომელნიც მცირე ხალხებისა და ერების თვითმყოფადობისათვის შეიძლება ხიფათის შემცველი გახდეს.

კაპიტალისტური ბლოკი, ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობებითა და ეკონომიკით, რომელიც კერძო საკუთრებაზე იყო დაფუძნებული, ღია საზოგადოებას წარმოადგენდა და უფრო მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე საზოგადოებრივ-კომუნისტური თანასწორობის პრინციპებზე აგებული დახურული საზოგადოება.

მსოფლიო გლობალიზაცია „გლობალური სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის“ იდეალს აყენებს, რაც დღის წესრიგში სახელმწიფოს სუვერენიტეტს შეზღუდვის საკითხს აყენებს. ეს კი გლობალიზაციის ფუნდამენტური ნეგატიური ტენდენციაა. ასეთ შემთხვევაში მცირედ განვითარებულმა ქვეყნებმა, რომელთაც ისტორიულად ტრადიციული კულტურა გააჩნიათ, შეიძლება მსოფლიოს თავისი თავი შესთავაზონ, როგორც ნედლეულის მიმწოდებლებმა ან გასაღების ბაზარმა. ასეთი ქვეყნები შეიძლება დარჩნენ ეროვნული ეკონომიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე.

ეკონომიკური სარგებლის მისაღებად საჭირო გახდა მრავალი ქვეყანა ერთიან ძალად გაერთიანებულიყო. პირ-

ველ რიგში ეკონომიკური ინტეგრაცია გახდა საჭირო, რომელმაც ერთიანი სამართლებრივი სივრცის, ერთგვაროვანი პოლიტიკური მმართველობისა და დემოკრატიული ფასეულობების უნივერსალიზაცია მოითხოვა. შეიქმნა ახალი ევროპული ლიბერალურ – დემოკრატიული პროექტი, რომლის მიხედვით სამყარო რაციონალობის გზით უნდა გარდაიქმნეს ისე, რომ მოერგოს ყოველ ინდივიდუმს. ლიბერალური პროექტი უარყოფს ყველაფერს უკვე არსებულს, მათ შორის: კომუნიზმის უტოპიურ იდეებს. ეთნიკურ ნორმებს. ამ პროექტის რეალიზებამ ნაციონალური კორპორაციების ტრანსნაციონალურად გარდაქმნის საშუალება მისცა, რამაც თავის მხრივ გლობალური საინფორმაციო ველის შექმნა მოითხოვა. ამას კი მასობრივი კომუნიკაციების არნახული აყვავება მოჰყვა თან, კერძოდ კი კომპიუტერული ინტერნეტ-ქსელის წარმოშობა.

ბიპოლარული მსოფლიოს რღვევის შემდეგ, სამყარო თანდათან ერთგვაროვანი, ხოლო კულტურათა შორის სხვაობა კი თანამედროვეობის ხელისშემშლელად მოიაზრება. მიმდინარე პროცესები მრავალი ინტელექტუალის განხილვის საგანი გახდა. შეიძლება გამოვყოთ ორი თვალსაზრისი. თანამედროვე ამერიკელი მოაზროვნის ფ. ფუკუიამას აზრით, პოსტკომუნისტური ეპოქის დადგომისთანავე სახეზეა ისტორიის დასასრული. ფ. ფუკუიამა თვლის, რომ მსოფლიო ისტორია გადავიდა ხარისხობრივად ახალ საფეხურზე, სადაც დაპირისპირება, როგორც ისტორიის მამოძრავებელი ძალა მოხსნილია, და თანამედროვე მსოფლიო წარმოადგენს ერთიან საზოგადოებას. ეროვნული საზოგადოების ნიველირება და ერთიანი მსოფლიო თანამეგობრობის ჩამოყალიბება ისტორიის დასასრულს წინასწარმეტყველებს. ამის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოხდება. ისტორია აღარ იქნება სხვადასხვა ერებისა და სახელმწიფოების, კულტურათა და იდეოლოგიათა შეჯახების ველი. მას შეცვლის კაცობრიობის საერთო და ერთგვაროვანი მდგომარეობა.

განსხვავებულ აზრს ავითარებს ამერიკელი მოაზროვნე ს. ჰანტინგტონი. მისი აზრით, დღეისათვის იდეოლოგიურ წინააღმდეგობრიობას წარმოადგენს ცივილიზა-

ციათა წინააღმდეგობრიობა. მსოფლიო პოლიტიკური ჰომოგენიზაცია გამოიწვევს ცივილიზაციათა კონფლიქტს. ამ განსხვავებულ შეხედულებებს აერთიანებს ის, რომ ორივე ავტორი ხაზს უსვამს გლობალიზაციის პროცესების განვითარებას, მხოლოდ გვთავაზობენ მათგან გამომდინარე განსხვავებულ გამოკვლევებსა და შედეგებს.

დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის ძირითადი მახასიათებელია ყველა რეგიონზე, გამონაკლისის გარეშე ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობათა გავრცელება. ვესტერნიზაცია – დასავლეთის ფასეულობათა და ტექნოლოგიების ექსტრაპოლაცია მთელ დანარჩენ მსოფლიოზე. გლობალიზაციას შეიძლება ტოტალური ინტეგრაციაც ვუწოდოთ.

გლობალიზაცია არც საომარი ძალით და არც ნებაყოფლობითი გაერთიანებაა. მისი არსი პრინციპულად განსხვავდება: იგი გამორჩენისა და მატერიალური კეთილდღეობის იდეას ეფუძნება. ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი კორპორაციების ტრანსნაციონალურად გარდაქმნა, პირველ რიგში, ერთგვაროვან პოლიტიკას და სამართლებრივ სივრცეს მოითხოვს, იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას კაპიტალის უსაფრთხოება.

არც ერთი ქვეყანა და კულტურა, მსოფლიოს არც ერთი რეგიონი თავს არ აარიდებს გლობალიზაციას, ე. ი. ჰომოგენიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი შეუქცევადია, მას აშკარა და ფარული მოწინააღმდეგეები ყავს.

რატომ აქვს გლობალიზაციას ასეთი ძლიერი წინააღმდეგობა? ნუთუ მათ, ვინც ეწინააღმდეგება გლობალიზაციას არ სურთ წესრიგი?

უნდა აღინიშნოს აუცილებლად, რომ გლობალიზაციის პროცესის მფარველი, მაინც აშშ – ა. ისაა სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური ჰეგემონიის მფლობელი. აშშ სთვლის რომ ის არის ლიბერალური ღირებულებების დამცველი და მზად არის ყველა ქვეყანას გაუწიოს დახმარება.

მისი მოწინააღმდეგე, ძირითადად არის მუსულმანური სამყარო, ასევე ინდური, ჩინური, იაპონური კულტურები.

რუსეთი, და განვითარებადი ქვეყნები, თავისებური კულტურებით.

მუსულმანებისთვის გლობალიზაცია აღიქმება, როგორც დაპყრობითი აქცია, სადაც გამარჯვებული გამოდის ქრისტიანული სამყარო. მათი შეფასება ფაქტიურად ემყარება რელიგიურ აზროვნებას. როგორც ცნობილია, მათ რელიგიას, ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთში, მოდერნიზაცია არ განუცდია. ამავე დროს ისინი, საკუთარი კულტურით ფიზიკურად მიიღტვიან ევროპისაკენ და არც კი ცდილობენ რაიმეს შეცვლას. ამიტომ ბოლო ხანებში ასე ამოვარდნილად ჩანან ევროპული კულტურის ფონზე და სწორედ ამან ათქმევინა რამდენიმე სახელმწიფოს ლიდერს, რომ ევროპაში მულტიკულტურია არ შედგა.

თავისებურ მოწინააღმდეგედ ითვლება ასევე მართლმადიდებელ – სლავური კულტურა და მისი ქვეყანა რუსეთი. რუსეთი საუკუნეების მანძილზე ქმნიდა პანსლავურ იდეას, ოცნებობდა გამხდარიყო მესამე რომი, მაგრამ მის მაგივრად გახდა ვაშინგტონი.

ჩინელებს სურთ თავისი, საკუთარი ახალი ძლიერი ქვეყანა. კულტურის შეცვლა კი მათთვის ტრაგედიის ტოლფასია. ჩინელებს არ სურთ ლაპარაკი ადამიანის უფლებებზე და ამით ისინი იცავენ თავის კულტურას.

ინდოეთი საერთოდ არ გამოხატავს რაიმე პოზიციას და მას არც კი ეხებიან.

იაპონია კი თვლის, რომ მას აქვს კარგი გამოცდილება თავისი ტრადიციული კულტურისა და ევროპული ღირებულებების თავისებური სინთეზისა და გლობალიზაციას ისევ თავისი კულტურის გასამაგრებლად იყენებს.

ამ ქვეყნებიდან ზოგს აქვს შიში პოლიტიკური, ზოგს ეკონომიკური და ზოგს კულტურული ცვლილებებისა.

ტრანსნაციონალურ ქვეყნებს აქვთ უფრო მეტი ფინანსური შესაძლებლობები ვიდრე, ნაციონალურ სახელმწიფოს. ეკონომისტი მოწინააღმდეგენი თვლიან, რომ ეროვნული სახელმწიფო კარგავს კონტროლს ეკონომიკაზე და მდიდარი ქვეყნები არ სთავაზობენ დაცვის არანაირ გარანტიებს. ანტიგლობალისტები სთვლიან რომ ამით უფრო მეტად გაღარიბდება ღარიბი ქვეყნები და გამდიდრდებიან მდიდრები.

მაგრამ ყველაზე მეტად გლობალიზაციას ეწინააღმდეგება, თვითმყოფადი კულტურა. საინტერესოა რატომ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ისეთ რამეს, რაც მოგიტანს სამუდამო მშვიდობას, წესრიგს, მატერიალურ კეთილდღეობას, კომფორტს და ა.შ. იმიტომ, რომ ადამიანები კარგად გრძნობენ, რომ ყოველივე ამას მოყვება მათი კულტურის, ტრადიციის, ყოფის ცვლილება, ან სულაც განადგურება. ამას კი ადამიანები ძალიან ძნელად ეგუებიან. მას ყველაზე მეტად სჭირდება კულტურული იდენტობა, რომელიც განსაზღვრავს მის მენტალობას, ფსიქოლოგიას, ცხოვრების წესს.

მრავალი ინტელექტუალი ამბობს, რომ გლობალიზაცია არ არის საშიში, ის ვერაფერს დააკლებს კულტურას, არიან ისეთებიც, რომლებიც აღიარებენ გლობალიზაციის მუდმივმოქმედებას სამყაროში, ესაა ელინიზმი, ქრისტიანობა, და ა. შ.

ტრადიციული კულტურა პირველ რიგში კარგავს ენას, რადგანაც საერთაშორისო ურთიერთობა ინგლისურს აძლევს პრიორიტეტს. მაგრამ ენა არა მარტო საკომუნიკაციო საშუალებაა, არამედ ის არის საზრისი, მსოფლმხედველობა; მასში ასახულია ერის ისტორია და ის არის წინაპართა ენა. ასევე საკრალურია ისტორიული მეხსიერება. დაკარგავ ისტორიულ მეხსიერებას და დაკარგავ წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ეს იგივეა, რომ ბიოლოგიურმა ორგანიზმმა დაკარგოს გენი. თუ გენი ბიოლოგიურია და სისხლით გადაეცემა, სოციალურ გამოცდილებას კი გადასცემს კულტურა.

საკუთარი კულტურაზე უარის თქმა ეს ნიშნავს უკულტურობას, ანუ საკუთარი თვითმყოფადობის ანუღიერებას.

თვითმყოფადობის შენარჩუნება და მისი განმტკიცება, ძირითადად, დამოკიდებულია შიდა ძალასა და ეროვნულ შინაგან ენერჯიაზე. კულტურული ერთიანობა არ არის მხოლოდ ცალკეული კულტურული პიროვნებების უბრალო ერთობლიობა ანუ ჯამი, იგი უაღრესად ინდივიდუალურია და ღირებულებების, შემოქმედებითი პროდუქტის და საზოგადოების ქცევის სტანდარტების ერთობლიობას წარმოად-

გენს. კულტურა – ერთადერთი ძალაა, რომელიც აყალიბებს ადამიანს როგორც საზოგადოების წევრს. ისიცაა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებთან ურთიერთობისას ეროვნული თვითმყოფადობის შენახვის კულტურა უფრო მდიდრდება.

ყველა საზოგადოების კულტურაში მიღებულია ღირებულებათა გარკვეული სისტემა და შესაბამისი იერარქია. ღირებულებებში მიზნებისა და საშუალებების მიღწევის ერთობლიობა გამოიხატება. ისინი ფუნდამენტური ნორმების როლს ასრულებენ, რომლებიც საზოგადოების ინტეგრაციას უზრუნველყოფენ. ღირებულებათა სისტემა კულტურის შინაგან ღერძს წარმოქმნის. ადამიანის ღირებულებათა სამყარო ძლიერ ცვლილებას განიცდის. ღირებულებათა სისტემის კრიზისი მათ გოტალურ მოსპობას კი არ ნიშნავს, არამედ მათი შინაგანი სტრუქტურის ცვლილებას. კულტურათა ღირებულებები არ დადუკუნდება, ისინი ერთგვარად თავისი რანგის შესაბამისად გადასხვაფერდა.

პიროვნული თავისუფლება, სოციალური შეკავშირების მაღალი დონე, სოციალური სოლიდარობა და სხვა – ეს ის ძირითადი ღირებულებებია, რომლებიც ნებისმიერი მცირე ხალხების სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავენ და ეროვნული მიზნებისა და იდეალების რეალიზებას ახდენენ.

შეძლებს თუ არა კაცობრიობა გლობალიზაციის პროცესის და კულტურული მრავალფეროვნების თანაფარდობის შენარჩუნებას?

მოხდება თუ არა “ცივილიზაციათა შეჯახება” (ჰან-თინგთონი) ან ”ისტორიის დასასრული” (ფუკუიამა).

როგორი იქნება გლობალური სამყარო 21-ე საუკუნეში? იარსებებს თუ არა “პლანეტარული ცნობიერება”?

იარსებებს თუ არა “იზოლირებული გეტო” და ვის მიეკუთვნება იგი? შეძლებს თუ არა თანაარსებობას ღია და დახურულ კულტურათა სისტემები? ვინ იქნება უმრავლესობა და ვინ იქნება უმცირესობა? შედგება თუ არა კულტურათაშორისი დიალოგი? მეცნიერება ეძებს პასუხს ამ კითხვებზე.

გარდამავალ ეპოქაში, გლობალიზაციის პროცესში, საქართველოში არსებული კულტურის დახურული სისტემე-

ბი ხდებიან მეტად კარჩაკეტილები, ძნელად ითვისებენ ახალს. ასეთი კულტურა ხელს უშლის სახელმწიფოში ღია, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას და ხელს უწყობს არა მოქალაქეობის, არამედ ეთნიკური პრინციპების წინ წამოწევას.

გლობალიზაციისათვის საჭიროა გახსნილობის მოდუსი. თუ კულტურა წარმოადგენს ღია სისტემას მას ადვილად შეუძლია ჩაერთოს გლობალიზაციის პროექტში, მითუმეტეს საქართველოში რელიგიის მიმდევართა უმეტესი პროცენტით ქრისტიანია. არც სხვა რელიგიები გამოირჩევა თავისი ფუნდამენტალიზმით. ადამიანი თანდათან შეიცვლის თავისი ცნობიერების არსს, გაიხსნება მეტად და დაუშვებს იმას, რომ ცნობიერება შემოქმედებითი გაგებით ქმნის სინამდვილეს მთელი თავისი განწყობით.

საქართველოში ქართული და არაქართული კულტურა თავისი სისტემით დახურულს უფრო ეთანადება, მაგრამ მას აქვს ერთი პრიორიტეტი – მისი ბირთვი იმდენად ღიაა, რომ ინფორმაციის მიმღები არხი მუდმივად ცვლის პერიფერიულ სტრუქტურებს. ამიტომ ქართულმა კულტურამ იაპონიის პოზიცია უნდა დაიკავოს – გლობალიზაცია თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. მაგრამ ეს ეკონომიკისა და პოლიტიკის გარეშე არ მოხდება. ქართულ კულტურას შესწევს უნარი თავისი გეოპოლიტიკური პრიორიტეტებით ისე განაღავოს, რომ არ გახდეს არც სხვისთვის ნედლეულის მხოლოდ მიმწოდებელი, ან მხოლოდ სხვისი ნედლეულის გასაღების ბაზარი.

რა გველის გლობალიზაციით? ჩვენთან არ ვიცი, მაგრამ იტალიაში ”მაგდონალდიზაცია“ მოკლეს პიცერიით. აქ კი ჯერჯერობით იტალიური პიცაც, ქართული ხაჭაპურიც, მაგდონალდსი და სახინკლე არსებობს.

აღბათ ასე იქნება, როგორც ყოველთვის ქართული კულტურა იღებდა უცხოს, არ კარგავდა საკუთარს და უცხოს კი ქართული საფარით ალამაზებდა, ისევე როგორც ცნობილი უკრაინული ბორში საქართველოში ქართული ინგრენდიენტებით და ღორის ხორცის მაგიერ საქონლის ხორცის გამოყენებით სულ სხვა საჭმელად იქცა. არაქარ-

თული სახელი "ბორში" ქართული გემოთი კარგად შეერ-
წვა ქართულ კულტურას.

ეს ხუმრობანარევი რეალობა.

და მაინც ახალი დემოკრატიული საზოგადოების შე-
ნება გულისხმობს საზოგადოების ცხოვრების მოწყობის
ახალი ტენდენციების გაჩენას, მანამდე არსებული საზოგა-
დობრივი ცხოვრების რეგულირების სტრატეგიის შეც-
ვლას, ადაპტაციის ახალი პროცესების დაწყებას, როდესაც
ყოველი კულტურა რეადაპტაციის საკუთარ მექანიზმებს შე-
იმუშავებს. ეთნიკურ კულტურას, უხდება ახალ გარემოსთან
შეგუება, არატრადიციული ფასეულობების, თანამედროვე
საზოგადოების ნორმების მიღება. იცვლება ქცევის ტიპი და
მასთან ერთად აზროვნება და მსოფლმხედველობა. შეიმჩნე-
ვა ერთის მხრივ, უნიკალური ტრადიციული კულტურის შე-
ნარჩუნების ტენდენცია და მეორეს მხრივ უნიფიკაცია.

ამ რთულ პრობლემებზე მსჯელობისას, მეცნიერებამ
პასუხი უნდა გასცეს მრავალ კითხვას. უნდა მოხდეს
გლობალიზაციის პროცესის კულტურასა და სულიერება-
ზე გავლენის პერსპექტივაში პროგნოზირება.

გლობალიზაცია თუ ლოკალიზაცია? – ეს კითხვა
კვლავ პასუხგაუცემელი რჩება.

L. MELIKISHVILI

TRADITIONAL CULTURE IN GLOBALIZATION PROCESS

The institutes, peoples, groups and individuals throughout the
whole world face two trends today. These are globalization and
strengthening of interest towards ethnicity or local ethno-cultural
peculiarities. National self-awareness, which is expressed in national

identity, language, religion and belonging to a certain territory, has not lost its priority.

Modernization along with its democratic administration form, civil society, human rights, market economics, international crimes and terrorist organizations is also expressed at the global scale.

At the same time the interest in traditional cultures increases in the modern world. An issue of “globalization versus localization” and “globalization and localization” arises. Time has shown that along with globalization signs of difference, isolation, discrimination and disagreement appear. Neither globalization, nor modernization implies homogeneity.

In transitional period within globalization process closed cultural systems of Georgia become more isolated and have difficulties in absorbing the new. Such culture impedes the establishment of an open democratic society in the country and encourages the prioritizing of not citizenship, but ethnical principles. The creation of new democratic society means new trends of civil arrangement, change of the strategy of social regulation, which existed before, start of new adaptation processes, when each culture creates its own re-adaptation mechanism. Ethnical culture has to put up with the new environment, accept non-traditional values, norms of the modern society. The behavior type is changed along with thoughts and ideology. On the one hand, the trend of preservation of the unique traditional culture and on the other – unification does occur.

Globalization or localization? – This question has remained unanswered.

ეთნიკური ჯგუფების იდენტობა ახალ
სოციალურ გარემოში

იდენტობა ადამიანის და საზოგადოების აუცილებელი მოთხოვნილებაა.

იდენტობა არ არის ბიოლოგიური, არამედ ის არის სოციალურად განსაზღვრული მოვლენა. ეთნიკური იდენტობა პიროვნების სოციალური იდენტობის შემადგენელი ნაწილია და გარკვეულ ეთნიკურ ერთობასთან მიკუთვნებულობის გაცნობიერებას გულისხმობს. იგი ერთ ეთნიკურ ერთობასთან იგივეობის, და სხვებისგან განსხვავებულობისა და განცალკავებულობის განცდაა.

პირობითად იდენტობის ორ ტიპს გამოჰყოფენ. ესაა პოზიტიური და ნეგატიური იდენტობა (Стефаненко, 2003: 254; Дробижева, 1996).

პოზიტიურ ეთნიკურ იდენტობას კეთილგანწყობილ სოციალურ-ისტორიულ გარემოში თან ახლავს პატრიოტიზმი, შენი ხალხის მიერ მიღწეული წარმატებებით, მისი სახელოვანი წარმომადგენლებით სიამაყე და ადეკვატურად მაღალი შეფასება და ა. შ.

როგორც კვლევებმა უჩვენა “ეთნიკური იდენტობის ფორმირება “ნორმის” (დადებითი ეთნიკური იდენტობა) ფარგლებში გულისხმობს საკუთარი ეთნიკური ჯგუფის სტრუქტურაში დადებითი ხატის სხვა ეთნიკური ჯგუფის დადებით ღირებულებებთან ურთიერთმიმართებას” (Дробижева, 1996: 332).

მაგრამ პოზიტიური ეთნიკური იდენტობა შეიძლება სხვაგვარადაც გამოვლინდეს. თავის უკიდურეს ფორმებში იგი გვევლინება როგორც ჰიპერიდენტურობა, რაც ინდივიდის სოციალური იდენტობის იერარქიაშია დომინირებული. ჰიპერიდენტურობას თან სდევს მტრული სტერეოტიპები, წინასწარი უარყოფითი განწყობები და სხვა ეთნიკური ჯგუფების შეუწყნარებლობა, მათთან ურთიერთობისაგან თავის შეკავება და სხვ. ეს არღვევს ბალანსს: არ ხდება ერთმანეთთან ქორწინება, მეგობრობა, მეზობლობა და მისთ.

ადამიანისთვის ყველაზე ბუნებრივია შეინარჩუნოს, ან აღიდგინოს პოზიტიური ეთნიკური იდენტობა, ანუ საკუთარი ეთნოიდენტობა დადებითად განიცდებოდეს და სიამაყის გრძნობით ვლინდებოდეს, რაც უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტიას მისცემს. ამიტომ ხდება სოციალური შემოქმედების სტრატეგიის გამოყენება. დაბალი ეკონომიკური სტატუსის მქონე ჯგუფის წევრები თავის თავს ახასიათებენ, როგორც თბილს, კეთილს, გულისხმიერს და სტუმართმოყვარეს. მაგრამ თუ ჯგუფთაშორისი ურთიერთობა არასახარბიელო სოციალურ გარემოშია, დისკრიმინირებულმა უმცირესობის ჯგუფმა შეიძლება მიიღოს სტრატეგიულად სწორი, მაგრამ უარყოფითი ეთნიკური იდენტიფიკაცია. ასეთ დროს ყალიბდება უარყოფითი ეთნიკური იდენტობა, დაბალი თვითშეფასებით:

1. Армянские села в отчуждении, дети даже русского не знают;

2. Нам нужна духовное успокоение;

3. Нуждаемся в любви, терпении, справедливости;

4. შეღავათი არ არსებობს უმცირესობისათვის. საბჭოთა კავშირში ეროვნული უმცირესობისათვის არსებობდა ლიმიტები უმაღლეს სასწავლებლებში, სოციალურ საკითხებში – ბინების გაცემა, სამსახურში უკონკურსოდ მიღება და სხვა;

5. ენის არმცოდნე კარგ სპეციალისტს ათავისუფლებენ სამსახურიდან და ენის მცოდნე არაპროფესიონალებს უთმობენ მათ ადგილს;

6. "Мы все коренные";

7. სკოლაში ქართულს არასრულყოფილად გვასწავლიან, ქართული კლასიკური ლიტერატურა არ შეაქვთ არაქართული სკოლების პროგრამაში, ქართული და ნაციონალური პროგრამების შეუთავსებლობაა.

თავისი ეთნოსის მიმართ უმრავლესობის მხრიდან უარყოფით მსჯელობაზე, ადამიანი სხვადასხვანაირად რეაგირებს. ამ დროს უმცირესობის ჯგუფის მოზარდი წარმომადგენლები აცნობიერებენ იმას, რომ ასეთ სოციალურ გარემოში მათ პერსპექტივა არა აქვთ და გამოიმუშავენ უსაფრთხოების სტრატეგიას.

თუ სხვაობა უმრავლესობასა და უმცირესობას შორის უარყოფით პოზიციაშია, მაშინ ამ დამოკიდებულების პოზიტივში გადასასვლელად უმცირესობა მრავალ პრაქტიკულ მოვლენას – დაწყებული პოლიტიკური და სოციალური საკითხებიდან, დამთავრებული რიტუალური ქმედებებით – განახორციელებს. ეთნიკურ უმცირესობებში გამოვლინდება ქვეჯგუფები, რომლებიც აუცილებლად მხარს დაუჭერენ წამყვან პარტიას, პრეზიდენტს, გამგებელს და ა. შ.

ფოკუს ჯგუფების ფრაზები:

1. Национальное меньшинство поддерживает правительство на выборах;

2. У меньшинства единственная надежда – это правительство;

3. Дружба меньшинства и большинства зависит от правительства;

4. Когда правительство делает подарок нацменьшинству, нацменьшинство обязательно делает отдачу, это сидит в традиции;

5. „ნაციონალური პარტია“ თუ რამეს ჰპირდება ჩვენს რაიონს, მათ სანაცვლოდ უნდათ “ხმები”.

უმცირესობის წევრები გამოავლენენ სოციალურ აქტივობას, ან დაარღვევენ თავის კულტურის ნორმებს, გადალახავენ ტრადიციის საზღვრებს და მოიგონებენ რაიმე სოციალურ ქმედებას, რათა მათი იდენტობა ნეგატიურიდან პოზიტიურში გადავიდეს. მაგ.:

1. წალკის რაიონის სოფელ ბეშთაშენში, სადაც სულ რამდენიმე აჭარელის ოჯახი ცხოვრობს, ატარებენ “შუამთობის” ზეიმს, რომელიც ამ შემთხვევაში მცირერიცხოვანი აჭარლებისთვის უფრო მეტად სხვადასხვა ეთნოჯგუფებთან მეგობრული კავშირის გასაძლიერებელი ქმედობაა, ვიდრე თვითდამკვიდრების სიმბოლო;

2. დმანისის რაიონის ქართველებით დასახლებული სოფელი ბოსლები და მის მახლობლად მდებარე კაკლიანი, რომელსაც აზერბაიჯანელი მოსახლეობით დასახლების გამო ხალხი აზაკელიანს (აზერბაიჯანელების კაკლიანს) უწოდებს, ისტორიის მანძილზე მრავალჯერ ყოფილან დაპირისპირებული. სოფელ ბოსლებში გადმოცემით იციან,

რომ გასული საუკუნის დასაწყისში ამ ორ სოფელს შორის საკმაოდ მტრული დამოკიდებულება ყოფილა. აზაკკლიანის მცხოვრებთ არაერთხელ განუხორციელებიათ თავდასხმა და საქონელი გაუტაციათ. ამას ხალხიც კი შეწირვია. საფლავის ქვა ხშირად ახსენებს მსგავს სიტუაციას ბოსლების მკვიდრთ (წარწერა: “1919წ. თათრები დაგვეცნენ ჩვენ უბედურ ბოსლებს. მე და ჩემ შვილ შუა გვესროლეს თოფის ტყვია. ჩვენი ჰალალი ცხვარი და ძროხა წასხეს ჩვენ თვალით წინა. მე ჩამივარდა გულში ძალიან დარდი. ის გახდა ჩემი წერა”). და ბოლოს, ურთიერთობა 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის შემდეგ გამწვავებულა. ამ პერიოდში, როგორც რესპოდენტები გადმოგვცემენ, მთელი სოფელი ტყეში იყო გახიზნული, რადგანაც ხმა დაირხა, რომ აზერბაიჯანელები სოფელზე თავდასასხმელად ემზადებოდნენ. იგივე პროვოკაციული ქმედება აზაკკლიანშიც გავრცელდა და ისინიც ტყეში ქართველებს ემალებოდნენ. იმ პერიოდში ბევრმა აზერბაიჯანელმა ქვემო ქართლი საერთოდ დატოვა.

აზერბაიჯანელების გადმოცემით, ამ სიტუაციის განსამუხტავად, ისინი აღდგომა დღეს წითელ კვერცხებს ღებავენ და საკლავითაც მიდიან სამების ეკლესიის ნანგრევებთან, სადაც ბოსლევის ქართველობა აღდგომიდან მესამე დღეს იკრიბება; თუმცა ამას ქართველი მოსახლეობა უარყოფს და ამბობენ, რომ აზაკკლიანის მოსახლეობა უხერხულად გრძნობს თავს მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანელებმა სამების ნანგრევებიდან ქვები გაზიდეს და სახლების მშენებლობაში გამოიყენეს, ამის შემდეგ მათი ოჯახები ამოწყდა.

3. დაახლოებით 40-50 წელია გასული მას შემდეგ, რაც “ქირვობა” – “დოსტობა” დაიწყეს. როგორც თვითონვე ხსნიან, “ჩვენს შორის რომ კარგი ურთიერთობა იყოს, ამიტომ ქართველებს ბავშვებს ვანათვლინებთ.”

იგივე აზაკკლიანის რამდენიმე მოსახლეს შვილის ნათლიად სახელდებული ჰყავს ბოსლელი ქართველი მეგობარი მამაკაცი – დოსტი. თუმცა ლატენტური კონფლიქტი შეინიშნება და აზერბაიჯანელები არ მალავენ, რომ “როცა ქართველები ჩვენთან ამოდიან კარგად გველაპარა-

კებიან: ალა, ... იახში კიხ – ასე მოგვმართავენ, და როცა სოფელში ჩავივლით, გზაზე შემოგვძახებენ: თათრებო, თურქებო, თავები უნდა წაგათალოთ”, ბოსლევის ქართველები ამას უარყოფენ. გამორიცხული არ არის, რომ ამ დაპირისპირებაში ისტორიული მახსოვრობაც ერიოს, რადგანაც ბოსლევის ქართველები ადრე ტერტერამ გააგრიგორიანა და მათ აზერბაიჯანელები სომხებად აღიქვამდნენ. ხაზს უსვამენ იმას, რომ აზაკკლიანის აზერბაიჯანელები ბრაზობენ, თუ თათარი დაუძახეს – “ჩვენ თათრები არა ვართ, ჩვენ შახ-აბასმა ირანიდან გადმოგვასახლაო”.

4. სოფ. წერაქეში სულ რამდენიმე ათეული ოჯახი ცხოვრობს. ინფორმატორის თქმით, აქ მცხოვრებ სომხებსა და ქართველებს საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდათ. “განსხვავება ტრადიციაში და სალოცავებში არ გვქონდა” – ამბობენ ისინი. ამ სოფელში ორი ეკლესიაა ქართული – წმინდა მარიამისა და სომხური სუბგეგორქის (წმინდა გიორგის სახელობის). აგვისტოში მარიამობას სომხები და ქართველები ერთად ზეიმობენ წმინდა მარიამის ეკლესიაში, ხოლო ნოემბერში გიორგობას კი – სომხურ სუბსარქისში. ტერტერა და მღვდელი არ ჰყავთ. მსგავსი სიტუაციაა ბოლნისის რაიონის სოფ. ხატისოფელში, სადაც წმინდა გიორგის ეკლესიაში ნოემბერში გიორგობას, აზერბაიჯანელები და ქართველები ერთად ზეიმობენ. ამით ისინი თანაცხოვრების უსაფრთხოებისა და თვითგადარჩენის სტრატეგიას გამოიმუშავებენ. ეთნიკური უმრავლესობის გარემოცვაში მოხვედრილი ეთნიკური უმცირესობა, მიუხედავად ნეგატიური იდენტობისა, ყოველთვის შეეცდება, ის პოზიტივში გადაიყვანოს.

1. Для меня родина Грузия это мать, а Армения отечество – отец ამბობს სომეხი ეროვნების რესპოდენტი.

სულ სხვა სურათია, როდესაც პირუკუ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. როდესაც ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, კონკრეტულ რეგიონში, ეთნიკური უმცირესობა წარმოადგენს უმრავლესობას, ხოლო ამ სახელმწიფოს დომინანტი ერი უმცირესობაშია, მაშინ ფრიად რთულ სურათს ვაწყდებით. უმრავლესობა (დომინანტი) ცდილობს შეინარჩუნოს თავისი იდენტობა და ამაყობს ამით, მაგრამ

სოციალურ, ყოფით და ხანდახან პოლიტიკურ პირობებში მხოლოდ დისკომფორტი კი არა, არამედ უარყოფითი განწყობაც აქვს მიღებული. ერთის მხრივ, მისი დამოკიდებულება სრულიად უარყოფით ღირებულებებს შეიცავს და მეორეს მხრივ, ის ცდილობს თავისი ქცევით მიუახლოვდეს უმცირესობას, რომელიც რეგიონში უმრავლესობაა. ის იძულებულია, საკუთარი იდენტობით ამტკიცოს თავისი პრიორიტეტი არა კონკრეტულად ამ რეგიონში, არამედ მთელს სახელმწიფოში. მერე რა, რომ ის აქ უმცირესობაშია, “ქვეყანა ხომ მას უფრო ეკუთვნის, ვიდრე სხვას”. და თუ მისი მდგომარეობა დისკრიმინაციამდე მიდის, ეს აუცილებლად გადაიზრდება კონფლიქტში. ასეთ შემთხვევაში ამოტივტივდება ძირითადი და მოსული ჯგუფების ურთიერთობის პრობლემა. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ ვინ არის, ანუ არის დიდი თუ მცირე ჯგუფის, ძირითადი ერის წარმომადგენელი, თუ არა. წალკაში ჩასახლებული ქართველები, კერძოდ, აჭარლები, არიან მარგინალები, ხოლო სვანები დმანისში, თეთრიწყაროსა და წალკაში, თავისი საკუთარი იდენტობით იმდენად მტკიცედ გრძნობენ თავს როგორც ქართველები, რომ მათი დისკრიმინაციის მცდელობასაც კი ვერაფერს ბედავს. მათი და ადგილობრივი მცირერიცხოვანი ქართველების გაგებით, „ისინი აქ ქართული მიწის დასაცავად ჩამოვიდნენ“, რათა მრავალეთნიკური ქვემო ქართლი „გაქართველდეს“. სვანებმა თავისი არსებობა და სიმტკიცე არა მარტო ქმედებით, არამედ სიმბოლოებითაც გაამყარეს (სვანური კოშკები გზებზე, საფლავებზე), რაც მათ ერთიანობას კიდევ უფრო მეტ სიმტკიცეს მატებს. ამიტომ ამ მოცემულობაში სვანები შეიძლება “მადალსტატუსიან” ჯგუფად ჩაითვალოს. როდესაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი საკუთარ ჯგუფში დისკომფორტს განიცდის პიროვნულ დონეზე, სუბიექტმა შეიძლება გამოიყენოს ინდივიდუალური მობილურობა და, მკაცრად რეგლამენტირებული საკუთარი იდენტობის მიუხედავად, სხვა ჯგუფს დაუკავშიროს თავისი სოციალური, პოლიტიკური ან ყოფითი ცხოვრება და ამის დემონსტრაციულ აფიშირებას ახდენს. (ნაწევრები ინტერვიუდან: “...მე და ჩემი ქმარი სამუშაოს ვეძებთ, ოჯახს ხომ უნდა რჩენა?! ჩე-

მი ქმარი ქართველებთან ერთად აფხაზეთში იბრძოდა, მაგრამ ესტა უმუშევარია. პენსია ეკუთვნის, მაგრამ არა აქვს. არ ვიცი რატომ. სთხოვენ მოდულში მოდიო, მაგრამ ამბობს იარაღს ხელში აღარ დავიჭერო. იმდენი საშინელება ნახა ომში.

. „აქ მიწა არ გვაქვს. არ ვართ ჩაწერილები“.

„ჩვენ სომხებისგან ვართ შევიწროვებული. სოფლიდან გამოგვასახლეს იმის გამო, რომ შენ (გულისხმობს ქმარს) აფხაზეთში ქართველების მხარეზე იბრძოდიო და ყარაბახში არაო. აშკალაში სახლი დავგიწვეს და იძულებული ვიყავით აქ (წალკაში) გადმოვსახლებულიყავით.“ (დედამთილი ჩაერთო საუბარში). „...ჩემი შვილი აფხაზეთში იბრძოდა და სვანეთის გადმოსასვლელით გადმოვიდა. იმდენ ხანს ვმკურნალობდი... ის ქართულად არის გაზრდილი. შვიდ ენაზე ლაპარაკობს. ინგლისური დაამთავრა, მაგრამ მისთვის სამუშაო არ არის. ან იქნებ სომეხია და იმიტომ არა აქვს?! – არ ვიცი. შეიძლება, რატომ არ შეიძლება?! ...ქალაქში გვითხრეს ორი ათასი დოლარი გადაიხადეთ და “გალუსტიანს” “გალუსტაშვილად” ან “გალუსტაძეთ” გადაგიკეთებთ და კარგი თანამდებობა გექნებაო. ეს შევარდნაძის და მამალაძის დროს იყო.“

მაგრამ “მადალსტატუსიან”, ტიტულოვან ეთნოჯგუფში გადასვლა შეცვლილი იდენტურობითაც კი რთულია. აქ აუცილებლად ამოქმედდება ერთმანეთის საწინააღმდეგო ჯგუფური იდენტურობა და ეთნიკური სხვაობა. როგორც აკადემიკოსი ს. არუთინოვი აღნიშნავს, საფრანგეთისა და იტალიის საზღვარზე მცხოვრები ადამიანი, შეიძლება არ იყოს ბოლომდე დარწმუნებული, რა ეროვნებისაა იგი, მაგრამ საკმარისია გაიაროს 60 კმ საზღვრიდან იტალიის მხარეს და მას აგრძნობინებენ, რომ ის არის ფრანგი, და თუ ის აღმოჩნდება საფრანგეთის სიღრმეში, მას მიიღებენ როგორც იტალიელს (Арутюнов, 1989: 22-24).

საერთოდ, ეთნიკური უმრავლესობისათვის ეთნიკური იდენტობა არც ისე მნიშვნელოვანია, ანუ მასზე არ ხდება ხშირი აპელირება – ის თავისთავადია, მაგრამ ეთნიკური უმცირესობისათვის ეთნიკური იდენტიფიკაცია, შეიძლება

ითქვას რომ იძულებითია, რადგან მასთან დაკავშირებული პრობლემები ყოველდღიური ცხოვრების სირთულეებს და დისკომფორტს უქმნის. ის კი არა, ზოგ ქვეყანაში ასეთ პირობებში არა მარტო სოციალურ პრობლემებზეა ლაპარაკი, არამედ იმაზე, თუ ჯგუფმა რა სახელი აირჩიოს თვითწოდებად. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოში აზერბაიჯანელებზე, რომლებიც დღეს საკმაოდ აგრესიულად აპროტესტებენ სახელწოდება „თათარს“ – “нам не нравится, когда нас татарами зовут”. თუმცა ასევე, არის შემორჩენილი ადგილები (მაგ., წალკა), სადაც არ იღებენ სახელწოდება „აზერბაიჯანელს“ და თავის თავს „თათარს“ უწოდებენ (ერთ-ერთი სვანი რესპოდენტი ჩვენთან საუბარში აზერბაიჯანელ მოსახლეობას “თათრებად” მოიხსენიებდა. საუბრის დასასრულს გვინდოდა შენიშვნის სახით, მაგრამ მაინც აგვეხსნა, რომ ეს ხალხი თათრები კი არ არიან, არამედ აზერბაიჯანელები. მან გულწრფელად და უშუალოდ გვიპასუხა: “მე ძალიან კარგად ვიცი, რომ აზერბაიჯანელები არიან, მათაც ვეუბნებით, რომ თქვენ აზერბაიჯანელები ხართ და არა თათრები, მაგრამ სწყინთ და ამბობენ, არა ჩვენ თათრები ვართ”).

მსგავსი შეფასება აზერბაიჯანელი რესპოდენტების გამონათქვამებშიც გვხვდება, როდესაც ისინი აზერბაიჯანელების ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლად თვლიან თავს, მაგრამ ახალ სახელს ირჩევენ. აღსანიშნავია, რომ ამაზე განსაკუთრებით ინტელექტუალური წრის წარმომადგენლები ამახვილებენ ყურადღებას. მათი ცნობით, ისინი ალბანელები არიან და არა აზერბაიჯანელები: “Мы не азербайджанцы, мы албанцы”. და ეს არ არის ერთეული შემთხვევა. თანაც აზერბაიჯანულ სოფლებში გარკვეულ ძეგლებზე და ძველ საფლავის ქვებზე (ცხვრის, ცხენის ქანდაკებებზე) ამბობენ, რომ ეს ალბანურია და იმ ხალხისგან ვიცით, რომლებიც “აქ თქვენსავით დადიანო.” ამ მოვლენით უმცირესობის ეთნოჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს თავისი იდენტობა, მაგრამ შეიცვალოს თვითდასახელება და ამით თავისი თავი და ჯგუფიც სხვა სტატუსში გადაიყვანოს, ასევე, მათი აზრით, არა მარტო გაუთანაბრდებიან უმრავლესობას – ქართველებს, არამედ შესაძლებელია

მათზე მაღლაც კი დადგნენ, რადგანაც აქ კავკასიის ალბანეთი იგულისხმება. ამ ფორმის იდენტობა მათთვის ძალიან მომგებიანია: ისინი ჩაითვლებიან ისტორიულად კავკასიის აბორიგენ მოსახლეობად, და, აქედან გამომდინარე, მათ საქართველოს ტერიტორიაზეც ექნებათ თავისი გარკვეული “ისტორიული უფლება”. ეს ვითარება იდენტობას ახალ შინაარსს და უფრო მეტ პოპულარობას ანიჭებს. არ გამოვრიცხავთ, რომ, თუ საჭირო გახდება, მათ “ალბანელების ქრისტიანობის” საკითხიც გამოიყენონ, გააჩნია, როგორი იქნება პოლიტიკური ვითარება. საერთოდ, ჯგუფის მიერ სახელისა და სადაურობის შეცვლა, თუ გინდ შეცვლის მცდელობაც კი, არ არის ახალი მოვლენა.

2009 წ. 28 ივნისს სოფ. პანტიანთან ახლოს აზერბაიჯანელების ინიციატივით ჩატარდა დღესასწაული, რომელსაც ხალხმა, ადგილის მიხედვით, სახელდახელო სახელი „პანტიანობა“ უწოდა, რომლის ორგანიზატორები იყვნენ დმანისიდან ბაქოში გადასახლებული აზერბაიჯანელების მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია „ბორჩალუს“ წევრები. ღონისძიების ტრანსპარანტებზე ეწერა აზერბაიჯანულად და დამახინჯებული ქართულით – „ბორჩალუს თურქელთა კულტურული ღონისძიება“. ქართული მოსახლეობა გაკვირვებული დარჩა ამ მოვლენით. როგორც ერთერთმა ინფორმატორმა გვითხრა, „74 წლის კაცი ვარ და ასეთი დღესასწაული აქ არასოდეს ყოფილა. იქ რომ წერია „ბორჩალუს თურქელთა თავყრილობა“, იმაში რა იგულისხმება, ღმერთმა იცის. მე რაღაც ეჭვი მაქვს და ჩემში დარჩება. ეს მთავრობის საქმეა“-ო.

პოლიტიკური კოლიზიების გამო ჯგუფს კი არა, ზოგ შემთხვევაში, ერსაც კი მიუღია ასეთი გადაწყვეტილება (მაგ., სომხური პოლიტიკა საერთაშორისო პოლიტიკასთან მიმართებაში “საჭიროების” მიხედვით იცვლება. მეორე მსოფლიო ომის დროს სომხები ინდოევროპულ წარმომავლობას ააქტიურებდნენ, ხოლო ბოლო ხანს, ყარაბახის კონფლიქტის შემდგომ, უმეტესად კავკასიური წარმომავლობისკენ იხრებიან, ანუ თავის იდენტობას დიდი პოლიტიკის შესაბამისად აყალიბებენ (Шнирельман, 2003: 194-255).

ასე რომ ეთნიკურ იდენტობას არა მარტო კულტურა და ენა უდევს საფუძვლად, არამედ პოლიტიკაც. ამიტომაც, რომ მითოლოგიაში გადაზრდილი ეთნოიდენტობა ხშირად პოლიტიკური მანიპულაციების საგანი და კონფლიქტის მიზეზიც ხდება. ამ მოვლენას ვერც კავკასიამ დააღწია თავი.

L. MELIKISHVILI

IDENTITY OF ETHNIC GROUPS IN NEW SOCIAL ENVIRONMENT

Identity is the essential demand for humans and society. Identity is not a biologically, but socially determined phenomenon. Ethnic identity is the constituent of a person's social identity and implies the awareness of belonging to a certain ethnic unity. It is the feeling of identification with a specific ethnic unity and at the same time – of difference and separation from the others.

Conditionally two types of identity are distinguished. These are positive and negative identities. Generally, ethnic identity is not very significant to ethnic majority, i.e. such identity is not often referenced. However, ethnic identity is more important for ethnic minorities, as it is connected with problems causing difficulties and discomfort in their everyday life.

In favorable socio-historical environment positive ethnic identity is accompanied by patriotism, pride and adequate high evaluation of the success achieved by self group or their famous representatives, etc. The preservation or restoration of positive ethnic identity is almost natural for an individual, i.e. to perceive self ethnic identity positively and be proud of it, which render safety and stability guarantees. Just this causes realization of the strategy of social creativity.

The members of ethnic minority groups with the sense of negative ethnic identity following the self-preservation instinct show social activity or violate the norms of their culture, pass the traditional bor-

ders and invent some social activities in order to attain safety and turn their identity from negative to positive.

Culture and language are not the only basis for ethnic identity. Politics plays major role as well. Hence, ethnic identity, which develops into mythology, is often the subject of political manipulations and even reason for conflict. The Caucasus has not escaped such situation.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Арутюнов С. А. Фантом без этничности в серии: Рассы и народы, вып. 19, М., 1989.
2. Дробижева Л.М., Аклаев А. Р., Коротеева В.В., Солдатова Г.У., Демократизация и образы национализма в Российской Федерации, М., 1966.
3. Стефаненко Т.Г., Етнопсихология. М.: Аспект Пресс, 2003.
4. Шнирельман В.А. Войны памяти: мифы, идентичность и политика в Закавказье, М., 2003.

**მულტიკულტურული რეგიონი პოსტსაბჭოურ ეპოქაში
(ქვემო ქართლი)**

ეთნოკულტურული მრავალფეროვნებით ქვემო ქართლი საქართველოში გამორჩეული მხარეა. განსხვავებული ჯგუფების თანაცხოვრებისა და ერთიან კულტურულ-პოლიტიკურ ორგანიზმში ინტეგრაციის მექანიზმები ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე იქმნებოდა და იხვეწებოდა. ისტორიულად სასახღვრო რეგიონებს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ქართველი მეფეები ცდილობდნენ, ამ ზონის მოსახლეობა სახელმწიფო პოლიტიკის დასაყრდენ ძალად ექციათ. ამიტომ, ეროვნული სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობის პერიოდში სახღვრისპირა რაიონებში მცხოვრები ხალხი ყოველთვის იყო სამეფო ხელისუფლების ზრუნვის ობიექტი. განვითარების დღევანდელ ეტაპზე ამ გამოცდილებამ პრაქტიკული დანიშნულებაც შეიძინა, რადგან გასული საუკუნის ბოლოს მომხდარმა, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის, ძვრებმა საზოგადოებაში დეზინტეგრაციული იმპულსები გააძლიერა.

1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უზარმაზარ სივრცეში არსებული მყიფე წონასწორობა მძაფრმა მოვლენებმა დაარღვია. კატაკლიზმებს თან ახლდა მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, რასაც ზოგ ადგილას ეთნიკური დაპირისპირებაც დაერთო. სხვადასხვა ძალები შეეცადნენ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ეთნიკური მრავალფეროვნება თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენებინათ და ამისათვის კონფლიქტების გაჩაღებასაც არ ერიდებოდნენ. წარმოიქმნა დაპირისპირების რამდენიმე კერა, ინტენსიური გახდა იძულებითი მიგრაციები, გარკვეულწილად შეიცვალა ზოგიერთი რეგიონის ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურა. მას შემდეგ, რაც საბჭოთა იდენტურობას საფუძველი გამოეცალა, მრავალმა ჯგუფმა დაიწყო ახალი იდენტურობის ძიება. ადამიანებს გაუშმაფრდათ საბჭოთა პასპორტებში დაფიქსირებული ეროვნული კუთვნილების გრძნობა.

მსოფლიოში რადიკალურმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა ძლიერი რყევები გამოიწვია. ახალი რეალობა ახალი ეპოქის, დასაბამად იქცა, გარკვეულწილად შეცვალა დამოკიდებულება ისტორიის ცნებისადმი. კომუნისტური იდეოლოგიის კრახის, ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებისა და აქამდე არსებულ დაპირისპირებათა შესუსტების (ზოგ შემთხვევაში გაქრობის) გამო ამ ეპოქას ისტორიის დასასრულიც კი უწოდეს. ახალ "ერთპოლარულ" მსოფლიოში უდავო ლიდერი აშშ გახდა. ამერიკაში კარგად გაიცნობიერეს, რომ მათი ჰეგემონობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს და რამდენ ხანს გაგრძელებს აშშ-ის დომინირება ევრაზიაზე. "ვინც ფლობს ევრაზიას, იგი ფლობს სამყაროს" (ზ. ბუჟინსკი). კონკურენცია ამ მიმართულებით თანდათანობით მწვავედება, რასაც ემატება ენერგეტიკული და სასურსათო პრობლემები და დეფიციტურობის ზრდა. ევრაზია არის ომების საფრთხის, სუვერენიტეტის ძიების, დომინირების მოპოვების სივრცე. ამის გამო აშშ-ი ჩამოყალიბდა ევრაზიაზე ბატონობის განსხვავებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური თეზისები: ისტორიის დასასრული (ფ. ფუკუიამა); ცივილიზაციათა შეჯახება (ს. ჰანტინგტონი); ახალი მსოფლიო წესრიგი (ჯ. ბუში-მამა); ღიდი საჭადრაკო დაფა (ზ. ბუჟინსკი) /რამიშვილი, 2010/. ამ გეოპოლიტიკურ გათვლებში კავკასიის რეგიონს მნიშვნელოვანი, თუმცა არც თუ სახარბიელო როლი ჰქონდა მინიჭებული.

ჰანტინგტონის თეორიის თანახმად, სავარაუდო იყო კავშირი ერთი მხრივ, რუსეთს, საქართველოსა და სომხეთს, როგორც ქრისტიანულ ქვეყნებს (ჰანტინგტონისათვის რელიგია ცივილიზაციური იდენტურობის ძირითადი განმსაზღვრელია), ხოლო, მეორე მხრივ – თურქეთს, ირანს, აზერბაიჯანსა და ჩრდილო კავკასიის მუსულმან ხალხებს შორის. ეს არასახარბიელო სცენარია, რომლის მიხედვით, სუბრეგიონული თანამშრომლობის ყოველგვარი მცდელობა, მაგალითად, "მშვიდობიანი კავკასია" და ევრაზიული დერეფანი, წარუმატებელი ან დროებითი ხასიათისაა /მაცაბერძე, 2004: 26/ საბედნიეროდ, ამგვარი პროგნოზები ჯერ-ჯერობით არ მართლდება, ამასთან XX საუკუ-

ნის ბოლოს შექმნილი ვითარება თანდათან იცვლება. რეგიონში თურქეთის სახით ყალიბდება ახალი დიდი საერთაშორისო "მოთამაშე". თურქეთის პრემიერ-მინისტრ ერდოღანის ვიზიტი თეირანში და ირანულ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ანკარის ინიციატივები აშკარად მიანიშნებს, რომ თურქეთი რეგიონული ლიდერის როლს ირგებს. გახშირდა ანალიტიკური სტატიები იმის შესახებ, რომ ანკარა ვაშინგტონის კონტროლიდან გამოდის. ახალ პირობებში მოსალოდნელია თურქეთი შეეცადოს კავკასიაში მცხოვრები თურქულენოვანი და რელიგიურად სუნიტური ისლამის მიმდევარი დიასპორების გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისათვის. ამ მიმართებით, "საინტერესო" ადგილს წარმოადგენს ქვემო ქართლი, რადგან თურქულენოვანი მუსულმანი აზერბაიჯანელები პროცენტულად აქ მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ.

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ქართული კუთხეები ყოველთვის იყო რეგიონის მეორე დიდი სახელმწიფოს, რუსეთის მესვეურთა ინტერესის საგანი. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში უკვე აშკარა გახდა, რომ საქართველოზე ზემოქმედების მთავარ იარაღად რუსეთი სწორედ ეროვნულ უმცირესობებს აირჩევდა. მართალია, ქვემო ქართლში ღია ქმედებებისაგან ისინი თავს იკავებენ, მაგრამ არაპირდაპირი ბერკეტებით (თუნდაც სამრეწველო ობიექტების შექმნით ან მიგრანტების მეშვეობით), რუსები რეგიონში გარკვეულ გავლენას ინარჩუნებენ. ქვემო ქართლი მოქცეულია ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის ყურადღების არეალშიც.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მიხედვით რეგიონში მოსახლეობის საერთო რაოდენობის შემცირება შეიმჩნევა, თუმცა ეს ნაკლებად შეეხო ამ მხარის ეთნიკურ სტრუქტურას (თუ არ ჩავთვლით ბერძნებისა და რუსების რეპატრიაციის აქტიურ პროცესს) /მოსახლეობის აღწერა, 2002/. ქვემო ქართლი გამორჩეულია იმითაც, რომ ე.წ. ტიტულარული მოსახლეობისაგან (ქართველებისაგან) განსხვავებული ეთნიკური ჯგუფებით – "ეროვნული უმცირესობებით" კომპაქტურადაა დასახლებული, თანაც აქ ფორმალური უმცირესობა (ქვეყნის მასშტაბით), ფაქტიურ უმ-

რავლესობას (ლოკალური მასშტაბით) წარმოადგენს (მაგ. მარნეულის რაიონში აზერბაიჯანელები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 83,1%, დმანისის რაიონში 66,8%, ბოლნისის რაიონში 66%, გარდაბანში 45,1%) /Уитли, 2006:39/. აზერბაიჯანელებთან ერთად ქვემო ქართლში ცხოვრობენ სომხები, რუსები, ბერძნები და სხვა ეთიკური ჯგუფები.

მულტიეთნიკურობასთან ერთად ქვემო ქართლი პოლიკონფესიურიცაა, იგი სხვადასხვა კონფესიური (ქრისტიანული, და მუსულმანური) ჯგუფებით არის დასახლებული. აღსანიშნავია რომ რეგიონში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო ეკოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმების შედეგად ადგილნაცვალი ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფების (სვანეთიდან, აჭარიდან, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან) წარმომადგენელთა ინტენსიური ჩამოსახლება. ახალმოსახლეებს (აჭარლებს, სვანებს) ადაპტაციის პროცესი ჯერ არ დაუმთავრებიათ და ყველა ჯგუფი (როგორც ახალმოსახლე ისე დამხვედური) ცდილობს მათთვის დამახასიათებელ თავისებურებათა შენარჩუნებას, რადგან თითოეული მათგანის კულტურამ განვითარების განსხვავებული გზა განვლო და დღესაც კი გარკვეულწილად იზოლირებულ სისტემას წარმოადგენს. მდგომარეობას ართულებს ის რომ რეგიონს თავისებურად შეესო მსოფლიოში მიმდინარე მოდერნიზაცია, რომელიც კულტურული კონსერვატიზმის საპირისპირო ტენდენციების გააქტიურებას განაპირობებს.

ეთნოსოციალური არაერთგვაროვნება თავისთავად გულისხმობს მრავალმხრივ კულტურულ ურთიერთხემოქმედებას ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს, ცალკეულ სოციალურ ფენებს, ქალაქსა და სოფელს და სხვა ტიპის ერთობებს შორის. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიურია ე.წ. “მარგინალურ ზონებში” ანუ ადგილებში რომლებიც ინტერკულტურული კონტაქტების მაღალი სიხშირით ხასიათდებიან.

ამგვარ სიტუაციაში ეთნიკური და კულტურული საზღვრების დადგენა საკმაოდ რთულია, რადგან არსებობს გარკვეული რაოდენობა ინდივიდებისა, რომლებსაც სოციალური კონტაქტების სიხშირიდან გამომდინარე ახასია-

თებთ გარკვეული ფსიქოლოგიური იდენტიფიკაცია რამდენიმე ჯგუფთან. ისინი იმყოფებიან მარგინალურ სიტუაციაში, ერთობათა საზღვარზე. ნაწილობრივ ერთ – ჯგუფს, ნაწილობრივ კი მეორეს მიეკუთვნებიან. მარგინალის ასეთი კავშირები მეტ-ნაკლებად მის შეხედულებებზე, ცხოვრების სტილზე, თვითრეფლექსიაზე, კარიერაზე, სოციალურ სტატუსზე და ა.შ. აისახება. ხდება ინდივიდის პიროვნული გაორება. ამგვარი დუალიზმი შეიძლება არც თუ ისე დრამატული იყოს, რადგან ადამიანს შეუძლია გააჩნდეს არაერთი სოციოკულტურული კავშირი, იყოს უამრავი სოციალური ჯგუფის წევრი და სხვადასხვაგვარ სოციალურ ფუნქციას ასრულებდეს /Серебря, 1998: 4/.

ეთნოკულტურული სიტუაციის ანალიზისათვის, ძალზე მნიშვნელოვანია ეთნიკურობის დეფინიციური განსაზღვრება. XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს სამეცნიერო ლიტერატურაში შემოვიდა ეთნიკური ჯგუფების ფენომენის კვლევის ახლებური მიდგომა, რაც უკავშირდებოდა ეთნიკური ჯგუფების სოციალური საზღვრების არსობრივ კვლევას. მანამდე არსებობდა მოდელი, რომელშიც ცალკეულ ხალხებს გააჩნდათ საკუთარი კულტურა და ქმნიდნენ საზოგადოებებს, რომლებიც აღწერის მიზნით შეიძლებოდა წარმოდგენილი ყოფილიყვნენ როგორც ცალკეული კუნძულები. მიჩნეული იყო, რომ რასობრივი, კულტურული განსხვავებულობა, ენობრივი ბარიერები და ა.შ. განაპირობებდნენ ეთნიკური საზღვრების სიმყარეს. გარკვეულ იზოლიაციაში მყოფი თითოეული ჯგუფი ადაპტაციის პროცესში ადგილობრივი ეკოლოგიურ ფაქტორებზე რეაქციის შედეგად, გამოიმუშავებდა სოციოკულტურულ სტრუქტურას გამოვლენების ან გამომგონებლობითი ნასესხობის გზით (Барт, 2006: 12). ეთნიკურობის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ტრადიციული (პრიმორდიალური), ან ინოვაციური, კონსტრუქციული, მიდგომა. პრიმორდიალური მიდგომის თანახმად, ეთნიკურობა ავტომატურად აღმოცენდება ისეთი ობიექტური მახასიათებლების საფუძველზე როგორცაა: ენა, გარეგნული ფიზიკური ნიშნები, რელიგია, ტრადიციული და ყოფითი კულტურის თავისებურებანი. კონსტრუქციული მიდგომით კი აქცენტი კეთდება ადამიან-

ნების მიერ არსებული რეალობის აქტიურ შემოქმედებით ინტერპრეტაციაზე. ამ თვალსაზრისით, ობიექტიური მახასიათებლები წარმოადგენენ მხოლოდ ინტერპრეტაციის ნედლეულს. ერთი და იგივე ობიექტურ საფუძველს ადამიანებმა შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა მიანიჭონ, მიმდინარე ინტერესების და კონკრეტული სიტუაციის მიხედვით. აქცენტი ხან ენაზე გააკეთონ, ხან რელიგიაზე, ხან კი კულტურულ თავისებურებებზე /Шнилерман, 2003: 11-12/. კონსტრუქციული მიდგომით ეთნიკურობის კორელაცია კულტურასთან შეიცვალა და ეს უმნიშვნელოვანესი ფენომენი განიხილება, არა როგორც პირველადი ან განმსაზღვრელი, არამედ როგორც ეთნიკური ორგანიზაციის შედეგი /Барт, 2006: 13/. ამასთან, კულტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ საზღვართა მრავალშრიან სისტემად. ამ შრეებისაგან თითოეულს აქვს საკუთარი შერჩევითი და გამტარი ფუნქცია: გააცალკევოს “საკუთარი” “სხვისაგან”. კულტურა როგორც მთლიანობა, სემიოტიკური ტერმინებით, წარმოვიდგება ჰიგიენური, ეთიკური, რიტუალური, ინფორმაციული ფილტრების მრავალშრიან სისტემად. კულტურული ფილტრები ცალკეული ჯგუფის იდენტურობის შენარჩუნებას ემსახურება და მას ასიმილაციური პროცესებისაგან იცავს. ხსენებული მექანიზმი უპირისპირდება ცალკეული ჯგუფების ერთიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმში იტეგრირებას. ინტეგრაცია კულტურული ურთიერთქმედების შედეგია არ შეიძლება აღმოცენდეს კულტურათა დიალოგის გარეშე /ევშტეინი, 2004: 136/.

ეთნიკური კულტურები პირობითად ღია და დახურულ სისტემებად განვიხილება. ამასთან, ღია სისტემები ხასიათდებიან ახალი და განსხვავებული ელემენტების ათვისებისაკენ სწრაფვით, დახურული – პირიქით ეწინააღმდეგება ურთიერთობებს, რომელთაც შეიძლება სისტემის ცვლილებები გამოიწვიონ. კულტურული ურთიერთქმედების საფუძველი არის არა კულტურული იზოლიაცია, არამედ კულტურული ღიაობა. მნიშვნელოვანია საზოგადოების ტოლერანტობა, მზაობა ყველა კულტურაში თავისებურებების მოსმენისათვისა და გაგებისათვის. საკვლევი რეგიონის ეთნიკური და კონფენსიური ჯგუფები კონსერვატი-

უღობის მაღალი დონის გამო შეიძლება და უფრო კულტურის დახურულ ტიპს მივაკუთნოთ, რაც ინტეგრაციული პროცესის ხელშემშლელად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა გასათვალისწინებელია გლობალიზაციის თანამდევნი საპირისპირო ტენდენციაც, რაც ქვემო ქართლში ასევე შეიმჩნევა. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ რამდენიმე ასპექტს რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებენ სოციალური ჯგუფების ურთიერთობებში.

ემპირიული მასალა აჩვენებს, რომ ქვემო ქართლში ჯგუფთა შორის განმასხვავებელ და თვითიდენტურობის განმსაზღვრელ მთავარ ფაქტორს რელიგია და ენა წარმოადგენს. სოციალური თვალსაზრისით, რელიგია ერთი ჯგუფის იდენტობის დაცვას ემსახურება სხვა ჯგუფებთან მიმართებაში, თუმცა ხშირად პოლიტიკურ იარაღადაც გამოიყენება. რადგან ნაციონალური იდენტობის საფუძველი იყო რელიგიამ გარკვეული როლი შეასრულა კავკასიის კონფლიქტებში. რთულ პერიოდში, არეულობებისა და სიძნეულების პირობებში, ხალხს სულიერ ხელმძღვანელობასა და ფსიქოლოგიურ კომფორტს სთავაზობდა. /მაცაბერიძე, 2006: 18-19/.

ქვემო ქართლის მოსახლეობის უმრავლესობა, აზერბაიჯანელები, მუსულმანური აღმსარებლობისაა, ყოფით დონეზე მათ თითქმის ყველა სხვა ჯგუფი "თათრებად" (იგულისხმება მუსულმანი, ლ.ჯ.) მოიხსენიებს. მუსულმანი აზერბაიჯანელებს მეტ-ნაკლებად შეგნებული აქვთ რომ "ეს ქრისტიანული ქვეყანაა" (სოფ. არსარვანის მოლას ნათქვამი ლ.ჯ.). ეს კონტინგენტი შედარებით ლოიალურად არის განწყობილი. ზოგი მათგანი აღნიშნავს, რომ თვით მუსულმანის გაქრისტიანებასაც არ აღიქვამს ტრაგედიად. "მუსულმანის მიერ ქრისტიანობის მიღებაში, ან პირიქით არაფერი არაა ცუდი. ყურანშიც წერია ქრისტიანებს ჩვენზე წინ მიუღიათ წიგნი და სუფთად მიყვება, ჩვენზე ორჯერ ძლიერია. მაგრამ ზოგჯერ არის ქრისტიანი გადმოდის ჩვენ რწმენაში ან პირიქით. ამას არც ქრისტიანებს უშლიან, არც ჩვენ ვუშლით. თბილისში ჯუმა მეჩეთში იყვნენ სტუდენტები მოსული, კარებთან იდგნენ და შიგ არ შედიოდნენ. მკითხეს, შეიძლება ძია შესვლა? რატომ არ შეიძლება შვილო, ღმერთის სახლია. გინა სინაგოგა იყოს,

გინა სალოცავი იყოს, გინა მეჩეთი იყოს – ეგ არის ღმერთის სახლი. მე, პირიქით, უფრო გამეხარდება ეკლესიაში თუ შედის კაცი და ღოცულობს იმისგან ცუდს ნუ ელოდება. პირიქით ვინც არ შედის იმისგან მოდის ცუდი. გინა ავიღოთ მუსულმანი, ებრაელი, ქრისტიანი, ჩვენ ერთი გზით მივდივართ. მისასვლელი არის ღმერთთან, შენ სხვა გზით მიდიხარ, მე სხვა გზით. შეიძლება უფრო შორი გზა მოვიარო მაგრამ ყველა მივა ღმერთთან – ამბობს მუსულმანი სასულიერო პირი /ჯანიაშვილი, 2008-2011/.

ამის მიუხედავად, რელიგიური განსხვავება მიჩნეულია ჯგუფთაშორის დაპირისპირების მაპროვოცირებელ მნიშვნელოვან ფაქტორად: “მე ქართველი ვარ, მეუღლე მყავს ბერძენი, პირადად არავინ არ მაეიწროებს, მაგრამ ბერძენების მიმართ ეს სვანები და აჭარლები სხვანაირად არიან განწყობილი. შენ სხვანაირი კულტურა გაქ, შენ სხვანაირი გაგება გაქვსო და თავს უხერხულად გრძნობენ. ახლა იმასაც ამბობენ, თქვენ ქრისტიანები არა ხართო. პირველი სარწმუნოება (ქრისტიანობა ლ.ჯ.) ამათმა (ბერძნებმა) თუ არ მიიღეს, მეორეებმა მაინც მიიღეს. ჩემს სოფელში, რეხაში, ქართველები ძველთაგანვე ცხოვრობენ. ასევე ბერძენიც – ვალაბანოვები, ხრისტოფოროვები და ძაან კაი ურთიერთობა გვაქვს.” რესპოდენტის ნათქვამში იგრძნობა ქმრის ჯგუფთან სოლიდარობის გამძაფრებელი გრძნობა. იგი პოზიტიური მახასიათებლებით, რაც ბერძნებს სახელმწიფოს დომინანტ ეთნოსთან (ქართველებთან) აქვს საერთო, აფიშირებს (უძველესი ქრისტიანები არიან). ამასთან, შეფარულად შემოაქვს იქ მაცხოვრებელი სხვა ქართული ჯგუფების ნეგატიური მახასიათებლები (ინტოლერანტობა) და ცდილობს ბერძენზე გათხოვების მოტივირებას (თავის სოფლის მოსახლეობის ბერძნებთან ახლო კავშირი, ქრისტიანობა და ა.შ.). მაგალითები გვიჩვენებს, რომ ამჟამადაც ხშირია რელიგიური და ეთნიკური იდენტობების აღრევა. მრავალი ადამიანისათვის მუსულმანი (აზერბაიჯანელი, თურქი და თვით აჭარელიც) თათარია; ქართველი კი მხოლოდ – მართლმადიდებელი ქრისტიანი.

რელიგიური განსხვავება მთავარ დაბრკოლებად მიიჩნევა ოჯახის შექმნისას. ”ასეთი შემთხვევები მეტად იშვია-

თი იყო, რადგან რწმენის ამბავია. ამიტომაც, აჭარლებს შედარებით ძნელად ვეგუებით, ისინი ხომ მუსულმანები არიან. თუმცა დრო რომ გაივლის, შეიძლება ვეგლაფერი მოწესრიგდეს, ერთმანეთთან თხოვა – გათხოვება წავიდეს. ამიტომ, უკეთესია ქართველები მოვიდნენ და იცხოვრონ. აჭარელი კი მუსულმანია, ჩვენი რწმენა არ ემთხვევა. ამ საქმეს ახალგაზრდობა შედარებით ადვილად უყურებს, მოხუცები კი მეტად განიცდიან. ამიტომ ვამბობ, არ უნდა ჩაესახლებინათ სხვა რწმენის წარმომადგენელი, არამედ მხოლოდ ქრისტიანი”- ამბობს სოფ. ბეშთაშენში მცხოვრები ბერძენი /ჯანიაშვილი, 2008-2011/.

ეთნიკური ჯგუფების მაიდენტიფიცირებელ მნიშვნელოვან ნიშანს სალაპარაკო ენა წარმოადგენს. გერმანელი ნაციონალისტები (ი. ფიხტე, ძმები გრიმები) მიიჩნევენ, რომ ეთნიკურობის მთავარი გასაღები ერთიანი ენაა, რომელიც ხალხებს ისტორიასთან, მითოლოგიასთან და ტერიტორიასთან აკავშირებს. სამწვეროვანი კავშირი (ენა, ტერიტორია და მითოლოგია//საერთო ისტორიული გამოცდილება) ე.წ. ნაციონალიზმის თეორიის ძირითად საფუძველს წარმოადგენს. თუმცა მსოფლიოში არსებობენ მრავალწევრიანი ნაციები, მაგ. შვეიცარიელები. ასევე წინააღმდეგობაში მოდის სხენებული პარადიგმა იმ გარემოებასთან, რომ განსხვავებული ნაციები მშობლიურად მიიჩნევენ ესპანურს, ფრანგულს ან ინგლისურს. მულტიეთნიკურ გარემოში ადამიანთა მრავალმხრივი და ინტენსიური სოციალური კავშირები მოითხოვს გარკვეული ენობრივი სიტუაციის ფორმირებას, რაც უკავშირდება სახელმწიფო ენისა და ე.წ. "lingua franka"-ს საკითხს. კულტურის ელემენტების ტრანსფორმირება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც სხვა ერთობის (საზოგადოების) ზემოქმედებასთან, ასევე ატარებდეს ენდოგენურ ხასიათსაც.

ე. გელნერის თვალსაზრისით, ჯგუფის შიგნით ლინგვისტური ცვლილებები შეიძლება სწრაფად განხორციელდეს პოლიტიკურ მიზეზებთან დაკავშირებული კოლექტიური გადაწყვეტილებით /Gellner,1997: 2/. ამგვარი გადაწყვეტილების ტიპურ მაგალითს წარმოადგენს სახელმწიფო

ენისა და "lingua franka"-ს საკითხი ქვემო ქართლში. XIX-XX საუკუნეებში სახელმწიფო ენის და ასევე "lingua franka"-ს ფუნქციას რუსული ასრულებდა. ქვემო ქართლის აზერბაიჯანულმა, სომხურმა, ბერძნულმა და სხვა არაქართულმა მოსახლეობამ ქართული სუსტად, ან საერთოდ არ იცოდა. ბოლნისელი აზერბაიჯანელი ამბობს: "– ადრე ქართველებს და ბერძნებს რუსულად ველაპარაკებოდით, სახელმწიფოს მეთაურებმაც რუსული იცოდნენ. ცეკას მდივანიც კი მხოლოდ რუსულად გამოდიოდა. აი მაგალითად, გეიდარ ალიევი (აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტი ლ.ჯ.), მე არც კი მეგონა, რომ აზერბაიჯანული იცოდა (ჯანიაშვილი, 2008-2010). ამჟამად მათთვის, ვინც ქართული არ იცის, გაძნელდა განათლების მიღება, ბიზნესი და სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობა. ამის გამო, დადგა ქართული ენის შესწავლის საკითხი ყველა ეთნიკურ ჯგუფში.

ადგილობრივი ქართველები უფრო პოზიტიურად არიან განწყობილი იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ქართულად ლაპარაკობენ და მიაჩნიათ, რომ ეს მშვიდობიანი თანაცხოვრების მთავარი პირობაა" – ვინც დავრჩით, ქართველი იქნება, აზერბაიჯანელი თუ სომეხი, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. არაქართველებიც მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულად (შეიძლება ჩვენზე კარგადაც) და ამიტომაც ერთმანეთთან კარგად ვართ. იქ სადაც სოფლებში ცალკე ცხოვრობენ, თავიანთი ენის მეტი არაფერი იციან. ამიტომ, ვერაფერს აკეთებენ და სურვილი აქვთ ქართული ისწავლონ. აზერბაიჯანული იცის ქართველთა ნაწილმაც. ვინც ქართული არ იცის მათთან უფრო რუსულად ვსაუბრობთ. რუსულად საუბრობენ ერთმანეთთან სომხები და აზერბაიჯანელებიც. რაც შეეხება ხაჩენსა და ყაფანახს ეს ერთმანეთის მეზობელი სოფლებია და იქაურმა სომხებმა აზერბაიჯანულიც კი იციან. უფროსმა თაობამ უფრო იცის სხვადასხვა ენა, ახალგაზრდები კი ქართულის სწავლას ცდილობენ. აქ არიან ახალგაზრდები დავუძახებ და ვერ გაარჩევ ქართველისაგან. მერე ეროვნებას თუ შეეკითხები მიხვდები. აგერ ახლა თქვენი თანამშრომელი რომ ველაპარაკება კიანეთელი სომხის ქალია და კარგად ლაპა-

რაკობს ქართულად. იქაურებმა ბევრმა იცის ქართული”. – გვეუბნება დაბა კაზრეთში მცხოვრები ქართველი (ჯანიაშვილი 2008-2010).

მოსახლეობის თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში (განსაკუთრებით აზერბაიჯანელთა შორის) შეხვედებით ადამიანებს, რომლებიც ქართული ენის შესწავლას ცდილობენ. აღსანიშნავია ისიც, რომ პირად ურთიერთობაში ხშირად გამოთქვამენ სურვილს, გაიზარდოს ქართული ენის საათები აზერბაიჯანულ სკოლებში (ჯანიაშვილი, 2006-2010).

ევროპული მიდგომა ლინგვისტური საკითხისადმი განსხვავებულია. 1992 წელს ევროპარლამენტმა მიიღო „ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ“, რომელიც 1998 წლიდან შევიდა ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისათვის ძალაში. ქარტია და კონვენცია ითხოვს სახელმწიფოს ძირითადი მოსახლეობისაგან განსხვავებული ავტოქთონი, აბორიგენი ეთნიკური თუ ენობრივ-კულტურული საზოგადოებისათვის უმცირესობის ტატუსის მინიჭებასა და შესბამისი უფლებებით აღჭურვას. კერძოდ – უმცირესობის ენაზე საქმის წარმოება და სწავლება.

უნდა ითქვას რომ, საქართველოს ხელისუფლებას, ჯერჯერობით, ისევ, არ გააჩნია ჩამოყალიბებული პოზიცია, თუ რომელ ენებს შეიძლება მიენიჭოს რეგიონალური ან უმცირესობის ენების სტატუსი. კვლავ პრობლემურია ავტოქთონი და ეთნიკური ჯგუფების ენების გამიჯვნის საკითხი, რაც, რა თქმა უნდა, გამოწვეულია შიშით, რომ „ენის ქარტია“ ქვეყნის შიგნით დეზინტეგრაციულ პროცესებს კიდევ უფრო წაახალისებს. ამასთან, ევროპაში საქართველო, ამ საკითხში მარტო არ არის. ევროპის საბჭოს 47 წევრიდან, საქართველოს გარდა, კიდევ 12 სახელმწიფოს არ მოუხდენია ქარტიის რატიფიცირება, რვა ქვეყანამ კი, მათ შორის, რუსეთმა, ეს პროცედურები დაიწყო, მაგრამ შეძლევ, გაურკვეველი ვადით გადადო /წულაძე, 2010/.

კულტურული საზღვრების შენარჩუნებაში დიდ როლს თამაშობს ისტორიული მეხსიერება. ამასთან, ხალხში არსებობს არაფორმალური მითიური ისტორიული მეხსიერება, ერთის მხრივ, და ფორმალური ოფიციალური ის-

ტორია, მერეს მხრივ. შეიძლება ითქვას, თანამედროვე საზოგადოების ისტორიული მეხსიერების ერთ-ერთი მთავარი წყარო ისტორიული ტექსტები და სახელმძღვანელოებია /თორია, 2006: 28/. ამასთან, მსოფლიოში დაწყებული მულტიკულტურიზაციისა და დეკოლონიზაციის პროცესები და ფუნდამენტალური პოლიტიკური ცვლილებები განაპირობებენ ისტორიის არსის განსხვავებულ ინტერპრეტაციებს: კულტუროლოგიურ, სოციალურ, ისტორიის პოლიტიკური კონცეფციის წარსულის ნარატივებს, ისტორიის ფსიქოლოგიური სტრუქტურების აღდგენას და სხვა. ისე რომ, ისტორიის პრობლემათა მკვლევრები მასობრივი კულტურის სფეროშიც კი შეიჭრენ /Кукарцева, 2004: 31/.

ისტორიული თემებით სპეკულირება, წარსულის მითოლოგიზაცია, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ეთნიკურ ერთობაზე ზემოქმედების მიზნით იქმნება ისტორიული თემების ინსინუაციაზე ჩამოყალიბებული იდეოლოგია – ეთნოცენტრიზმი. ეთნოცენტრიზმი ოპოზიციური ჯგუფის ტრადიციული კულტურის ნეგატიურ პრიზმაში განხილვით და საკუთარი ჯგუფის კულტურის განდიდებით ხასიათდება. ამ ტენდენციებმა არც თუ უმნიშვნელო გავლენა იქონია XX–XXI სს-ის მიჯნაზე საქართველოში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებში. ამრიგად, კულტურულ-ისტორიული რეალიები იქცნენ არა ცალკეული ჯგუფების გაერთიანების, არამედ მათი გათიშვისა და დაპირისპირების საშუალებად. აქედან გამომდინარე, უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ მეცნიერებს, რომლებიც ისტორიისა და ეთნოლოგიის სფეროში მუშაობენ. არატიტულარული ეთნიკური ჯგუფების საქართველოში დამკვიდრებისა და მათი ტრადიციული კულტურის პრობლემების მკვლევარი მთლიანად უნდა იყოს თავისუფალი აკვიტებული ნეგატიური სტერეოტიპებისაგან.

XX საუკუნეში კავკასიის ხალხები მოექცნენ რამდენიმე განსხვავებული ეთნოცენტრისტული ტენდენციის გავლენის ქვეშ, რასაც განსაზღვრავდა საბჭოთა//რუსული, თურქული და ადგილობრივი ეთნოისტორიული კონცეფციები. თითოეული ეს კონცეფცია გარკვეულ როლს თამაშობდა ცალკეული ერთობების ეთნიკური იდენტობის გან-

საზღვრისას. განსაკუთრებით სპეციფიკური მდგომარეობა შეიქმნა საქართველოში, სადაც მრავლად (ხშირად კომპაქტურადაც) ცხოვრობენ იმ ეთნოსთა (რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები) წარმომადგენლები, რომელთა სახელმწიფოებშიც ხსენებული კონცეფციები პოპულარობით სარგებლობდნენ. ისტორიული სამშობლოდან წამოსული იდეოლოგიური იმპულსები ამ ჯგუფების სულიერ კულტურასა და ეთნიკურ თვითშეგნებაზე დიდი როლს თამაშობდნენ.

ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში (ვ. გუკასიანი, გ. ჰეიბულაევი, ა. იუნუსოვი და ა.შ.) გამოთქმული მოსაზრებები, რომ თურქები საქართველოში მე-6 საუკუნიდან წამყვან ელემენტს წარმოადგენენ; აზერბაიჯანული ენა ჩამოყალიბდა ისტორიულად მათ კუთვნილ ქვემო ქართლში; ბორჩალო არის არა მე-17 ს-ში შემოსული თურქმანული ტომისაგან ნაწარმოები სახელი, არამედ უძველესი ყივჩაღური ტომის ბურევიჩების აქ ცხოვრების დამადასტურებელი; გიორგი მეორის მეფობისას საქართველოში თურქ-სელჩუკთა გამანადგურებელი შემოსევა „დიდი თურქობა“ სინამდვილეში არის საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილის აღმნიშვნელი, სადაც თურქები იყვნენ ჰეგემონები (გაგებულია აღმინისტრაციულ ერთეულად); ე. ი. ხდება საქართველოში თურქთა ცხოვრების ისტორიის აშკარად გაყალბება, რაც ქვემო ქართლის მუსულმან მოსახლეობაში ასეთ ინტერპრეტაციას ღებულობს: „ეს მიწა (ქვემო ქართლი) თავიდანვე აზერბაიჯანელებით იყო დასახლებული და ირანს ეკუთვნოდა. შემდგომში ირანის შაჰმა საქართველოს მეფეს საინგილოში გაუცვალა“ (როგორც ჩანს, აქ აისახა შაჰ აბას პირველის მიერ ქართლის მეფისათვის მიწების „გაცვლა“). ამრიგად, განმტკიცებული რწმენა აზერბაიჯანელთა „ავტოქთონობის“ შესახებ წარმოშობს უკმაყოფილებასა და დაპირისპირებას მათსა და აქ მოსახლე სხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის /ჯუკაშვილი, 2000: 69/.

ჯგუფთაშორის ურთიერთობაზე თავისებურ გავლენას ახდენს, გლობალური პროცესებიც, რაც სხვადასხვანაირად აისახება ჯერ ინდივიდის, მოგვიანებით კი სოციუმის დონეზე. კ. ჭიჭინაძის აზრით გლობალიზაციის პროცესს

მიყვავართ სინქრონული ინფორმაციის წილის ზრდისაკენ და დიაქრონული ინფორმაციის წილის შემცირებისაკენ (ე.ი. შეფარდება DI/SI - პერმანენტულად ეცემა). კულტუროლოგიაში ამ პროცესებს ტრადიციის როგორც ქცევისა და აზროვნების წესის) კარგვა ეწოდება და შედეგად კულტურული დენაციონალიზაცია შეიძლება მოჰყვეს. ამ პროცესების პარალელურად მიმდინარეობს შიდა სინქრონული ინფორმაციული ნაკადის (ISI) პროცენტული წილის შემცირება გარე სინქრონული ინფორმაციულ ნაკადთან (ESI) შედარებით (ე.ი. შეფარდება ISI/ESI - პერმანენტულად ეცემა) /ჭიჭინაძე; 2004, 16/. იმის მიუხედავად რომ, ცალკეული კულტურული სისტემები ისწრაფვიან თვითმყოფადობა იზოლაციის გზით შეინარჩუნონ. საერთაშორისო და ლოკალური კომუნიკაციების გაადვილება, ინტერკულტურული ურთიერთობების გააქტიურება და სამეურნეო თუ კულტურული ხასიათის კონტაქტები აისხება ტრადიციული ყოფის და კულტურის ყველა მხარეზე. ტრანსფორმაციას ექვემდებარება ტრადიციული სისტემის თითქმის ყველა ელემენტი. გლობალიზაციის გაცხოველებული პროცესი, რომელიც ადამიანური კონტაქტების და კულტურულ ურთიერთობათა გააქტიურების ფონზე მიმდინარეობს განაპირობებს ადრე შედარებით იზოლირებული კულტურული სისტემების გახსნას. ყოველივე ამას ემატება ის გარემოებაც, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები მიგრაციაში წასულ ადამიანებსაც კი (რომლებიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი არიან) აძლევენ აქ დარჩენილ ერთობის წევრებთან ინტენსიური ურთიერთობის საშუალებას. შრომითი მიგრანტები, უცხო ქვეყნებში თავიანთი სოციალური ქსელის (რომელიც, როგორც წესი, ეთნიკური დიასპორის სახეს ღებულობს) მეშვეობით ცდილობენ შეინარჩუნონ ეთნიკური კულტურის ელემენტები. იმავედროულად, ხშირად სწორედ მიგრანტები გვევლინებიან გლობალური კულტურული ელემენტების გამტარებად, მათი მეშვეობით ეცნობიან ჯერ ოჯახის წევრები, მერე კი მისი ჯგუფის წარმომადგენლები ახალ ტექნოლოგიურ მიღწევებს და ე.წ. დასავლურ კულტურას. ტიპური სურათია ერთი ჩვენი მთხრობელის ოჯახში. საბერძნეთში სამუშაოდ წასულია ახალგაზრდა მამაკა-

ცი. მან ჯერ მობილური ტელეფონით მოამარაგა ოჯახის წევრები, შემდეგ კი კომპიუტერიც გამოუგზავნა. ამიერიდან, საკმაოდ ტრადიციული ოჯახისათვის, რომელიც დახურულ კულტურულ ერთობას მიეკუთვნებოდა, ჩვეულებრივი გახდა, ინტერნეტი, სკაიპი, ფეისბუკი და ოდნოკლასნიკები. ამრიგად, საბერძნეთში წასული პიროვნება ერთის მხრივ, ახალი ტექნოლოგიების საშუალებით ინარჩუნებს კავშირს თავისი ერთობის წევრებთან, ვირტუალურად მონაწილეობს ტრადიციულ საოჯახო რიტუალებსა და დღესასწაულებში. იმაგდროულად, კი სწორედ ხსენებულ ემიგრანტი გახდა ერთ-ერთი გამტარი დასავლური კულტურული ფასეულობების შემოტანისა ჯერ მის ოჯახში, შემდეგ კი მთელს ერთობაში.

როგორც ზემოთ ითქვა, ეთნიკური კულტურები პირობითად შეიძლება დაიყოს ღია და დახურულ სისტემებად. ღია სისტემები ხასიათდებიან ახალი და განსხვავებული ელემენტების ათვისებისაკენ სწრაფვით, დახურული – პირიქით ეწინააღმდეგება ურთიერთობებს, რომელთაც შეიძლება სისტემის ცვლილებები გამოიწვიონ. კულტურული ურთიერთქმედების საფუძველი არის არა კულტურული იზოლიაცია, არამედ კულტურული დიაობა. მნიშვნელოვანია საზოგადოების ტოლერანტობა, მზაობა ყველა კულტურაში თავისებურებების მოსმენისათვისა და გაგებისათვის. მართალია, საკვლევი რეგიონის ეთნიკური და კონფენსიური ჯგუფები კონსერვატიულობის მაღალი დონის გამო შეიძლება და უფრო კულტურის დახურულ ტიპს მივაკუთნოთ, მაგრამ იმაგდროულად, გლობალური პროცესებისა და ადგილობრივი ფაქტორების ზეგავლენით შეიმჩნევა ცალკეული ჯგუფების კულტურული კონსერვატიზმის შესუსტება, რაც ამ ჯგუფების ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში ხელშემწყობად უნდა მივიჩნიოთ.

ინტეგრაცია გულისხმობს, პროცესს როდესაც უმცირესობები საზოგადოების განუყოფელი ნაწილნი ხდებიან, თავიანთი ცხოვრების წესით, კანონის მორჩილებით, მრავალი სოციალური და კულტურული ფასეულობის გაზიარებითა და სოციალური ყოფის გაუმჯობესებისათვის გაწეული ერთობლივი მუშაობით. ინტეგრაციის ამპლიტუდა ერ-

თან ეთნოსოციალურ ორგანიზმში ინტეგრაციიდან, სოციალური ორგანიზაციის სრულ იზოლაციამდე მერყეობს. რაც ჯგუფებს შორის სოციალური და ნათესაობითი კავშირების სისშირესა და სულიერი კულტურის სფეროში არსებული ნასესხობაში აისახება. უნდა ითქვას, რომ ქვემო ქართლის რეგიონში ეს პროცესი მიმდინარეობს, თუმცა დიდი აქტიურობით არ ხასიათდება.

L. JANIASHVILI

MULTICULTURAL REGION IN POST-SOVIET PERIOD (KVEMO KARTLI)

Kvemo Kartli is the south-eastern part of Georgia. Because of its original geographical situation, historical and social-political conditions this territory is characterized by intensive ethnic migration processes from ancient times and created the most multiethnic region in Georgia. It is compactly populated by ethnic groups different from the so called “title population” – national minorities. In this region formal minority (at the state level) is a de facto majority (at local level) (i.e. in Marneuli district the Azeri share is 83.1%, in Dmanisi – 66.8%, in Bolnisi – 66%, in Gardabani – 45.6%).

The regions compactly populated by the national minorities are considered the center of disintegration processes and high risk, so great attention is paid to the implementation of the preventive measures by state. Two different strategies could be used: I. ethnic assimilation through erasing of the internal ethnical identity (the main focus is on the radical transformation of their ethno-cultural peculiarities); II. activation of integration processes at the expense of increase of the inter-group solidarity, when the state is the guarantor of the protection of the internal identity of the group. The recent processes confirm that Georgia has chosen the latter strategy.

In Kvemo Kartli ethno-social heterogeneity implies diversified cultural interaction between ethnic and religious groups. This process

is especially active in the so called *marginal areas*, i.e. areas characterized by high frequency of inter-cultural contacts. In terms of integration the situation in Kvemo Kartli could not be assessed as favorable, although some positive dynamics of inter-cultural dialogue is present. Due to their interrelations throughout years the old and new groups (Georgian migrants) have acquired certain experience in this respect.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ეპშტეინი მ., თვითგაწმენდა (თვითგასუფთავება), კულტურის წარმოშობის ჰიპოთეზა, ცივილიზაციური ძიებანი, №2, თბ., 2004.
2. მაცაბერიძე დ., ცივილიზაციური და პოლიტიკური ფაქტორების თანაფარდობა კავკასიურ კონფლიქტებში, ცივილიზაციური ძიებანი, №2, 2004.
3. მაცაბერიძე დ., ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური ფაქტორების თანაფარდობა კავკასიის კონფლიქტებში (პოსტსაბჭოთა პერიოდი), ცივილიზაციური ძიებანი №4, თბილისი 2006
4. მოსახლეობის აღწერა – საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, <http://www.statistics.ge/>
5. რამიშვილი ვ., გლობალური ტრანსფორმაციები და გლობალური გამოწვევები, ინტერნეტ ვერსია, <http://www.strate.ge/>
6. წულაძე ზ., რა საფრთხეს უქადის „ენის ევროპული ქარტია“ საქართველოს? ამერიკის ხმა, ინტერნეტ ვერსია, <http://www.polity.ge/georgia/politika/2134-ra-safitxes-uqadis-evropuli-qartia-saqartvelos.html>
7. ჭიჭინაძე კ., ნაციონალიზმი და გლობალიზაცია: სისტემური მიდგომა, ცივილიზაციური ძიებანი, №2, თბილისი, 2004

8. ჯანიაშვილი ლ., ქვემო ქართლის ექსპედიციის მასალები, 2008-2010.
9. ჯუკაშვილი ი., ეთნიკური დაპირისპირების ისტორიული ასპექტის განსაზღვრისათვის (ეთნოისტორიული ანალიზი ქვემო ქართლის მაგალითზე), ამირანი, №2, თბ., 2000.
10. Барт Фредерик, Этнические группы и социальные границы, под редакцией Фредерика Барта, Новое издательство, 2006
11. Кукарцева М.А., Колomoец Е.Н., Вестник Московского университета. Серия 7. Философия. М. 2004.
12. Сергеева З.Х. Маргинальная личность: эволюция концепции, Казан, 1998.
13. Уитли Дж. Введение в действие Раиочной Конвенции о защите Национальных Меньшинств в Грузии: Исследование выполнимости, Доклад №28, 2006
14. Шнилерман В.А., Войны памяти; Мифы, идентичность и политика в Закавказье, М., 2003
15. Gellner E., Nationalism, New York University Press, 1997.

**კულტურათაშორისი კომუნიკაციის ზოგიერთი
ასპექტი ქვემო ქართლში**

ქვემო ქართლის მულტიეთნიკური სტრუქტურა მნიშვნელოვნად განაპირობებს კულტურათაშორისი კომუნიკაციის ხასიათს. რეგიონში ინტენსიურად მიმდინარე მიგრაციების წყალობით, აქ არსებული განსხვავებული ეთნოკულტურული ჯგუფები, აკულტურაციის მრავალმხრივი და ხანგრძლივი პროცესის მონაწილეებად იქცნენ. ამ მხარეში სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე ერთი ეთნიკური ჯგუფი მეორეს ცვლიდა და ამ მიზეზით, არსებული კულტურათაშორისი ბალანსი იოლად ირღვეოდა. ახალი ჯგუფები ადაპტაციის რამოდენიმე საფეხურს გადიოდნენ – უცხო გარემოსთან, ერთმანეთთან და უცხო კულტურასთან შეთავსების პროცესებს. ახალი ეთნიკური ერთეულის მიღება რთული იყო მკვიდრი მოსახლეობისთვისაც და დღესაც, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო კვლავ მიმდინარეობს რეგიონში ქართული (მცირე რაოდენობით არაქართული) მოსახლეობის შემოდინება, კულტურათაშორისი კომუნიკაციის წარმატით რეალიზაციას გარკვეული ბარიერები აფერხებს. შესაბამისად, ფერხდება ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესიც. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ სირთულეს ქმნის ის, რომ სახელმწიფოში დომინანტი კულტურა, რომელმაც უნდა მოახდინოს უმცირესობის ჰომოგენიზაცია თავის ჯგუფში, აღნიშნულ რეგიონში გარკვეული ასპექტით დომინანტი არ არის.

ბუნებრივია, კულტურათაშორისი კომუნიკაცია გულისხმობს აკულტურაციას, ანუ განსხვავებულ კულტურასთან კონტაქტის შედეგად ინდივიდის ან ჯგუფის კულტურის მოდიფიკაციას. ეს არის პროცესი, რომელიც უკავშირდება ორ სხვადასხვა კულტურას შორის დამოკიდებულების ან ქცევის ცვლილებებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კულტურული ელემენტების შერევა ან შერწყმა.

ჯ. ბერის მიერ დაფორმულებული ოთხგანზომილებიანი მოდელის თანახმად, აკულტურაციის პროცესს ახასია-

თებს შემდეგი სტრატეგიები: **ასიმილაცია, სეპარაცია, მარგინალიზაცია და ინტეგრაცია**. ასიმილაცია უცხო კულტურის ღირებულებათა და ნორმათა მთლიანად მიღებასა და საკუთარზე უარის თქმას გულისხმობს; **სეპარაციის** შემთხვევაში ხდება უცხო კულტურის უარყოფა და საკუთარ კულტურასთან იდენტიფიკაციის შენარჩუნება, როდესაც არადომინანტური ჯგუფის წარმომადგენლები ამჯობინებენ დომინანტი ერის კულტურისაგან მეტ-ნაკლებ იზოლაციას. **მარგინალიზაციის** შემთხვევაში ადგილი აქვს, ერთი მხრივ, უარის თქმას საკუთარ და, მეორე მხრივ, უმრავლესობის კულტურასთან იდენტობაზე. როდესაც კულტურის შენარჩუნების საშუალება და ინტერესი არის ნაკლები და ასევე მცირეა სხვა კულტურასთან კავშირების ქონის ინტერესიც. **ინტეგრაციაში** კი იგულისხმება იდენტიფიკაცია, როგორც საკუთარ, ისე ახალ კულტურასთან. როდესაც ინდივიდი ან ჯგუფი მიისწრაფის შეინარჩუნოს როგორც თავისი ორიგინალური კულტურა, და ამავე დროს, ყოველდღიურ ურთიერთობაში ორიენტაცია დომინანტი კულტურისკენ აიღოს (Berry, 1996:296). ქართული სახელმწიფო პოლიტიკა რეალურად მიმართულია უმცირესობათა ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციისაკენ, მაგრამ ქვემო ქართლში მუდმივად მიმდინარე მიგრაციულმა და იმიგრაციულმა პროცესებმა, ერთი მხრივ, კიდევ უფრო გაამრავალფეროვანა რეგიონის ეთნო-კულტურული მოზაიკა და მეორე მხრივ, გაართულა და გაახანგრძლივა ადაპტაცია-აკულტურაციის ტემპები.

მულტიკულტურულ საზოგადოებებში ინტეგრაციის სტრატეგიის გატარება შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ არსებობს წინასწარ ჩამოყალიბებული პოზიტიური მულტიკულტურული იდეოლოგია (John W. Berry 1997:5-68); მაგრამ ისეთ მრავალეთნიკურ რეგიონში როგორც ქვემო ქართლია, ეს ძნელად მისაღწევი ამოცანაა. იქ სადაც რამოდენიმე თვითმყოფადი კულტურის მქონე ეთნოსი თანაარსებობს, მათი ინტერესების შეჯახების ალბათობა დიდია. შესაბამისად, ინტერესთა გადაკვეთამ შესაძლოა გამოიწვიოს კულტურათაშორისი დაპირისპირება და კონფლიქტიც კი. თუ ამ თვალსაზრისით საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდ-

დებს შევადარებთ ერთმანეთს, დავინახავთ თუ როგორ ხდებოდა სტადიალური ცვლილებების შესაბამისად აკულტურაციის სტრატეგიების ცვლა იზოლაციიდან ინტეგრაციამდე და პირიქით.

ადაპტაციისათვის აუცილებელი სოციალური ურთიერთობების ფართო სპექტრის ქონა (ჩართულობა, ენის ცოდნა, საინფორმაციო საშუალებების აქტიურად მოხმარება, სხვა ეთნოსის წარმომადგენელი მეგობრების ყოლა) კომუნისტების პერიოდში შედარებით ადვილად მისაღწევი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური უმცირესობები რეგიონში უმთავრესად ერთმანეთისაგან იზოლირებულად ცხოვრობდნენ, ისინი იმ დროისათვის მოქმედ კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში, ფერმებსა და საწარმოებში ერთად მუშაობდნენ, რაც მათი ურთიერთობების ჩამოყალიბება-განვითარებას უყრიდა საფუძველს. სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის საკომუნიკაციო ენა რუსული იყო; საშუალო სკოლებში რუსული ენის გაძლიერებული სწავლების პოლიტიკა, სოციალური ინსტიტუტების სამუშაო ენად რუსულის ყოფნა, კულტურათაშორისი დიალოგის და სოციალური კავშირების რუსული ენის ბაზაზე განხორციელება ჯგუფთაშორის ინტეგრაციას უწყობდა ხელს. “პომო სოვიეტიკუსის” იდეოლოგია არ ქმნიდა სახელმწიფოში კულტურათაშორისი დაპირისპირების საფუძველს და აკულტურაციის პროცესიც თითქოს შეუმჩნეველად, და უპრობლემოდ მიმდინარეობდა. დღეს ქვემო ქართლის სხვადასხვა ეთნოსების წარმომადგენლები სინანულით იხსენებენ საბჭოთა პერიოდს:

”წინათ სკოლები რუსული იყო და რუსულად ვკონტაქტობდით. ახლა ახალგაზრდებმა საერთოდ არ იციან რუსული, თუ სხვა ნაციაა, ერთმანეთს ვეღარ უბგებენ”.

”წინათ რამე პრობლემა რომ გვქონდა, ან რამე არ მოგვწონდა, მოსკოვში ვჩიოდით, მოსკოვში ვწერდით და ყველაფერს ვაღწევდით. ახლა? ახლა ჩვენს საქართველოს მოსკოვი აღარ უყვარს! ...ყველაფერს მაშინ მოსკოვიდან ვიღებდით. ადრე 10 მანეთს ჯიბეში ჩაიდებდი, ბაზარში წახვიდოდი და ხურდასაც მოიტანდი. ახლა? 10 მანეთით ნაბიჯსაც ვერ გადაადგამ. წინათ ღობიო იყო 20 კაპიკი,

პამიდლორი 5 კაპიკი, კიტრი – 20 კაპიკი. ახლა? ახლა კი არ ვცხოვრობთ, არამედ ვარსებობთ” (ჯალაბაძე, 2008-2010).

ქართული მოსახლეობის მიგრაციამ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან და საკვლევ რეგიონში ქართული ეთნოსის წარმომადგენლების (ძირითადად ე.წ. ეკომიგრანტების) სახით ადგილობრივებისათვის “უცხო” ელემენტის “შემოჭრამ” დისონანსი შეიტანა უკვე არსებულ “საბჭოურ ჰარმონიაში”. ეს იყო გადმოსახლებულ ქართველთა ფსიქოლოგიური და ბუნებრივ გარემოსთან შეგუების, უცხო მენტალიტეტთან და კულტურასთან შეჯახების, ახალმოსულთა და დამხვედურთა ურთიერთდაპტაციის ურთულესი პროცესი თავისი უარყოფითი გამოვლინებებით და შედეგებით (პრობლემები, კონფლიქტი, ფრუსტრაცია, დეზორიენტაცია). დაზარალებული მაღალმთიანი რეგიონის მცხოვრებლებისათვის საკმაოდ ძნელი შესაგუებელი აღმოჩნდა ქვემო ქართლის კლიმატი, ბუნებრივი გარემო და, ხშირ შემთხვევაში, მოუგვარებელი საცხოვრებელი და საარსებო პირობები. ეკომიგრანტების ახალ კულტურულ გარემოსთან ადაპტაცია კომპლექსური პროცესი იყო, სადაც აქტიურად იყო ჩართული ეთნოცენტრისტული მექანიზმები, რამაც, ძირითადად საწყის პერიოდში, ჯგუფთაშორისი დაპირისპირება გამოიწვია. ადგილობრივმა მოსახლეობამ ქართული ჯგუფების რეგიონში შემოსვლა ქართული ნაციონალური პოლიტიკის ერთ-ერთ სტრატეგიად აღიქვა და მას კეთილგანწყობით არ დახვედრია. დამხვედური ჯგუფები, რომლებიც რეგიონში უმრავლესობას წარმოადგენდნენ, და, აქედან გამომდინარე თავს უპირატესად გრძნობდნენ, მტრულად შეხვდნენ უცხო სოციუმს, რომელიც თავისი ეთნიკური იდენტობის, ანუ ქართველობის გამო, ცდილობდა პირველობა მოეპოვებინა და, ასე ვთქვათ, “ჩაეწონებინა” პრივილეგირებული ჯგუფები. ეს განსაკუთრებით სვანების შემთხვევაში შეინიშნება, რომლებიც, მათი მენტალიტეტიდან გამომდინარე, საქართველოში არაქართული ჯგუფის უპირატესობას ვერ ეგუებოდა. ამიტომაც იყო, რომ ადგილობრივებსა და ჩამოსულებს შორის ხშირი იყო დაპირისპირებანი ეთნოცენტრისტულ საფუძველზე. რო-

გორც ინფორმატორები გადმოსცემენ, მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა დავის რაიმე მატერიალური საბაზი, მაგალითად მიწის, საყოფაცხოვრებო ან რაიმე სხვა მსგავსი საკითხი. ინდივიდუალურ დონეზე დაწყებული დაპირისპირებები, გამომდინარე ოპოზიციურ ჯგუფთა კულტურის კოლექტივისტური ხასიათიდან, თითქმის ყოველთვის ჯგუფთაშორისი კონფლიქტის ფორმას იღებდა. გარდა ეთნოცენტრისტული საფუძვლისა, დიდ როლს თამაშობდა კომუნიკაციის მოშლაც, რასაც ქართული ენის და ახალმოსულ ჯგუფთა კულტურული ღირებულებების არცოდნა იწვევდა. მოგვიანებით, როდესაც ხდება ახალმოსულთა დამკვიდრება და რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ ყოფაში ჩართვა, მათ შორის უთანხმოებას უკვე გამოკვეთილი მატერიალური ინტერესები განაპირობებს. ყველაზე მეტი დატვირთვა ამ მხრივ ეკონომიკურ პრობლემებზე მოდის, განსაკუთრებით კი მიწის საკითხზე, რაც თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც ქართველი, ისე არაქართველი მოსახლეობისათვის. მიწა მათი არსებობის წყაროა და ამიტომ მათი ინტერესის ობიექტიც. რეგიონში მომხდარი ჯგუფთაშორისი კონფლიქტის ფაქტები მოწმობს, რომ დაპირისპირება, რომელსაც ეთნიკური სარჩული არ აქვს, ადვილად შეიძლება გადაიზარდოს ეთნიკურ კონფლიქტში. კონფლიქტების ჩამოყალიბება ძირითადად ხდება ისეთ დასახლებებში, სადაც ამ ჯგუფებს შეხების წერტილები გააჩნიათ. ისინი შესაძლებელია ერთ დასახლებაში არ ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი ინტერესები სამეურნეო სამუშაოების წარმოებისას გადაიკვეთოს. თითოეული ეთნო-კულტურული ჯგუფი პრეტენზიებს გამოთქვამს თავიანთი, თითქოსდა, არასახარბიელო მდომარეობაში და არათანაბარ პირობებში ყოფნის გამო. თუმცა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დღეს კონფლიქტების მხრივ, სიტუაცია ასე თუ ისე დარეგულირდა. ყოფით საკითხებთან დაკავშირებული უთანხმოებანი რასაკვირველია არსებობს, მაგრამ ბოლო პერიოდში ამას არ მიუღია კონფლიქტის მასშტაბური ფორმა. ამაში გარკვეულწილად სახელმწიფოს მიერ გატარებულ ქმედით ღონისძიებებსაც აქვს წვლილი (კონტროლის გამკაცრება, კანონის ამოქმედება). კულტურათაშორი-

სი კავშირების დინამიკა პოზიტიურია, ვინაიდან დროსთან ერთად ეს ჯგუფები ერთმანეთის კულტურას უფრო კარგად ეცნობიან და უკეთ ეგუებიან.

ქვემო ქართლში კულტურული კომუნიკაციის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის არცოდნაა, რიც გამოც მათი უმრავლესობა ვერ ახერხებს საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ჩაეწეროს.

ბოლო პერიოდში მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაქართული მოსახლეობის ინტეგრაციისათვის. საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი მხარდაჭერით შემუშავდა უმცირესობებით დასახლებული რაიონების სკოლებში ქართული ენის სწავლების სპეციალური პროგრამები დაიგეგმა სოციალური მიმართულების საგნების სწავლება ქართულ ენაზე, გატარდა ღონისძიებები განათლების სისტემის უნიფიკაციის ხაზით – ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების უმცირესობათა ენებზე თარგმნილი სახელმძღვანელოები დაურიგდა სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს, გამოიცა კანონი აკრედიტებულ უნივერსიტეტებში ერთიან ეროვნულ გამოცდებში ქართული ენისა და ლიტერატურის ჩაბარების მსურველთათვის გამსვლელი ქულის დადგენის თაობაზე და სხვ. დღეს არაქართველ მოსახლეობაში შეინიშნება ქართული ენის შესწავლის სურვილი და ზოგჯერ, მოთხოვნილებაც კი.

კულტურათაშორისი კომუნიკაციის დაჩქარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შერეული ქორწინებები. თუმცა, რეგიონის რელიგიური სიჭრელე და უმცირესობის უმეტესად იზოლირებულად ცხოვრება, მის წარმატებით განხორციელებას ართულებს. შერეული ქორწინებების სიმცირის გამო კომუნიკაციის ეს ფორმა საკვლევ რაიონებში ვერ ჩაითვლება ინტეგრაციის პროცესის დამაჩქარებელ ფაქტორად. ანალოგიურად, რელიგიური ჯგუფების ერთმანეთისაგან უფრო მეტად დისტანცირების გამო, მცირეა ამ გზით მეორე კულტურის გაცნობის და მათ კონტექსტებში ჩართვის შესაძლებლობები. ამისდამიუხედავად, განსხვავებუ-

ლი რელიგიური ჯგუფები ტოლერანტული არიან ერთმანეთის მიმართ. რელიგიური ტოლერანტობა აღინიშნება განსაკუთრებით იმ მოსახლეობაში, რომელიც ტრადიციულად ერთმანეთის მეზობლად ან შერეულად ცხოვრობდა.

ინტეგრაციის წარმატებას განაპირობებს ინტერპიროვნული ეფექტური ურთიერთობები, რომელსაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ოჯახში (შერეული ქორწინება), სანათესაოში, სამეზობლოში, სასწავლებელში, სამსახურში. ასეთ ურთიერთობებს ყოველთვის თან ახლავს ერთმანეთის კულტურის გაცნობა, მათი აღიარება და მათ კონტექსტებში ჩართვა, რაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნიკური ჯგუფების განსახლების სტრუქტურას (შერეული ან იზოლირებული).

პიროვნებათაშორისი კომუნიკაცია მულტიეთნიკურ გარემოში, რომელიც შესაძლებელია ეფექტურიც იყოს და არაეფექტურიც, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინტერკულტურული ურთიერთობების ხასიათზე. ნებისმიერი ასეთი ურთიერთობა, მისი ეფექტურობის თუ არაეფექტურობის მიხედვით, იწვევს დადებითი ან უარყოფითი განწყობის ჩამოყალიბებას, რაც შესაბამისად კონკრეტული სტერეოტიპების ფორმირებას უდევს საფუძვლად. ინტერპიროვნული ურთიერთობისას ჩამოყალიბებული სტერეოტიპები შემდგომში განაპირობებს ურთიერთობის ხასიათს იმ ჯგუფებს შორის, რომლის წარმომადგენლებიც კომუნიკანტები არიან. ქვემო ქართლის მულტიეთნიკურ საზოგადოებაში სხვადასხვა ხარისხის ინტერპიროვნული ურთიერთობები ძირითადად შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ოჯახის ფარგლებში, მეზობლებთან, სწავლის პროცესში, სამსახურში.

ოჯახში, როდესაც წყვილი სხვადასხვა ეთნიკური კულტურის წარმომადგენელია, კულტურის ელემენტთა დიფუზიას აქვს ადგილი; ამ შემთხვევაში ორივე მხარე უკეთ ეცნობა ერთმანეთის ყოფით და რელიგიურ ტრადიციებს, სწავლობს ერთმანეთის ენას, ღირებულებებს, ქცევის ნორმებს და. ა. შ. ეს ეხება მათ შვილებსაც, რომლებიც ბილინგვები და ორივე კულტურის მატარებლები ხდებიან. ამავე დროს ასეთი ურთიერთობა განაპირობებს, არა მარტო, უშუალოდ ცოლ-ქმრის, არამედ, ორივეს მხრიდან სა-

ნათესაოს შორის კავშირებსაც. მათი გადაკვეთა ხდება საოჯახო თავყრილობების დროს (ქორწილი, ნათლობა, რელიგიური დღესასწაული, დაბადების დღე, პანაშვიდი, დაკრძალვა), სადაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები უკვე ნათესავისა თუ მოყვრის სტატუსით ურთიერთობენ ერთმანეთთან. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქვემო ქართლში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს, მართალია არც თუ სშირად, მაგრამ მაინც ნათლიებად მიჰყავთ ერთმანეთი. ამ ფორმით დამოყვრება აღინიშნება ძირითადად ერთი რწმენის მქონე სხვადასხვა ეთნოსებს, იშვიათად ქრისტიანსა და მუსულმანს შორის. სომეხი ინფორმანტის თქმით:

“სვანები სომეხებიდან შორს ცხოვრობენ. მაგრამ მეგობრობენ, ერთმანეთს შვილებს უნათლავენ, თუ დამეგობრდებიან იმ შემთხვევაში” (წალკა 2008).

დმანისის სოფ. აზკაკლიანის მცხოვრები აზერბაიჯანელი ქალბატონის თქმით:

“არის შემთხვევები, რომ აზერბაიჯანელებსა და ქართველებს ნათლიებად მიჰყავთ ერთმანეთი. ქართველს იმიტომ ანათლინებენ, რომ ახლობლობა უნდათ იმასთან ჰქონდეთ. იყო ერთი მაგალითად ჩვენ სოფელში და ქართველმა მონათლა. თუ მუსულმანი არაა, იმას ნათლობის დროს ეტყვიან რა და როგორ უნდა გააკეთოს და ასწავლიან. ისევე ასრულებს, როგორც ჩვენი წესია” (დმანისი 2009).

გარდაბნელი სვანი რესპონდენტის ინფორმაციით:

“ნათლიებად მიყავთ ქართველები აზერბაიჯანელებს. მაგალითად ჩვენი სვანი გაბიანი წაიყვანეს ნათლიად. ასეთ დროს მოძღვარი აძლევს კურთხევას, თუ სთხოვენ ნათლიობას. მონათვლინეს ბიჭი თავიანთი წეს-ჩვეულებით. სუნიათში მიიღო მონაწილეობა. აზერბაიჯანელებისათვის ნათლია არის ყველაზე დიდი ნათესავი ბიძაშვილზე, მამიდაშვილზე უფრო მეტი. ქრისტიანს იმიტომ მონათვლინეს, რომ იმ ადამიანთან უნდოდათ ახლობლობა. ეს ჩვენი ბიჭი უყვარდათ ძალიან. თან დაფასება იცინა იცით რა დონეზე? ჩვენ მზითვევი არ ვიცით ისეთი, როგორც მაგათ ნათლიასთან მოსაკითხი მოაქვთ, ნოსები, საუკეთესო ჭურჭელი, სერ-

ვიზები, დატვირთვები მოდიან. ძალიან ხშირი არაა ასეთი შემთხვევები, მაგრამ არის.” (მარნეული 2010).

სამეზობლო ურთიერთობას დიდ დატვირთვა აქვს ინტეგრაციის პროცესებში. ქვემო ქართლში შესაძლებელია გამოვეყოთ ამგვარი ურთიერთობის ორი ტიპი – ერთი, შერეული დასახლების შემთხვევაში, ანუ სხვადასხვა ეთნოკულტურის წარმომადგენლებს შორის უშუალო მეზობლობა და მეორე, სხვადასხვა ეთნოსებით დასახლებული მეზობელი სოფლების მოსახლეობას შორის. პირველ შემთხვევაში, რასაკვირველია ინტერპერსონალური ურთიერთობანი უფრო ინტენსიურ ხასიათს ატარებს. ურთიერთობა განსაკუთრებით ეფექტურია ერთი კონფესიის წარმომადგენლებს შორის. მარნეულის რაიონის სომხურ-ქართული სოფ. სამების მკვიდრის თქმით:

”ქართველი-სომეხი სულ ნათესავეები ვართ. ერთმანეთში ვქორწინდებით. ამ სოფელში სვანებიც არიან, იქნება ასე 20 კომლი. ეს დასახლება აქვეა, სოფლის შემოსასვლელში. ეგენი 20 წელიწადი აქ არიან. რო მოვიდნენ რაღაც გარეული ხალხი იყო. ახლა უკვე ურთიერთობა გვაქვს. ზოგიერთ ნათესავეებს ეგენი სჯობია” (მარნეული 2010).

გარდაბნის სოფ. ლემშვანიერაში მცხოვრები სვანი რესპონდენტის ინფორმაციით:

“ჩემი ძმა ცხოვრობს აზერბაიჯანელებთან, შიგ უშაგულში და საუკეთესო ურთიერთობა აქვს. თუ აზერბაიჯანელმა დაინახა შენი ერთგულება და მიხვდა, რომ მაგათ პატივს სცემ, თან გადააყვება აბსოლუტურად ყველანაირად. სომხებისგან მაგით ძალიან განსხვავდებიან”. (გარდაბანი 2010)

“ეგენი თუ დაგიმეგობრდებიან, ძალიან პატივს გცემენ. ქორწილში მოდიან, წამოიღებენ 500 ლარამდე ფულს და გადადიან შაბაშზე (მარნეული 2010)

სამეზობლო ურთიერთობის პოზიტიური გამოცდილება დადებითად მოქმედებს ჯგუფთაშორის შემდგომ ურთიერთობებზე:

”თიქილისაში აჭარლები ცხოვრობენ. იმათ ბევრი სათიბები აქეთ. ჩვენ (სოფ. დარაქოი – ნ.ჯ.) თივას იმათგან ვყიდულობთ. მაგათთან ძალიან კარგი ურთიერთობა

გვაქვს. ვახლობლობთ. რითაც შეგვიძლია ვეხმარებით, მაგ. ტექნიკით, ისინი მუშახელით გვეხმარებიან... აჭარლები მოდიან ჩვენთან ქორწილებში და დასაფლავებაზე. ფულით გვეხმარებიან, თუ იმათ ეყოლებათ მიცვალებული ჩვენც მივალთ და მივიტანთ ფულს” (წალკა 2008).

ასეთი ურთიერთობა დმანისშიც აღინიშნება:

“თათრებთანაც გვაქვს ურთიერთობა ახლა. ვინც კარგად იცნობს ერთმანეთს იმათ მისვლა-მოსვლა აქვთ, ძმაცაცობენ, პატიუბენ ერთმანეთს, ოჯახებით მიდიან” (დმანისი 2009).

როგორც ზემოთ ითქვა, იზოლირებულ დასახლებებში საშუალო სკოლებში სწავლება ეთნიკურ უმცირესობათა მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს, ხოლო ქართული ენა სავალდებულო მეორე ენის სტატუსით ისწავლება. მოსწავლეთა კონტინგენტი უმთავრესად ერთი ეთნოსის წარმომადგენლებია, ამიტომ ასეთი ტიპის დასახლებებში სკოლის ფარგლებში ეთნოსთაშორისი ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბება არ მიმდინარეობს. სამაგიეროდ, შერეულ დასახლებებში სკოლები ქართულია და ამ გზით რეალიზებული ურთიერთობები გაცილებით მეტია.

კაზრეთელი აზერბაიჯანელი რესპონდენტის ინფორმაციით:

“ჩვენ დროს ქართული ცოტამ იცოდა და ცუდად. ახლა დადგა ქართულის ცოდნის საჭიროება, ახლა სხვა დროა და ჩვენმა შვილებმა უკეთ იციან ენა. მე რუსული სკოლა დავამთავრე, მაგრამ იქ სხვა ნაციის წარმომადგენლებიც იყვნენ. ერთად სწავლობდნენ ქართველები, რუსები, ბერძნები, სომხები. ყველასთან ვმეგობრობდი, განა მარტო აზერბაიჯანელებთან? სტუმრად დავდიოდით ერთმანეთთან, ქორწილებში...

აქ ერთანეთთან ყველას კარგი ურთიერთობა გვაქვს. გამორჩეულად არავისთან. არა აქვს მნიშვნელობა ქართველია თუ სომეხი, ყველასთან ნორმალურად ვართ. ეს პატარა დასახლებაა და აქ ყველა ერთმანეთს იცნობს. სხვაგან მიმდინარე პოლიტიკურ დაპირისპირებას, მაგალითად ყარაბახის ამბებს, აქაურების ურთიერთობაზე გავლენა არ მოუხდენია.

ახლა ყველა ნაციის ბავშვები ვინც კაზრეთში ცხოვრობს ქართულ სკოლაშია. ქართული ისე ეცოდინებათ, რომ აქ გააგრძელებენ სწავლას და სხვაგან აღარ მოუწევთ წასვლა” (ბოლნისი 2009).

შედარებით მცირეა ინტერპერსონალური ურთიერთობები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის უმაღლეს სასწავლებლებში, რაც რეგიონში ამ ტიპის სასწავლებლების სიმცირითაც არის განპირობებული. უმაღლესი სასწავლებლები ყველა რაიონში არ არის, მხოლოდ მარნეულის რაიონშია 4 და გარდაბნის რაიონში 1 უმაღლესი სასწავლებელი. დანჩენ რაიონებში მხოლოდ საშუალო პროფესიული სასწავლებლებია. ასე რომ, ქვემო ქართლში ინტერპერსონალური ურთიერთობის ჩამოყალიბების პერსპექტივა ამ მხრივ ჯერ-ჯერობით, დიდი არ არის. იქ სადაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და ქართველები ერთად სწავლობენ, რასაკვირველია მეტია მათი დაახლოების და მათ შორის მომავალი ურთიერთობის პოზიტიური დინამიკის ალბათობა.

დმანისელი სვანი გოგონა მოგვითხრობს:

“მე მყავს ბევრი აზერბაიჯანელი მეგობარი. აქაური აზერბაიჯანელები არიან. აზერბაიჯანული არ ვიცი, ცოტა მესმის რაღაც. სამედიცინო კოლეჯი აქ, დმანისში დავამთავრე, პრაქტიკაზე ვიყავი საავადმყოფოში და იქ გავიცანი. მე სამედიცინო დავამთავრე და აქაურ ექიმებთან გავდიოდი პრაქტიკას. ახლა არ ვმუშაობ. აზერბაიჯანელები ჩაიზე და თათრულ ხინკალზე გვეპატიუებიან ხოლმე. აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს უნდათ ჩვენ მოგვბადონ, მაგრამ უფროსები ნებას არ აძლევენ. მაგალითად, რესტორანში რომ შევდიოდით, არ მოდიოდნენ, სირცხვილია რესტორანში შესვლაო. აზერბაიჯანელმა ახალგაზრდებმა უფრო იციან ქართული, ქართველებთან რომ აქვთ ურთიერთობა იქედან” (დმანისი 2009).

ინტერპერსონალური ურთიერთობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია თანამშობლობის ფაქტორი, რაც საკვლევ რეგიონში ძნელად რეალიზებადია. პოსტსაბჭოთა საქართველოს ჩამოშლილი ეკონომიკის და საერთო ეკონომიკური კრიზისის ფონზე უმუშევრობა საყოველთაო მოვლენად იქცა

მთელ საქართველოში და მათ შორის ქვემო ქართლის რეგიონშიც. აქ სახელმწიფო სამსახურები (გარდა, ადმინისტრაციული, განათლებისა და მედიცინის სისტემაში შემავალი) დაიშალა და ფაქტობრივად აღარ არსებობს, არის კერძო ორგანიზაციები, ისიც რაიონულ ცენტრებში, სადაც ძირითადად დასაქმებული არიან იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, რომელსაც ორგანიზაციის ხელმძღვანელი მიეკუთვნება. აზერბაიჯანელი ისევე აზერბაიჯანელებს ქირაობს სამსახურში, ქართველი ქართველს და ასე შემდეგ. ადმინისტრაციულ სამსახურებში ინტერპერსონალური ურთიერთობის დამყარება იმდენად არის შესაძლებელი, რამდენადაც მოსამსახურეები აქ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები არიან, მაგრამ ეს მაინც მცირე კონტინგენტია:

“ვინც კი ახლა სამსახურის მუშაკია, საჯარო სამსახურშია, გარდაბანში, ისეთი ურთიერთობა გვაქვს, რომ არ ვიცი, პირდაპირ! ნამდვილად მეგობრული და ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. 6 გამგებელი გვყავს აზერბაიჯანელი, ქართული არ იციან კარგად. სულ ვეუბნები, ისწავლეთ ქართული და ილაპარაკეთ ქართულად-მეთქი. არც აპროტესტებენ. ეთმანეთში მისვლა-მოსვლა გვაქვს, ვპატიუბთ და გვპატიუბენ. ჭირშიც, ლხინშიც გვერდში ვუდგავართ” (გარდაბანი 2010).

თანამშრომლობის საფუძველზე ინტერპიროვნული ურთიერთობის განხორციელების კარგი საფუძველი საბჭოთა კავშირის პერიოდში მოქმედი და დღეს პრივატიზებული არც თუ ბევრი საწარმოა (რუსთავი, კაზრეთი, კოდა), სადაც მუშახელად სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები არიან:

”სხვადასხვა ნაციის ხალხი წინათ ხვდებოდნენ ერთმანეთს, ახლა აღარ არის პირობები. ნავთობსადენისა და გაზსადენის მშენებლობაზე რო იყვნენ ადრე მაშინ ერთად მუშაობდნენ. მაგრამ უფრო მეტნი მაშინაც ქართველები იყვნენ. მაშინ კარგად ვიყავით ერთმანეთში, ვძმაცაცობდით და რომ გათავდა სამუშაო ეს ურთიერთობა აღარ გვაქვს. აზერბაიჯანელები და სვანები უფრო კაცები იცნობენ ერთმანეთს, საქმეში როცა ერთად არიან.

ახლა, კაზრეთში მუშაობს ნაწილობრივ საწარმო, და იქ არიან ერთად, მანამდელი მუშები. საბჭოთა პერიოდში ვინც მუშაობდა ის ახერხაიჯანელები დარჩნენ საცხოვრებლად კაზრეთში და ოჯახებით დამკვიდრდნენ იქ” (თეთრიწყარო 2008).

თუმცა ასეთი კავშირების აუცილებლობა გაცნობიერებული აქვს ეთნიკური უმცირესობის დიდ ნაწილს. სოფ. პატარა ბოლნისის მკვიდრებთან შეხვედრისას სწორედ ამ თემაზე გაამახვილეს ადგილობრივებმა ყურადღება:

“ჩვენი დაახლოებისათვის, მარტო ენის სკოლაში სწავლა არაა საკმარისი, უფრო აუცილებელია ახალგაზრდებს პირადი კონტაქტები ჰქონდეთ. წინათ ხომ იყო ბავშვთა ბანაკები, რაღაც პროგრამები და ასეთი რამეები, ეს უფრო შედეგიანი იქნება. აუცილებელია ასეთ კონტაქტებს ხელი შევუწყოთ. უმაღლეს სასწავლებლებში არაქართველ ბავშვებს ადგილები უნდა გამოვუყოთ, როგორც ეს წინათ იყო. იქ თან ერთად ისწავლიან, თან ქართულ საზოგადოებაში ღრმად ჩაიხედავენ. საჭიროა უფრო ადამიანური კონტაქტები ახალგაზრდებს შორის, კულტურული ღონისძიებების მოწყობა” (ბოლნისი 2009).

უდავოა, რომ საკვლევ რეგიონში პირადი კონტაქტების ნაკლებობა აფერხებს ინტერკულტურულ კომუნიკაციას და შესაბამისად ანელებს ინტეგრაციის ტემპებს.

კულტურათაშორისი კომუნიკაციის, კონკრეტულად კი ინტეგრაციის შემთხვევაში, ხშირად ე. წ. კულტურულ კოდთა გადართვასთან გვაქვს საქმე. ცნობილია, რომ კულტურული კოდები გარკვეული კულტურის ან სუბკულტურის მატარებელთა მიერ აღიარებული მნიშვნელობის სიმბოლოები და სისტემებია, რომელიც გამოიყენება ჯგუფის შიგნით კავშირების გასაიოლებლად და ასევე უცხო ჯგუფებისთვის კონკრეტული მნიშვნელობის დასაფარავად. კულტურული კოდები უშუალო კავშირშია ქცევის ტრადიციულ ნორმებთან. რაც შეეხება ე.წ. „კულტურულ კოდთა გადართვას“, ან “კროს-კულტურულ კოდურ გადართვას”, როგორც ამ ფენომენს ასევე უწოდებენ, იგი ლინგვოკულტურული კონცეპტია (Heller 1988) და გულისხმობს სხვადასხვა ენებზე მოსაუბრეთა ენობრივი კოდების გაცვლას, რამოდენიმე ენის ნიშანთა ერ-

თდროულ ხმარებას ვერბალური კომუნიკაციის დროს. ლინგვისტური კოდური გადართვა ერთი ენობრივი ფორმის მეორე ენიდან აღებული ფორმით ჩანაცვლებაში გამოიხატება, ეს არის მეტყველების დროს მოსაუბრეთა მიერ ერთი ენიდან (დიალექტიდან, სტილიდან) მეორე ენაზე გადასვლა კომუნიკაციის პირობების შესაბამისად¹.

კონცეპტი “კროს-კულტურული კოდური გადართვა” ამავე დროს გამოიყენება სოციალურ ფსიქოლოგიაში ქცევის კულტურულად დამკვიდრებული სისტემების ერთი კულტურიდან მეორეში გადანაცვლების აღსანიშნავად (Myers-Scotton, 1993), რასაც ადგილი აქვს უცხო კულტურულ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში. აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესოა ე. მოლინსკის ნაშრომი, „კროს-კულტურულ კოდურ გადართვა: უცხო კულტურასთან ურთიერთობისას ადაპტური ქცევის ფსიქოლოგიური პრობლემები” (Molinsky, 2007), რომელშიც მან შეიმუშავა კროს-კულტურული კოდური გადართვის პრაქტიკაში გამოყენების მეთოდი. ეს არის კოდური გადართვის სწავლება უცხო კულტურის წარმომადგენელი სტუდენტებისათვის, რათა მათ იოლად მოახდინონ მასთან ადაპტაცია ახალი კულტურისათვის ტიპური ქცევების ათვისებით. ავტორი ამ მეთოდს უცხოელ სტუდენტებთან იყენებს, რათა მათ უცხო კულტურაში (კონკრეტულ შემთხვევაში ამერიკის შეერთებულ შტატებში) დამკვიდრებული ქცევები იოლად აითვისონ და განსხვავებულ ნორმებს მოერგონ. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ქცევების გადართვის შესწავლით, ისინი შეძლებენ წარმატებით შეეგუონ სხვა ქვეყნის ღირებულებით სისტემებს და, ამავედროულად, თავიანთი ღირებულებებითი სისტემის ერთგულნი დარჩნენ.

ეს იდეა საინტერესო აღმოჩნდა ქვემო ქართლში აკულტურაციის პროცესებთან მიმართებაში, როგორც ინ-

¹ ეს დაახლოებით ისაა, მაგალითად კახელმა მეგრელთან საუბრისას მეგრული სიტყვები რომ გამოურიოს, მეგრული სუბკულტურისთვის რომ უფრო მისაღები გახდეს. ამავე დატვირთვას ატარებს საკოლმეურნეო ბაზრებში აზერბაიჯანელ გამყიდველ ქალებთან საუბარში “ბაჯის” გამოყენება ქართველების მიერ.

ტეგრაციის სტრატეგიის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლის შექმნის სამომავლო პროგრამის შემუშავების, ისე უკვე არსებული ვითარების შესწავლის საქმეში. კონკრეტულ შემთხვევაში შევეცდები წარმოვაჩინო, როგორც ქცევის, ასევე მატერიალური კულტურული კოდების გადანაცვლება საკვლევ რეგიონში. მართალია, ეს მეორე საკითხი ანთროპოლოგიაში დისკურსის ობიექტი არ ყოფილა, მაგრამ თვით ფენომენის არსი, სავარაუდოდ, დასაშვებს ხდის მის ხმარებას მატერიალურ კულტურასთან მიმართებით. ქვემო ქართლის მულტიეთნიკური საზოგადოება, სადაც განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაცია მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობს, ბუნებრივად სვამს დღის წესრიგში კროს-კულტურულ კოდთა გადართვის აუცილებლობას.

ველზე სამუშაომ ნათელი გახადა რომ კროს-კულტურულ კოდთა გადანაცვლებას ნამდვილად აქვს ადგილი მატერიალური კულტურის სფეროში. ამის საუკეთესო მაგალითი მუსულმანური სასაფლაოა, რაც ზოგადად, ქრისტიანულისაგან განსხვავებული დიზაინით გამოირჩევა. ქვემო ქართლის ყველა რეგიონში თვალშისაცემია მუსულმანთა საფლავების ახალი იერსახე. ტრადიციული მუსულმანური საფლავისთვის დამახასიათებელი სისადავე და მკაცრი დიზაინი, რომელიც გამორიცხავს მასზე წარწერების, ნახატების, ფოტოების, ყვავილების და სხვა რაიმე შესამკობელის არსებობას, ბოლო პერიოდის საფლავებზე აღარ შეინიშნება. შორიდან დანახვისას, ერთი შეხედვით, შეიძლება ვერც გაარჩიო ვისია სასაფლაო, აზერბაიჯანელების თუ სხვა რომელიმე ქრისტიანული ჯგუფის. ეს ეხება აზერბაიჯანელთა ახალ სასაფლაოებს და ძველ სასაფლაოზე არსებულ ბოლო პერიოდის საფლავებს. აქ ნახავთ შედარებით ძვირფასი ქვისაგან გამოთლილ საფლავის ქვებს მიცვალებულთა სურათებითა და წარწერებით, ხანდახან ღობეებს საფლავების გარშემო, რაც აშკარად ქართული კულტურის კვალს ატარებს. პასუხი, ჩემ შეკითხვაზე, თუ რატომ შეიცვალა საფლავების იერი და რატომ აღარ ატარებს ის ტრადიციულ სახეს, ერთი ნაწილისა ასეთი იყო: "ახლა ასეთ საფლავებს აკეთებენ". მეორე ნაწილის აზრით კი:

“მართალია, ესეთი საფლავეები არ არის მიღებული მუსულმანებში, მაგრამ, ჩვენ რომ საქართველოში ვცხოვრობთ, იმათი გავლენით არის. ჩვენ ერთმანეთის გვერდზე ხომ ვცხოვრობთ, და ჩვენც თქვენგან და თქვენც ჩვენგან რაღაც-რაღაცეები გადავიღეთ” (ბოლნისი 2009)

ამ შემთხვევაში სწორედ კულტურული კოდის გართვასთან გვაქვს საქმე. წლების მანძილზე არსებულმა სამეზობლო ურთიერთობებმა შედეგად კულტურის ელემენტთა ძალაუნებური გადანაცვლება მოიტანა. საერთოდ, კულტურული კოდების გადართვის პროცესი ძირითადად ერთი მიმართულებით ხდება, ანუ, ინდივიდი მანიპულირებს იმ კულტურის კოდებით, რომელთანაც ის ადაპტირდება (მაგალითად, მოლინსკის მიხედვით, ჩინელი და ინდოელი სტუდენტები ჩანაცვლებენ თავიანთი ქცევის კოდებს ამერიკულით, რათა გაიიოლონ თავიანთი ინტეგრაცია უცხო სოციუმთან). ჩვენ შემთხვევაში, აზერბაიჯანელი იყენებს ქართულ კულტურულ კოდს თავისი კულტურის სისტემაში და არა პირიქით. მცირე ეთნოსის წარმომადგენელი გადაერთვება დომინანტი ეთნოსის კულტურის მახასიათებელ ნიშნებზე. პრაქტიკულად, ეს არის ერთი კულტურის მეორე კულტურასთან ინტეგრაციის სტრატეგიის შედეგი.

ასეთივე მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ტრადიციული მუსლიმური წესების – ალკოჰოლური სასმელების გამოყენების და ღორის ხორცის ჭამის აკრძალვის უგულვებელყოფა:

“აზერბაიჯანელები მუსულმანურ წესებს მაინც არღვევენ. ჩვენზე მეტსა სვამენ. ღორის ხორცს ჭამენ. წესებს უფრო უფროსი თაობა იცავს” (მარნეული 2010).

“ჩვენთან დასაფლავეების დროს ღვინო არ იციან, მარტო ჩაი, ქორწილებზე კი სასმელსაც ვსვამთ. ღვინოს ჩვენ თვითონ ვაყენებთ ხოლმე” (აზერბ. მამაკაცი გარდაბანი 2010).

“აქ ზოგი აზერბაიჯანელი სვამს ღვინოს, ზოგი არა. ზოგი ჭამს ღორის ხორცს და ზოგი არა. ვინც როგორც თვლის ისე იქცევა. ჩემი სიძე და და, მაგალითად, ღორის ხორცს ჭამენ, მე არა. საეროდ ქალები მეტად იცავენ ტრადიციებს” (ბოლნისი 2009).

არსარვანელმა აზერბაიჯანელმა შუახნის მამაკაცმა განაცხადა:

“აქ აზერბაიჯანელები სვამთ სასმელს, იმიტომ ვსვამთ, რომ საქართველოში ვცხოვრობთ!“, შემდეგ კი ლექსიც მოაყოლა რუსულად:

«Как родился я на свет
Дал вино мне старый дед
И с тех пор, как я живу
Я вино как воду пью».

ამავე სოფლის მამაკაცთა თქმით, ისინი მეჩეთში არ დადიან, სწორედ ამ მიზეზის გამო. ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში მეჩეთში სალოცავად მხოლოდ აჭარლები იყვნენ მისული.

საქმე იმაშია, რომ ღორის ხორცს აზერბაიჯანელები (ვინს ჭამს) საკუთარ სახლში არ მიირთმევენ. ისინი ღორს ჭამენ გარეთ, მაგალითად ქართველებთან (საუბარია ქრისტიანებზე) სუფრაზე, სტუმრად როცა არიან. აქაც კულტურული კოდის გადართვასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან აზერბაიჯანელი მუსულმანი ხდება ისეთი კოდის მატარებელი, რაც მის კულტურაში არ ზის, ანუ მისი კოდი გადაერთვება სხვა კულტურის კოდზე.

კულტურულ კოდთა გადანაცვლება კვების სისტემაშიც ხდება, როდესაც განსხვავებული კულტურული ჯგუფები ერთმანეთის ტრადიციული კერძების დამზადებას სწავლობენ და შემდეგ თავიანთ მენიუში შეაქვთ. ახალგაზრდა კაზრეთელი აზერბაიჯანელი ქალის თქმით:

“სუფრაზე ჩვენ ქართულ საჭმელებსაც ვაკეთებთ ხოლმე. ქორწილის სუფრაზე ღვინოს ვდგამთ. ვეკითხებით ხოლმე, ამას როგორ აკეთებთო. ხანდახან ისინიც გვეკითხებიან ხოლმე ეს თქვენთან როგორ არისო? და ჩვენც ვასწავლით. ალბათ ქართველებმაც აიღეს რაღაცა ჩვენგან. სუფრებზე ქართველებსაც ვეპატივებით და ქართულ საჭმელებს ვაკეთებთ.”

მარნეულები სვანების თქმით, “აზერბაიჯანელებს ძალიან მოსწონთ სვანური საჭმელები და სულ აინტერესებთ რა როგორ კეთდება, განსაკუთრებით კუბდარი, სუნელებითაც ინტერესდებიან. ისწავლეს ჩვენგან რაღაც-რაღაცეები.

რესტორანშიც რო შედიან იქაც სვანურ საჭმელებს უკვე-
თავენ” (მარნეული 2010).

ნათელია, რომ ქვემო ქართლში მიმდინარე აკულტურაციის პროცესმა ძალაუნებურად წამოსწია წინ კულტურულ კოდთა გადართვის საკითხი. ეს მოვლენა ორი ან მეტი განსხვავებული კულტურის ურთიერთობის ფონზე მიმდინარეობს. მაგრამ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კროს-კულტურული კოდური გადართვა ძირითადად უმცირესობებათა და დომინანტ კულტურებს შორის ხდება დომინანტურ კულტურასთან ინტეგრაციის ტენდენციით.

ქვემო ქართლში აშკარად იკვეთება, ერთი მხრივ, ინტერკულტურული კომუნიკაციის პოზიტიური დინამიკა, მეორე მხრივ, კი დახურული ჯგუფისთვის დამახასიათებელი იზოლაციის ტენდენციები. ერთი მხრივ, მიმდინარეობს კულტურულ კოდთა გადანაცვლება, მატულობს ინტეპიროვნული და ინტერჯგუფური კონტაქტები, იზრდება სახელმწიფო ენის ცოდნის ალბათობა, მატულობს შერეულ ქორწინებათა რიცხვი, მცირდება ინტერჯგუფური დაპირისპირება და კონფლიქტები, ჯგუფები სტუმრის სტატუსით ჩართულები არიან ერთმანეთის რელიგიურ პრატიკაში, იზრდება ნდობა სახელმწიფოს მიმართ და კმაყოფილება მათი რეგიონში საქმიანობის გამო, მატულობს ერთობლივ ღონისძიებათა რიცხვი, რაც შემდგომში სამოქალაქო ინტეგრაციის საფუძველი უნდა გახდეს. თუმცა, ამავე დროს აღინიშნება მისწრაფება იზოლაციის შენარჩუნებისაკენ, რელიგიური და საქორწინო პრაქტიკის მკაცრი ლიმიტირება, სახელმწიფო ენის არცოდნა, ინტერპერსონალური კავშირების არქონა, საქართველოსადმი კუთვნილების გრძნობის სუსტად განვითარება, სეპარატისტული მუხტის არსებობა. გამოიკვეთა, რომ იქ სადაც ადგილი აქვს ყოველდღიურ პიროვნებათაშორის ურთიერთობებს, კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვა გაცილებით იოლი და შედეგიანია. ამ წინააღმდეგობების მიუხედავად, ფაქტია, რომ, გვერდიგვერდ ცხოვრებამ ეს ჯგუფები დაახლოვა, ერმანეთის კულტურა გააცნო და ეფექტური კულტურათაშორისი ურთიერთობის გამოცდილება შესძინა.

მართალია ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობანი ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრირებულად ჯერ ვერ ჩაითვლებიან, მაგრამ ინტერკულტურული დიალოგის და ჯგუფთაშორის ინტეგრაციის პოზიტიური დინამიკა ამის პერსპექტივას სახავს.

N. JALABADZE

SOME ASPECTS OF INTERCULTURAL COMMUNICATION IN KVEMO KARTLI

The character of intercultural communication in Kvemo Kartli is determined by multicultural structure of the region. Historically the migration of foreign ethnic groups (especially since the first half of the 19th century) and voluntary or forced resettlement of local population was frequent in the region. Permanent migration and immigration processes have made the ethno-cultural mosaic of the region diverse and complicated intercultural communication.

The adaptation of migrants to the new cultural environment was a complex process, where ethnocentric mechanisms were actively involved; it inspired (mainly in the beginning) conflicts between the different ethnic groups

The effectiveness of inter-cultural communication in the research area is firstly determined by the possibilities of establishing verbal contact between the parties. In the Soviet period the language of communication in Kvemo Kartli's multi-ethnic community was Russian. After gaining independence and announcement of Georgian as a State Language (which caused disruption of communication between groups), gave rise to new problems vis-à-vis inter-cultural dialogue. Due to ignorance of the state language it became difficult for national minorities to integrate into the social and political life of the independent Georgian State.

Mixed marriages significantly favor realization of inter-cultural relations and acceleration of the integration process. However, the fact

that the region is populated by the representatives of different religions hinders the dynamics of inter-cultural communication via mixed marriages. The reason could also be the isolated settlement of minority groups.

In terms of integration the situation in Kvemo Kartli could not be assessed as favorable, although some positive dynamics of inter-cultural dialogue is present. Due to their interrelations throughout years the old and new groups have acquired certain experience in this respect. It became evident, that in the areas where daily interpersonal relationships were common, intercultural dialogue proved to be easier and more effective. Inter-cultural communication between the local and “foreign” ethno-confessional groups in Kvemo Kartli engenders two tendencies. On the one hand the development of integration processes, exchange of cultural elements, increase of contacts, probability of bilingualism and mixed marriages are observed, that could serve the basis for further civil integration. On the other hand, the tendency of preserving ethno-cultural specificities is evident.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ნ. ჯალაბაძე, საველე მასალები, ქვემო ქართლი, 2008-2010.
2. Berry W. John Immigration, Acculturation, and Adaptation Applied Psychology: An International Review, 1997.46 (1).
3. Berry J. W. 1996 Handbook of Cross-cultural Psychology: Social behavior and applications, vol.3. Boston Heller M. Codeswitching: Anthropological and Sociolinguistic Perspectives. Berlin: 1988.
4. Molinsky A. Cross-cultural Code-switching: The Psychological Challenges of Adapting Behavior in Foreign Cultural Interactions, Academy of Management Review 2007, Vol. 32, No. 2,
5. Myers-Scotton, C., Duelling Languages: Grammatical Structure in Codeswitching. (1993). Oxford: Oxford University Press

ეთნიკური უმცირესობა-უსიძლობიური პრობლემები

საქართველოს დღევანდელობაში მძაფრად იჩინა თავი ეთნიკური პროცესების გააქტიურებამ, რაც არა მარტო ეთნიკური ურთიერთობის გამწვავებაში გამოიხატა, არამედ რიგ შემთხვევებში კონფლიქტშიც გადაიზრდა. აქედან გამომდინარე სავსებით გასაგებია, რომ ეთნიკური ურთიერთობა მეცნიერების სერიოზული კვლევის საგანი გახდა. ეთნიკური ურთიერთდამოკიდებულებების სპეციფიკის განმსაზღვრელი ფაქტორების სიმრავლემ და მრავალგვარობამ განაპირობა ის ფაქტიური ვითარება, რომ ეთნიკური დამოკიდებულებების შესწავლა და კვლევა ერთი მეცნიერების ფარგლებში არ თავსდება.

დღეს მულტიეთნიკურ საქართველოში ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობიდან მომდინარე ლოკალურ პრობლემებს დაემატა სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის გადაადგილებით გაპირობებული სირთულეები. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ სტიქიით დაზარალებულთა საერთო რაოდენობამ 31 ათას 341 ოჯახი შეადგინა. ეს საკმაოდ შთამბეჭდავი რიცხვია. (დვალი, 2007: 14). ადგილნაცვალი მოსახლეობას ე. წ. ეკომიგრანტებს, რადიკალურმა “გეოგრაფიულმა” ცვლილებამ ახალი სოციალური პოზიცია და როლი შესძინა. მაგალითად, სამშობლოს ტერიტორიის ფარგლებში საცხოვრებელი ადგილის შეცვლამ ქართველების ჯგუფები – სვანები და აჭარლები, უმცირესობებით ლოკალურად დასახლებულ ადგილებში ეთნიკურ უმცირესობად აქცია. ახალ რეგიონში და სოციალურ გარემოში გადასახლების თანმხლებია ის შინაგანი განცდა, რომ ადგილნაცვალი პირი საკუთარი სამშობლოს მიწაზეა და ამდენად საქართველოს ტერიტორიის სრულყოფილებიანი სუბიექტია. თავის მხრივ ეთნიკური უმცირესობა, როგორც სოციალური ერთობა, სრულიად განსხვავებულ ფენომენს წარმოადგენს. ეთნოსოციოლოგიაში ეთნიკური უმცირესობის ქვემოთ იგულისხმება, ის ეთნიკური ჯგუფები, რომელნიც გარკვე-

ული თავისებურებით ხასიათდება. უმცირესობა გულისხმობს გარკვეულ სოციალური პოზიციას და ეთნიკური ჯგუფებს შორის როგორც ფარულ ასევე გამოვლენილ დაპირისპირებას. განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს შორის დამოკიდებულებები განსაზღვრულია არა წევრების რაოდენობით, არამედ საზოგადოების იერარქიაში ამ “უმცირესობის” ადგილით. უმცირესობის მიმართ, დამოკიდებულება როგორც წესი დისკრიმინაციაში გამოიხატება. ჯგუფები ექვემდებარებან ე.წ. დომინანტურ ჯგუფს. აქვთ ნაკლები “პრივილეგიები”. ამასთანავე უმცირესობის სტატუსი გარკვეულწილად ზღუდავს უმცირესობაში მყოფი ადამიანების შესაძლებლობების რეალიზაციას. ბუნებრივია უმცირესობის წევრები აცნობიერებენ საკუთარ დაქვემდებარებულ სტატუსს.

ის რომ ფაქტობრივად ქართულმა მოსახლეობამ სამშობლოში, საკუთარ ტერიტორიაზე “უმცირესობის” სტატუსი შეიძინა, მნიშვნელოვნად ამძიმებს სიტუაციას. საკვებით კანონზომიერია, რომ ამგვარი ფაქტიური ვითარებამ ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობაზე აისახა. აქ სახეზე გვაქვს ორი მნიშვნელოვანი კომპონენტის ერთობლიობა: ადილმდებარეობის ცვალებადობა და სოციალური სტატუსის ცვალებადობა და ყოველივე განხორციელებულია სამშობლოს ტერიტორიის ფარგლებში. ამავე დროს სამშობლოს ფენომენი, სხვა მრავალ განცდისეულ კომპონენტებთან ერთად შეიცავს იმის შეგრძნებას, რომ ეს ადგილი, ეს ტერიტორია ჩემია, აქ ჩემი ენაა, ჩემი ხალხია, აქ დაცული ვარ. “მშობლიური მიწა უნიკალური ხდება. იგი საკრალურ მნიშვნელობას იძენს. იგივე ტერიტორიაზე მოიაზრება დამხედურიც თავისი ფსიქოლოგიური თუ კულტურალური სპეციფიკით და მისეული “ჩემი მიწის” განცდით. “ჩამოსული იმიგრანტებისათვის მიმღები ქვეყანა, ჩვენ შემთხვევაში სამშობლოს ტერიტორიის სხვა გეოგრაფიული ადგილი, სხვა რეგიონი არ წარმოადგენს “თეთრ ფურცელს” რომელზეც, თვითოეულს შეუძლია დაწეროს ის, რაც მას მოესურვება”. (მაალუფი, 2007: 49) ამგვარ სივრცით გარემოში, სოციალური სუბიექტები ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებით, რასაც წარმოადგენს სამშობლო, უპირისპირ-

დებიან ურთიერთს. თვითოეული ფაქტორი უშუალოდ უკავშირდება რეგიონის ეთნიკური უმცირესობის ინტეგრირების საკითხს. ახალმოსახლე უნდა შეეგუოს იმ წესებს, ღირებულებებს და რწმენას, კულტურულ და ადამიანურ თვისებებს, რაც ახალ სოციუმშია დადგენილი. ზემოთ ნათქვამს თუ დაემატება რთული ეკონომიკური ფონი, ყოველივე ეს ხელსაყრელ ატმოსფეროს ქმნის ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობის გამწვავებისათვის; ბიძგს აძლევს კონფლიქტური გარემოს შექმნას, რაც ბუნებრივია პრევენციულ სამუშაოებს მოითხოვს.

ეთნიკური მრავალფეროვნება, ერთის მხრივ, როგორც ეთნიკური ჯგუფების ასევე სატიტულო ეთნოსის კულტურას ამდიდრებს, ხოლო იგივე “მრავალფეროვნება” მეორეს მხრივ, რთული, განსხვავებული კულტურული და ტრადიციული ღირებულებების სიმრავლით წარმოჩინდება. ეს სიმრავლე უკვე მხოლოდ ენის და აღმსარებლობის განსხვავების ფარგლებში განაპირობებს ეთნიკურ ჯგუფებს შორის გაუცხოვებას და ურთიერთის მიუღებლობის მაღალ ხარისხს. ეთნიკურ ჯგუფებს შორის დიდი სოციალურ დისტანცია წარმოიქმნება, რაც ურთიერთობის მინიმუმს გულისხმობს; ეთნიკური ჯგუფები ერთი სივრცის ფარგლებში მხოლოდ თანაარსებობენ და არ თანამშრომლობენ. ამ შემთხვევაში საქმე ეხება იმ ფაქტიურ ვითარებას, რომ ჩამოსახლებულ ჯგუფებს და ადგილობრივ მოსახლეობას გარკვეულწილად ურთიერთისაგან განსხვავებული ტრადიციები და კულტურა აქვთ.

საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, ეკომიგრანტობა, საცხოვრებლად ეკოლოგიურად საშიში ადგილიდან უფრო ხელსაყრელ ადგილზე გადასვლა, ერთი შეხედვით თითქოს არ უნდა იწვევდეს რაიმე სახის პრობლემებს, მაგრამ ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ადგილს მონაცვლეობის თანმდევი ფსიქოლოგიური, განცდისული ცვლილებები სრულიად სხვაგვარ სურათს ქმნის. ჩამოსული არის “სხვა” უცხო და ამ “სხვა”-ში თავმოყრილი ყველა ის პრობლემა, რასაც აწყდება ახალმოსახლე, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს გადაადგილება მისი სამშობლოს ტერიტორიის შიგნით განხორციელდა; უფრო მეტიც, შესაძ

ლებლია, რიგი პრობლემები ფსიქოლოგიურად უფრო ადვილი დასაძლევიც კი გახდეს, როდესაც სუბიექტი სხვა, არასამშობლოს ტერიტორიაზე სახლდება ანუ უბრალოდ ემიგრანტია და არა ადგილნაცვალი.

მეცნიერული კვლევისათვის შერჩეული საქართველოს რეგიონის, იგულისხმება ქვემო ქართლის, მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების სოციალურ ფსიქოლოგიური ანალიზი, განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების რეალური კომუნიკაციის მეცნიერული შესწავლა და აღწერა, განხორციელდა ერთობლივად ფსიქოლოგების და ეთნოლოგების თანამშრომლობით. ამგვარი ერთობლივი კვლევა საშუალებას იძლევა სიღრმისეულად, მრავალი კუთხით გავიაზროთ ყველა ის პრობლემები, რაც რეგიონის საზოგადოების ინტეგრაციის პროცესებს შეაფერხებს ან პირიქით ხელს შეუწყობს მას. ამრიგად, ჩვენს უნდა გამოვიკვლიოთ ქვემო ქართლის რეგიონის ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობის პრინციპები, მათი სოციალურ – ფსიქოლოგიური სპეციფიკა. რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობის ხასიათი, მათი ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით.

გამოვიკვლიეთ:

1. თუ რამ განაპირობა ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობის ესა თუ ის ფორმა;
2. რეგიონის ადგილნაცვალი ქართული მოსახლეობის სოციალური განწყობები და სტერეოტიპები ადგილობრივი “დამხვედურების” მიმართ;
3. “დამხვედურების” სოციალური განწყობები და ჰეტეროსტერეოტიპები ჩამოსულების მიმართ;
4. ეროვნული უმცირესობის დამოკიდებულება სახელმწიფო ენის დაუფლებასთან მიმართებაში;
5. ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ცერემონიები და სიმბოლოები თუ ინარჩუნებს სიმყარეს და რომელი შეიცვალა; რომელი ტრადიცია შეიგუა, მორიგო სხვა ეთნიკურმა ჯგუფმა ანუ განიცადა აკულტურაცია.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი ძირითადად განისაზღვრა თვითოეული ეთნიკური ჯგუფის, ზოგ შემთხვევაში კი კონკრეტული მოხრობელის თუ გამოკითხვაში

მონაწილე სუბიექტის სპეციფიკით: იგულისხმება ენის ბრიერი, ეთნიკურობა, სოციალური სტატუსი.

ეთნიკური ჯგუფების განხილვისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მრავლისმომცველი მახასიათებელია აღმსარებლობა. ფაქტობრივად აღმსარებლობა წარმოადგენს იმ ქვაკუთხედს, რომელსაც ეფუძნება თვითოეული ეთნიკური ჯგუფის ღირებულებები, ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელი სოციალური განწყობები და განისაზღვრება ეთნიკური ურთიერთდამოკიდებულებების ხასიათი.

ქვემო ქართლი მოსახლე ბერძნები და სვანები ქრისტიანი მართმადიდებლები არიან. სვანებთან წარმართული რელიგიის ელემენტებიც აღინიშნება. ქართველები აჭარიდან და ადგილობრივი აზერბაიჯანლები სუნიტი მუსულმანები, სომხური ეროვნების მოსახლეობა ქრისტიანი გრიგორიანელები. ამგვარია მოცემული რეგიონის ლოკალური სურათი, მისი კულტურალური არეალი, რომელშიც იკვეთება კულტურების ინდივიდუალური სპეციფიკა. თვითოეული ეთნიკური ჯგუფის ენობრივმა და აღმსარებლობითმა განსხვავებამ თავი იჩინა, როგორც ეთნიკურ სტერეოტიპებში ასევე სოციალური დისტანციის ხარისხში. **ეთნიკური სტერეოტიპები** წარმოადგენენ ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის მყარ განზოგადებულ ხატებს. ამ ხატ-წარმოდგენების დადებითი თუ უარყოფითი ხასიათი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს, როგორც ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობას, ასევე სოციალური დისტანციის ხარისხს. გაზრდილი სოციალური დისტანცია ასახულია ეთნიკური ჯგუფების ჰეტეროსტერეოტიპებშიც ანუ სხვა ეთნიკური ჯგუფის შეფასებაში. აღსანიშნავია რომ უმეტეს წილად ჰეტეროსტერეოტიპებში ჭარბად არის წარმოდგენილი უარყოფითი მახასიათებლები. სხვა ეთნიკური ჯგუფის დახასიათებისას მთხრობელი როგორც წესი მნშვნელობას ანიჭებს აღმსარებლობას. მაგ. თუ ჩვენ (იგულისხმება მკვლევარი) არჩევანის წინაშე ვაყენებდით მთხრობელს ურთიერთობისათვის (მეზობლობა, ერთობლივი სამუშაო, ქორწინება და მისთ.) აერჩია რომელიმე სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრი რესპოდენტი როგორც წესი უმეტესად “სხვა” ეთნიკური ჯგუფის წევრს უპირატესობას აღმსარებლობის საფუძველ-

ზე ანიჭებდა; “იწონებდა მას, ან პირიქით იწუნებდა”. “ჩვენ ერთი რწმენა გვაქვს, მაგათი რწმენა ჩვენნაირია”. აქედან გამომდინარე არჩევანის იერარქიაში **ბერძენი** პირველ რიგში ირჩევს **ბერძენს**, შემდეგ თავსდება **ქართველი**, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არა აქვე რეგიონში მცხოვრები აჭარელი, არამედ ზოგადად ქართველი, რაც პირველ რიგში ქრისტიანს გულისხმობს. საზოგადოდ რელიგიური ერთობა მჭიდროდ უკავშირდება ეთნიკურ იდენტობას. ბუნებრივად იმ საზოგადოებაში, სადაც ეთნიკურობა გაიგივებულია აღმსარებლობასთან ძნელი წარმოსადგენია იყო ერთდროულად ქართველი და მუსულმანი. აჭარლების მუსულმანობა ეჭვის ქვეშ აყენებს მათ ქართველობას. ბერძენები კატეგორიულად არ აღიარებენ აჭარლების ქართველობას. როგორც მთხრობელი გვისხნის ”ეგენი უბრალოდ ქართულად ლაპარაკობენ, ქართული იციან, თორემ ქართველები არ არიან.“ როგორც წესი **სვანებზე** და **აჭარლებზე** არც ბერძენი და არც აზერბაიჯანელი არ ამბობს, რომ ისინი ქართველები არიან. როდესაც ზოგადად ვეკითხებით. მაგ.: რომელი ეროვნების ადამიანს ანდობდით სახლს? პასუხად ამბობს ბერძენს, ან აზერბაიჯანელს, ან სომეხს და სხვა. მაგრამ იქ სადაც შეუძლია თქვას ქართველი, სვანის ან აჭარელის შემთხვევაში მაგ. თუ აჭარელს ან სვანს ანდობს სახლს, გამოკითხვის პროცესში არ გვქონია არცერთი შემთხვევა, როდესაც მთხრობელმა ისინი ქართველებად მოიხსენია. უფრო მეტიც, რიგი არგუმენტები მოჰყავთ, მათი არაქართველობის დასასაბუთებლად. შესაძლოა დასახელებული ეთნიკური ჯგუფების “არაქართველობა” ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის უფრო მისაღებია, რადგანაც ამით მათი უარყოფითი სოციალურ განწყობა “არაქართველების” მიმართ უფრო გამართლებულია. საკუთარ უარყოფით განწყობას ამ ე. წ. “არაქართველების” მიმართ აზერბაიჯანელი და ბერძენი მთხრობელები ჩვენთან სრულიად ღიად გამოხატავდნენ. ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მათთვის სვანი არ განიცდება, როგორც ქართველი. აზერბაიჯანელი მთხრობელი საყვედურობს სვანეთიდან ჩამოსახლებულ ეკომიგრანტებზე: “მოვიდნენ, ყველაფერი თავისი გონიათ, უნდა და მორჩა, არ

კითხულობს, არ აინტერესებს, თავისია თუ სხვისი, ეგენი ესეთები არიან”. ანალოგიურად უარყოფითად ახასიათებს სვანეთიდან ჩამოსულ ეკომიგრანტებს ბერძენი ეროვნების სკოლის პედაგოგი: “ეს ჩვენი სასფლაოა და ჩვენი ეკლესიაა. მე არც სვანები არ მინდა, კი არიან ქრისტიანები; ცოტა როცა არიან არაფერია, მაგრამ ბევრი ერთად უკვე ცუდი გახდებიან ჩვენთვის. ისე თითო – თითოს არა უჭირს. სვანებმა იქ მოკლეს, აქ მოკლეს – ჩვენი ადგილობრივი, რა ამისათვის მადლობას ვეტყვი?” **“ჩამოსულები რომ არიან უნდა მორიდებული იყვნენ.** მოსული უნდა იყოს წყნარი! იცოდეს, რომ ჩამოსულია, რაა!? მე რომ წავიდე სვანეთში მიწას, ნაკვეთს მომცემენ? არც იქ მომცემენ და არც აქ არსარვარში არ მომცემენ”. ფაქტობრივად ეს არის დომინანტური დამოკიდებულება, რაც გამოხატულია მოთხოვნაში “**იცოდე შენი ადგილი**”. ნიშანდობლივია, რომ ადგილობრივი ქართველები სვანეთიდან გადმოსახლებულ ეკომიგრანტებს მოიხსენიებენ, როგორც სვანებს და არა როგორც ქართველებს, უფრო მეტიც ზოგ შემთხვევაში ხაზს უსვამენ რომ ესენი სვანები არიან: “ეგენი აქაურები არ არიან, სვანები არიან!” მაგ.; (მთხრობელი ბოლნისის მაცხოვრებელი სკოლის მოსწავლეა, რომელსაც რუსული გვარი აქვს) – “მე ადგილობრივი ქართველი ვარ, სვანი არ ვარ, მე რუსული გვარი მაქვს, სკოლაში ცოტათი გამირთულდა ამის გამო, ისე ჩვენ კლასში ქართველები არიან და სვანებიც! სვანები არ არიან ქართველები? მე (მთხრობელი ჭოჭმანობს, მოჰყავს სვანების არაქართველობის დასამტკიცებლად არგუმენტები) “აბა რა ვიცი, თვითონ სულ ასე ამბობენ, ჩვენ სვანები ვართ, ენაც თავისი აქვთ, წესებიც, სხვანაირადაც ლოცულობენ”. მთხრობლების ჯუფი, რომელიც ამ ჩვენ საუბარს ესწრებოდა ადგილობრივი ქართველებია და მათი მხრიდანაც ასეთივე დამოკიდებულება იყო გაცხადებული. ნიმუშებში მოყვანილი მთხრობელის არგუმენტები ნათლად გადმოგვცემს ეთნიკურობასთან მიმართებაში **განმასახელებელი** ნიშნების მნიშვნელობას. უპირველესად ყოვლისა მნიშვნელოვანი არგუმენტია ის, რომ როგორც წესი სვანეთიდან გადმოსული სუბიექტები თავადაც საკუთარ თავს, სვანებად მოიხსენიებენ, “სვა-

ნები ვართ”! გამოკითხული მხრობელების მასალაში არცერთი შეთხვევა არ გვხვდება, სადაც სვანეთიდან ადგილნაცვალნი პირი საკუთარ თავზე ამბობდეს, რომ ის ქართველია და სვანეთიდან არის. ბუნებრივია, რომ სხვა ეთნიკური ჯგუფების მიერ სვანების არაქართველებად ცნობას ქართული ენისაგან განსხვავებული სვანური ენა უწყობს ხელს. საზოგადოდ ენით როგორც ეთნიკურობის დასადგენი ფაქტორით მანიპულირება ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან გვხვდება.

ეთნიკურ ჰეტეროსტერეოტიპებში, უარყოფითი მახასიათებლების ჩამონათვალში მთხრობელები ტრადიციის ან კულტურის მახასიათებლების განმასხვავებელ ნიშნებზე მიუთითებენ; როგორც წესი საკუთარი ეთნიკური ჯგუფისაგან განსხვავებული მახასიათებლების ჩამონათვალნი საფუძვლად უდევს უარყოფითი შეფასებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში განმასხვავებელი ნიშანთვისებები ნაკლებად არის გამოკვეთილი: ეს კონკრეტული ნიშნები უფრო გაუცნობიერებელი ფორმით გვეძლევა. ერთიანად მიუთითებენ "განსხვავებაზე," როგორც უარყოფითზე. იმ შემთხვევაში თუ საჭირო შეიქმნა მიუღებელი მახასიათებლებს დაკონკრეტება, უმეტეს წილად ვიზუალურად თვალშისაცემ ნიშან – თვისებებზე უთითებენ. მაგ. განსხვავებული სამზარეულო, ჩაცმის სტილი, ქალების თავსაბურავი, დასაფლავეების რიტუალი, მიცვალებულის დატირების ფორმა, "სასახლის" გარეშე დასაფლაება და მისთ. სწორედ ეს ახალი, გაუცხოვებული მდგომარეობა განაპირობებს აკულტურაციის შოკს. ეს არის ერთის მხრივ განცვიფრების გრძნობა და მეორეს მხრივ ღირებულებების, სოციალური და პიროვნული იდენტობის აღრევა.

სვანეთიდან გადმოსახლებული ერთ-ერთი სკოლის, დაწყებითი კლასების, პედაგოგი გვიყვება: "მუსულმანებთან ურთიერთობაში, ყოველდღიურობაში არ გვაქვს პრობლემები. მაგრამ მე სკოლაში ვასწავლი და იქ მქონდა პრობლემა. როდესაც ბავშვებს ქრისტიანულ მეფეებზე მითებს და ლეგენდებს ვუყვებოდი ან ვუკითხავდი, მუსულმანი მშობლები მოვიდნენ და აგვიკრძალებს. ბებიებს არ მოეწონათ, მოვიდნენ სკოლაში და გამოგვიცხადეს, არ ასწავ-

ლოთ ესენიო! სკოლაში, სასკოლო კლასში პრობლემები ნამდვილად არის. ისე ყოველდღიურობაში არ არის, არ შეიმჩნევა, ეგენი თავისთვის არიან და ჩვენ ჩვენთვის.” ნიშანდობლივია, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ტრადიციის ფარგლებში არსებული სოციალური დისტანცია შენარჩუნებულია. საკლასო ოთახის გარემო ბავშვისაგან დაკანონებული წესებისაგან განსხვავებულ, ახლებურ ურთიერთობას მოითხოვს. ეს სოციალური გარემო დამოკიდებულებების გადასტრუქტურებას საჭიროებს. ამგვარ რეალობაში ბავშვი გაორებულ მდგომარეობაშია, რაც მისთვის რთული დასაძლევია ხდება. აჭარელი მთხრობელი გვიხსნის, როდესაც გვიყვება, თუ როგორ არიგებს შვილს რომ ის სხვაა, მსულმანია და ასე უნდა მოიქცეს. “ამის აუცილებლობა აქ გახდა საჭირო, თორემ იქ არ ვამბობთ ასე” – გვიხსნის დედა. (ეს ყველაფერი “იქ” – იგულისხმება მნოკულტურული გარემო, თავის სოფელი). “თუ მკითხავ სადაური ხარ? რა უნდა გითხრა: ღორჯომელი ვარ! მერე! მერე, მერე აჭარელი, ბათუმელი ვარ! მერე? მერე ქართველები ვართ, მაგრამ ვინც არ იცის ვეტყვი, რომ მუსულმანი ქართველები ვართ, უნდა უთხრა, თორემ ზოგმა არ იცის.” (მთხრობელი აჭარის მთიანეთიდან (სოფ. ღორჯომი)“

კროსსკულტურული ფსიქოლოგიის თანამდროვე მკვლევარს დევიდ მაკუმოტოს მოყვანილი აქვს სანტერსო ფაქტები ამერიკაში ემიგრირებულ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებზე. ემიგრირებული ეთნიკური ჯგუფები გაცილებით უფრო ტრადიციულები აღმოჩნდნენ, ვიდრე ადგილზე, მონოკულტურაში მცხოვრები მათი მონათესავე ტომები. “ამერიკაში მცხოვრებმა ჩინელმა ემიგრანტებმა აშშ მთელ ტერიტორიაზე შეინარჩუნეს მყარი კულტურალური ტრადიციები, ენა, მემკვიდრეობა, წეს-ჩვეულებები,” ამ მოვლენას ”კულტურის განმტკიცების ეფექტს” უწოდებან (ცულტურალ რეაფორმაციონ) (Мацумото, 2008: 99). ახალი გარემო, გადმოსახლებულ ეთნიკური ჯგუფის ცნობიერებაში, უქმნის რა საფრთხეს ეთნიკურ იდენტობას, უფრო მეტად აძლიერებს საკუთარი ჯგუფისადმი დადებით, მიმზიდველ განწყობას, ძლიერდება სიამაყის გრძნობა და სუსტდება

საკუთარი ეთნიკური ჯგუფით გამოწვეული სირცხვილის გრძნობა.


დასასრულ რეგიონის ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობის სურათი შემდეგნაირია: ჩამოსახლებული სვანები მტკიცედ იცავენ საკუთარ ეთნიკურობას, “სვანობის” დამადასტურებელ წეს-ჩვეულებებს, აღმსარებლობას, წარმომავლობას, ყოფით ჩვევებს. “სვანი არაფრით არ გაყვება აჭარელს, კი მართალია ვიცით, რომ ძირძველი ქართველები არიან, ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ მაინც არ გაყვება, ისე იმითაც (იგულისხმება აჭარელი)არ უნდათ, არც ისინი დაქორწინდებიან სვანზე.” იგივე ე.წ. სარკული დმოკიდებულებაა აჭარლების მხრიდან. ამ მოცემულ შემთხვევაში, ისევე, როგორც ყველა სხვა ანალოგიურ ვითარებაში გაძლიერებულია **ე.წ. ეთნოაფილაციური განწყობები** ანუ მოთხოვნილება მიეკუთვნებოდე შენ ეთნიკურ ჯგუფს. ამ პირობებში ეთნიკურ ჯგუფის წევრებისათვის ეთნიკურობა როგორც იდენტიფიცირების საშუალება **წინა პლანზე** გამოდის. ჩამოსახლებული სვანების ყოფის განსხვავებული მარკერები, როგორც ადგილობრივი ქართული, ასევე აზერბაიჯანული მოსახლეობის მხრიდან, განაპირობებს გაუცხოვების განცდას. ამგერ სოციო – ეკონომიკურ გარემოში მოქცეულ განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს, რომელნიც მრავალგვარ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორების ზემოქმედებას განიცდიან, უყალიბდებათ უარყოფითი სოციალური განწყობა. თუ არ გვაქვს სახეზე საამისო პირობები, ანუ არ დადგება ეთნიკურობის იდენტიფიცირების აუცილებლობა, ეს ნიშნები წინა პლანიდან პერიფერიაზე გადაინაცვლებს; მაშინ გვაქვს **ეთნიკური ინდიფერენტიზმი**. ქართველებს, აზერბაიჯანელებს, ბერძნებს, სომხებს, ამ მრავალსაფეხურიან სოციუმში, სადაც ჯგუფებს შორის ეთნიკური იდენტობისათვის უმნიშვნელოვანესი ნიშნულები აღმსარებლობა და ენა განსხვავებულია, ჯგუფები მარკირებულნი არიან, როგორც “სხვა” ეთნოსი და ამდენად ეს “სხვა” განწირულია მარგინალურ სტატუსზე, იმ შემთხვევაშიც კი თუ ამ ჯგუფის რომელიმე წევრი მატერიალურ წარმატებას მიაღწევს.

ფაქტობრივად ჩვენი მონაცემების მიხედვით რეგიონში ამ ეტაპზე გამოვლინდა ისეთი სოციალურ – ფსიქოლოგიური ეფექტები, როგორცაა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების უარყოფითი სოციალური განწყობები, უარყოფითი სტერეოტიპები, ეთნიკურ ჯგუფებს შორის შეფარული ფორმის დაძაბულობა. ამას განაპირობებს გაუმართლებელი მოლოდინები, საკუთარი კომპეტენტურობის დაკარგვა, გაუცხოება, კულტურის შოკი, აკულტურაციის სტრესი. მოცემულ შემთხვევაში კონფლიქტის არ არსებობა განაპირობა სწორედ სოციალური დისტანციის მაღალმა ხარისხმა (ურთიერთობა მხოლოდ ოფიციალურ დონეზე და აუცილებლობის შემთხვევაში). ამ შემთხვევაში ურთიერთობის ფორმის მხრივ საქმე გვაქვს თანაარსებობასთან და არა თანამშრომლობასთან. მთელ ამ მოცემულობაში ერთადერთი მწიფელოვანი და იმედის მომცემი გარემოებაა ეროვნული უმცირესობის, როგორც აზერბაიჯანელების, ასევე ბერძნების და სომხების მიერ, რომელიც სემილინგვია და პრაქტიკულად არცერთი ენა არ იცის სრულყოფილად, ქართული ენის დაუფლების სურვილის მაღალი მოტივაცია და ქართული ენის ცოდნის აუცილებლობის აღიარება (უმცირესობები, 2008: 36) მართალია ქართული ენის დაუფლების მოტივაცია ინსტრუმენტულ მიდგომაზეა ორიენტირებული, რაც გულისხმობს ენის დაუფლებას რაიმე სოციალური ან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით (ხარშილაძე..., 170), მაგრამ მოცემულ ეტაპზე ეს ქართული ენის მიმართ აშკარად გამოსტული დადებითი ტენდენციაა, რაც შემდგომში ასევე დადებითად აისახება ეთნიკური უმცირესობის იტეგრაციის პროცესის მსვლელობაზე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დვალი თ. ეკომიგრანტები, ჟურნალში: სოლიდარობა, №5, თბ., 2007.
2. მაალუფი ამინ, დამლუპველი იდენტობები, თბ., 2007.
3. Мацумото Дэвид. Человек, культура, психология. Удивительные загадки, исследования и открытия. Санкт-Петербург: Прайм-ЕВРОЗНАК, 2008.
4. უმცირესობები საქართველოში: სიტუაციური ანალიზი. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევის ცენტრი. ICCN თბ., 2008 წ.
5. ხარშილაძე მ. კერძაია თ. ბერეკაშვილი ნ. უთურგაიძე მ. “ლინგვისტური მრავალფეროვნება და ენობრივი პრობლემები საქართველოში. “ფსიქოლოგია” კრებული XXI, თბ., 2009 წ.

რეპორტაჟი



რედაქციისაგან: 2010 წელს „მაგთიკომმა“ დააფინანსა ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის ისტორიკოსთა ჯგუფი (ხელმძღვანელი: მიხეილ სამსონაძე, გურამ მაისურაძე, ალექსანდრე დაუშვილი, მაია თადემაძე, ნინო თომაძე, ანა რუაძე), რომელსაც უნდა მოემზადებინა ნაშრომი „საქართველო. XX საუკუნის 90-იანი წლები. ქრონიკები“ წიგნი I – 1991. წიგნი II – 1992.

ავტორ-შემდგენელთა ჯგუფმა ნაშრომი დაასრულა და წიგნები გამოქვეყნდა. 2011 წლის 30 მარტს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა აღნიშნული წიგნების პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდნენ სამეცნიერო და საისტორიო საზოგადოების წარმომადგენლები, სტუმრები: პარტია „ახალი მემარჯვენეები“ დელეგაცია ქალბატონ მანანა ნაჭყებიას ხელმძღვანელობით, „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელი ბატონი ზაალ გოგსაძე, ტრადიციონალისტთა პარტიის დელეგაცია ბატონ აკაკი ასათიანის ხელმძღვანელობით, „საქართველოს სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე და სხვა საპატიო სტუმრები.

პრეზენტაციას ესწრებოდა „მაგთიკომის“ წარმომადგენლობითი ჯგუფი.

„ქრონიკებს“ დილის გადაცემაში თემატური სიუჟეტი მიუძღვნა ტელეკომპანიამ „რუსთავი – 2“-მა, პრეზენტაცია გააშუქა საპატრიარქოს ტელევიზიამ.

პრეზენტაცია უძღვებოდა აკად. დავით მუსხელიშვილი.

ჟურნალის რედაქცია გთავაზობთ ამ სამეცნიერო ღონისძიების რეპორტაჟს.

რ ე პ ო რ ტ ა ჟ ი

სხდომის თავმჯდომარე, აკად. დავით მუსხელიშვილი – ბატონებო, დღეს ჩვენი შეკრება ეძღვნება გარკვეულ მოვლენას ჩვენი ცენტრის ცხოვრებაში. მანამდე მინდა მოგახსენოთ, თუ როგორ ჩამოყალიბდა ჩვენი ცენტრი. ე. წ. „რეფორმები“ რომ დაიწყო განათლების სისტემაში, რის

შედეგადაც უამრავი პროფესიონალი მეცნიერი სამსახურის გარეშე დარჩა, ისტორიკოსებმა, რომლებიც ასევე უმუშევარნი დარჩნენ, ჩამოაყალიბეს „ისტორიის, ეთნოლოგიის,



რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი“. ამ ცენტრის შექმნის ინიციატორი იყო პროფ. მიხეილ სამსონაძე. განხორციელება ამ იდეის, შემდეგ საინცი-

ატივო ჯგუფის შექმნა, ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება დაკავშირებულია უკვე პროფ. ალ. დაუშვილის სახელთან.

ცენტრი ჩამოყალიბდა მეცნიერთა ინიციატივით და საკმაოდ ნაყოფიერიც გამოდგა მისი მუშაობა. ეს მოხდა სამი წლის წინ. მოგეხსენებათ რა პირობები იყო მაშინ, არავითარი სახსარი არ გაგვაჩნდა, საკუთარი სახსრებით დავიწყეთ მუშაობა, საკუთარი სახსრებით გამოვეცით პირველი ნაშრომები. ამის შემდეგ თანდათან აეწყო მუშაობა და დღეისათვის უკვე შთამბეჭდავი სახე აქვს ამ მოღვაწეობას. კერძოდ, ცენტრის მუშაობის მთავარი მიმართულებაა სამეცნიერო საქმიანობა და პუბლიკაციები. სამი წლის მანძილზე ცენტრის ინიციატივით და მასში გაერთიანებული მეცნიერების მიერ მომზადდა და გამოქვეყნდა 20-ზე მეტი წიგნი. მაგალითად, ისეთი კოლექტიური გამოკვლევა, როგორცაა „რუსეთის კოლონიალიზმი საქართველოში“. ასეთ თემატიკაზე მუშაობა ადრე საერთოდ აკრძალული იყო. ჩვენი მიღწევა ის არის, რომ შესაძლებლობა მოგვეცა შეგვექმნა რეალური სურათი იმ პერიოდებისა, რაც გარკვეული მიზეზების გამო მუდამ მახინჯდებოდა. ნაშრომის ავტორები არიან ა. ბენდიანიშვილი, მ. სამსონაძე, ა. დაუშვილი, ო. ჯანელიძე და სხვ.

ჩვენ ინსტიტუტში მუშაობის ბოლო წლებში ვცემდით სამეცნიერო ჟურნალს – „ანალები“. გამოვიდა 12 ნომერი. შემდეგ ინსტიტუტი დაიშალა. ჩვენმა ცენტრმა განაგრძო ამ ჟურნალის გამოცემა. უკვე დაიბეჭდა 6 ნომერი. ახლა მზადდება მე-7 ნომერი, რაც მალე გამოიცემა.

მეგობრებო, თქვენ იცით რა მდგომარეობაა დღეს, როგორი „კეთილი მეზობლები“ გეყავს ჩვენ. სწორედ ამიტომ, ცენტრის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ჩვენი ისტორიის გამყალბებლების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა. ამ მიმართულებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები და უკვე გამოქვეყნდა სამი თემატური კრებული: «Некоторые вопросы истории грузии в армянской историографии», «Некоторые вопросы истории осетин Шиди Картли», «Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии». დღეს აშკარაა – სომხები გვედავებიან სამხრეთ საქართველოს, ოსები – ჩრდილოეთს, ხოლო რუსები – ყველაფერს. ამიტომაც ეს არის ძალიან კარგი საქმე. ვინ არიან ოსები, საიდან მოვიდნენ – ეს საქართველოშიც კი ყველამ არ იცის. რუსეთში მით უფრო. ცნობილია აკად. ა. სახაროვის უპასუხისმგებლო განცხადება, რომ საქართველოს არის „მცირე იმპერია“. მეგრე, როგორც ჩანს, მან შეიცვალა შეხედულება, მაგრამ თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში ეს იდეა დღესაც მუსიკრებს. ამიტომ ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება.

ბოლო ხანს, ბატონ ალ. დაუშვილის ინიციატივით, დაიწყო გამოცემა სერიალმა: „საქართველოს ისტორიის საგანძური“. იწერება მცირე ფორმის ბროშურები, და ისინი ეძღვნება საქართველოს ისტორიისა თუ ეთნოგრაფიის საინტერესო საკითხებს, ფაქტებს, მოვლენებს. ეს სერიალი განკუთვნილია ფართო საზოგადოებისათვის. ადრე, ჩემს ახალგაზრდობაში, იყო ცნობილი სერია: «Жизнь замечательных людей». ეს ბროშურებიც მსგავსი გამოცემაა, მიზნად ისახავს არსებული საისტორიო ინფორმაციის პოპულარიზაციას. უკვე გამოცემულია 13 ბროშურა. ამ მიმართულებითაც მუშაობა გაგრძელდება.

სულ ახლახანს დაიბეჭდა და, სამწუხაროდ, გარკვეული პრობლემებია მისი გავრცელების თვალსაზრისით –

“საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში“. ეს ნაშრომი რუსთაველის ფონდის გრანტით არის შესრულებული. ეს წიგნი მეტად საჭირო და დროულია.

მზად არის „საქართველოს ისტორია“ – ოთხტომეული. ეს ნაშრომიც გრანტით არის შესრულებული. ის და-

წერა ავტორთა კოლექტივმა და უკვე გადაცემულია დასაბეჭდად. ასევე დასრულდა „საქართველოს ისტორია“ – ერთტომეული სამენაზე (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე). არ შეიძლება არ აღინიშნოს,



რომ სულ ახლახანს ამერიკის შეერთებული შტატების გამომცემლობა „ნოვამ“ გამოსცა ინგლისურ ენაზე სომხური ისტორიოგრაფიის ტენდენციურობის წინააღმდეგ მიმართული ჩვენი ზემოაღნიშნული კრებული.

სამეცნიერო ცენტრი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სამეცნიერო სიმპოზიუმის მომზადებასა და ჩატარებაში, ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები, დისპუტები. სულ ახლახანს აკად. წ.-კ. ღია მედიქიშვილმა და მისმა ჯგუფმა ჩაატარეს დისპუტი სოციალური უსაფრთხოების ეთნიკურ ასპექტებზე, რამაც სამეცნიერო საზოგადოების ინტერესი დაიმსახურა.

აი, ასეთ საქმიანობას ეწევა ჩვენი ცენტრი. ეს არ არის ცოტა.

დღეს კი იმიტომ მოგიწვიეთ, ქალბატონებო და ბატონებო, რომ შემოგთავაზოთ ჩვენი სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელთა მიერ შექმნილი ახალი ნაშრომი – „საქართველო. XX საუკუნის 90-იანი წლები“ წიგნი I და წიგნი II. ეს არის 1991-1992 წლების დრამატული პერიოდის ამსახველი დოკუმენტური მასალა, დალაგებული ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ჩვენი სამეცნიერო ცენტრის მუშაობა ბოლო ერთი წლის მანძილზე აშკარად უფრო ინტენსიური გახდა. ამის მიზეზი ერთია – არ გამქრალან ჩვენს ქვეყანაში მეცნიერებისათვის ქველმოქმედი ადამიანები და ორგანიზაციები. ცნობილი ფირმა „მათიკომის“ სპონსორობით მომზადდა ეს ორი მსხვილი ტომი. ფირმა აფინანსებს ჩვენს სხვა პროექტებსაც. ჩვენ გვინდა, რომ XX საუკუნის 90-იანი წლების მოვლენები ყველასათვის გასაგები გახდეს, რომ მოსახლეობამ შეძლოს ამ მოვლენების ობიექტური ინტერპრეტაცია. რა თქმა უნდა, მუშაობა გაგრძელდება და საზოგადოება მიიღებს 1993, 1994 და შემდგომი წლების ამსახველ მასალას, რაც იქნება მონავალში ამ პერიოდის ობიექტური შესწავლის საფუძველი.

ახლა კი მინდა სიტყვა გადავცე მთავარ მომხსენებელს, პროფ. ოთარ ჯანელიძეს.

პროფ. ოთარ ჯანელიძე – ამბებმა, რომელთა შესახებ განსახილველი წიგნები მოგვითხრობს, დიდი და წარუშლელი კვალი დააჩნიეს საქართველოს ისტორიას. დრო

უსწრაფესად გარბის. უკვე 19-20 წელი გვაშორებს იმ დრამატულ მოვლენებს, მაგრამ მაშინდელი იარა კვლავაც მოუშუშებელია და დროდადრო თავს მტკივნეულად გვახსენებს.

1991-1992 წლები დღესაც მფეთქავი, ცოცხალი ნერვია, რომელიც მცირეოდენ შეხებაზეც კი მგრძნობიარედ რეაგირებს. მიუხედავად ამისა, მკვლევარ



ისტორიკოსთა ჯგუფმა ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრის ეგიდით, მაინც გადაწყვიტა „ქრონიკების“ სახით ფართო საზოგადოების წინაშე წარმოედგინა ჩვენი ახლო წარსულის ერთგვარი მატრიანე.

ჯგუფის წევრები – პროფესორი მიხეილ სამსონაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები ალექსანდრე დაუშვილი და გურამ მაისურაძე, ისტორიის აკადემიური დოქტორები ნინო თომაძე და მაია თადემაძე თავიანთ განზრახვას ისტორიული კატაკლიზმებით აღსავსე XX საუკუნის 90-იანი წლებისადმი საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესით ხსნიან და მართებულად მიიჩნევენ, რომ აღნიშნული პერიოდის მოვლენათა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი თუ მორალურ-ზნეობრივი ასპექტების მიუკერძოებელი გაშუქება აუცილებლად მოითხოვს პირველ ეტაპზე მაქსიმალურად ობიექტური, დოკუმენტური მასალის მოძიება-შეკრებას, ხოლო მომდევნო ეტაპზე – მის არგუმენტირებულ, მეცნიერულ ანალიზს.

ძველად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ფუნქციონირებდა ისტორიის წყაროების კომისია, რომლის გრიფით სისტემატურად გამოიცემოდა საქართველოსთან დაკავშირებული ქართული თუ უცხოურიდან ნათარგმნი პირველწყაროები. ეს სოლიდური, აკადემიური სამეცნიერო გამოცემები იყო და მათი მნიშვნელობა მკვეთვართათვის ფასდაუდებელი გახლდათ. თანამედროვე ისტორიის წყაროების პუბლიკაციით მაშინაც დიდად განებივრებულნი არ ვყოფილვართ, მაგრამ ბოლო დროს გამოცემათა ეს სერია საერთოდ შეწყდა და დავრჩით შინაგან საქმეთა საარქივო სამმართველოს ჟურნალ „საარქივო მოამბესა“ და ამავე სამმართველოს ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტური მასალების ამარა, რაც, ცხადია, სრულებითაც არ არის საკმარისი. ამიტომ, ყოველი ახალი ქართული წყაროთმცოდნეობითი პროექტის განხორციელება დიდად მოსაწონია და მისასალმებელი.

საქართველოს XX საუკუნის 90-იანი წლების ქრონიკების ჯერჯერობით ორი წიგნი ამ მნიშვნელოვანი ეპოქის საქართველოს ისტორიის ამსახველ დოკუმენტთა მრავალტომეულის პირველი ნაწილია. კრებულის გამოცემა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთაც კარგად ცნობილი მობილური კავშირგაბმულობის კომპანია „მათიკომის“ კეთილი ნებითა და ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდებ-

ბა. „მაგთიკომი“ არა მარტო აბონენტთა მომსახურების მაღალი სტანდარტითა და ქვეყნის ეკონომიკაში შეტანილი წვლილითაა გამორჩეული, არამედ იმითაც, რომ იგი უანგაროდ ზრუნავს ეროვნული კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, განათლების, სპორტის, ჩვენი ეკლესიის გასაძლიერებლად. კომპანიის საყოველთაოდ ნაცნობ ლოგოს, წითელ ფონზე თეთრი კუბიკების მოხდენილ კონსტრუქციას, ბოლო დროს შთამბეჭდავი წარწერა დაემატა: „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“. სწორედ ეს დევიზი ამშვენებს წინამდებარე გამოცემებს, რაც იმის დასტურია, რომ კომპანიამ დახმარების ხელი საისტორიო მეცნიერებასაც გაუწოდა. მადლობა მაგთის.

განსახილველი კრებული შედგენილია ძირითადად პერიოდული პრესის მონაცემებისაგან და აერთიანებს გაზეთებში „საქართველოს რესპუბლიკა“, „ახალგაზრდა ივერიელი“, „საქართველო“, „დრონი“, „აჭარა“, „Абхазия“, „Иберия-спектр“ და სხვ. დაბეჭდილ პუბლიკაციებს, რომლებიც ასახავენ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული თუ სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების არსებით მხარეებს. მიუხედავად იმისა, რომ იმ ხანად მუშაობდა ტელევიზია, რადიო, იყო კინო თუ ფოტოდოკუმენტალისტიკა, ჟურნალ-გაზეტები მაინც ყველაზე ფართოდ ასახავდნენ მიმდინარე პროცესს. საყურადღებოა ასევე, რომ კრებულში შეტანილია საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ფონდი 1165 – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო) მიკვლეული ისეთი დოკუმენტები, რომელთა ნაწილი საჯაროდ არ გამოქვეყნებულა.

რამდენიმე წლის წინ ზოგიერთი ქართული გაზეთის რედაქციამაც წამოიწყო მსგავსი ტიპის სამუშაო, თავი მოუყარა და საკუთარ გამოცემებში დაბეჭდა ბევრი საინტერესო ინფორმაცია, მოგონება, ჩანაწერი და სხვ. მაგრამ თავისი მასშტაბურობით, მრავალფეროვნებითა და შედარებითი სისრულით „ქრონიკები“ გამორჩეული გამოცემაა. ვულოცავ პროექტის ავტორებს დიდი საქმის კარგ დასაწყისს და ვუსურვებ, რომ ჩაფიქრებული საქმე ლოგიკურ დასასრულამდე დროულად და წარმატებით მიეყვანოს.



გასული ას-
წლეულის 90-იან
წლები საქართვე-
ლოს უახლესი ის-
ტორიის სანიშან-
სვეტო თარიღია.
საქართველომ XX
საუკუნეში მეორედ
აღიღვინა ეროვ-
ნულ-სახელმწიფო-
ებრივი დამოუკი-

დებლობა და თავისუფალი განვითარების გზას დაადგა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს გზა ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსათვის მეტისმეტად რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, რომელმაც საბჭოთა რეჟიმი და ხელისუფლებაში საქართველოს კომუნისტური პარტია ჩაანაცვლა, არსებობის მოკლე დროს მოითვლიდა და მოკლებული იყო სახელმწიფოებრივი მართვის გამოცდილებას. ამასთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეს ფრთა იმდენად სწრაფად და უმტკივნეულოდ აღმოჩნდა ქვეყნის სათავეში, რომ მისმა ლიდერებმა გულუბრყვილოდ ირწმუნეს თითქოს „სამართალმა პური ნამდვილად ჭამა“. მართალია, ბოროტების იმპერია თავისი არსებობის ბოლო თვეებს ითვლიდა, მაგრამ დასავლეთი მასთან მკვეთრ დაპირისპირებას მაინც ერიდებოდა. საქართველოს სუვერენიტეტის საერთაშორისო აღიარება და აქტიური თანადგომა, რასაც ოფიციალური თბილისი დემოკრატიული სამყაროსაგან მოელოდა, იგვიანებდა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ახალი ხელისუფლება თვითდაჯერებული იყო საკუთარ სიმართლეში და ნაკლებად აცნობიერებდა, რომ სიმართლეს მხარს უნდა უმაგრებდეს სათანადო ძალაც. სამწუხაროდ, ასეთი ძალა სახელმწიფომ იმ ხანად ვერ შეიძინა.

უსამართლობა იქნება ეჭვი შევიტანოთ ქვეყნის ახალ მესვეურთა კეთილსინდისიერებასა და პატრიოტიზმში, დასახულ მიზან-ამოცანათა სიწრფელეში, მაგრამ მათ ვერ

შედგეს თავისუფლებით ანთებული მოსახლეობის ენთუზი-
აზმი და შემართება – ეს მძლავრი ეროვნული ენერჯია
წარმატებით ჩაერთოთ აღმშენებლობის პროცესში. უშედე-
გო აღმოჩნდა იმპერიის ცენტრიდან მომდინარე საფრთხეე-
ბის გაუვნებელყოფის მცდელობა, ვერ მოხერხდა ქვეყნის
შიგნით აზვირთებული სეპარატისტული მოძრაობის შეჩე-
რება და ვერც პოლიტიკური დაპირისპირების მშვიდობიანი
მოწესრიგება.

„მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლება თვალნათლივ ხე-
დავდა ყველა აღნიშნულ საფრთხეს, მაგრამ, როგორც
ჩანს, სრულად ვერ სჭვრეტდა მათ მასშტაბებს. ამას მკა-
ფიოდ მოწმობს

„ქრონიკების“ პირვე-
ლი წიგნის პირვე-
ლივე დოკუმენტი.
ეს გახლავთ საქარ-
თველოს რესპუბლი-
კის უზენაესი საბ-
ჭოს თავმჯდომარის
ზვიად გამსახურდი-
ას საახალწლო მი-



მართვა მოსახლეობისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „გარ-
კვეული რეაქციული ძალები ცენტრისა კვლავ განაგრძო-
ბენ ფარულ მოქმედებას, რაც გამოიხატება უმთავრესად
ანარქიისათვის პირობების შექმნაში. ... აგრეთვე ავტონომი-
ებში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. საბედნიე-
როდ, საქმის ვითარება იმგვარია საბჭოთა კავშირში, რომ
აქტიური ჩარევა, უხეში ჩარევა რესპუბლიკის შინაურ საქ-
მეებში უკვე შეუძლებელი ხდება ცენტრისათვის. ... არიან
საქართველოში გარკვეული ძალები, რომელთაც არ აწ-
ყობთ სტაბილური მდგომარეობა. ... მაგრამ საბედნიეროდ
ისინი იმდენი არ არიან, რომ რეალური ზეგავლენა იქონი-
ონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ხელისუფლების
საქმიანობაზე“ (გვ. 7).

იმავე წიგნში მოყვანილი ერთ-ერთი ბოლო დოკუმენ-
ტი, 1991 წლის 25 დეკემბრით დათარიღებული ზვიად გამ-
სახურდიას, როგორც პრეზიდენტის მიმართვა ქართველი

ერისადმი, უკვე საპირისპიროს ცხადყოფს. „ძვირფასო თანამემამულენო! – ვკითხულობთ მიმართვაში – როგორც ხედავთ, შავი დღე დაუდგა საქართველოს. იმპერიალისტურმა ძალებმა და ... აგენტურამ საქართველოში თავს მოგვახვიეს საყოველთაო დესტაბილიზაცია. გრძელდება ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ძალადობით დამხობის ცდები“ (გვ. 626).

1991 წლის დეკემბრის ბოლოსა და 1992 წლის იანვრის პირველ რიცხვებში განხორციელებული ხსენებული შეიარაღებული ძალადობა ქვეყნის ახალმა წინამძღოლებმა „ერის გადარჩენისა და ქვეყანაში მშვიდობის დამყარების ერთადერთ გზად“, „საერთო სახალხო აჯანყებად“, „დემოკრატიულ“, „სახალხო რევოლუციად“ მონათლეს. ოფიციალური ინფორმაციით (1992 წლის 8 იანვრის მონაცემი), იმ ტრაგიკული მოვლენების პროცესში 113 ადამიანი დაიღუპა და 400-მდე დაიჭრა (წგნ 2, გვ. 20). მთლიანად დაინგრა და დაიწვა 16 სახლი, 8 სახლს ავარიული მდგომარეობა შეექმნა (იქვე, გვ. 16). თბილისში უბინაოდ დარჩა 724 ოჯახი (იქვე, გვ. 29). ასეთი იყო დედაქალაქში მომხდარი შეტაკების უშუალო ადამიანური მსხვერპლი და მატერიალური ზარალი, რაც სრულიადაც არ გახლავთ უმნიშვნელო, მაგრამ კიდევ უფრო მძიმე გამოდგა ამ მოვლენით განპირობებული სამოქალაქო ომის შედეგები და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის მიყენებული ზიანი. აქვე დავძენ, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების შეცვლა ახალი ხელისუფლებით, მისმა ერთ-ერთმა შემოქმედმა თენგიზ კიტოვანმა მოგვიანებით გადააფასა და შემდეგი განაცხადა: „ამ მოვლენის სახალხო აჯანყებად ... წარმოდგენა მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის თვალის ახვევის მცდელობაა და მეტი არაფერი. ეს იყო წმინდა წყლის სამხედრო გადატრიალება, რადგან იგი განახორციელა გვარდიამ, რომელიც გადაუდგა გამსახურდიას და ომი გამოუცხადა მას“ (წგნ. 2, გვ. 585). აღსანიშნავია ისიც, რომ 2005 წლის 11 მარტს საქართველოს პარლამენტმა 1991-1992 წლების მოვლენები შეაფასა როგორც „ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სამხედრო გადატრიალება“.

სამხედრო საბჭოს წევრები პოლიტიკურ შეხედულებათა მსგავსებით იმთავითვე არ გამოირჩეოდნენ. 1992 წლის 6 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტის დასმულ შეკითხვას – „როგორია თქვენი იდეოლოგია?“ – ჯაბა იოსელიანი პასუხობდა: „ჩვენ უფრო მონარქიზმს ვუჭერთ მხარს“ (წგნ. 2, გვ. 7). საბჭო აცნობიერებდა თავის არალეგიტიმურობას, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ შეიარაღებული დაპირისპირება დამსობილი ხელისუფლების მომხრეებთან მალე დასრულდებოდა (წგნ. 2, გვ. 41) და შესაძლებლად მიაჩნდა უკვე აპრილის თვეში არჩევნების ჩატარება (იქვე, გვ. 5).

მაშინდელი პოლიტიკური ელიტა ერთად თუ ცალ-ცალკე დაემტკიცა შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან თავდაღწევის ოპტიმალურ ვარიანტებს. თუ ერთნი გამოსავალს დათხოვნილი უხენაესი საბჭოს საგანგებო სესიის მოწვევაში, სესიის მიერ ახალი საარჩევნო კანონის მიღებასა და არჩევნების დანიშვნაში ხელავდნენ, მეორენი საჭიროდ მიიჩნევდნენ სრულიად საქართველოს ეროვნული კრების მოწვევას, მესამენი მხარს უჭერდნენ ეროვნული ყრილობის ან სახალხო კრების იდეას და სხვ. (იქვე, გვ. 27-28). ბოლოს არჩევანი მოსკოვიდან საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანაზე შეჩერდა. წიგნში რელიეფურადაა წარმოჩენილი როგორ განსაკუთრებულ იმედს უკავშირებდა ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ფენა თუ პოლიტიკური ძალა სამშობლოში ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებას. მწერალი რევაზ ჯაფარიძე შევარდნაძეს ერთადერთ ადამიანად მიიჩნევდა, „ვისაც დღეს საქართველოს ხსნა შეუძლია“ (წგნ. 2, გვ. 93). ბევრს შევარდნაძის „საერთაშორისო ავტორიტეტი, მისი უნიკალური კავშირები, პოლიტიკური გამოცდილება“ იმის გარანტად წარმოედგინა, რომ საქართველო მალე დაადგენდა თავს კრიზისს, განიმტკიცებდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და მსოფლიოს განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების რიგში ჩადგებოდა. რამდენიმე ფილოსოფოსმა ე. შევარდნაძის დაბრუნებას „გონების მოქცევა საქართველოში“ უწოდა და სხვ.

1992 წლის 7 მარტს ე. შვეარდნაძე საქართველოში ჩამოვიდა და სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო საბჭოს. მალე გამოიცა ეროვნული თანხმობისა და შერიგებისაკენ მომწოდებელი სახელმწიფო საბჭოს მანიფესტი, თუმცა ქვეყანაში დამსობილი ხელისუფლების მომხრე ადამიანების პოლიტიკური და სისხლის სამართლებრივი დევნა არ შეწყვეტილა. გაღრმავდა დაწვებული ეკონომიკური კრიზისი, იმძლავრა კრიმინალურმა ძარცვა-გლეჯამ და იარაღიანი დაჯგუფებების თარეშმა. დიდ ქაოსს, უმუშევრობას, პურის, სხვა სასურსათო პროდუქტების, ენერგორესურსების თუ ნედლეულის არნახულ დეფიციტს კიდევ უფრო ამძიმებდა სამოქალაქო ომში გადაზრდილი შიდა ვითარება და კონფლიქტის ესკალაცია აფხაზეთში. ამის პარალელურად, ქვეყანა დემოკრატიულ ტრანსფორმაციას განიცდიდა, განხორციელდა სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების პრივატიზება, 630 ათასამდე კომლს სოფლად მიწა კერძო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა, კონსტიტუციურ ჩარჩოებში ექცეოდა და ნორმალურ სახეს იძენდა პოლიტიკური პროცესი, ოქტომბერში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, თბილისში თანმიმდევრობით ჩამოვიდნენ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს დიტრის გენშერი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დელეგაციები, გააქტიურდა უცხო სახელმწიფოთა მიერ საქართველოს ცნობა-აღიარების პროცესი, 1992 წლის ივლისში საქართველო გახდა გაერო-ს წევრი და სხვ. ამგვარი იყო მოკლედ საქართველოსათვის უმძიმესი იმ ორი წლის უმთავრესი მოვლენები, რომლებიც გაშუქებულია განსახილველ წიგნებში.

დიდია ამ წიგნების როლი მკვლევარ-ისტორიკოსთათვის მათი წყაროთმცოდნეობითი დანიშნულების გამო, მაგრამ გამოცემის მნიშვნელობას იმაშიც ვხედავ, რომ ისინი გულგრილს არც ფართო საზოგადოებას დატოვებენ. წიგნები მათში აღწერილი ფაქტებისა და მოვლენების ბევრ მონაწილეს, თვითმხილველსა თუ თანამედროვეს დააფიქრებს ახლო წარსულზე, უბიძგებს გონების თვალი გადაავლოს განვლილ გზას, გააანალიზოს ნანახი და განცდილი.

დარწმუნებული ვარ, საკუთარ თავთან დარჩენილ ზოგ ჩვენს თანამემამულეს შერცხვება იმ პერიოდში თავისი საქციელისა თუ ქმედების გამო, ზოგს სინანულის გრძნობა დაეუფლება, ზოგსაც პატიებისა და მიტევების, მაგრამ არავის, – იმ ხანად ბარიკადის არც ერთ მხარეს მდგომს არ გაუჩნდება სიამაყის განცდა. არ გაუჩნდება, რადგან 1991, 1992 და კიდევ რამდენიმე მომდევნო წელი ამის საფუძველს ნაკლებად იძლევა. პირიქით, – ეს წლები სისხლის ლაქებით ამძიმებს საქართველოს ისტორიას, სის-



ხლით, რომელიც ქართველებმა მტრის გასახარად უმოწყალოდ ვაღინეთ ერთმანეთს.

მიმაჩნია, რომ საქართველოს XX საუკუნის 90-იანი წლების ქრონიკების სახით ჩვენს საისტორიო მეცნიერებას მეტად საჭი-

რო და კარგი გამოცემა შეემატა. ერთად თავმოყრილი ეს ისტორიული მასალა აფართოებს პრობლემის წყაროთმცოდნეობით ბაზას, ამასთან, გამოცემული კრებული საქართველოს ახლო წარსულის მკვლევართ დოკუმენტური წყაროების მოძიების მნიშვნელოვან დროს დაუზოგავთ და საქმეს გაუადვილებთ.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვით იმ შენიშვნების შესახებ, რომლებიც წიგნის გაცნობისას გამიჩნდა და მინდა პროექტის ავტორებს გაეუზიარო.

1. სასურველი იყო ნაშრომს დართოდა პირთა ანოტირებული საძიებელი, რაც მკითხველს გაუადვილებდა მისთვის სასურველი გვარ-სახელის მოძიებას.

2. შემდგენლებს მასალა ქრონოლოგიურად, თვეების მიხედვით დაულაგებიათ. ცალკეულ მონაკვეთში ძირითადად დაცულია გამოყენებული პერიოდიკის თანმიმდევრობა: „საქართველოს რესპუბლიკა“, „ახალგაზრდა ივერიელი“, „დრონი“, „იბერია-სპექტრი“ და ა. შ. საარქივო დოკუმენტებიც მათი დათარიღების შესაბამისადაა განთავსებუ-

ლი. ეს ცუდი პრინციპი არ არის. მაგრამ ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა იმ ტრადიციული მეთოდის გამოყენება, რომელსაც მიმართავდნენ და ახლაც მიმართავენ პერიოდული პრესის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გამომცემლები. ასეთ შემთხვევაში, წიგნის სტრუქტურა მკითხველისათვის უფრო მოსახერხებელი და გამოყენების თვალსაზრისით შედარებით იოლი გახდებოდა. მეტი სიცხადისთვის, განვმარტავ, რასაც ვგულისხმობ. მასალა შეიძლება ჯერ დაგვეჯგუფებინა საკითხებისა და პრობლემების მიხედვით, ვთქვათ: პოლიტიკური პროცესი, ხელისუფლების საქმიანობა, ოპოზიციური სპექტრი, სოციალ-ეკონომიკური ვითარება, აფხაზეთის საკითხი, ცხინვალის რეგიონის პრობლემა, კულტურა, განათლება და სხვ. ხოლო ცალკეული თემის ირგვლივ თავმოყრილი პუბლიკაციები თუ საარქივო ცნობები გადმოგვეცა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

3. „ქრონიკებში“ შედარებით უქურადღებოდაა დატოვებული 1992 წელს გამომავალი გაზეთი „ერთობა“. ეს პერიოდული გამოცემა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანო გახლდათ, სისტემატურად გამოდიოდა და საკმაოდ საინტერესო მასალასაც აქვეყნებდა. მიმაჩნია რომ, ამ და სხვა ოპოზიციური გაზეთების პუბლიკაციების უფრო სრულად წარმოჩენა წიგნს დამატებითი საყურადღებო ინფორმაციით შეავსებდა.

4. განსახილველი კრებულის პირველი წიგნის მე-9 გვერდზე დაბეჭდილია „ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს“, მაგრამ ტექსტის მიხედვით ვერ გავარკვევ, ვინ არის მიმართვის ავტორი. ალბათ, საჭირო იყო სათანადო მითითება.

5. არ იქნებოდა ურიგო ასევე, ტექსტს ყოველ საჭირო შემთხვევაში დართვოდა შესაბამისი შენიშვნა. მაგალითად, თავის დროზე ყველამ იცოდა ვინ იყო პავლე გრაჩოვი, ანატოლი ლუკიანოვი, ბალტინი და სხვა, მაგრამ დღეს ეს სახელები ბევრისთვის უკვე უცნობია. ხვალ ისინი სულაც აღარ იქნება საჭირო, მაგრამ განსახილველი კრებულის მომავალ მკითხველს, დაინტერესების შემთხვევაში, გამომცემული წიგნებით გაუძნელებს მათი ვინაობის გარკვევა.

5. წიგნებში ზოგიერთი პუბლიკაცია ხელოვნურადაა შემოკლებული. მაგალითად, წიგნ. 2, გვ. 194. ამავე წიგნის 156-ე და 180-ე გვერდებზე დაბეჭდილ განმარტებას არ ახლავს გვარები და სხვ.

გამოთქმული შენიშვნების მიუხედავად, ჩემის აზრით, პროექტის ავტორებმა კეთილსინდისიერად და ნაყოფიერად იმუშავეს, დროულად მოამზადეს და გამოსცეს კრებული ისე, რომ წიგნი, რაც ძვირფასი შენაძენია ისტორიკოსთა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

აკად. დავით მუსხელიშვილი – ჩვენი დღის წესრიგი წინასწარ არის დაგეგმილი, გვაქვს მხოლოდ ერთი მოხსენება, მაგრამ არიან სიტყვაში გამომსვლელებიც. გთხოვთ მკაცრად დავიცვათ რეგლამენტი – 10 წუთი. ვთხოვთ პროფესორ ნათელა ვაჩნაძეს.

პროფ. ნათელა ვაჩნაძე – ბატონო დავით, ბატონო მიხეილ, ბატონო ალექო, ქალბატონებო და ბატონებო, დღეს ჩვენი სამეცნიერო ცენტრისათვის, ძალიან ვრცელი სახელწოდება რომ აქვს და მე მას დავით მუსხელიშვილის ცენტრს ვუწოდებ, ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, ვფიქრობ, რომ ის მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენი ცენტრისათვის, არამედ მთელი ქართული, და არა მარტო ქართული, მეცნიერებისათვის.

პრობლემა ყველამ ვიცით და ყველა ისტორიკოსს გააზრებელი აქვს, არის ის საბჭოთა პერიოდის ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, უახლესი ხანის ისტორიის სპეციალისტი, ყველას კარგად გვესმის ამ პრობლემის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულის შესასწავლად.

სწორედ ამიტომ, ყოველთვის ვფიქრობდი და დღეს კიდევ უფრო დავრწმუნდი – მონოგრაფიის დაწერა ამ უზარმაზარი პრობლემის შესახებ ძალიან რთულია, ვერცერთი გენიალური ისტორიკოსი ვერ გაწვდებოდა მას, იმდენად რთულია, იმდენად დახლართულია ყველაფერი, იმდენი საკითხი და ქვესაკითხია, იმდენი უამრავი შიდამიდინარებაა, რომ ამის ყველაფრის შეკრება, გააზრება სჭირდება. მე მგონი ამას ვერც ნიკო მარი, ვერც ივანე ჯავახიშვილი და ვერც მარკ ბლოკი და ვერც ვერაჟინ შეძლებდა. აქ მთელი რიგი ამბებია გასათვალისწინებელი: უწინა-

რეს ყოვლისა ჩვენი ერის ხასიათი. მე არ განხლავართ ფსიქოლოგი და, რა თქმა უნდა, არ შემძლია შევიჭრა ისეთ სფეროში, რომელსაც მე ნაკლებად ვიცნობ. მაგრამ

ერის ფსიქოლოგია, ერის თვისებები, ქვეყნის გეოპოლიტიკა, ქვეყნის ისტორია, გარემომცველი სამყარო, მეზობლები, განსაკუთრებით უძლიერესი მეზობელი და, ამის გარდა, საერთო კონიუნქტურა, რაც იყო იმდროინდელ მსოფლიოში – გასათვალისწინებელია. რომ ვამბობთ ამერიკის შეერთებული შტატები,



დასავლეთ ევროპა – ეს ქვეყნები! გავიგეთ თუ არა ჩვენ ყველაფერი თუ ბოლომდე ვერ ჩაუწვდით ჩვენ ყველაფერს?

მე ვფიქრობ, რომ ისტორიკოსები, საზოგადოების სხვა წევრებისაგან განსხვავებით, უკეთ ვიაზრებთ ყველაფერს და დღითიდღე ჩვენს საზოგადოებასაც რაღაც წინსვლა ნამდვილად ეტყობა. აი, ამ ურთულეს ვითარებაში მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მონოგრაფიის დაწერას სჯობია ჩვენ შევქნათ წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ეს არის ყველაზე მთავარი: ადამიანები მიდიან ამ ქვეყნიდან... ყოველდღე მიდიან თვითმხილველნი, როგორც დიდი ივანე ხმარობს ხშირად თავის წყაროთმცოდნეობით მონოგრაფიაში: „თვითმხილველნი, თანადამხვდურნი და მონაწილენი“ იმ პროცესებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა იმ წლებში.

და ეს არ იყო ცოტა ხანი. ამის გამოძახილს და შედეგს დღესაც ვიძიებთ და კიდევ არ ვიცით როდემდე გასტანს ასეთი ვითარება. თაობები წამოგვეწია, თაობათა ცვლა სწრაფად ხდება, ამ ისტორიულ ვითარებაში მონაწილეები ფაქტობრივად ხელიდან გვეცლებიან.

რაც შეეხება პრესას – რასაკვირველია, პრესა იარსებებს, პრესას არ შეეხება ეს პროცესები, მაგრამ წარმო-

გიდგენიათ რამდენად კომფორტული იქნება ყველა მეცნიერისათვის ის, რომ ყველაფერი შეკრებილი, ყველაფერი ქრონოლოგიურად გაწყობილი, ყველაფერი საწერ მაგიდაზე ედება შინ, არ დაჭირდება ამ მასალის ძებნა. მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მოსახერხებელია, კომფორტულია ყველა ადამიანისათვის, მით უმეტეს ძალიან დატვირთული ადამიანისათვის, რომლისთვისაც ისტორია არ არის პროფესია, მათ ხომ სრულიად სხვადასხვა პროფესია აქვთ. ასეთი დროის დეფიციტის პირობებში, რაც ახასიათებს განსაკუთრებით XXI საუკუნეს, წუთიც რომ გამონახოს დროის და გადახედოს „ქრონიკებს“ – ეს უკვე დიდი ამბავია – ჩვენ ცნობიერებას და, მე ვფიქრობ, ყოველი მოქალაქის სახელმწიფო აზროვნებას წინ წასწევს.

ამიტომ დღეს, აქ წარმოდგენილ ორტომეულს მე ვუწოდებ „მომავლის წიგნს“. ასე ვუწოდებ ამ გამოცემას იმიტომ, რომ, როგორც მე ვფიქრობ, ის მიმართულია სწორედ ჩვენი მომავლისაკენ. ჩვენი მომავალი ისტორიკოსებისათვის ის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, შესაძლებელია ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ჩვენთვის, რომელთა თვალწინ ყველა ამ პრობლემამ, ყველა ამ მოვლენამ გაიარა, ყველა ეს ფაქტი მოხდა.

რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაფერი არ გვახსოვს, ჩვენ ყველაფერი რომ გვახსოვდეს მონაწილეებს, დამხვდურებს, მაშინ ისტორიას რაღა აზრი ექნებოდა. ჩვენი მეცნიერისათვის საჭიროა სწორედ ეს ფაქტები, ეს მოვლენები. ისინი ჯერ უნდა მოვიპოვოთ და შემდეგ უნდა მოხდეს მათი, რასაკვირველია, შეჯერება სხვა წყაროებთან. მხოლოდ და მხოლოდ შეპირისპირებითი მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია ამ ორტომეულის, მე არ ვიცი შემდეგი ტომები გამოვა თუ არა, ღმერთმა ქნას – გამოვიდეს, მათ საფუძველზე რაიმე მონოგრაფიის შექმნა.

რატომ? აბა ვინ იტყვის პირად საუბარში ან ინტერვიუში – მე გადავწვი სამეგრელოში სოფელი დარჩელი? გინახავთ ასეთი კაცი? არავინ არ იტყვის. მე ბევრი ხალხი ჩავიწერე და ასეთი აღიარებითი ჩვენება არავის არ მოუცია. მე კარგად მესმის მათი. მათ ყავთ შვილები, შვილიშ-

ვილები, მეგობრები, კოლეგები. არ არის ადვილი ასეთი რამ განაცხადო საჯაროდ.

აი, მაგალითად პრესა. კი ბატონო, ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენმა ჯგუფმა მოიტანა ჩვენამდე, ერთად შეკრებილი, თავმოყრილი, ქრონოლოგიურად გაწყობილი, როცა ფაქტები მწკრივში ერთმანეთს მისდევს – ეს ძალიან კარგია. მაგრამ ერთ პატარა ფაქტს მოვიტან, მით უფრო, რომ გაფრთხილებული ვარ, რომ უნდა ჩავეციო ძალიან მცირე დროში. აი, რას აცხადებს ერთი დიდი თანამდებობის პირი, „ზაკოს“ სამხედრო ოლქის უფროსის მოადგილე. მე წავიკითხე შაპოშნიკოვის ინტერვიუ ერთ-ერთ გაზეთში, ეს არის საჰაერო ძალების მინისტრი, რომელიც აცხადებდა, რომ „ჩვენი ძალები არ ჩაერევიან საქართველოს სახელმწიფოს საქმეებში. ეს ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ არავითარი საჭიროება არ გავგაჩნია იმისა, რომ ჩავერიოთ. ეს მათი გადასაწყვეტია.“

არ ერეოდნენ? არ იყო რუსის ჯარი? მრავლად შემხვედრია ინტერვიუებში და ოფიციალურ განცხადებებში ასეთი რამ... რა ვქნათ ახლა? მხოლოდ ერთი რამ... სხვა რიგის წყაროები უნდა მოვიხმოთ აუცილებლად და შევეუდაროთ ერთმანეთს. ახლა, ეს სხვა რიგის წყაროები რა არის?

საარქივო მასალა. მე ძალიან მაინტერესებდა რადიო „თავისუფლების“ არქივი. რადიო „თავისუფლებას“ უნიკალური მასალა აქვს. ბატონმა დავით კაკაბაძემ, არაჩვეულებრივმა ადამიანმა და, სხვათაშორის, არა მატყუარამ, იშვიათად შემხვედრია ასეთი ადამიანი, სულ სიმართლე ილაპარაკოს, ამისხნა რა დაემართა ამ არქივს. არქივი შეიკრა, ყველაფერი ჩალაგდა ყუთებში, რა თქმა უნდა, იგულისხმება ქართული რედაქცია, დაიჭედა და მთელი მასალა წავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და დაიკავა ის ფართობი, სადაც იყო მოთავსებული 1918-1921 წლების არქივი. ასეთი გადაწყვეტილება მიუღიათ იმის გამო, რომ 1918-1921 წლების არქივი ჩვენამდე კარგად შეინახა და გადაწყვიტეს, რომ იქ ყოფილიყო ესეც შენახული. ეს არაჩვეულებრივია, მაგრამ ესეც ხომ მომავალი თაობისთვის არის. ჩვენ რა? ჩვენ არაფერი არ გვაქვს. რაც მთავარია,

ასეთია ეს დოკუმენტი, რომ არ აქვთ უფლება გახსნან ეს არქივი, ის ასე უნდა იყოს დაჭედილი – ეს პირადად გაფორმებულ ხელშეკრულებაშია ასახული, ე.ი. არა გვაქვს არქივი.

არის საიდუმლო სამსახურის არქივი, საქართველოდან წადებული სმოლენსკში. აბა, რომელი ჯგუფი წავა ახლა სმოლენსკში ან ვინ გააგზავნის მათ სმოლენსკში ამ საარქივო დოკუმენტებზე სამუშაოდ? ესეც მომავლის საქმეა.

მე გავაკეთე ასეთი დასკვნა – როგორც არ შეიძლება მიმდინარე პროცესების იმავე წამს გადავიტანოთ თეატრის სცენაზე, და ეს ძალიან ნაჩქარევი იქნება, სრულიად უსაფუძვლო და არასწორი, მე ვფიქრობ, რომ ამ პროცესებისადმი მიძღვნილი ნამდვილი, ჭეშმარიტი, პატიოსნად დაწერილი მონოგრაფია ახლა ვერ დაიწერება.

არის კიდევ ერთი საკითხი, ეს ბატონმა ოთარმა ცოტა, ცოტა ძნელია, ბატონო ალექო, ცოტა ძნელია ამ წიგნების გამოყენება. მსოფლიოში არსებობს პრაქტიკა ინდექსების. ჩვენ ახალი ველოსიპედი რატომ უნდა გამოვიგონოთ? ერთი ტომი, საკმაოდ დიდი ტომი უნდა დაეურთოთ ამ ორ ტომს. ღმერთმა ქნას, რომ თქვენ გააგრძელოთ პროექტზე მუშაობა, შესაძლებელია „ვარდების რევოლუციამდე“ გაქვთ ზღვარი დადებული, ბევრი ტომი გამოვა, ძალიან რთული იქნება მათი გამოყენება. საჭიროა ერთ ან რამდენიმე ტომში ინდექსები ან აპენდიქსი განვათავსოთ: არის ასეთი წიგნებიც.

რაც შეეხება ჩანაწერების, ადამიანებთან საუბრის ჩანაწერების შედგენებს..., დღეს ამაზე საუბრის დროს არ არის, დღეს სხვა, სახეიმო ვითარებაა, ჩინებული ორტომეული წარმოგვიდგინეს. ეს პირველი აგურია დადებული ამ საქმეში.

დღეს არ არის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნის არავითარი პირობები. ეს მხოლოდ ბატონ ალექო დაუშვილს შეეძლო. ეს მე მითხრა ახლახანს ბატონმა მიხეილ სამსონაძემ: ვაი, რა გვყავს ეს ალექო, რა გვყავს, რა გვყავს... მართლაც მისი ენერჯია...

პროფ. მ. სამსონაძე – (რეპლიკა ადგილიდან) ეს მე საიდუმლოდ გითხარით, ნუ გააგონებთ, თორემ...

პროფ. ნ. ვაჩნაძე – უფრო მეტი თქვით, არ ვიცი უნდა ვთქვა თუ არა? ვაიმე რაიმე არ მოუვიდეს... (სიცილი დარბაზში), რა იყო, რამე ხომ არ ჭირს – მეთქი. არა, არა, კენჭივით არისო, გამანებე თავი, ამაზე ნუ შელაპარაკებო...

პირველი ადამიანი ნინო თომაძე და თქვენი მონამორჩილი ვიყავით, რომლებმაც შევადეთ ბატონ თენგიზ სიგუას კარი. მანამდე ბატონი თენგიზი არავის არ იღებდა, არ იძლეოდა ინტერვიუს, არ ბეჭდავდა. ეს იყო 2006 წელი, გავიმარჯვეთ გრანტში. ეს პატარა ჯგუფი იყო ოთხი კაცისაგან შემდგარი: ნინო თომაძე, თქვენი მონამორჩილი, ბატონმა დიმიტრი შველიძემ და ჩინებული პროფესიონალი ქალბატონი მაია გურაბანიძე. ჩემთვის მაშინ ძალიან საინტერესო იყო ბატონი თენგიზი. შემდგომში ბატონმა თენგიზმა ბევრი ინტერვიუ მისცა, ტელევიზიაშიც გამოვიდა, შეიძლება გაზეთებში დაიბეჭდა. შესაძლებელია დღეს ყავლი გაუვიდა ყველაფერ იმას, რაც მაშინ მითხრა, მაგრამ ჩვენ ხომ პირველები ვიყავით, ჩვენ უბრალოდ მატერიალური საშუალება არა გვქონდა ყველაფერი ეს დაგვებეჭდა და დღეს ეს დევს «Мертвым грузом», მაგრამ, რა ვიცი, ეგებ გამოქვეყნებაც მოხერხდეს და მაშინ დარწმუნდებით, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო სწორედ 2006 წლის დასაწყისში ბატონი თენგიზის პასუხები. ახლა ბევრი რამ შეიცვალა, სხვათაშორის ბევრმა ადამიანმა შეიცვალა აზრი, ეს ყველაფერი დინამიკაში უნდა იყოს შესწავლილი. მე ვიცი რაღაც მობოდიშების მსგავსი ერთი პოლიტიკური მოღვაწისა, რომელზედაც ამბობდნენ, რომ მან ჩაცხრილა ავტობუსი ახალგაზრდებით სავსე მეტეხის ხიდთან. ახლა ამ დეტალებზე არ ლაპარაკობს, მაგრამ მერე წავიკითხეთ ბევრჯერ იმავე პოლიტიკური მოღვაწის ინტერვიუ სხვადასხვა გაზეთში, რომ „ძალიან ვნანობ, რომ მონაწილეობა მივიღე ამ პროცესებში“.

ეს ძალიან კარგია, მაგრამ იმ ადამიანებს რა? იმათ მშობლებს რა? რომლებიც ჩახოცეს, ავტობუსი გადაწვეს, იმათ რა? იმათ რა ვუთხრათ? რა ვუთხრათ მანანა ხიდაშელს, რა ვუპასუხოთ? კიდევ კარგი, რომ აქ არ გვესწრება...

ყველა ეს საკითხი არის გასააზრებელი. მაგრამ ერთი, სულ პატარა საკითხია... უკვე ბრაზდება ბატონი დავითი... ერთი პატარა საკითხია. ჩემი ერთი შეკითხვა ასეთი იყო:

– ბატონო თენგიზ... (ახლა, ადამიანთან მისული ხარ, ხომ არ დაიწყებ დავასა და კამათს, რა დროს ეგ არის, უნდა მიიღო მისგან მაქსიმალური. ეს მასწავლა მე ბატონმა გიორგი ჩიტაიამ. თუ წაეჩხუბე ველზე, მაგალითად, ხეესურს ან რომელიმე სხვა კუთხის შვილს, არ უნდა და არ გაძღვეს მასალას და მორჩა და გათავდა. ველზე მუშაობას ჰგავს ეს. ძალიან გამომადგა, ღმერთო აცხონე მისი სული, ბატონი გიორგი ძალიან გამომადგა)... თქვენ რატომ არ დახვდით ბატონ ედუარდს?

– ხო, არ დახვდით! (მიპასუხა)

– რომ არ დახვდით, ვიცი, რატომ არ დახვდით? არ გეწყინოთ, შეიძლება უტაქტოდ მომივიდეს, პრეზიდენტობაზე ხომ არ ფიქრობდით?

– არაო, – მითხრა, – ნამდვილად არა ვფიქრობდიო. არ ვიყავი მოწადინებული, რომ ბატონი ედუარდი ჩამოსულიყო.

ასე მიპასუხა მაშინ. ეს ყველაფერი ჩაწერილია 2006 წელს, ყველაფერი გაშიფრულია და ყველაფერს მიცემული აქვს შესაბამისი ფორმა.

მაია გურაბანიძე, როდესაც დაუკავშირდა ბატონ თენგიზ კიტოვანს, იმასაც დაეუხსვით იგივე შეკითხვა, ძალიან ფრთხილად...

– თქვენ არ გინდოდათ აეროპორტში დახვედრა?

მე წინასწარ შევისწავლე ეს საკითხი და ვიცოდი, რომ დახვედრა არ უნდოდა.

– ხომ არ გინდოდათ პრეზიდენტობა?

– არავითარ შემთხვევაში, პრეზიდენტობა მე არ მინდოდა.

– აბა, რატომ არ გინდოდათ დახვედრა?

– ვინ გითხრათ ეს სისულელე, მე ხომ დავხვდი.

მაგრამ მე მყავს ჩაწერილი ერთი ადამიანი, როგორც ჩანს ახლობელი, რომელიც მიყვებოდა: „მივარდიო, ეძინაო, ქეჩოში რომ მოვიკიდე ხელი – წამოვაყენე, შევაგდე მანქა-

ნაში და ვუთხარი – არა გრცხვენია, ახლა რა დროს ძილია, როცა ბატონი ედუარდი მოფრინავსო“.

ე.ი. დახვდა, მაგრამ დიდად მოწადინებული არ იყო. აი, ასეთ პასუხებთან გვაქვს საქმე ხშირ შემთხვევაში. 78 შეკითხვა დავუსვი მე ბატონ თენგიზს. ახლა მე არ ვიცი გამოვაქვეყნებთ თუ არა ჩემს შეკითხვებს და მის პასუხებს. ეს უკვე სხვა საკითხია.

დინამიკაში უნდა განვიხილოთ ყველა ადამიანის მოღვაწეობა, მისი აზრები. კი ბატონო, აზრი იცვლება, 4-5 წელიწადში კი არა, 19-20 წლის წინანდელი ამბავი რომ მოხდა, და ამ მოვლენების შუაგულში რომ იყო, ახლა ხომ შეიძლება მან შეიცვალოს აზრი. აზრის შეცვლა ხომ არ არის აკრძალული? მაგრამ ეს ყველაფერი თუ ისტორიკოსმა დინამიკაში არ განიხილა, არც არაფერი გამოუვა.

მთავარი რა არის?

მთავარი ის არის, რომ შეცდომა ყველა ადამიანს შეიძლება მოუვიდეს, ერთ მხარეს, მეორე მხარეს, შეიძლება მესამე მხარეც გამოჩნდეს და მეათეც... შეცდომებისაგან არავინ არ არის დაზღვეული. რომ ავწონოთ ეს შეცდომები, კარგად უნდა დაუგვირდეთ – ვისმა შეცდომებმა მოუტანა უდიდესი ზიანი სახელმწიფოს, ე.ი. რა მიიღო ქართველმა ერმა და ქართულმა სახელმწიფომ, ვისი დანაშაულია მეტი.

დღეს საამისო ადგილი არ არის, საამისო დროს არ არის.

მე ვულოცავ ჩვენს სამეცნიერო ცენტრს, ვულოცავ ბატონ დავითს ვულოცავ ამ პატარა ჯგუფს... მე მიმანია, რომ ეს ჯგუფი ძალიან პატარაა იმისათვის, რომ ამხელა პრობლემა ასწიოს. და სულ ცოტას გეტყვით, ერთი წინადადებით... თქვენ მაინც ძირითადად, გარდა აჭარისა და აფხაზეთისა, თბილისის პრესა გაქვთ გამოყენებული? არა? ხომ ასეა? შეიძლება მე ვცდები? გასაგებია..., მაგრამ ოცნებაც ხომ შეიძლება? ვიოცნებოთ... ერთ ტომი პროვინციის გაზეთებიც შემოვიტანოთ აუცილებლად. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაფერი არ შემოდის ცენტრალურ პრესაში სხვადასხვა მიზნით. ჯერ ერთი, ყველა ადამიანს თავში პატარა ცენზორი უხის. დიდი ცენზორები გაზეთების თავ-

ში სხედან და კიდევ უფრო დიდი ცენზორები – სახელმწიფოს სათავეში არიან. ამიტომაც ყველაფერი ზუსტად ცენტრში არ მოდის. მე ვფიქრობ, პროვინციის გაზეთებში ეს ფაქტები, მოვლენები მოთხრობილია გაცილებით უფრო საინტერესოდ და დაწვრილებით არის მოცემული, ვიდრე დედაქალაქის გაზეთებში.

გილოცავთ კიდევ ერთხელ და დიდი მადლობა.

აკად. დ. მუსხელიშვილი – დიდი მადლობა, ქალბატონო ნათელა. ახლა სიტყვას გადავცემ პროფ. დიმიტრი შველიძეს.

პროფ. დიმიტრი შველიძე – მოგესალმებით მეგობრებო. ძალიან მოსახრული ვარ, რომ ჩემზე ადრე პატივცემულმა მომხსენებლებმა თითქმის ყველაფერი აღნიშნეს.

ამიტომ ერთ-ორ გარემოებაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ძალიან საინტერესო საქმე გაკეთდა. პირველ რიგში მოგესხენებათ, რომ ისტორიკოსები ისეთ ისტორიულ მოვლენას სწავლობენ, რომელიც დაცილებულია თანამედროვეობას, ერიდებიან დღევანდელ მომხდარ მოვლენებზე მუშაობას. ეს საუბრებით ბუნებრივია. მე რა მაქვს მხედველობაში: ხანდახან ისტორიკოსი ხელს ჰკიდებს ისეთ მოვლენას, რომელიც ჯერ კიდევ ისტორიის კუთვნილება არ გამხდარა. აი, სწორედ ასეთი მოვლენების რიგს განეკუთვნება 1991-1992 წლების ამბები. ეს 20 წლის წინ მომხდარი მოვლენები ნახევრად პოლიტიკურ სფეროს განეკუთვნება. მაგრამ ერთი რამ არის ყველაზე მნიშვნელოვანი: ისტორიკოსის საქმიანობა რითია საინტერესო? წარსულის შესახებ დაგროვილი ცოდნა და ეს ცოდნა, პირველ რიგში, უნდა გამოიყენოს მომავალმა თაობამ, შთამომავლობამ.



საქართველომ არა ერთხელ, მართალია, არც ისე ბევრჯერ, მაგრამ ერთხელ აშკარად უკვე გამოსცადა, თუ რა არის ისტორიული ცოდნის დაკარგვა. მე მხედველობაში

მაქვს 80-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობა და საერთოდ მაშინდელი პოლიტიკური ელიტა, რომელმაც სხვადასხვა მიზეზთა გამო არა უწყობდა რა მასზე ადრინდელი თაობების პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. მე კარგად მახსოვს მაშინდელი ჩვენი პოლიტიკოსების გამოსვლები. ისინი ძირითადად ეყრდნობოდნენ, მე ეროვნული იდეოლოგია მაქვს მხედველობაში, ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძეს, აკაკი წერეთელს და 60-იანელთა გამოცდილებას. მაგრამ 60-იანი წლების თაობას პოლიტიკური გამოცდილება არა ჰქონდათ. მათ ჰქონდათ კულტურულ-ეროვნული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამოცდილება, რადგან მაშინდელი რუსეთის იმპერია მათ ამის საშუალებას არ აძლევდა. სწორედ ამიტომ ილია ჭავჭავაძის მთავარი ამოცანა ქართველ ხალხში თვითცნობიერების დამკვიდრება იყო. შემდეგ 90-იან – 900-იან წლებში მოვიდა ახალი თაობა – ილია ჭავჭავაძის და 60-იანელების იდეოლოგიურ საფუძვლებზე აღზრდილი.

1900 და 1910 წლების გამოცდილება, რომელმაც თავი მოიყარა 1918-1921 წლების „პატარა ოქროს ხანაში“, საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ნაკლებად ჰქონდათ გასიგრძეგანებული. და საერთო, პოლიტიკურ ელიტას: მე მხედველობაში არა მაქვს მარტო ოპოზიცია, ხელისუფლებაც და ოპოზიცია, ამ გამოცდილების გარეშე დარჩა. ერთ-ერთი მიზეზი არეულობებისა და სამოქალაქო დაპირისპირებისა გახდა ის, რომ დაიკარგა ისტორიული ცოდნა ჩვენი წინაპრების სწორედ იმ დიდი გამოცდილებისა.

სწორედ ამ კუთხით მიიწია მიუზღვე დღევანდელ წარმოდგენილ ნაშრომს. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ დავიწყებული, გადავიწყებული არა გვაქვს ეს გარდასული მოვლენები. მაგრამ ისტორიკოსის შრომა მარტო თვითმხილველებს ვერ დაეყრდნობა, ის უნდა ემყარებოდეს წყაროებს, დოკუმენტებს. აქ ქალბატონმა ნათელა ვაჩნაძემ სავსებით სამართლიანად აღნიშნა ეს ყველაფერი. ეს მასალა, რომელიც დღეს წარმოადგინა ავტორ-შემდგენელთა ჯგუფმა, მართლაც კარგ ბაზად შეიძლება გამოდგეს იმ მეცნიერი მკვლევარისათვის, რომელიც ხვალ გადაწყვეტს 1991-1992

წლების, და საერთო ამ დრამატული მოვლენების შესწავლას. მას კი მერე დაეხმარება, დაეხმარება კი არა – ძირითად ბაზად ამოუდგება მხარში დოკუმენტური მასალა, არქივი, ამის შესახებაც იყო საუბარი, უკვე შევსებული იქნება იმითი, რასაც წყაროთმცოდნეობითი ბაზა ჰქვია.

ამ კუთხით მინდა შევაფასო და მივსაღმო დღევანდელ წარმოდგენილ ნაშრომს და კვლავ მინდა ერთი რამ აღვნიშნო – კარგია, როცა დღეს ამ ნაშრომის განხილვას ესწრებიან ისტორიკოსები, მეცნიერთა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, მაგრამ ვისურვებდი, რომ ეს წიგნი დღევანდელმა პოლიტიკურმა ელიტამ გაიცნოს, მე ვგულისხმობ როგორც ოპოზიციას, ისე ხელისუფლებას. პირველ რიგში მათ უნდა ისწავლონ ეს გაკვეთილები, რომელიც ჩვენ 20 წლის წინ მივიღეთ. სხვანაირად ისინი ისეთივე დარჩებიან, მოხდება ის, რაც 20 წლის წინ დაგვემართა და ჩვენს ქვეყანაში არაფერი არ გამოსწორდება. მადლობა ყურადღებისათვის.

აკად. დავით მუსხელიშვილი – ბატონებო, ამით დასრულდა წინასწარ ჩაწერილი მომხსენებლების გამოსვლები. დამსწრეთაგან ხომ არავის სურს გამოთქვას აზრი? სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს ნოდარ ნათაძეს ვთხოვთ.

საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, პროფ. ნოდარ ნათაძე – ჩემი სათქმელი, პირველ ყოვლისა, ქალბატონ ნათელა ვაჩნაძის გამოსვლის კონტექსტში უნდა აღვიქვათ. ამ ორი ტომის გადაჭარბებული შეფასება შეუძლებელია. ვინც არის ამის ბენეფიციარი, ამ დიდი საქმის ბენეფიციარი, ეს არის ორი კატეგორიის ადამიანი.

პირველი – ეს არის დღევანდელი მკვლევარია, რომელსაც ავტორებმა კომფორტი შეუქმნეს თავისი კვლევისთვის.

მეორე – ეს არის მომავალი მკვლევარი და ერის მომავალი მესვეური, რომლებიც მადლიერები უნდა იყვნენ და იქნებიან კიდევ, რომ ეს ყველაფერი არ დაიკარგა და ფიზიკურად შემოინახა.

თუ პირველი კატეგორიის მადლიერებზე ვილაპარაკებთ, აქ სრული კომფორტისათვის ბევრი აკლია. პირველ ყოვლისა, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ფონი, რომელშიც საქარ-

თველო იმყოფებოდა, უნდა ვიცოდეთ საზღვარგარეთული პუბლიკაციები საქართველოს შესახებ. მე კომპარატივით მახსოვს რა იწერებოდა მაშინ გერმანულ პრესაში: ტრიუმფით, სიხარულით წერდნენ: „საქართველოს ეკონომიკური უძღურების“ შესახებ. უხაროდათ ამის შესახებ წერა. ისე, რომ ის კარიკატურული ფაქტი, როცა მთავრობის სასახლეზე გამოფენილი იყო ლოზუნგი „ძირს ჯორჯ ბუში“, ეს, რა თქმა უნდა, აგენტურული ნამუშევარი იყო, მაგრამ ამის შემდეგ შეიძლება უფრო გავიგოთ იმ საცოდავი დედაკაცებისა, რომლებიც ამას გულწრფელად ფიქრობდნენ და ამ ლოზუნგებს ჰკიდებდნენ.

გარდა ამისა, მკვლევარს ფონად აუცილებლად უნდა ჰქონდეს იმდროინდელი რუსული დოკუმენტაცია, პირველ რიგში იურიდიული დოკუმენტაცია, სხვადასხვა ბრძანებულებები, სხდომების ოქმები, რაც საკავშირო მთავრობაში ხდებოდა, იმისი ამსახველი მასალა. იმიტომ, რომ თუ არ გაიგე მტრის მოქმედება, რეაგირების ლოგიკას ვერ გაიგებს.

ძვირფასო მეგობრებო, არის ორი პუნქტი, რომელშიც მეორე ამოცანა და პირველი ამოცანა ამ წიგნისა თანხვედრილია. საჩქაროა, იმიტომ რომ მოსაპოვებელია, ამას ფინანსად არავინ დაგვიდებს. მოსაპოვებელია, ჯერ ერთი, საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის სხდომების ოქმები, რათა გავიგოთ დინამიკა იმ მარაზმისა, იმ პროგრამისა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს განადგურებას. ეს ყველაფერი სწორედ ამ სხდომებში ჩანს. ეს ეხება უკლებლივ ყველა უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას, რომლებიც კი 90-იან წლებში საქართველოში შეიქმნა.

და მეორე – ათასნაირი ფურცლაკები ვრცელდებოდა, ათასნაირი პარტიული დადგენილებები, ზოგიერთი, 9/10 სულელური, 1/10 – ჭკვიანური. რომ გავიგოთ ვითარება, უნდა გავითვალისწინოთ ეს ყველაფერი.

მახსენდება, ეს ჯერ კიდევ კომუნისტების დროს იყო, ერთხელ დამირეკეს ტელევიზიიდან – ერთი გერმანელი, საოცრად აგრესიული, კაცი მოდის და შეხვდით. მოვიდა ის კაცი. სულ არ იყო აგრესიული. ერთი კითხვა დამისვა – არის თუ არა მზად ქართული საზოგადოება დემოკრა-

ტია შეირგოსო? მე, ტყუილი ვუთხარი თუ მართალი, ვუთხარი – არის მეთქი. იმიტომ, რომ საქართველოს ისტორია – დემოკრატიის ისტორიაა. საქართველო ცხოვრობდა ფეოდალიზმის პირობებში, ხოლო ფეოდალიზმი დემოკრატიაა დესპოტიასთან შედარებით. ასე ცხოვრობდა საქართველო 4/5. 1/5 ცხოვრობდა მთის დემოკრატიის პირობებში. მაგრამ შევატყვე, რომ მას სურდა ჩვენი სიმწიფის შემოწმება, ჩვენი დემოკრატიული მისწრაფებების, ასე ვთქვათ, დემოკრატიული ინსტიტუტების ტექნიკური მხარის შემოწმება, გვაქვს თუ არა ჩვენ დემოკრატიის ორგანიზაციული ფორმები სწორედ გააზრებული, რომლის საშუალებითაც ეს ყველაფერი უნდა მოხდეს.

ჩემი დიდი სურვილია, თუ ეს გრანტი გაგრძელდება და, ღმერთმა ქნას, ის გაგრძელდეს და იმუშაოს ამ ჯგუფმა, აქცენტი გაკეთდეს სწორედ ასეთი მასალის მოპოვებაზე, რაც ავარიულად საჩქაროა.

აი, მე მაქვს გამოცემული ერთი ოქმის ტექსტი, რაც მე დიდი გარჯით მოვიპოვე. ეს არის სტენოგრამა საქართველოს პარლამენტის ყველაზე სამარცხვინო, 1994 წლის 1 მარტის სხდომისა, რომელზეც ე. შევარდნაძემ საქართველოს „დსთ“-ში შეათრია. გიტოვებთ, შეიძლება გამოგადგეთ. დიდი მადლობა ყურადღებისათვის.

აკად. დავით მუსხელიშვილი – სიტყვაში გამოსვლის მსურველი აღარ ჩანს. ვთხოვთ სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელს, პროფ. მიხეილ სამსონაძეს.

პროფ. მიხეილ სამსონაძე – უდიდეს მადლობას მოვახსენებთ, რომ მობრძანდით, უფრო დიდ მადლობას მოვახსენებთ მათ – ვინც თავისი აზრი გამოთქვა, კიდევ უფრო დიდს – ვინც გაგვაკრიტიკა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამ კრიტიკას ჩვენ მივიღებთ ძალიან გულწრფელად, ძალიან საღად, ძალიან ბევრს ვიფიქრებთ ამაზე და რისი გაკეთებაც შეიძლება, აუცილებლად გავაკეთებთ, ამ მიმართულებით ინტენსიურად ვიმუშავებთ. იმედი გვაქვს, რომ ეს სამუშაო გაგრძელდება. მართალია, ეს მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ეს „მაგთიკომის“ პროექტია, რომელიც იმედი მაქვს გაგრძელდება.

აქ ისეთი შენიშვნებიც იყო, რომელთა შესრულება დღესდღეობით მოუხერხებელია. მაგალითად, ძალიან სწორად გაგვაკრიტიკა მომხსენებელმა, რომ საჭიროა საძიებელი. დიახ, საძიებელია საჭიროა. ალბათ, რომ დავასრულებთ მუშაობას, ამას მერე გავაკეთებთ. საძიებლის გაკეთება ერთი ტომის გაკეთების ტოლფასია, უფრო რთულიც არის. საერთოდ, ჩვენ ამ საქმეს რომ ვიწყებდით, იყო სურვილი ამის შესახებ, მაგრამ არ ვიცოდით როგორ დაგვეწყობო, არც მეთოდი იყო, არც მაგალითი, არც ანალოგი გვქონდა არა მარტო საქართველოში, არამედ სხვაგანაც არ გამოგონია მსგავსი ნაშრომის შესახებ.

ურთულესი ამოცანის წინაშე ვიდექით – ამ ზღვა მასალიდან უნდა ამოგვეკრიფა რაღაც ნაწილი მოვლენებისა, ისინი ერთმანეთზე უნდა გადაგვება, რომ სწორად დახატულიყო საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ისტორიის ნათელი სურათი.

ამ პრობლემებს და წვალებას ბევრმა ვერ გაუძლო, ვერ გაუძლეს ჩვენს ტემპს. ამის გამო სამი თანამშრომელი გამოეცვალეთ. ვინც შეასრულა და დაასრულა სამუშაო – ისინი ნამდვილი თავდადებული გმირები არიან. მე არ მომწყინდება მათი დასახელება, თუმცა ისინი აქ უკვე ახსენეს, ესენი არიან: მაია თადეუმაძე, ნინო თომაძე, გურამ მაისურაძე, ალექსანდრე დაუშვილი და თქვენი მონამორჩილი. აუცილებლად საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ანა რუაძის დამსახურება. ის ჩვენი ოპერატორია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩვენს საქმიანობაში.

სამადლობელო ბევრია. ყველას დიდ მადლობას მოგახსენებთ და გაძლევთ პირობას, რომ თუ მოგვეცემა საშუალება, ამას ჩვენ გავაგრძელებთ, შევეცდებით გავაკეთოთ ისე, როგორც თქვენ გვიკარნახეთ. ყველა შენიშვნა გამოთქმული თქვენს მიერ მე სამართლიანად მიმანია, მაგრამ დგას საკითხი – რამდენად შესრულებადია ეს ყველაფერი. ამაზე დიდი დაფიქრება გვჭირდება.

კიდევ ერთხელ უდიდესი მადლობა.

აკად. დავით მუსხელიშვილი – ბატონ ალექსანდრე დაუშვილს ვთხოვ სიტყვას.

პროფ. ალექსანდრე დაუშვილი – ძვირფასო კოლეგებო, ძვირფასო სტუმრებო, სცენარით მე მკვლავა მადლობა გადავუხადო იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებმაც გაითავისეს ჩვენი საქმე და მხარში დაგვიდგნენ. მე დავიწყებ თავიდან: ჩვენ მოსაწვევები დავუგზავნეთ ორგანიზაციების ძალიან დიდ სპექტრს: ოფიციალურ დაწესებულებებს, პოლიტიკურ პარტიებს, სამეცნიერო ორგანიზაციებს, პრეზიდენტსაც კი, რა თქმა უნდა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, მის მოადგილეებს, მაგრამ თქვენც შეამჩნევდით, რომ ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები არ გვესტუმრნენ – ძალიან დაკავებულნი არიან. მაგრამ მე არ შემიძლია სიხარულით არ აღვნიშნო, რომ ჩვენ მხარი დაგვიჭირეს და დღეს ჩვენთან არიან საქართველოს პოლიტიკური სპექტრის თვალსაჩინო წარმომადგენლები. აი, ბატონ ნოდარ ნათაძე გამოვიდა – სახალხო ფრონტის ხელმძღვანელი. რა თქმა უნდა, მისი აზრი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ის ის არა მარტო მონაწილეა იმ მოვლენებისა, არამედ მისი შემფასებელიც არის და მის მოსაზრებებს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

მე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ტრადიციონალისტების პარტია, მისი ლიდერი, რომელიც დღეს აქ ბრძანდება, ძალიან დიდი ხანია დაინტერესდა ამ ნაშრომით, ჯერ კიდევ მაშინ, პირველი ტომი რომ გამოქვეყნდა. ბატონო აკაკი ასათიანი დღეს აქ გვესწრება, ამისათვის მას დიდი მადლობა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ დღეს გვესწრებოდნენ და გადაუდებელი საქმეების გამო ბოლომდე ვერ დარჩნენ პოლიტიკური პარტიების „ახალი მემარჯვენეებისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლები. ქალბატონი მანანა ნაჭყებია გვესწრებოდა და თავისი პარტიის სახელით ნდობა და თანადგომა გამოგვიცხადა.

ეს იმის მანიშნებელია, რომ, რომ საქართველოში ქართველოლოგიური მეცნიერება აინტერესებთ პოლიტიკური პარტიების გარკვეულ სეგმენტს.

ის ჭეშმარიტება, რომ ჩვენ დღევანდელ ხელისუფლებას მეცნიერება არ აინტერესებს, ეს უკვე აქსიომაა და მას დღევანდელი მათი მოუსვლელიობაც ადასტურებს.

მე აუცილებლად დიდი მადლობა უნდა გადავუხადო იმ ორგანიზაციას, რომელთანაც ჩვენ დიდი ხანია ვთანამშრომლობთ და თითქმის ყველა ჩვენი გამოქვეყნებული ნაშრომი იქ არის დაბეჭდილი. ეს არის გამომცემლობა „უნივერსალი“ და მისი ხელმძღვანელი ბატონი გოჩა ხარებავა.


აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჩვენი თითქმის ყველა ნაშრომის დიზაინერის მედეა მაზანიშვილის ღვაწლი. მან ბოლო წლებში ყველა ჩვენი ნაშრომი გააფორმა და დღევანდელი ორტომეულიც მან მოგვიმზადა. ეს არის ახალგაზრდა, პერსპექტიული, იტალიაში სტაჟირებაგავლილი შემოქმედი. მან ყველა ჩვენი ჩანაფიქრი აგვიხდინა. მისი დახმარებით სხვა მნიშვნელოვან ნაშრომებსაც ვგეგმავთ.

ყველას უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო და როგორც ამ შემოქმედებითი ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, მინდა დაგარწმუნოთ – ყველა თქვენს რჩევას ქალბატონო ნათელა, ბატონო ნოდარ, ბატონო ოთარ აუცილებლად გავითვალისწინებთ, რადგან ისინი ანგარიშგასაწვევი და მისალეობია. დიდი მადლობა.

აკად. დავით მუსხელიშვილი – მეგობრებო, მოდი ამით დავამთავროთ ჩვენი დღევანდელი სხდომა. მეც მინდა დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ მოვუხადო მადლობა, რომ მობრძანდით და დააფასეთ ამ ჯგუფის შრომა. მე მინდა განსაკუთრებით ხაზი გავუსვა, რომ ის რაც გაკეთდა და რაც პერსპექტივაში გაკეთდება, ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს, ჯერ ერთი, თანამედროვე თაობისათვის, რა თქმა უნდა, მომავლისათვისაც, რადგან შეფასებები იმ მოვლენებისა, რომლებიც ასახულია ამ ორტომეულში, ჩემის აზრით, მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ამ დოკუმენტებს ქმნიდნენ და ამ დოკუმენტებში ასახულია მათი მაშინდელი მოღვაწეობა. გარკვეული ინტერესი, რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა იყოს – ადამიანი უნდა იყოს დაინტერესებული, თუ როგორ ფასდება მისი მოღვაწეობა. ამიტომაც დიდი მადლობელი ვარ იმ ადამიანებისა, ვინც იმ პერიოდში აქტიურ

მოღვაწეობას ეწეოდა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ ესმოდათ რას აკეთებდნენ და, ბუნებრივია, აინტერესებთ თუ როგორ ფასდება მათი მოღვაწეობა დღეს.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზაცია „მაგთიკომს“, რომლის დახმარებით მოხერხდა ამ ნაშრომის მომზადება და გამოცემა. დასამალი არ არის, რომ თვით ინიციატივა ასეთი ნაშრომის შექმნისა „მაგთიკომის“ ხელმძღვანელობიდან მოდის. ვიმედოვნებთ, რომ ეს თანამშრომლობა გაგრძელდება. ასეთი ნაშრომების პუბლიკაცია, რომლებიც, როგორც დღევანდელმა განხილვამ დაადასტურა, შეფასებულია დადებითა, აუცილებლად საჭიროა და მასზე მუშაობა გაგრძელდება მომავალშიც. თქვენ კი, ძვირფასო სტუმრებო, დიდი მადლობა მობრძანებისათვის.



ბიოგრაფიული ბიოგრაფია

**საცა არა სჯობს...
(პასუხი ნელი ბრეგაძეს – „სტატიაზე „თამადა“ გამოსმაურების გამო“)**

ამთავითვე მინდა განვმარტო, რომ პასუხს ქ-ნი ნელი ბრეგაძისათვის „სტატიაზე „თამადა“ გამოსმაურების გამო“ („ანალები“, 2010, №6), ანუ პასუხის პასუხს ნამდვილად არ ვაპირებდი, მაგრამ მისმა არცთუშეზღუდულმა ტონმა, ზოგიერთმა გამონათქვამებმა, დიდაქტიკურმა შეგონებამ და ბრალდებამ იმისა, რომ მე ძალიან ხშირად ვცდები, არასწორად ვუთითებ ანუ „ვამახინჯებ“, ავტორის (ნ. ბრეგაძის) ნააზრევს, ჩავატარე ტერმინების ძიებასთან დაკავშირებით რაღაც „ოპერაციები“, ვარ ჯიუტი და არ მეთმობა არჩეული ვერსია, მის სტატიაზე გამოსმაურება კი ჩემი მოსაზრებების პოპულარიზაციისათვის გამოვიყენე და სხვ., მაიძულა რამდენიმე განმარტება კვლავ გავაკეთო და ქ-ნი ნელისა არ იყოს, ვწუხვარ, რომ ნაწილობრივ ზოგი რამის გამეორება მომიწევს.

ვიდრე კამათზე გადავიდოდე, მინდა ჩემს ოპონენტს, ცნობილ მეცნიერსა და უფროს კოლეგას (რომლის გვერდითაც 30 წელზე მეტი ვითანამშრომლე) ვუთხრა, რომ მიუხედავად გარკვეულწილი წყენისა თუ გულის ტკივილისა, მე მადლიერი ვარ მისი ყურადღებისა, იმისა, რომ ის გაეცნო ჩემს მონოგრაფიას („კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში“, თბ., 2007), ასევე მისი სტატიისადმი „თამადა“ გამოსმაურებას და რეაგირების გარეშე არ დატოვა იგი*.

* გ. გოცირიძე, კვლავ თამადის შესახებ (გამოსმაურება ნ. ბრეგაძის სტატიაზე „თამადა“, ანალები, 2009, №5. იხ. აგრეთვე, ნ. ბრეგაძე, თამადა, ანალები, 2008, №3.

ავტორი თავის პასუხში კიდევ ერთხელ აყენებს საკითხს ტერმინ „თამადის“ წარმომავლობის, მისი გავრცელების და ბერიკაობა-ყვენობის მთავარ პერსონაჟ თავბერიკასთან სუფრის ხელმძღვანელის ანუ თამადის შესაძლო კავშირზე, რაც მე როგორც წინარე წერილში (გამოხმაურებაში ვწერდი) საინტერესოდ, საყურადღებოდ და ანგარიშგასაწვევად მიმაჩნია.

ხოლო რაც შეეხება თავად ტერმინს – „თამადას“, პირველი რასაც ქ-ნი ნელიც იზიარებს ესაა ამ სიტყვის არა ქართული წარმომავლობა, რომ ის გვიანაა ქართულში შემოსული და დამკვიდრებული. ვგონებ ოპონენტი იმაშიც გვეთანხმება, რომ ეს ტერმინი ქართულ ლექსიკონებში დაახლოებით XVIII საუკუნის შემდეგ გვხვდება და რომ მანამდე ის სულხან-საბა ორბელიანსაც არა აქვს განმარტებული. მე ჩემს მონოგრაფიაში და ცალკე სტატიაშიც ვწერდი, რომ მიუხედავად ტერმინის სადაურობისა თამადობის ინსტიტუტი ძველია, ხოლო სუფრის ხელმძღვანელის ანუ თამადის აღმნიშვნელი ტერმინი მის წინარე ძველ ქართულ სიტყვას „პურის უფალს“ უნდა ჩანაცვლებოდა, თუმცა ქ-ნი ნელი კონკრეტულად ამ საკითხზე (პურის უფალზე) მსჯელობას ერიდება და თავის კვლევას სულ სხვა მიმართებით წარმართავს, რაზეც ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.

დავუბრუნდეთ ტერმინ „თამადას“ წარმომავლობას. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ორი ვერსია: 1. სპარსულიდან ნასესხობისა. ვ. აბაევის მიხედვით, სპარსულად *damad* სიძეს ნიშნავს (აბაევი, 1979), რომელსაც დაუზუსტებელი ინფორმაციით იზიარებდა მ. ანდრონიკაშვილიც. დაახლოებით ასევე ფიქრობენ ირანისტები მ. თოდუა, ნ. ბართაია (იხ. გოცირიძე, 2007, 296).

2. ჩრდილო კავკასიური ენებიდან, კერძოდ ადიღეური „თჰამად“ – *thamad*-იდან გავრცელებული. ამას იზიარებს ლოპატინსკი, კერაშევა და სხვა ავტორები. ეს უკანასკნელი სარწმუნოდ მიაჩნია ნ. ბრეგაძესაც. სიზუსტისთვის კვლავ აბაევის განმარტებას მოვიტან: «Тамادا – распорядител пирушки; через ряд промежуточных инстанции воисходит к Персидскому *damad*, зять, жиних. На Кавказе жиниху охотно

поручают организационные и распорядительные хлопоты на пирушках (хочещ получить девушку покажи на что ты способен). Отсюда развитие значение жениха – распорядитель пирушки. Слово вошло в адыгские языки (через турец. *damat*, зять, жених).

Адыг. *thamada* 1. старший; 2. жених, ухажер (Очерки Кабардино-Черкесской диалектологии, Нальчик, 1969 г. стр. 349), 1. старшина, 2. председатель аулсовета, 3. Тамада... Из адыгского идет груз. *tamada* «распорядитель пирушки»; Из грузинского – русск. тамада и осет. *tamada* значения «старший», «старшина», «отец мужа» развились на Адыгской почве несамненно потому что вторая часть слова *ada* – стала осмысляться как *ada* – «Отец». Однако исходное значение «жених» не было забыто, она сохранилось в говорах» (აბაევი, 1979, 227).

ამრიგად ვ. აბაევი, რომელიც როგორც ნ. ბრეგაძე შენიშნავს, „არაა შემთხვევითი მკვლევარი“ გამოკვეთილად აღნიშნავს ამ სპარსული ტერმინის („*damad*“) ადიღეურში თურქულის გზით შესვლის თაობაზე, რომელიც მისივე სიტყვებით მერე იქნა გადააზრებული სხვა და სხვა დიალექტებში (იგივე ყაბარდოულსა და ჩერქეზულში) და ქართულშიც შემოღწეული. მაგრამ მისგან განსხვავებით ზ. კერაშევა (რომლის წერილიც ჩემთან ინახება) თვლიდა, რომ „თამადა“ უფრო ყაბარდოულ სიტყვა „*tamat*“-ს შეესატყვისება.

ერთი შეხედვით აქ თითქოსდა გასაკვირი არაფერია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩრდილო კავკასიელ ავტორებთან ურთიერთგამიჯნული ჩანს სპარსული *damad* (სიძე) და ადიღეურ-ყაბარდოული „*tamat*“ („უფლის მამა“ ანუ „მამა უფალი“). ეს კი რიგ ავტორებს (მათ შორის ნ. ბრეგაძეს) უქმნის საფუძველს, რომ ტერმინი თამადა ადიღეურიდან შემოსულად მიიჩნიოს (ან უფრო სწორედ ამ ვერსიას მიემხროს). პირადად ჩემი დამოკიდებულება უფრო სპარსულისკენ იხრება, რადგან ჯერ ერთი თუ ის ჩრდ. კავკასიურის გზით შემოვიდა, რატომ არ მოხდა ეს გაცილებით ადრე XVIII საუკუნემდე, როცა ჩვენში როსტომ ხანის რეფორმის შემდეგ სპარსული ტერმინები ჭარბად მკვიდრდება? და მეორეც რატომ არ შეიძლებოდა ის პირდაპირ სპარსულიდან შემოსულიყო ქართულში? მიუხედავად იმისა *damad* სიძეს

აღნიშნავს თუ ლხინის მეთაურს? ანდა რატომ არ შეიძლება მქონდეს ასეთი ვერსიის გაზიარების უფლება?

სპარსულ თამადასთან („damad“) დაკავშირებით მე მქონდა მეორე ვერსიაც, მხოლოდ სავარაუდო და ჰიპოთეზური და არა კატეგორიული. კერძოდ ეს ეხებოდა იმ გარემოებას რომ XVII საუკუნის პოლანდიელი მოგზაურის ადამ ოლეარიუსის თხზულებაში მოხსენიებულია ირანის (სპარსეთის) სახელმწიფო მოხელის (კანცლერის, ქონების გამგებლის) თანამდებობა – „ეთემად დოფლე“ (დოფლათ//დავლათ ქონებას ნიშნავს, ხოლო „ეთემად“ ან „ეთამად“, ძალიან წააგავს ე თავსართის მოცილებით სიტყვა თამადას (გოცირიძე, 2007, 299). ვეთანხმები ოპონენტს, რომ ეს ცოტა არ იყოს გულუბრყვილო მსჯელობაა და ტერმინის სემანტიკური შინაარსის და იდენტობის დასადგენად არაა საკმარისი, თუმცა გულუბრყვილობა ყოველთვის როდია სათაკილო; ვიმეორებ, ეს არ იყო ე. წ. კატეგორიული მოსაზრება, არამედ მხოლოდ ვარაუდი, ჰიპოთეზა და ქნი ნელი პირველი არ არის ვინც ამ ვარაუდს არ ეთანხმება.

ამრიგად ყოველივე ზემოთთქმული ეხება ტერმინის ეტიმოლოგიას, რაც, რა თქმა უნდა, არ არის ჩვენი (არც ჩემი და არც ქნ ნელის პრეროგატივა, რასაც იგი თავადაც აღნიშნავს), მაგრამ მთავარი მაინც ეს არ არის. მთავარი ჩემთვის ის იყო, რომ მიუხედავად ტერმინის წარმომავლობისა და სადაურობისა (სპარსულია იგი თუ ადიღეურ-ყაბარდოული) დამედგინა თუ რამდენად იყო თამადობის ინსტიტუტი ჩვენში ძველი და რამდენად გააჩნდა საკრალური ბუნება ამ პერსონაჟს – სუფრის ხელმძღვანელს, გაირკვა რომ ეს ასეა, რაც კარგად ჩანს სვანური „თაბგა თხვიმის“, იგივე „მმზრალის“, მეგრული „დუდ მახვენჯის“, „მხნის თავის“, აგრეთვე დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული „ტოლუმბაშის“ (თურქ. „ტიკის თავის“) მაგალითზე (ბარდაველიძე, 1939; იოსელიანი, 1999; გოცირიძე, 2007). აქ ყველგან თამადა სუფრის თავკაცია, მეთაურია, ხელმძღვანელია, დამლოცველია. ამას ემატება კიდევ ერთი რამ. ადრეული ხანის წერილობით ძეგლებსა და ბიბლიის ქართულ თარგმანებში („ქართული ოთხთავი“) გვხვდება ტერმინები „ნადიმსა შინა წინამძღვარი“ (ზირა-

ქის წინასწარმეტყველება), „პურის უფალი“, „მთავარი ტაძრობისა“ (ანუ პურობისა): „რქუა მათ აღამოაესეთ აწ და მთავრით პურის უფალსა და მთავარსა ამის ტაძრისასა“ (ქართული ოთხთავი) და სხვ. „პურის უფალი“ ანუ პურობის, ტაძრობის, ტრაპეზის ხელმძღვანელია ის, ვინც სუფრას აკურთხებდა, დალოცავდა და წარუძღვებოდა. „წინამძღვარი“, „წინამძღოლი“, ხუცესი, დეკანოზი, ოჯახში ოჯახის უფროსი, ნადიმზე ღვინის თაყვანი და სხვ. რაც დადგენილი წესისა და რიგის მიხედვით ხდებოდა (გოცირიძე, 2007, 297).

ყველა ამ მონაცემის საფუძველზე მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ქართული სუფრა თავისი წარმომავლობით ძველია, საწესოა და მიუხედავად დროში მომხდარი ცვლილებებისა მან თითქმის დღემდე შემონახა „კოლექტიური ტრაპეზის“ საკრალური, არქაული ელემენტები; ბუნებრივია ასეთ სუფრას თავისი საკრალური ხელმძღვანელი ყავდა და ისიც ძველიდან მოდის. რამდენად ჩანს ეს გარემოება თავად სპარსულ ტერმინში *damad*, ამის თქმა არ შემძლია „გონების დიდი დაძაბვის“ მიხედვითაც კი, მაგრამ თუ თამადა – *damad* სიძეს//საქმროს ნიშნავს იგი ხომ ქორწილში ნეფე ხდება (ნეფეს სიძესაც ხომ უწოდებენ), ე. ი. იგივე მეფეა//მეუფეა, საკრალური ფიგურაა, რაც ნ. ბრეგაძეს კარგად მოეხსენება და მე მხოლოდ ამგვარ კონტექსტში გავიანზრე ნეფე და სულაც არ დავეჭვებულვარ იმაში, რომ ქნი ნელის თავისი სტატია – „მეფე“ დაავიწყდა. უბრალოდ შეიძლება მისთვის ასეთი მსჯელობა მიუღებელია და მე ეს სრულიადაც არ მაღიზიანებს.

თამადის საკრალურ შინაარსს ქნი ნელი უფრო ადრეურ ტერმინ *thamat*-ში ხედავს. ამასთან ერთად, გამოთქვამს მოსაზრებას და მსჯელობს ამ პერსონაჟის თავებრიკასთან და მზის ღვთაებასთან შესაძლო კავშირის თაობაზე, რაც მე ასევე უთუოდ საინტერესოდ და ანგარიშგასაწევად მივიჩნიე და ამას ახლაც გავიმეორებ: ეს არის პრობლემისადმი ახლებური მიდგომა, რთული და მრავალხაზოვანი საკითხი. მხოლოდ ოპონენტი რატომღაც მსაყვედურობს, რატომ უსვამ მე ხაზს იმას რომ ეს საკითხი რთული და მრავალწახნაგოვანია? აქაც გადამეტებულია

რამე? კულტურის არქაული ელემენტების ძიება ხომ რთული და მრავალწახნაგოვანია. უფრო მეტიც, ვთვლი რომ ქნ ნელი ბრეგაძეს სწორედ რთული და მრავალწახნაგოვანი პრობლემების სიღრმისეული კვლევა ხელეწიფება და მოდით ამაზე (ქვეტექსტებზე) ნუ ვიკამათებთ. ქნო ნელი, ჩემს სიტყვებს ნუ გამოეკიდებით და ნუ მიპასუხებთ თუ შეგიძლიათ, მეტადრე მაშინ, როცა თქვენს აზრს ვიზიარებ და პატივს ვცემ.

ახლა მოკლედ ჩემი სტატიისადმი „თამადა“ გამოსმაურების გამო გამოქვეყნებული წერილის არცთუ რბილი ტონისა და ზოგიერთი გამონათქვამების შესახებ. ვინც ეს გამოსმაურება წაიკითხა, ალბათ დამეთანხმება, რომ მეცნიერული ეთიკის საზღვრები არ დამირღვევია, პირიქით ვცდილობდი, რაც შეიძლება ზომიერი და კორექტული ვყოფილიყავი. ქნი ნელი კი შეეცადა შეუვალი და უკომპრომისო დარჩენილიყო და ოდნავ „გალიზიანებულიც“ კი. მინდა რამდენივე შეკითხვით მივმართო:

1. რაში დაგჭირდათ ქნო ნელი იმის გახსენება (სქოლიოში მითითება), რომ მე თქვენს ნააზრევს ადრეც არა სწორი ინტერპრეტაცია მივეცი, საკუთრივ ეს ეხებოდა ტერმინ პური: ჩემს მონოგრაფიაში (სპეციალურ სტატიაშიც), როცა ტერმინ პურის ეთნოგრაფიულ მნიშვნელობას ვეხებოდი, ივ. ჯავახიშვილის, გ. როგავას, თ. გამყრელიძის, ო. კახიძის და სხვათა გვერდით, ამონარიდი თქვენი ნაშრომიდანაც მოვიტანე (ვუთითებდი თქვენს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნიდან). მე მეწერა, რომ ტერმინი პური თავდაპირველად უნდა რქმეოდა ხორბალს (ე. ი. მარცვალს) და მერე გავრცელდა გამომცხვარ პურზე – რაზეც შენიშვნა მომეცით, ის რომ „ციტირება“ არ იყო ზუსტი. მე მაშინ მივიღე ეს „ნათქვამი“ და ვცადე მონოგრაფიაში გამომესწორებინა. როგორც ჩანს ამან თქვენ არ დაგაკმაყოფილათ. ახლა წერთ, რომ პური (სახელწოდება) უნდა ყოფილიყო ხორბლის სახელი „სხვებს შორის ერთ-ერთი და არა პირველი და მერე უნდა დარქმეოდა მისგან გამომცხვარ პროდუქტს“ (ბრეგაძე, 2010, 328. სტილი დაცულია). ე. ი. გამოდის, რომ მე არ უნდა დამეწერა, რომ „პური ხორბლის თავდაპირველი სახელი იყო“ (და არ უნდა მო-

მეწერა ეს თქვენთვის), ამიტომ გაქვთ ასეთი რეაქცია: „მსგავსი უაზრობა არსად არ მითქვამსო“. ქ-ნო ნელი, მკითხველმა განსაჯოს ჩემი „ცოდვა“ და ისიც თუ რამდენად უაზროა ასეთი რამ და არა „უნებლიე“ შეცდომა. თქვენ იქვე მსაყვედურობდით იმასაც რომ მე „დოლის პურის“ ხსენებასთანაც (ტერმინ პურთან მიმართებაში) არ ვიყავი სწორი. მე ვწერდი (ისევ თქვენი ნაშრომიდან გამომდინარე), რომ ეს სახელი პური – შემონახა საშემოდგომო ხორბალმა „დოლის პურმა“. ესეც შეცდომად მიიჩნით და ახლა განგვიმარტავთ: „დოლის პური ქართველი გლეხის მიერ შედარებით გვიანაა გამოყვანილი და იმის გამო რომ განსხვავებით ორთესლა ხორბლისაგან მხოლოდ და მხოლოდ საშემოდგომოა, შეექვა დოლის ანუ შემოდგომაზე სათესი პურის სახელი“ (ბრეგაძე, 2010, 438. სტილი დაცულია). კი მაგრამ ასეა თუ ისე, დოლის პური საშემოდგომოა, ძველია თუ ახალი, სახელი პური ხომ სხვა ჯიშებისგან განსხვავებით მას შემორჩა? ეს არის ჩემი მიუტევებელი შეცდომა რომ მე ძველი დავწერე და მეტი არაფერი?

ქ-ნო ნელი მინდა შეგახსენოთ, თუ მე ტერმინი პურის შესახებ ვწერდი რამეს, მინდოდა ხაზი გამესვა მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებისათვის, რომ ხალხში (მეტადრე მთაში) „პურს“ არ უწოდებენ უსაფუვრო პროდუქტს – „ხმიადას“ (იგი წყალზე მოზელებილი ცომისაგან ცხვება) და უწოდებენ მხოლოდ საფუვრიან პურს (თონეში, ფურნეში ან ღუმელში გამომცხვარს). ალბათ ტერმინი „დედას პურიც“ ამის გამო გაჩნდა, თუმცა სხვა მოსაზრებაც შეიძლება არსებობდეს (გოცირიძე, 2007, 297).

ყოველივე ამის გამო ჩვენ რამდენიმე წლის წინ ვისაუბრეთ, ყველანაირად ვეცადე თქვენი „მითითებები“ გამეთვალისწინებინა და „უაზრობა“ (როგორც თქვენ ბრძანებთ) არ დამეწერა. ნუთუ ეს წლები ამისათვის საკმარისი არ იყო და მეორეც „თამადასთან“ დაკავშირებით მისი გახსენება – ასე ძალიან გჭირდებოდათ? თუ როგორც ამბობენ ამით ძველი ანგარიშების გასწორება გასურდათ?

2. გამოსმაურებაში ხაზგასმით წერთ: გოცირიძე იმან გაანაწყენა, რომ მის საკითხს შევეხეო, თითქოსდა მე ვერ

შეგქელი ჩემივე ნაკვლევის პოპულარიზაცია და ამ მიზნით თქვენი წერილისადმი „თამადა“ – გამოსხმაურება გამოვიყენე. იქვე დიდაქტიკური ტონით შემასხენებთ, რომ მეცნიერებაში ყველას აქვს ნებისმიერ პრობლემაზე მუშაობის უფლება და აქ მონოპოლია დაუშვებელია, რბილად რომ ვთქვათ ეს ცუდი ტონიაო. აჭარბებთ ქნო ნელი. მართალია მონოპოლიურობის გრძნობა ცუდი ტონია, მაგრამ არა ნაკლებ ცუდი ტონია ამის თქმა მისთვის ვისაც ეს არსად არ განუცხადებია (მეტადრე დაუწერია), არ მოუცია ამის ოფიციალური საბაბი. და თუ მაინც „ამირან გულში მღეროდას“ გულისხმობთ, ეს თქვენი პრობლემაა. მე ამას არ ვიმსახურებ, რადგან გამოსხმაურებაში, არა ერთ გზის ვწერ, რომ თქვენს აზრს პატივს ვცემ, ვეთანხმები (რიგ საკითხებში რა თქმა უნდა), მოგმართავთ მეცნიერული ეთიკის დაცვით, თქვენ კი სულ რაღაც მიზეზებს ეძებთ, რომ „მისაყვედურთ“, ცდილობთ ცუდი ტონი, სიჯიუტე, უაზრობა და ამგვარი ეპითეტები მომაწეროთ.

3. ვიცი, რომ თქვენ, ცნობილ მკვლევარს, გიყვართ სიზუსტე, პატარა წერილმანსაც კი არ ტოვებთ უყურადღებოდ არა თუ უფრო სერიოზულს, აზრობრივს, მაგრამ იყო კი აუცილებელი წერილის დასაწყისში (სქოლიოში) იმის საგანგებოდ აღნიშვნა (მითითება) რომ თქვენი სტატია „ანალების“ არა 2009 წლის, არამედ 2008 წლის მე-3 ნომერშია დაბეჭდილი. ეს ხომ უნებურად გაპარული მექანიკური შეცდომაა, და ტექსტშივე შეგეძლოთ გეჩვენებინათ, ანდა გინახავთ ნაშრომები სადაც მსგავსი რამ არ ხდებოდა? მაგრამ თქვენ ამით გინდათ თვალსაჩინოდ ხაზი გაუსვით იმას, რომ მე „მითითებებში“ ვცოდავ. მინდა მოგახსენოთ შემდეგი: შეიძლება მე, ისე როგორც სხვა ბევრ ჩემნაირ (ან არა ჩემნაირ) ავტორს ასეთი შეცდომები აქვს, რაღაც საკითხებში ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი კარგად, ზუსტად არაა დაცული „აპარატი“ და ა. შ. მაგრამ ჯერ ერთი უშეცდომო არავინაა და მეორეც არის აქ რამე გამოუსწორებადი? აქვე შევახსენებთ, რომ არასოდეს და არავისგან არავითარი მოსაზრება არ მიმითვისებია და კორექტულობის ზღვარი არ დამირღვევია, განსხვავებული აზრის უფლება კი ნამდვილად მაქვს. ამის მიუხედავად თქვენ


შოთა რუსთაველის ზნეობრივ გამონათქვამს შემახსენებთ: „მაგრა იტყვის ჩემი სჯობსო“. იქნებ იმიტომ, რომ ასე ვფიქრობ. რას იზამ, ნათქვამია „საცა არა სჯობს გაცლა სჯობსო“. მეც გაგეცვლებით ქნო ნელი და თქვენეული ბოლო წინადადებისა არ იყოს „უაზრო კამათს“ აღარ ვაპირებ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

- აბაევი 1979 – Абаев В. И., Историко-этнографический словарь осетинского языка, т. III, Л., 1979.
- ბარდაველიძე 1939 – ბარდაველიძე ვ., სვანურ დღეობათა კალენდარი, ტფ., 1939.
- ბრეგაძე 2008 – ბრეგაძე ნ. თამადა, ანალები, 2008, №3.
- ბრეგაძე 1982 – Брегадзе Н. А., Очерки по агроэтнографии Грузии, Тб., 1982.
- ბრეგაძე 2004 – საქართველო მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა, თბ., 2004.
- ბრეგაძე 2010 – ბრეგაძე ნ., სტატიაზე თამადა გამონათქვამის გამო, ანალები, 2010, №6.
- გოცირიძე 2007 – გოცირიძე გ., კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბ., 2007.
- გოცირიძე 2009 – გოცირიძე გ., კვლავ თამადის შესახებ (გამონათქვამი ნ. ბრეგაძის სტატიაზე „თამადა“), ანალები, 2009, №5.
- იოსელიანი 1999 – იოსელიანი ხ., საქორწილო სუფრასთან გამასპინძლების წესი სვანეთში (თამადობის ინსტიტუტი და სადღეგრძელოები), თბ., 1999.

MEMORIA

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვალერი სილოგავა** დაიბადა 1945 წლის 20 აპრილს ქალაქ ფოთში. 1963 წ. დაამთავრა ქ.



ფოთის V საშუალო სკოლა; იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1969 წელს; 1969-1972 წლებში სწავლობდა კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტურაში წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის სპეციალობით. აქვე ჩამოყალიბდა, როგორც მკვლევარი და მეცნიერი და გამოიკვეთა მისი სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებები: ეპიგრაფიკა, პალეოგრაფია, დიპლომატიკა, ქრონოლოგია, “ქართლის ცხოვრება”, ხელნაწერთმცოდნეობა...

1972 წ. დაიცვა საკანდიდატო - “დასავლეთ საქართველოს IX-XIII სს. ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო”, ხოლო 1989 წ. სადოქტორო - “სვანეთის წერილობითი ძეგლები”, ტ. I, თბ., 1986; ტ. II, თბ., 1988 - დისერტაციები. მუშაობდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. 1990 წლიდან სისტემატურად კითხულობდა ლექციებს ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. საქართველოს საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში ზოგად და სპეციალურ კურსებს საქართველოს ისტორიაში, საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში, ქართველოლოგიის შესავალში. ბოლოს იგი მუშაობდა ი. ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.

20 წიგნი, მათგან ნახევარი მონუმენტურია, 150-მდე სამეცნიერო სტატია, 200-მდე საენციკლოპედიო სტატია, 100-მდე საგაზეთო პუბლიკაცია, ბავშვებისათვის განკუთვნილი წერილები, – ეს მისი 45-წლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგია. რამდენიმე წიგნი და სტატია გამოსაცემად ჰქონდა მომზადებული და გადაცემული. მისი შრომების სია ჯერჯერობით 459 ერთეულს მოიცავს. ვალერი სილოგავა კაბინეტში ჩაკეტილი მეცნიერი არ იყო, მუდმივად დადიოდა ძველ ეკლესია-მონასტრებში, ნაციხარებში საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ, პოულობდა ეპიგრაფიკულ თუ ფრესკულ წარწერებს, ამუშავებდა მუზეუმებსა და ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული ხელნაწერებისა და სიგელ-გუჯრების მონაცემებს, განსაზღვრავდა მათს მნიშვნელობას და ქმნიდა შრომებს, რომლებიც, დიდ გარჯასა და ფიზიკურ გამძლეობასთან ერთად, ღრმა ინტელექტუალურ განსჯას მოითხოვენ მეცნიერი-მკვლევარისაგან. ასე თავდადებით იღვაწა სვანეთის წერილობითი ძეგლების შესწავლა-გამოცემაზე. თავი მოუყარა, წარმოაჩინა, სისტემურად დააღაბა, აკადემიურ დონეზე შეისწავლა და განაზოგადა სვანეთის ეკლესია-მონასტრებსა და სიძველეთსაცავებში დაცული ეპიგრაფიკული და წერილობითი ისტორიული მასალა და სწორედ მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია მონუმენტური ტომები ქართული წარწერების კორპუსისა, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსისა, სვანეთის წერილობითი ძეგლებისა, რომლებშიც შესწავლილია ეპიგრაფიკული ძეგლები, ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები. უადრესად მნიშვნელოვანია მისი შრომები, მიძღვნილი საქართველოს ეპარქიების ისტორიის შესწავლისადმი. განსაკუთრებულია ტაო-კლარჯეთის სვანეთა და საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ ცენტრთა შესახებ შექმნილი მონუმენტური წიგნი „ტაო-კლარჯეთი“. ცალკე გამოკვლევა მიუძღვნა ოშკის მონასტერს, რომლის წარწერებმა მრავალ უცნობ საკითხს მოჰფინა ნათელი. ამ შრომების ნაწილი გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი, უწმი-

დესისა და უნეტარესის ილია მეორისადმი მიძღვნილ წიგნში „ნათელი ქრისტესი – საქართველო“. ვალერი სილოგავა სწვდებოდა სხვა, მომიჯნავე დარგების პრობლემებსაც, კერძოდ, ლიტერატურათმცოდნეობითსა და საენათმეცნიეროსაც. ეს შრომები გამოქვეყნებულია ქართულ და უცხოურ ენებზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ყველა მათგანი აღრიცხულია მისი ხელმძღვანელობით მომზადებულ მისივე შრომების “ბიბლიოგრაფიაში”.

ვალერი სილოგავას სამეცნიერო მოღვაწეობა საქართველოს ისტორიისა და ისტორიოგრაფია-წყაროთმცოდნეობისადმი უდიდესი სიყვარულის, უანგარო და თავდადებული სამსახურის, პრინციპულობის ნიმუშად დარჩება. თავად უაღრესად მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ, ასეთივე გახლდათ სხვათა მიმართაც. ვალერი სილოგავა ხშირად მონაწილეობდა ჩვენში და საზღვარგარეთ გამართულ სამეცნიერო კონგრესებში, სიმპოზიუმებსა თუ კონფერენციებში მოხსენებებით. იგი ბოლო ხუთი წელი ყოველწლიურად გამოდიოდა მოხსენებით მოსკოვში, წმ. ტიხონის სახელობის მართმადიდებელ ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში (ИСТУ), საღმრთისმეტყველო კონფერენციის ქართველოლოგიის სექციაზე. ყოველთვის ისეთ პრობლემატიკას არჩევდა, რაც საინტერესო იქნებოდა საქართველოს ისტორიისათვის და, აგრეთვე, იმ ქვეყნისთვისაც, სადაც სამეცნიერო ფორუმი უნდა გამართულიყო. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ წარადგენს ჩვენს სამშობლოს, ქართულ კულტურას საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. ვალერი სილოგავა ღირსეული მეცნიერი გახლდათ ჩვენი კულტურისა და ისტორიის წარმდგენად ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. იგი ყოველ სამეცნიერო ფორუმსა და სხდომაზე ორიენტირის როლს ასრულებდა; მომხსენებელი ყოველთვის ანგარიშს უწევდა მის აზრს, ელოდებოდა მისეულ შეფასებას; მას ჰქონდა მოსმენილის სწრაფი აღქმისა და მასზე რეაგირების უნარი, შეუცდლომლად შეეძლო შეეფასებინა მოხსენებაც და მასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები, შეეძლო საკითხის ირგვლივ წამოჭრილი პრობლემატიკის შესახებ უტყუარი, ავტორიტეტული მოსაზრების გამოთქმა.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით (LIV.2000) ვალერი სილოგავა დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. 2009 წელს კი ნაშრომისათვის – “სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა”, მას პირველს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია.

ბატონი ვალერიის ხელმძღვანელობით გამოსაცემად მომზადდა მისი "სამეცნიერო შრომების და პუბლიკაციების ბიბლიოგრაფია (1965-2010 წწ.)". თითქოს ამით გარკვეულწილად თავისი ღვაწლისა და შრომის ანგარიში გააკეთა ხალხის წინაშე. მაგრამ ვერ მოესწრო მის გამოცემას, არ დასცაღდა... არადა, როგორც თავად ამბობდა, სიმწიფის ასაკში მყოფს სწორედ ახლა ჰქონდა ცოდნა და გამოცდილება დაგროვილი, მის ხელთ არსებული მასალა კი მომავალი სამეცნიერო შრომების შექმნის საწინდარი იყო. თუმცა, რაც მოასწრო, ერთი მეცნიერის საქმიანობას ბევრად სცილდება. მისი მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელსაც ფერფლი არასოდეს წაეყრება, ყოველთვის იქნება ნიჭიერებისა და კეთილსინდისიერი შრომის შერწყმის ნიმუში, რაც მხოლოდ ღვთივმიმადლებული ნიჭის შედეგად შეიძლებოდა შექმნილიყო და რომელსაც ქართველოლოგიის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

შ ი ნ ა ა რ ს ი

გულისთავი მილოცვები

ღავით მუსხელიშვილი

ქვირვასო ქალბატონო ნანა!.....5

მანანა ხიდაშელი

ნანა ხაზარაძე – მეცნიერი, პედაგოგი, მოქალაქე.....8

MANANA KHIDASHELI

Nana Khazaradze – Scholar, Teacher, Citizen..... 23

რევაზ ბალანჩივაძე

ღამაზი, გონიერი, უბერებელი
(პროფესორი ნანა ხაზარაძე).....26

მსოფლიო ისტორია

ზაზა ალექსიძე

ბიზანტიის იმპერიის უცნობი ქართველი დიდი
მოხელე და მისი საგვარეულო..... 29

Z. ALEKSIDZE

An Unknown Georgian Highly Ranked Official of
the Byzantine Empire and His Family..... 59

ალექსანდრე თვარაძე

ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობა – ისტორიის
იდეოლოგიური ხედვა თუ ბალდუინ IX
ფლანდრიელისდა ბიზანტიის ორი
იმპერატორის ამბავი.....61

AL. TVARADZE

Basili Ezosmozghvari's Narration: Ideological Vision
of History or the Story of Baldwin IX. of Flanders
and Two Byzantine Emperors.....125

საქართველოს ისტორია

ოთარ ლორთქიფანიძე, დავით მუსხელიშვილი
საქართველოს უძველესი სავაჭრო-
სატრანზიტო გზები..... 126

O. LORTKIPANIDZE, D. MUSKHELISHVILI
The Oldest Trade-Transit Routs of Georgia..... 192

ალექსანდრე დაუშვილი
ფოთის საზღვაო პორტი 1917-1921 წლებში.....204

AL. DAUSHVILI
Poti Sea Port in 1917-1921.....244

ოთარ ჯანელიძე
გენერალ ფონ-კრესის მემუარები და
1918-1921 წლების ქართული სინამდვილე..... 248

O. DJANELIDZE
Memoirs of General von Kress and the Reality
of Georgia in 1918-1921.....270

ეთნოლოგია

ნინო მაისურაძე
იბერიულ-კავკასიური მუსიკალური ენების შესახებ..... 272

N. MAISURADZE
Iberian-Caucasian Musical languages.....312

ნელი ბრეზაძე
მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული
ქართული და ბულგარული წეს-ჩვეულებების
შედარებითი განხილვა.....318

N. BREGADZE

Discussion of Georgian and Bulgarian Customs
Connected with the Cult of the Deceased..... 337

საქართველოს ეკლესიის ისტორია

მეზა კაჭარავა

ალავერდელ მღვდელმთავართა ქრონოლოგია
(XVII საუკუნე). ნაწილი II..... 343

E. KACHARAVA

Chronology of Archbishops of Alaverdi. Part II..... 365

ელდარ ბუბულაშვილი

აკაკი წერეთელი და საქართველოს ეკლესიის
ზოგიერთი საკითხი..... 370

E. BUBULASHVILI

Akaki Tsereteli and Some Issues
of Georgian Church..... 391

მანია ნაჭყვია

ქეთევან დედოფალის წმინდანად აღიარების საკითხი
ევროპულ წყაროებში (კათოლიკურ ეკლესიაში
წმინდანად შერაცხვის პრაქტიკისათვის) 394

M. NACHKEBIA

Issue of Recognition the Queen Ketevan as a Saint
by the Catholic Church (For the Practice
of Canonization in the Catholic Church) 407

სოციოლოგია

ელგუჯა მენაბდიშვილი

სტუდენტი ახალგაზრდების რელიგიისადმი
დამოკიდებულება..... 410

E. MENABDISHVILI

Students' Attitudes towards the Religion..... 433

საისტორიო გეოგრაფია

პაპუნა ბაბისონია

წალენჯიხის რაიონის ისტორიული
გეოგრაფიიდან..... 434

P. GABISONIA

From Historical-Geography of Tsalenjikha..... 451

არქეოლოგია

ვერა ჩიხლაძე, ელისო ყვავაძე

ჟინვალის სამაროვნის 375-ე ქვის სამარხში
აღმოჩენილი ქალის თავსამკაული, ვარცხნილობა
და ორგანული ნაშთების პალინოლოგიური
კვლევის შედეგები..... 455

V. CHIKHLADZE, E. KVAVADZE

Results of the Palynological Study of the Woman Head
Ornament, Hair-do and Organic Remains being found
in the N375 Stone Burrial Ground of Jinvali Tomb..... 473

ანთროპოლოგია

**ლია ბითაძე, რამაზ შენგელია,
ელისო ყვავაძე, შორენა ლალიაშვილი**

ბიოარქეოლოგიური კვლევების განვითარება
საქართველოში (აქტუალობა და პერსპექტივები) 475

**L. BITADZE, R. SHENGELIA,
E. KVAVADZE, SH. LALIASHVILI**

Development of Bioarchaeological studies in Georgia
(Topicality and perspective)..... 490

ლიტერატურათმცოდნეობა

ნესტან სულავა

„ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი“ –
ლიტერატურულ-ესთეტიკური ღირებულების
განსაზღვრისათვის.....495

N. SULAVA

About the Definition of Literary and Aesthetical Importrance
of The „Life of King of Kings Daviti“517

ღისკუსია

ლია მელიქიშვილი

ტრადიციული კულტურა გლობალიზაციის
პროცესში..... 520

L. MELIKISHVILI

Traditional culture in globalization process..... 528

ლია მელიქიშვილი

ეთნიკური ჯგუფების იდენტობა ახალ
სოციალურ გარემოში.....530

L. MELIKISHVILI

Identity of Ethnic Groups in New Social Environment.....539

ლავრენტი ჯანიashვილი

მულტიკულტურული რეგიონი პოსტსაბჭოურ
პოქაში (ქვემო ქართლი)..... 541

L. JANIASHVILI

Multicultural region in post-Soviet period
(Kvemo Kartli)..... 556

ნათია ჯალაბაძე

კულტურათაშორისი კომუნიკაციის ზოგიერთი
ასპექტი ქვემო ქართლში.....559

N. JALABADZE

Some Aspects of Intercultural
Communication in Kvemo Kartli..... 577

მაკა ხარშილაძე

ეთნიკური უმცირესობა-ფსიქოლოგიური
პრობლემები..... 579

რეპორტაჟი

რეპორტაჟი..... 591

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბიორბი ბოცირიძე

საცა არა სჯობს... (პასუხი ნელი ბრეგაძეს –
„სტატიაზე „თამადა“ გამონხმაურების გამო“)..... 662

MEMORIA

ვალერი სილოგავა..... 631



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge